ფილიპ კ. დიკი

კაცი მაღალ კოშკში

პირველი გამოცემა, ბათუმი, 2015

მთარგმნელი ეკატერინე სუმბათაშვილი

რედაქტორი ნინო გოგალაძე

ყდის დიზაინერი ეკა ტაბლიაშვილი

დამკაბადონებელი ლადო ლომსაძე

ქართული გამოცემა © გამომცემლობა «წიგნები ბათუმში», 2015

მისამართი: მემედ აბაშიძის ქუჩა, 60, ბათუმი

ელფოსტა: booksinbatumi@gmail.com

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

Philip K. Dick

The Man in the High Castle

Copyright © Philip K. Dick, 1962

Georgian translation published by Books in Batumi publishing, 2015

All Rights Reserved

ვუძღვნი მეუღლეს, ენს, რომლის დუმილის გარეშე ეს წიგნი არასოდეს დაიწერებოდა.

მადლობა

ავტორი თავის ნაწარმოებში ხშირად მოიხსენიებს ჩინურ «გარდაქმნათა წიგნს» («ი ძინი») და იყენებს 1950 წლის, ბოლინგენის

[1]

ფონდისეულ ინგლისურენოვან, რიჩარდ უილჰელმის მიერ შესრულებულ თარგმანს (აღნიშნული წიგნი გამოსაცემად მოამზადა კერი ფ. ბეინსმა და 1950 წელს ნიუ-იორკის ბოლინგენის ფონდის დახმარებით დაბეჭდა გამომცემლობამ «პანთეონ ბუქს» (Pantheon Books) «ბოლინგენის სერიის» (Bollingen Series) XIX ტომად).

69-ე გვერდზე მითითებული ჰაიკუს ავტორია ესა ნო ბუსონი (1716-1784).

206-ე გვერდზე მოყვანილი ვაკას ავტორია ფუკუდა ტიე-ნი (1703-1775).

რომანზე მუშაობისთვის გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა: The Rise and Fall of the Third Reich, A History of Nazi Germany, by William L. Shirer, Simon and Schuster, 1960, New York; Hitler, a Study in Tyranny, by Alan Bullock, Harper, 1953, New York; The Goebbels Diaries, 1942-1943, edited and translated by Louis P. Lochner, Doubleday & Company, Inc., 1948, New York; The Tibetan Book of the Dead, compiled and edited by W. Y. Evans-Wentz, Oxford University Press, 1960, New York; The Foxes of the Desert, by Paul Carell, E.P. Dutton & Company, Inc., 1961, New York.

ავტორი განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიებს გამოჩენილ მწერალს, უილ კუკს

[2]

, რომელიც დაეხმარა სათანადო არტეფაქტებისა და ველური დასავლეთის ათვისების პერიოდთან დაკავშირებული მასალების მოძიებაში.

1

უკვე ერთი კვირა იყო, მისტერ რ. ჩილდენი მოუსვენრად ამოწმებდა ფოსტას, მაგრამ კლდოვანი მთების შტატებიდან მისაღები ძვირფასი ამანათი არ ჩამოსულიყო. პარასკევს დილითაც, როდესაც მაღაზიის კარი გააღო და იატაკზე ფოსტის ჩასაგდებად განკუთვნილი ჭრილიდან ჩამოყრილი მხოლოდ რამდენიმე კონვერტი დაინახა, მაშინვე გაიფიქრა, კლიენტი განრისხდებაო.

კედლის ხუთცენტიანი სავაჭრო ავტომატიდან ხსნადი ყავის ჭიქა აიღო, დალია და მერე დაგვას მიჰყო ხელი. სულ მალე «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» მაღაზია ახალი დღის შესახვედრად მზად იყო – სისუფთავისგან ყველაფერი ბზინავდა და ლაპლაპებდა, სალაროს აპარატი სავსე იყო ხურდით, ლარნაკში ახლად დაკრეფილი გულყვითელების თაიგული იწონებდა თავს, ხოლო რადიოდან ხმადაბალი მუსიკა ისმოდა. გარეთ, მონტგომერი-სტრიტზე, ბიზნესმენები თავიანთი ოფისებისკენ მიიჩქაროდნენ. შორს ფუნიკულიორის გონდოლა გამოჩნდა და ჩილდენმა სიამოვნებით გააყოლა თვალი. ქალებს გრძელი ფერადი აბრეშუმის კაბები ეცვათ... ჩილდენი მათაც აყოლებდა თვალს. სწორედ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. პასუხის გასაცემად მაღაზიაში შებრუნდა.

– დიახ, – ყურმილში ნაცნობი ხმა გაისმა. ჩილდენს გული გადაუქანდა, – მისტერ ტაგომი ვარ. ჩემი სამოქალაქო ომის დროინდელი პოსტერი თუ ჩამოვიდა, სერ? ხომ გახსოვთ, დამპირდით, რომ წინა კვირას იქნებოდა, – ნერვიული, უხეში ხმა თავაზიანობის ზღვარზე, რომელიც მზად

იყო ეს მიჯნაც გადაელახა, – სერ, მისტერ ჩილდენ, გირაო გადაგიხადეთ, ხომ ასეა? კარგად იცით, საჩუქრად მინდა. ესეც აგიხსენით. კლიენტისთვის.

– ბევრი რამის მოძიება... – დაიწყო ჩილდენმა, – ზოგი რამის გარკვევა ჩემი ხარჯით მომიხდა, მისტერ ტაგომი, სერ; შეკვეთილ ამანათთან დაკავშირებით, საქმე ის გახლავთ, რომ... როგორც თავადაც ხვდებით, ამ რეგიონის გარედან უნდა ჩამოვიდეს...

მაგრამ ტაგომიმ გააწყვეტინა:

– ესე იგი, არ ჩამოსულა.

– არა, მისტერ ტაგომი, სერ.

ყურმილში სუსხიანი დუმილი ჩამოწვა.

– დაუსრულებლად ვერ დაველოდები, – თქვა ბოლოს მისტერ ტაგომიმ.

– ვერა, სერ, – ჩილდენი კუშტად უმზერდა მაღაზიის ვიტრინიდან თბილ მზიან დღეს და სან-ფრანცისკოს საოფისე ნაგებობებს.

– მაშ, სანაცვლოდ რაიმე შემომთავაზეთ. თქვენი რეკომენდაცია რა იქნება, მისტერ ჩილ-დონ? – ტაგომიმ მისი გვარი შეგნებულად წარმოთქვა დამახინჯებით; შერცხვენილი და შეურაცხყოფილი ჩილდენი ყურებამდე გაწითლდა. დრო არ ითმენდა, მაგრამ დამცირებისაგან გონებაარეულს, სურვილები და შიში განძრევისა და ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა. ყურმილი ხელში გაუშეშდა. მაღაზიაში გულყვითელების სურნელი ტრიალებდა, მუსიკა ისევ უკრავდა, მაგრამ თავს ისე გრძნობდა, თითქოს აქედან სადღაც გადაკარგულში, შორეული ზღვის ნაპირზე მარტოდმარტო აღმოჩნდა.

– ჰმ... – როგორც იქნა, ამოღერღა, – კარაქის სადღვები. დაახლოებით 1900 წლის ნაყინის დასამზადებელი... – არა, გონება ფიქრზე უარს ამბობდა. როგორ უნდოდა ამ ყველაფრის დავიწყება, მაგრამ თავის მოტყუება აღარ შეეძლო. ოცდათვრამეტი წლის იყო და კარგად ახსოვდა ომამდელი, სხვა დროება. ფრანკლინ დელანო რუზველტი

[3]

და მსოფლიო გამოფენა

[4]

; ბევრად უკეთესი მსოფლიო, – შემიძლია ოფისში მოგიტანოთ ნიმუშები საჩვენებლად? – წაილუღლუღა ბოლოს.

შეხვედრა ნაშუადღევის ორი საათისთვის დათქვეს. მაღაზიის დაკეტვა მოუწევდა; ამას კარგად ხვდებოდა, როდესაც ყურმილი დადო. ასეთი რანგის კლიენტებთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს. მთელი ბიზნესი მათზეა დამოკიდებული.

ჯერ ისევ მთელი სხეულით კანკალებდა, როდესაც დაინახა, მაღაზიაში მის გარდა კიდევ იყო ვიღაც – წყვილი. ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი, ორივე სანდომიანი, შესანიშნავად ჩაცმული. იდეალური კლიენტები. თავი დაიმშვიდა, პროფესიონალის დამახასიათებელი ნაბიჯით მათკენ ღიმილით გასწია. ისინი მინის დახლის ქვეშ განთავსებულ მშვენიერ საფერფლეს ათვალიერებდნენ. დაქორწინებულები არიან, დაასკვნა მაშინვე. ალბათ ქარიანი ნისლების გარეუბნის რომელიმე ახალ ექსკლუზიურ აპარტამენტში ცხოვრობენ, ხედით ბელმონტზე.

– გამარჯობა, – თქვა და მაშინვე უკეთ გახდა. ორივემ საპასუხოდ გაუღიმა. მათ ღიმილში ქედმაღლობის ნაცვლად მხოლოდ კეთილგანწყობა იგრძნობოდა. აშკარად ეტყობოდა, სანაპიროს საუკეთესო მაღაზიამ მათზე შთაბეჭდილება მოახდინა. მისტერ ჩილდენი ამისათვის მადლობელი იყო. მათ ყველაფერი შესანიშნავად გაიგეს.

– მართლაც არაჩვეულებრივი ნივთები გაქვთ, სერ, – თქვა ახალგაზრდა მამაკაცმა.

ჩილდენმა უნებურად თავი დაუკრა.

ორივე თბილად უმზერდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ შემოსულები გულღია ადამიანები ჩანდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათი გემოვნება მაღაზიის მეპატრონისას დაემთხვა. მისი მადლიერი იყვნენ, რომ ასეთი შესანიშნავი ნივთები ჰქონდა, რომელთა დათვალიერება და ხელით შეხებაც კი შეიძლებოდა, თუნდაც არ გეყიდა ისინი. «დიახ, – გაიფიქრა ჩილდენმა, – იციან, ეს რა მაღაზიაა; ხვდებიან, ჩვეულებრივი ტურისტებისთვის რომ არ არის განკუთვნილი, სადაც წითელი ხისგან დამზადებული ფირფიტები იყიდება წარწერებით MUIR WOODS, MARIN COUNTY, PSA, ასევე მოზარდი გოგონებისთვის განკუთვნილი ბეჭდები თუ სასაცილო ფიგურები, ან ხიდისგამოსახულებიანი საფოსტო ბარათები». ქალის თვალები, ასეთი დიდი, მუქი... «შეიძლებოდა შემყვარებოდა, ეს... ან სხვა, მისი მსგავსი გოგონა, – გაიფიქრა ჩილდენმა, – მაინც, რა ტრაგიკული ცხოვრება მაქვს; ნუთუ ყველაფერი ცუდი, რაც აქამდე მოხდა, არ კმარა?.. ასეთი შავი თმა, ლაქით დაფარული ფრჩხილები, გახვრეტილი ყურები, გრძელი ხელნაკეთი საყურეები».

– თქვენი საყურე, – წაიბურტყუნა, – აქ შეიძინეთ?

– არა, – უპასუხა ქალმა, – შინ.

ჩილდენმა თავი დაუქნია. რასაკვირველია. არ არსებობს არავითარი თანამედროვე ამერიკული ხელოვნება; აქ, ისეთ მაღაზიაში, როგორიც მისია, მხოლოდ წარსულია წარმოდგენილი.

– დიდი ხნით აპირებთ აქ დარჩენას? ჩვენს სან-ფრანცისკოში?

– ჯერ არ ვიცით, – თქვა მამაკაცმა, – კეთილმოუწყობელ რაიონებში ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებაზე ზედამხედველ კომისიაში ვმუშაობ.

სახეზე სულ ერთი წამით გადაურბინა თვითკმაყოფილების ჩრდილმა.

სამხედრო არ არის. არც საღეჭი რეზინის მოღლაჭუნე იმ უზრდელების რიცხვს ეკუთვნის,

მარკეტ-სტრიტზე რომ დაიზლაზნებიან, მიშტერებით ათვალიერებენ პორნო-კინოთეატრების, ღამის კლუბებისა და პორნოატელიეების უხამს აფიშებს, რომელთა მისადგომებთან იაფფასიანი შუახნის ქერათმიანი მეძავები მთელი მონდომებით ხელებით ისრესენ ძუძუებს და გამვლელებს განაწამები

ავხორცობით უმზერენ... სან-ფრანცისკოს დაბლობი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი იაფფასიან, კეთილმოუწყობელ ჯურღმულებს ეკავა. დაბალი, ფანერითა და თუთიით გადახურული ქოხმახები იყო, რომლებიც მანამდე გაჩნდა, სანამ ქალაქს უკანასკნელი ბომბი დაეცემოდა.

არა – ეს მამაკაცი ელიტას მიეკუთვნებოდა. კულტურული, განათლებული, შესაძლოა მისტერ ტაგომისაც აღემატებოდა, რომელსაც არცთუ უკანასკნელი თანამდებობა ეკავა წყნარი ოკეანის სანაპიროს სავაჭრო მისიაში. ტაგომი ხანდაზმული გახლდათ. შეხედულებები ჯერ კიდევ საომარი მთავრობის დროს ჩამოუყალიბდა.

– ტრადიციული ამერიკული ეთნიკური ხელოვნების ნიმუშები საჩუქრად გნებავთ? – იკითხა ჩილდენმა, – იქნებ ბინის მოწყობას გეგმავთ?

გული აუფართხლდა... რა მოხდება, მართლაც ასე იყოს.

– სწორად მიხვდით, – თავი დაუქნია ქალმა, – ბინის მოწყობას ვაპირებთ; მაგრამ ბევრი რამ გადასაწყვეტია. შეგიძლიათ დაგვეხმაროთ?

– შემიძლია გესტუმროთ, დიახ, – უპასუხა ჩილდენმა, – რამდენიმე ალბომს წამოვიღებ ნიმუშებით. მოვალ მაშინ, როდესაც თქვენთვის მოსახერხებელია. ეს ხომ ჩემი საქმეა.

თვალი აარიდა ორივეს – მათში გამკრთალი იმედი მეტისმეტად აშკარად ჩანდა. საქმე ხომ ათასობით დოლარს ეხებოდა.

– ახალი ინგლისიდან მაგიდას ველოდები, ნეკერჩხლისგანაა დამზადებული, არც ერთი ლურსმანი არ აქვს, მხოლოდ ხის დამჭერები. იშვიათი სილამაზისა და ხარისხის ნივთია. კიდევ 1812 წლის ომის დროინდელი სარკე მაქვს. ასევე აბორიგენების ხელოვნების ნიმუში: თხის ბეწვისგან დამზადებული, ნატურალური საღებავებით შეღებილი ხალიჩები.

– სიმართლე გითხრათ, ურბანული ხელოვნება მირჩევნია, – თქვა ახალგაზრდა მამაკაცმა.

– გასაგებია, – მაშინვე დაეთანხმა ჩილდენი, – მისმინეთ, სერ. მაქვს ხის პანო, პირველი კოლონიზატორების დროინდელი, ორიგინალი, ოთხი დაფაა. ზედ ჰორას გრილია

[5]

გამოსახული. ნებისმიერი კოლექციონერისთვის მსუყე ლუკმაა.

– ოჰ, – გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ახალგაზრდა მამაკაცს.

– კიდევ 1920 წელს დამზადებული კარადა, ვიქტორიანული სტილის

[6]

, ამჟამად სასმელების ბარად გადაკეთებული.

– ოჰ.

– და სერ, მისმინეთ, ჯინ ჰარლოუს

[7]

ჩარჩოში ჩასმული პლაკატი მისივე ავტოგრაფით.

მამაკაცი მიაშტერდა.

– მაშ, შევთანხმდით? – იმედით მიაჩერდა ჩილდენი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უნაკლოდ შერჩეულ მომენტში. გულის ჯიბიდან ბლოკნოტი და კალამი ამოიღო, – შემიძლია თქვენი სახელი და მისამართი ჩავიწერო, სერ და ქალბატონო?

მას შემდეგ, რაც წყვილმა მაღაზია დატოვა, ჩილდენი იდგა, ხელები ზურგზე დაეწყო და ქუჩას ათვალიერებდა. ათვალიერებდა გახარებული. რა მოხდება, ყველა სამუშაო დღე ასეთი იყოს... არა მხოლოდ ბიზნესის და მაღაზიის წარმატების გამო. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ ახალგაზრდა იაპონელებს ისევ შეხვდებოდა, და მას მიიღებდნენ არა როგორც იანკის, როგორც ნივთების გამყიდველს, არამედ როგორც ადამიანს. დიახ, ეს ახალგაზრდები, ახალი თაობა, რომელსაც არ ახსოვს ომამდელი დღეები ან თავად ომიც კი – ისინია კაცობრიობის იმედი. მათთვის თანამდებობას მნიშვნელობა აღარ ექნება.

«ეს დასრულდება, – ფიქრობდა ჩილდენი, – ოდესმე. თანამდებობის მნიშვნელობა... აღარ იქნებიან მმართველები და მართულები, არამედ იარსებებენ მხოლოდ ადამიანები».

მაგრამ როგორც კი წარმოიდგინა, როგორ აკაკუნებს მათი ბინის კარზე, კანკალმა აიტანა. ჩანაწერი შეამოწმა. კაზუორა. მიწვეულს, ეჭვგარეშეა, ჩაის შესთავაზებენ. ყველაფერს სწორად გააკეთებს? ჯეროვნად გაირჯება მთელი შეხვედრის განმავლობაში? თუ რაღაც შეეშლება და ყველაფერს გააფუჭებს, და საკუთარი თავი შესძულდება, იმიტომ რომ უტვინო ცხოველივით მოიქცა?

ქალს ბეტი ერქვა. მის სახეზე ისეთი ურთიერთგაგება ამოიკითხა... კეთილგანწყობილი, გამგები თვალები. რასაკვირველია, აქ, მაღაზიაში ხანმოკლე შეხვედრისასაც კი ჩახვდა ქალი მის იმედებსა და სასოწარკვეთას.

მისი იმედები – უეცრად შეაჟრჟოლა. რამ მოუარა, რა ზღვარგადასულმა და თვითმკვლელობის ტოლფასმა სურვილებმა დარია ხელი? ჰო, სმენია იაპონელსა და იანკის კავშირზე, ძირითადად იაპონელ მამაკაცსა და იანკი ქალს შორის. ეს... ახლა გაიაზრა, რასაც ფიქრობდა. მაგრამ ქალი გათხოვილია. ეს სულელური აზრები თავიდან მოიშორა და

მიღებული ფოსტის დახარისხებას შეუდგა.

ხელები ისევ უკანკალებდა. და უეცრად ორ საათზე მისტერ ტაგომისთან დანიშნული შეხვედრა გაახსენდა. ხელებმა კანკალი შეწყვიტა და მისი ნერვიულობა ერთი ხელის მოსმით გაქრა. «რაღაც ისეთით უნდა მივიდე, რომ თავი არ შევირცხვინო», გაიფიქრა. სად? როგორ? რა? დარეკვა. ნაცნობები. საქმისთვის საჭირო მოქნილობა. 1929 წლის შავი ფორდი, თავიდან ბოლომდე აღდგენილი, იმავე ფერის (შავი) ქსოვილის გადასაწევი სახურავით. დიდი მუზარადის ტურნირის მოგების ტოლფასი იქნება. ალაბამაში აღმოჩენილი და უკანასკნელ ჭანჭიკამდე აღდგენილი სამძრავიანი საფოსტო თვითმფრინავი... და ასე შემდეგ. სადმე ხელში რომ ჩააგდებინა თავად მისტერ ბაფალო ბილის მუმიფიცირებული თავი, რომლის ღია ფერის თმას ქარი არხევს... «ჩემი რეპუტაცია არა მხოლოდ წყნარი ოკეანის სანაპიროზე გაიზრდებოდა, არამედ მშობლიურ კუნძულებამდეც კი ჩააღწევდა სახელი».

თავის გასამხნევებლად ჩილდენმა ფაბრიკა «ღიმილის ქვეყნის» არაჩვეულებრივ ნახელავს, ცოტაოდენ მარიხუანაგარეულ სიგარეტს მოუკიდა.

ფრენკ ფრინკი ჰეიეს-სტრიტზე, თავის ოთახში, საწოლზე იწვა და ფიქრობდა, როგორ ამდგარიყო. ფარდებს შორის დატოვებული ჭრილიდან მზის სხივი იატაკზე მიყრილ ტანსაცმელს ანათებდა. იქვე ეგდო მისი სათვალეც. სათვალეს დააბიჯებდა? სააბაზანომდე სხვა გზით უნდა მისულიყო. ფორთხვით ან ცოცვით. თავი ტკივილისგან უსკდებოდა, მაგრამ ეს დიდად არ ანაღვლებდა. არასოდეს ინანო ჩადენილი – ასე გადაწყვიტა. რა დროა? საათი კამოდზეა. თორმეტის ნახევარი! ღმერთმა დასწყევლოს, ის კი ისევ წევს.

«გამომაბუნძულეს», გაიფიქრა.

გუშინ ყველაფერს ქარხანაში აყალმაყალიც დაამატა. რაღაც სისულელის გამო აუხირდა მისტერ უინდემ-მატსონს, რომელსაც თეფშივით გაბრტყელებულ სიფათზე სოკრატესეული ცხვირი ამოზრდია, ბრილიანტის ბეჭედსა და ოქროს საკინძებს ატარებს. მოკლედ, ბატონ-პატრონია. ტახტი და დანარჩენი ატრიბუტებიც მისია. ამაზე ფიქრობდა ფრინკი.

«ჰო, – გაუელვა თავში, – ადგნენ და გამომაბუნძულეს. ჩემი ტყავი არავის სჭირდება – არ იყიდება. თხუთმეტი წლის სამუშაო სტაჟი წყალში ჩამეყარა».

ახლა კი თავისი შრომითი კატეგორიის გადასახედად მშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი კომისიის წინაშე უნდა წარდგეს. მაგრამ ვერასოდეს ჩაწვდა, რეალურად რა გავლენა ჰქონდა ყოფილ პატრონს, უინდემ-მატსონს პინოკიოებზე ანუ საკრამენტოს თეთრკანიანი მთავრობის მარიონეტებზე – არც იაპონელების რეალურ ხელისუფლებაზე მისი გავლენის შეფასება შეეძლო. თუმცა კომისია მაინც პინოკიოების ხელში იყო, ასე რომ, ოთხი თუ ხუთი შუახნის გაფუყულსიფათიანის წინაშე წარდგომა მოუწევს, რომლებიც უინდემ-მატსონის ნება-სურვილს ასრულებენ. თუ კვალიფიკაციის დადასტურებას ვერ მიიღებს, მაშინ ერთი გზა რჩება – იმპორტ-ექსპორტის ერთ-ერთ მისიაში გადასვლა,

რომლებიც ტოკიოდან იმართება და ფილიალები გაბნეულია მთელ კალიფორნიაში, ორეგონში, ვაშინგტონში, ნევადის ნაწილში ამერიკის წყნარი ოკეანის შტატების ჩათვლით. თუ იქაც არაფერი გამოვიდა, მაშინ...

თავში გეგმები უტრიალებდა, თავად კი ისევ საწოლზე იწვა და უაზროდ მიშტერებოდა ჭერზე ძველ სანათს. კლდოვანი მთების შტატებში გაქცევა შეიძლებოდა. მაგრამ მათ მეტად მჭიდრო კავშირი აქვთ წყნარი ოკეანის შტატებთან და გამოაძევებენ. სამხრეთი? ამის გაფიქრებაზე შეხტა. უჰ. არა, ეგ ნამდვილად არა. მართალია თეთრკანიანია და სამუშაო ადგილი იქ იმაზე მეტი იქნება, ვიდრე წყნარი ოკეანის შტატებშია, მაგრამ... რა თავში იხლის სამუშაოს – მთელი სამხრეთი ეკონომიკურად, იდეოლოგიურად, ჩინოვნიკებიანად და ღმერთმა იცის კიდევ რიანად, რაიხთანაა დაკავშირებული, ფრენკ ფრინკი კი ებრაელია.

მისი ნამდვილი სახელი ფრენკ ფინკი იყო. აღმოსავლეთ სანაპიროზე დაიბადა, ნიუ-იორკში და 1941 წელს აშშ-ის არმიაში გაიწვიეს, ომში რუსეთის დამარცხებიდან მცირე ხნის შემდეგ. მერე იაპონელებმა ჰავაის კუნძულები დაიპყრეს და ისიც დასავლეთ სანაპიროზე გაგზავნეს. ომის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩა, იაპონელების საოკუპაციო ზონაში. უკვე თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ.

1947 წელს, კაპიტულაციის დღეს, ბერსერკივით

[8]

მოიქცა. სულით ხორცამდე სძულდა იაპონელები და შურისძიებას გეგმავდა. ომის დროს მოხელთებული იარაღი სახლის სარდაფში დამალა, გაწმენდილი და დაზეთილი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ წინააღმდეგ გამოეყენებინა. მაგრამ ერთი რამ კი ვერ გაითვალისწინა – დრო ყველაფერს გავიწყებს. ახლა რომ ფიქრობდა მაშინ რა აზრები ამოძრავებდა – დიდი სისხლისღვრის მოწყობა, პინოკიოების ამოჟლეტა მათი პატრონებიანად, – თითქოს სკოლის პერიოდის დღიურის გაყვითლებულ ფურცლებს კითხულობდა. ფრენკ «ოქროს თევზი» ფინკი პალეონტოლოგობასა და ნორმა პრაუტის ცოლად შერთვაზე ოცნებობდა. ნორმა პრაუტი კლასის ულამაზესი გოგონა იყო, schones

[9]

. მისი შერთვა მართლაც უნდოდა. ღმერთო, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, თითქოს ფრედ ალენს

[10]

უსმენ ან უ. კ. ფილდსის

[11]

ფილმს უყურებ. 1947 წლიდან მოყოლებული, ალბათ ექვსასამდე იაპონელს შეხვედრია და უსაუბრია, მაგრამ საერთოდ არ გასჩენია მათზე ძალადობის სურვილი. საერთოდაც, ეს

სურვილი ომის შემდგომი პირველი თვეების ჩავლისთანავე უკვალოდ გაქრა. სრულიად უაზრო იყო და იმიტომ.

თუმცა მოიცათ: იყო ერთი, მისტერ ომურო, რომელმაც ხელში ჩაიგდო სან-ფრანცისკოს დაბლობის უძრავი ქონების უდიდესი ნაწილი.

ერთხანს ფრენკი მის სახლში ცხოვრობდა. ფრენკის აზრით, ძალიან უსინდისო ვინმე გახლდათ. ნამდვილი «უძრავი ქონების ბაზრის ზვიგენი», რომელსაც თითიც არ გაუტოკებია რემონტის გასაკეთებლად, მისი გაქირავებული ოთახები სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა, ქირა კი იზრდებოდა... ომურო ხელს ითბობდა ღარიბებზე, განსაკუთრებით უმუშევრებსა და სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულებზე, რომლებიც ორმოცდაათიანების დასაწყისში მრავლად იყვნენ. თუმცა, თავად იაპონელებმა, თავიანთი სავაჭრო მისიების წყალობით, ომუროს სპეკულაციისთვის თავი გააგდებინეს. შედეგი კი ის არის, რომ იაპონიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის დარღვევას ახლა ვეღარავინ ბედავს. რასაკვირველია, აღნიშნული ფაქტი საომარი მთავრობის შემცვლელი იაპონიის ადმინისტრაციის ოფიციალური პირების მოუსყიდველობაზე მეტყველებს.

სავაჭრო მისიების მოუდრეკელი პატიოსნების გახსენებაზე ფრინკს იმედი მიეცა. იქნებ უინსდემ-მატსონიც თავიდან მოიშორონ, როგორც აბეზარი ბუზი. მიუხედავად იმისა, რომ ის კორპორაციის მფლობელია. ყოველ შემთხვევაში, ამას იმედოვნებდა. «თითქოს უკვე მჯერა ამ ურთიერთხელსაყრელი წყნაროკეანური კავშირის სიმყარისა, – გაიფიქრა, – უცნაურია. ახლა წარსულს რომ ვიხსენებ, ყველაფერი უბრალო ლაყბობად ჩანდა. ჩვეულებრივ პროპაგანდად. მაგრამ ახლა...»

როგორც იქნა, საწოლიდან ადგა და ბარბაცით გაეშურა სააბაზანოსკენ. სანამ ბანაობდა და იპარსავდა, რადიო ჰქონდა ჩართული.

«ნუ დავამცრობთ ამ ძალისხმევას» – ამბობდა რადიო, დანარჩენი ცხელი წყლის ნაკადმა ჩაახშო.

«არა, რა დამცრობა», მხრები აიჩეჩა ფრინკმა. კარგად იცოდა, რა თემას ეხებოდა გადაცემა. თუმცა, როცა წარმოიდგენ, უემოციო და გაჯგიმული გერმანელები მარშით როგორ დააბიჯებენ მარსის წითელ ქვიშაზე, სადაც მანამდე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს... ლოყები გასაპარსად აიქაფა. ცხვირში გერმანულ სახუმარო სიმღერას დუდღუნებდა: Gott, Herr Kreisleiter. Ist dies vielleicht der Ort wo man das Konzentrationslager bilden kann? Das Wetter ist so schon. Heiss, aben doch schon...

[12]

რადიო აგრძელებდა: «ერთმანეთთან მოთანამშრომლე წარმატებულმა ცივილიზაციებმა უნდა შეისვენონ და მთელი ყურადღება მიაპყრონ იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს წონასწორობის დაცვა ურთიერთვალდებულებებს, ურთიერთპასუხისმგებლობასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული ხელსაყრელ გარემოებებს შორის».

«ტიპური ჟარგონი, რომელიც მაღალი იერარქიის წარმომადგენლების მეტყველებას ახასიათებს», გაიფიქრა ფრინკმა.

რადიო კი აგრძელებდა: «არ უნდა ვცდებოდეთ, როდესაც ვამბობთ, რომ სამომავლო არენას გვერდიგვერდ შრომით აითვისებენ კაცობრიობის წარმომადგენლები – სკანდინავიელები, იაპონელები, ნეგროიდები...»

და ასე შემდეგ.

ჩაცმისას თავისი სახუმარო სიმღერის დუდღუნს აგრძელებდა: «ამინდი არის schon, ისეთი schon. მაგრამ სუნთქვა შეუძლებელია».

თუმცა ფაქტებს ვერსად წაუხვალ – წყნარი ოკეანის წარმომადგენლები პლანეტების ათვისებას არ ჩქარობდნენ, ის კი არა, არც კი დაუწყიათ. სადღაც სამხრეთ ამერიკაში ჩარჩნენ. ამ დროს კი გერმანელები გიგანტურ ავტომატურ სისტემებს აგებდნენ, კოსმოსში უშვებდნენ, იაპონელები კი ბრაზილიის შიგა ტერიტორიაზე ჯუნგლებს წვავდნენ და ყოფილ სკალპებზე მონადირეებისთვის რვასართულიან ნათელბინიან სახლებს აშენებდნენ. იმ დროისთვის, როდესაც იაპონელები თავიანთი პირველი დანადგარის კოსმოსში გაშვებას მოიფიქრებენ, გერმანელებს მთელი მზის სისტემა ექნებათ დაპყრობილი. ერთხელ, როგორც ფრინკმა ისტორიის ძველ სახელმძღვანელოში ამოიკითხა, გერმანელებმა უკვე დაკარგეს ყოფილი კოლონიები და დანარჩენმა მსოფლიომ ისინი ცხვირწინ ააცალა მათ. ამჯერად მსგავსი შეცდომის გამეორებას აღარ აპირებდნენ; მათთვის ეს კარგი გაკვეთილი იყო.

მერე აფრიკა გაახსენდა. იქ, სადაც ნაცისტები ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ამის გაფიქრებაზე ძარღვებში სისხლი გაეყინა, თითქოს მცირე ხნით გულმა და სისხლმა მოძრაობა გადაიფიქრაო.

უზარმაზარი, ნანგრევებით წარმოქმნილი სიცარიელე.

რადიო აგრძელებდა: «...სიამაყით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ფუნდამენტური ფიზიკური მოთხოვნილებები ყველგან დაკმაყოფილებულია, მაგრამ რაც შეეხება მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებებს...»

ფრენკმა რადიო გამორთო. როცა დაწყნარდა, ისევ ჩართო.

«ქრისტეს კიდევ ერთხელ გაკვრა ჯვარზე. აფრიკა. ამოჟლეტილი ტომების აჩრდილები. ამოჟლეტილი რის გამო? ვინმემ თუ იცის? იქნებ იმ ბერლინელმა არქიტექტორებმა მაინც იცოდნენ. რაღაც ავტომატები, რაღაცას აშენებენ ქშენა-ქშენით. აშენებენ? უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, მიწასთან ასწორებენ. ვიღაც კაციჭამიები პალეონტოლოგიური გამოფენიდან, რომლებიც მტრების თავის ქალებს თასებად იყენებენ და მთელი ოჯახი ჯერ კიდევ თბილ თავის ტვინს მიირთმევს. მერე ადამიანის ფეხის ძვლების სარგებლიანად გამოყენებაზე ფიქრობენ. მარტო შენთვის არმოსაწონი ადამიანების ჭამა არ კმარა, უნდა შეჭამო ნედლი თავის ტვინიც. პირველი ინჟინრები! სტერილურ თეთრ ხალათში გამოწყობილი

პრეისტორიული ადამიანი ბერლინის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ცდებს ატარებს დანარჩენი ადამიანების თავის ტვინის, კანის, ყურების, ცხიმის გამოყენებით. Ja, Herr Doktor. ფეხის ცერის ძვლის გამოყენების ახალ

მეთოდს მივაგენით; ნახეთ, როგორი შესანიშნავი სანთებელა მზადდება მისგან. ახლა მთავარია, ჰერ კრუპი მის სერიულ წარმოებაზე დავითანხმოთ...»

საკუთარმა აზრებმა შეაძრწუნა. მსოფლიოს მართავენ ადამიანები, რომლებიც არაფრით განსხვავდებიან ძველი დროის კაციჭამიებისგან. «მილიონი წელი დაგვჭირდა, რომ მათგან თავი დაგვეღწია, – გაიფიქრა ფრინკმა, – და, აჰა, ისინი დაბრუნდნენ. მაგრამ არა როგორც მოწინააღმდეგეები... არამედ როგორც ყველაფრის ბატონ-პატრონები».

«შეიძლება დავგმოთ...» აგრძელებდა რადიო ჩია ყვითელკანიანი ტოკიოელის ხმით.

«ღმერთო, – გაიფიქრა ფრინკმა, – ჩვენ კი მათ მაიმუნებს ვეძახდით, ამ მოთვინიერებულ დაგრეხილფეხებიან კიბოსნაირებს, რომლებსაც არასოდეს მონდომებიათ გაზის კამერების აშენება, რადგან ცოლების გულის მოსალბობად ლუქით დაბეჭდილი წერილებიც ყოფნიდათ».

«...და ვგმობთ წარსულში ადამიანური არსებების ასეთი დიდი მასშტაბებით განადგურებას, რაც გამოწვეული გახლდათ ადამიანთა ნაწილს ფანატიკური მისწრაფებით, თავი საზოგადოების გარეთ მოეაზრებინა...» – ამ იაპონელებს ასეა თუ ისე, კანონები გაეგებათ, – «... ერთი დასავლელი წმინდანის სიტყვებს მოვიშველიებთ: «რა სარგებელი ექნება ადამიანს მთელი მსოფლიოს დაპყრობით, თუ ამის გამო საკუთარ სულს დაკარგავს?»

რადიო დადუმდა. ფრინკიც, რომელიც ჰალსტუხს იკრავდა, გაირინდა. ეტყობა, ტვინების გამორეცხვის მორიგი საათი დასრულდა.

«უნდა მოველაპარაკო, – გაუელვა თავში, – არ აქვს მნიშვნელობა, გამაგდეს თუ არა; იაპონელების მიერ კონტროლირებადი ზონის დატოვება ჩემთვის სიკვდილის ტოლფასია, ვერც სამხრეთში წავალ და ვერც ევროპაში – სხვაგან ყველგან რაიხია. ბებერ უინდემ-მატსონს უნდა მოვურიგდე».

საწოლზე ჩამომჯდარმა გვერდით თითქმის გაციებული ჩაის ჭიქა მოიდგა. ფრინკმა «გარდაქმნათა წიგნის»

[13]

თავისი ეგზემპლარი მოძებნა. ტყავის ფუტლარიდან ორმოცდაცხრა ცალი ფარსმანდუკის ღერო

[14]

ამოიღო. ერთხანს, სანამ აზრებს კალაპოტში მოაქცევდა და კითხვის სათანადოდ

ჩამოყალიბებას შეძლებდა, ყოყმანობდა.

მერე წარმოთქვა:

– როგორ მოვიქცე უინდემ-მატსონთან, რომ შერიგება შევძლო?

შეკითხვა ფირფიტაზე დაწერა და მერე ღეროები კონიდან კონაში გადაჰქონდა მანამდე, სანამ პირველი, საწყისი ხაზი მიიღო. რვა. სამოცდაოთხი ჰექსაგრამიდან

[15]

ნახევარი უკვე უგულებელყოფილია. ღეროები დაყო და მეორე ხაზი მიიღო. სულ მალე, ამ საქმეში გაწაფულს, ექვსივე ხაზი მზად ჰქონდა; მის წინ ჰექსაგრამა მოჩანდა და არც კი სჭირდებოდა, გადასამოწმებლად ჩაეხედა. მეთხუთმეტე ჰექსაგრამას შესანიშნავად იცნობდა. ც'იან

[16]

. თავმდაბლობა. ოჰ. მდაბალნი აღზევდებიან, ძლიერნი დამდაბლდებიან; არც კომენტარის წაკითხვა სჭირდებოდა – ისინი უკვე ზეპირად ისწავლა. კარგი ნიშანია. წინასწარმეტყველმა სასარგებლო რჩევა მისცა.

მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა. მეთხუთმეტე ჰექსაგრამაში ყველაფერი რიგზე არ იყო. ხაზგასმულად, პირფერულად მოწესრიგებული მოეჩვენა. რასაკვირველია, თავმდაბალი უნდა იყოს. შესაძლოა, ეს აზრი თავად მასში მომწიფდა. ასეა თუ ისე, ბებერ უინდემ-მატსონზე ზემოქმედების საშუალება არ გააჩნდა. მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა. მხოლოდ ის შეეძლო, მეთხუთმეტე ჰექსაგრამის მითითებას დამორჩილებოდა; ეს სწორედ ისეთ მდგომარეობას ჰგავდა, როდესაც უნდა ევედრო, იმედი იქონიო, გწამდეს. თავის დროზე ზეცა დაუფასებს, იქნებ ძველ სამუშაოზე დააბრუნოს ან ვინ იცის, კიდევ უკეთესი რამ გაიმეტოს მისთვის.

დამატებითი ხაზები ფიგურას არ ჰქონდა, არც ცხრიანები

[17]

, არც ექვსიანები

[18]

; სრულიად სტატიკური ჰექსაგრამა გახლდათ. ამიტომ ჩაფიქრდა. სარკისებურ ჰექსაგრამას ვერ მიიღებდა.

მაშინ ახალი შეკითხვა. ხმამაღლა თქვა:

– ჯულიანას კიდევ ვნახავ?

ასე ერქვა მის ცოლს. უფრო სწორად, ყოფილ ცოლს. ჯულიანა ერთი წლის წინ გაეყარა და უკვე თვეებია, აღარ უნახავს; ისიც კი არ იცოდა, ახლა სად ცხოვრობდა. ალბათ სან-ფრანცისკოდან საერთოდ წავიდა. შესაძლოა წყნარი ოკეანის შტატებიდანაც კი. მისი ასავალ-დასავალი არც საერთო ნაცნობებმა იცოდნენ.

ფარსმანდუკის ღეროები ხელიდან ხელში გადაჰქონდა, საკუთარ თითებს მიშტერებოდა. უკვე რამდენჯერ დასვა ესა თუ ის შეკითხვა ჯულიანას შესახებ? იღებდა ჰექსაგრამას, მცენარის გამშრალი ღეროებისგან. შემთხვევით ფიგურას, რომელიც იმავდროულად რაღაც მანქანებით უკავშირდებოდა შეკითხვის დასმის მომენტს და მასში თავმოყრილი იყო ყველაფერი – მისი ცხოვრება, მისი ცოლის

ცხოვრება, დანარჩენების ცხოვრება და სამყაროს უნამცეცესი ნაწილაკებისაც კი. მდგომარეობის ამსახველი ჰექსაგრამა, რომელიც წყვეტილი ან უწყვეტი ხაზებისგან შედგება. ის, ჯულიანა, გოუგ-სტრიტის ქარხანა, მმართველობის სათავეში მოსული სავაჭრო მისიები, პლანეტების ათვისება, ნაცრის მილიარდობით გორა აფრიკაში, სადაც ადამიანების სხეულებიც აღარ დარჩა მიწისთვის მისაბარებლად, სან-ფრანცისკოს ჯურღმულების ქოხმახთა ლაბირინთის ათასობით მცხოვრების სურვილები, ბერლინელი ბოროტმოქმედები აუღელვებელი სახეებითა და თავიანთი მანიაკალური გეგმებით – ამ მომენტში ეს ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირდა, რათა ფარსმანდუკის ღეროებს ბრძნული პასუხი გაეცათ იმ წიგნის შესაბამისად, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში შექმნეს ჩინელმა სწავლულებმა, ხუთი ათასი წლის განმავლობაში დახვეწეს და ფორმა მისცეს სრულყოფილ კოსმოლოგიას – და მეცნიერებას – ხოლო ყველაფერი ფურცელზე გადაიტანეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ევროპაში სვეტის გამოყენებით გაყოფას ისწავლიდნენ.

ჰექსაგრამა. გული შეუქანდა. ორმოცდაოთხი. გოუ. პაემანზე მოსვლა. გონივრული განაჩენი. «ქალს ძალაუფლება აქვს. არ არის საჭირო ქალის ცოლად შერთვა». ისევ ის პასუხი, რომელსაც ყოველთვის იღებს ჯულიანაზე შეკითხვის დასმისას.

– რა უბედურებაა!

[19]

– წამოიძახა და საწოლზე გადაწვა. ცუდად მომექცა, ეს ისედაც ვიცოდი. მაგრამ მე შეკითხვით სხვა რამ მაინტერესებდა. რატომ მოხდა ასე? მასთან შეხვედრა და მისი შეყვარება – ახლაც მისი სიყვარული – მეტისმეტად მძიმე ხვედრი აღმოჩნდა ჩემთვის.

ჯულიანა ყველაზე ლამაზი ქალი იყო და იგი ფრენკმა ცოლად შეირთო. შავი წარბები და თმა მის ესპანურ სისხლზე მოწმობდა. იგივე კვალი ჩანდა მის კანის ფერსა და ტუჩებშიც კი; მის შემპარავ, უხმაურო სიარულის მანერაში. სკოლის წლებიდან მოყოლებული, მხოლოდ სანდლები ეცვა. მთელი მისი სამოსი რაღაცნაირი ძველი და რეცხვისგან გაქექილი იყო. ერთიცა და მეორეც ცხოვრებამ ისე გატეხა, რომ ქალს მუდამ ერთი და იგივე სვიტრი, ელვაშესაკრავიანი ძველი ქურთუკი, ყავისფერი ტვიდის ქვადაკაბა და კოჭებამდე წინდები

ეცვა, სძულდა საკუთარი სამოსი, მისი სიტყვებით, ჩოგბურთის მოთამაშე ქალს ჰგავდა, ან, კიდევ უარესი, ტყეში სოკოს საკრეფად წასულს.

მაგრამ ყველაფერზე მეტად პირველივე შეხვედრიდან ქალის უცნაურმა ქცევამ გააოცა; გაუგებარია რატომ, მაგრამ ჯულიანა ყველა გამვლელს ავის მომასწავებელი, უხერხული, მონა ლიზას მსგავსი იდუმალი ღიმილით აჯილდოებდა და ისინი ადგილზე შეშდებოდნენ. არ იცოდნენ, საჭირო იყო თუ არა საპასუხო ღიმილის შეგებება. მაგრამ ქალი ისეთი მიმზიდველი გახლდათ, უფრო ხშირად უცნობები ესალმებოდნენ, ჯულიანა კი გზას აგრძელებდა. თავდაპირველად ფრენკი ფიქრობდა, რომ აღნიშნული ქცევის მიზეზი ქალის ახლომხედველობა იყო, მაგრამ მერე დაასკვნა, რომ მიზეზი ალბათ ქალის არსებაში ღრმად ჩამალული სისულელე უნდა ყოფილიყო. მართალია, გამვლელებისადმი ცოტა არ იყოს, თამამი მისალმების ეს ხერხი თავს აბეზრებდა, მაგრამ მერე კი ჩათვალა, რომ უცნობებისადმი მიმართულ ქალის ღიმილში რაღაც მამხილებლის მსგავსი, მდუმარე, «აი-თქვენ-შორის-აღმოვჩნდი»-ს მსგავსი

იმალებოდა. მაგრამ მათი ურთიერთობის დასასრულს, დაუსრულებელი კამათისა და ჩხუბის შემდეგაც კი, არ ტოვებდა შეგრძნება, რომ ქალი მის ცხოვრებაში ღმერთის წყალობით შემოიჭრა, მისთვის უცნობი მიზეზით. და სწორედ ამიტომ, ქალისადმი ლამის რელიგიური მოწიწებისა და რწმენის გამო, დღემდე ვერ მოენელებინა დანაკარგი.

თითქოს სადღაც გვერდით იყო სწორედ ამ წუთას... თითქოს ძველებურად ერთად იყვნენ. ეს სულისკვეთება, მისი ცხოვრების ასეთი უცნაური მოვლენა, აიძულებდა ლამის ოთახებში დაეწყო ჯულიანას ძებნა. სწორედ ამან აიძულა მისნობისთვის მოეკიდა ხელი.

საწოლზე იჯდა, მარტოხელის ბინისთვის დამახასიათებელ არეულობაში. გარეთ გასასვლელად და ახალი დღის დასაწყებად ემზადებოდა, როდესაც ფრენკ ფრინკმა გაიფიქრა: ქალაქ სან-ფრანცისკოში კიდევ თუ იყო ვინმე, ვინც დღეს დილით რჩევა მისანს ჰკითხა? და რა პასუხი მიიღო? ნუთუ ისეთივე არადამაკმაყოფილებელი, როგორიც მან?

2

მისტერ ნობუსუკე ტაგომიმ ამ დილით, როდესაც მისტერ ჩილდენთან ჰქონდა დაგეგმილი შეხვედრა, გადაწყვიტა, რჩევა მიეღო კონფუციანური სიბრძნის მეხუთე, ტაოისტური სამისნო წიგნიდან, რომელსაც უკვე საუკუნეებია «ი ძინის» ანუ «გარდაქმნათა წიგნის» სახელით მოიხსენიებენ. შეხვედრა ორი საათის შემდეგ შედგებოდა.

ოფისი «ნიპონ ტაიმსის» შენობის მეთორმეტე სართულზე მდებარეობდა და ფანჯრიდან მთელი სანაპიროს ხედი მოჩანდა. ოქროს ჭიშკრად წოდებული ხიდის ქვეშ გავლილი გემების გარჩევაც კარგად შეიძლებოდა. ახლა მაგალითად, ალკატრასის სიახლოვეს სატვირთო გემი იყო, თუმცა ეს მისტერ ტაგომის სრულებით არ აინტერესებდა. ფანჯარასთან მისულმა ნასკვი გაშალა და ბამბუკის ჟალუზები ჩამოუშვა. დიდ ცენტრალურ ოფისში ბინდი ჩამოწვა; თვალების მოჭუტვა კაშკაშა სინათლისგან თავის დასაცავად აღარ სჭირდებოდა. გონებაც

უფრო სხარტად ამუშავდა.

კლიენტის გულის მოგების საშუალება არ არსებობდა – ასე გადაწყვიტა. მნიშვნელობა არ აქვს, რა წინადადებით მოვა მისტერ ჩილდენი: კლიენტზე ეს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ამ ფაქტს თვალი უნდა გავუსწოროთ. ის მაინც შეიძლება მოვახერხოთ, რომ კლიენტს ძალიან არ გაუცრუვდეს იმედი.

სულელური საჩუქრით არ უნდა გავაბრაზოთ.

კლიენტი სან-ფრანცისკოს აეროპორტში სულ მალე დაეშვებოდა ახალი გერმანული ხომალდით, Messerschmitt 9-E. მისტერ ტაგომის არასოდეს უფრენია ამ ხომალდით; როდესაც მისტერ ბეინსს ტრაპთან დახვდება, ეს არ უნდა შეეტყოს იმის მიუხედავად, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე საფრენი აპარატი. ახლა კი ცოტა გავარჯიშებაა საჭირო. ოფისის კედელზე ჩამოკიდებულ სარკესთან მივიდა და შეეცადა, აუღელვებელი და ცოტათი მოწყენილი სახე მიეღო. საკუთარ გამოსახულებას დაჟინებით აკვირდებოდა. დიახ, ძალიან ხმაურია, მისტერ ბეინს, სერ. წაკითხვა შეუძლებელია. მაგრამ, სამაგიეროდ, სტოკჰოლმიდან სან-ფრანცისკოში ორმოცდახუთ წუთში ჩახვალ. იქნებ გერმანული საინჟინრო ნაკეთობების წუნის შესახებ ერთი-ორი სიტყვაც ჩაურთოს? ალბათ რადიოს მოუსმინეთ. ეს კატასტოფა მადაგასკარის თავზე... თუმცა, სიმართლე ითქვას, დიდად არც ძველი დგუშიანი თვითმფრინავები ვარგოდა.

მთავარია, საუბარი პოლიტიკას არ შეეხოს. თუნდაც იმიტომ, რომ მისტერ ბეინსის დამოკიდებულება დღევანდელი ვითარებისადმი არ იცოდა. მაგრამ თუ მაინც მოუწევთ პოლიტიკაზე სიტყვის ჩამოგდება, მისტერ ბეინსი შვედია და წესით, ნეიტრალური უნდა ბრძანდებოდეს. თუმცა, რასაკვირველია, მან უპისატესობა «ლუფტჰანზას» მიანიჭა და არა SAS

[20]

-ს. კიდევ ერთი ფრთხილი ფანდი... მისტერ ბეინს, სერ, ხმები დადის ჰერ ბორმანის ავადმყოფობის შესახებ. თითქოს შემოდგომაზე, პარტიის ყრილობაზე ახალ რაიხსკანცლერს აირჩევენ. მხოლოდ ჭორია? წყნარი ოკეანის შტატებსა და რაიხს შორის ურთიერთობაში ჯერ კიდევ იმდენი საიდუმლოა.

მაგიდაზე «ნიუ-იორკ ტაიმსიდან» ამოღებული მისტერ ბეინსის ახლახან გამოქვეყნებული სტატია იდო. მისტერ ტაგომი მაგიდაზე დაიხარა – ასე უწევდა ცუდად შერჩეული კონტაქტური ლინზების გამო – და კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაავლო თვალი მასალას. თემა კიდევ ერთხელ (იქნებ ოცხმოცდამეთვრამეტედ?) ეხებოდა მთვარეზე წყლის რესურსების ძიების აუცილებლობას. «ეს გულისმომკვლელი დილემა კიდევ ვერ გადაგვიჭრია, – წერდა მისტერ ბეინსი, – ჩვენი უახლოესი მეზობელი იმავდროულად ისეთი შორეული და გამოუსადეგარია ჩვენთვის, თუ რა თქმა უნდა მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო მიზნებს». Sic! – ამ ლათინურმა გამონათქვამმა გაუელვა თავში მისტერ ტაგომის. ეს ის გასაღებია, რომლითაც უნდა მიუდგეს მისტერ ბეინსს. არაფერი შეეკითხო საომარი

მიზნების შესახებ – მისტერ ტაგომიმ ეს გონებაში მოინიშნა.

ინტერკომის ღილაკს ხელი დააჭირა და თქვა:

– მის ეიფრიკიან, თუ შეიძლება დიქტოფონით შემობრძანდით.

კაბინეტის კარი გასრიალდა და ზღურბლზე მის ეიფრიკიანი გამოჩნდა, რომლის ვარცხნილობას დღეს თმაში ჩაწნული ცისფერი ყვავილები ამშვენებდა.

– ძალიან ბევრი იისფერია, – შენიშნა მისტერ ტაგომიმ. ოდესღაც შინ, ჰოკაიდოში, პროფესიონალი მეყვავილე გახლდათ.

მის ეიფრიკიანმა, ტანმაღალმა, მუქთმიანმა სომეხმა გოგონამ, თავი დაუკრა.

– მზად ხართ ჩასაწერად? – შეეკითხა მისტერ ტაგომი.

– დიახ, მისტერ ტაგომი, – მის ეიფრიკიანი დაჯდა, ელემენტებზე მომუშავე დიქტოფონი წინ დაიდო და ჩართო.

მისტერ ტაგომიმ დაიწყო:

– დღეს რჩევა სამისნო წიგნს ვკითხე, მისტერ ჩილდენთან, სიძველეებით მოვაჭრესთან ჩემი შეხვედრა რამდენად ნაყოფიერი იქნებოდა და, ჩემდა სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ავბედითი ჰექსაგრამა ამოვიდა – დიადის უპირატესობა. ასეა განმარტებული კომენტარში. ცენტრში სიმძიმე მეტისმეტია, წონასწორობა დარღვეულია. დაოსგან აშკარად უსიამოვნო პასუხია.

დიქტოფონის კასეტა ტრიალებდა.

მისტერ ტაგომი დადუმდა და ჩაფიქრდა.

მის ეიფრიკიანი ყურადღებით აკვირდებოდა. შემდეგ დიქტოფონი გამორთო.

– თუ შეიძლება, მისტერ რეიმსის დაუძახეთ, – თქვა ბოლოს მისტერ ტაგომიმ.

– დიახ, მისტერ ტაგომი, – მის ეიფრიკიანმა დიქტოფონი მაგიდაზე დატოვა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის კაკუნით კარისკენ გაემართა.

მისტერ რეიმსი ანგარიშებითა და ინვოისებით სავსე დიდი საქაღალდით ხელში მცირე ხნის შემდეგ კაბინეტში გამოჩნდა. ახალგაზრდა იყო, იღიმებოდა, შუა დასავლეთის დაბლობებისთვის დამახასიათებელი დახვეწილი ზოლიანი ჰალსტუხი ეკეთა, მოტკეცილი ლურჯი უქამრო ჯინსი და უჯრულა პერანგი ეცვა. ჩაცმულობა თანამედროვე მოდას სავსებით შეესატყვისებოდა.

– რა დღეა, მისტერ ტაგომი, – თქვა მან, – ნამდვილად მშვენიერი დღეა, სერ.

მისტერ ტაგომიმ ძუნწად დაუქნია თავი.

მისტერ რეიმსიმ ღიმილი მოსხიპა და მანაც თავი დააქნია.

– დღეს სამისნო წიგნს დავეკითხე რჩევა, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ მას შემდეგ, რაც მის ეიფრიკიანმა ისევ ჩართო დიქტოფონი, – როგორც იცით, მისტერ ბეინსი, რომლის ჩამოსვლასაც ველოდებით, ერთგვარად სკანდინავიური იდეოლოგიის მომხრეა და არა ეგრეთ წოდებული აღმოსავლური კულტურის თაყვანისმცემელი. რასაკვირველია, შემეძლო მისი ცნობისმოყვარეობა აღმეძრა და ჩინური კალიგრაფიის ავთენტური ნიმუში შემეთავაზებინა ან ტოკუგავას პერიოდის კერამიკა... მაგრამ ვინმესთვის რაიმეს თავს მოხვევა ჩვენი საქმე არ არის.

– გეთანხმებით, – თქვა მისტერ რეიმსიმ; მისი, თეთრკანიანთა რასის წარმომადგენლის სახე უკიდურესად დაძაბულ კონცენტრაციას გამოხატავდა.

– ამიტომ, შეხვედრისას მისთვის გადასაცემი საჩუქარი ამერიკული ხელოვნების ნიმუში უნდა იყოს.

– დიახ.

– თქვენ, სერ, ამერიკელი წინაპრები გყავთ. თუმცა, თქვენი ღია ფერის კანი, როგორც ჩანს, უხერხულობას გიქმნით, – დაჟინებით მიაშტერდა მისტერ რეიმსის.

– ეს რუჯია, კვარცის ნათურით მიღებული, – წაიბუტბუტა მისტერ რეიმსიმ, – უფრო მეტი D ვიტამინის მისაღებად, – მაგრამ სახეზე აშკარად ეტყობოდა დამცირება, – გარწმუნებთ, რომ ჩემს ფესვებს ვინარჩუნებ, – მისტერ რეიმსი გაჭირვებით ლაპარაკობდა და სიტყვებს ეძებდა, – არ გამიწყვეტია კავშირი ჩემს ეთნიკურ ფესვებთან.

მისტერ ტაგომიმ მის ეიფრიკიანს მიმართა:

– გავაგრძელოთ, თუ შეიძლება, – ქალმა გამორთული დიქტოფონი ისევ ჩართო, – მაშასადამე, მისანს რჩევა ვკითხე და მივიღე ჰექსაგრამა და გო, ოცდამერვე, და მეტიც, მეხუთე ადგილზე ძალზე არასასურველი ცხრიანი ამოვიდა. ეს შემდეგს ნიშნავს:

დამჭკნარმა ვერხვმა ყვავილი გამოიღო.

მოხუცი ქალბატონი გათხოვდება.

არავინ გაამტყუნებს. არავინ შეაქებს.

– ეს ნათლად მიანიშნებს, რომ ორი საათის შემდეგ მისტერ ჩილდენი ღირებულს არაფერს შემოგვთავაზებს, – მისტერ ტაგომი შეყოვნდა, – უმჯობესია, საკუთარ თავთან გულახდილები ვიყოთ. ვერ დავეყრდნობი საკუთარ მოსაზრებას ამერიკული ხელოვნების ნიმუშების თაობაზე. ამიტომ... – ენა დაება, საჭირო სიტყვას არჩევდა, – ამიტომ მოგიწვიეთ, მისტერ რეიმსი, რამდენადაც თქვენ აბორიგენი ბრძანდებით. თქვენი დახმარებით საუკეთესო

გამოსავალს მოვნახავთ.

მისტერ რეიმსის არაფერი უთქვამს. ძალისხმევის მიუხედავად, მის სახეზე წყენა, ბრაზი, უხმო სასოწარკვეთა და უმწეობა იკითხებოდა.

– ახლა კი, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ, – კიდევ ერთი რჩევის შესახებ. მისტერ რეიმსი, სიფრთხილის გამო, ჩემს შეკითხვას არ გაგიმხელთ, – მისი ტონი მხოლოდ შემდეგს ნიშნავდა: თქვენ და დანარჩენ პინოკიოებს არაფერი გესაქმებათ იმ მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მხოლოდ თქვენი უფროსის კომპეტენციაა, – საკმარისია მხოლოდ მიღებული პასუხის გამხელა. ის უკიდურესად თავისებური გახლავთ. დიდი ხანი ვფიქრობდი, რომ მნიშვნელობას ჩავწვდომოდი.

ორივენი, მისტერ რეიმსიცა და მის ეიფრიკიანიც, ყურადღებით უსმენდნენ.

– შეკითხვა მისტერ ბეინსს შეეხებოდა, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

ორივემ თავი დაუქნია.

– მისტერ ბეინსის შესახებ დასმულ შეკითხვაზე მიღებული დაოს

[21]

პასუხი იყო ჰექსაგრამა «შენი», ორმოცდამეოთხე. კარგი შეფასებაა. პირველ ადგილზე ექვსიანია და მეორეზე ცხრიანი.

მისი შეკითხვა ასეთი გახლდათ: წარმატებული იქნება თუ არა ჩემი მოლაპარაკება მისტერ ბეინსთან? და ცხრიანმა მეორე ადგილზე დაარწმუნა, რომ მიზანს მიაღწევდა. კომენტარში ეწერა:

იყავი გულწრფელი,

და მაშინ მცირედი ძღვენიც კი ხელის შემწყობი იქნება.

არავინ გაგკიცხავს.

ასე რომ, როგორც ჩანს, მისტერ ბეინსს დააკმაყოფილებდა მისტერ ტაგომის მეთვალყურეობით სავაჭრო მისიის მიერ მისთვის შერჩეული ნებისმიერი საჩუქარი. მაგრამ მისტერ ტაგომის აღნიშნულ შეკითხვას, როგორც აღმოჩნდა, სხვა, სირღმისეული შინაარსიც ჰქონდა, რომელიც მან მხოლოდ მოგვიანებით გაიაზრა. სამისნო წიგნი კი ამასაც მიხვდა; მარტივ შეკითხვაზე ისეთი პასუხი მისცა, რომელიც იმავდროულად, დაფარულსაც შეესატყვისებოდა.

– როგორც ვიცით, – განაგრძობდა მისტერ ტაგომი, – მისტერ ბეინსს თან მოაქვს მასალა, რომელიც შვედეთში მაღალი წნევის პირობებში ჩამოსხმის ახალ ტექნოლოგიას ეხება. თუ მის ფირმასთან მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და შეთანხმებას ხელი მოვაწერეთ,

სამუდამოდ დასრულდება მუდმივად არასაკმარისი ლითონის ძიება და ყველაფერს პლასტმასა შეცვლის.

უკვე წლებია, წყნარი ოკეანის შტატების რაიხისგან ცდილობდა სინთეტიკური მასალების წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგია მიეღო; მაგრამ გიგანტურმა გერმანულმა ქიმიურმა კარტელებმა, როგორიც იყო მაგალითად, ი. გ. ფარბენი, მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა; გერმანელები პლასტიკური მასალების წარმოების მსოფლიო მონოპოლისტები გახდნენ, განსაკუთრებით კი ეს პოლისტერებს ეხებოდა. სწორედ ამიტომ, რაიხის ვაჭრობის დონე ბევრად სჭარბობდა წყნარი ოკეანის შტატებისას, ხოლო ტექნოლოგიური თვალსაზრისით, სულ ცოტა, ათი წლით უსწრებდა. ევროპაში, ფესტუნის კოსმოსდრომიდან გაშვებული კოსმოსური ხომალდები უაღრესად გამძლე პლასტიკური მასალებისგან იყო დამზადებული, ამასთანავე მსუბუქი, მაგრამ ისეთი მაგარი, რომ მეტეორიტების დარტყმასაც უძლებდა. წყნარი ოკეანის შტატებში კი მსგავსს არაფერს იცნობდნენ; ისინი ხეტყესაც კი იყენებდნენ ნედლეულად, და რასაკვირველია, საყოველთაოდ გავრცელებულ მეტალოკერამიკას. მისტერ ტაგომის ეს ყველაფერი გაახსენდა და შეიჭმუხნა. გამოფენაზე ნანახი ჰქონდა გერმანელების უახლესი გამოგონებები, მათ შორის იყო მთლიანად სინთეტიკური მასალისგან დამზადებული ავტომობილი, D. S. S. – Der Schnelle Spuk

[22]

– რომელიც წყნარი ოკეანეების შტატების ვალუტით ექვსასი დოლარი ღირდა.

მაგრამ დაფარული შეკითხვის აზრი, რომლის გამხელას სავაჭრო მისიის ფრთებქვეშ შეყუჟული პინოკიოებისთვის სრულებით არ აპირებდა, მისტერ ბეინსის საქმიანობის სრულიად სხვა ასპექტს შეეხებოდა და მისი არსი ტოკიოდან მიღებული დაშიფრული დეპეშით გახდა გასაგები. ჯერ ერთი, კოდირებული დეპეშები ხშირად არ მოდიოდა და ისინი, როგორც წესი, უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა და არა სავაჭრო გარიგებებს. გარდა ამისა, თავად კოდი მეტაფორებისგან შედგებოდა, თითქმის პოეტურ ალუზიებს წარმოადგენდა და მათში გარკვევა რაიხის მოხელეებისთვის არც ისეთი მარტივი იქნებოდა. ჩვეულებრივ შიფრს ისინი იოლად უმკლავდებოდნენ და ადვილად კითხულობდნენ. რასაკვირველია, დაშიფრულ დეპეშაში სწორედ რაიხი იყო ნაგულისხმევი და არა რომელიმე დაპირისპირებული დაჯგუფებები მშობლიური კუნძულებიდან. წინადადება-გასაღები – «მოხდილ რძეს სვამს», უკავშირდებოდა «პინაფორ»-ს, სულელურ სიმღერას, რომლის დანარჩენი სიტყვები ააშკარავებდა საიდუმლო შეტყობინების მთელ შინაარსს. «ხშირად პირველი შთაბეჭდილება მატყუარაა – მოხდილი რძე ზოგჯერ ნაღებს ჰგავს». ხოლო «ი ძინმა», რომელსაც მისტერ ტაგომიმ მიმართა, მხოლოდ დაადასტურა მისი ეჭვი. აი, რა ეწერა კომენტარში:

ძალაუფლების მქონე ადამიანია ნაგულისხმევი. მართალია, გარშემომყოფებს ცუდად ეწყობა, რადგან მეტისმეტად უხეშია და დიდად არც საკუთარი ქცევა ადარდებს; მაგრამ, რაკი ხასიათით პირდაპირია, საპასუხო ქმედებასაც არ ერიდება...

სხვა სიტყვებით, მისტერ ბეინსი სინამდვილეში ის არ გახლდათ, რადაც თავს აჩვენებდა;

სან-ფრანცისკოში მისი ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი ჩამოსხმის მეთოდებისგან შორს იდგა. მოკლედ, მისტერ ბეინსი ჯაშუში იყო.

მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, მისტერ ტაგომის წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისთვის მუშაობდა მისტერ ბეინსი და რატომ.

ორს ოცი წუთი აკლდა, როდესაც რობერტ ჩილდენმა მეტად უხალისოდ დაკეტა «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» მაღაზიის კარი. მძიმე ჩანთები ტრუტუარის კიდესთან მიათრია, რიქშას დაუძახა და ჩინკის

უბრძანა, «ნიპონ ტაიმსის» შენობისკენ წაეყვანა.

გაძვალტყავებული ჩინკი ქშენითა და ხვნეშით დაეჭიდა ბარგს, მერე მისტერ ჩილდენს დაეხმარა ხალიჩით დაფარულ სავარძელზე მოკალათებაში, მრიცხველი ჩართო, თავის ადგილზე დაჯდა და მანქანებსა და ავტობუსებს შორის სატერფულების ტრიალით გაუყვა მონტგომერი-სტრიტს.

მთელი დილა მისტერ ტაგომისთვის შესათავაზებელი ნივთის მოძიებაში დაიხარჯა და ახლა ჩილდენი ჯერ ისევ გულისწყრომითა და მოუსვენრობით ათვალიერებდა შენობებს. და მაინც, ტრიუმფი ელოდა. ყველაფერი დანარჩენისგან განცალკევებული, განსაკუთრებული უნარის წყალობით სწორედ ის მოიძია, რაც საჭირო იყო და მისი აზრით, მისტერ ტაგომის გულს მოულბობდა, ხოლო მისი კლიენტი სიხარულით ცას ეწეოდა. «უკმაყოფილო არასოდეს არავინ დამიტოვებია, – გაიფიქრა ჩილდენმა, – არც ერთი ჩემი კლიენტი».

რაც უნდა გასაოცარი იყოს, მოახერხა და «Tip Top Comics»

-ის პირველი ტომის ორიგინალი აღმოაჩინა. ოცდაათიან წლებში გამომავალი, ნამდვილი ამერიკული სულის ამსახველი ყველაზე გემრიელი ლუკმა, ერთ-ერთი პირველი კომიქსი, რომელსაც დაუღალავად ეძებენ კოლექციონერები. მაგრამ, რასაკვირველია, თავდაპირველად საჩვენებლად სხვა ნივთები ჰქონდა შემონახული. თანდათან უნდა მიეყვანა კომიქსამდე, რომელიც ყველაზე დიდი ჩანთის ძირში, სპეციალურ ტყავის ჯიბეში იყო სათუთად შენახული.

რიქშას რადიომიმღები პოპულარულ სიმღერებს გადმოსცემდა და სხვა მანქანების, კებებისა და ავტობუსების რადიოებს ეჯიბრებოდა. მაგრამ ჩილდენს არაფერი ესმოდა; ხმაურს შეჩვეული იყო. არც ნეონის რეკლამებს აქცევდა ყურადღებას, მუდმივად რომ ციმციმებდნენ შენობების ფასადებზე. მისი მაღაზიის ნეონის რეკლამაც სხვებისაზე არანაკლებ ანათებდა ღამით. სხვა რა გზა არსებობს რეკლამისთვის? რეალისტი უნდა იყო.

რადიომიმღებების, მანქანების, რეკლამების, ქვეითების ხმაურმა მასზე დამამშვიდებლად

იმოქმედა. მოეშვა და დაწყნარდა. მოსწონდა, რომ სხვას მიჰყავდა, გრძნობდა კუნთების რიტმულ ვიბრაციას; თითქოს სარელაქსაციო დანადგარიაო, გაიფიქრა ჩილდენმა. რასაკვირველია, კარგია, როცა სხვა მიყავხარ და არა შენ მიგყავს. როდესაც, თუნდაც დროებით, თავს სხვაზე აღმატებულად გრძნობ.

მაგრამ მაშინვე შეუძახა თავს. არ არის საჭირო პატივმოყვარე ფიქრები, ამის დრო ახლა არ აქვს. «ნიპონ ტაიმსის» შენობისთვის სათანადოდ აცვია? ალბათ სწრაფი ლიფტით მოუწევს ასვლა და ცუდად გახდება. თუმცა თან აქვს გერმანული წამალი საზღვაო ავადმყოფობის წინააღმდეგ. ეტიკეტს რაც შეეხება... ყველაფერი კარგად იცოდა. ვის უნდა მოექცეს თავაზიანად, ვის – უფრო უხეშად.

შვეიცარი, ლიფტიორი, მდივანი, კურიერი და სხვა მომსახურე პერსონალი ნაკლები ყურადღების ღირსია. იაპონელებს, რასაკვირველია, როგორც აქამდე არაერთხელ მოქცეულა, თავი უნდა დაუკრას. მაგრამ პინოკიოები... გაურკვეველია. ალბათ, უმჯობესია სწრაფად ჩაუაროს მათ და მხოლოდ წინ იყუროს, თითქოს ისინი არც არსებობენ. ეს იქნება ყველაზე საუკეთესო გამოსავალი, ასე არ არის? და სტუმარს რაც შეეხება? სავაჭრო მისიებში გერმანელები ხშირად ირევიან, ასევე ნეიტრალურები.

და კიდევ, არსებობენ მონები.

სან-ფრანცისკოს ნავსადგურში ხშირად შემოდიან და დგანან გერმანიიდან და ამერიკის სამხრეთიდან მოსული გემები. მაგრამ გემების დატოვება შავკანიანებს მხოლოდ მცირე ხნით შეუძლიათ. სამკაციან ჯგუფებად. ქალაქში ღამით დარჩენა ეკრძალებათ. წყნარი ოკეანის შტატების კანონმდებლობის თანახმადაც კი შავკანიანებისთვის კომენდანტის საათი მოქმედებს. არიან კიდევ შავკანიანები, რომლებიც ნავსადგურში მუშაობენ და იქვე ცხოვრობენ, თითქმის წყლის თავზე განლაგებულ ქოხებში. რასაკვირველია, სავაჭრო მისიის შენობაში არც ერთი მონა არ იქნება, მაგრამ მისტერ ტაგომის ოფისში ბარგი თავად უნდა შეიტანოს? რასაკვირველია, არა. აუცილებლად უნდა მოძებნოს მონა, თუნდაც ამისთვის ერთი საათი დახარჯოს. თუნდაც შეხვედრაზე დააგვიანოს. წარმოუდგენელია, რომელიმე მონამ დაინახოს, თავად როგორ მიათრევს ბარგს. ასეთი შეცდომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას; სხვები აღარასოდეს მიიჩნევენ თანასწორად, იმის მიუხედავად, თუ რას აკეთებს.

გზად ჩილდენი ფიქრობდა: «შესაძლოა სიხარულიც კი მომგვაროს იმან, თუ «ნიპონ ტაიმსის» შენობაში ვირივით დატვირთული შევალ. ძალიან დასამახსოვრებელი საქციელი იქნება. კანონით აკრძალული ხომ არაფერია; ციხეში ამისთვის არავინ ჩამსვამს, მე კი ჩემს ნამდვილ გრძნობებს ვაჩვენებდი, რასაც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ვახერხებ. მაგრამ...»

«ასეც მოვიქცეოდი, – გაიფიქრა მან, – გარშემო ზანგი მონები რომ არ იყვნენ; ისინი, ვინც სოციალურად ჩემი ზემდგომები არიან, ისედაც ყოველდღიურად მამცირებენ. მაგრამ ამას რომ ქვემდგომთა თანაგრძნობა დაემატოს... ასეთების, როგორიც მაგალითად, ეს ჩინკია. რიქშა რომ არ ამეყვანა და ხელით მეთრია ჩემი ბარგი...»

ეს მდგომარეობა გერმანელების ბრალია. ყოველთვის იმაზე დიდ ლუკმას კბეჩენ, ვიდრე ჩაყლაპვა შეუძლიათ. მას შემდეგ, რაც ძლივს გაიმარჯვეს ომში, მაშინვე მზის სისტემის დაპყრობას შეუდგნენ, თავიანთ ქვეყანაში კი ისეთი კანონები შემოიღეს... თუმცა, იდეა კი კარგი იყო. საკმაოდ კარგად მოუარეს ებრაელების, ბოშებისა და ბიბლიის სხვა მორწმუნეების პრობლემას. და სლავები უკან გააბრუნეს, მშობლიურ აზიაში, სულ მცირე, ორი ათასი წლით, ევროპის საზღვრებს გარეთ. იარონ იაკებზე ამხედრებულებმა და მშვილდ-ისრით ინადირონ.

ან თუნდაც, მიუნხენში დაბეჭდილი პრიალაყდიანი ჟურნალები, რომლებიც ყველა ბიბლიოთეკასა და საგაზეთო კიოსკს ეგზავნება... მთელი გვერდები ეთმობა ფერად ფოტოებს: ცისფერთვალება, ქერათმიანი არიელი მიწათმოქმედები, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე აწყობილი გეგმით თესავენ, ხნავენ, მოსავალი მოჰყავთ მსოფლიოს ბეღელში, უკრაინაში. ყველანი ბედნიერები ჩანან. მათი ფერმები და სახლები დაწკრიალებულია. სურათებზე ვერ ნახავთ მუდმივად მთვრალ პოლონელებს, თავიანთი სახურავჩაზნექილი ქოხმახების გვერდით რომ დგანან ან სოფლის ბაზარში სანახევროდ დამპალი თალგამით სავსე ურიკის გარშემო შეკრებილან. ეს ყველაფერი წარსულში დარჩა, ბორბლების ნაკვალევით ათხრილი ტალახიანი გზების მსგავსად, რომლებშიც წვიმების შემდეგ ოთხვალა ეფლობოდა.

მაგრამ აფრიკა... აი, იქ გერმანელების ენთუზიაზმმა სრულად გაშალა ფრთა და ყველაფერი ისე მოაგვარეს, აღფრთოვანებას იმსახურებენ; ერთი შეიძლება ის უსაყვედურო, რომ ჯობდა პროექტ «ფარმლანდის» დასრულებამდე მოეცადათ. მაგრამ ამ საკითხში, ნაცისტებმა თავიანთი გენიალურობა მთელი სისავსით გამოავლინეს: ხმელთაშუა ზღვა დააშრეს – ატომური ენერგიის წყალობით მის ადგილზე ახლა ნაყოფიერი ნათესებია გადაჭიმული – რა გაქანებაა! როგორ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში ჩუმ-ჩუმად მოხითხითეებს, მათ შორის მონტგომერი-სტრიტელ მის სკეპტიკოს კოლეგებსაც. ფაქტობრივ მდგომარეობას რაც შეეხება, აფრიკის პროექტი თითქმის წარმატებით დასრულდა... მაგრამ ასეთი ტიპის პროექტის შემთხვევაში ტერმინი «თითქმის» ყურს ავბედითად ჭრის. როზენბერგის 1958 წლის კარგად ცნობილი პამფლეტი – ეს სიტყვა პირველად მასში გამოკრთა. «აფრიკის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას რაც შეეხება, თითქმის მივაღწიეთ ჩვენს მიზანს». ამერიკას ორასი წელი დასჭირდა ამერიკელი აბორიგენებისთვის ანგარიშის გასასწორებლად, გერმანელებმა კი დაახლოებით თხუთმეტ წელიწადში მოაგვარეს საკითხი აფრიკაში. ამიტომ, კრიტიკა უადგილოა. ჩილდენს ამ თემაზე არაერთხელ უკამათია სხვა მოვაჭრეებთან ლანჩზე. ისინი აშკარად სასწაულებს ელოდნენ, თითქოს ნაცისტებს ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით მთელი სამყაროს შეცვლა შეეძლოთ, არა: მათი წარმატების საფუძველი მეცნიერება, ტექნოლოგია, არნახული ნიჭიერება და მძიმე, მუხლჩაუხრელი შრომაა; გერმანელები თავს დასვენების უფლებას არასოდეს აძლევენ და როდესაც რაღაც საქმეს ჰკიდებენ ხელს, ის აუცილებელად ბოლომდე მიჰყავთ.

და მაინც, მარსზე ფრენები აფრიკისგან ყურადღების გადატანის მცდელობას წარმოადგენდა. ასე დავბრუნდით იმ წერტილამდე, საიდანაც დავიწყეთ; რომ ნაცისტებისთვის ის არის დამახასიათებელი, რაც ჩვენ გვაკლია – კეთილშობილება. აღტაცების გამომწვევია მათი

სიყვარული შრომისადმი ან ეფექტურობა... მაგრამ ამ ყველაფრის ამოქმედება მხოლოდ ოცნებას შეუძლია. გაფრენა მთვარეზე, შემდეგ მარსზე; განა ეს არ იყო ჩვენი ყველაზე სანუკვარი, უძველესი ოცნება?! იაპონელები საერთოდ სხვაგან არიან. «მათ საკმაოდ კარგად ვიცნობ; სხვა თუ არაფერი, ყოველდღიურად მათთან ვმუშაობ. ისინი – მოდი, დაუფარავად ვთქვათ – აზიელები არიან. ჩვენ, თეთრკანიანები, იძულებული ვართ, მათ ქედი მოვუდრიკოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ძალაუფლება მათ ხელშია. მაგრამ გვაქვს გერმანიის მაგალითი, და ვხედავთ, რა შეიძლება მოხდეს, თუ ძალაუფლება თეთრკანიანების ხელშია. ეს სულ სხვა რამაა».

– «ნიპონ ტაიმსის» შენობას ვუახლოვდებით, – მოხედა ჩინკიმ, გორაკზე ასვლის გამო ქოშინებდა და სვლა შეანელა.

ჩილდენმა სცადა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მისტერ ტაგომის კლიენტი. ეჭვგარეშეა, ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა უნდა იყოს; მისტერ ტაგომის ტელეფონზე საუბრის ტონი, მისი მღელვარება აღნიშნულს მოწმობს. ჩილდენს გონებაში ამოუტივტივდა თავის მრავალრიცხოვანი კლიენტებიდან ერთ-ერთის, ყველაზე მნიშვნელოვნის სახე, რომელმაც სინამდვილეში უდიდესი როლი შეასრულა ჩილდენის რეპუტაციის ჩამოყალიბებაში სანაპიროს მაღალჩინოსნებს შორის.

ოთხი წლის წინ ჩილდენი არ ყიდდა ძველებურ და იშვიათ ნივთებს; მას გირის უბანში პატარა, სანახევროდ ჩაბნელებული წიგნის მაღაზია ჰქონდა და ბუკინისტური წიგნებით ვაჭრობდა. მის მეზობლად ყიდდნენ ძველ ავეჯს, კავეულობას, მოშორებით სამრეცხაოც იყო. არცთუ კარგი სამეზობლო ჰქონდა. შეიარაღებული თავდასხმები ღამღამობით, ხშირი ძარცვა. სან-ფრანცისკოს პოლიციის დეპარტამენტის ძალისხმევის მიუხედავად მათი აღკვეთა ვერ ხერხდებოდა. ვერაფერს გახდა ვერც კემპეიტაი

[25]

– იაპონური პოლიცია. სამუშაო დღის დასრულებისთანავე ყველა მაღაზიას რკინის გისოსებით კეტავდნენ ღამეული ძარცვის თავიდან ასარიდებლად. ერთხელ ქალაქის სწორედ ამ უბანში მოხვდა ხანდაზმული იაპონელი, გადამდგარი სამხედრო, მაიორი იტო ჰუმო. მაღალი, ჭაღარა, სამხედროსთვის დამახასიათებელი სიარულისა და დგომის მანერით. მან ჩილდენს პირველმა მიაწოდა იდეა, რითი უნდა ევაჭრა.

– კოლექციონერი ვარ, – აუხსნა მაიორმა ჰუმომ და ლამის მთელი დღე მაღაზიაში ძველი ჟურნალების ქექვაში გაატარა. თავისი ალერსიანი ხმით ჩილდენს რაღაც აუხსნა, რასაც იგი მაშინვე ვერც მიხვდა: ბევრ შეძლებულ, განათლებულ იაპონელს არანაკლებ აინტერესებდა ამერიკის მოსახლეობის შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, ვიდრე ტრადიციული ანტიკვარიატი. რატომ ხდებოდა ასე, თავად მაიორმაც არ იცოდა; თავადაც ძველ ჟურნალებს აგროვებდა, რომლებშიც ძველებური ამერიკული თითბრის ღილების გამოსახულებებია, ასევე – თავად ღილებსაც. ეს რაღაცით მარკების თუ მონეტების კოლექციონერობას ჰგავს, თუმცა რაციონალური ახსნა არ მოეძებნება. ღირებული ეგზემპლარებისთვის

კოლექციონერები არცთუ სახუმარო თანხებს იხდიდნენ.

– ერთ მაგალითს მოგიყვანთ, – უთხრა ჩილდენს მაიორმა, – თუ გსმენიათ რაიმე «ომის საშინელებათა ბარათების» შესახებ?

მაიორი მას დაჟინებით მისჩერებოდა.

ჩილდენმა გონება დაძაბა და მართლაც გაიხსენა ასეთი ბარათების არსებობა. მის ბავშვობაში მათ საღეჭ რეზინებთან ერთად ყიდდნენ. ბარათები სერიებად გამოდიოდა. ერთი სერია რომელიმე კონკრეტულ «ომის საშინელებას» ეძღვნებოდა.

– ერთი ჩემი მეგობარი, – განაგრძო მაიორმა, – სწორედ ასეთ ბარათებს აგროვებს. ახლა იმ ბარათს ეძებს, რომელზედაც გამოსახულია «კრეისერ «პანაის» ჩაძირვა». მზად არის საკმაო თანხა გადაიხადოს.

– ასაგდები ბარათები, – წარმოთქვა უეცრად ჩილდენმა.

– უკაცრავად?

– ჰაერში ვისროდით. ბარათის ორივე მხარეს სხვადასხვა გამოსახულება იყო, – მაშინ ჩილდენი რვა წლის გახლდათ, – ყველას ჰქონდა თავისი ბარათების შეკვრა. ორნი დავდგებოდით ერთმანეთის პირისპირ. თითოეული ააგდებდა თითო ბარათს. თუ ერთის ბარათი პირით დაეცემოდა, ხოლო მეორის ზურგით, მოგებული პირველი იყო და მეორის ბარათების მთელ შეკვრას დაეუფლებოდა... – გაახარა ბავშვობის ბედნიერი დღეების გახსენებამ.

მაიორი ჰუმო ჩაფიქრდა და მერე თქვა:

– ჩემი მეგობრისგან ბევრი რამ გამიგია «ომის საშინელებათა ბარათების» შესახებ, მაგრამ ასეთი რამ მას არასოდეს უთქვამს. ჩემი აზრით, მან უნდა იცოდეს, რომ ბარათებს ასეთი გამოყენებაც ჰქონდა.

მოგვიანებით მაიორის მეგობარიც მივიდა მაღაზიაში, რომ თავად ჩილდენისგან მოესმინა ეს ისტორიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბარათების შესახებ. იმპერიის არმიის გადამდგარი მაიორის მსგავსად, ისიც აღტაცებაში მოიყვანა მონაყოლმა.

– ბოთლების სახურავები! – მოულოდნელად წამოიძახა ჩილდენმა.

იაპონელი ვერაფერს მიხვდა და თვალები აახამხამა.

– კიდევ რძის ბოთლების სახურავებს ვაგროვებდით. ბავშვობაში. მრგვალ სახურავებს, თითოეულზე ქარხნის დამღით. მაშინ აშშ-ში ათასობით რძის ქარხანა იყო და ყველას თავისი დამღა ჰქონდა.

ოფიცერს თვალები გაუბრწყინდა.

– შემთხვევით თქვენი კოლექციიდან რამდენიმე ხომ არ შემოგრჩათ, სერ?

რასაკვირველია, ჩილდენს არაფერი ჰქონდა. მაგრამ... სავარაუდოდ, შეიძლებოდა ძველი, დიდი ხნის წინ მივიწყებული ბოთლის სახურავების მოძიება, იმდროინდელის, როდესაც რძეს მინის ბოთლებით ყიდდნენ და არა დღევანდელივით, მუყაოს პაკეტებით.

აი ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ააწყო თავისი ბიზნესი. დანარჩენებიც ამგვარადვე იქცეოდნენ, რადგან მათაც აუღეს ალღო, როგორც გადაჰყავდა ჭკუიდან იაპონელები ამერიკულ სიძველეებს... მაგრამ ჩილდენი მაინც ლიდერობას ინარჩუნებდა.

– ერთი დოლარია საფასური, სერ, – ფიქრი ჩინკის რეპლიკამ შეაწყვეტინა, რომელსაც უკვე გადმოეტვირთა მისი ბარგი ტროტუარზე.

გონებადაფანტულმა ჩილდენმა თანხა გადაიხადა.

«ვინ იცის, შესაძლოა მისტერ ტაგომის კლიენტი მაიორ ჰუმოს ჰგავს; ჩემი თვალსაზრისის გათვალისწინებით, – გაიფიქრა ჩილდენმა. ის ბევრ იაპონელს შეხვედრია, მაგრამ მათთან ურთიერთობის სირთულე ჯერ კიდევ ვერ დაეძლია. ზოგიერთი ტანდაბალი და მოჭიდავესავით ჩასკვნილი იყო, სხვები აფთიაქარებს ჰგავდნენ ან მებაღეებს... ყველა კატეგორიის იაპონელს შეხვედრია. ახალგაზრდები ხომ, საერთოდაც აღარ ჰგავდნენ იაპონელებს. მისტერ ტაგომის კლიენტი სავარაუდოდ, მსუქანი ბიზნესმენია, რომელიც ფილიპინურ სიგარას ეწევა.

და უეცრად, «ნიპონ ტაიმსის» შენობის წინ, ბარგის გვერდით მდგარ ჩილდენს გააცია: კლიენტი იაპონელი რომ არ აღმოჩნდეს! მაშინვე იმის გადათვალიერებას შეუდგა გონებაში, რა ჩაალაგა ჩანთებსა და ყუთებში...

მაგრამ არა – ის ადამიანი იაპონელი უნდა ყოფილიყო! მისტერ ტაგომიმ ხომ სამოქალაქო ომში გასაწვევი პლაკატი შეუკვეთა; მხოლოდ იაპონელს შეიძლება აინტერესებდეს ასეთი ნაგავი. მათი ტიპური მანია – ყოველგვარი ტრივიალური დოკუმენტის, პროკლამაციებისა და განცხადებებისადმი მოწიწებით მოპყრობა. ერთი კლიენტი გაახსენდა, რომელიც მთელ თავის თავისუფალ დროს საუკუნის დასაწყისის დაპატენტებული წამლების საგაზეთო რეკლამების ძიებას უთმობდა.

ყოველ შემთხვევაში, ახლა სრულიად სხვა, უფრო აქტუალური პრობლემების წინაშე იდგა. «ნიპონ ტაიმსის» შენობის მაღალ შესასვლელში მამაკაცები და ქალები აჩქარებული ნაბიჯით შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ყველა შესანიშნავად იყო ჩაცმული; მათი ხმები ჩილდენის ყურამდე აღწევდა, და ისიც გამოფხიზლდა. ზემოთ აიხედა და სან-ფრანცისკოს უმაღლეს შენობას შეავლო თვალი. მინის ნაგებობა, იაპონელი არქიტექტორების ზღაპრული ჩანაფიქრი, მოელვარე, ზეცისკენ აღმართული კედელი და მის ქვემოთ ქვებისა და მარადმწვანე, დაგრეხილტანიანი ხეებისგან შექმნილი პატარა ბაღი, მათ შორის თითქოს ნაკადული მიჩუხჩუხებს.

შავკანიანს მოჰკრა თვალი, რომელმაც ის-ისაა ვიღაცის ბარგი გაათრია და ახლა უსაქმოდ დაყიალობდა.

ის ყურებამდე გაღიმებული მიაუახლოვდა.

– მეთორმეტე სართული, – რამდენადაც შეეძლო პირქუშად უთხრა ჩილდენმა, – ოფისი B. დაუჩქარე.

ყუთებსა და ჩანთებზე მიუთითა, მერე შებრუნდა და შენობის შესასვლელისკენ გასწია. რასაკვირველია, უკან არ მიუხედავს.

სულ მალე ერთ-ერთ სწრაფ ლიფტში აღმოჩნდა. მის გარშემო ძირითადად იაპონელები იდგნენ. სუფთა სახეები კაშკაშა ნათურების სინათლეზე ულაპლაპებდათ. ლიფტი ზემოთ აიჭრა და სართულების მაჩვენებელიც აციმციმდა. ჩილდენმა თვალები დახუჭა. დასუსტებულ ფეხებზე თავს ძლივს იმაგრებდა და მხოლოდ ერთს ნატრობდა, ეს რბოლა რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო. რასაკვირველია, შავკანიანი ამავე კაბინაში არ გახლდათ. ის მომსახურეთა ლიფტით ისარგებლებდა. ჩილდენმა თვალები გაახილა და მიხვდა, იგი ლიფტში ერთადერთი თეთრკანიანი იყო.

როდესაც ლიფტი მეთორმეტე სართულზე შეჩერდა, ჩილდენმა თავდაჯერებულობა დაიბრუნა და სრულებით მზად იყო მისტერ ტაგომის კაბინეტში შესასვლელად.

3

ჯულიანა ფრინკი მზის ჩასვლას უყურებდა და დაინახა, ცა როგორ გადასერა მანათობელმა წერტილმა. წერტილმა წრე მოხაზა და დასავლეთით გაუჩინარდა. «ნაცისტების ერთ-ერთი კოსმოსური ხომალდი უნდა იყოს, – გაიფიქრა, – სანაპიროსკენ მიფრინავს. სერიოზული ტიპებით იქნება გამეძგილი. მე კიდევ აქ ვზივარ, ქვემოთ». უკვე გაუჩინარებულ ხომალდს ხელი დაუქნია.

კლდოვანი მთებიდან ჩრდილები მოიზლაზნებოდა. მწვერვალებზე უკვე ჩამობნელდა. გადამფრენი ფრინველების გუნდებმა მთების თავზე გადაიფრინეს. გზატკეცილზე მქროლავმა მანქანებმა ფარები და სასიგნალო სინათლეები ჩართეს და ახლა გზაზე გაწელილი თეთრ-წითელი მოციმციმე ზოლი მოჩანდა. სინათლე აინთო ბენზინგასამართ სადგურზე, სახლების ფანჯრებში.

უკვე რამდენიმე თვეა აქ, კოლორადოს შტატში, კანიონ-სიტიში ცხოვრობდა და ძიუდოს ინსტრუქტორად მუშაობდა.

მისი ცვლა დასრულდა და საშხაპეში შესასვლელად ემზადებოდა. დაღლილი იყო. მაგრამ ყველა კაბინა დაკავებული აღმოჩნდა «რეის სპორტდარბაზის» კლიენტების მიერ, ამიტომ თავის რიგს გარეთ, სიგრილეში ელოდებოდა და მთის სუფთა ჰაერს ისუნთქავდა. სიჩუმე და სიმშვიდე იდგა. მხოლოდ გზისპირა სასაუზმიდან აღწევდა გუგუნის ყრუ ხმა. სასაუზმესთან ორი ტრაილერი მოჩანდა. ერთი ახლახან მოსულიყო. მძღოლების წყვილი ტყავის ქურთუკებს იცვამდა და შიგნით შესასვლელად ემზადებოდა.

«დიზელმა კაიუტის ილუმინატორიდან გადახტომით არ მოიკლა თავი? ოკეანეში

მოგზაურობისას მოისწრაფა სიცოცხლე, ხომ ასეა? იქნებ მივბაძო. მაგრამ აქ ოკეანე არ არის. მხოლოდ გზაა. როგორც შექსპირთან... ქინძისთავის ერთი ჩხვლეტა და, მშვიდობით, ფრინკ. გოგონას არ ეშინია უდაბნოდან მოსული მაწანწალების. ყველა ნერვული დაბოლოება იცის, რომელში დარტყმითაც მომაბეზრებელი მოწინააღმდეგის თავიდან მოშორება შეუძლია. სიკვდილი დიდად არაფრით განსხვავდება აქ ჯდომისა და მანქანების გამონაბოლქვის შესუნთქვის ან კოქტეილის ჩხირით შეწრუპვისგან».

ეს ყველაფერი იაპონელებისგან ისწავლა: სიკვდილთან მშვიდად შეხვედრა, ასევე შემოსავლის მომტანი ძიუდო. როგორ მოკლა, როგორ მოკვდე. იანი და ინი. მაგრამ მაინც, საკმარისია. აქ ხომ პროტესტანტების მიწაა.

კარგი სანახავია, როდესაც შენს თავზე ნაცისტების კოსმოსური ხომალდი მიფრინავს, რომელსაც სრულებით არ აინტერესებს კანიონ-სიტი, კოლორადო. არც იუტასა და ვაიომინგის შტატები. არც ნევადის აღმოსავლეთი ნაწილი, არც ერთი ეს უდაბნოდ ქცეული ან

მხოლოდ საძოვრებად გამოსადეგი შტატი. ჩვენ მათ არ ვაინტერესებთ. ესე იგი, შეგვიძლია ისე ვიცხოვროთ, როგორც მოგვესურვება. თუ, რასაკვირველია, საერთოდ დაგვრჩა სურვილები.

ერთ-ერთი საშხაპიდან კარის გაღების ხმა გაისმა. მოსული ტანის, მსუქანი მის დეივისი გამოჩნდა, რომელმაც შხაპის მიღება და ჩაცმა დაესრულებინა და ხელში ჩანთა ეჭირა.

– ოჰ, გალოდინეთ, მისის ფრინკ? მაპატიეთ.

– არა უშავს, – უპასუხა ჯულიანამ.

– იცით, მისის ფრინკ, ძიუდო ძალიან ბევრს მაძლევს. იმაზე მეტს, ვიდრე ძენი. ამის თქმა მინდოდა თქვენთვის.

– ტუჩები ძენისებურად მოკუმეთ, – ურჩია ჯულიანამ, – კილოგრამებს გამოემშვიდობებით მსუბუქი სატორის პირობებში. მაპატიეთ, მის დეივის. დღეს ძალიან ბევრს ვლაყბობ.

– ძალიან გაწვალებდნენ? – შეეკითხა მის დეივისი.

– ვინ?

– იაპონელები. სანამ თავის დაცვას ისწავლიდით.

– საშინელება იყო, – თვალები გადაატრიალა ჯულიანამ, – მაგრამ თქვენ ხომ არასოდეს ყოფილხართ სანაპიროზე. საიდანაც ისინი არიან.

– კოლორადოდან არასოდეს წავსულვარ, – თქვა მის დეივისმა მორცხვად.

– არადა, შეიძლებოდა აქამდე მოეღწიათ, – თქვა ჯულიანამ, – ეს რეგიონიც დაეპყროთ.

– უკვე გვიანია!

– რას გაიგებ, რას ფიქრობენ, – განაგრძო ჯულიანამ, – სინამდვილეში რა სურთ, არასოდეს ამხელენ.

– რის... რის გაკეთებას გაიძულებდნენ? – მის დეივისმა ჩანთა მკერდზე მიიკრა, ახლოს მივიდა, რომ ბინდში არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა.

– ყველაფერს, – უპასუხა ჯულიანამ.

– ოჰ, ღმერთო! ვიბრძოლებდი, – თქვა მის დეივისმა.

ჯულიანამ ბოდიში მოუხადა და კაბინაში შეხტა, რადგან მათკენ საშხაპის კიდევ ერთი მაძიებელი მიემართებოდა მხარზე გადაკიდებული პირსახოცით.

მოგვიანებით სასაუზმეში – «მაყალზე მომზადებული ჩარლის გემრიელი ჰამბურგერები» – წავიდა, მაგიდას მიუჯდა და ათასგზის გადაკითხულ მენიუს ჩააშტერდა. კუთხეში მდგარი მუსიკალური აპარატიდან რაღაც სოფლური მელოდია ისმოდა; გიტარის ჟღარუნი და ემოციურ-ვნებიანი კნავილი... ჰაერში სიგარეტის კვამლი ეკიდა. მაგრამ მაინც, აქ თბილოდა, ხალისიანი ატმოსფერო იყო და მოსწონდა. მძღოლები დახლთან, ოფიციანტი, ზორბა ირლანდიელი მზარეული, თეთრი ხალათით, სალაროს აპარატთან ხურდას აჩხარუნებდა.

მის დანახვაზე ჩარლი თავად გამოემართა შეკვეთის მისაღებად. გზადაგზა იღიმებოდა.

– მისი ჩაის ინებებს?

– ყავა, – უპასუხა ჯულიანამ, რომელსაც მზარეულის გაცვეთილი იუმორი უკვე მოჰბეზრებოდა.

– აჰ, გასაგებია, – თავი დაუქნია ჩარლიმ.

– და სტეიკის სენდვიჩი.

– ვირთხის კუდების სუპი არ გინდათ? ან იქნებ, ზეითუნის ზეთში შემწვარი თხის ტვინი?

ბართან მჯდომი ტრაილერის მძღოლების წყვილი შემობრუნდა და დაუფარავი ინტერესით მიაჩერდა მათ. ჯულიანამ კიდევ ერთი დამატებითი ბონუსი ჩაიწერა თავის აქტივში. ლაზღანდარა მზარეულისთვის შეხედვაც არ სჭირდებოდა, ისედაც ხვდებოდა, მის სპორტული აღნაგობის ტანს თვალს რომ არ აცილებდნენ. უკვე თვეებია ძიუდოს აქტიურად მისდევდა და კუნთების ტონუსი წესრიგში მოიყვანა და მთელი სხეული ნორმაში ჩადგა.

«ეს ყველაფერი მხრის კუნთების წყალობაა, – გუნებაში გაეღიმა ჯულიანას და მძღოლებისკენ გაიხედა, – ასე აქვთ მოცეკვავეებსაც. კუნთის მოცულობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. გამოგზავნეთ ჩემთან დარბაზში სავარჯიშოდ თქვენი ცოლები და ცხოვრებით უფრო კმაყოფილები იქნებით».

– მისგან თავი შორს დაიჭირეთ, – მიუბრუნდა მძღოლებს მზარეული, – ერთ წამში

გაგაბრტყელებთ.

ჯულიანა ასაკით ახალგაზრდა მძღოლს მიუბრუნდა:

– საიდან ხართ?

– მისურიდან, – უპასუხა ორივე მამაკაცმა.

– აშშ-იდან? – გაიკვირვა ქალმა.

– ჰო, – თქვა ხანდაზმულმა, – ფილადელფია. სამი ბიჭი მყავს. უფროსი თერთმეტისაა.

– მისმინეთ, იქ კარგი სამუშაოს პოვნა ადვილია?

– თუ საჭირო კანის ფერი გაქვს, – უპასუხა ახალგაზრდამ, – თავად მას მუქი ფერის კანი და ხვეული შავი თმა ჰქონდა. მკაცრი და უხეში გამომეტყველება მიიღო.

– ეს გაპოა,

[26]

– უპასუხა ხანდაზმულმა.

– მერე განა იტალია ომში გამარჯვებული არ არის? – თქვა ჯულიანამ და ახალგაზრდას გაუღიმა, მაგრამ საპასუხოდ გაღიმების ნაცვლად, მას თვალები ბოროტად აუელვარდა და საერთოდაც, ზურგი შეაქცია.

«მაპატიე, – გაიფიქრა ჯულიანამ, – მაგრამ მე ხომ ვერ შევძლებ კანის ფერის შეცვლას». ფრენკი გაახსენდა. საინტერესოა, კიდევ თუა ცოცხალი. შეიძლებოდა რაღაც მიუღებელი წამოეყრანტალებინა, ისეთი, რისი თქმაც მიუღებელია. «არა. ასე თუ ისე, მას იაპონელები მოსწონს. იქნებ თავს მათთან აიგივებს, იმიტომ რომ, ისინიც მისნაირი მახინჯები არიან». ყოველთვის ეუბნებოდა ფრენკს, რომ მახინჯია. კანის დიდი ფორები. უზარმაზარი ცხვირი. თავად მას ყოველთვის მშვენიერი კანი ჰქონდა, უჩვეულოდ კარგიც კი. «უჩემოდ ხომ არ მოკვდა? ფინკი ხომ სკვინჩას ნიშნავს. როგორც ამბობენ, ჩიტები ამოწყდნენ».

– ამაღამ უკან უნდა წახვიდეთ? – შეეკითხა იტალიელ მძღოლს.

– ხვალ.

– თუ აშშ-ში არ მოგწონთ, აქეთ რატომ არ გადმოხვალთ საცხოვრებლად? – შეეკითხა ისევ, – კლდოვანი მთების შტატებში ვცხოვრობ კარგა ხანია და არც ისე ცუდია. მანამდე სანაპიროზე ვცხოვრობდი, სან-ფრანცისკოში. იქაც პრობლემები იყო კანის ფერის გამო.

ახალგაზრდამ თვალი შეავლო, ჩაიცინა და მხრები აიჩეჩა, მერე უთხრა:

– ლედი, ამ საზიზღარ ადგილზე ღამის გათევაც კი მიჭირს. აქ ცხოვრება? ღმერთო, ოღონდ კი

რამე ნორმალური სამუშაო მაშოვნინა, რომ დღისით და ღამით ამ გზაზე არ ვიყო გამოკიდებული და ასეთ ადგილებში არ მქონდეს ჩასათქვლეფი, – ამ სიტყვებზე მზარეულს სახე აუჭარხლდა, ამიტომ იტალიელმა ლაპარაკი შეწყვიტა და ყავა მოსვა.

ხანდაზმული მძღოლი ახალგაზრდას მიუბრუნდა:

– ჯო, სნობი ხარ.

– ჰოდა, დენვერში იცხოვრეთ, – უთხრა ჯულიანამ, – თუ იქ ასეთი კარგია ყველაფერი.

«კარგად გიცნობთ აღმოსავლეთ ამერიკელებს, – გაიფიქრა, – მარტო დიადი ეპოქები გიტაცებთ. დიად გეგმებზე ოცნებობთ. აქაურობა თქვენთვის მარტო კლდეებია. ომის მერე არაფერი შეცვლილა. პენსიონერები, ფერმერები, სულელები, ზანტები, ღატაკები... და ყველა ცქვიტი ნიუ-იორკისკენ გაღწევას ლამობს, საზღვარზე გადასვლას ცდილობს კანონიერად თუ უკანონოდ. იმიტომ რომ, იქ ეგულებათ დიდი ფული, ინვესტიცია, ინდუსტრია. ექსპანსია. გერმანელებმა ბლომად ფული ჩადეს... შტატების აღდგენა სულ მცირე ხანში მოახერხეს».

გაბრაზებულმა მზარეულმა ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

– იცი რა გითხრა, ყმაწვილო, ებრაელების მოყვარული არ ვარ, მაგრამ თქვენი შტატებიდან გამოქცეული ბევრი ლტოლვილი ვნახე 49-ში. თქვენ ყელში გაქვთ ეგ შტატები ამოსული. თუ იქ ამდენი ახალი ნაგებობაა და ამდენი ფული ტრიალებს, ეგ იმიტომ, რომ ნიუ-იორკიდან გაქცეული ებრაელებისთვის წართმეული ფულია, ნაცისტების დაწყევლილი ნიურნბერგული კანონების შემოღების შემდეგ. ბავშვობაში ბოსტონში ვცხოვრობდი და ებრაელებთან განსაკუთრებული ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ნაცისტები რასისტულ კანონებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიტანდნენ, ომში ჩვენი დამარცხების მიუხედავადაც კი. ძალიან მიკვირს, ახლა შტატების არმიაში რომ არ ხართ რომელიმე პატარა სამხრეთამერიკული სახელმწიფოს დასაპყრობად, იქიდან იაპონელების გამოსაყრელად, რომ გერმანელებს ადგილი მოუსუფთავოთ...

ორივე მძღოლი აჭარხლებული სახეებით ფეხზე წამოხტა. ხანდაზმული დახლიდან კეტჩუპის ბოთლის ყელს სწვდა. მზარეულმა, ისე რომ არ შემობრუნებულა, ერთი ნაბიჯით დაიხია და ხორცის გადასაბრუნებელი უზარმაზარ ჩანგალი ხელით მოსინჯა.

ჯულიანამ თქვა:

– დენვერში მაღალი ტემპერატურის გამძლე საფრენ ბილიკს აგებენ, რათა ლუფტჰანზას ხომალდებმა შეძლონ დაჯდომა.

სამი მამაკაციდან ერთიც არ განძრეულა. სასაუზმის დანარჩენი კლიენტები პირში წყალჩაგუბებულები მდუმარედ ისხდნენ ადგილებზე.

ბოლოს სიჩუმე მზარეულმა დაარღვია:

– ერთმა ეგეთმა ხომალდმა ცოტა ხნის წინ თავზე გადაგვიფრინა.

– ეგ დენვერში არ მიფრინავდა, – უპასუხა ჯულიანამ, – დასავლეთით, სანაპიროსკენ ეჭირა გეზი.

ორივე მძღოლი თანდათან მოეშვა.

ხანდაზმულმა წაიბურტყუნა:

– სულ მავიწყდება, რომ აქაურები ცოტათი გაყვითლდნენ.

მზარეულმა უპასუხოდ არ დატოვა:

– იაპონელები ებრაელებს არ ხოცავდნენ. არც გაზის კამერებს აგებდნენ.

– ძალიანაც ცუდი, – ჩაიბურტყუნა ხანდაზმულმა მძღოლმა, ყავა მოსვა და ჭამა გააგრძელა.

«ყვითლები, – გაიფიქრა ჯულიანამ, – ჰო, ჩემი აზრით, მართალს ამბობს. ჩვენ აქ გვიყვარს იაპონელები».

– სად აპირებთ გაჩერებას? – შეეკითხა ახალგაზრდა მძღოლს, – ღამის გასათევად.

– არ ვიცი, – უპასუხა მან, – ეს-ესაა მანქანიდან გადმოვედი. ეს შტატი არ მომწონს. იქნებ მანქანაში დავიძინო.

– მოტელი «ფუტკრის თაფლი» არც ისე ცუდია, – თქვა მზარეულმა.

– კარგი, – განაგრძო ახალგაზრდამ, – შეიძლება მანდ დავრჩე. თუ, რასაკვირველია, იტალიელებს იტანენ.

მცირე აქცენტი ჰქონდა, რომელსაც გულმოდგინედ ნიღბავდა.

ჯულიანა უყურებდა და ფიქრობდა, რომ იდეალიზმმა გახადა იგი ასეთი ბრაზიანი. ცხოვრებისგან ძალიან ბევრს მოითხოვს. ყოველთვის

სადღაც მიიწევს, ნერვები და მოთმინება აღარ ჰყოფნის. მეც ასე ვარ; ვერ შევძელი დასავლეთ სანაპიროზე გაჩერება და ახლა აქაც ვეღარ ვძლებ. ძველი გზის გამკვლავებიც ასეთები იყვნენ? მაგრამ ახლა ხომ აქ საზღვრები და აღმოუჩენელი მიწები აღარ არის; მხოლოდ სხვა პლანეტები დარჩა.

ამ ყმაწვილთან ერთად შეგვეძლო რომელიმე საკოლონიზაციოდ გაგზავნილ კოსმოსურ ხომალდზე ავსულიყავით. მაგრამ გერმანელები კანის ფერის გამო მაგას არ აიყვანენ, მე კიდევ ჩემს მუქ თმას დამიწუნებენ. მათ მხოლოდ ქათქათა ჩრდილოელი ესესელი

[27]

ფერიები უნდათ, რომლებიც ბავარიის კოშკებში გამოწვრთნეს. ამ ბიჭს – სავარაუდოდ, ჯოს, –

სახის საჭირო გამომეტყველების მიღებაც კი არ შეუძლია; ასეთი ცივი გამოხედვა უნდა გქონდეს, მაგრამ ცეცხლოვანი, ისეთი, რომ სხვას დააჯეროს, თითქოს მხოლოდ რაღაც აბსოლუტური რწმენა აქვს. დიახ, ისინი, ვინც მიფრინავენ, ასეთები არიან. ჯოსა და ჩემსავით იდეალისტები არ გახლავან; მთელი მათი რწმენა ცინიზმია. ეს ერთგვარი თავის ტვინის დეფექტია, ლობოტომიის მსგავსი, რომელსაც გერმანელი ფსიქიატრები ფსიქოთერაპიის ნაცვლად იყენებენ.

მათი პრობლემების სათავე სექსია, დაასკვნა ჯულიანამ; ეს ჯერ კიდევ ოცდაათიანებში დაიწყო და მას მერე გრძელდება, სულ უფრო და უფრო ცუდად არის საქმე. ჰიტლერმა პირველად ვისთან დაიწყო კურკური – ვინ იყო? მისი და? დეიდა? დისშვილი? და ეს არ იყო მის ოჯახში პირველი შემთხვევა; მისი მშობლებიც ერთმენთის კუზენები იყვნენ. ყველას ინცესტი ჰქონდა ჩადენილი, ყველა პირველყოფილ ცოდვას უბრუნდებოდა საკუთარი დედების მიმართ. აი, რატომ აქვთ იმ ესესელ ფერიებს ასეთი ანგელოზური გამომეტყველება, ქერა, ბავშვური უმანკო სახეები; თავს დედიკოსთვის ინახავენ. ან ერთმანეთისთვის.

და ყველას დედიკო ვინ არის? – დაფიქრდა ჯულიანა.

ლიდერი, ჰერ ბორმანი, რომელსაც სავარაუდოდ, გადააყენებენ? ან – შერეკილი, ბებერი ადოლფი, რომელიც სანატორიუმში ელოდება სიკვდილს, სენილური დამბლით. თავის ტვინის სიფილისი, რომელიც მისი ვენაში გატარებული საწყალობელი დღეების საფასურია... გრძელი შავი პალტო, ჭუჭყიანი საცვალი, იაფფასიანი ღამის სასტუმროები.

ღმერთის სარდონიკული შურისძიება უნდა იყოს, ერთგვარი მუნჯი კინოს მსგავსი. ეს ოდესღაც შიშისმომგვრელი კაცი ახლა საკუთარ განავალში იხრჩობა, ისტორიული განსაცდელი – ადამიანური სისუსტისთვის.

მაგრამ უფრო მეტი საშინელება სხვა რამაა: მთელი დღევანდელი გერმანული იმპერია სწორედ მისი ტვინის ნაყოფია. ჯერ იყო პოლიტიკური პარტია, მერე ერი, მერე – ნახევარი მსოფლიო. და თავად ნაციამაც დაუსვა საკუთარ თავს დიაგნოზი. ჰიტლერის

მკურნალი ექიმი, ეს შარლატანი დოქტორი მორელი შეშლილს დოქტორ კესტერის სიბერის საწინააღდეგო აბებით ჭყიპავს, კარიერის დასაწყისში იგი ვენერიული დაავადებების მკურნალი ექიმი იყო. ეს იცოდა მთელმა მსოფლიომ, და მაინც, ლიდერის ყველა სიტყვა ლამის წმინდა წერილად მიიჩნეოდა. მისმა შეხედულებებმა მოწამლა ცივილიზაცია ეშმაკისეული ეპიდემიის სახით, ახლა კი ფერმკთალსახიანი და ქერა ნაცისტი ფერიები მას დედამიწის გარეთ, სხვა პლანეტებზე გაავრცელებენ.

აი, ეს არის ინცესტის საფასური: სიგიჟე, სიბრმავე, სიკვდილი.

ბრრრ! ქალს გააჟრჟოლა.

– ჩარლი, – დაუძახა მზარეულს, – სად არის ჩემი შეკვეთა?

თავი სრულიად მარტოსულად იგრძნო, წამოდგა და დახლთან მაღალ სკამზე დაჯდა.

ადგილის შეცვლა არავის შეუმჩნევია ახალგაზრდა იტალიელი მძღოლის გარდა, რომელიც შეფარვით თვალს არ აცილებდა. ჯო, ასე ერქვა. «აბა, რას იტყვი, ჯო? როგორაა საქმეები» – გონებაში გაეღიმა ჯულიანას.

ახლა, როდესაც მის ახლოს იჯდა, აღმოაჩინა, რომ იტალიელი არც ისეთი ახალგაზრდა იყო. სიტყვებით გადმოცემა უჭირდა, მაგრამ თითქოს რაღაცნაირ მოუსვენრობას ასხივებდა და ეს გარშემო ყველას გადაეცემოდა. გაუთავებლად თმაზე ისვამდა ორივე ხელს, იჩეჩდა და მაშინვე ისწორებდა უხეში თითებით. «მასში რაღაც განსაკუთრებული იმალება, – გაიფიქრა ქალმა, – სიკვდილის სუნთქვა მოდის მისგან «. ეს აშინებდა, მაგრამ, იმავდროულად, იზიდავდა. ხანდაზმულმა მძღოლმა თავი დახარა და რაღაც უჩურჩულა. მერე ორივე ქალს მიაჩერდა, თუმცა არც ერთის მზერაში ჩვეულებრივი მამაკაცური ინტერესი არ ჩანდა.

– მის, – დაუძახა ხანდაზმულმა. ორივე კაცი თითქოს ერთნაირად დაიძაბა, – თუ იცით, ეს რა არის? – ჯიბიდან თეთრი, მომცრო ყუთი ამოიღო.

– დიახ, – უპასუხა ჯულიანამ, – ნეილონის კოლგოტი. სინთეტიკური ბოჭკო, რომელისაც ნიუ-იორკის ერთ-ერთი უდიდესი კარტელი ამზადებს, ი. გ. ფარბენი. ძალიან იშვიათი და ძვირად ღირებული საქონელია.

– ამას გერმანელებს უნდა უმადლოდეთ; მონოპოლიები არც ისე ცუდი იდეაა.

ხანდაზმულმა მძღოლმა ყუთი თავის კომპანიონს მიუჩოჩა, რომელმაც თავის მხრივ, ყუთი დახლზე, ჯულიანასკენ გააცურა.

– მანქანით ხარ? – შეეკითხა ახალგაზრდა მძღოლი და ყავა მოსვა.

სამზარეულოდან ლანგრით ხელში ჩარლი გამოჩნდა.

– თუ შეგიძლია მიმიყვანო, – ველური, მტკიცე მზერით თვალს არ აცილებდა. ქალი აღელდა, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაუღვივა ინტერესი, – იმ მოტელში, ან სადმე სხვაგან, სადაც ღამის გათევა შეიძლება. რას იტყვი?

– ჰო, – უპასუხა ქალმა, – მანქანა მყავს. ძველი «სტუდებეკერი».

მზარეულმა ჯერ ახალგაზრდა მძღოლს შეხედა, მერე ჯულიანას, და ლანგარი მის წინ დახლზე დადო.

გასასვლელის ბოლოში ხმის გამაძლიერებლიდან მოისმა: «Achtung, meine Damen und Herren». მისტერ ბეინსი თავის სავარძელში შეიშმუშნა და თვალები გაახილა. ხელმარჯვნივ ილუმინატორში ქვემოთ მოჩანდა ყავისფერი და მწვანე ხმელეთი და დიდი ლურჯი სივრცე. წყნარი ოკეანე. მიხვდა, რომ ხომალდი ნელ-ნელა დაშვებას იწყებდა.

ჯერ გერმანულად, შემდეგ იაპონურად, ბოლოს ინგლისურად ხმის გამაძლიერებელმა

მგზავრებს აუხსნა, რომ მოწევა და ადგომა ახლა აკრძალულია. ფრენა რვა წუთში დასრულდება.

მოულოდნელად ჩართულმა სამუხრუჭე ძრავებმა ხომალდი ისე ძლიერად აატორტმანა, რომ მგზავრების ნაწილი შიშით სავარძლებს ჩააფრინდა. მისტერ ბეინსმა გაიღიმა. გასასვლელის მეორე მხარეს საპასუხოდ მოკლედ თმაშეჭრილმა ახალგაზრდამ გაუღიმა.

– Sie furchten dass, – წამოიწყო ახალგაზრდამ, მაგრამ მისტერ ბეინსმა მაშინვე ინგლისურად გააწყვეტინა:

– მაპატიეთ, გერმანულად არ ვლაპარაკობ.

ახალგაზრდა ისეთი გაოგნებული უმზერდა, რომ მისტერ ბეინსი იძულებული გახდა, იგივე წინადადება გერმანულადაც ეთქვა.

– გერმანელი არ ხართ? – ჰკითხა ბოლოს გაკვირვებულმა ახალგაზრდამ. ინგლისურად აქცენტით საუბრობდა.

– შვედი ვარ, – თქვა ბეინსმა.

– ტემპელჰოფში ჩაჯექით.

– დიახ. გერმანიაში საქმეებზე ვიყავი. ჩემი ბიზნესის გამო ბევრს ვმოგზაურობ.

ცხადი იყო, ახალგაზრას ვერაფრით წარმოედგინა, რომ თანამედროვე სამყაროში ვინმეს, ვინც საერთაშორისო ბიზნესში ტრიალებდა და ლუფტჰანზის თვითმფრინავით დაფრინავდა, არ შეეძლო ან არ სურდა გერმანულ ენაზე საუბარი.

– თქვენი საქმიანობის სფერო რა არის, mein Herr? – შეეკითხა ბეინსს.

– პლასტიკური მასალები. პოლისტერები. რეზინი. საწარმო ერზაცები. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ საწარმოებისთვის. ფართო მოხმარების საქონელი არა.

– შვედეთში პლასტმასის ინდუსტრია არსებობს? – დაეჭვებული შეეკითხა ახალგაზრდა.

– დიახ. და საკმაოდ კარგი ხარისხის პროდუქციას უშვებს. თუ თქვენს სახელს მეტყვით, მეილზე ჩვენი ფირმის ბროშურას გამოგიგზავნით, – მისტერ ბეინსმა კალამი და ბლოკნოტი მოამზადა.

– ვერასოდეს ვიფიქრებდი... არ ღირს ჩემზე დროის მოცდენა. მე ხელოვანი ვარ და არა ბიზნესმენი. არ გეწყინოთ. შესაძლოა, ჩემი ნამუშევრები კონტინენტზე ყოფნის დროს გინახავთ. ალექს ლოცე მქვია.

მცირე ხანს დუმდა.

– ვშიშობ, რომ თანამედროვე ხელოვნების არაფერი გამეგება, – თქვა მისტერ ბეინსმა.

კუბისტებისა და აბსტრაქციონისტების ძველი თაყვანისმცემელი ვარ. მიყვარს, როდესაც ნახატი რაღაცას ნიშნავს, და არა მხოლოდ იდეას გამოსახავს, – ბეინსი შებრუნდა.

– მაგრამ ეს ხელოვნების ამოცანაა, – თქვა ლოცემ, – ადამიანის სულიერება უფრო მაღლა დგას, ვიდრე გრძნობიერება. თქვენი აბსტრაქტული ხელოვნება სულიერების დეკადანსის ხანისაა, სულიერი ქაოსის, რაც საზოგადოების დეზინტერგრაციამ, ძველმა პლუტოკრატიამ გამოიწვია. ებრაელი და კაპიტალისტი მილიონერები, მთელ მსოფლიოს რომ იყვნენ მოდებული, უჭერდნენ მხარს დეკადენტურ ხელოვნებას. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. ხელოვნებას არ შეუძლია ერთი ადგილის ტკეპნა.

ბიენსმა თავი დაუქნია და ილუმინატორში გაიხედა.

– წყნარი ოკეანე აქამდე გინახავთ? – შეეკითხა ლოცე.

– რამდენჯერმე.

– მე არა. სან-ფრანცისკოში ჩემი ნამუშევრების გამოფენა ეწყობა, დოქტორ გებელსის

[28]

ოფისმა მოაგვარა საქმე იაპონელების ხელისუფლებასთან. კულტურული გაცვლა ხელს უწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას. უნდა შევამციროთ დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, თქვენ რას ფიქრობთ? მეტი კომუნიკაცია გვჭირდება და ამისათვის საუკეთესო საშუალება ხელოვნებაა.

ბეინსმა ისევ დაუქნია თავი. ქვემოთ, ხომალდის ძრავიდან გამოტყორცნილი ცეცხლის ზოლის მიღმა ქალაქი სან-ფრანცისკო და ყურე მოჩანდა.

– სან-ფრანცისკოში ნორმალურად სად შეიძლება იკვებო? – შეეკითხა ლოცე, – ოთახი პალას-ოტელში დამიჯავშნეს, მაგრამ როგორც გამიგია, გემრიელი საკვები არა მხოლოდ იქ, არამედ საერთაშორისო უბანშიცაა. თუ ჩაინატაუნში?

– დიახ, – თქვა ბეინსმა.

– სან-ფრანცისკო ძვირი ქალაქია? ვერ ვიტყვი, რომ ჯიბეები დამძიმებული მაქვს. სამინისტრო ძალიან ძუნწობს, – გაიცინა ლოცემ.

– გააჩნია, ფულს როგორი კურსით გადაცვლით. ვფიქრობ, რაიხსბანკის ჩეკები უნდა გქონდეთ. ყველაზე უკეთესია, თუ სემსონ-სტრიტზე ტოკიოს ბანკის განყოფილებაში გადაცვლით.

– Danke sehr, – უპასუხა ლოცემ, – თქვენ რომ არა, პირდაპირ სასტუმროში გადავცვლიდი ვალუტას.

კოსმოსურმა ხომალდმა თითქმის მიაღწია მიწას. ახლა ბეინსი ხედავდა ასაფრენ ბილიკს,

ანგარებს, ავტოსადგომებს, ქალაქისკენ მიმავალ ავტობანს, სახლებს...

«ლამაზი ხედია, – გაიფიქრა მან, – მთები და წყალი, მცირე ნისლი ოქროს კარიბჭის თავზე...»

– ეს უზარმაზარი შენობა რა არის? – შეეკითხა ლოცე, – სანახევროდაა დამთავრებული, გადაუხურავი. კოსმოსური ხომალდების აეროპორტი? როგორც ვიცი, იაპონელებს კოსმოსური ხომალდები არ ჰყავთ.

ბენსმა ღიმილით უპასუხა:

– ეგ «ოქროს ყაყაჩოს სტადიონია». ბეისბოლის.

ლოცემ გაიცინა.

– დიახ, მათ ხომ ბეისბოლი უყვართ. დაუჯერებელია. ამ გრანდიოზული სტრუქტურის მშენებლობას თავისუფალ დროს აწარმოებენ, დროის მოსაკლავი სპორტის სახეობისთვის...

ბეინსმა შეაწყვეტინა:

– ნაგებობა დასრულებულია. ასეთი ფორმა უნდა ჰქონდეს. ცალ მხარეს გახსნილი. ახალი არქიტექტურული დიზაინია. და ამ სტადიონით ძალიან ამაყობენ.

ლოცე ნაგებობას დააკვირდა.

– ისე, ეტყობა, ებრაელის დაპროექტებული უნდა იყოს.

ბეინსი ერთხანს ახალგაზრდას უმზერდა. გერმანელის ტვინში რაღაც ფსიქოზურ თავისებურებას გრძნობდა. თუ მიხვდა, რაც ეს-ესაა თქვა? თუ მხოლოდ და მხოლოდ უნებურად წამოცდენილი რეპლიკა იყო?

– იმედი მაქვს, კიდევ მოგვეცემა საშუალება სან-ფრანცისკოში შეხვედრისა, – თქვა ლოცემ, როდესაც ხომალდი მიწაზე დაეშვა, – ძალიან ძნელია უცხო ქალაქში თანამემამულის გარეშე ყოფნა.

– მე არ ვარ თქვენი თანამემამულე, – უთხრა ბეინსმა.

– ოჰ, დიახ, ასეა. მაგრამ მაინც ძალიან ახლოს ხართ. ყოველ შემთხვევაში, თქვენც იგივე მიზნები და განზრახვები გაქვთ, – ლოცე სავარძელში აწრიალდა, ქამრებისგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა.

«ნუთუ რასობრივი თვალსაზრისით ამ ადამიანთან რაიმე საერთო მაქვს?! – გაოცდა ბეინსი, – როგორ შეიძლება საერთო მიზნები და განზრახვები გვქონდეს? გამოდის, რომ მეც რაღაც ფსიქოზური თავისებურება მახასიათებს. ფსიქიკურად შეშლილების სამყაროში ვცხოვრობთ. ხელისუფლების სათავეში შეშლილია. რამდენი ხანია, რაც ეს ვიცით? რამდენი ხანია, რაც თვალი გავუსწორეთ ამ ფაქტს? და კიდევ, რამდენს აქვს ეს შეგნებული? ლოცეს ნამდვილად არა. იქნებ, როდესაც იცი, რომ შეშლილი ხარ, სინამდვილეში სრულებით არ ხარ გიჟი. ან

ბოლოს და ბოლოს, გამოჯანმრთელდები. გამოფხიზლდი. ჩემი აზრით, ძალიან ცოტა ადამიანს აქვს ეს ყველაფერი შეგნებული. აქა-იქ განრიდებით მცხოვრებ ადამიანებს. მაგრამ მასას რაც შეეხება... რა უნდა იფიქროს მასამ? აქ, ამ ქალაქში ათასობით და ათასობით ადამიანი ცხოვრობს. თუ წარმოუდგენიათ, როგორია ცხოვრება ჯანსაღ სამყაროში? ან, იქნებ, ისინი სიმართლეს გრძნობენ?»

«მაგრამ, – განაგრძო ფიქრი, – რას ნიშნავს შეშლილი? კანონიერი განმარტება რა არის? რას ვგულისხმობ? მე ვგრძნობ, ვხედავ სიგიჟეს, მაგრამ რა არის ის?»

მისი აზრით, ეს იყო რაღაც ისეთი, რასაც ისინი აკეთებდნენ, რაც მათ ჰქონდათ. ეს იყო მათი ქვეცნობიერი. დანარჩენების შესახებ ცოდნის უკმარობა. ის რომ არ აინტერესებთ, სხვები რას აკეთებენ, რისი ნგრევა გამოიწვიეს და გამოიწვევენ. «არა. ეს ის არ არის, არ ვიცი; ვგრძნობ მას, ინტუიციით ვხვდები. მაგრამ – ისინი შეგნებულად არიან სასტიკები... ასე არ არის? არა, ღმერთო. ვერ ვახერხებ ყველაფრის ცხადად ჩამოყალიბებას. ნუთუ რეალობას საერთოდ ვერ გრძნობენ? დიახ, ასეა. მეტიც. ეს მათი გეგმებია. დიახ, მათი გეგმები. პლანეტების დაპყრობა. რაღაც საზარელი და სისხლის გამყინავი, როგორიც იყო აფრიკის დაპყრობა, მანამდე კი – ევროპისა და აზიის.

მათი შეხედულება კოსმიურია. არ არსებობს ადამიანი აქ და ახლა, არც ბავშვი, არამედ მხოლოდ აბსტრაქციები: რასა, მიწა. Volk. Land. Blut. Ehre. არა ღირსეული ადამიანი, არამედ Ehre – საკუთრივ, ღირსება; აბსტრაქცია რეალობაა, აქტუალური კი მის მიღმაა დაფარული. Die Gute – არა კარგი ადამიანი, არამედ ეს კარგი ადამიანი. ასეთია სივრცისა და დროის მათეული შეგრძნება. ისინი «აქ და ამჟამად»-ის მიღმა იხედებიან, უცვლელი ვრცელი ბნელი სიღრმის იქით. და ეს ცხოვრების ფატალური დასასრულია. იმიტომ, რომ შემდეგ სიცოცხლე აღარ იქნება; იქნება მხოლოდ მტვრის ნაწილაკები კოსმოსში, ცხელი წყალბადის აირები და მეტი არაფერი, და მერე ყველაფერი თავიდან დაიწყება. ეს ინტერვალია, ein Augenblick. კოსმოსური პროცესი ჩქარობს, სიცოცხლეს გრანიტად და მეთანად აქცევს; სიცოცხლის თავზე დოლაბი ტრიალებს. გარშემო ყველაფერი დროებითია. და ისინი – ის შეშლილები – ცდილობენ შეესატყვისებოდნენ გრანიტს, მტვერს, უსასრულობას; მათ სურთ შეესატყვისებოდნენ თავად ბუნებას.

და მგონი, მესმის, რატომაც. მათ სურთ ისტორიის აგენტები იყვნენ და არა მსხვერპლნი. საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ღმერთის ძალაუფლებასთან ახდენენ და სწამთ, რომ ღმერთს ჰგვანან. ეს არის საბაზისო სიგიჟე. რაღაც არქეტიპის მსგავსით არიან მოცულები; მათი ეგო იმდენად შიზოფრენიულად გაფართოვდა, რომ თავადვე უჭირთ მისი საზღვრების დადგენა. ეს არ არის მედიდურობა, არც სიამაყე; არამედ «მეს» ისეთი უსაზღვრო გაფართოება, რომ ის ჩაიკარგა მათ სურვილებში და ახლა სურვილებსაც ვეღარ პოულობენ. ადამიანს არ ჩაუყლაპავს ღმერთი, პირიქით მოხდა.

რატომ არ სურთ იმის გაგება, რომ ადამიანი უმწეოა. სამყაროსთან შედარებით სუსტი, პატარა ვარ. ის ვერ მამჩნევს; შეუმჩნეველი ვიცხოვრებ. რით არის ეს ცუდი? განა საუკეთესო გამოსავალს არ წარმოადგენს? ვისაც ღმერთები ხედავენ, მას ანადგურებენ კიდეც. იყავი

პატარა... და მათ დამანგრეველ ეჭვიანობას გადაურჩები».

სანამ ქამარს შეიხსნიდა, ბეინსმა თქვა:

– მისტერ ლოცე, ამას ყველას არ ვეუბნები – მე ებრაელი ვარ. გესმით?

ლოცე გაოგნებული მიაშტერდა.

– თავად ვერ მიხვდებოდით, – განაგრძო ბეინსმა, – იმიტომ რომ ფიზიკურად ებრაელს აღარ ვგავარ; ცხვირი შევისწორე, სახის კანის ფართო ფორები დავავიწროვებინე, ქიმიურად გავაფერმკრთალებინე კანი, შევიცვალე თავის ქალის ფორმა. მოკლედ, ფიზიკურად ჩემი ამოცნობა შეუძლებელია. ნაცისტების მაღალ ეშელონებში შეღწევა შემიძლია და კიდეც ვახერხებ. ვერავინ ვერაფერს მიხვდა. და... – აქ შეჩერდა, ლოცესთან ახლოს, ძალიან ახლოს დადგა და ისე ხმადაბლა უთხრა, რომ მხოლოდ ლოცეს გაეგონა, – ჩემნაირი კიდევ ბევრია. გესმით? ჩვენ არ გავმქრალვართ. ისევ ვარსებობთ. თქვენ შორის შეუმჩნევლად ვცხოვრობთ.

ლოცე როგორც იქნა, გონს მოვიდა:

– მაგრამ... უსაფრთხოების სამსახური...

– უსაფრთხოების სამსახურს რასაკვირველია, შეუძლია ჩემი დოსიე შეისწავლოს. შეგიძლიათ დამასმინოთ. მაგრამ კარგი კავშირები მაქვს; მაღალი თანამდებობის არიელებთან და ებრაელებთანაც, რომლებსაც ბერლინში საპასუხისმგებლო თანამდებობები აქვთ. თქვენს ინფორმაციას ნაგავში მოისვრიან, მერე კი მე დაგასმენთ და იმავე კავშირების გამოყენებით საპატიმროში ამოყოფთ თავს, – გაუღიმა, თავი დააქნია და ლოცეს გვერდი აუარა, რათა დანარჩენ მგზავრებთან ერთად გასასვლელისკენ წასულიყო.

ყველანი ცივ, ქარიან მინდორში აღმოჩნდნენ. ქვემოთ ჩასული ბეინსი ერთ წამს ლოცეს სიახლოვეს შეჩერდა.

– იცით, – თქვა ბეინსმა, რომელიც ლოცეს უკან მიაბიჯებდა, – თქვენი შესახედაობა არ მომწონს, მისტერ ლოცე, ასე რომ, ვფიქრობ, მაინც დაგასმენ.

ერთხანს იდგა, მერე გაშეშებულ ლოცეს გაშორდა.

მინდვრის ბოლოში, რომელიც აეროპორტის შესასვლელთან მთავრდებოდა, დამხვედრთა ბრბო იდგა. მგზავრების ნათესავები და მეგობრები იქით-აქეთ იხედებოდნენ, ხელებს იქნევდნენ, იღიმებოდნენ, შეშფოთებული სახეებით ეძებდნენ თავისიანებს. განცალკევებით იდგა ჩასკვნილი იაპონელი, შესანიშნავ ინგლისურ პალტოში გამოწყობილი, ხაზგასმულად ოქსფორდული სტილის ქვაბურა ქუდი ოდნავ გვერდზე დაეხურა. მას ახალგაზრდა იაპონელი ახლდა. მისი პიჯაკის ლაცკანზე იმპერიის მთავრობის წყანაროკეანური სავაჭრო მისიების ემბლემა ლაპლაპებდა.

«ის არის, – გაიფიქრა ბეინსმა, – თავად მისტერ ტაგომი. რა პატივია...»

– ჰერ ბეინს, საღამო მშვიდობისა, – წინ წადგა ნაბიჯი იაპონელმა და თავის დაკვრით მიესალმა.

– საღამო მშვიდობისა, მისტერ ტაგომი, – ხელი გაუწოდა ბეინსმა.

მამაკაცებმა ხელი ჩამოართვეს, მერე ორივემ ერთმანეთს თავი დაუკრა. ახალგაზრდა იაპონელი რეფერენტიც თავის დაკვრით მიესალმა, თან ფართოდ იღიმებოდა.

– აქ, ამ მინდორზე ცოტათი გრილა, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – ქარია. წინააღმდეგი ხომ არ ხართ, ქალაქში მისიის ვერტმფრენით გადავფრინდეთ? თუ კიდევ სხვა საქმეები გაქვთ მოსაგვარებელი?

ჩამოსულს ყურადღებით დააკვირდა.

– არა, – უპასუხა ბეინსმა, – ჩემს სასტუმროში მინდოდა მისვლა. თანაც, ჩემი ბარგი...

– მისტერ კოტომიში მიხედავს, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – ბარგს თქვენს ნომერში მოიტანს. რომ იცოდეთ, სერ, ამ ტერმინალში ბარგის ლოდინი სულ მცირე, ერთ საათს მოგიწევთ. იმაზე მეტხანს, ვიდრე ფრენას მოანდომეთ.

მისტერ კოტომიშიმ თავაზიანად გაიღიმა.

– კი ბატონო, – თქვა ბეინსმა.

– სერ, – წამოიწყო მისტერ ტაგომიმ, – თქვენთვის საჩუქარი მაქვს.

– უკაცრავად? – დაიბნა ბეინსი.

– თავიდანვე თქვენი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, – მისტერ ტაგომიმ პალტოს ჯიბიდან პატარა ყუთი ამოიღო, – ეს პატარა ნივთი შევარჩიე ამერიკის ხელოვნების უთვალავ ნატიფ ნიმუშს შორის.

მან ყუთი გაუწოდა.

– ჰმ, გმადლობ, – ბეინსმა ყუთი ჩამოართვა.

4

ფრენკ ფრინკი დერეფანში მიმავალ თავის ყოფილ დამსაქმებელს უყურებდა, რომელიც უ-მ. კორპორაციის მთავარი სახელოსნოსკენ მიდიოდა და ფიქრობდა, უცნაურია, მაგრამ უინდემ-მატსონი ქარხნის მფლობელს არ ჰგავსო. მის შემხედვარეს, შეიძლებოდა გგონებოდა, რომ მაწანწალა იყო, ან მათხოვარი, რომელიც საპოლიციო უბანში მიყვანეს, დაბანეს, გაკრიჭეს, ახალი სამოსი მისცეს, ვიტამინების საჭირო დოზა მიაღებინეს, ხელში ხუთი დოლარი ჩაუდეს და წესიერი ცხოვრების დასაწყებად გაისტუმრეს. მოხუცებული სუსტი, არასანდო, ნერვული იყო, რაღაცნაირი შემპარავი მანერები ჰქონდა, ყველას თავისზე ძლიერს პოტენციურ მტრად აღიქვამდა, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა და მისთვის

ესიამოვნებინა. «გულს მატკენენ» – მუდამ ეს გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე.

სინამდვილეში, მოხუცებული უ-მ საკმაო ძალაუფლებას ფლობდა. მის საკუთრებაში იყო საწარმოები, სავაჭრო ფირმები და უძრავი ქონება. ეს ქარხანაც მის კორპორაციაში შედიოდა.

ფრინკი მოხუცებულს უკან მიჰყვა, მხრით მიაწვა დიდ ლითონის კარს, რომლის მიღმა მთავარი სახელოსნო მდებარეობდა. უკვე რამდენი ხანია ათობით დანადგარს ხედავდა და მთელი დღეები მათი ხმაური ედგა ყურში – ადამიანები დაზგებთან, ცეცხლის ნაპერწკლები, მტვერი, მოძრაობა. იქით მიდიოდა მეპატრონეც. ფრინკმა ნაბიჯს აუჩქარა.

– ჰეი, მისტერ უინდემ-მატსონ! – დაიყვირა მან.

მოხუცებული მთავარი ოსტატის, ედ მაკკართის გვერდით შეჩერდა. ორივენი თვალს ადევნებდნენ მათკენ მომავალ ფრინკს.

უინდემ-მატსონმა ნერვიულად მოილოკა ტუჩები და უთხრა:

– ვწუხვარ, ფრენკ; შენი უკან აყვანა არ შემიძლია. სხვა ადამიანი დავიქირავე შენს ადგილზე, იმიტომ რომ ჩავთვალე, იმის შემდეგ, რაც გუშინ თქვი, აქ მუშაობის სურვილი არ გექნებოდა, – წვრილი შავი თვალები აუელვარდა, ფრინკისთვის კარგად ცნობილი, თითქმის მემკვიდრეობითი მოუხელთებლობით. აშკარა იყო, მოხუცებული სიმართლეს არ ამბობდა, ეს მას სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

– ჩემი იარაღების წასაღებად მოვედი, მეტი არაფერი, – ფრინკს ყურში საკუთარი მტკიცე, მკაცრი ხმა ესმოდა.

– აჰა, გასაგებია, – წაიბურტყუნა უინდემ-მატსონმა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა მოეხერხებინა ფრინკის სამუშაო იარაღისთვის, ამიტომ ედ მაკკართის მიუბრუნდა.

– ჩემი აზრით, ეს შენ გეხება, ედ. გაარკვიე ფრენკთან ყველაფერი. მე საქმე მაქვს, – მერე ჯიბის საათს დახედა, – მისმინე, ედ, ინვოისზე მოგვიანებით დავილაპარაკოთ, ახლა უნდა გავიქცე.

ედ მაკკართის მხარზე ხელი დაჰკრა, შებრუნდა და სახელოსნოდან გავიდა.

ედ მაკკართი და ფრინკი ერთმანეთის გვერდით იდგნენ.

– სამუშაოზე დასაბრუნებლად მოხვედი, – უთხრა ბოლოს ედმა.

– ჰო, – იყო ფრინკის პასუხი.

– რაც გუშინ თქვი, შენი მხრიდან დიდი სიმამაცე იყო.

– რაც იყო, იყო, – უპასუხა ფრინკმა, – მაგრამ, ღმერთო, ახალ სამუშაოს ვერსად ვიშოვი, – თავს საზიზღრად გრძნობდა, – შენ ხომ იცი.

ორივეს წარსულში არა ერთხელ უსაუბრიათ, მათ შორის, საკუთარ პრობლემებზეც.

მაკკართიმ უთხრა:

– ეგ არ ვიცი. მისმინე, მთელ სანაპიროზე დაზგასთან საუკეთესო მომუშავე ხარ. რა ნივთიც არ უნდა დაგიდონ, ხუთ წუთში მის ასლს ამზადებ. გაპრიალებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ერთი ეგაა, შედუღება არ გეხერხება...

– არც არასოდეს მითქვამს, რომ შედუღება ვიცი, – თქვა ფრინკმა.

– საკუთარ საქმეს რატომ არ მიჰყვები?

გაოგნებული ფრინკი მიაშტერდა.

– რა უნდა გავაკეთო?

– ოქრომჭედლობას მოკიდე ხელი.

– ოჰ, თუ ღმერთი გწამს!

– ხელნაკეთი, ორიგინალური ნაკეთობები და არამასობრივ მომხმარებელზე გათვლილი.

მაკკართიმ ხელი მოკიდა და სახელოსნოს იმ კუთხისკენ წაიყვანა, სადაც ნაკლები ხმაური იყო.

– დაახლოებით ორი ათასი დასჭირდება პატარა სარდაფის ან გარაჟის დაქირავებას. ერთხანს საყურეებისა და გულსაბნევების ესკიზებს ვხატავდი. ხომ გახსოვს – ერთგვარი თანამედროვე რეალისტური მოდერნის სტილის იყო.

მერე ზუმფარის ქაღალდის ნაკუწზე ფანქრის მეორე ბოლოთი ნელა და გულდასმით რაღაცის ხაზვა დაიწყო.

ფრინკმა მხარზემოთ დახედა და სამაჯურის ესკიზი დაინახა, აბსტრაქტული, რთული ჩახლართული ხაზები.

– მერე ბაზარი? – ანტიკვარით მოვაჭრეთა მაღაზიებში მხოლოდ ძველი ნივთები ჰქონდა ნანახი, – ვის სჭირდება თანამედროვე ამერიკული ნაკეთობა? ასეთი რამ ომის მერე აღარ არსებობს.

– შენ თვითონ შექმენი ბაზარი, – უთხრა ბრაზით სახედამანჭულმა მაკკართიმ.

– იმას მეუბნები, რომ თავად გავყიდო?

– მაღაზიებში ჩააბარე. თუნდაც იქ – რა ჰქვია? მონტგომერი-სტრიტზე რომ არის, დიდი და მდიდრული, ძველი ნივთების მაღაზია.

– «ამერიკული ხელნაკეთი ნივთები», – თქვა ფრინკმა, რომელიც იმ მაღაზიაში ერთხელაც არ შესულა. ასეთ მდიდრულ მაღაზიაში შესვლისა და რაიმეს ყიდვის უფლებას თავს მხოლოდ იაპონელები აძლევენ.

– შენც კარგად იცი, ეგეთ ანტიკვარულ მაღაზიებში რაც იყიდება, – განაგრძო მაკკართიმ, – მთელ ქონებას რაში ანიავებენ? ინდიელების დამზადებული სულელური ვერცხლის ბალთები ნიუ-მექსიკოდან, ტურისტებისთვის განკუთვნილი იდიოტური ხარახურა. ეგრეთ წოდებული «ხალხური ხელოვნების ნიმუშები».

ფრინკმა კარგა ხანს უყურა ედს, მერე თქვა:

– კარგად ვიცი, იქ რასაც ყიდიან, – და დააყოლა, – შენც კარგად იცი.

– ჰო, – დაეთანხმა მაკკართი.

ორივემ იცოდა, იმიტომ რომ ორივე საქმეში იყო ჩართული, თანაც უკვე კარგა ხანია.

უინდემ-მატსონი კორპორაცია ოფიციალურად რკინის კიბეებს, გისოსებს, ბუხრების ბადეებსა და ახალი ბინებისთვის საჭირო ლითონის სხვა მოსართავებს აწარმოებდა სტანდარტული დიზაინის საფუძველზე. ახალი ორმოცბინიანი შენობისთვის ორმოცი ერთნაირი დეტალი იყო საჭირო. უინდემ-მატსონის კორპორაცია ერთგვარი ლითონის გადამამუშავებელი საწარმო გახლდათ. მაგრამ გარდა ამისა, სხვა საქმიანობასაც მოჰქონდა შემოსავალი.

ნარჩევი და მრავალფეროვანი იარაღის, ნედლეულის, დაზგების გამოყენებით, უინდემ-მატსონის კორპორაციაში მუდმივად ამზადებდნენ ომამდელი ამერიკული ხელოვნების ნიმუშების ასლებს. მათი მცირე პარტიები დიდი სიფრთხილით მიეწოდებოდა ხელოვნების ნივთების ბაზარს და შეერეოდა ნამდვილ ანტიკვარიატში, რომელსაც მთელ კონტინენტზე ეძებდნენ. ისე როგორც მარკების და მონეტების შემთხვევაში, აქაც რთული იყო იმის დადგენა, ნაყალბევის რამდენი პროცენტი იყო მიმოქცევაში. და ამის შეტყობა არც გამყიდველებს სურდათ და არც კოლექციონერებს.

იმ დღეს, როდესაც ფრინკი სამსახურიდან გააგდეს, მის დაზგაზე სანახევროდ გამზადებული კოლტის რევოლვერი იდო, ველური დასავლეთის ათვისების პერიოდის იარაღის ასლი; თავის ხელით დაამზადა ფორმა, ჩამოასხა და დეტალები დააგლუვა. ამერიკის სამოქალაქო ომისა და ველური დასავლეთის ათვისების პერიოდების იარაღის გასაღების ბაზარი ამოუწურავი გახლდათ. უინდემ-მატსონის კორპორაციას შეეძლო გაეყიდა ყველაფერი, რასაც ფრინკი დაამზადებდა. სწორედ ეს გახლდათ მისი ძირითადი სპეციალობა.

ფრინკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა თავის სამუშაო მაგიდას, ხელში აიღო რევოლვერის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი და ხიწვებიანი ლულის გასაწმენდი ზუმბა. ექსპერტის თვალი ნამდვილისგან განსხვავებას შეატყობდა, მაგრამ იაპონელ კოლექციონერებს ასეთი წვრილმანების არაფერი გაეგებოდათ, არც სათანადო სტანდარტებს იცნობდნენ, რომლის მიხედვით ნამდვილი იარაღის ყალბისგან გარჩევა შეიძლება.

სიმართლე ითქვას, მას ჯერ არ სმენია, რომ მათგან რომელიმეს ეჭვი შეჰპარვოდა დასავლეთ სანაპიროს მაღაზიებში შეტანილი ნივთების ნამდვილობაში. შესაძლოა ვიღაც დაინტერესდეს

კიდეც ამ საკითხით... და მაშინ ბუშტი გასკდება, მთელი ბაზარი ჩამოიშლება და მათთან ერთად, ფასს დაკარგავს მართლაც ნამდვილი ანტიკვარი. გრეჰემის კანონის თანახმად, ყალბი ნივთი ნამდვილის ფასსაც აგდებს. ასე რომ, კვლევა-ძიების ჩატარებას არავინ აპირებდა და ყველა ბედნიერი იყო. სხვადასხვა ქალაქებში განთავსებული ქარხნები საჭირო პროდუქციას ამზადებდნენ. მას ბითუმად მოვაჭრეებს უგზავნიდნენ, ისინი მაღაზიებში არიგებდნენ, გამყიდველები კი რეკლამას უწევდნენ. კოლექციონერები ფულს დაუნანებლად იხდიდნენ ყალბ ნივთებში, რომლებიც სახლებში ბედნიერი სახეებით მიჰქონდათ, რათა შემდეგ თავი მოეწონებინათ თანამშრომლების, მეგობრების, საყვარლების წინაშე.

ასე მოხდა ომის შემდეგ ქაღალდის ფულთან დაკავშირებით. თავიდან არავის არაფერი უეჭვია – იმ დღემდე, სანამ ყველაფერი არ გაირკვა. და მერე, ყველაფერი დაინგრა. მაგრამ ამ თემებზე არავინ საუბრობდა, განსაკუთრებით ისინი, ვინც ყალბ ფულს ამზადებდა; ისინი ცდილობდნენ, არ ეფიქრათ მსგავს საკითხებზე, არამედ იმაზე, თუ რას აკეთებდნენ, ყურადღებას მხოლოდ ტექნიკური პრობლემები იმსახურებს.

– დიდი ხანია, რაიმე ორიგინალურის შექმნას ცდილობ? – შეეკითხა მაკკართი.

ფრინკმა მხრები აიჩეჩა.

– რამდენიმე წელია. ყველაფრის ასლის დამზადება შემიძლია, მაგრამ...

– იცი, რას გეტყვი? შენ ეთანხმები ნაცისტებს, თითქოს ებრაელებს არაფრის შექმნა შეუძლიათ. მათ მხოლოდ იმიტირება და გაყიდვა ძალუძთ. რომ ისინი მხოლოდ შუამავლები არიან, – ედი დაცინვით უყურებდა ფრინკს.

– შეიძლება... – თქვა ფრინკმა.

– ჰოდა სცადე. რამე ორიგინალური მოიფიქრე. ან პირდაპირ ლითონზე იმუშავე. გაერთე. როგორც ბავშვები თამაშობენ.

– არა, – თავი გააქნია ფრინკმა.

– რწმენა არ გაქვს, – უთხრა მაკკართიმ, – საკუთარი თავის არ გჯერა, ხომ მართალს ვამბობ? ეს ძალიან ცუდია. იმიტომ რომ ვიცი, შეგიძლია, – ის თავისი სამუშაო ადგილისკენ წავიდა.

«ჰო, კარგი არაფერია», გაიფიქრა ფრინკმა. მაგრამ ამის მიუხედავად, სიმართლეა. ფაქტია. მარტო სურვილი არ კმარა, რომ ირწმუნო. ან ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

«ეს მაკკართი მეტისმეტად კარგი ოსტატია. შეუძლია ადამიანი ისე მომართოს, რომ ის ტყავიდან გამოძვრეს და ყველაფერი რაც შეიძლება საუცხოოდ გააკეთოს. ბუნებით ლიდერია; აქ, ცოტა ხნით, ჩემი შთაგონების წყაროც კი იყო, მაგრამ აი, მაკკართი თავის საქმეზე წავიდა და მთელი აღფრთოვანებაც ხელის ერთი მოსმით გაქრა.

ცუდია, ჩემი სამისნო წიგნის ასლი თან რომ არ მაქვს. რჩევას ვკითხავდი, – გაიფიქრა ფრინკმა,

– მხარდაჭერას ხუთი ათასი წლის წინანდელ სიბრძნეში ვიპოვიდი».

მერე გაახსენდა, რომ კორპორაციის მოსასვენებელ ოთახში «ი ძინის» ერთი ეგზემპლარი ინახებოდა. ამიტომ სახელოსნო დატოვა და დერეფანს გაუყვა.

დასასვენებელ ოთახში ქრომირებულ პლასტმასის სკამზე ჩამომჯდარმა შეკითხვა ერთ-ერთი კონვერტის უკანა მხარეზე დაწერა: «უნდა მივიღო თუ არა ედი მაკკართის წინადადება საკუთარი საქმის დაწყების თაობაზე?» და მერე მონეტების ჰაერში აგდებას შეუდგა.

ზედა ხაზზე შვიდიანი დაჯდა, მეორედაც და მესამედაც. ტრიგრამის ზედა ხაზია «ძიანი». კარგია. ძიანი შემოქმედებას ნიშნავს. მერე მეოთხე ხაზი, და მერვე. ინი. მეხუთე ხაზი, ისევ რვა, ინი. «ღმერთო, – გაიფიქრა, – კიდევ ერთი ინი თუ ამოვიდა, მაშინ მეთერთმეტე ჰექსაგრამას მივიღებ. ტაი. მყუდროება. ძალიან ხელსაყრელი შეფასებაა. მაგრამ – ხელი აუკანკანლდა მონეტის აგდებისას – იანის ხაზი და შედეგად, ოცდამეექვსე ჰექსაგრამა. და ჩუ – დიადის მიერ მოთვინიერება. ორივე ხელსაყრელი შეფასება გახლდათ, და ან ერთი უნდა ასრულებულიყო ან მეორე. კიდევ სამი მონეტა ააგდო.

ინი. ექვსიანი. მყუდროება.

წიგნი გადაშალა და კომენტარი წაიკითხა.

მყუდროება. მცირე მიდის.

დიდი ახლოვდება.

იღბალი. წარმატება.

ესე იგი, ისე უნდა მოვიქცე, როგორ ედ მაკკართი ამბობს. ჩემი საქმე წამოვიწყო. ახლა ექვსიანი ზემოთაა, ჩემი ერთადერთი წყვეტილი ხაზი. გვერდი გადააბრუნა. კომენტარი რას ამბობდა? ვეღარ გაიხსენა, შესაძლოა იმიტომ, რომ ჰექსაგრამის ზოგადი აზრი კეთილგანწყობილი მოეჩვენა. ცისა და მიწის ერთიანობა – მაგრამ აუცილებელია ყურადღება მიექცეს ჰექსაგრამის პირველ და ბოლო ხაზებს.. მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ექვსიანი ზემოთ?

წარწერას ჩააშტერდა, ერთ წამში გადაიკითხა.

გალავანი ინგრევა.

არმიას ახლა ნუ გამოიყენებ.

შენი ქალაქიდან ნუ გახვალ.

დაჟინებას დამცირება მოჰყვება.

– ყველაფერი ჩაიშალა! – წამოიყვირა შეშფოთებულმა. მერე კომენტარს მიუბრუნდა.

ჰექსაგრამის შუაგულში მითითებული ცვლილება უკვე მომხდარიყო – გალავნის ჩამოშლა

უკვე მიღწეული შედეგებისგან უკან დახევას ნიშნავს. ნგრევის დრო დადგა...

მთელ წიგნში, რომელიც სამი ათასზე მეტი სტრიქონისგან შედგებოდა, ეს ყველაზე საზარელი სიტყვები გახლდათ. თუმცა ჰექსაგრამის საერთო შეფასება კარგი იყო.

როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?

როგორ შეიძლება ისინი ასე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან? მსგავსი რამ აქამდე არასოდეს შემთხვევია. იღბალი და დაღუპვა ერთდროულად წინასწარმეტყველებაში; რა საზიზღარი ბედისწერაა, თითქოს მისანმა ერთად მოუყარა თავი კასრში ძონძებს, ძვლებს, ნაგავს, ცხოველის გამხმარ განავალს, შეანჯღრია და მერე ყველაფერი მიწაზე გადმოყარა, თითქოს მზარეულმა ქვაბის ნარეცხი გადმოასხა. «გეგონება, ორ ღილაკს ერთდროულად დავაჭირე ხელი...» გარშემო ყველაფერს გაორებულს ხედავდა. მაგრამ საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი წამით. მეტით არა.

«ჯანდაბა, – გაიფიქრა ისევ, – ან ერთი უნდა მოხდეს, ან მეორე. შეუძლებელია კარგი იღბალი გელოდებოდეს და იმავდროულად, ყველაფერი თავზე დაგემხოს».

ან იქნებ... ნუთუ...?

იღბალი საოქრომჭედლო ბიზნესის წამოწყებას ეხებოდა, კომენტარი აღნიშნულზე ნათლად მიუთითებს. მაგრამ ხაზი, ის დაწყევლილი ხაზი; ის ალბათ რაღაც უფრო მნიშვნელოვანს აღნიშნავს, მოსალოდნელ კატასტროფას, რომელიც არა მარტო საოქრომჭედლო საქმეს შეეხება. რაღაც ძალიან ცუდს, რომელიც მარტო მე არ მიკავშირდება...

«ომი! მესამე მსოფლიო ომი! დედამიწის ორი მილიარდი მცხოვრების დაღუპვა და მასთან ერთად, ცივილიზაციისაც. ციდან წყალბადის ბომბები ჩამოცვივდება...

რა ჯანდაბაა! რა ხდება? ამაში მეც ვარ გარეული? თუ ვიღაც სხვა, მაგრამ მაშინ მე რატომ მაცნობეს? ან იქნებ, საერთოდ ყველას გვეხება. ეს დაწყევლილი ფიზიკური თეორიები სინქრონული მოვლენების შესახებ, როდესაც ყოველი ნაწილაკი ერთმანეთთანაა დაკავშირებული; და თითის გატოკებითაც კი სამყაროს წონასწორობას არღვევ. გაცინებაც კი არ შეიძლება. წიგნს შლი და იქ ხუთი ათასი წლის წინ დატოვებულ ისეთ ახსნას პოულობ, ღმერთსაც კი შეშურდება. და მე რა შუაში ვარ? საერთოდ არაფერი მეხება; გარწმუნებთ.

აქ მაკკართისთან ჩემი იარაღების ასაღებად მოვედი, რომ პატარა საქმე წამოვიწყო, იმ დაწყევლილი ხაზის მიუხედავად. ვიმუშავებ და თავად შევქმნი რაღაცეებს, ვიცხოვრებ ისე, როგორც შემიძლია, სანამ შემიძლია, და ეს გალავანი თუ ჩამოიქცა, ყველასთვის ჩამოიქცევა. აი, რას მეუბნება მისანი: ბედი ყველას მიეწევა, შენ კიდევ შენს საქმეს მიხედე. ჩემი ტვინი და ხელები უნდა გამოვიყენო.

რჩევა მხოლოდ მე მეხებოდა, ჩემს ნამუშევარს, ის ხაზი კი – ყველას.

ძალიან პატარა ვარ, მხოლოდ დაწერილის წაკითხვა, თავის აწევა, დახრა და ჩემს საქმეზე

წასულს გზის მშვიდად გაგრძელება შემიძლია; მისანი არ მეუბნება, ქუჩებში ირბინე, ყვირილითა და გოდებით დანარჩენების ყურადღება მიიპყარიო.

ვინმეს თუ შეუძლია ბედისწერის შეცვლა? ყველაფერი ისეთი ჩახლართულია... ისეთი დიდი ერთობლიობაა... ან იქნებ ვიღაც საჭირო დროს მართლაც საჭირო ადგილზე აღმოჩნდა. იღბალი. შემთხვევა. და ჩვენი ცხოვრება. ჩვენი სამყარო მასზეა დამოკიდებული».

წიგნი დახურა, მოსასვენებელი ოთახიდან გავიდა და ისევ სახელოსნოს მიაშურა. ხელით ანიშნა მაკკართის, იმ კუთხეში გასულიყვნენ, სადაც ცოტა ხნის წინ საუბრობდნენ.

– რაც მეტს ვფიქრობ, – თქვა ფრინკმა, – მით მეტად მომწონს შენი წინადადება.

– მშვენიერია, – თქვა მაკკართიმ, – მისმინე. აი, რა უნდა გაკეთდეს. უინდემ-მატსონისგან ფული უნდა ავიღოთ, – ფრინკს თვალი ჩაუკრა, – რაღაც მოვიფიქრე. მეც ვტოვებ სამუშაოს. ჩემი ესკიზები ნახე. არც ისე ცუდია, რას იტყვი? ვიცი, რომ კარგია.

– ჰო, ეგრეა, – ფრინკი ცოტათი გაკვირვებული უყურებდა.

– მოდი, ამ საღამოს, სამსახურის მერე შევხვდეთ, – შესთავაზა მაკკართიმ, – ჩემთან, სახლში. დაახლოებით შვიდისთვის მოდი და ერთად ვივახშმოთ. მე და ჯინი ვიქნებით – თუ, რა თქმა უნდა, ჩემი ბავშვების არ გეშინია.

– კარგი, – უთხრა ფრინკმა.

მაკკართიმ მხარზე ხელი დაარტყა და თავის დაზგას მიუბრუნდა.

«გრძელი გზა გამოვიარე უკანასკნელი ათი წუთის განმავლობაში», გაიფიქრა ფრინკმა. მაგრამ ცუდი წინათგრძნობის ნაცვლად, აგზნებული იყო.

«ყველაფერი სწრაფად მოხდა, – ფიქრობდა, თან თავის სამუშაო იარაღს თავს უყრიდა, – ყოველთვის მინდოდა, რაღაც ამდაგვარი მომხდარიყო: შესაძლებლობა, რომელიც უეცრად გამოჩნდება...

მთელი ჩემი ცხოვრება ამას ველოდი. როდესაც მისანი ამბობს «რაღაც უნდა მოხდეს», სწორედ ამას გულისხმობს. დრო მართლაც დიდი რამაა. ახლა რა დროა? და როგორი მომენტი? ექვსიანი მეთერთმეთე ჰექსაგრამის თავზე ყველაფერს ცვლის ოცდამეექვსე ჰექსაგრამად – დიადის მიერ მოთვინიერება. ინს იანი ცვლის. ხაზი იცვლება და ახალი მომენტი დგება. მე კი ისე დავიბენი, ეს ვერ შევნიშნე!

იმიტომ რომ, ის მეექვსე ხაზი ასეთი საზარელი მეჩვენა, სინამდვილში კი მეთერთმეტე ჰექსაგრამა მისი მეშვეობით ოცდამეექვედ შეიძლება იქცეს, ექვიანის ზემოთ გადაადგილებით. ტყუილად შევშინდი».

მაგრამ, მღელვარებისა და ოპტიმიზმის მიუხედავად, ჯერ კიდევ ახსოვდა კომენტარში მითითებული სიტყვები.

«არა უშავს, – გაიფიქრა ირონიულად, – შვიდი საათისთვის ალბათ მათგან კვალიც არ დარჩება. უნდა მოვახერხო და დავივიწყო, თითქოს არც არასოდეს არსებულა. ამას ვიმედოვნებ, იმიტომ რომ ედის იდეა მართლაც ძალიან კარგია. არაჩვეულებრივია. ამის თქმა შემიძლია. და მასზე მე უარი არ უნდა ვთქვა.

ახლა, ამ მომენტში არარაობა ვარ, მაგრამ ყველაფრის გამოსწორება შემიძლია, იქნებ ჯულიანას დაბრუნებაც მოვახერხო. ვიცი, მას რა სჭირდება – სერიოზული მამაკაცი, რომელსაც საზოგადოებაში სიტყვა ეთქმის, და არა ვიღაც meshuggener. წარსულში კაცები ნამდვილი მამაკაცები იყვნენ, ომამდე. მაგრამ ახლა ასეთები აღარ არიან.

რა გასაკვირია, რომ ადგილს ვერ პოულობს, კაცებს იცვლის, და ვერ ხვდება, თავად მას რა უნდა, რას ითხოვს მისი ბიოლოგია. მაგრამ მე ვიცი; და მაკკართისთან ერთად ჩემსას მივაღწევ.

რობერტ ჩილდენი «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» დაკეტილ მაღაზიაში ლანჩის შემდეგ დაბრუნდა. ჩვეულებრივ, ქუჩას გადაჭრიდა და ყავის სახლში შედიოდა ხოლმე. როგორც წესი, ლანჩს ნახევარ საათს ანდომებდა, მაგრამ დღეს სულ ოცი წუთი იკმარა. მისტერ ტაგომისთან ვიზიტის გამო დაკარგული გუშინდელი დღის გახსენება ჯერ კიდევ უფუჭებდა მადას.

გუშინვე, მაღაზიაში დაბრუნებულმა თავი დაარწმუნა, რომ მოქმედების ახალი სტრატეგია უნდა შეემუშავებინა. ყველა საქმე მხოლოდ მაღაზიაში მოეგვარებინა.

ორი საათი დაკარგა ნიმუშების ჩვენებაზე. ძალიან ბევრია. საერთო ჯამში კი ოთხი საათი; მაღაზიის გაღებას აზრი აღარ ჰქონდა. გამოდის, რომ მთელი ნაშუადღევის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნივთი გაყიდა – ძველი მიკის მაუსის თავის ფორმის საათი. ძალიან ძვირად ღირებული ექსპონატი, მაგრამ მაინც... – მაღაზიის კარი გააღო, კუთხეში მივიდა პალტოს ჩამოსაკიდებლად.

როდესაც შემობრუნდა, მყიდველი დაინახა. თეთრკანიანი მამაკაცი.

«ჰმ», გაიფიქრა გაკვირვებულმა.

– გამარჯობა, სერ, – ჩილდენმა თავი ოდნავ დაუკრა სტუმარს. სავარაუდოდ პინოკიოა. მოხდენილი აღნაგობის, უფრო მუქკანიანი ეთქმის. გემოვნებით, მოდურად აცვია. მაგრამ თავს ცოტათი უხერხულად გრძნობს. ოფლმა დაასხა კიდეც.

– დღე მშვიდობისა, – წაიბურტყუნა უცნობმა, რომელიც მაღაზიაში მიმოდიოდა და აქეთ-იქით იხედებოდა. მერე დახლთან მივიდა, საწვიმრის ჯიბეში პატარა, ტყავის ლაპლაპა სავიზიტო ბარათების ჩასადები მოძებნა და იქიდან ერთი ცალი ბარათი ამოიღო – ფერადი, ნატიფი ოსტატობით შესრულებული.

სავიზიტო ბარათზე იმპერიის გერბი მოჩანდა. და სამხედრო ნიშანი. სამხედრო-საზღვაო ძალების. ადმირალი ჰარუშა. რობერტ ჩილდენზე სავიზიტო ბარათმა შთაბეჭდილება მოახდინა, დაკვირვებით ათვალიერებდა.

– ადმირალის ხომალდი, – დაიწყო ახსნა კლიენტმა, – ამჟამად სან-ფრანცისკოს ყურეშია. ავიამზიდი «სიოკაკუ».

[29]

– გასაგებია, – თქვა ჩილდენმა.

– ადმირალი ჰარუშა აქამდე დასავლეთის სანაპიროს არასოდეს სწვევია, – განაგრძო კლიენტმა, – მას ამ ვიზიტთან დაკავშირებით დიდი გეგმები ჰქონდა და კერძოდ, თქვენი სახელგანთქმული მაღაზიის მონახულებას აპირებდა. მშობლიურ კუნძულებზეც კი სმენიათ «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» შესახებ.

აღფრთოვანებულმა ჩილდენმა თავი დაუკრა.

– მაგრამ, – აგრძელებდა კლიენტი, – გადატვირთული გრაფიკის გამო, ადმირალს არ შეუძლია პირადად ეწვიოს თქვენს გამორჩეულ მაღაზიას. მან მე გამომგზავნა. მისი რწმუნებული ვარ.

– ადმირალი კოლექციონერია? – შეეკითხა ჩილდენი, გონება ელვის სისწრაფით უმუშავებდა.

– ხელოვნების მოყვარულია. აფასებს კარგ ნივთებს. მაგრამ კოლექციონერი არ არის. მას საჩუქრის შეჩევა სურს: უნდა, ხომალდის თითოეულ ოფიცერს ღირებული ისტორიული არტეფაქტი გადასცეს, ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდის იარაღის სახით, – მერე დაამატა, – ხომალდზე სულ თორმეტი ოფიცერია.

ჩილდენმა გაიფიქრა, რომ სამოქალაქო ომის პერიოდის იარაღის თორმეტი ეგზემპლარის შემთხვევაში საქმე ათი ათას დოლარს ეხებოდა, და გააჟრჟოლა.

– ყველასთვის კარგად არის ცნობილი, – განაგრძობდა სტუმარი, – რომ თქვენს მაღაზიაში შესაძლებელია ასეთი რარიტეტების – ამერიკის ისტორიის შესახებ წიგნის გვერდებიდან გაცოცხლებული არტეფაქტების – შეძენა. სამწუხაროდ, ასეთი ნივთები დროის სვლას ვერ უძლებს.

სიტყვების გულდასმით შერჩევის შემდეგ – ასეთი საქმის ხელიდან გაშვება დაუშვებელი იყო – ჩილდენმა უპასუხა:

– დიახ, მართალს ბრძანებთ. წყნარი ოკეანის შტატების დანარჩენი მაღაზიებისგან განსხვავებით, სამოქალაქო ომის პერიოდის საუკეთესო კოლექციას მართლაც ჩემთან შეხვდებით. მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ, ადმირალ ჰარუშას ვემსახურო. პირადად უნდა ვესტუმრო კოლექციის საჩვენებლად «სიოკაკუზე»? მაგალითად, დღეს ნაშუადღევს, ეს შესაძლებელია?

– არა, – თავი გააქნია კლიენტმა, – უფლებამოსილი ვარ, ადგილზე დავათვალიერო ეგზემპლარები.

«თორმეტი», ფიქრობდა ჩილდენი. მას იარაღის თორმეტი ეგზემპლარი არ ჰქონდა – მის განკარგულებაში მხოლოდ სამი იყო. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში თორმეტის მოგროვებასაც შეძლებდა. ყველა არხის ამოქმედება იყო საჭირო. საჰაერო ფოსტის დახმარებით აღმოსავლეთის სანაპიროდან შეკვეთის მიღება. ასევე ადგილობრივი შუამავლების გამოყენება.

– დიახ, სერ, – თქვა ჩილდენმა, – თქვენ თუ იცნობთ ამგვარ იარაღს?

– მეტ-ნაკლებად, – უპასუხა სტუმარმა, – ცეცხლსასროლი იარაღის მცირე კოლექციას ვფლობ, მათ შორის არის დაახლოებით 1840 წელს დომინოს ქვის ფორმის პატარა, საიდუმლო პისტოლეტი.

– მშვენიერი ნივთია, – ჩილდენი სეიფისკენ გაემართა, რათა ადმირალ ჰარუშას რწმუნებულისთვის საჭირო იარაღი ეჩვენებინა.

დახლთან დაბრუნებულმა დაინახა, რომ მამაკაცი ჩეკს წერდა.

– ადმირალი მზადაა, წინასწარ გადაიხადოს თანხა. დეპოზიტი – თხუთმეტი ათასი წყნარი ოკეანის შტატების დოლარი.

ჩილდენს თვალები დაებინდა. მაგრამ თავს მოერია, ხმა არ აჰკანკალებია, თავისთვისაც კი გასაკვირად ოდნავ მობეზრებულის ინტონაციით უპასუხა:

– როგორც გენებოთ. ეს არ არის აუცილებელი, ჩვეულებრივი ფორმალობაა.

ტყავისა და თექისგან დამზადებული ყუთი დახლზე დადო:

– ეს გახლავთ განსაკუთრებული ეგზემპლარი, 1860 წლის 44-კალიბრიანი კოლტი, – ყუთი გახსნა, – აქ თოფისწამალი და ტყვიაცაა. გამოიყენებოდა აშშ-ის არმიის შეიარაღებაში და ცისფერფორმიანი ბიჭები ამ იარაღით იბრძოდნენ მაგალითად, ბულ-რანის მეორე ბრძოლაში

[30]

.

სტუმარი მცირე ხანს დაკვირვებით ათვალიერებდა კოლტს. შემდეგ ჩილდენს შეხედა და მშვიდად უთხრა:

– სერ, ეს იარაღი იმიტაციაა.

– რა ბრძანებთ? – შეეკითხა გაოგნებული ჩილდენი.

– მოცემული ნივთის ასაკი სულ რაღაც ექვსი თვეა, სერ, ვიღაცამ ნაყალბევი მოგყიდათ.

ძალიან ვწუხვარ. მაგრამ თავად შეხედეთ – ხის ტარი. ხელოვნურადაა დაძველებული ქიმიური ნივთიერებების დახმარებით... რა დასანანია, – იარაღი ყუთში ჩადო.

ჩილდენი იარაღს დასწვდა: ვერც კი მოისაზრა, რა უნდა ეთქვა. კოლტი რამდენჯერმე შეატრიალა, შემოატრიალა და ბოლოს თქვა:

– ეს შეუძლებელია.

– ისტორიული ავთენტური იარაღის იმიტაციაა. მეტი არაფერი. ძალიან ვწუხვარ, სერ, მესმის, რომ იმედი გაგიცრუვდათ. შესაძლოა, რაღაც თაღლითობას აქვს ადგილი. აუცილებლად უნდა აცნობოთ სან-ფრანცისკოს პოლიციას, – მამაკაცმა თავი დაუქნია, – ჩემი აზრი ასეთია. სავარაუდოდ, თქვენს მაღაზიაში სხვა ნივთებიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტაციაა. როგორ შეიძლება, სერ, თქვენ, მაღაზიის მფლობელი, ნივთებით მოვაჭრე, მათ ისე იღებდეთ, რომ ვერ გაარჩიოთ ნაყალბევი ნამდვილისგან?

სიჩუმე ჩამოწვა.

სტუმარმა ხელი გაიწოდა და სანახევროდ შევსებული ჩეკი აიღო. კალამიცა და ჩეკიც ჯიბეში ჩაიდო, მერე ჩილდენს თავი დაუქნია და თქვა:

– სამწუხაროა, სერ, მაგრამ «ამერიკულ ხელნაკეთ ნივთებთან» საქმეს ვეღარ დავიჭერ. ადმირალ ჰარუშას გული დასწყდება. იმედი მაქვს, გესმით ჩემი.

ჩილდენი ისევ იარაღს დასცქეროდა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – განაგრძო სტუმარმა, – თუ არ მიწყენთ, ჩემი რჩევაა ყველა ნივთი ყურადღებით შეამოწმებინოთ ხოლმე ექსპერტს. თქვენი რეპუტაცია... დარწმუნებული ვარ, გესმით რასაც ვამბობ.

ჩილდენმა წაილუღლუღა:

– სერ, შეგიძლიათ...

– ოჰ, ამაზე ნუ ინაღვლებთ, სერ. არავის ვეტყვი. ადმირალს მოვახსენებ, ვითომ სამწუხაროდ, თქვენი მაღაზია დღეს დაკეტილი იყო. ბოლოს და ბოლოს... – მამაკაცი კართან შეყოვნდა, – ორივენი, ბოლოს და ბოლოს, თეთრკანიანები ვართ.

კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და მერე გაუჩინარდა.

მარტო დარჩენილ ჩილდენს იარაღი ისევ ხელში ეჭირა.

«შეუძლებელია», გაიფიქრა ისევ.

«მაგრამ თურმე შეიძლება. კეთილი ღმერთი ზეცაშია. გავკოტრდი. თხუთმეტათასიანი საქმე დავკარგე. და ჩემი რეპუტაციაც მივაყოლე. ეს კაცი, ადმირალ ჰარუშას რწმუნებული, ენაგრძელი თუ აღმოჩნდა...»

«თავს მოვიკლავ, – გადაწყვიტა, – ბიზნესი დავკარგე. შეუძლებელია, საქმე გავაგრძელო. ეს ფაქტია.

მაგრამ იქნებ... ის კაცი შეცდა.

იქნებ იცრუა?

«შეერთებული შტატების ისტორიულმა ნივთებმა» მოაგზავნა ჩემს გასაკოტრებლად. ან იქნებ, «დასავლეთ სანაპიროს ხელოვნების იშვიათმა ნიმუშებმა»?

მნიშვნელობა არ აქვს – ჩემმა რომელიმე კონკურენტმა.

იარაღი კი ეჭვმიუტანლად ნამდვილია.

ჩემთან როგორ მოხვდა?»

ჩილდენის გონება მთელი სისწრაფით ამუშავდა.

«ჰო. იარაღს ექსპერტიზისთვის კალიფორნიის უნივერსიტეტში გავგზავნი. იქ სისხლის სამართლის დეპარტამენტი აქვთ. ვიღაცეებს ვიცნობ, ერთხელ უკვე მივმართე. ძველი სახაზინო ნაწილიდან დასატენი იარაღის ნამდვილობის დადგენა იყო საჭირო».

ქალაქის ერთ-ერთ საკურიერო სამსახურს დაუკავშირდა და კურიერი გამოიძახა. იარაღი შეფუთა და უნივერსიტეტის ლაბორატორიის სახელზე წერილი დაწერა თხოვნით, რომ იარაღის ასაკი დაედგინათ და შედეგი მისთვის ტელეფონით ეცნობებინათ. მოსულ კურიერს ჩილდენმა იარაღი და წერილი მისამართთან ერთად გადასცა და სთხოვა, ვერტმფრენით გაფრენილიყო. კურიერი წავიდა, ჩილდენი კი შედეგის მოლოდინში მაღაზიაში ბოლთის ცემას მოჰყვა.

სამ საათზე უნივერსიტეტიდან დარეკეს.

– მისტერ ჩილდენ, – გაისმა ხმა, – თქვენ გსურდათ, 1860 წელს შეიარაღებაში არსებული 44-კალიბრიანი კოლტის ავთენტურობა შეგვემოწმებინა, – პაუზის დროს ჩილდენს მღელვარებისგან კინაღამ ხელში ჩაეფშვნა ყურმილი, – ლაბორატორიის დასკვნას წაგიკითხავთ: ეს არის ასლი, რომელიც პლასტმასის ფორმაშია ჩამოსხმული და შემდეგ დაამუშავეს, გამონაკლისია კაკლის ხისგან დამზადებული ტარი. სერიული ნომერი ყალბი გახლავთ. კორპუსი ციანიდით ნაწრთობი არ არის. ორივე, ყავისფერი და ლურჯი ზედაპირი მიღებულია თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით – მთელი იარაღი ხელოვნურად დაამველეს, ისეთი სახე მისცეს, რომ ძველსა და ნახმარს დამსგავსებოდა.

– ერთმა იყიდა და მერე მე შემომთავაზა... – სწრაფად ჩაურთო ჩილდენმა.

– უთხარით, რომ მოატყუეს, – უპასუხა უნივერსიტეტის ტექნიკური სამსახურის თანამშრომელმა, – და ძალიან ოსტატურადაც. კარგი ნახელავია. ნამდვილი ოსტატის ხელი ეტყობა. აი, მაგალითად, ავთენტური იარაღის მთავარი მახასიათებელი – იცით ხომ,

ლითონის მოლურჯო ფერის დეტალები? ამ შემთხვევაში ისინი ტყავში გაახვიეს, მერე ყველაფერი ერთად ციანიდის აირზე გაათბეს. ეს ძალიან რთული პროცედურაა. მხოლოდ კარგად აღჭურვილ სახელოსნოშია შესაძლებელი მისი ჩატარება. გარდა ამისა, აღმოვაჩინეთ მთელი რიგი საპრიალებელი და დასახვეწი ნაერთი, ზოგიერთი – საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობის. სრულიად დარწმუნებით თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ როგორც ჩანს, ასეთი ნაყალბევების დამზადების აწყობილი წარმოება უნდა არსებობდეს. ასე ჩანს. ეს ნივთი მეტისმეტად ოსტატურადაა დამზადებული.

– არა, – თქვა ჩილდენმა, – ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭორია. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასეა, სერ, – ხმას აუწია და ლამის წიკვინებდა, – ამ საქმეში ვარ და ვიცი. ასე რომ არ იყოს, რატომ გამოგიგზავნიდით? ამდენი წლის შემდეგ ნაყალბევის ნამდვილისგან გარჩევა შემიძლია. შემიძლია ვთქვა, რომელია რარიტეტი და რომელი – ასლი. ეს კი ნაყალბევია, ვიღაცის ოინი, – ცოტა ხნით დადუმდა სულის მოსათქმელად, – დიდი მადლობა, რომ ჩემი ეჭვი დაადასტურეთ. ანგარიში გამომიგზავნეთ. გმადლობთ.

ყურმილი დაკიდა.

მერე, ისე რომ წუთი არ დაუკარგავს, თავისი ჩანაწერები გადაშალა. იარაღის კვალი უნდა ეპოვა. როგორ მოხვდა მასთან? ვისგან?

როგორც გაარკვია, იარაღი გაყიდა ერთ-ერთმა უდიდესმა საშუამავლო ფირმამ სან-ფრანცისკოში. ვან-ნესზე მდებარეობს, შუამავალი რეი კელვინია. მაშინვე დაურეკა.

– თუ შეიძლება, მისტერ კელვინთან შემაერთეთ, – ხმა შესამჩნევად მტკიცე გაუხდა.

ყურმილში ხრინწიანი, დაძაბული «დიახ» გაისმა.

– ბობ ჩილდენი ვარ. მონტგომერიზე, «ამერიკული ხელნაკეთი ნივთებიდან». ერთი დელიკატური საკითხის თაობაზე გირეკავ. შენთან შეხვედრა და პირადად გასაუბრება მინდა, დღეს, თუ გინდა შენს ოფისში, ან სადმე, სადაც იტყვი. ძალიან სერიოზული საქმეა, დამიჯერე, სერ, – ახლაღა მიხვდა, რომ თითქმის ყვიროდა.

– კარგი, – თქვა რეი კელვინმა.

– არავის უთხრა. სრულიად კონფიდენციალური საქმეა.

– ოთხზე?

– იყოს ოთხზე, – თქვა ჩილდენმა, – შენს ოფისში. კარგად.

ისეთი განრისხებით დაანარცხა ყურმილი, რომ ტელეფონი იატაკზე აღმოჩნდა. დაიხარა, აიღო და თავის ადგილზე დადო.

შეხვედრამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი. მთელი ეს დრო ბოლთის ცემაში, უიმედობასა და მოლოდინში უნდა გაატაროს. რა გააკეთოს? ერთმა აზრმა გაუელვა. «ტოკიო ჰერალდის»

სან-ფრანცისკოს განყოფილებაში დარეკა, მარკეტ-სტრიტზე.

– ბატონებო, – თქვა ზრდილობიანად, – თუ შეიძლება, მითხარით, ყურეში დგას თუ არა ავიამზიდი «სიოკაკუ», და თუ დგას, რამდენ ხანს დარჩება. დიდად დამავალებს თქვენი პატივსაცემი გაზეთი, ამ ინფორმაციის გადამოწმებას თუ შეძლებს.

ლოდინის მტანჯველი წამები. მერე გოგონას ხმა გაისმა:

– სერ, ჩვენი ცნობებით, – აშკარად ძლივს იკავებდა სიცილს, – ავიამზიდი «სიოკაკუ» ფილიპინების ზღვის ფსკერზეა. 1945 წელს ამერიკული წყალქვეშა ნავის წყალობით. კიდევ რით შემიძლია დაგეხმაროთ, სერ?

როგორც ჩანს, გაზეთის რედაქციაში შესაბამისად აფასებდნენ მსგავს «ხუმრობებს».

ყურმილი დაკიდა. «სიოკაკუ» უკვე ჩვიდმეტი წელია აღარ არსებობს. სავარაუდოდ, არც ადმირალი ჰარუშა. ის კაცი თაღლითი აღმოჩნდა. და...

მართალიც. 44-კალიბრიანი კოლტი ნაყალბევია.

ამ ყველაფრის აზრს ვერ ხვდებოდა.

იქნებ ის კაცი გადამყიდველი იყო; სამოქალაქო ომის პერიოდის იარაღის ბაზრის ჩიხში მოქცევა სცადა, ან – ექსპერტი. ნაყალბევი მაშინვე ამოიცნო; პროფესიონალთა შორის პროფესიონალია.

მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია ასეთ რამეს მიხვდეს. ვიღაცას, ვინც საქმეშია. და არა კოლექციონერს.

ჩილდენს გულზე მოეშვა. ასე რომ, მეტად მცირეა იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც ნაყალბევის აღმოჩენა შეუძლია. იქნებ, მეტი საერთოდ არც არის. საიდუმლოს საფრთხე არ ემუქრება.

იქნებ, ყველაფერი ძველებურად დარჩეს?

ცოტა ხანს იფიქრა. არა. უნდა გამოიკვლიოს. პირველ რიგში კი, ფული დაიბრუნოს – რეი კელვინისგან. და – დანარჩენი არტეფაქტებიც უნივერსიტეტის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად წაიღოს.

მაგრამ, თუ სხვებიც ნაყალბევია?

ძალიან რთული საქმეა.

როგორც გადაწყვიტა, მხოლოდ ერთი გზა დარჩა. თავს ცუდად გრძნობდა, უიმედოდაც კი. რეი კელვინთან უნდა მივიდეს. პირზე დაადგეს. დაჟინებით მოთხოვოს მომარაგების წყაროს დასახელება. იქნებ რეიც უდანაშაულოა. იქნებ არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გააგებინოს, რომ მისგან აღარ მიიღებს გასაყიდად არც ერთ ნაყალბევ ნივთს.

«მე კი არა, ის უნდა შეეგუოს ფულის დაკარგვას, – გაიფიქრა ჩილდენმა, – თუ გაჯიუტდა, სხვა შუამავლებთან დავიჭერ საქმეს და მათ ყველაფერს მოვუყვები; მისი რეპუტაცია შეილახება. მის გამო ჩემი ბიზნესი რატომ უნდა გაკოტრდეს? ორმო ვინც ამოთხარა, ის უნდა ჩავარდეს მასში.

მაგრამ ჯერ ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ჯერ მხოლოდ ერთმანეთში გავარკევთ საქმეს».

5

რეი კელვინის ზარმა მისტერ უინდემ-მატსონი ააფორიაქა. აზრი ვერ გამოიტანა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ კელვინი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო დარეკვის დრო – ღამის თორმეტის ნახევარი – უინდემ-მატსონი აპირებდა, სტუმარ ქალბატონთან განცხრომისთვის მიეცა თავი მურომაშის სასტუმროში დაქირავებულ თავის აპარტამენტში.

კელვინმა უთხრა:

– მისმინე, მეგობარო, უკან გიბრუნებთ უკანასკნელ შეკვეთას. ჩემი ნება რომ იყოს, დანარჩენ ხარახურასაც დავაბრუნებდი, მაგრამ თანხა იმათში უკვე გადახდილია, ბოლო პარტიაში კი – ჯერ არა. ანგარიშსწორების თარიღი თვრამეტი მაისია.

რასაკვირველია, უინდემ-მატსონმა საკითხის გარკვევა სცადა.

– ყველაფერი ნაყალბევია, – თქვა კელვინმა.

– კი მაგრამ, ეს ხომ ისედაც იცოდი, – გაოცება ვერ დამალა, – მისმინე, რეი, საქმის ვითარებას ხომ თავიდანვე იცნობდი?

მიიხედ-მოიხედა; გოგონა ოთახში არ ჩანდა, ალბათ სადმე გავიდა, სავარაუდოდ, ტუალეტში.

– ვიცი, რომ ნაყალბევს ვყიდულობდი, – უპასუხა კელვინმა, – ეს არ მქონია მხედველობაში. იმაზე გელაპარაკები, რომ დაბალი ხარისხისაა. მისმინე, საერთოდ არ მაინტერესებს, ჩვენთვის მოყიდული თქვენი იარაღიდან ნამდვილად ისროდნენ თუ არა სამოქალაქო ომის დროს; ჩემთვის მნიშვნელოვანია 44-კალიბრიანი კოლტი შეესატყვისებოდეს იმას, რაც კატალოგშია: სტანდარტები დაცული იყოს. რობერტ ჩილდენი თუ იცი, ვინ არის?

– ჰო, – რაღაც კი გაახსენდა, მაგრამ კონკრეტულად ამ სახელისა და გვარის თვალწინ არავინ წარმოუდგა. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ადამიანი იყო.

– დღეს ჩემთან მოვიდა. ჩემს ოფისში. სამსახურიდან გირეკავ, სახლიდან არა; მასთან შეხვედრა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მოკლედ,

მოსულია და შენ გამო ძალიან ბრაზობს. ეშმაკივით დამესხა თავს. მართლა ძალიან გაბრაზებულია. როგორც ჩანს, ვიღაც დიდი კლიენტი ჰყავდა, იაპონელი ადმირალი,

რომელმაც რწმუნებული მიუგზავნა. ჩილდენს ოციათასიანი შეკვეთა ჰქონდა, თუმცა ალბათ ცოტას აჭარბებს. ასეა თუ ისე, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, მთავარი სხვა რამეა – იმ იაპონელის მიგზავნილი კაცი ამბობს, რომ იარაღის ყიდვას აპირებს, ხელში იღებს 44-კალიბრიან კოლტს, ერთ-ერთს შენი გამოგზავნილი ხარახურიდან და მაშინვე აცხადებს, რომ ნაყალბევია. ფული უკან, ჯიბეში ჩაიდო და მაღაზიიდან აორთქლდა. ახლა რას იტყვი?

უინდემ-მატსონს სათქმელი არაფერი ჰქონდა. მაგრამ უეცრად თავში გაუელვა, რომ ეს იმათი ნამოქმედარი იქნებოდა – ფრინკისა და მაკკართის. წასვლისას უთხრეს, რომ რაღაც მოიფიქრებდნენ. მაგრამ რას – წარმოდგენა არ ჰქონდა. კელვინის მონაყოლიდან გაუგებარი დარჩა, რის გაკეთება მოახერხეს.

ზებუნებრივმა შიშმა მოიცვა. იმ ორმა როგორ მოახერხა თებერვალში დამზადებული ეგზემპლარის ხელში ჩაგდება? შეიძლებოდა პოლიციაში განეცხადებინათ ან გაზეთებისთვის მოეყოლათ, ან სულაც საკრამენტოში პინოკიოების მთავრობა ჩაეყენებინათ საქმის კურსში. და რასაკვირველია, მას მოუწევდა ყველასთვის პასუხის გაცემა. ჯანდაბა. არც კი იცოდა კელვინისთვის რა ეპასუხა; რაღაც წაილუღლუღა თანაგრძნობის მსგავსი, რომ გვიანია, და საუბრის დამთავრება მოახერხა.

ყურმილი როცა დაკიდა, მიხვდა, რომ რიტა საწოლი ოთახიდან მისაღებში დაბრუნებულიყო, ბოლთას სცემდა და საუბარს ყურს უგდებდა; ალბათ იქ ლოდინი მოსწყინდა და ახლა მხოლოდ შავი ფერის აბრეშუმის პერანგის ამარა შორიახლოს იდგა, მისი გაშლილი ქერა თმა მცირე ჭორფლით დაფარულ მხრებზე ეშვებოდა.

– პოლიციას მიმართე, – ურჩია გოგონამ.

«ჰმ, უფრო იაფი დამიჯდება, იმ ორს რომ მოვაკეტინო, თითოს ათასს გადავუხდი. ან ცოტა მეტს. დათანხმდებიან, იმიტომ რომ სწორედ ეს უნდათ. წვრილფეხობას მცირე თანხაც აკმაყოფილებს – მათთვის ეს მთელი ქონებაა. ახალ საქმეს წამოიწყებენ და ერთი თვის შემდეგ გაკოტრდებიან».

– არა, – უპასუხა.

– რატომ? გამოძალვა დანაშაულია.

მისთვის ახსნა რთული იყო. უკვე შეეჩვია ადამიანებისთვის ფულის გადახდას; ეს გასავლის ნაწილს წარმოადგენდა. თუ რასაკვირველია, თანხა დიდი არ იყო... მაგრამ გოგონას სიტყვები აზრიანი ეჩვენა და დააფიქრა.

«იმათ ორი ათასს გადავუხდი, მაგრამ იმ ნაცნობ გამომძიებელსაც მოვინახულებ, პოლიციიდან. ვეტყვი, მათი დოსიეები შეამოწმონ, იქნებ რამე საინტერესოს გამოჰკრან ხელი. თუ კიდევ მოვლენ, დასახვედრად მზად ვიქნები».

«მაგალითად, – გაახსენდა, – ვიღაც ფრინკზე მეუბნებოდა, რომ ურიაა. შეიცვალა ცხვირის ფორმა და გვარი. საკმარისია გერმანიის კონსულს ვაცნობო. მარტივი საქმეა: ის იაპონელების

ხელისუფლებისგან ექსტრადირებას მოითხოვს. ამ არამზადას, სადემარკაციო ხაზს გადაკვეთს თუ არა, მიხედავენ. მე მგონი, ნიუ-იორკის საკონცენტრაციო ბანაკებში ერთი-ორი გაზის კამერა ჯერ კიდევ შემორჩა.

– მიკვირს, – თქვა გოგონამ, – რომ თქვენი სტატუსის მქონე ადამიანს ვიღაც დაშანტაჟებას უბედავს.

– კარგი, აგიხსნი, – უპასუხა მამაკაცმა, – მთელი ეს ანტიკვარიატით ვაჭრობა სრული სისულელეა. ხელისუფლებაში მყოფი იაპონელები კი ნამდვილი დოყლაპიები არიან. ახლავე დაგიმტკიცებ...

წამოდგა, კაბინეტში გავიდა და იქიდან ორი სანთებელით ხელში დაბრუნდა. ორივე ყავის დაბალ მაგიდაზე დადო.

– ორივეს დააკვირდი. ერთი შეხედვით, ერთნაირებია, ხომ ასეა? ახლა კი, მისმინე. ერთ-ერთი სანთებელა ისტორიული ნივთია.

გოგონას გაუღიმა.

– ხელში აიღე. კარგად დააკვირდი. ამათგან ერთი ორმოცი ან ორმოცდაათი ათასი დოლარი ღირს კოლექციონერების ბაზარზე.

გოგონამ ორივე სანთებელა ხელში აიღო და დაკვირვებით დაათვალიერა.

– აბა, გრძნობ? – შეეკითხა ხუმრობით, – ისტორიულობა არ იგრძნობა?

– ისტორიულობა რა არის?

– როდესაც რაღაც ნივთი რომელიმე ისტორიულ მოვლენას უკავშირდება. «ზიპოს» ფირმის ამ ორი სანთებელიდან ერთი ფრანკლინ დელანო რუზველტის ჯიბეში იდო, როდესაც მოსაკლავად თავს დაესხნენ. მეორე კი ჩვეულებრივი სანთებელაა. ერთი თავად არის ისტორია, ეშმაკმა იცის, რამდენი ამბავი უკავშირდება მას.

ძნელია მეორე ასეთი ნივთის პოვნა. ხოლო მეორე ჩვეულებრივი სანთებელაა. ახლა გასაგებია? გრძნობ თუ ვერა? – მაინც არ ეშვებოდა, – ვერა. არ შეგიძლია ასეთი რამ შეიგრძნო. მასში მისტიკური არაფერია, მის გარშემო არავითარი «შარავანდედი» არ ჩანს.

– მოიცა, – მიაჩერდა გოგონა, – ეს რა, მართალია? ამათგან ერთ-ერთი იმ დღეს მართლა ედო ჯიბეში?

– მართლა. და მე ვიცი, რომელი. ახლა კი ეცადე გაიგო, რასაც ვამბობ: ყველა ეს ვითომდა ისტორიული რელიკვია, სინამდვილეში თაღლითობაა; და ყველა ერთ თამაშს თამაშობს. იმას ვგულისხმობ, რომ მაგალითად, იარაღი, რომლითაც იბრძოდნენ რომელიმე სახელგანთქმულ ბრძოლაში, ვთქვათ, მესი-არგონის შეტევისას

[31]

ისეთივეა, როგორიც მისი მსგავსი ნებისმიერი სხვა იარაღი. და ასეთად დარჩება მანამდე, სანამ მის შესახებ რაიმე ამბავს არ გაიგებ. ამბავი კი აქ არის, – ხელი თავზე დაიტყაპუნა, – და არა იარაღში. ადრე კოლექციონერი ვიყავი. სიმართლე ითქვას, ამ ბიზნესში სწორედ ასე მოვხვდი. მარკებს ვაგროვებდი. ბრიტანეთის ადრეული კოლონიებისას.

გოგონა გულხელდაკრეფილი იდგა ფანჯარასთან და ქვემოთ სან-ფრანცისკოს მოციმციმე სინათლეებს უყურებდა.

– დედაჩემი და მამაჩემი ხშირად ამბობდნენ, მაშინ რომ არ მომკვდარიყო, ომს არ წავაგებდითო.

– კარგი, – აგრძელებდა უინდემ-მატსონი, – ახლა კი დავუშვათ, რომ გასულ წელს კანადის მთავრობამ ან ვინმე სხვამ, მნიშვნელობა არ აქვს, აღმოაჩინა მარკების დასაბეჭდი მატრიცები, ფირფიტები, მელანი. და მარკების მარაგიც...

– არ მჯერა, რომ ამ ორი სანთებელიდან ერთ-ერთი ფრანკლინ რუზველტს ეკუთვნოდა, – უთხრა გოგონამ.

უინდემ-მატსონმა გადაიხარხარა.

– ჰოდა მეც ამას ვამბობ! მე შემიძლია დაგიმტკიცო სათანადო დოკუმენტით. მისი ავთენტურობის დამამტკიცებელი ცნობით. და ეს ყველაფერი სისულელეა. იმიტომ რომ, ასე ოფიციალური ქაღალდი უფრო მნიშვნელოვანი გამოდის, ვიდრე თავად ნივთი!

– ცნობა მაჩვენე.

– ახლავე, – ადგილიდან წამოიჭრა და ისევ კაბინეტში დაბრუნდა. კედლიდან სმითსონის ინსტიტუტის გაცემული და ჩარჩოში ჩასმული სერტიფიკატი ჩამოხსნა; ცნობა და სანთებელა მთელ ქონებად დაუჯდა, მაგრამ ამად ღირდა – იმიტომ რომ საშუალებას აძლევდა, საკუთარი სიმართლე დაემტკიცებინა – «ნაყალბევი» სინამდვილეში ზუსტად იმავეს ნიშნავს, რასაც «ავთენტური».

– 44-კალიბრიანი კოლტი მხოლოდ და მხოლოდ 44-კალიბრიანი კოლტია, – ზღურბლიდანვე მიაძახა გოგონას, – საუბარი შეიძლება მის კალიბრზე და დიზაინზე, მაგრამ არა იმაზე, როდის დაამზადეს.

გოგონამ ხელი გაიწოდა. მამაკაცმა დოკუმენტი გადასცა.

– ესე იგი, ნამდვილი ეს არის, – თქვა გოგონამ ბოლოს.

– ჰო. აი ეს, – კაცმა ის სანთებელა აიღო, რომელსაც გვერდზე გრძელი ნაფხაჭნი ჰქონდა.

– მე მგონი, ჯობია წავიდე, – თქვა გოგონამ, – სხვა დროს შევხვდეთ, – ცნობა და სანთებელა

მაგიდაზე დააბრუნა და საწოლი ოთახისკენ წავიდა, ტანზე რომ ჩაეცვა.

– რატომ? – აღელვებული უკან გაჰყვა უინდემ-მატსონი, – ხომ იცი, საშიში არაფერია; ჩემი ცოლი კიდევ რამდენიმე კვირას იწვება საავადმყოფოში – უკვე გითხარი. ბადურის ჩამოშლა აქვს.

– ამიტომ არა.

– მაშ, რატომ?

– თუ შეიძლება, სანამ ჩავიცვამ, რიქშა გამოიძახე, – სთხოვა რიტამ.

– მე წაგიყვან, – უპასუხა გაღიზიანებულმა.

გოგონამ ჩაიცვა და, სანამ მამაკაცი კარადიდან პალტოს გამოიღებდა, მდუმარედ ათვალიერებდა ბინას. ჩაფიქრებული, მოწყენილი და ცოტათი დეპრესიულიც კი ჩანდა.

«წარსული ადამიანებს სევდას ჰგვრის, _Gგაიფიქრა კაცმა, – ჯანდაბა; რა საჭირო იყო მასთან ამ ყველაფერზე საუბარი? ის ხომ ასეთი ახალგაზრდაა – წარმოდგენაც არ მქონდა, თუ მისი სახელი იცოდა».

გოგონა წიგნის თაროსთან შეჩერდა.

– ეს წაგიკითხავს? – რომელიღაც წიგნი ეჭირა ხელში.

მამაკაცმა ახლომხედველივით მოჭუტა თვალები. მუქი ფერის ყდა იყო.

– არა, – უარის ნიშნად თავი გააქნია, – ჩემი ცოლი წაიკითხავდა. ძალიან ბევრს კითხულობს.

– უნდა წაიკითხო.

ისევ გულდაწყვეტილმა, წიგნი გამოართვა და სათაურს დააქცერდა. «შეესია კალია ქვეყანას».

– ეს ხომ ის წიგნია, ბოსტონში რომ აკრძალეს? – იკითხა კაცმა.

– აკრძალულია მთელ შეერთებულ შტატებში. და რასაკვირველია, ევროპაში, – გოგონა უკვე კართან იდგა და ელოდებოდა.

– რაღაც გამიგია ამ ჰოთორნ აბენდსენზე, – მაგრამ ბევრი არაფერი ახსოვდა. ყველაფერი, რაც ამ წიგნის შესახებ იცოდა – თუმცა რა იცოდა? ამჟამად ძალიან პოპულარულია. კიდევ ერთი მანია. მასობრივი სიგიჟე. წიგნი უკან, თაროზე დააბრუნა, – ასეთი საკითხავისთვის დრო არ მაქვს. ძალიან ბევრს ვმუშაობ.

თავისთვის კი გაიფიქრა: «მდივანი ქალები კითხულობენ ამ ბოდვას, ღამღამობით სახლებში მარტო რომ წვანან საწოლებში. ეს მათ აღაგზნებს. სინამდვილეში, სულ სხვა რამ სჭირდებათ – რისაც ეშინიათ. თუმცა, სწორედ იმაზე ოცნებობენ».

– მორიგი სასიყვარულო ისტორია იქნება, – თქვა და კარი გააღო.

– არა, – თავი გააქნია რიტამ, – ომზეა.

სანამ ლიფტამდე დერეფანს მიუყვებოდნენ, გოგონამ განაგრძო:

– ავტორიც იმას ამბობს, რასაც ჩემი მშობლები ყვებოდნენ. დედაჩემი და მამაჩემი.

– ვინ? ეს აბოტსონი?

– მისი თეორიაა. ჯო ზანგარას

[32]

რომ აეცილებინა, ის ამერიკას დეპრესიიდან გამოიყვანდა და შეაიარაღებდა... – ლაპარაკი შეწყვიტა. უკვე ლიფტთან იყვნენ. სხვებიც ელოდებოდნენ ლიფტს.

მოგვიანებით, როდესაც უინდემ-მატსონს თავისი მერსედესით სახლისკენ მიჰყავდა, რიტამ განაგრძო:

– აბენდსენის თეორიის თანახმად, რუზველტი მეტად ძლიერი პრეზიდენტი იქნებოდა. ისეთივე ძლიერი, როგორიც ლინკოლნი

[33]

იყო. ეს მისი პრეზიდენტობის პირველი წლიდანვე გამოიკვეთა. წიგნი რასაკვირველია, გამონაგონია, ფიქცია. რომანის ახალ ფორმას ვგულისხმობ. რუზველტი მაიამიში არ მოუკლავთ; ყველაფერი რიგზეა, 1936 წელს ხელახლა ირჩევენ, ასე რომ, 1940 წლამდე, ომის დაწყებამდე პრეზიდენტია. მიხვდი? ის პრეზიდენტია, როდესაც გერმანია თავს ესხმის ინგლისს, საფრანგეთსა და პოლონეთს. ამ ყველაფერის მომსწრეა. იგი ამერიკას ძლიერ სახელმწიფოდ აყალიბებს. გარდნერი კი, სიმართლე ითქვას, სრულიად უვარგისი პრეზიდენტი იყო. ბევრი ცუდი რამ, რაც მოხდა, მისი შეცდომების ბრალია. მაშინ, 1940-ში, პრეზიდენტად უნდა აერჩიათ არა დემოკრატი ბრიკნერი, არამედ...

– ამ აბელსონის თანახმად... – გააწყვეტინა უინდემ-მატსონმა და უკმაყოფილოდ გადახედა გოგონას.

«ღმერთო, ეს წიგნი წაკითხული აქვს და სამუდამოდ მასზე ილაპარაკებს».

– მისი თეორიის თანახმად, ბრიკერისეული

[34]

იზოლაციონიზმის ნაცვლად, 1940 წელს, რუზველტის შემდეგ რექსფორდ ტაგუელი

უნდა აერჩიათ პრეზიდენტად, – ქუჩის ლამპიონებით განათებული მისი სახე აგზნებული ჩანდა; ლაპარაკს თვალებგაფართოებული, ხელების მოშველიებით აგრძელებდა, – ის ძალიან აქტიური ადამიანი გამოდგა, რუზველტის ანტინაცისტური პოლიტიკა გააგრძელა. ასე რომ, გერმანია დაფრთხა და 1941 წელს იაპონიას ვერ დაეხმარა. თავიანთი ხელშეკრულების დადება ვეღარ მოახერხეს. ახლა ხომ გესმის? – გოგონა სავარძელზე მისკენ იყო შებრუნებული, ცალი ხელით მკლავში ჩაფრენოდა, – და გერმანია იაპონიასთან ერთად ომში დამარცხდა!

კაცმა გადაიხარხარა.

რიტა დააცქერდა, მის სახეზე რაღაცის ამოკითხვა სურდა, მაგრამ კაცს ხმის ამოღება არ შეეძლო და გარდა ამისა, გზას უყურებდა. მერე განაგრძო:

– სრულებით არ არის სასაცილო. ძალიან კარგი იქნებოდა, ყველაფერი მართლაც ასე მომხდარიყო. აშშ იაპონიის დამარცხებას შეძლებდა. და...

– როგორ? – გააწყვეტინა კაცმა.

– წიგნში ყველაფერი ეს აღწერილია, – ერთ წამს გოგონა დადუმდა, – რომანი თავისი ფორმით გამონაგონია. რასაკვირველია, უამრავი რამ მართლაც შეთხზულია. იმის თქმა მინდა რომ, მკითხველი უნდა გაერთოს კიდეც, რომ არ მობეზრდეს. ჩვეულებრივი თემებიცაა; ორი ახალგაზრდაა, ამერიკის არმიის ჯარისკაცები, გოგონა – მოკლედ, ყველაფერია. ძალიან კარგად არის ნაჩვენები პრეზიდენტი ტაგუელი. მას ესმის, რასაც აპირებენ იაპონელები, – მერე შეშფოთებულმა დაამატა, – ამის თაობაზე შეიძლება საუბარი; იაპონელებმა წყნარი ოკეანის შტატებში მისი გამოცემის ნებართვა გასცეს. ბევრმა წაიკითხა. წიგნი მშობლიურ კუნძულებზეც პოპულარულია. სადისკუსიო თემა გახდა.

– და პერლ-ჰარბორზე

[36]

რას ამბობს?

– პრეზიდენტი ტაგუელი ისეთი გონიერი აღმოჩნდა, რომ მთელი ფლოტი ოკეანეში გაიყვანა. ამრიგად, აშშ-ის ფლოტი არ განადგურებულა.

– გასაგებია.

– რეალურად, პერლ-ჰარბორი არც ყოფილა. ისინი თავს დაესხნენ, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნავი ჩაძირეს.

– «შეესია კალია» თუ რაღაც ამდაგვარი ჰქვია?

– «შეესია კალია ქვეყანას». ბიბლიიდანაა

[37]

.

– და იაპონელები დამარცხდნენ, იმიტომ რომ პერლ-ჰარბორის ამბავი არც მომხდარა. მისმინე. იაპონია პერლ-ჰარბორის გარეშეც გაიმარჯვებდა ომში.

– წიგნის მიხედვით, აშშ მათ ფლოტს ფილიპინებისა და ავსტრალიის დაპყრობის საშუალებას არ აძლევს.

– ისინი რასაც მოისურვებდნენ, ყველაფერს დაიპყრობდნენ; მათი ფლოტი დაუმარცხებელი იყო. იაპონელებს კარგად ვიცნობ, და მათი ბედისწერა წყნარ ოკეანეში ბატონობაა. აშშ-ის დაკნინება I მსოფლიო ომიდან მოდის. მოკავშირეების თითოეული სახელმწიფო ამ ომმა მორალურად და ფიზიკურადაც გაანადგურა.

გოგონამ, თითქოს არაფერი გაუგონიაო, თქვა:

– და გერმანელებს არ დაუპყრიათ მალტა, ჩერჩილი

[38]

ხელისუფლებაში მანამდე დარჩა, სანამ ინგლისს არ გაამარჯვებინა.

– როგორ? სად?

– ჩრდილოეთ აფრიკაში – ჩერჩილმა იქ საბოლოოდ გაანადგურა რომელი

[39]

.

უინდემ-მატსონმა ისევ გადაიხარხარა.

– და როგორც კი ბრიტანელებმა რომელი დაამარცხეს, მაშინვე არმია თურქეთისკენ დახიეს; იქ შეუერთდნენ რუსული არმიის ნაწილებს და, როგორც წიგნშია ნათქვამი, ერთად დაუპირისპირდნენ გერმანელების წინსვლას აღმოსავლეთის ფრონტზე, რუსეთში, ვოლგაზე მდებარე ქალაქთან. ჩვენ ამ ქალაქის სახელი არასოდეს გაგვიგია, მაგრამ ის მართლაც არსებობს, თავად ვნახე ატლასში.

– რა ჰქვია?

– სტალინგრადი

[40]

. და ბრიტანელებმა იქ ომის ბედი შემოაბრუნეს. ასე რომ, წიგნის თანახმად, რომელმა ვერ შეძლო შეერთებოდა რუსეთიდან უკან დახეულ ფონ პაულუსის

[41]

არმიებს; მიხვდი? და გერმანელებმა ვეღარასოდეს შეძლეს ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა, ნავთობის საბადოებამდე თუ ინდოეთამდე მიღწევა, ვერც იაპონელებთან გაერთიანება. და...

– არ არსებობს ამ ქვეყანაზე სტრატეგი, რომელიც ერვინ რომელს დაამარცხებს, – თქვა უინდემ-მატსონმა, – და ვერავითარი მოვლენა, როგორიცაა თუნდაც ის რუსული ქალაქი, რომელსაც ძალიან ისტორიული სახელი, «სტალინგრადი» ჰქვია, ვერაფერს შეცვლიდა. მისმინე, რომელს შევხვედრივარ. ნიუ-იორკში, 1948 წელს, ბიზნესის საქმეებზე ვიყავი და მაშინ, – სიმართლე ითქვას, უინდემ-მატსონს ნანახი ჰყავდა აშშ-ის სამხედრო მმართველი. ეს იყო თეთრ სახლში მიღებაზე. მხოლოდ შორიდან მოჰკრა თვალი, – როგორი გამორჩეული ადამიანი იყო. როგორი ღირსეული და გამოწრთობილი. ასე რომ, ვიცი, რასაც ვამბობ, – დაამატა შეურაცხყოფილის ტონით.

– საშინელება დაიწყო, – თქვა რიტამ, – როდესაც გენერალი რომელი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად საზიზღარი ლამერსი დაინიშნა. სწორედ მაშინ დაიწყო მკვლელობები და ეს საკონცენტრაციო ბანაკები.

– ეგენი მაშინაც არსებობდა, როდესაც რომელი სამხედრო მმართველი იყო.

– მაგრამ, – გოგონამ თავი გააქნია, – ეს ყველაფერი ოფიციალური სახით არ არსებობდა. შესაძლოა ვიღაცეების ესესიდან რაღაცეებს ახერხებდნენ... მაგრამ ის დანარჩენებს არ ჰგავდა; რაღაცით უფრო ძველი პრუსიელების მსგავსი იყო. უხეში...

– მე გეტყვი, ვინ გაუკეთა ნამდვილად კარგი საქმე აშშ-ს, – თქვა უინდემ-მატსონმა, – ვინ მოახერხა მისი ეკონომიკური გამოცოცხლების უზრუნველყოფა – ალბერტ შპეერმა

[42]

. არც რომელმა და არც ტოდტის ორგანიზაციამ

[43]

. შპეერის ნამოქმედარი საუკეთესოა, რაც ნაცისტებმა ჩრდილოეთ ამერიკაში განახორციელეს; მან აამუშავებინა ყველა ქარხანა, ყველა კორპორაცია – სამუდამოდ – და ისინი დღესაც მუშაობს ეფექტურ საფუძველზე. ვისურვებდი, ახლაც ისეთივე მდგომარეობა იყოს, როგორიც მის დროს იყო, მაშინ თითოეულ სფეროში მინიმუმ ხუთი კონკურენტი არ იარსებებდა და სამოქმედო ასპარეზიც ვრცელი იქნებოდა. ეს ეკონომიკური კონკურენცია სრული სისულელეა.

– ვერ ვიცხოვრებდი იმ შრომით ბანაკებში, მათ რომ ააშენეს აღმოსავლეთში. ჩემი მეგობარი გოგონა მუშაობდა იქ. მიმოწერას კითხულობდნენ, ამიტომ სიმართლე მხოლოდ მას შემდეგ მომიყვა, რაც იქიდან დაბრუნდა. დილის შვიდის ნახევარზე აიძულებდნენ ადგომას სასულე ორკესტრის მუსიკის ხმაზე.

– შეეჩვეოდი იქაურობას. გექნებოდა სუფთა თეთრეული, საკმარისი საკვები, დასვენებისთვის გამოყოფილი დრო, სამედიცინო მომსახურება. მეტი რაღა გინდა? ხელისგულზე შემწვარი კვერცხი?

სან-ფრანცისკოს გრილი ღამის ნისლში დიდი გერმანული მანქანა მისრიალებდა.

მისტერ ტაგომი ფეხმორთხმით იჯდა იატაკზე. ცალ ხელში ჩინური შავი ჩაით სავსე ფიალა ეჭირა, სულს უბერავდა და მისტერ ბეინსს უღიმოდა.

– აქაურობა მშვენიერი ადგილია, – თქვა მისტერ ბეინსმა, – წყნარი ოკეანის სანაპიროზე სიმშვიდეა. იქ, ჩვენთან, სულ სხვანაირადაა, – არ დაუზუსტებია, სად.

– ღმერთი ადამიანს «ძინის», «გამოღვიძების» ნიშნით ელაპარაკება, – წაიბურტყუნა მისტერ ტაგომიმ.

– უკაცრავად?

– სამისნო წიგნში წერია. მაპატიეთ. ზედაპირული და ნაჩქარევი პასუხი.

«უსაქმურის ლაყბობა, – გაიფიქრა ბეინსმა, – ამას გულისხმობდა» და გაეღიმა.

– აბსურდული საქციელია, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – იმიტომ რომ, ხუთი ათასი წლის წინანდელ წიგნს ვეკითხებით, რაც გვაინტერესებს. ვეკითხებით ისე, თითქოს ცოცხალი არსება იყოს. მაგრამ სინამდვილეში, ის სულიერია. ქრისტიანების ბიბლიის მსგავსად, მრავალ სხვა წიგნსაც აქვს სული. ეს არ გახლავთ მეტაფორული გამოთქმა. მათში სული ცოცხლობს და აცოცხლებს წიგნებს. თქვენ რას ფიქრობთ? – მისტერ ბეინსის სახეზე მის რეაქციას დააკვირდა.

– რელიგიის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, – უპასუხა ბეინსმა სიტყვების გულდასმით შერჩევის შემდეგ, – ეს არაა ჩემი ცოდნის სფერო. მირჩევნია, არაფერი ვთქვა ისეთ საკითხებზე, რომელთა თაობაზე საკმარისი კომპეტენცია არ გამაჩნია.

მაგრამ სინამდვილეში, შესანიშნავად მიხვდა, რას ეუბნებოდა მისტერ ტაგომი.

«ალბათ დავიღალე, – გაიფიქრა ბეინსმა, – აქ, სადაც ახლა მოვხვდი, მთელი საღამოა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს... ჯუჯებში მოვხვდი. თითქოს ცხოვრების ხანგრძლივობა შემცირდა, რაღაც სულელურ თემებზე საუბარი... რომელ ხუთი ათასი წლის წინანდელ წიგნზე საუბრობს? მიკი მაუსის თავიანი საათი, თავად მისტერ ტაგომი, ის მყიფე ფიალა, მისტერ ტაგომის ხელში რომ უჭირავს»... და, კედელზე, ბეინსის პირდაპირ, ბიზონის უზარმაზარი თავი – მახინჯი და მუქარით აღსავსე.

– ეს რომელი ცხოველის თავია? – იკითხა ბეინსმა მოულოდნელად.

– უხსოვარი დროიდან, ეს არსება აბორიგენების სიცოცხლის უმთავრესი წყარო იყო.

– გასაგებია.

– გაჩვენოთ, ბიზონებს როგორ კლავდნენ? – მისტერ ტაგომიმ ფიალა მაგიდაზე დადო და ფეხზე წამოდგა. საშინაო სამოსში იყო გამოწყობილი: აბრეშუმის ხალათი, ქოშები და თეთრი ჰალსტუხი, – აი, ჩემს ცხენზე ვზივარ, – მუხლები ოდნავ მოხარა, – მხარზე ჩემი ერთგული, ჩემი კოლექციის ექსპონატი, 18... წლის «ვინჩესტერი» მაქვს გადაკიდებული, – მისტერ ბეინსისკენ გაიხედა და მაშინვე შეცვალა საუბრის ტონი, – ეტყობა, მგზავრობამ დაგღალათ.

– ვწუხვარ, რომ ასეა, – უპასუხა ბეინსმა, – ამდენი სიახლე ზედმეტი აღმოჩნდა ჩემთვის... ამდენი პრობლემა საქმეში.

«სხვა სახის პრობლემებიც», გაიფიქრა. თავი სტკიოდა. ნეტავ აქ, წყნარი ოკეანის სანაპიროზე შეიძლებოდა ი. გ. ფარბენის ფირმის შესანიშნავი ანალგეტიკების შეძენა? ბეინსი მათ, ჩვეულებრივ, თავის ტკივილის დროს სვამდა.

– რაღაცის უნდა გვწამდეს, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – შეუძლებელია ყველა შეკითხვაზე ვიცოდეთ პასუხი. ვერ შევძლებთ მომავლისკენ ცქერას, თუ არ გვწამს.

მისტერ ბეინსმა თავი დაუქნია.

– შეიძლება ჩემს ცოლს ჰქონდეს რაიმე საშუალება, თავის ტკივილი რომ დაგიამოთ, – თქვა მისტერ ტაგომიმ, როდესაც დაინახა, როგორ აიწია სათვალე ბეინსმა და შუბლი მოისრისა, – ეტყობა, თვალები დაგეღალათ. მაპატიეთ, ერთი წუთით დაგტოვებთ, – თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

«გამოძინება მჭირდება, – გაიფიქრა ბეინსმა, – ერთი ღამით დასვენება. ან იქნებ, ყველაფრის მიზეზი ის არის, რომ ვითარების კონტროლი არ შემიძლია? ყველაფერი ძალიან აბურდულ-დაბურდულია, მე კი თავის დაძვრენას ვცდილობ».

ოთახში დაბრუნებულმა მისტერ ტაგომიმ ჭიქით წყალი და ხელისგულში მოქცეული რაღაც აბი მოიტანა. მისტერ ბეინსმა უთხრა:

– ახლავე გამოგემშვიდობებოდით და ჩემს სასტუმროში დასასვენებლად წავიდოდი, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ. ან იქნებ, ამის შესახებ ხვალინდელი შეხვედრის დროს ვისაუბროთ?.. რაიმე თუ იცით მოლაპარაკებაში მონაწილე მესამე მხარის შესახებ?

მისტერ ტაგომის სახეზე სულ ერთი წამით გაკვირვება შენიშნა, თუმცა მაშინვე მიიღო ჩვეული აუღელვებელი გამომეტყველება.

– ამის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა, რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, მცოდნოდა.

– ის მშობლიური კუნძულებიდანაა.

– აჰა, – თქვა მისტერ ტაგომიმ, თუმცა ეს შეძახილი გაკვირვებას სრულებით არ გამოხატავდა – იგი ხომ სრულად აკონტროლებდა ვითარებას.

– მავანი ხანდაზმული ბიზნესმენია, – განაგრძო მისტერ ბეინსმა, – გემით მოგზურობს. უკვე ორი კვირაა გზაშია. საჰაერო მგზავრობას ვერ იტანს.

– მოხუცებს ასეთი რამ სჩვევიათ, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ.

– თავისი ინტერესის საგანი საშუალებს აძლევს მას, საკმაო ინფორმაციას ფლობდეს მშობლიური კუნძულების ბაზრის თაობაზე. შესაძლოა საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდოს. სან-ფრანცისკოში ისე ჩამოდის, თითქოს დასვენებას აპირებს. მის მიერ ჩამოტანილი ინფორმაცია სასიცოცხლო აუცილებლობას არ წარმოადგენს, თუმცა ზედმეტიც არ იქნება.

– დიახ, – დაუდასტურა მისტერ ტაგომიმ, – მას შეუძლია თავიდან აგვაცილოს ზოგიერთი მცდარი შეხედულება ადგილობრივი ბაზრის შესახებ. უკვე წლებია, იქ აღარ ვყოფილვარ

– აბის შემოთავაზებას აპირებდით?

მისტერ ტაგომიმ ხელისგულზე დაიხედა: წამალი ისევ ედო, ჭიქაც მეორე ხელში ეჭირა.

– მაპატიეთ. ეს არაჩვეულებრივი სამკურნალო საშუალებაა. ზარაკაინი ეწოდება. ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში ამზადებენ, – აბი და წყლიანი ჭიქა გაუწოდა, – და არ იწვევს მიჩვევას.

– ხანდაზმული ბატონია, – თქვა მისტერ ბეინსმა აბის ჩაყლაპვამდე, – შესაძლოა სავაჭრო მისიის ხაზით დაგიკავშირდეთ. მის გვარს ფურცელზე დაგიწერთ, რათა თქვენი ხელქვეითებიდან რომელიმემ რაიმე შეცდომა არ დაუშვას. მას პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ გამიგია, რომ ცოტათი ყურს აკლია და ახირებულობითაც გამოირჩევა. უნდა ვეცადოთ, თავიდანვე იმედგაცრუებული არ დარჩეს, – მისტერ ტაგომი, ეტყობოდა, ყველაფერს მიხვდა, – როდოდენდრონებითაა გატაცებული და უბედნიერესი იქნება, თუ ვინმე მათ თაობაზე გაუბამს საუბარს თუნდაც ნახევარი საათით, სანამ ჩვენ შეხვედრის საკითხს მოვაგვარებთ. მის გვარს დაგიწერთ.

მისტერ ბეინსმა აბი გადაყლაპა, მერე კალამი ამოიღო და ფურცელზე რაღაც დაწერა.

– მისტერ შინირო იატაბე, – წაიკითხა მისტერ ტაგომიმ. ფრთხილად დაკეცა ქაღალდი და ჯიბეში ჩაიდო.

– კიდევ ერთი საკითხი.

მისტერ ტაგომი ნელა დაეშვა იატაკზე, ფიალა მოიმარჯვა და მოსასმენად მოემზადა.

– ძალიან დელიკატური საკითხია. ეს ხანდაზმული ჯენტლმენი... საჩოთირო მდგომარეობაა. თითქმის ოთხმოცსაა მიღწეული. ბოლო წლებში ზოგიერთი მისი საქმე წარმატებით არ გამოირჩეოდა. ასე რომ, გესმით ჩემი?

– გადანახული თანხა აღარ აქვს, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ, – და შესაძლოა, მხოლოდ პენსიით ცხოვრობს.

– ასეა. პენსია კი ძალიან მცირეა. ამიტომ რასაც აქა-იქ შეწვდება, უარს არ ამბობს.

– ეს ზოგიერთი უმნიშვნელო დადგენილების დარღვევაა, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – მშობლიური კუნძულების მთავრობისა და მის ზღვარგადასულ ბიუროკრატიაში მიღებული კანონების. შესანიშნავად მესმის – მოხუცებული ჯენტლმენი გაწეული კონსულტაციისთვის ჩვენგან ანაზღაურებას მიიღებს, რაც არ ეცნობება საპენსიო განყოფილებას, მისი ვიზიტის ნამდვილი მიზანი კი საიდუმლოდ დარჩება – თითქოს მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვიდა.

– გამოცდილი ადამიანი ბრძანდებით, – აღნიშნა მისტერ ბეინსმა.

– ასეთი შემთხვევები უკვე ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ხანდაზმულების პრობლემა ვერ გადაჭრა, ვერც სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს. ჩინეთი გვასწავლის, რომ მოხუცებულს პატივისცემით უნდა მოვექცეთ. თუმცა, როგორც ვიცი, გერმანელები ჩვენს ამგვარ უპატივცემულობას ღირსებად გვითვლიან. გამიგია, თავიანთ ხანდაზმულებს ხოცავენო.

– გერმანელები, – წაილუღლუღა ბეინსმა და ისევ მოისრისა შუბლი. ნეტავ წამალმა იმოქმედა? ძილი მოერია.

– სკანდინავიიდან ბრძანდებით და ეჭვი არ არის, მრავალჯერ გექნებოდათ გამაგრებულ ევროპასთან

[44]

კონტაქტი. ტემპელჰოფში ჩაჯექით ხომალდში. ასეთი დამოკიდებულება იქ ფეხმოკიდებულია? თქვენ ხომ ნეიტრალური ბრძანდებით. თუ შეიძლება, მითხარით თქვენი მოსაზრება.

– არ მესმის, რომელ მოსაზრებაზე საუბრობთ, – თავი გააქნია ბეინსმა.

– მოხუცებისადმი, ავადმყოფებისადმი, სუსტებისადმი, უნარშეზღუდულებისადმი, გონებრივი აშლილობით დაავადებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ. «რა სარგებლობა მოაქვს ჩვილს?» – ასეთი შეკითხვა დასვა ერთმა ანგლო-საქსმა ფილოსოფოსმა

[45]

. დამამახსოვრდა ეს შეკითხვა და გამოგიტყდებით, დიდი ხანი ვიფიქრე ამაზე, სერ. ზოგადად, სიმართლე ითქვას – არც არავითარი.

მისტერ ბეინსმა რაღაც ჩაიდუდღუნა, რაღაც, რაც შეიძლებოდა ზრდილობიანად გამოთქმულ წინააღმდეგობად ჩათვლილიყო.

– სიმართლე ისაა, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ, – რომ არც ერთი ადამიანი სხვის ხელში იარაღად არ უნდა იქცეს, ხომ ასეა? – წინ გადაიხარა, – გთხოვთ, მითხარით თქვენი, ნეიტრალური სკანდინავიელის მოსაზრება.

– არ ვიცი, – უპასუხა მისტერ ბეინსმა.

– ომის დროს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში უმნიშვნელო თანამდებობაზე ვმუშაობდი. შანხაიში. იქ, ჰონკიუში ებრაელთა დასახლება იყო, იმ ებრაელების, რომლებიც იმპერიის ხელისუფლებამ გაურკვეველი ვადით იქ დაასახლა. მათ «ჯოინტის»

[46]

სახსრებით ინახავდნენ. შანხაიში ნაცისტების წარმომადგენელი ამ ებრაელების დახოცვას მოითხოვდა, ჩემმა უფროსმა კი უპასუხა: «თქვენი წინადადება ჰუმანიტარულ სფეროში მიღწეულ შეთანხმებებს ეწინააღმდეგება» და მის მოთხოვნას ბარბაროსული უწოდა. ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

– მესმის, – წაიბურტყუნა მისტერ ბეინსმა. «რაღაც მახეს მიგებს?», გაიფიქრა და საფრთხე იგრძნო. გონება მაშინვე გაუმახვილდა.

– ებრაელებს ნაცისტები ყოველთვის აზიელებს მიაკუთვნებდნენ და არა თეთრკანიანებს, – განაგრძობდა მისტერ ტაგომი, – სერ, ამ შეხედულებას ყოველთვის ანგარიშს უწევდა იაპონიის ხელისუფლება, სამხედრო მთავრობის დროსაც კი. რაიხის მცხოვრებლებთან, ვისაც კი შევხვედრივარ, ამ საკითხზე არასოდეს მისაუბრია.

– გასაგებია, – გააწყვტინა მისტერ ბეინსმა, – მაგრამ მე სკანდინავიელი ვარ და არა გერმანელი, მათ ნაცვლად პასუხის გაცემა გამიჭირდება, – წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა, – თუ შეიძლება, ჩვენი საუბარი ხვალისთვის გადავდოთ. გთხოვთ, მაპატიოთ. ახლა ფიქრის თავიც კი არ მაქვს.

მაგრამ, სინამდვილეში, ყველაფერი ცხადი გახდა: «აქაურობას უნდა მოვშორდე, – გააცნობიერა სრულიად გარკვევით, – ამ კაცს შეუძლია ძალიან ღრმად ჩამითრიოს».

– მაპატიეთ ჩემი სულელური ფანატიზმი, – მისტერ ტაგომი კარის გასაღებად წამოდგა, – ფილოსოფიურმა მსჯელობამ ხორცშესხმული ადამიანისგან დამაშორა, – რაღაც დაიძახა იაპონურად და კარი გაიღო. გამოჩნდა ახალგაზრდა იაპონელი, თავი დაუკრა და მისტერ ბეინსს მიაჩერდა.

«ჩემი მძღოლია, – გაიფიქრა ბეინსმა, – იქნებ, ამის მიზეზი ჩემი იდიოტური გამოხდომაა ლუფტჰანზას ხომალდით ფრენისას?», გაუელვა უეცრად.

«იქნებ ის ტიპი – რა გვარი იყო – ლოცე, აქ, იაპონელებიდან ვინმეს დაუკავშირდა?..

არ იყო საჭირო ასეთი რამეების მისთვის თქმა. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. მაგრამ წუხილი

გვიანია.

არ გამოვდგები ამ საქმეებისთვის. სრულებით არა».

მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა – დიახ, შვედი ზუსტად ასე უპასუხებდა ლოცეს. რაც მართალია, მართალია. არაფერი შეშლია.

«არ არის საჭირო მუდმივად ასეთი ეჭვიანობა. აქ სრულიად განსხვავებული ჩვეულებები აქვთ. შემიძლია გულახდილად ვისაუბრო. ეს ფაქტია და ამას უნდა შევეჩვიო».

თუმცა ყველაფერი ეწინააღმდეგებოდა: ძარღვებში მჩქეფარე მისი სისხლი, ძვლები, ორგანოები. «პირი უნდა გავაღო და რაღაც ვთქვა. რაღაც მოსაზრება. სულ ერთია, რა, მთავარია, საქმე აეწყოს».

– შესაძლოა, ისინი რაღაც დათრგუნვილი ქვეცნობიერისთვის დამახასიათებელი არქეტიპებით ხელმძღვანელობენ, – გაჭირვებით წარმოთქვა ბეინსმა, – იუნგის თვალსაზრისით.

– იუნგი წამიკითხავს, – თავი დაუქნია მისტერ ტაგომიმ, – მესმის, რასაც ამბობთ.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

– ხვალ დილით დაგირეკავთ, – თქვა მისტერ ბეინსმა, – ღამე მშვიდობისა, სერ.

თავი დაუქნია და ასევე მოიქცა მისტერ ტაგომიც.

ახალგაზრდა იაპონელმა გაიღიმა და მისტერ ბეინსს მიმართა, თუმცა მან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო.

– ბატონო? – იკითხა ბეინსმა, რომელიც საკიდრიდან პალტოს იღებდა.

– სერ, შვედურად მოგმართათ, – უთხრა მისტერ ტაგომიმ, – ტოკიოს უნივერსიტეტში ოცდაათწლიანი ომის თემაზე მუშაობს და სრულიად მოხიბლულია თქვენი დიდი გმირით – გუსტავ ადოლფით

[47]

, – მისტერ ტაგომიმ მეგობრულად გაუღიმა, – გასაგებია, რომ უცხო ენის დაუსწრებლად შესწავლის მისი მცდელობა ნამდვილი წყლის ნაყვაა. დარწმუნებული ვარ, ენას გრამფირფიტებით სწავლობს; ის სტუდენტია და რასაკვირველია, სტუდენტებისთვის ეს ყველაზე ხელმისაწვდომი და პოპულარული საშუალება გახლავთ...

ეტყობოდა, ახალგაზრდა იაპონელს ინგლისურის ერთი სიტყვაც არ ესმოდა. მან ისევ თავი დაუკრა და გაიღიმა.

– გასაგებია, – წაიბურტყუნა ბეინსმა, – წარმატებას ვუსურვებ.

«საკუთარი ლინგვისტური პრობლემებიც თავზე საყრელი მაქვს», გაიფიქრა ამასობაში.

ღმერთო – ეს ახალგაზრდა იაპონელი სტუდენტი, სანამ სასტუმრომდე მიიყვანს, მოსვენებას არ მისცემს – სხვა დროს როდისღა ექნება ცოცხალ შვედთან გასაუბრების შესაძლებლობა. შვედური საუბარი მისტერ ბეინსს ცუდად ესმოდა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ოფიციალური ენითა და სათანადო დიქციით საუბრობდნენ; ხოლო ახალგაზრდა იაპონელის გამოთქმის გაგება, რომელიც ენას გრამფირფიტებით სწავლობს, სრულიად დაუძლეველი ამოცანა გახლდათ მისთვის.

«ვერაფერსაც ვერ მიაღწევს ჩემთან, – გაიფიქრა მისტერ ბეინსმა, – მაგრამ არ მომეშვება; იმიტომ რომ, ცოცხალ შვედს, სავარაუდოდ, ვეღარასოდეს ნახავს. წინ ორივეს მძიმე გამოცდა გველის».

6

მისის ჯულიანა ფრინკმა მზიანი დილის სიგრილით ისარგებლა და სურსათის საყიდლად მაღაზიებს ჩამოუარა. ნელა მიაბიჯებდა ტროტუარზე, ორი ყავისფერი ქაღალდის პაკეტი ეჭირა, თითოეულ ვიტრინას გულდასმით ათვალიერებდა. დრო ბევრი ჰქონდა.

აფთიაქში სჭირდებოდა თუ არა რაიმე? ვერაფერი გაიხსენა. ძიუდოს დარბაზში მეცადინეობა დღეს ნაშუადღევის შემდეგ ეწყებოდა, ასე რომ, მთელი დილა თავისუფალი იყო. აფთიაქში შესული დახლთან მოკალათდა, პაკეტები იატაკზე დააწყო და ჟურნალების თვალიერებას შეუდგა.

Life-ის ახალ ნომერში სტატიას წააწყდა სათაურით «ტელევიზია ევროპაში: ცოტა რამ მომავლის შესახებ». დაინტერესდა, გადაშალა და გერმანული ოჯახის ფოტო გამოჩნდა, მისაღები ოთახის კუთხეში მდგარი აპარატის ეკრანს რომ მისჩერებოდა. სტატიის თანახმად, ბერლინში დღე-ღამეში ოთხი საათით ტელეგადაცემები გადიოდა. უახლოს ხანებში ტელესტუდიები გაიხსნებოდა ევროპის დიდ ქალაქებში, ხოლო 1970 წლისათვის მას ნიუ-იორკში ააგებდნენ.

კიდევ ნიუ-იორკში ჩამოსული რაიხის ელექტროინჟინრების ფოტოც იყო, რომლებიც ადგილობრივ პერსონალს პრობლემების გადაჭრაში ეხმარებოდნენ. გერმანელების გამორჩევა ფოტოზეც კი ძალიან ადვილი იყო. ჯანმრთელები, კარგი აღნაგობის, ენერგიულები, თავის თავში დარწმუნებულები. ამერიკელები კი ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები. ასეთი ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება იყოს.

ერთ-ერთი გერმანელი ინჟინერი ხელით რაღაცას მიუთითებდა და ყველა ამერიკელი იქით იყურებოდა. «მგონი მხედველობაც კი ჩვენზე უკეთესი აქვთ, – გაიფიქრა ჯულიანამ, – უკანასკნელი ოცი წელია საუკეთესო საკვებით იკვებებიან. როგორც გვეუბნებოდნენ, იმას ხედავენ, რისი დანახვაც სხვას არ ხელეწიფება. იქნებ, ყველაფრის მიზეზი A ვიტამინია?

საინტერესოა, როგორი გრძნობაა, როდესაც შენს მისაღებ ოთახში მჯდომი პატარა ნაცრისფერ

ეკრანზე მთელ მსოფლიოს უყურებ. თუკი ამ ნაცისტებს მარსზე გაფრენაც შეუძლიათ, ტელევიზიის შექმნაში ხელს რა შეუშლით? ბობ ჰოუპისა და დურანტეს ყურება ჯობია მარსზე ბოდიალის ცქერას».

სანამ ჟურნალს დახლზე დააბრუნებდა, გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა: «იქნებ მიზეზი ის არის, რომ ნაცისტებს იუმორის გრძნობა არ

აქვთ, მაშ, ტელევიზია რიღასთვის სჭირდებათ? გარდა ამისა, ყველა სახელგანთქმული კომიკოსი უკვე დახოცეს. იმიტომ რომ, მათი უმეტესობა ებრაელი იყო. როცა დაფიქრდა, მიხვდა, რომ საერთაშორისო სახელის მქონე ყველა მსახიობი მართლაც მოკლეს. გასაოცარი ის არის, რომ ჰოუპს უთმენენ იმას, რასაც ლაპარაკობს. თუმცა, რა თქმა უნდა, ის კანადაშია და არა გერმანიაში. იქ ცოტა მეტი თავისუფლებაა. მაგრამ ჰოუპი მართლაც კარგ რამეებს ამბობს. თუნდაც ის ხუმრობა რად ღირს გერინგზე... როგორ იყიდა გერინგმა მთელი რომი, მერე თავისთან, მთებში აიტანა და ახლა თავიდან აწყობს. ქრისტიანობის აღორძინებას აპირებს, რომ მის ლომებს საკბილო არ მოაკლდეთ.

– იღებთ ამ ჟურნალს, მის? – მოესმა აფთიაქის მფლობელის, ტანდაბალი დანაოჭებულსახიანი მოხუცის ხმა.

ჯულიანამ «რიდერს დაიჯესტის» ახალი ნომერი დამნაშავესავით უკან, დახლზე დადო.

ისევ ქუჩაში აღმოჩნდა, ნელა მიაბიჯებდა ნაყიდით სავსე პაკეტებით ხელში და თან იმაზე ფიქრობდა, რომ, სავარაუდოდ, გერინგი

[48]

ახალი ფიურერი გახდებოდა ბორმანის

[49]

გარდაცვალების შემდეგ. ის სხვებისგან განსხვავდებოდა. ბორმანი პირველი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ძალ-ღონეს არ იშურებდა უკვე უუნაროდ ქცეული ჰიტლერის გულის მოსაგებად. გერინგი კი მაშინ თავის მთის სასახლეში იყო. გერინგი უნდა გამხდარიყო ფიურერი ჰიტლერის შემდეგ, ვინაიდან სწორედ მისმა ლუფტვაფემ

[50]

გაანადგურა ინგლისური რადარების სადგურები და მერე სამხედრო საჰაერო ძალებსაც ბოლო მოუღო. ჰიტლერი რომ ყოფილიყო, ლონდონს როტერდამივით ბომბით გააცამტვერებდა.

მაგრამ, სავარაუდოდ, პირველი კაცი გებელსი გახდება. ყველა ამას ამბობს. ყოველ შემთხვევაში, ის საზიზღარი ჰაიდრიხი

[51]

არა. ის ყველას ამოგვხოცავს. ნამდვილი შეშლილია.

თავად ბალდურ ფონ შირახი მოსწონდა

[52]

. ის ერთადერთია, ვინც ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ პირველ კაცად გახდომის შანსი არ აქვს.

კუთხეში შეუხვია და აიარა იმ ძველი ხის სახლის საფეხურები, რომელშიც ცხოვრობდა.

საძინებლის კარი შეაღო და დაინახა, რომ ჯო ჩინანდელა როგორც დატოვა საწოლზე მწოლიარე, იმავე მდგომარეობაში იწვა – პირქვე, სახე ბალიშში ჰქონდა ჩარგული, მარჯვენა მკლავი საწოლიდან გადმოეკიდა და მშვიდად ეძინა.

«არა, – გაიფიქრა ჯულიანამ, – წესით აქ არ უნდა ყოფილიყო, მისი მანქანა ხომ უკვე წასული იქნება. ნეტავ ჩაეძინა? როგორც ჩანს, ასეა».

სამზარეულოში გასულმა პაკეტები მაგიდაზე დააწყო.

«ნუთუ შეგნებულად გაუშვა მანქანა? – დაეკითხა თავს, – ძალიან მაინტერესებს ამის გაგება».

როგორი თავისებური მამაკაცია... თითქმის მთელ ღამეს მოსვენება არ მისცა. და მაინც, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იმ მომენტში მის გვერდით კი არა, სადღაც სხვაგან, შორს იყო. მისი გონება ალბათ სულ სხვაგან ქროდა.

ჩვეულებისამებრ, ჯულიანა ნავაჭრის «ჯენერალ-ელექტრიკის» ფირმის ძველებურ კოშკურიან მაცივარში შელაგებას შეუდგა. შემდეგ საუზმისთვის მაგიდა გააწყო.

«იქნებ ასე იმიტომ იყო მონდომებული, რომ ეს საქმე მისი მეორე ბუნება გახდა, – გადაწყვიტა ჯულიანამ, – სხეული ემოციებს გამოხატავს, ისევე როგორც ახლა მე სუფთა თეფშებს მაგიდაზე ვალაგებ და გასარეცხს – ნიჟარაში. თავის ტვინის მესამედი რომ ამოაჭრა, ალბათ მაინც გააგრძელებს სექსუალურ აქტს, როგორც ბიოლოგიის გაკვეთილზე ბაყაყის მოკვეთილი ფეხი განაგრძობს მოძრაობას».

– ეი, – დაიძახა ხმამაღლა, – ადგომის დროა.

საწოლში ჯო აწრიალდა, ამოიხვრინა.

– ბობ ჰოუპის შოუს თუ უსმინე გუშინწინ? – შეეკითხა საძინებელში შესული ჯულიანა, – მართლაც სახალისო ხუმრობა გამოუვიდა გერმანელ მაიორზე, რომელმაც რამდენიმე მარსელი დააპატიმრა, მარსელებს კი არ შეუძლიათ დოკუმენტების წარდგენა, რომელთა თანახმად, ისინი წარმოშობით არიელები არიან. გერმანელი მაიორი ბერლინში აგზავნის შეტყობინებას, რომ მარსი ებრაელებითაა დასახლებული, იქაური ებრაელები სიმაღლით თითო ფუტი არიან და ორ-ორი თავი აქვთ... ხომ იცი, ბობ ჰოუპს ეხერხება ასეთი რაღაცეები.

ჯომ თვალები გაახილა; ხმაამოუღებლად შესცქეროდა, თვალის დაუხამხამებლად. ნიკაპზე გაუპარსავი შავი წვერი ეტყობოდა; მუქი, ტკივილით აღსავსე თვალებით უმზერდა... ჯულიანა დადუმდა და მიაჩერდა.

– რა მოხდა? – ჰკითხა ბოლოს, – რამის გეშინია?

«არა, ეს ფრენკს ეშინოდა ყველაფრის. ამას კი – არც კი ვიცი, რა ვიფიქრო», გაუელვა ქალს.

– ის ყალთაბანდი უკვე წავიდოდა, – უპასუხა ჯომ და საწოლზე წამოჯდა.

– ახლა რა უნდა ქნა? – ჯულიანა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ხელები სამზარეულოს ტილოთი გაიწმინდა.

– უკანა გზაზე შევხვდები. არავის არაფერს ეტყვის; იცის, თავად რომ ასეთი რამ შეემთხვეს, მეც იმავეს გავაკეთებ.

– ადრეც მოქცეულხარ ამგვარად?

ჯოს პასუხი არ გაუცია.

«ესე იგი, იცოდა, რომ მანქანა წავიდოდა, – გაიფიქრა ჯულიანამ, – მეტის კითხვას აზრი არ აქვს. ამის გაგება მაინტერესებდა».

– სხვა გზით რომ დაბრუნდეს უკან? – ჰკითხა ქალმა.

– ყოველთვის ორმოცდამეათე გზატკეცილით დადის. მეორმოცეზე ერთხელ ცუდი ამბავი შეემთხვა – საიდანღაც ცხენები გამოხტნენ და მათ შეეჯახა. კლდოვან მთებში მოხდა, – სკამის საზურგეზე გადაკიდებულ სამოსს ხელი წამოავლო და ჩაცმას შეუდგა.

– რამდენი წლის ხარ, ჯო? – ჯულიანა მის შიშველ სხეულს ათვალიერებდა.

– ოცდათოთხმეტის.

«ესე იგი, ომში უნდა მიგეღო მონაწილეობა», გაიფიქრა ჯულიანამ. მაგრამ სხეულზე დაზიანების კვალი არ უჩანდა. კარგად ჩამოსხმული, გამხდარი სხეული ჰქონდა, გრძელი ფეხები. ჯომ დაინახა, როგორ ათვალიერებდა, შეიჭმუხნა და ზურგი შეაქცია.

– უფლება არ მაქვს, შემოგხედო? – შეეკითხა გულმოსული ქალი. მთელი ღამე ერთად იყვნენ, ახლა კი მორცხვობს, – რა მოხდა, ხოჭოები ვართ, რომ დღის სინათლეზე ერთმანეთის დანახვა არ შეგვეძლოს და აუცილებლად კედლის რომელიმე ნაპრალში უნდა ვიყოთ შეყუჟული?

კაცმა რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნა, ტრუსებისა და წინდებისამარა სააბაზანოსკენ წავიდა.

«ეს ჩემი სახლია, – გაიფიქრა ჯულიანამ, – მე დაგრთე ნება აქ დარჩენილიყავი და ახლა შემოხედვასაც მიკრძალავ. მაშინ რაღას რჩებოდი?» წამოდგა და სააბაზანოში გაჰყვა. ჯო თასში ცხელ წყალს აგროვებდა წვერის გასაპარსად.

ჯულიანამ მკლავზე სვირინგი შენიშნა – ასო კ.

– ეს რა არის? – შეეკითხა ქალი, – შენი ცოლის სახელია? კონი? კორინი?

ჯომ სახე მოიბანა და თქვა:

– კაირო.

«რა უცნაური სახელია, – გაიფიქრა ჯულიანამ, მერე შერცხვა, – ნამდვილი სულელი ვარ. იტალიელია, ოცდათოთხმეტი წლის, ნაცისტების მომხრე... ომში მონაწილეობდა; გასაგებია. მაგრამ «ღერძის სახელმწიფოების»

[53]

მხარეს. და კაიროში იბრძოდა; სვირინგი მათი მაკავშირებელი იყო – იმ კამპანიის გერმანელი და იტალიელი ვეტერანებისა, რომლებმაც ბრიტანელები და ავსტრალიელები (გენერალ გოტის

[54]

მეთაურობით) დაამარცხეს. «ღერძის სახელმწიფოების» არმიების მთავარსარდალი გენერალი რომელი იყო თავისი «აფრიკული კორპუსით».

სააბაზანოდან გავიდა და აკანკალებული ხელებით საწოლის დალაგებას შეუდგა.

სკამზე ჯოს ნივთები ეწყო, სამოსი და პატარა ჩემოდანი პირადი ნივთებით. ქალმა ხავერდისსახურავიანი ყუთი შენიშნა, რომელიც სათვალის ფუტლარს ჰგავდა; ყუთი აიღო, ხელი დააჭირა და სახურავი ახადა.

«რასაკვირველია, კაიროში იბრძოდი, – ფიქრობდა და თან მეორე ხარისხის რკინის ჯვარს დასცქეროდა, რომელზედაც თარიღი – 1945 წლის 10 ივნისი – იყო ამოტვიფრული, – ასეთებს ტყუილუბრალოდ არ არიგებდნენ – მხოლოდ უმამაცესებს აჯილდოვებდნენ. საინტერესო იქნებოდა მენახა, როგორი იყავი... ალბათ, ჩვიდმეტიოდე წლის იქნებოდი».

ჯო სააბაზანოს კართან გამოჩნდა სწორედ იმ დროს, როდესაც ჯულიანამ ორდენი ყუთში ჩააბრუნა; შემცბარმა ქალმა სასწრაფოდ ხელი გაუშვა ყუთს, მაგრამ ჯო არ გაბრაზებულა.

– მარტო დავხედე, – უთხრა ჯულიანამ, – აქამდე არასოდეს მინახავს, – თავად რომელმა გადმოგცა?

– გენერალმა ბაიერლეინმა. რომელი მაგ დროს უკვე ინგლისში იყო გადაყვანილი საქმის მოსამთავრებლად, – კაცი მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ხელებს ისევ მოუსვენრად დაასრიალებდა თმაში, აიჩეჩავდა და მერე ტკეპნიდა. ეს რაღაც ნერვული ტიკივით იყო.

– მომიყვები? – შეეკითხა ჯულიანა, როდესაც ისევ სააბაზანოში მიბრუნებული დაინახა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიპარსა და შხაპით გული იჯერა, ჯო ჩინანდელას ჯულიანასთვის ბევრი არაფერი მოუყოლია. თანაც იმ თემაზე სრულებით არ უსაუბრია, რაც ქალს აინტერესებდა. მისი ორი უფროსი ძმა ეთიოპიის კამპანიაში მონაწილეობდა, თავად კი ცამეტი წლისა მშობლიური ქალაქის, მილანის ახალგაზრდა ფაშისტების ორგანიზაციაში შესულა. მოგვიანებით ძმები საარტილერიო ბატარეას შეუერთდნენ, რომელსაც ლეგენდარული მაიორი რიკარდო პარდი მეთაურობდა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის მათ გვერდით ჯოც იბრძოდა. მათი უშუალო მეთაური გრაციანი იყო. შეიარაღება და განსაკუთრებით ტანკები, სავალალო სანახავი გახლდათ. ბრიტანელები კურდღლებივით ხოცავდნენ იტალიელებს, უფროს ოფიცრებსაც კი. ტანკების ლუკებთან ქვიშით სავსე ტომრებს აწყობდნენ, ბრძოლის დროს უეცრად თავისით რომ არ გაღებულიყო. მაიორი პარდი იძულებული იყო, ის საარტილერიო ჭურვები, რომლებიც არ აფეთქდა, დაეშალა და ხელახლა აწყობილი ესროლა. და მაინც, ასეთი პირობების მიუხედავად, მათ 1943 წელს გენერალ ვაველის არმიის სატანკო შეტევის შეჩერება შეძლეს.

– ძმები ცოცხლები არიან? – შეეკითხა ჯულიანა.

მისი ძმები 1944 წელს დაღუპულიყვნენ, ბრიტანული სპეცდანიშნულების ბრიგადის, «გრძელი მარშრუტის» წევრებმა ორივე გრძელი ლასოთი მოახრჩვეს. ეს ბრიგადა «ღერძის სახელმწიფოების» არმიების ზურგში მოქმედებდა. ბრიტანელები ფანატიზმამდე მისული გახელებით იბრძოდნენ, განსაკუთრებით, ომის მიწურულს, როდესაც ცხადი იყო, მოკავშირეები მარცხდებოდნენ.

– ახლა რას გრძნობ ბრიტანელების მიმართ? – ფრთხილად შეეკითხა ქალი.

– მინდა ინგლისშიც იმგვარი რამ მოხდეს, რასაც ისინი აფრიკაში სჩადიოდნენ, – მშრალად მიუგო ჯომ.

– მაგრამ... უკვე თვრამეტი წელი გავიდა. ვიცი, საზიზღობებს აკეთებდნენ, მაგრამ მაინც...

– ყველა იმაზე ლაპარაკობს, როგორ მოექცნენ ნაცისტები ებრაელებს, – უპასუხა ჯომ, – ბრიტანელებს კი უარესი აქვთ ჩადენილი. ლონდონისთვის ბრძოლაში, – მცირე ხანს დუმდა, – მათი ცეცხლსასროლი იარაღი, ფოსფოცირებადი და ნავთობისაც... ნანახი მყავს ამ იარაღით დაჭრილი რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი. ნავებს ისე ეკიდებოდა ცეცხლი, როგორც ჩირაღდნებს. ინგლისელებმა ზღვაში მილები გაიყვანეს და მთელ ზღვას წაეკიდა ცეცხლი. მშვიდობიან მოსახლეობას რაც შეეხება, ისინი მასობრივად იხოცებოდნენ საჰაერო დაბომბვების დროს, როდესაც ჩერჩილმა გადაწყვიტა, რომ ბოლო მომენტში ომის ბედს შემოატრიალებდა. თუნდაც რად ღირს ის ამაზრზენი თავდასხმები ჰამბურგზე, ესენსა და...

– მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, – გააწყვეტინა ჯულიანამ.

სამზარეულოში გასულმა ლორის შეწვა დაიწყო; დაბადების დღეზე ფრენკის ნაჩუქარ «ემერსონის» ფირმის პატარა რადიომიმღების სახელურს ატრიალებდა.

– რამეს მოგიმზადებ საუზმისთვის, – გასძახა კაცს, თან სასიამოვნო მუსიკის მოსაძებნად არხებს ჩამოუარა.

– მოდი, ეს ნახე, – გამოსძახა ჯომ. მისაღებ ოთახში, საწოლზე იჯდა, თავის პატარა ჩემოდანთან; ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა, რომლის ფურცლები ლაქებით იყო აჭრელებული. ჯულიანას შეხედა, – ძალიან სასაცილოა, დაჯექი, – ხელი მოკიდა და გვერდზე მოისვა, – რაღაც მინდა წაგიკითხო. წარმოიდგინე, რომ ომი მათ მოიგეს. შენი აზრით, რა მოხდებოდა? არაფრის გამოგონება არ არის საჭირო, ამ ტიპმა უკვე ყველაფერი მოიფიქრა, – წიგნი გაშალა და რამდენიმე გვერდი გადაფურცლა, – ბრიტანეთის იმპერია მთელ ევროპას აკონტროლებს. მთელ ხმელთაშუა ზღვას. იტალია აღარ არსებობს. სხვათა შორის, აღარც გერმანია. არიან მხოლოდ ბრიტანელები და მათი სასაცილო ბეწვისქუდიანი ჯარისკაცები ატლანტიკიდან შორს, ვოლგამდე.

– ნუთუ ეს ასე ცუდია? – ხმადაბლა იკითხა ჯულიანამ.

– ეს წიგნი წაგიკითხავს?

– არა, – ჯულიანამ ყდას დახედა. ამ წიგნზე სმენოდა, ბევრს ჰქონდა წაკითხული, – მაგრამ... ფრენკსა და მე... – ჩემს ყოფილს ქმარს და მე – ხშირად გვისაუბრია იმაზე, რა მოხდებოდა, ომი მოკავშირეების გამარჯვებით რომ დასრულებულიყო.

ჯოს თითქოს არც გაუგონია მისი ნათქვამი; მთელი არსებით ჩაფლულიყო «შეესია კალია ქვეყანას» ეგზემპლარში.

– აი, ვიპოვე, – თქვა ბოლოს, – იცი, როგორ მოახერხა ბრიტანეთმა «ღერძის სახელმწიფოების» დამარცხება?

ქალმა თავი გააქნია, გრძნობდა, როგორ მატულობდა მის გვერდით მჯდომი მამაკაცის დაძაბულობა. ნიკაპი აუკანკალდა, ენით დაუსრულებლად ილოკავდა დამსკდარ ტუჩებს, ისევ და ისევ იჩეჩავდა თმას... როდესაც ალაპარაკდა, ხრინწიანი ხმა ამოუვიდა.

– იტალიამ «ღერძს» უღალატა, – თქვა ჯომ.

– ოჰ, – აღმოხდა ქალს.

– იტალია მოკავშირეთა მხარეს გადავიდა. ანგლო-საქსებს შეუერთდა და ასე გახსნა ევროპის ეგრეთ წოდებული «რბილი ქვედა მუცელი». მაგრამ მისთვის სრულიად ბუნებრივია, ასე იფიქროს. ყველამ ვიცით, მშიშარა იტალიის არმია ბრიტანელების დანახვაზე უკანმოუხედავად რომ გარბოდა. მაგათ ოღონდ ღვინო ასვი. ბედნიერი ცხოვრება უნდათ და არა ბრძოლა. ეს ბიჭი, – ჯომ წიგნი დახურა და უკანა ყდას დახედა, – აბენდსენი... მასზე კი არ ვბრაზობ – მისი საქმე ამბების შეთხზვაა, იმის წარმოდგენა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მსოფლიო, თუ «ღერძის სახელმწიფოები» ომში დამარცხდებოდნენ. თუ იტალია არ უღალატებდა მათ, სხვაგვარად როგორ წააგებდნენ ომს? – ხმაზე გაღიზიანება აშკარად დაეტყო, – დუჩე ხომ ნამდვილი ტაკიმასხარა იყო; ეს ყველამ კარგად იცის.

– ლორი უნდა გადავაბრუნო, – ჯულიანა დაუსხლტა და სამზარეულოში დაბრუნდა.

ჯო უკან მიყვა.

– და აშშ-ც საქმეში ჩაერთო. იაპონელების განადგურების მერე. ომი როცა დასრულდა, აშშ-მ და ბრიტანეთმა მსოფლიო გაიყვეს. ზუსტად ისე, როგორც სინამდვილეში გერმანიამ და იაპონიამ.

– გერმანიამ, იაპონიამ და იტალიამ, – ჩაურთო ქალმა.

ჯო გაოგნებული მიაჩერდა.

– იტალია გამოგრჩა, – უთხრა ქალმა მშვიდად. «განა შენც არ დაივიწყე? – გაიფიქრა შემდეგ – ისევე, როგორც სხვებმა. ვიღას ახსოვს პატარა იმპერია სადღაც ახლო აღმოსავლეთში... ახალი რომი, როგორც ოპერეტა».

ერბოკვერცხიანი ლორი, ტოსტი, ჯემი და ყავა მიაწოდა. კაცი საჭმელს სიამოვნებით მიეძალა.

– ჩრდილოეთ აფრიკაში რას გაჭმევდნენ? – შეეკითხა ქალი და თავადაც მაგიდას მიუჯდა.

– მკვდარი ვირის ხორცს.

– რა საზიზღრობაა.

– აზინო მორტე, – ჩაიცინა ჯომ, – ხორცის კონსერვის ქილებზე ეწერა AM. გერმანელები ეძახდნენ Alter Mann-ს, მოხუცებულს, – და ჭამა განაგრძო.

«ამ წიგნის წაკითხვა მინდა, – გაიფიქრა ჯულიანამ და ჯოს იდაყვს ქვემოდან წიგნი გამოაცალა, – ნეტავ ჩემთან რამდენ ხანს დარჩება?..» წიგნის ფურცლები დასვრილი იყო, ალაგ-ალაგ გახეულიც. ყველგან თითების ანაბეჭდები აჩნდა. ეტყობოდა, მთელი ქვეყნის მძღოლებმა უკვე წაიკითხეს. «ღამღამობით კითხულობდნენ, ღამის გასათევად შეჩერებულები... ეტყობა, ნელა კითხულობ. ამ წიგნს კვირებია უკირკიტებ, შესაძლოა თვეებიც».

წიგნი ალალბედზე გადაშალა და წაიკითხა:

«...ახლა, როცა მშვიდ ყურემდე უკვე მიეღწია, მოხუცისათვის დამახასიათებელი სიმშვიდით უმზერდა სამფლობელოს, რომლისთვისაც ძველი წინამორბედები იბრძოდნენ და ვერ მოახერხეს – ხომალდები ყირიმიდან მადრიდამდე, ერთიანი იმპერია, საერთო ფულის ერთეული, საერთო ენა, საერთო დროშა. დიადი ბებერი «იუნიონ ჯეკი» – მზის ამოსვლის წერტილიდან მზის ჩასვლის წერტილამდე გადაჭიმული: როგორც იქნა, ეს მიზანი მიღწეულია – მზე და დროშა ერთმანეთს შეერწყა».

– მე კი თან მხოლოდ ერთი წიგნი დამაქვს, – თქვა ჯულიანამ, – სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი კი არა, სამისნო წიგნია, «ი ძინი». ფრენკმა აღმომაჩენინა და მას მერე

ყოველთვის ვიყენებ, როდესაც რაღაც საკითხი მაქვს გადასაწყვეტი. არასოდეს ვიშორებ. არასოდეს, – «შეესია კალია ქვეყანას» დახურა, – გინდა გაჩვენო? არ გინდა, სცადო?

– არა, – უთხრა ჯომ.

ქალმა ნიკაპი გადაჯვარედინებულ ხელისგულებს დააყრდნო.

– აქ სამუდამოდ საცხოვრებლად ჩამოხვედი? რას აპირებ?

«მუდამ გადატანილ შეურაცხყოფაზე, ცილისწამებაზე ფიქრობ. მაშინებ, – გაიფიქრა ქალმა, – ცხოვრებისადმი ასეთი ხისტი დამოკიდებულებით... მაგრამ შენში არის რაღაც. პატარა ცხოველს გავხარ, უმნიშვნელოს, მაგრამ ჭკვიანს». კაცის მუქკანიან, გონიერ სახეს აცქერდებოდა. «როგორ შემეძლო იმის გაფიქრება, რომ ჩემზე უმცროსი ხარ? იქნებ იმიტომ, რომ შენში რაღაც ბავშვური შემორჩა; ისევ ის უმცროსი ძმა ხარ, რომელიც ორ უფროს ძმას აღმერთებს, ასევე მაიორ პარდის და გენერალ რომელს; მეტი თავისუფლება გინდა, რათა ყველა ინგლისელს საკუთარი ხელით გაუსწორდე. ნეტავ მართლაც ლასოთი მოკლეს შენი ძმები? გაგვიგონია ასეთი საზარელი ამბები, სურათებიც გვინახავს, ომის შემდეგ რომ გამოქვეყნდა...». ჯულიანას გააჟრჟოლა. მაგრამ იმ ბრიტანელი სპეცდანიშნულების ბატალიონის საქმე დიდი ხანია სასამართლომ განიხილა და ისინი დასაჯეს.

რადიომ მუსიკის ტრანსლირება შეწყვიტა; როგორც ჩანს, მოკლე ტალღაზე ევროპიდან ახალი ამბების გადმოცემა უნდა დაწყებულიყო. ჯერ ხრიალი და შრიალი ისმოდა, მერე ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა. სრული სიჩუმე იდგა. ბოლოს გასაოცარი სიცხადით გაიგონეს დენვერელი დიქტორის ხმა. ჯულიანა რადიოს გამორთვას აპირებდა, მაგრამ ჯომ ხელით შეაჩერა.

«ახალმა ამბავმა კანცლერ ბორმანის გარდაცვალების თაობაზე მთელი გერმანია შეძრა, რომელსაც ექიმების გუშინდელი განცხადებების შემდეგ სჯეროდა, რომ...»

ორივე ფეხზე წამოიჭრა.

«რაიხის ყველა რადიოსადგურმა გადადო დაგეგმილი რადიოგადაცემა და ახლა მსმენელს შეუძლია მოისმინოს ესესის დივიზია «Das Reich

«-ის მიერ შესრულებული პარტიული ჰიმნი « Horst Wessel Lied». დრეზდენში, სადაც ამჟამად პარტიის სამდივნო და ეს-ესისა და ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელობა, რომელმაც გესტაპო

[55]

ჩაანაცვლა...»

ჯომ რადიომიმღებს მთელ ხმაზე აუწია.

«მთავრობის რეორგანიზაცია ყოფილი რაიხსფიურერ ჰიმლერის

[56]

, ალბერტ შპეერისა და სხვების მონაწილეობით... გამოცხადდა ორკვირიანი სახელმწიფო გლოვა, და უკვე დაიხურა ბევრი მაღაზია, სავაჭრო ცენტრი. ჯერჯერობით არაფერია ცნობილ მესამე რაიხის კანონიერი პარლამენტის სხდომის მოწვევის შესახებ, რომლის თანხმობა სჭირდება...»

– ჰაიდრიხი გახდება რაიხსკანცლერი, – თქვა ჯომ.

– მე კიდევ იმ ქერას ვისურვებდი, რა ჰქვია... შირახს, – უპასუხა ჯულიანამ, – ღმერთო, როგორც იქნა, მოკვდა. შენი აზრით, შირახს რამე შანსი აქვს?

– არავითარი, – მოუჭრა ჯომ.

– იქნებ ახლა სამოქალაქო ომი დაიწყოს, – წარმოთქვა ჯულიანამ, – ძველი ბიჭები ერთმანეთს დაერევიან. გერინგი და გებელსი – ძველი პარტიული ბოსები.

რადიო აგრძელებდა:

«მიაღწია მის თავშესაფრამდე, რომელიც ალპებში, ბრენერთან ახლოს მდებარეობს».

– მსუქანა ჰერმანზე ლაპარაკობს, – აუხსნა ჯომ.

«თქვა, რომ გაოგნებულია დანაკარგით, არა მხოლოდ როგორც ჯარისკაცის, პატრიოტისა და პარტიის ლიდერის, არამედ პიროვნულადაც, მისი პირადი მეგობრის დაკარგვით, რომელსაც, როგორც აქამდეც არაერთხელ აღუნიშნავს, მუდამ უჭერდა მხარს ომის შემდგომი ხანმოკლე კრიზისის დროს, მაშინ როდესაც ჰერ ბორმანისადმი მტრულად განწყობილი ძალები უმაღლეს თანამდებობაზე ცდილობდნენ...»

ჯულიანამ რადიო გამორთო.

– ერთსა და იმავეს ღეჭავენ. რატომ იყენებენ იმავე სიტყვებს, რასაც ჩვენ? ეს საზარელი მკვლელები იმავე ტერმინებით ლაპარაკობენ, როგორც ჩვენ გვჩვევია.

– ჩვენ გვგვანან, – თქვა ჯომ, ისევ დაჯდა და ჭამა განაგრძო, – მათ ადგილზე შეიძლებოდა ჩვენც იგივე ჩაგვედინა. უბრალოდ, მათ მსოფლიო კომუნიზმისგან იხსნეს. გერმანია რომ არა, ახლა წითლების ბატონობის ქვეშ ვიცხოვრებდით. ყველაფერი უარესად იქნებოდა.

– იცი რას გეტყვი? ზუსტად ისე ლაპარაკობ, როგორც რადიო.

– მე ვიცხოვრე ნაცისტების გვერდით, – უპასუხა ჯომ, – ვიცი, ეს რას ნიშნავს. თორმეტი, ცამეტი, არა, უფრო მეტი – თითქმის თხუთმეტი წელი ვიცხოვრე. სამუშაო ბარათი ტოდტის ორგანიზაციისგან მივიღე. 1947 წლამდე მათ სასარგებლოდ ვმუშაობდი ჩრდილოეთ აფრიკასა და აშშ-ში. მისმინე, – ქალისკენ თითი გაიშვირა, – ყოველგვარი სახის მშენებლობისკენ მიმართული სუფთა იტალიური ნიჭი მაქვს. ტოდტის ორგანიზაციამ უმაღლესი რეიტინგი

მომაკუთვნა. ავტობანების მშენებლობა და ასფალტის დაგება არ მიწევდა. პროექტირებაში ვეხმარებოდი. როგორც ინჟინერი. ერთ დღესაც ჩვენს ორგანიზაციას თავად დოქტორი ტოდტი ეწვია, პირადად რომ დაეთვალიერებინა ნამუშევარი. მომიახლოვდა და მითხრა, «კარგი ხელები გაქვთ». ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, ჯულიანა. მუშის ღირსება; ისინი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრიან. მანამდე ნაცისტები და ყველანი, ფიზიკურ შრომას არად აგდებდნენ. მეც ასე ვიყავი. არისტოკრატები. შრომითმა ფრონტმა ამ ყველაფერს ბოლო მოუღო. საკუთარ ხელებს პირველად დავაცქერდი, – სულ უფრო სწრაფად ლაპარაკობდა და აქცენტიც შესამჩნევი გაუხდა, ხანდახან სრულიად გაუგებარიც იყო, რას ამბობდა, – ყველანი ერთად ვცხოვრობდით ტყეებში, ზემო ნიუ-იორკის შტატში, ძმებივით. ერთად ვმღეროდით. სამუშაოზე ერთად მივდიოდით. მეომრული სული ტრიალებდა, მაგრამ არა ნგრევის, არამედ შენების. ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები. ომით დანგრეულს ვაშენებდით – მშვენიერ, სუფთა, საიმედო კვარტალებს ნიუ-იორკისა და ბალტიმორის ახალ უბნებში. ახლა ასეთი სამუშაო წარსულს ჩაბარდა. ყველაფერს ნიუ-ჯერსის კარტელი – «კრუპი და ვაჟიშვილები» – განაგებს. მაგრამ ესენი ნაცისტები კი არა, ჩვეულებრივი ევროპელი ფულიანები არიან. ყველაზე უარესები, გესმის? რომელი და ტოდტი ათასჯერ უკეთესია, ვიდრე კრუპი, ბანკირები და ეს პრუსიელები. მათ, ამ ჟილეტიანმა ჯენტლმენებმა, ყველაფერი გააფუჭეს.

«კი მაგრამ, ეს ჟილეტიანი ჯენტლმენები სამუდამოდ იქნებიან, – გაიფიქრა ჯულიანამ, – შენი კერპები კი, რომელი, ტოდტი – ისინი ხომ ომის შემდეგ გზის გასაწმენდად გამოუშვეს, ავტობანების ასაგებად, მრეწველობის ასაღორძინებლად. ისინი ებრალებს არ ხოცავდნენ – ნეტავ, რატომ? რა გასაოცარი სიურპრიზია – ალბათ იმიტომ, რომ ებრაელებს მათთვის ემუშავათ. მერე კი, მოვიდა 1949 წელი და... მშვიდობით, ტოდტ და რომელ, თქვენს საქმეს მიხედეთ.

ვიცი თუ არა? ეს ყველაფერი განა ფრენკისგან არ ვიცი? მიყვები აქ რაღაც ზღაპარს ნაცისტების დროს მშვენიერი ცხოვრების შესახებ, ჩემი ქმარი კიდევ ებრაელია. ჰო, დოქტორი ტოდტი ამქვეყნად ყველაზე თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანი იყო; ვიცი, როგორ სურდა მილიონობით უმუშევრი ამერკელისთვის, თვალებამოღამებული, უიმედო ქალებისა და მამაკაცებისთვის, ნანგრევებში რომ იქექებოდნენ, სამუშაო გამოენახა. ვიცი, რომ სურდა ყველას, ეროვნების განურჩევლად, ჰქონოდა სამედიცინო მომსახურებასა და ვაქცინაციაზე ხელმისაწვდომობა, ნორმალური საცხოვრებელი, დასვენების საშუალება. ის მშნებელი იყო და არა მოაზროვნე... და უმრავლეს შემთხვევაში, რაც სურდა, მიაღწია, მაგრამ...»

მოუსვენარი აზრი, მის გონებაში რომ ფუთფუთებდა, უეცრად სრულიად ნათლად ჩამოყალიბდა:

– ჯო, ეს «შეესია კალია ქვეყანას» აღმოსავლეთ სანაპიროზე ხომ აკრძალულია?

მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– აბა, როგორღა კითხულობდი? – რაღაც მოსვენებას არ აძლევდა, – ამ წიგნისთვის ხომ ხალხს

ხვრეტენ...

– ეროვნებას გააჩნია. და – სამკლაურის ფერს.

აი, თურმე რა: სლავები, პოლონელები, პუერტო-რიკოელები უფრო შეზღუდულები არიან უფლებების თვალსაზრისით, იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეუძლიათ წაიკითხონ, რა გააკეთონ, რას მოუსმინონ. ანგლო-საქსების მდგომარეობა უკეთესია; მათ სკოლები აქვთ, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მონახულება შეუძლიათ, კონცერტებზე სიარული. და მაინც... «კალია» დაშვებულთა რიცხვში სრულებით არ შედიოდა; პირიქით, ის სრულიად გარკვევით იყო აკრძალული, თანაც ყველასთვის.

– ტუალეტებში ვკითხულობდი. ბალიშის ქვეშ ვმალავდი. სიმართლე გითხრა, კითხვა სწორედ იმიტომ დავიწყე, რომ აკრძალულია.

– მამაცი ხარ, – უთხრა ქალმა.

– ეს დაცინვაა? – ეჭვით დაეკითხა ჯო.

– არა.

კაცს დაძაბულობამ ცოტათი გაუარა.

– აქ ცხოვრება უფრო ადვილია. უსაფრთხოდ ცხოვრობთ, უმიზნოდ, არაფერს აკეთებთ, არაფერზე ნერვიულობთ. განზე ხართ ყველა მოვლენისგან, თქვენთვის ყველაფერი წარსულში დარჩა. ასე არ არის? – ქალს თვალებით ბურღავდა.

– საკუთარი ცინიზმით თავს იღუპავ, – უპასუხა ჯულიანამ, – შენი კერპები წაგართვეს და ახლა არ იცი, ვინ შეიყვარო, – ჩანგალი მიუწია, – მიდი, დაასრულე ჭამა.

«ან საერთოდ უარი თქვი ბიოლოგიურ არსებობაზე», გაიფიქრა ქალმა.

პირგამოტენილმა ჯომ თავი წიგნისკენ გააქნია და თქვა:

– ეს აბენდსენი სადღაც აქ ახლოს ცხოვრობს. შაიენში. თავისი უსაფრთხო სოროდან უყურებს დანარჩენ მსოფლიოს, გესმის? წაიკითხე, მასზე რაც წერია. ხმამაღლა წაიკითხე.

ჯულიანამ წიგნი აიღო და უკანა ყდას დახედა.

– ყოფილი სამხედროა. აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯარში მსახურობდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ინგლისში დაიჭრა, როდესაც გერმანულ ტანკ «ტიგერს» დაუპირისპირდა. სერჟანტია. როგორც ამბობენ, მიუდგომელ სიმაგრეში ცხოვრობს, რომლის მთელ პერიმეტრზე იარაღია განლაგებული, – წიგნი დადო და დაამატა, – აქ არ წერია, მაგრამ, როგორც მსმენია, ცოტათი პარანოიკი უნდა იყოს: სახლს გარშემო მავთულხლართები შემოავლო და მთაში ცხოვრობს. იქ მიღწევა შეუძლებელია.

– ალბათ, სწორადაც იქცევა, – თქვა ჯომ, – ამ წიგნის დაწერის შემდეგ ეგრე უნდა

ცხოვრობდეს. გერმანელები სიბრაზისგან ჭერს აარტყამდნენ თავს, როცა წაიკითხავდნენ.

– ადრეც ასე ცხოვრობდა; ამ წიგნის დაწერამდეც. მის სახლს ასეც ჰქვია, – ქალმა წიგნის ყდას დახედა, – «მაღალი კოშკი».

– ეტყობა, მის ხელში ჩაგდებას ვერ მოახერხებენ, – ჯო სწრაფად ღეჭავდა საუზმეს, – ფრთხილობს. გონიერია.

– ჩემი აზრით, ამ წიგნის დასაწერად სიმამაცეა საჭირო. «ღერძის სახელმწიფოები» ომში რომ დამარცხებულიყვნენ, ძველებურად გააგრძელებდა წერას, ჩვეულებრივად; ერთ სახელმწიფოში ვიცხოვრებდით, საერთო საკანონმდებლო სისტემა გვექნებოდა, საერთო კანონები ყველასთვის.

უცნაურია, მაგრამ ჯომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– შენი არ მესმის, – განაგრძო ჯულიანამ, – რისი გწამს? რა გსურს? იცავ ამ ურჩხულებს, შერეკილებს, რომლებიც ებრაელებს ხოცავდნენ, ახლა კი... – ქალი ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა და ყურებში ჩასჭიდა ხელები; კაცი გაოგნებული მიაჩერდა, ტკივილმა აიძულა, ფეხზე წამომდგარიყო, და ქალის პირისპირ დადგა.

ერთმანეთს შესცქეროდნენ, აღელვებისგან მძიმედ სუნთქავდნენ.

– საშუალება მომეცი, საუზმე დავამთავრო, – როგორც იქნა, ამოღერღა ჯომ.

– სათქმელი არაფერი გაქვს? არაფერს მეტყვი? სინამდვილეში ძალიანაც კარგად ხვდები, მაგრამ გინდა საუზმე დაამთავრო და მერე წახვიდე, ვითომც არაფერი ყოფილა, თითქოს ვერ გაიგე, რას გეკითხები, – როგორც იქნა, ხელი გაუშვა – ჯოს ყურები წითლად ღუოდა.

– ლაპარაკი უაზრობაა. სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს. რადიოსავითაა, შენ თვითონ თქვი. ადრე ყავისფერპერანგებიანები მოაზროვნე და მოფილოსოფოსო ხალხს იცი, რას ეძახდნენ? Eierkopf – კვერცხისთავიანებს. იმიტომ რომ მათი დიდი, ცარიელი და მყიფე თავი ადვილად სკდება... ქუჩაში ჩხუბისას.

– თუ ასეთად მიგაჩნივარ, რაღაც უცდი, რატომ არ მიდიხარ? რისთვის დარჩი?

კაცმა რაღაც იდუმალი გამომეტყველება მიიღო, რამაც ჯულიანას რისხვა დაუცხრო.

«უმჯობესი იყო, საერთოდ არ დამეჭირა მასთან საქმე. ახლა უკვე გვიანაა, თავიდან ვეღარ მოვიშორებ, მეტისმეტად ძლიერია, – გაიფიქრა ქალმა, – რაღაც საშინელება მოხდა მის თავს. და მე უნდა დავეხმარო».

– რა მოხდა? – კაცმა ნიკაპზე ხელი მოჰკიდა, ყელზე მოეფერა, ხელები პერანგის ქვეშ შეუცურა და მხრებზე მიუალერსა, – ცუდ გუნებაზე ხარ. შენი პრობლემა ესაა. შენთვის უფასო კონსულტაცია მექნება.

– ებრაელ ფსიქოანალიტიკოსად ჩაგთვლიან, – უღონოდ გაიღიმა ჯულიანამ, – გინდა, გაზის კამერაში გიკრან თავი?

– კაცების გეშინია. მართალს ვამბობ?

– არ ვიცი.

– გუშინ ღამით შეგეძლო გეთქვა. მხოლოდ იმიტომ, რომ მე... – წინადადება არ დაუსრულებია, – ამიტომ ვიყავი ასეთი ყურადღებიანი.

– იმიტომ რომ, ბევრთან წოლილხარ, – უპასუხა ჯულიანამ, – ამის თქმას აპირებდი თავიდან.

– მაგრამ სიმართლეს გეუბნები. მისმინე. არასოდეს მოგაყენებ ტკივილს, ჯულიანა. დედაჩემის ხსოვნას ვფიცავ. განსაკუთრებულად ყურადღებიანი ვიქნები შენდამი, თუ ჩემი გამოცდილება დაგჭირდა, ის შენს განკარგულებაშია. შენს ნერვიულობას ბოლო მოეღება, დაწყნარდები და საკუთარ თავს დაემსგავსები. ამას დიდი დრო არ სჭირდება. უბრალოდ, აქამდე ბედმა არ გაგიღიმა.

ჯულიანამ თავი დაუქნია. ახლა თავს უკეთ გრძნობდა. მაგრამ მაინც, საიდანღაც თავს დამტყდარი სიცივე და სევდა მოსვენებას არ აძლევდა.

დღის დასაწყისში მისტერ ნობუსუკე ტაგომიმ დრო გამონახა განმარტოებისთვის. «ნიპონ ტაიმსის» ოფისში იჯდა და ფიქრობდა.

ჯერ კიდევ ოფისში მოსვლამდე, სახლში მიიღო იტოსგან ინფორმაცია მისტერ ბეინსის შესახებ. ახალგაზრდა სტუდენტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისტერ ბეინსს შვედისა არაფერი სცხია. ის გერმანელი უნდა ყოფილიყო.

თუმცა, იტოს მიდრეკილებას გერმანიკული ენებისადმი არასოდეს მოუხდენია შთაბეჭდილება არც სავაჭრო მისიაზე და არც ტოკოკაზე ანუ საიდუმლო პოლიციაზე. «სრულიად ადვილი შესაძლებელია, ბიჭი აჭარბებდეს, – ფიქრობდა მისტერ ტაგომი, – მოუქნელი ენთუზიაზმი, ამას დამატებული რომანტიკული დოქტრინები. და მუდმივი იჭვნეულობა».

ასეა თუ ისე, მალე დაიწყება მოლაპარაკება მისტერ ბეინსაა და მშობლიური კუნძულებიდან ჩამოსულ მავან ხანდაზმულ ჯენტლმენთან. და სრულებით არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისტერ ბეინსის ეროვნებას. მისტერ ტაგომის ეს ადამიანი მოეწონა. «ალბათ, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ადამიანების უმთავრესი ნიჭიერება სწორედ ეს არის, – ფიქრობდა მისტერ ტაგომი და ასეთად საკუთარ თავსაც მიიჩნევდა, – კარგი ადამიანი პირველივე შეხვედრისთანავე უნდა ამოიცნო. ადამიანების ინტუიტიურად შეცნობა უნდა შეგეძლოს. ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველა ცერემონიას და ეტიკეტს. გულით უნდა იგრძნო.

გულის ტრიგრამა, ორი ინის ხაზით, რაც ტანჯვაზე მიუთითებს. ეს ორი ხაზი თითქოს ბორკილებში აქცევს მას, ცენტრში კი – იანის ნათელი. მომწონს. მნიშვნელობა არ აქვს, გერმანელია თუ შვედი. იმედი მაქვს, ზარაკაინმა თავის ტკივილი დაუამა. არ დამავიწყდეს, ამის შესახებ შევეკითხო».

მაგიდაზე ინტერკომი აზუზუნდა.

– არა, – უკმეხად უპასუხა, – ახლა საუბრის დრო არ არის. შინაგანი ჭვრეტის პროცესში ვარ. ინტროვერსიის დროა.

– სერ, პრეს-სამსახურის ინფორმაციაა, – მაინც არ დაიშალა მისტერ რეიმსიმ, – რაიხსკანცლერი მარტინ ბორმანი გარდაიცვალა.

შემდეგ მისტერ რეიმსის ხმა მიწყდა. სიჩუმე ჩამოწვა.

«დღეისთვის ყველა საქმე გადადებულია, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ. წამოდგა და ზურგზე ხელებდაწყობილი კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა, – კიდევ რა. ფორმალური სამძიმრის დეპეშა უნდა გაეგზავნოს რაიხის კონსულს. ეს უმნიშვნელო საქმეა და ამას თანაშემწეებიც მოუვლიან. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და ასე შემდეგ. მთელი იაპონია გერმანელი ხალხის გვერდით დგას ასეთ მძიმე წუთებში. შემდეგ? არნახული ყურადღებით ყოფნაა საჭირო, ტოკიოდან მოსულ უმცირეს შეტყობინებაზე რეაგირება».

ინტერკომის ღილაკს ხელი დააჭირა და წარმოთქვა:

– მისტერ რეიმსი, მუდმივი კავშირი გქონდეთ ტოკიოსთან. კომუტატორში გოგონები გააფრთხილეთ, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ყველა შემოსულ ამბავს. არც ერთი შეტყობინება უყურადღებოდ არ დატოვონ.

– დიახ, სერ.

– ჩემს კაბინეტში ვიქნები. ყველა დაგეგმილი შეხვედრა გადატანილია. არავითარი დაგეგმილი ვიზიტი.

– სერ?

– საჭიროების შემთხვევაში სრული თავისუფლება მჭირდება.

– დიახ, სერ.

ნახევარ საათში, ცხრაზე, დასავლეთ სანაპიროზე იმპერიის მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლისგან, ამერიკის წყნარი ოკეანის შტატებში იაპონიის ელჩისგან, მისი აღმატებულების, ბარონ ი. ბ. კელემაკულესგან შეტყობინება მიიღეს. სატერ-სტრიტზე საგარეო საქმეთა სამინისტრო რიგგარეშე სხდომას იწვევდა, რომელსაც სავაჭრო მისიების თითო, უმაღლესი წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა. ეს პირადად მისტერ ტაგომის ეხებოდა. ტანსაცმლის გამოსაცვლელად დრო აღარ რჩებოდა. მისტერ ტაგომიმ სწრაფი

ნაბიჯით გასწია ექსპრეს-ლიფტისკენ, მიწისქვეშა სართულზე ჩავიდა და ერთი წუთის შემდეგ მისკენ მიემართებოდა მისიის კუთვნილი მანქანა, 1940 წელს გამოშვებული შავი ფერის კადილაკი გამოცდილი ჩინელი მძღოლით.

საელჩოს შენობასთან უკვე მოჩანდა დანარჩენი მისიების კუთვნილი მანქანები, დაახლოებით თორმეტიოდე. მისიათა მთავარი წარმომადგენლები, რომელთა ნაწილს მისტერ ტაგომი პირადად იცნობდა, ნაწილს კი პირველად ხედავდა, შენობაში შედიოდნენ. მძღოლმა კარი გაუღო. მისტერ ტაგომიმ ჩანთას სტაცა ხელი, რომელიც რასაკვირველია, ცარიელი იყო, მაგრამ საელჩოში მისული სოლიდურად უნდა გამოიყურებოდეს და ქუჩიდან შემთხვევით შეხეტებულს არ ჰგავდეს. მისტერ ტაგომი დარბაისლური ნაბიჯით აუყვა შენობაში შესასვლელ კიბეს, ამას ვითარება მოითხოვდა, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რისთვის მოიწვიეს საგანგებო სხდომა. სულ მალე ვესტიბიულში აღმოჩნდა.

იქ უკვე ჯგუფებად შეკრებილიყვნენ მნიშვნელოვანი პირები და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. მისტერ ტაგომი ნაცნობებს შეუერთდა, თავს უქნევდა მათ. მისი სოლიდური იერი მოწიწებას აღძრავდა.

საელჩოს თანამშრომელი ყველას დიდ დარბაზში შეუძღვა. ყველანი გასაშლელ სკამებზე ჩამოსხდნენ. სიჩუმეს მხოლოდ აქა-იქ ჩახველება და სკამის ჭრიალი არღვევდა.

შეკრებილთა წინ, ამაღლებულ მაგიდას ჯენტლმენი მიუახლოვდა. ხელში ქაღალდების გროვა ეჭირა. ზოლებიანი შარვალი ეცვა. სავარაუდოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს წამომადგენელი უნდა ყოფილიყო.

დარბაზს ჩურჩულის ტალღამ გადაურა. გვერდით მსხდომებმა ერთმანეთს მისი ვინაობის შესახებ ვარაუდები გაუზიარეს.

– ბატონებო, – სამინისტროს წარმომადგენელმა ხმამაღალი, მბრძანებლური ტონით დაიწყო საუბარი, – როგორც იცით, რაიხსკანცლერის გარდაცვალება უკვე დადასტურდა ბერლინიდან მიღებული ოფიციალური შეტყობინებით. ეს შეკრება, რომელიც დიდხანს არ გაგრძელდება, რათა ხელი არ შეუშალოს თქვენს საქმიანობას, მიზნად ისახავს, გაგაცნოთ ჩვენი ვარაუდები გერმანიაში მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ. ასევე შეგატყობინოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული დაპირისპირებული დაჯგუფებების შესახებ, რომლებიც ჰერ ბორმანის ადგილის დაკავებას შეეცდებიან.

მაშ ასე, მოკლედ მოგახსენებთ: ყველაზე ძლიერი კანდიდატი ჰერმან გერინგია. ბოდიშს მოგიხდით, თუ ზოგიერთი რამ თქვენთვის უკვე ცნობილია. «სქელი», ასე ეძახიან აღნაგობის გამო. პირველ მსოფლიო ომში მამაცი მფრინავი ასი იყო, დააარსაGგესტაპო და პრუსიის მთავრობაში მიიღო თანამდებობა ფაქტობრივად განუსაზღვრელი ძალაუფლებით. ადრინდელ ნაცისტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი გახლდათ, ხოლო გვიანდელი სიბარიტული მისწრაფებების გამო ჭამა-სმის მოყვარულის იმიჯი შეიქმნა. თუ თქვენც ამ მოსაზრებას იზიარებთ, ჩვენი მთავრობა მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ

დაივიწყეთ. ეს ადამიანი ავადმყოფობის, შესაძლოა აპეტიტთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, უფრო მეტად თვითგაღმერთებულ რომის იმპერატორს უფრო მოგვაგონებს, რომლის ძალაუფლება ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო იზრდება. წარმოიდგინეთ ეს ადამიანი ტოგაში გამოწყობილი, მოშინაურებული ლომებით გარშემორტყმული, ალაფითა და ხელოვნების ნიმუშებით გამოტენილ უზარმაზარ სიმაგრეში, და შესაბამის დასკვნას გამოიტანთ. ომის დროსაც კი, ღირებული ნივთებით დატვირთული ეშელონები მისი კუთვნილი სამფლობელოსკენ მიდიოდა, არმიების დაყოვნების ხარჯზეც კი. ჩვენი შეფასებით, ამ ადამიანს უზარმაზარი ძალაუფლება სწყურია და მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობაც აქვს. ნაცისტების ყველაზე თვითკმაყოფილი წარმომადგენელია და ამ თვალსაზრისით მკვეთრი კონტრასტია ჰიმლერთან, რომელიც მხოლოდ დაბალ ხელფასზე ცხოვრობს. ჰერ გერინგის წარმოდგენით, ძალაუფლება პირადი გამდიდრების საშუალებაა. მისი აზროვნება პრიმიტიულია, შეიძლება ითქვას, ვულგარულიც კი, ამის მიუხედავად, ნაცისტური პარტიის ლიდერებს შორის ყველაზე ჭკვიანი გახლავთ. მთავარი მამოძრავებელი სურვილია, ძველი იმპერატორების დარად აღმერთებდნენ.

შემდეგია ჰერ იოზეფ გებელსი. ახალგაზრდობაში პოლიომიელიტით დაავადდა. წარმოშობით კათოლიკური ოჯახიდანაა. ბრწყინვალე ორატორი, მწერალი, მოქნილი და ფანატიკური გონების პარტონი, გონებამახვილი, ქალაქური ცხოვრების დამფასებელი, კოსმოპოლიტი. ძალიან უყვარს ქალბატონების საზოგადოება. ელეგანტური. განათლებული. დიდი უნარების მქონე. ბევრი მუშაობა შეუძლია; მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტად პედანტურია ადმინისტრაციულ საქმეებში. არასოდეს ისვენებს. ყველაზე პატივსაცემი პერსონა გახლავთ. თანამოსაუბრის მოხიბვლა შეუძლია, მაგრამ ზოგჯერ მრისხანების შემოტევა ახასიათებს, რაც ნაცისტებისთვისაც კი გასაკვირია. მისი იდეოლოგიური შეხედულება შუა საუკუნეების იეზუიტური თვალსაზრისის პოსტრომანტიზმის გერმანულ ნიჰილიზმთან ნაზავს წარმოადგენს. პარტიის უმთავრეს ინტელექტუალად ითვლება. ახალგაზრდობაში დრამატურგობა სცადა. მეგობრები ცოტა ჰყავს.

ხელქვეითებს ის არ უყვართ, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ პიროვნებამ შეისისხლხორცა ევროპული კულტურის მრავალი ელემენტი. არაფრად აგდებს ქება-დიდებას, თუმცა თავისთავად ძალაუფლების ფენომენი აინტერესებს. კლასიკური პრუსიული სახელმწიფო მოღვაწისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული ნიჭი გამოარჩევს.

ჰერ რ. ჰაიდრიხი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შეისვენა და შეკრებილებს გადახედა. შემდეგ განაგრძო:

– უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ისინი, ვინც 1932 წლის გადატრიალებაში მონაწილეობდნენ. კარიერა ესესის ელიტის შემადგენლობაში დაიწყო, ჰ. ჰიმლერის დაქვემდებარებაში, და შესაძლოა პირადად აქვს მონაწილეობა მიღებული 1948 წელს ჰიმლერის საიდუმლოებით მოცულ გარდაცვალებაში. ოფიციალურად ჩამოიშორა პოლიციის აპარატიდან ყველა კონკურენტი, როგორებიც იყვნენ ა. აიხმანი, ვ. შელენბერგი და სხვებიც. მოარული ხმებით,

მისი პარტიაში ბევრს ეშინია. საომარი მოქმდებების დასრულების დროისთვის პასუხისმგებელი იყო ვერმახტის ნაწილებზე და კერძოდ, არმიასა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებების დროს, რის შედეგადაც პარტიის ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა და ნაციონალ-სოციალისტური პარტია დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა. იყო მ. ბორმანის მუდმივი მოკავშირე. ელიტური აღზრდისა და ეგრეთ წოდებული «ესესის სიმაგრის სისტემის» პირმშოა. როგორც ამბობენ, სრულიად უემოციო პიროვნებაა ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით. გაურკვეველია, მისი მოტივაცია რა არის. შესაძლოა მას საზოგადოება ერთგვარ სათამაშო სივრცედ წარმოუდგენია, სადაც ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან; ტექნოკრატიულ წრეებში ზოგიერთი მის ფსევდომეცნიერულ შეხედულებებზე საუბრობს. იდეოლოგიურ დისკუსიებში არ მონაწილეობს. მოკლედ: შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე აზროვნების ადამიანად; განმანათლებლობის შემდგომი ეპოქის პირმშოდ, რომლისთვისაც უცხოა ეგრეთ წოდებული აუცილებელი ილუზიები ღმერთისადმი რწმენის და სხვათა სახით. ჩვენმა ტოკიოელმა სოციოლოგებმა ვერ გაარკვიეს, რას ნიშნავს რეალისტურად მიჩნეული აზროვნების უნარი, ამიტომ ეს მახასიათებელი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაც შეეხება უემოციობას, ეს პათოლოგიური შიზოფრენიის ერთ-ერთ მახასიათებლადაც ითვლება.

მისტერ ტაგომი უსმენდა და ყოველ სიტყვასთან ერთად უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა თავს.

– ბალდურ ფონ შირახი. ჰიტლერიუგენდის ყოფილი ხელმძღვანელი. იდეალისტად მიიჩნევა. ერთი შეხედვით, მიმზიდველი პიროვნებაა, მაგრამ გამოუცდელად და არაკომპეტენტურად ითვლება. გულწრფელად სჯერა პარტიის. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ხმელთაშუა ზღვის დაშრობა, რის შემდეგაც გერმანიამ უზარმაზარი სათესი ფართობი შეიძინა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში სლავურ ტერიტორიებზე რასობრივი ჟლეტის მასშტაბის შემცირება სცადა. პირადად მიმართა გერმანიის მოსახლეობას,

საშუალება მიეცათ, სლავი ხალხების შემორჩენილი ჯგუფებისთვის გერმანიის ტერიტორიაზე რეზერვაციებში ეცხოვრათ. ევთანაზიისა და ზოგიერთი სამედიცინო ექსპერიმენტის აკრძალვაც სცადა, მაგრამ წარუმატებლად.

დოქტორი ზაის-ინკვარტი. ყოფილი ავსტრიელი ნაცისტი, ამჟამად რაიხის კოლონიური ოლქების მმართველია. დიდი ალბათობით, რაიხის ტერიტორიაზე ეს ადამიანი ყველაზე მეტად სძულთ. დაპყრობილი ხალხების მიმართ გატარებული ყველა რეპრესიული ღონისძიების ავტორად სწორედ იგი მიიჩნევა. როზენბერგთან ერთად შეიმუშავა იმგვარი ამაზრზენი საყოველთაო აქციის იდეოლოგიური დასაბუთება, როგორიც იყო რუსული ეროვნების მოსახლეობის სრული სტერილიზაცია საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. დადასტურებული არ არის, მაგრამ სწორედ ზაის-ინკვარტს მიიჩნევენ აფრიკის კონტინენტის ფლორის სრული განადგურების ინიციატორად, რის შედეგადაც დამატებითი ძალისხმევის გარეშე ამოწყდებოდა შავკანიანი მოსახლეობა. ბუნებითა და ტემპერამენტით ყველაზე ახლოს დგას პირველ ფიურერთან, ადოლფ ჰიტლერთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მოხსენების აუჩქრებლად კითხვას ამთავრებდა.

«მე მგონი, ჭკუიდან ვიშლები», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

«ახლავე უნდა დავტოვო აქაურობა. შეტევა დამემართება. ჩემი სხეული ვეღარ უძლებს ამ სიტყვების მოსმენას – ვკვდები». ფეხზე წამოიჭრა, სკამებსა და ადამიანებს შორის ხელის კვრით გაიკვლია გზა. ვერაფერს ხედავდა. ტუალეტამდე უნდა მიეღწია. კარისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა.

რამდენიმე ადამიანმა თავი მიაბრუნა. თვალი გააყოლა. რა სირცხვილია. ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე ცუდად გახდა. იძულებული გახდა, იქაურობა დაეტოვებინა. როგორც იქნა კარს მიუახლოვდა, რომელიც საელჩოს თანამშრომელმა მის წინ მაშინვე გააღო.

დარბაზიდან გასვლისთანავე პანიკამ ოდნავ გადაუარა. გარშემო საგნებმა ტორტმანი შეწყვიტა; ძველებურად ხედავდა ყველაფერს. გაჩერდა იატაკი, კედლები.

თავბრუსხვევა უდავოდ შუა ყურთან დაკავშირებული პრობლემაა.

«ალბათ შუამდებარე ტვინმა, თავის ტვინის ღერომ დროებით ფუნქციონირება შეწყვიტა», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

დროებითი პაუზა იყო.

საჭიროა რაღაც ხელჩასაჭიდზე იფიქროს. იმაზე, თუ როგორაა სამყარო მოწყობილი. ამისათვის რა გამოდგება? რელიგია? «ამ გავოტს შესანიშნავად ასრულებთ; ორივენი შეუდარებლები ხართ, ორივენი; რა კარგად მისდევთ ერთმანეთს. თქვენი ცქერა ერთი სიამოვნებაა», გაახსენდა კარგად ნაცნობი სამყარო, გილბერტისა და სალივანის «გონდოლიერები»

[57]

, დ’ოილი კარტის კომპანიის

[58]

დადგმა. თვალები დახუჭა და თვალწინ წარმოუდგა ომის დასრულების შემდეგ მოწყობილი მოგზაურობის დროს ნანახი ინგლისი. განადგურებული, მკვდარი სამყარო...

საელჩოს თანამშრომელს მისი იდაყვი ეჭირა.

– სერ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

მისტერ ტაგომიმ ოდნავ დაუკრა თავი.

– ახლა უკეთესად ვარ.

დარბაზში მსხდომთა მშვიდი, ყურადღებიანი სახეები. სასაცილოდ არავის აუგდია. «ალბათ მერე დამცინეს? როცა გამოვედი?», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

ეს ბოროტებაა! ის ახლაც მთლიანად ბოჭავს.

«ვერ დამიჯერებია ეს ყველაფერი. აუტანელია. შეუძლებელია, ბოროტება შეხედულებად ჩამოყალიბდეს».

საელჩოს შესასვლელში მიიხედ-მოიხედა. სატერ-სტრიტიდან მანქანების ხმა შემოდიოდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მოხსენების კითხვას აგრძელებდა.

«ყველა რელიგია მცდარია. როგორ მოვიქცე?» დაეკითხა თავს. საელჩოს გასასვლელამდე მივიდა. თანამშრომელმა კარი გაუღო და მისტერ ტაგომი კიბეზე დაეშვა. გაჩერებული მანქანებისკენ გაემართა. მის მანქანასთან მძღოლი იდგა.

«ბოროტება ჩვენი განუყოფელი ნაწილია. მთელი სამყაროსი. ფესვები გაიდგა ჩვენში, ჩვენს სხეულებში, გონებაში, გულებში, ქვაფენილშიც კი.

რატომ?

ბრმა თხუნელებს ვგავართ. მიწაში ღრმად მივძვრებით, გარშემო სამყაროს მხოლოდ ჩვენი დრუნჩებით ვგრძნობთ. არაფერი ვიცით. ამას მივხვდი... და ახლა აღარ ვიცი, საით წავიდე. შიშით ყვირილიღა შემიძლია. შორს გაქცევა.

საცოდავი ვარ.

«მიდი, დამცინე», ამას ფიქრობდა, როდესაც მანქანისკენ მიმავალმა თავისი მძღოლი დაინახა.

«ჩანთა დამრჩა. იატაკზე, სკამთან მედო. მთელი ქუჩა მიყურებს, თავს როცა ვუქნევ მძღოლს».

სახელურს ხელი ჩაავლო და გააღო; ძლივს ჩაჯდა მანქანაში.

«საავადმყოფოში ხომ არ წავსულიყავი, – გაიფიქრა, – არა, ოფისში წავალ».

– «ნიპონ ტაიმსი», – თქვა ხმამაღლა, – ნელა იარეთ.

ქალაქს, მანქანებს, მაღაზიებს, მაღლივ, უაღრესად თანამედროვე შენობებს ათვალიერებდა. ხალხს. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც თავ-თავიანთ საქმეებზე მიდიოდნენ.

ოფისში დაბრუნებულმა მისტერ რეიმსის დაავალა, ფერადი ლითონების სავაჭრო მისიის წარმომდაგენელთან დაეკავშირებინა დაუყოვნებლივ, როგორც კი ის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამართული სხდომიდან სამსახურს დაუბრუნდებოდა.

ნაშუადღევისთვის ზარი გაისმა.

– ალბათ შენიშნეთ, შეხვედრაზე თავი შეუძლოდ ვიგრძენი, – უთხრა მისტერ ტაგომიმ

თანამოსაუბრეს, – უეჭველია, ყველამ შენიშნა, განსაკუთრებით – ჩემი ნაადრევი წასვლა.

– არაფერი დამინახავს, – უთხრა კოლეგამ ფერადი ლითონების სავაჭრო მისიიდან, – მაგრამ სხდომის დასრულების შემდეგ თქვენი არყოფნა კი შევნიშნე და გამიკვირდა.

– ძალიან ტაქტიანი ბრძანდებით, – ამოიოხრა მისტერ ტაგომიმ.

– არა, გარწმუნებთ, ყველა ისეთი ინტერესით უსმენდა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მოხსენებას, რომ სხვა არაფრისთვის მიუქცევიათ ყურადღება. რაც შეეხება იმას, რა მოხდა თქვენი წასვლის შემდეგ – შესაძლო კანდიდატების სია ხომ მოისმინეთ? ეს ყველაზე მთავარია.

– დოქტორ ზაის-ინკვარტის შესახებ ნაწილს მოვუსმინე.

– ამის შემდეგ მომხსენებელი უკვე რაიხის ეკონომიკურ მდგომარეობას შეეხო. მშობლიურ კუნძულებზე მიაჩნიათ, რომ გერმანიის გეგმაა, ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის მოსახლეობა სლავების სტატუსამდე დაიყვანოს – ამას ემატება ყველა ინტელექტუალის, ბურჟუაზიული ელემენტის, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდის ფიზიკურად განადგურება – რაც ეკონომიკური კატასტროფის ტოლფასია. მათ მხოლოდ გერმანული მეცნიერებისა და მრეწველობის სასწაულებრივი ტექნოლოგიური მიღწევები თუ გადაარჩენს; ან, როგორც ამბობენ, ჯადოსნური იარაღი.

– დიახ, – ჩაილაპარაკა მისტერ ტაგომიმ. მაგიდაზე ჩამოჯდა, ცალ ხელში ყურმილი ეჭირა, ხოლო მეორეში ცხელი ჩაის ჭიქა, – და ეს ჯადოსნური იარაღი ომის დროს იყო მათი «ფაუ-1» და «ფაუ-2» და რეაქტიული ბომბდამშენები.

– ეს, სიმართლე ითქვას, უფრო მოხერხებულობაზეა დამყარებული. მათი ძირითადი კოზირი ატომური ენერგიაა. და კიდევ – ეს გაუთავებელი ბალაგანი მარსსა და ვენერაზე კოსმოსური ხომალდების გაგზავნის სახით. ამით ხალხს ართობენ, თორემ სინამდვილეში იქ არავითარი ეკონომიკური წინსვლა არ არის.

– სამაგიეროდ, ამაღელვებელია, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ.

– მათი პროგნოზი მეტად პირქუშია. იგრძნობა, რომ ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობა არც კი ფიქრობს მოსალოდნელ სავალალო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამის სანაცვლოდ ახალ-ახალ დიად ავანტიურებს იგონებენ, სულ უფრო მცირდება შედეგის პროგნოზირების საშუალება, და საერთოდაც, სტაბილურობა იკლებს. მანიამდე მისული ენთუზიაზმი შიშმა შეცვალა, მერე პარტიის სასოწარკვეთილმა გადაწყვეტილებებმა – მოკლედ, სულ უფრო მყარდება მოსაზრება, რომ ასეთ სიტუაციაში ყველაზე უფრო დაუფიქრებელი კანდიდატი შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლების სათავეში.

მისტერ ტაგომიმ თავი დააქნია.

– ასე რომ, უარესისთვის უნდა მოვემზადოთ. ამ ბრძოლაში თავშეკავებული და

პასუხისმგებლობის მქონე კანდიდატები დამარცხებიან.

– უარესებად ვის მიიჩნევენ? – შეეკითხა მისტერ ტაგომი.

– ჰაიდრიხს. დოქტორ ზაის-ინკვარტს. გერინგს. ასეთია იმპერიის მთავრობის თვალსაზრისი.

– და საუკეთესო?

– სავარაუდოდ ფონ შირახი და დოქტორი გებელსი. თუმცა მეორის დასახელება საჭოჭმანოა.

– კიდევ რა თქვა?

– გვითხრა, რომ უნდა გვჯეროდეს იმპერატორისა და მისი მთავრობის, რომ იმედითა და რწმენით უნდა განვეწყოთ მთავრობისადმი.

– წუთიერი დუმილიც იყო?

– დიახ.

მისტერ ტაგომიმ ფერადი ლითონების სავაჭრო მისიაში მომუშავე კოლეგას მადლობა გადაუხადა და ყურმილი დადო.

სანამ ჩაის სმას დაასრულებდა, ინტერკომი აზუზუნდა.

– სერ, გერმანიის კონსულისთვის სამძიმრის შეტყობინების გაგზავნას აპირებდით, – გაისმა მის ეიფრიკიანის ხმა, – ტექსტს ხომ ვერ მიკარნახებდით?

მისტერ ტაგომის ახლაღა გაახსენდა.

– ჩემთან შემოდით, – უპასუხა მდივანს.

კაბინეტში შესულმა ქალმა იმედიანად გაუღიმა.

– თავს ხომ უკეთ გრძნობთ?

– დიახ. ვიტამინების ინექციამ მიშველა, – დაუდასტურა მისტერ ტაგომიმ, – შემახსენეთ, რა ჰქვია გერმანიის კონსულს?

– უკვე ჩავწერე, სერ. ბარონი ჰუგო რეისი.

– Mein Herr, – დაიწყო მისტერ ტაგომიმ, – გაგვაოგნა თქვენი ბელადის, ჰერ მარტინ ბორმანის გარდაცვალების შესახებ მიღებულმა ცნობამ. ამ სიტყვებს ვწერ და ცრემლებს ვერ ვიკავებ, როდესაც ჰერ ბორმანის მიერ გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ ნამოქმედარს ვიხსენებ, როგორ გადაარჩინა ის გერმანიის მტრებთან ბრძოლაში შინ და გარეთ, როგორი შეუვალი იყო ლაჩრებისა და გამყიდველების მიმართ, რომლებსაც კოსმოსის დაპყრობის დიადი გეგმების ჩაშლა სურდათ, სადაც ამჟამად გაიჭრნენ ქერათმიანი და ცისფერთვალება ჩრდილოური რასის წარმომადგენლები, რათა... – მისტერ ტაგომი დადუმდა. არ იცოდა, წინადადება როგორ

დაესრულებინა. მის ეიფრიკიანმა ამასობაში დიქტოფონი გამორთო.

– დიად ეპოქაში ვცხოვრობთ, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

– ეს უნდა ჩავიწერო, სერ? შევა სამძიმრის შეტყობინებაში? – დაეჭვებულმა მდივანმა დიქტოფონისკენ წაიღო ხელი.

– არა, თქვენ მოგმართეთ, – უპასუხა უფროსმა.

ქალმა გაიღიმა.

– მომასმენინეთ ჩანაწერი.

დიქტოფონი აზუზუნდა. მერე ორი დუიმის სიგრძის მოწყობილობიდან მისი ხმა გაისმა, სუსტი და ჟღრიალა.

«... ჰერ ბორმანის მიერ...» – საკუთარ ხმას უსმენდა და მისტერ ტაგომის ეჩვენებოდა, თითქოს რომელიღაც მწერი ყუთის კედლებს ფხაჭუნით ეხლებოდა. გარეთ გამოსვლას ლამობდა.

– დასასრული მოვიფიქრე, – თქვა, როდესაც ჩანაწერი დასრულდა, – შეუპოვრობა, რომლითაც ისინი ცდილობენ ისტორიაში ისეთი სახელი ჩაწერონ, რომელიც არასოდეს ამოიშლება და ამისათვის სიცოცხლის დათმობასაც არად აგდებენ, არად აგდებენ იმას, თუ რა მოხდება... – მისტერ ტაგომი დადუმდა, – ყველანი მწერები ვართ, – უთხრა მერე მის ეიფრიკიანს, – რაღაც საზიზღრობას ან ღვთაებრივს ხელის ცეცებით ვეძებთ. არ მეთანხმებით? – თავი დახარა. მის ეიფრიკიანი წამოდგა, დიქტოფონისთვის ხელი არ გაუშვია და ოდნავ დაუკრა თავი.

– გააგზავნეთ, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – ხელი მოაწერეთ და ასე შემდეგ. დაამუშავეთ წინადადებები თქვენი სურვილისამებრ, რომ რაღაც აზრი ჰქონდეს მათ, – მის ეიფრიკიანი გასასვლელისკენ გაემართა, – ან პირიქით, არავითარი აზრი არ იყოს მათში. მოკლედ, თქვენ როგორც გირჩევნიათ.

მის ეიფრიკიანმა კარი გამოაღო და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა უფროსს.

მისი გასვლის შემდეგ სამუშაო დღე ჩვეულებრივად გაგრძელდა. მანამდე, სანამ ინტერკომით ისევ მისტერ რეიმსის ხმა გაისმებოდა.

– სერ, მისტერ ბეინსი რეკავს.

«კარგია, ახლა მნიშვნელოვანი საუბარი დაიწყება», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

– დამაკავშირეთ, – თქვა და ყურმილი აიღო.

– მისტერ ტაგომი, – გაისმა ბეინსის ხმა.

– მოგესალმებით. კანცლერ ბორმანის გარდაცვალების გამო ამ დილით ოფისის დატოვება მომიხდა. თუმცა...

– მისტერ იატაბე თუ დაგიკავშირდათ?

– ჯერ არა, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ.

– თქვენი ხელქვეითები გააფრთხილეთ? – შეეკითხა ბეინსი. ხმაზე ეტყობოდა, ღელავდა.

– დიახ, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ, – როგორც კი მოვა, შემატყობინებენ, – მაშინვე გაუელვა, რომ მისტერ რეიმსი გაეფრთხილებინა, აქამდე არ გახსენებია, – მოხუცებული ჯენტლმენის გამოჩენამდე მოლაპარაკება არ გაიმართება? – აღელდა, – სერ, – წამოიწყო ისევ, – ერთი სული მაქვს, მოლაპარაკება დავიწყოთ. რას ფიქრობთ, შეგიძლიათ თქვენი ფირმის ჩამოსასხმელი ფორმები წარმოგვიდგინოთ? მიუხედავად იმისა, რომ დღეს რთული დღე იყო...

– რაღაც შეიცვალა, – გააწყვეტინა მისტერ ბეინსმა, – მისტერ იატაბეს უნდა დაველოდოთ. დარწმუნებული ხართ, რომ ჯერ არ ჩამოსულა? ძალიან გთხოვთ, პირობა მომეცით, რომ როგორც კი დაგირეკავთ, მაშინვე შემატყობინებთ. ძალიან გთხოვთ, მისტერ ტაგომი, ყველა ღონე იხმარეთ, – მისტერ ბეინსს დაძაბული ხმა ჰქონდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

– გპირდებით, – აღელვება მისტერ ტაგომისაც გადაედო. ბორმანის გარდაცვალებამ გამოიწვია ცვლილება, – და მაინც, – დაამატა სასწრაფოდ, – ლანჩზე თქვენი ყოფნით დიდად მასიამოვნებდით, – გზადაგზა ფიქრობდა, – შეგვეძლო სპეციფიკური, ჩვენთვის საინტერესო პრობლემების გადაჭრამდე ზოგადი, მსოფლიოში არსებული პირობების შესახებ გვემსჯელა...

– არა, – იყო მისტერ ბეინსის პასუხი.

არა? მისტერ ტაგომი ჩაფიქრდა.

– სერ, – თქვა მერე, – დღეს თავს შეუძლოდ ვგრძნობ. სამწუხარო ინციდენტი შემემთხვა; და მინდოდა თქვენთვის რაღაც გამენდო.

– მაპატიეთ, – უპასუხა მისტერ ბეინსმა, – მოგვიანებით დაგირეკავთ.

ყურმილის დაკიდების ხმა გაისმა.

«გავანაწყენე, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – ეტყობა მიხვდა, რომ დამავიწყდა თანამშრომლების გაფრთხილება მოხუცებული ჯენტლმენის თაობაზე. მაგრამ ეს ხომ ისეთი უმნიშვნელო რამ არის».

ინტერკომის ღილაკს დააჭირა და წარმოთქვა:

– მისტერ რეიმსი, თუ შეიძლება, ჩემთან შემოდით.

«ამის გამოსწორება დაუყოვნებლივ შემიძლია. სხვა რამ არის გადაუჭრელი», გაიფიქრა. ბორმანის სიკვდილმა კალაპოტიდან ამოაგდო.

«უმნიშვნელო შემთხვევაა – და მაინც, ის ჩემს დაუდევრობაზე მეტყველებს». მისტერ ტაგომი თავს დამნაშავედ გრძნობდა. «ეს არ არის კარგი დღე. მისანს უნდა დავკითხებოდი, რა

მოხდებოდა. ძალიან შორს ვარ დაოსგან. ეს აშკარაა».

«სამოცდაოთხი ჰექსაგრამიდან დღევანდელ დღეს რომელი უფრო შეეფერება?», უჯრიდან სამისნო წიგნის ორივე ტომი ამოიღო და მაგიდაზე დადო, «რამდენი კითხვა გვაქვს ბრძენთა მიმართ. რამდენი შეკითხვა, რომელთა ჩამოყალიბებაც კი ჭირს».

როდესაც მისტერ რეიმსი კაბინეტში შევიდა, მას უკვე მზად ჰქონდა ჰექსაგრამა.

– შეხედეთ, მისტერ რეიმსი, – წიგნზე მიუთითა.

ორმოცდამეშვიდე ჰექსაგრამა იყო. დათრგუნვილობა – დაქანცულობა.

– ზოგადად, ცუდი წინასწარმეტყველებაა, – შენიშნა მისტერ რეიმსიმ, – რა შეკითხვა დაუსვით? თუ რასაკვირველია, უფლება მაქვს ვიცოდე.

– დღევანდელ დღეზე შევეკითხე, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ, – როგორი იქნებოდა ის ჩვენთვის, ყველასთვის. არც ერთი წყვეტილი ხაზი. სრულიად უძრავი ჰექსაგრამა, – მისტერ ტაგომიმ წიგნი ხმაურით დახურა.

შუადღის სამ საათზე ფრენკ ფრინკი თავის ბიზნესპარტნიორთან ერთად ჯერ კიდევ უინდემ-მატსონის პასუხს ელოდებოდა თანხასთან დაკავშირებით, ამიტომ გადაწყვიტა, სამისნო წიგნისთვის მიემართა. რა მოხდება? შეეკითხა და ჰაერში მონეტები ააგდო.

ორმოცდამეშვიდე ჰექსაგრამა მიიღო. მეხუთე პოზიციაში ერთი წყვეტილი ხაზით.

ცხვირს და ფეხებს მოაჭრიან.

მჩაგვრელი იქნება კაცი,

რომელსაც წითელი სამუხლეები უკეთია.

ნელ-ნელა სიხარულიც მოვა.

მას ძღვენი და შესაწირი სჭირდება.

დიდხანს, თითქმის ნახევარი საათი ჩასცქეროდა ამ სიტყვებს აზრის გასაგებად. თავგზა აუბნია არა მხოლოდ მეხუთე ხაზმა, არამედ მთლიანად ჰექსაგრამამ. ბოლოს ის დაასკვნა, რომ უინდემ-მატსონისგან ფულის მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

– ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებ ამ ყველაფერს, – უთხრა ედ მაკკართიმ.

ოთხ საათზე უინდემ-მატსონის კორპორაციიდან მოსულმა შიკრიკმა ფრინკსა და მაკკართის კონვერტი გადასცა. კონვერტში ჩეკი იდო, ორი ათას დოლარის.

– ხომ ხედავ, ცდებოდი, – თქვა მაკკართიმ.

«ალბათ მისანი რაღაც სამომავლო მოვლენას გულისხმობდა, – გაიფიქრა ფრინკმა, – რაღაც უსიამოვნება მოხდება და მხოლოდ მაშინ მივხვდები, რას გულისხმობდა. მაგრამ ახლა...»

– მაღაზიის მოწყობა შეგვიძლია დავიწყოთ, – თქვა მაკკართიმ.

– დღესვე? ახლავე? – ფრინკს უღონობა მოერია.

– რატომაც არა? შეკვეთების შესახებ წერილები უკვე გვაქვს, მათი გაგზავნაა საჭირო. რაც მალე ვიმოქმედებთ, მით უკეთესია. ადგილზევე შეიძლება დანადგარების შოვნა, – მაკკartიმ პიჯაკი ჩაიცვა და ფრინკის ოთახის კარს მიუახლოვდა.

ფრინკის ბინის მეპატრონეს უკვე მოელაპარკნენ, რომ მას საწყობად გამოყენებული სარდაფი დაეთმო. იქიდან ცარიელი ყუთების გაზიდვის შემდეგ დაზგებს დადგამდნენ, ელექტრობას გაიყვანდნენ, ძრავებსა და კონვეიერებს გამართავდნენ. უკვე დახაზეს ესკიზები, ნედლეულისთვის საჭირო სპეციფიკაციაც გამზადებული ჰქონდათ. ასე რომ, შეეძლოთ საქმე შედგომოდნენ.

«ბიზნესში ვართ», გააცნობიერა ფრენკ ფრინკმა. სახელზეც შეთანხმდნენ.

ედფრენკის საიუველირო ნაკეთობები

– დღეს დიდი-დიდი, დაზგებისთვის საჭირო ხის დაფები ვიყიდოთ, და შეიძლება, ელექტროსაქონელიც. მაგრამ ნედლეულის შეძენას ვეღარ მოვასწრებთ.

სახლიდან გავიდნენ და სან-ფრანცისკოს სამხრეთით მდებარე ხეტყის მასალის საწყობისკენ გაემართნენ. ერთი საათის შემდეგ დაფებით დაბრუნდნენ.

– რა არ გასვენებს? – შეეკითხა ედ მაკკართი, როდესაც სახელოსნოებისთვის საჭირო დანადგარებით მოვაჭრე მაღაზიაში შედიოდნენ.

– ფული. ლოდივით მაწევს დაფინანსების ამგვარად მოპოვება.

– ბებერი უინდემ-მატსონი გაგვიგებს, – უპასუხა მაკკართიმ.

«ვიცი, – გაიფიქრა ფრინკმა, – მეც ეგ მაწუხებს. საქმე წამოვიწყეთ. და მასავით ვიქცევით. ეს რა სასიამოვნოა?»

– გეყოფა უკან-უკან ცქერა, – თქვა მაკკართიმ, – წინ იყურე. საქმეზე იფიქრე.

«წინ ვიყურები, – გაიფიქრა ფრინკმა. ჰექსაგრამა გაახსენდა, – რა ძღვენი და შესაწირი უნდა გავიღო? ვისთვის?»

7

კაზუორები (სანდომიანი ახალგაზრდა იაპონელების წყვილი, რომელმაც თავის დროზე რობერტ ჩილდენის მაღაზია მოინახულა), კვირის მიწურულს მაღაზიის მეპატრონეს

ტელეფონით დაუკავშირდნენ და სადილად შინ დაპატიჟეს. ჩილდენი უკვე ფიქრობდა, დამივიწყესო და მიპატიჟებამ გაახარა.

მაღაზია ცოტათი ადრე დაკეტა, რიქშა დაიქირავა და ქალაქის იმ გამორჩეული უბნისკენ გასწია, სადაც კაზუორები ცხოვრობდნენ. იქაურობას კარგად იცნობდა იმის მიუხედავად, რომ მისი კლიენტები აღნიშნულ უბანში არ ცხოვრობდნენ. სანამ რიშქა გაზონებით ამწვანებულ და ტირიფის ხეებით დაჩრდილულ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს მიუყვებოდა, ჩილდენი კმაყოფილებით ათვალიერებდა გამორჩეული დახვეწილი დიზაინის თანამედროვე საცხოვრებელ სახლებს. ნაჭედი ლითონის აივნები, თანამედროვე მაღალი სვეტები, პასტელის ფერები, განსხვავებული სამშენებლო მასალა... ეს ყველაფერი ერთად მართლაც ხელოვნების ნიმუშს ქმნიდა. კარგად ახსოვდა, ომის შემდეგ აქაურობა ნანგრევების გროვა იყო.

პატარა იაპონელები ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთხელ შეავლებდნენ თვალს და მერე თავის გასართობს უბრუნდებოდნენ – ფეხბურთს ან ბეისბოლს. «მაგრამ უფროსები კი განსხვავებულად იქცევიან», გაიფიქრა ჩილდენმა: კარგად ჩაცმული ახალგაზრდა იაპონელები, რომლებმაც მანქანები გააჩერეს და შინისკენ მიეშურებოდნენ, დაუფარავი ინტერესით უმზერდნენ. «ნუთუ აქ ცხოვრობს?» აშკარად ჩანდა მათ სახეებზე. თავიანთი ოფისებიდან ახალგაზრდა იაპონელი ბიზნესმენები შინ ბრუნდებოდნენ... ამ უბნის ზოგიერთი ბინადარი სავაჭრო მისიაშიც კი მუშაობდა. მისტერ ჩილდენმა სახლებთან გაჩერებული კადილაკების სიმრავლეს მიაქცია ყურადღება. რაც უფრო უახლოვდებოდა რიქშა საჭირო მისამართს, მით მეტად ნერვიულობდა მისტერ ჩილდენი.

თუმცა, როდესაც კაზუორების სახლის კიბეებზე ავიდა, მღელვარებამ ერთი ხელის მოსმით გაუარა. «აქ საქმეზე კი არა, სადილად მომიწვიეს». რასაკვირველია, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა საკუთარ ჩაცმულობას, რომ სათანადო შთაბეჭდილება მოეხდინა მასპინძელზე. «ჩემი შესახედაობა, – გაიფიქრა, – დიახ. ასე ამბობენ. როგორი შესახედავი უნდა ვიყო? ამას რა მნიშვნელობა აქვს; აქაურობისთვის მაინც უცხოდ ვრჩები; ამ მიწაზე ოდესღაც თეთრკანიანებმა წესრიგი დაამყარეს და ულამაზესი ქალაქები ააშენეს. ჩემს მშობლიურ ქვეყანაში ახლა უცხოდ ვიქეცი».

ხალიჩით დაფარულ დერეფანს გაუყვა, საჭირო კართან მისულმა ზარი დარეკა. კარი მაშინვე გაიღო. ახალგაზრდა მისის კაზუორა ზღურბლზე იდგა, აბრეშუმის კიმონო ეცვა და ფართო ქამარი – ობი – ეკეთა. გრძელი, შავი ლაპლაპა თმა მხრებზე ჩამოშლოდა. მისალმების ნიშნად უღიმოდა. ქალის უკან, მისაღებ ოთახში მისი ქმარი მოჩანდა სასმლის ჭიქით ხელში, მან მისალმების ნიშნად სტუმარს თავი დაუქნია.

– მისტერ ჩილდენ, შემობრძანდით.

თავი დაუკრა და ოთახში შევიდა.

დახვეწილი გემოვნება. იმავდროულად – ასკეტურობა. ნივთების სიმცირე. სანათი, მაგიდა, წიგნების თარო, გრავიურა კედელზე. ამას ეწოდება wabi-ს განუმეორებელი იაპონური

შეგრძნება. ტერმინი სხვა ენებზე არ ითარგმნება. ესაა უბრალო ნივთებში სილამაზის დანახვის უნარი, თანაც – არანაკლები სილამაზისა, ვიდრე საგანგებოდ შექმნილ სამშვენისებში. ეს სილამაზე უბრალო ნივთების განლაგებითაც შესანიშნავად იგრძნობა.

– სასმელს რას მიირთმევთ? – შეეკითხა მისტერ კაზუორა, – შოტლანდიური ვისკი სოდიანი წყლით?

– მისტერ კაზუორა... – წამოიწყო მისტერ ჩილდენმა.

– პოლი, – თქვა ახალგაზრდა იაპონელმა, მერე ცოლზე მიუთითა, – ბეტი. და თქვენი სახელი...

– რობერტი, – წაიჩურჩულა მისტერ ჩილდენმა.

სასმლის ჭიქებით ხელში რბილ ნოხზე ისხდნენ და კოტოს უსმენდნენ, იაპონურ ცამეტსიმიან არფას. იაპონურის ფირმის, HMV-ის (His Master's Voice) ახალგამოშვებული ჩანაწერი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩილდენმა შეატყო, რომ ფირსაკრავის არც ერთი ნაწილი, მათ შორის არც გამაძლიერებლები, ოთახში არ ჩანდა. შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, საიდან ისმოდა ბგერა.

– არ ვიცოდით, რას ანიჭებთ უპირატესობას, – თქვა ბეტიმ, – ამიტომ თავი დავიზღვიეთ მენიუს შერჩევისას. სამზარეულოს ელექტროქურაში ძვლიანი სტეიკი მზადდება. გარნირად გვექნება შემწვარი კარტოფილი პრასიან ხახვის საწებელთან ერთად. ასეთი გამოთქმაც არსებობს, არასოდეს შეცდები, თუ პირველად მოსულ სტუმარს სტეიკს შესთავაზებო.

– მადლობელი ვარ, – უპასუხა ჩილდენმა, – სტეიკი ძალიან მიყვარს.

სიმართლეს ამბობდა. თუმცა ასე მომზადებულ ხორცს იშვიათად მიირთმევდა: შუა დასავლეთის დიდი ფერმები დასავლეთ სანაპიროს აღარ ამარაგებდნენ. აღარც ახსოვდა, უკანასკნელად როდის ჭამა სტეიკი.

მასპინძლებისთვის სამადლობელი საჩუქრის გადაცემის დრო იყო.

პიჯაკის ჯიბიდან შესაფუთ ქაღალდში გახვეული მომცრო ნივთი ამოიღო, პირდაპირ დაბალ მაგიდაზე დადო. ორივემ შენიშნა მისი ხელის მოძრაობა და ამიტომ თქვა:

– პატარა სამშვენისია თქვენთვის. მადლიერება ასე მინდა გამოვხატო იმ სიმშვიდისა და სიამოვნებისთვის, რასაც თქვენს სახლში ყოფნით განვიცდი.

ნივთს შესაფუთი ქაღალდი შემოაცალა და საჩუქარი აჩვენა. ეს იყო ერთი საუკუნის წინ ახალ ინგლისში მცხოვრები ვეშაპებზე მონადირის მიერ დამუშავებული ეშვი. დახვეწილი ჩუქურთმით შემკული, ეგრეთ წოდებული ძვალზე კვეთის ხელოვნების ნიმუში. მასპინძლებს ნივთის დანახვაზე სახე გაუბრწყინდათ. კარგად იცოდნენ ამგვარი ნივთების შესახებ, რომლებსაც ძველი დროის მეზღვაურები დასვენების ჟამს ქმნიდნენ. ამერიკის გარდასული დღეების სულს ყველაზე უკეთ სწორედ ეს ნივთი გამოხატავდა.

პაუზა.

– გმადლობთ, – თქვა ბოლოს პოლმა.

რობერტ ჩილდენმა თავი დაუქნია.

იმავე წუთს მის გულში სიმშვიდემ დაისადგურა. «ეს საჩუქარი ის ძღვენია, რომელზედაც «ი ძინშია» საუბარი. საჭირო შესაწირი იყო». ბოლოდროინდელმა მოუსვენრობამ და დათრგუნვილობამ უკან დაიხია.

რეი კელვინმა 44-კალიბრიანი კოლტის ღირებულება აუნაზღაურა, გარდა ამისა, წერილობითაც დაუდასტურა, რომ სამომავლოდ მსგავს ნაყალბევ ნივთებს არ შესთავაზებდა. ამანაც კი ვერ მოუხსნა დაძაბულობა. მხოლოდ ახლა, განსხვავებულ ვითარებაში აღმოჩენილმა გააცნობიერა, როგორი მცდარი გზით მიდიოდა მისი ცხოვრება. ვაბი მის გარშემო ჰარმონიის ტალღებს ავრცელებდა, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, გადაწყვიტა ბოლოს. «პროპორცია. წონასწორობა. ეს ორი ახალგაზრა იაპონელი ისე ახლოა დაოსთან. აი, რატომ მომეწონა ორივე შეხვედრისთანავე. ისინი სწორედ დაოს ასხივებენ და ეს ვიგრძენი. მისი ციმციმი მეც გადმომედო».

საინტერესოა როგორია, როდესაც საკუთარ თავში დაოს გრძნობ? დაო ის არის, რაც სინათლეს ასხივებს, წყვდიადს განდევნის. სამყაროს ორი ძირითადი ძალის ურთიეთქმედებაა და ეს ძალები მარადიულად განახლდება ხოლმე. ეს ის არის, რაც სამყაროს ნგრევისგან იცავს. სამყარო არასოდეს განადგურდება, რადგან საკმარისია წყვდიადმა მოიცვას, რომ სადღაც, მისი ქვესკნელის კუნჭულებში აღმოცენებას იწყებს სინათლის ნერგი. ეს არის გზა. როდესაც თესლი გაღივდება მიწაში, ასე ნელ-ნელა, თვალისთვის შეუმჩნევლად ამოიზრდება ნიადაგიდან.

– შედევრია, – თქვა ბეტიმ, ოთახიდან გავიდა და ლანგარი შემოიტანა, რომელზედაც ყველის პატარა ნაჭრები და სასმელთან მისაყოლებელი წასახემსებელი ეწყო. ჩილდენმა მადლობა გადაუხადა და ორი ნაჭერი აიღო.

– ამ დღეებში ბევრი საერთაშორისო ახალი ამბავი გავიგეთ, – სასმელი მოსვა პოლმა, – გუშინ საღამოს შინ ვბრუნდებოდი და მანქანაში რადიო ჩავრთე – მიუნხენში გამართულ, წარმართული დასაკრძალავი ცერემონიალის მსგავს ღონისძიებას გადმოსცემდნენ ორმოცდაათიათასიანი მსვლელობის, დახრილი დროშების და ასე შემდეგ თანხლებით. კიდევ ყველა მღერის «Ich hatte einen Kamerad»–ს. ყველა ჭეშმარიტ არიელს შეუძლია გარდაცვლილის ცხედარს პატივი მიაგოს.

– დიახ, სამწუხარო იყო, – თქვა რობერტ ჩილდენმა, – კვირის დასაწყისში მოსული ამბები.

– «ნიპონ ტაიმსის» საღამოს გამოშვებაში სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გამოაცხადეს, რომ ბ. ფონ შირახი შინაპატიმრობაშია, – თქვა ბეტიმ, – პარტიის განკარგულებით.

– ცუდია, – თავი გააქნია პოლმა.

– ეჭვი არ არის, ხელისუფლება წესრიგის შენარჩუნებას ცდილობს, – თქვა ჩილდენმა, – ფონ შირახი ცნობილია დაუფიქრებელი, თავნება, ზოგჯერ უგუნური ქმედებებით. ძალიან ჰგავს წარსულში რ. ჰესის ქცევას

[59]

. თუნდაც ინგლისში მისი გიჟური გადაფრენა გაიხსენეთ.

– კიდევ რას წერს «ნიპონ ტაიმსი»? – შეეკითხა პოლი ცოლს.

– დიდი დაბნეულობა და ბევრი ინტრიგაა. საარმიო დანაყოფები ადგილმდებარეობას იცვლიან. ყველა ყაზარმულ მდგომარეობაზეა გადაყვანილი. საზღვრები ჩაკეტეს. რაიხსტაგი სხდომას მართავს. ყველა სიტყვით გამოდის.

– ეს დოქტორ გებელსის გამოსვლას მახსენებს, – ჩაურთო რობერტ ჩილდენმა, – დაახლოებით ნახევარი წლის წინ რადიოთი მოვისმინე. ბევრი გამკილავი შენიშვნა იყო. მსმენელი მონუსხული ჰყავდა. ემოციური თვალსაზრისით ყველა ნიუანსს იყენებდა. ეჭვგარეშეა, ადოლფ ჰიტლერის შემდეგ დოქტორი გებელსი ნაცისტური პარტიის საუკეთესო სპიკერია.

– მართალია, – თავის დაქნევით დაუდასტურა ცოლ-ქმარმა.

– დოქტორ გებელსს შესანიშნავი შვილები და მეუღლე ჰყავს, – განაგრძო ჩილდენმა, – კეთილშობილი ადამიანები.

– სწორს ბრძანებთ, – დაეთანხმდნენ პოლი და ბეტი, პოლმა კი დაამატა:

– ოჯახის კაცია და ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება სხვა ლიდერებისგან. არ ახასიათებს სექსუალური გადახრები.

– ჩემი აზრით, ეს ჭორებია, – უპასუხა ჩილდენმა, – ე. რემი

[60]

იგულისხმეთ? ძველი ამბავია. დიდი ხნის დავიწყებული.

– უფრო მეტად ჰ. გერინგზე ვფიქრობდი, – პოლმა ნელა მოსვა ყლუპი და მერე ჭიქას სინათლეზე გახედა, – მონაყოლიდან ვიცი ძველი რომის იმპერატორების სადარი ორგიების შესახებ, მათ განსაცვიფრებლობასა და ფანტასტიკურ მრავალფეროვნებაზე. ასეთი რამ როდესაც მესმის, მზარავს.

– ტყუილებია, – თქვა ჩილდენმა.

– იქნებ შევწყვიტოთ ამ უსიამოვნო თემაზე საუბარი, – ფრთხილად ჩაურთო ბეტიმ და მამაკაცებს გადახედა.

სასმელი ორივეს გამოეცალა და ქალმა კიდევ ერთხელ შეავსო ჭიქები.

– პოლიტიკაზე საუბარი ძარღვებში სისხლს აჩქროლებს, – თქვა პოლმა, – ყველგან, სადაც არ უნდა მოხვდეთ. თავის შეკავება კი უმჯობესია.

– დიახ, – დაეთანხმა ჩილდენი, – სიმშვიდე და წესრიგი. ასე შეიძლება ჩვეული სტაბილურობის შენარჩუნება.

– ლიდერის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი ყოველთვის კრიტიკული ხანაა ტოტალიტარული საზოგადოების პირობებში, – განაგრძო პოლმა, – ამაზე გავლენას ახდენს ტრადიციის და იმავდროულად, საშუალო კლასის არარსებობა, – მერე უეცრად დაამატა, – იქნება პოლიტიკაზე საუბარს თავი დავანებოთ, – გაიღიმა, – როგორც ძველად, სტუდენტობის დროს ვიქცეოდით.

რობერტ ჩილდენი გაწითლდა, მაშინვე ჭიქისკენ წაიღო ხელი, რომ მასპინძლისთვის თვალი აერიდებინა. რა საზარელი შეცდომა ჩაიდინა – სულელურად და უგუნურად ჩაერია პოლიტიკაზე საუბარში; უხეშად ეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ მასპინძლის თავაზიანობისა და ტაქტის წყალობით გადარჩა დღევანდელი საღამო. «კიდევ რამდენი მაქვს სასწავლი, – გაიფიქრა ჩილდენმა, – ორივე დახვეწილი და ზრდილობიანია. მე კი – თეთრკანიანი ბარბაროსი. აი, ეს არის სიმართლე».

მცირე ხანს ხმა არ ამოუღია, სასმელს აგემოვნებდა და სახეზე კმაყოფილი გამომეტყველების შენარჩუნებას ცდილობდა. «მათ უნდა მივბაძო, – გაიფიქრა, – ყოველთვის ყველაფერში დავეთანხმო».

მაგრამ იმავე წუთში შიშმა აიტანა: ვაითუ სასმლის გავლენით სრულიად არეოდა გონება. ამას დაღლილობა და ნერვიულობა ემატებოდა. «შევძლებ თავის შეკავებას? წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ აღარასოდეს მომიწვევენ; ახლა უკვე გვიანია ამაზე ფიქრი». უიმედობა მოეძალა.

სამზარეულოდან დაბრუნებული ბეტი ისევ ხალიჩაზე მოკალათდა. «როგორი მიმზიდველია, – გაიფიქრა ჩილდენმა, – ნატიფი სხეული. ორივეს არაჩვეულებრივი აღნაგობა აქვს; არავითარი ცხიმი, არავითარი ზედმეტი სხეულზე. არავითარი ეშმაკობა, კორსეტი და მსგავსი რამ არ სჭირდებათ. მაგრამ ჩემი წადილი უნდა დავმალო; ნებისმიერ ფასად». და მაინც, ჩილდენი თავს ვერ იკავებდა, დროდადრო დიასახლისისთვის რომ არ შეევლო თვალი. სასიამოვნო მუქი ფერის კანი, თმა, თვალები. «მათთან შედარებით თითქოს სანახევროდ ვართ გამომცხვარები. ალბათ, ქურიდან დროზე ადრე გამოგვიღეს. რაც მართალია, მართალია» – ჩილდენს ძველი აბორიგენების მითი გაახსენდა.

«რაღაც სხვაზე უნდა გადავერთო. სასაუბრო თემა მოვძებნო». მიმოიხედა, რაიმე ხელჩასაჭიდს ეძებდა. ოთახში ისევ დუმილი გამეფებულიყო, რაც მის დაძაბულობას კიდევ უფრო ზრდიდა. აუტანელი გახდა. «რა ჯანდაბა ვთქვა? რაღაც უსაფთხო თემას უნდა ეხებოდეს». ტექის ხის დაბალი კარადის თაროზე უეცრად წიგნს მოჰკრა თვალი.

– ვხედავ, «შეესია კალია ქვეყანას» კითხულობთ. მასზე ბევრისგან მსმენია, მაგრამ ჩემი

საქმეების გამო თავად ვერ მოვიცალე წამეკითხა, – წიგნის ასაღებად წამოდგა, თან მასპინძლების სახეებს აკვირდებოდა. ეტყობოდა, წინააღმდეგი არ იყვნენ, ამიტომ განაგრძო, – დეტექტივია? მაპატიეთ ჩემი უცოდინრობა, – და წიგნი გადაფურცლა.

– არ არის დეტექტივი, – უპასუხა პოლმა, – თხრობის საინტერესო ფორმაა, ერთგვარი სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრი.

– ოჰ, არა, – არ დაეთანხმა ბეტი, – მეცნიერება არაფერ შუაშია. სამეცნიერო ფანტასტიკა, როგორც წესი, მომავალს აღწერს, განსაკუთრებით ისეთს, რომელშიც დღევანდელთან შედარებით ბევრად დაწინაურებული ტექნოლოგიაა. ეს წიგნი ჩვენს ეპოქას ეძღვნება.

– მაგრამ იქ ხომ ალტერნატიული აწმყოა ნაჩვენები. ბევრი ცნობილი ფანტასტიკის ჟანრის რომანიც ამგვარია, – უთხრა პოლმა, მერე რობერტს მიუბრუნდა, – მაპატიეთ ასეთი ახირება, მაგრამ ჩემმა მეუღლემ კარგად იცის, ადრე დიდი ხანი სამეცნიერო ფანტასტიკის მხურვალე ენთუზიასტი ვიყავი. მაშინ თორმეტი წლის გახლდით. ომის დასაწყისის პერიოდი გახლდათ.

– გასაგებია, – თავაზიანად წარმოთქვა ჩილდენმა.

– გნებავთ გადახედოთ? – შეეკითხა პოლი, – ჩვენ მალე დავასრულებთ, ყველაზე გვიან – ორ დღეში. ჩემი ოფისი ქალაქში თქვენი მაღაზიის ახლოს მდებარეობს, შემიძლია შესვენების დროს შემოგიაროთ და დაგიტოვოთ, – პოლი ერთხანს დადუმდა, ჩილდენს მოეჩვენა, თითქოს ბეტისგან ელოდა წახალისებას, მერე განაგრძო, – მერე, თქვენ და მე, რობერტ, ლანჩს სადმე ერთად მივირთმევდით.

– დიდი მადლობა.

მხოლოდ ამის თქმა მოახერხა. ლანჩი ბიზნესმენებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში – ამ თანამედროვე, დახვეწილ, ახალგაზრდა იაპონელთან ერთად. ეს მეტისმეტი იყო; სიხარულს ვერ მალავდა. მაგრამ სცადა არ შეემჩნია და ისევ წიგნის თვალიერება განაგრძო.

– დიახ, ეს წიგნი საინტერესო ჩანს. მისი წაკითხვის დიდი სურვილი მაქვს. თანაც საქმის კურსში ყოფნა მინდა – დღეს რას კითხულობენ.

ეს რატომღა თქვა? თითქოს მოდური წიგნები აინტერესებდეს. მაგრამ ასეთი რამ ხომ ცუდ ტონად ითვლება. აღარ იცოდა, ნათქვამი როგორ გამოესწორებინა.

– რასაკვირველია, შეუძლებელია წიგნზე მსჯელობა მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ის ბესტსელერია, – თქვა ჩილდენმა, – ეს ყველას გვესმის. ბევრი ბესტსელერი უბრალოდ აუტანელი სისულელეა. მაგრამ ეს..., – აღარ იცოდა წინადადება როგორ დაესრულებინა.

– მართალი ბრძანდებით. მასის გემოვნება სავალალოა, – დახმარება სცადა ბეტიმ.

– ასევეა მუსიკაშიც, – ჩაერია პოლი, – მაგალითად, არავის აინტერესებს ნამდვილი ამერიკული ჯაზი. რობერტ, თქვენ თუ მოგწონთ ბანკ ჯონსონი, კიდ ორი და სხვები? დიქსილენდი? ძველი მუსიკის ფირფიტების შესანიშნავი კოლექცია მაქვს. «ჯენეტის» ჩანაწერები...

– ვწუხვარ, მაგრამ შავკანიანების მუსიკისა ბევრი არაფერი გამეგება, – თქვა რობერტმა, მასპინძლებს დიდად არ ეამათ ეს სიტყვები, – კლასიკური მუსიკა მირჩევნია. ბახი და ბეთჰოვენი.

ეს თითქოს უფრო მისაღები ჩანდა. ახლა ცოტათი აღელდა კიდეც. როგორ შეიძლება ევროპული მუსიკის დიად ოსტატებს, მარადიულ კლასიკას ნიუ-ორლეანის ჯაზი გერჩივნოს, რომელსაც შავკანიანთა კვარტლების იაფფასიან საცეკვაო კლუბებსა და ბისტროებში უკრავდნენ?

– «ნიუ-ორლეანის რიტმის მეფეების»

[61]

ფირფიტას რომ მოუსმინოთ, შესაძლოა აზრი შეიცვალოთ, – პოლი წამოდგა, ოთახიდან გასვლას აპირებდა, მაგრამ ბეტიმ უკმაყოფილოდ შეხედა. პოლი შეყოყმანდა, მხრები აიჩეჩა.

– სადაცაა სადილი მზად იქნება, – განმარტა ბეტიმ.

პოლი დაბრუნდა და ისევ ხალიჩაზე დაჯდა, როგორც რობერტს მოეჩვენა, ცოტათი ნაწყენი.

– ნიუ-ორლეანის ჯაზი ამერიკის ყველაზე ნამდვილი ხალხური მუსიკაა. აქ, ამ კონტინენტზე აღმოცენებული. სხვა ყველაფერი ევროპიდან შემოვიდა, მაგალითად, ძველინგლისურ ლუტნიაზე დაკრული ბალადების სტილის მუსიკა.

– ეს ჩვენი მუდმივი დავის საგანია, – გაუღიმა ბეტიმ რობერტს, – მის სიყვარულს ჯაზისადმი არ ვიზიარებ.

რობერტმა ისევ წიგნი გადაშალა:

– რა სახის ალტერნატიულ აწმყოზეა საუბარი ამ წიგნში?

ბეტი მცირე ხანს დუმდა, მერე უპასუხა:

– ისეთზე, როგორშიც გერმანია და იაპონია ომში დამარცხებულები არიან.

დუმილი ჩამოწვა.

– სადილობის დროა, – წამოდგა ბეტი, – სუფრასთან მობრძანდით ორი მშიერი ბიზნესმენი ჯენტლმენი.

ქალი რობერტსა და პოლს სასადილო ოთახში გაწყობილი მაგიდისკენ გაუძღვა. ქათქათა

სუფრა, ვერცხლის ლაპლაპა დანა-ჩანგალი, ფაიფურის ჭურჭელი, დახვეული ხელსახოცები, როგორც რობერტმა შენიშნა, ძველი ამერიკელების დამზადებულ ძვლის რგოლებში იყო გაყრილი. ვეცხლეულიც ამერიკული გახლდათ: «როალ ალბერტის» ფირმის ჭიქები და ლამბაქები, მკვეთრი ლურჯი და ყვითელი ფერის. «შესანიშნავია», პროფესიონალის აღფრთოვანებით უმზერდა ნივთებს.

თეფშები კი არ იყო ამერიკული. იაპონური უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ სფეროში დიდად ვერ ერკვეოდა.

– ეს იმარის ფაიფურია, – პოლმა მისი დაინტერესება შენიშნა, – არიტადან. იაპონიაში საუკეთესო ხარისხის ნაწარმი გახლავთ.

მაგიდას მიუსხდნენ.

– ყავას მიირთმევთ? – შეეკითხა ბეტი რობერტს.

– დიახ, გმადლობთ.

– რასაკვირველია, სადილის შემდეგ, – თქვა ბეტიმ და საკვების ჩამოსატარებელი ურიკისკენ გაემართა.

ჭამას შეუდგნენ. რობერტი მოხიბლა გემრიელმა საჭმელმა. ბეტი არაჩვეულებრივი მზარეული აღმოჩნდა. განსაკუთრებით მოეწონა სალათი – ავოკადო, არტიშოკის გული, რაღაც, ლურჯი ყველის მსგავსი გარნირი... მადლობა ღმერთს, რომ იაპონური კერძები არ მოუმზადეს – მწვანილეულისა და ხორცის ნაჭრების ერთობლიობა. ომის დროს ისინი საკმარისზე მეტი მიირთვა.

და ასევე ყელში ამოსული ზღვის პროდუქტი. ახლა უკვე შეეძლო თავისთვის უფლება მიეცა, აღარ ეჭამა აუტანელი კრევეტები და მოლუსკები.

– მაინტერესებს, ავტორის აზრით, როგორია მსოფლიო გერმანიისა და იაპონიის ომში დამარცხების შემდეგ, – თქვა რობერტმა.

პოლი და ბეტი მცირე ხანს დუმდნენ. ბოლოს პოლმა თქვა:L

– დღევანდელისგან ბევრად განსხვავებული. წიგნის წაკითხვა უმჯობესია. თუ წინასწარ მოგიყევით, შესაძლოა შთაბეჭდილება წაგიხდეთ.

– ამ თემასთან დაკავშირებით მყარად ჩამოყალიბებული მოსაზრება მაქვს, – თქვა რობერტმა, – დიდხანს ვიფიქრე. ასე რომ, მსოფლიო ბევრად უარესი იქნებოდა, – საკუთარი ხმა ზედმეტად მკაცრი და უხეშიც კი მოეჩვენა, – ბევრად უარესი.

მასპინძლები გაოცდნენ. იქნებ, მისი საუბრის ტონის გამო.

– ყველგან კომუნიზმი გაბატონდებოდა, – განაგრძო რობერტმა.

პოლმა თავი დაუქნია.

– ავტორი, მისტერ ჰ. აბენდსენი ამ შესაძლებლობასაც განიხილავს, რამდენადაც საბჭოთა რუსეთის მზარდი გავლენის გათვალისწინება აუცილებელი იყო. მაგრამ იგივე მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროსაც, როდესაც რუსეთი გამარჯვებული მოკავშირეების ბანაკში იყო, თუმცა მშრალზე დარჩა. სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, როგორც მეორეხარისხოვანმა სახელმწიფომ. ეს ყველაფერი საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იაპონიასთან ომს ჰგავს, როდესაც...

– ჩვენ გავწვალდით, ჩვენი საფასური გავიღეთ, – თქვა რობერტმა, – ეს ამად ღირდა. ღირდა სლავური სამყაროს შეჩერებად.

– მე კი არ მჯერა ამ ისტერიული საუბრის «მსოფლიოს დაპყრობის» შესახებ რომელიც გნებავთ ხალხის მიერ, სლავები იქნებიან, ჩინელები თუ იაპონელები, – ხმადაბლა წარმოთქვა ბეტიმ და წყნარად შეხედა რობერტს. სრულად აკონტროლებდა თავს, არ ბრაზობდა, საკუთარი გრძნობების მოთოკვას შესანიშნავად ახერხებდა. მხოლოდ ლოყები აუწითლდა.

მცირე ხანს მდუმარედ აგრძელებდნენ სადილობას.

«ისევ ჩემი ბრალია, – თავს იდანაშაულებდა რობერტ ჩილდენი, – შეუძლებელია ამ თემაზე საუბრის თავიდან აცილება. იმიტომ რომ ეს ყველგან არის, წიგნში, რომელსაც ხელი მოვკიდე ან თუნდაც, გრამფირფიტების კოლექციაში, ბოლოს და ბოლოს, ხელსახოცებისთვის განკუთვნილ ამ რგოლებშიც კი – გამარჯვებულის კუთვნილ ალაფში. ეს ჩემი ხალხი გაძარცვეს.

ფაქტების აღიარებაა საჭირო. ვცდილობ, თავი დავარწმუნო, რომ ეს იაპონელები და მე ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ დავაკვირდი: იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემს მადლიერებას გამოვხატავ იაპონიის ომში გამარჯვებისა და ჩემი სამშობლოს დამარცხების გამო, საერთო მაინც არაფერი გვექნება. ერთსა და იმავე სიტყვებს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ჩემთვის და მათთვის. სხვაგვარად აზროვნებენ. სულიც სხვაგვარი აქვთ. გინდაც ამერიკული თხელკედლიანი ფაიფურის ჭურჭლიდან სვამდნენ, ამერიკულ ვერცხლის დანა-ჩანგალს იყენებდნენ, ან თუნდაც აფროამერიკულ ჯაზს უსმენდნენ – ეს ყველაფერი ზედაპირულია. ძალისა და ძალაუფლების ქონა მათი უპირატესობაა, შეუძლიათ თავს ყველაფრის უფლება მისცენ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ერზაცია, სინამდვილეში ჩვენ ვერ გვიგებენ.

თუნდაც «ი ძინი», რომელიც თავს მოგვახვიეს – ისიც კი ჩინურია. ეს წიგნიც მიითვისეს. ვის ასულელებენ? საკუთარ თავს? რაც მოეწონათ, გადაიღეს, ხან აქედან, ხან იქიდან. იცვამენ, იკვებებიან, საუბრობენ და დადიან, თითქოს ძირძველი ამერიკელები იყვნენ. თუნდაც ეს საკვები რად ღირს, ახლა რომ შევექცევით – შემწვარი კარტოფილი პრასიანი ხახვის საწებლით, უძველესი ამერიკული კერძი, რომელიც ასევე თავიანთ ალაფში მიითვალეს. მაგრამ ამ გზით, გეუბნებით, ვერავის მოატყუებენ, და პირველ რიგში – მე ვერ გამაცურებენ.

შემოქმედების უნარი მხოლოდ თეთრკანების რასას აქვს. ახლა კი მე, თეთრკანიანი, მათ წინ ორად უნდა მოვიხარო. რა მოხდებოდა, ომი ჩვენი გამარჯვებით დასრულებულიყო? დღეს იაპონია დედამიწის ზურგზე აღარ იარსებებდა. აშშ თავის ძალაუფლებას მთელ მსოფლიოზე გაავრცელებდა.

ვალდებული ვარ, ის წიგნი, «კალია» წავიკითხო. ეს ჩემი პატრიოტული მოვალეობაა».

– რობერტ, არაფერს ჭამთ. ცუდად არის მომზადებული? – ალერსიანად შეეკითხა ბეტი.

– არა, – მისტერ ჩილდენმა სასწრაფოდ გადაიღო კიდევ ერთი კოვზი სალათი, – პირიქით, არაჩვეულებრივი სადილია, ამის მსგავსი უკვე წლებია, არაფერი გამისინჯავს.

– გმადლობთ, – თქვა აშკარად ნასიამოვნებმა ქალმა, – ვეცადე, რაც შეიძლებოდა ნამდვილი ამერიკული სადილი გამომსვლოდა... მხოლოდ ამერიკულ მარკეტებში ვყიდულობ ინგრედიენტებს, მიშნ-სტრიტზე. ასე რომ, ყველაფერი ნამდვილი, ადგილობრივია და არა ჩამოტანილი. როგორც თქვენთან ამბობენ, «ნამდვილი მაკ-კოი».

«ჩვენს კერძებს შესანიშნავად ამზადებთ, – გაიფიქრა რობერტ ჩილდენმა, – მიმბაძველობის თქვენეულ უნარს საზღვრები არ აქვს. ვაშლის ღვეზელი, კოკა-კოლა, სიარული კინოში, გლენ მილერის კონცერტებზე... თქვენს სიფრიფანა ბრინჯის ქაღალდზე მთელი ამერიკის დახატვა შეგიძლიათ. ბრინჯის ქაღალდზე დახატული დედიკო სამზარეულოში, ბრინჯის ქაღალდზე დახატული მამიკო გაზეთს კითხულობს. მათ ფეხებში ებლანდება ბრინჯის ქაღალდზე დახატული პატარა. მოკლედ, ყველაფერი შეგიძლიათ გადახატოთ».

პოლი ხმის ამოუღებლად, ყურადღებით დააცქერდა. რობერტ ჩილდენმა უეცრად მისი მზერა იგრძნო, ფიქრს თავი ანება და ისევ საჭმელს მიეძალა. «რა, ჩემი აზრების კითხვა შეუძლია? ხედავს, სინამდვილეში რასაც ვფიქრობ? მეგონა, სახეზე არაფერი მეტყობოდა. ვცდილობდი, არაფერი შემტყობოდა».

– რობერტ, – თქვა პოლმა, – თქვენ აქ დაიბადეთ და გაიზარდეთ, ამერიკული ინგლისურის გამოთქმები იცით, ხომ ვერ დამეხმარებოდით? ერთმა წიგნმა გარკვეული პრობლემები შემიქმნა. რომანი 1930-იან წლებში მოღვაწე მწერალს ეკუთვნის.

ჩილდენმა ოდნავ დახარა თავი.

– ეს წიგნი იშვიათობაა და მისი ეგზემპლარი შემთხვევით მოხვდა ჩემთან. ავტორი ნათანიელ უესტია. რომანს «მის მარტოსული» ჰქვია. დიდი სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ მთლიანობაში ავტორის აზრის გაგება გამიჭირდა, – პოლმა იმედით შეხედა რობერტს.

– ვწუხვარ, მაგრამ არასოდეს წამიკითხავს ეს წიგნი, – აღიარა რობერტ ჩილდენმა, – არც კი გამიგია მისი არსებობის შესახებ.

პოლს სახეზე იმედგაცრუება აშკარად დაეტყო.

– რა სამწუხაროა. თხელი წიგნია. მამაკაცზეა, რომელმაც გაზეთისთვის ყოველდღიურად რამდენიმე სტრიქონი უნდა დაწეროს; და მუდმივად სხვა ადამიანების გულისგამგმირავი ისტორიებისა და პრობლემების მოსმენა უწევს. ბოლოს ჭკუიდან იშლება, რადგან თავი ახალი იესო ქრისტე ჰგონია. არაფერს გაგონებთ? იქნებ დიდი ხნის წინ წაგიკითხავთ.

– არა, – უპასუხა რობერტმა.

– წიგნში უცნაური თვალსაზრისია ტანჯვის შესახებ, – განაგრძო პოლმა, – ყველაზე ორიგინალური შეხედულება უმიზეზო ტანჯვის შესახებ. ისეთი რელიგიები, როგორიც ქრისტიანობაა, ტანჯვის მიზეზად ადამიანის ცოდვას ასახელებს. ნათანიელ უესტი კი ამ მოსაზრებას განავრცობს და აცხადებს, რომ სრულიად შესაძლებელია უმიზეზო ტანჯვაც. მაინტერესებს, ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ თავად უესტი ებრაელი იყო.

– ომში გერმანიას და იაპონიას რომ არ გაემარჯვათ, ახლა ებრაელები იქნებოდნენ მმართველები მოსკოვსა და ნიუ-იორკში, – ჩაიბურტყუნა ჩილდენმა.

ორივე იაპონელი, ცოლიცა და ქმარიც, ამის გაგონებაზე გაშრა. თითქოს მათში სიცოცხლე ჩაქრა და სიცივემ დაისადგურა. თითქოს ოთახშიც აცივდა. რობერტ ჩილდენი მარტო დარჩა. დიახ, სადილობდა, მაგრამ მარტო, მათგან განცალკევებით. ახლა რაღა მოხდა? რა არ მოეწონათ? სულელური უუნარობა, საერთოდ ვერ აღიქვან დასავლური მეტყველების ნიუანსები. სწორად ვერ გაიგეს ნათქვამი და ახლა სწყინთ. «რა ტრაგედიაა», გაიფიქრა და ჭამა გააგრძელა. სხვა რა შეეძლო?

გონებაში ყველაფერი სწორედ ახლა ჩამოუყალიბდა. არც ერთი დეტალი აღარ გამოპარვია. რობერტ ჩილდენს აღარ უგრძნია თავი ისე უხერხულად, როგორც მანამდე, იმიტომ რომ ის ოცნებები, რითაც მისი გონება იყო სავსე, სრულებით გაუქრა. «სანამ ამ სახლის კიბეებზე ამოვდიოდი, ყმაწვილურმა რომანტიკულმა ოცნებებმა გამიტაცა. მაგრამ რეალობის უგულებელყოფა შეუძლებელია. მას თვალი უნდა გავუსწოროთ.

რა უცნაური გრძნობაა, სწორედ ახლა. ეს ადამიანები თითქოს ნამდვილი ადამიანები არ არიან. ტანზე აცვიათ, მაგრამ მაინც ცირკის არენაზე მოკოტრიალე მაიმუნებს ჰგვანან. ჭკვიანები ბრძანდებიან, სწავლა შეუძლიათ, მაგრამ სულ ესაა. რატომ უნდა მოვუხარო თავი? იმიტომ, რომ ომში გაიმარჯვეს?

ამ შემთხვევამ საკუთარი ბუნების დიდი ხარვეზი აღმომაჩენინა. რას იზამ, ასე მოხდა. აღმოჩნდა, რომ პათეტიკისაკენ მიდრეკილება მაქვს... მოდი, ასე ვთქვათ: ორი ბოროტებიდან ნაკლებს ვირჩევ. და მერე თავდახრილი, ჯიუტად გავრბივარ შერჩეულისკენ, ისე რომ მიწაზეც არ ვიხედები.

ყოველთვის ვცდილობდი ვითარებისთვის ფეხი ამეწყო, იმიტომ რომ ასე ცხოვრება უფრო უსაფრთხოა; გარდა ამისა, ისინი რომ

გამარჯვებულები არიან... ბრძანებებს ისინი იძლევიან. მეც ასე მსურს ცხოვრება. რატომ უნდა

გავიუბედურო თავი? ამერიკულ წიგნს კითხულობენ და განმარტების მოსასმენად ჩემთან მოდიან; იმედოვნებენ რომ მე, თეთრკანიანი მამაკაცი, შევძლებ მათ კითხვას პასუხი გავცე. მე კი ვერ დავეხმარე. თუმცა, წიგნი რომ წამეკითხა, ალბათ დავეხმარებოდი».

– იქნებ ერთ დღეს თვალი გადავავლო მაგ წიგნს, მარტოსულის შესახებ, – უპასუხა პოლს, – მაგრამ იმ პირობით, თუ დიდ დროს არ წამართმევს.

პოლმა მსუბუქად დაუკრა თავი.

– სწორედ ახლა ძალიან ბევრი საქმე მაქვს, – განაგრძო რობერტმა, – მოგვიანებით, იქნებ... მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყო, დიდ დროს არ წამართმევს.

– არა, – წაილუღლუღა პოლმა, – მოკლე რომანია.

«ორივე, ისიც და ბეტიც, გულდაწყვეტილები არიან, – გაიფიქრა რობერტ ჩილდენმა, – საინტერესოა, მათაც თუ იგრძნეს გადაულახავი ბარიერი მათსა და ჩემს სამყაროს შორის. იმედი მაქვს, ასეა. იმედგაცრუებული დარჩნენ. რა სირცხვილია, როდესაც წიგნიდან აზრი სხვისი დახმარებით უნდა გამოიტანო».

მეტი სიამოვნებით განაგრძო ჭამა.

იმ საღამოს სხვა აღარაფერი მომხდარა. საღამოს ათ საათზე, კაზუორების ბინას რომ ტოვებდა, რობერტ ჩილდენი ისევე გრძნობდა საკუთარი თავის რწმენას, როგორც სადილზე.

კიბეებს ქვემოთ დაუყვა და დიდად არ მიუქცევია ყურადღება სახლის სხვა იაპონელი მცხოვრებლებისთვის, რომლებიც სართულის ბოლოს საერთო სააბაზანოებისკენ მიემართებოდნენ, ან კიბეზე ადიოდნენ. ჩაბნელებულ ქუჩაზე გავიდა, შორიახლოს ჩავლილი რიქშა გააჩერა და შინისკენ გაეშურა.

«ყოველთვის მაინტერესებდა, რა გრძნობაა კლიენტთან შეხვედრა არაფორმალურ ვითარებაში. არც ისე ცუდი ყოფილა. ეს გამოცდილება ჩემს საქმეში ძალიან დამეხმარება».

სასარგებლოა შეხვედრა ადამიანებთან, რომლებისაც გერიდება. და იმის აღმოჩენა, რომ სინამდვილეში სხვანაირები არიან. შენი მორიდებაც გაქრება.

ამ ფიქრებით თავის საცხოვრებელ რაიონსაც მიაღწია და სახლის კართან აღმოჩნდა. ჩინკის თანხა გადაუხადა და ნაცნობ კიბეს აუყვა.

თავის ოთახთან უცნობი მამაკაცი დაინახა. თეთრკანიანი იყო, პალტო ეცვა, დივანზე ჩამომჯდარი გაზეთს კითხულობდა. გაოგნებული რობერტ ჩილდენი კართან შეჩერდა. კაცმა გაზეთი გადადო, ზლაზვნით წამოდგა და პიჯაკის გულის ჯიბიდან ამოღებული მოწმობა აჩვენა.

– კემპენტაი.

პინიკიო იყო. საკრამენტოს პოლიციის განყოფილების თანამშრომელი. პოლიციას კი საოკუპაციო ხელისუფლება მართავს. ჯანდაბა!

– რობერტ ჩილდენი ბრძანდებით?

– დიახ, სერ, – უპასუხა მისტერ ჩილდენმა. გული აუჩქარდა.

– ცოტა ხნის წინ, – პოლიციელმა ქაღალდების გროვაში ჩაიხედა, რომელიც ჩანთიდან ამოიღო, – თქვენთან კლიენტი მოვიდა, თეთრკანიანი, და იმპერიის სამხედრო ფლოტის ადმირალის წარმომადგენლად გაგეცნოთ. შემდგომმა გამოძიებამ ცხადყო, რომ ეს ასე არ იყო. ამ გვარის ოფიცერი არ არსებობს. არც ხომალდი, – პოლიციელმა ჩილდენს თვალი გაუსწორა.

– დიახ, ასეა, – უპასუხა ჩილდენმა.

– გარდა ამისა, გვაცნობეს გამოძალვის ფაქტის შესახებ, რომელიც ყურის რაიონში მოხდა. სავარაუდოდ, იქაც ეს ადამიანია ჩარეული. შეგიძლიათ, აღწეროთ?

– დაბალი ტანის, მუქი კანით, – დაიწყო ჩილდენმა.

– ებრაელი?

– რა თქმა უნდა! – უპასუხა ჩილდენმა, – ახლა ამას ვფიქრობ. მაშინ როგორ არ მივაქციე ყურადღება.

– ეს მისი ფოტოა, – კემპენტაიმ სურათი გაუწოდა.

– ის არის, – თქვა გახარებულმა ჩილდენმა, რომელიც მოხიბლა კემპენტაის დეტექტიურმა უნარმა, – კი მაგრამ, როგორ იპოვეთ? მე პოლიციისთვის არ მიმიმართავს, მხოლოდ ჩემს მომმარაგებელს, რეი კელვინს დავურეკე და მოვუყევი...

პოლიციელმა ქაღალდები ააფრიალა და ჩილდენს გააწყვეტინა:

– ერთ დოკუმენტზე უნდა მოაწეროთ ხელი, სულ ეს არის. სასამართლოშიც კი არ მოგიწევთ გამოცხადება. აი, აქ მოაწერეთ და თქვენი მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში ამით ამოწურულია, – ქაღალდი და კალამი გაუწოდა, – აქ მითითებულია, რომ ეს ადამიანი თქვენთან მოვიდა, სხვა სახელით გაგეცნოთ, თქვენი შეცდომაში შეყვანა სცადა და ასე შემდეგ. წაიკითხეთ დოკუმენტი, – პოლიციელმა სახელო გადაწია და მაჯის საათზე დაიხედა, ამასობაში ჩილდენმა დოკუმენტს თვალი გადაავლო, – ყველაფერი სწორია?

სიმართლე იყო. რობერტ ჩილდენს დრო არ ჰქონდა, დოკუმენტს ჩაღრმავებოდა და გარდა ამისა, განვლილმა დღემ დაღალა. მან ის იცოდა, რომ იმ კაცმა მისი გაცურება მოინდომა, შემდეგ გამოძალვასაც ჰქონდა ადგილი, კიდევ კემპენტაის თქმით, ებრაელიც ყოფილა. რობერტ ჩილდენი ფოტოს ქვეშ მიწერილ სახელსა და გვარს დააცქერდა. ფრენკ ფრინკი. ნამდვილი სახელი და გვარი – ფრენკ ფინკი. ჰო, რასაკვირველია, ებრაელია. გვარით ყველა მიხვდება. თავადაც შესანიშნავად იცოდა და გვარი შეიცვალა.

ჩილდენმა ხელი მოაწერა.

– გმადლობთ, – პოლიციელმა თავისი ნივთები აალაგა, ქუდი დაიხურა, ჩილდენს გამოემშვიდობა და წავიდა. ყველაფერი ძალიან მალე მოხდა.

«ალბათ, დაიჭერენ, – გაიფიქრა ჩილდენმა, – მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის.

მშვენიერია. ძალიან სწრაფად მუშაობენ. შესანიშნავია.

ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელშიც სამართალი და წესრიგი ბატონობს, სადაც ებრაელებს თავიანთი ხლართებში უდანაშაულო ადამიანის გაბმის საშუალება არ აქვთ. დაცულები ვართ.

არ ვიცი, რატომ ვერ შევნიშნე მისი რასობრივი კუთვნილება, როდესაც შევხვდი. ალბათ, ადვილად შეიძლება ჩემი მოტყუება.

მართლმსაჯულება რომ არ არსებობდეს, მათი მსხვერპლი ვიქნებოდი. მან ჩემი გაცურება შეძლო. ეს ჰიპნოზივითაა. მთელი საზოგადოების კონტროლი შეუძლიათ.

ხვალ წავალ და «კალიას» ვიყიდი. საინტერესო იქნება, როგორ აღწერს ავტორი მსოფლიოს, რომელსაც ებრაელები და კომუნისტები მართავენ, სადაც რაიხი განადგურებულია, იაპონია რუსეთის პროვინციას წარმოადგენს; რუსეთი კი ალბათ ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდეა გადაჭიმული. მაინტერესებს, ავტორმა – რა ჰქვია, აღარ მახსოვს, – ამერიკასა და რუსეთს შორის ომი თუ აღწერა? საინტერესო წიგნია. ნეტა აქამდე რატომ არავის მოაფიქრდა მსგავსი წიგნის დაწერა.

ასეთი წიგნი გვეხმარება იმის გააზრებაში, თუ როგორ გაგვიღიმა ბედმა. ყველა სახის უსიამოვნების მიუხედავად... შეიძლებოდა ყველაფერი უარესად ყოფილიყო. ასეთი წიგნის წაკითხვა დიდი მორალური გაკვეთილის მიღების ტოლფასია. ჰო, ძალაუფლება იაპონელებს აქვთ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვაშენოთ. მას მოყვება დიდი საქმეები, როგორიცაა მაგალითად, პლანეტების ათვისება.

რადიოში ახალი ამბები არ გამომრჩეს».

ჩილდენმა რადიო ჩართო და იქვე ჩამოჯდა. იქნებ უკვე აირჩიეს ახალი რაიხსკანცლერი? მღელვარება და მოლოდინი მოსვენებას არ აძლევდა. «ჩემი აზრით, ყველაზე დინამიკური ზაის-ინკვარტი ჩანს. მას შეუძლია ყველაზე თამამი იდეების განხორციელება...

როგორ მინდა, იქ მოვხვდე. იქნებ როგორმე ევროპაში გამგზავრება მოვახერხო, რომ ვნახო, რა როგორ არის. სირცხვილია ამ ყველაფერში არმონაწილეობა. განა რამდენ ხანს შეიძლება დასავლეთ სანაპიროზე ყურყუტი, მთელი ისტორია ჩაგიქროლებს».

8

დილის რვა საათზე ბარონმა ჰუგო რეისმა, რაიხის კონსულმა სან-ფრანცისკოში,

მერსედეს-ბენც-220-E-ს კარი მიხურა და სწრაფად აირბინა საკონსულოს საფეხურები. მას უკან საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი ახალგაზრდა თანამშრომელი მიჰყვა. რეისის გუნდს კარი შიგნიდან გაუღეს, ისიც შენობაში სწრაფი ნაბიჯით შევიდა და კაბინეტისკენ გაემართა. გზადაგზა ხელის აწევით ესალმებოდა კომუტატორის თანამშრომელ გოგონებს, ვიცე-კონსულ ფრანკს და ასევე, თავის მდივანს, ჰერ პფერდჰოფს.

– ბარონო, – მიმართა მდივანმა, – ბერლინიდან ეს წუთია დაშიფრული რადიოგრამა მოვიდა. გრიფით – ნომერი ერთი.

ბარონმა პალტო გაიხადა და მდივანს მიაწოდა, მან კი საკიდზე ჩამოკიდა.

– და ათი წუთის წინ ჰერ კროიც ფონ მეიერმა დარეკა. თქვენთან საუბარი სურს და ისევ დარეკავს.

– მადლობა, – უპასუხა რეისმა. კაბინეტის ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდას მიუჯდა, რომელზედაც მისი საუზმე ეწყო: ლანგარზე მოჩანდა ფუნთუშა, ერბოკვერცხი, სოსისი. ვერცხლის ჩაიდნიდან შავი ყავა დაისხა და დილის გაზეთი გაშალა.

დამრეკავი, კროიც ფონ მეიერი, წყნარი ოკეანის შტატების მთელ ტერიტორიაზე გერმანიის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ; მისი ოფისი, რასაკვირველია, გამოგონილი სახელით, აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ურთიერთობა რეისსა და კროიც ფონ მეიერს შორის სტაბილურად დაძაბული იყო. მათი თანამდებობრივი იურისდიქცია ბევრ საკითხში გადაფარავდა ერთმანეთს და უეჭველია, ეს ბერლინელი ლიდერების განზრახვით ხდებოდა. რეისი უშიშროების სამსახურის თანამშრომლად ითვლებოდა და მაიორის ჩინიც ჰქონდა, შესაბამისად, ფორმალურად ის ფონ მეიერს ექვემდებარებოდა. უშიშროების სამსახურის თანამშრომლის სახელი ფორმალურად კი ითვლებოდა, მაგრამ თანამდებობაზე რამდენიმეწლიანი გამოცდილებით რეისმა კარგად იცოდა, ეს ფორმალობა სინამდვილეში რასაც ნიშნავდა. თუმცა, ვერაფერს შეცვლიდა. და მაინც, აღნიშნული ვითარება მეტად აღიზიანებდა.

დილის ექვს საათზე ლუფტჰანზას რეისით ჩამოტანილი გაზეთი «Frankfurter Zeitung» იყო. რეისმა ყურადღებით წაიკითხა პირველი გვერდი. ფონ შირახის შინაპატიმრობა – შესაძლოა ახლა მკვდარიც იყოს. ძალიან ცუდია. გერინგი ლუფტვაფეს საწვრთნელ ბაზაზეა, გამოცდილი და მისდამი ლოიალურად განწყობილი სამხედროების გარემოცვაში. მასთან მიღწევა შეუძლებელია. ამას უშიშროების სამსახურიც კი ვერ მოახერხებს. დოქტორ გებელსზე რა ისმის?

ალბათ ბერლინშია. ისევ საკუთარი თავის, ყველასთან მორიგების უნარის იმედი აქვს. «თუ ჰაიდრიხი მასთან რაზმს გაგზავნის, – გაიფიქრა რეისმა, – პატარა დოქტორი სტუმრებთან შექმნილ ვითარებაზე დაიწყებს საუბარს და ნახევარი საათის შემდეგ ისინი მის მხარეზე გადავლენ. მათ პროპაგანდისა და სახალხო განათლების სამინისტროს თანამშრომლებად აქცევს».

დოქტორი გებელსი წარმოიდგინა, რომელიმე განსაცვიფრებელი სილამაზის კინოვარსკვლავის აპარტამენტში, ფანჯრიდან რომ უყურებს ვერმახტის ნაწილების მარშით სვლას ბერლინის ქუჩებში. ამ ბიჭს ვერაფერი შეაშინებს. გებელსი ალბათ დამცინავად ქირქილებს... ცალი ხელით მშვენიერი ქალბატონის მკერდის მოფერებას განაგრძობს, მეორით კი სასწრაფოდ ამთავრებს სტატიას გაზეთისთვის...»

რეისს ფიქრი კაკუნმა შეაწყვეტინა.

– მაპატიეთ. ისევ კროიც ფონ მეიერი რეკავს.

რეისი სამუშაო მაგიდასთან გადავიდა და ყურმილი აიღო.

– რეისი გისმენთ.

უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს მძიმე ბავარიული აქცენტი ჰქონდა.

– იმ აბვერელზე ხომ არაფერი გსმენიათ?

დაბნეულმა რეისმა აზრის მოკრება სცადა.

– ჰმ... – თქვა ბოლოს, – როგორც ვიცი, ამჟამად აქ, წყნარი ოკეანის შტატების ტერიტორიაზე სამი თუ ოთხი აბვერელია.

– იმაზე გეკითხებით, რომელიც წინა კვირას «ლუფტჰანზას» რეისით ჩამოფრინდა.

– ოჰო, – გაოცება ვერ დამალა რეისმა. ყურმილი მხრით დაიჭირა და სიგარეტს მოუკიდა, – აქ არ გამოჩენილა.

– რა უნდა?

– ღმერთო, არ ვიცი! კანარისს ჰკითხეთ.

– მინდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდეთ და უთხრათ, კანცელარიში დარეკონ და საადმირალომ აბვერს

[62]

აქედან თავისი ხალხის გაწვევა აიძულოს ან ზუსტი ინფორმაცია მოგვაწოდონ მათ შესახებ.

– თავად რატომ არ მიმართავთ?

– აქ დიდი არეულობაა.

«ეტყობა იმ აბვერელის კვალი დაკარგეს, – გადაწყვიტა რეისმა, – ადგილობრივ უშიშროების სამსახურს ჰაიდრიხის შტაბიდან ვიღაცამ მისთვის თვალის მიდევნება სთხოვა, ის კი ამათ ხელიდან დაუსხლტა. ახლა მე მთხოვენ დახმარებას».

– აქ თუ შემოიარა, ვინმეს კვალზე გავაყოლებ. შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ.

რასაკვირველია, ორივეს კარგად ესმოდა, რომ ამ ადამიანს საკონსულოში არაფერი ესაქმებოდა.

– აუცილებლად გამოგონილი სახელით ცხოვრობს, – არ ცხრებოდა კროიც ფონ მეიერი, – რა თქმა უნდა, ეს სახელი არ ვიცით. არისტოკრატის გარეგნობა აქვს. დაახლოებით ორმოცი წლისაა. კაპიტანი, ნამდვილი სახელი რუდოლფ ვეგენერია. აღმოსავლეთ პრუსიის ერთ-ერთი უძველესი მონარქისტული ოჯახის შთამომავალი. სავარაუდოდ, ფონ პაპენისთვის მუშაობს, – რეისი მაგიდასთან მოხერხებულად მოეწყო და უცდიდა, როდის მოიოხებდა გულს კროიც ფონ მეიერი, – ამ მონარქისტების მოსარჯულებლად, ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალი ისაა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბიუჯეტი შეიკვეცოს და...

როგორც იქნა, რეისმა ყურმილის დადება მოახერხა. პატარა მაგიდასთან დაბრუნებული მიხვდა, რომ ფუნთუშა გაცივდა. ყავა ჯერ თბილი იყო, ამიტომ მეორე ჭიქაც დაისხა და ისევ გაზეთს ჩაუღრმავდა.

მაგრამ აზრების მოკრება ვეღარ მოახერხა.

«არა, ეს არ დასრულდება. უშიშროების სამსახურის ხალხს შეუძლია მთელი ღამე იფხიზლოს. დილის სამ საათზე ისე დაგირეკავენ, ვითომც არაფერია».

კაბინეტში მდივანმა, პფერდჰოფმა შემოყო თავი და როდესაც დარწმუნდა, უფროსს ტელეფონზე საუბარი დაესრულებინა, უთხრა:

– საკრამენტოდან შეშფოთებულებმა დარეკეს. როგორც აღმოჩნდა, სან-ფრანცისკოს ქუჩებში ვიღაც ებრაელი დაიარება!

ორივეს გაეცინა.

– გასაგებია. უთხარით, დამშვიდნენ და საჭირო საბუთები გადმოაგზავნონ. კიდევ რამეა?

– სამძიმრის დეპეშები წაიკითხეთ?

– ბევრია?

– არც ისე. ჩემს მაგიდაზეა. თუ გნებავთ, შემოგიტანთ. პასუხები უკვე გავუგზავნე.

– დღეს შეხვედრა მაქვს, – თქვა რეისმა, – ნაშუადღევის პირველ საათზე. ბიზნესმენებთან.

– შეგახსენებთ, – უპასუხა მდივანმა.

რეისი სკამის საზურგეს მიეყუდა.

– გინდათ სანაძლეო?

– მხოლოდ პარტიის ლიდერის შემცვლელის თაობაზე. ამას გულისხმობთ ალბათ.

– ჯალათი იქნება.

– მაგრამ ჰაიდრიხი ისედაც უკვე ძალიან შორს წავიდა, – მცირე ხნის შემდეგ უპასუხა დაეჭვებულმა პფერდჰოფმა, – ასეთი ადამიანები პარტიის პირდაპირ კონტროლს არასოდეს ექვემდებარებიან, იმიტომ რომ მათი ყველას ეშინია. კოალიცია ოცდახუთ წუთში ჩამოყალიბდება, იმ დროში, რაც სს-ის პირველ რაზმს პრინც-ალბერტ-შტრასეზე მდებარე შენობიდან მანქანიდან მისასვლელად სჭირდება. ყველა მსხვილ ბიზნესმენს გაურიგდებიან, კრუპისა და ტისენის მსგავსს... – მდივანმა საუბარი შეწყვიტა, რადგან კაბინეტში გამშიფრავი შევიდა კონვერტით ხელში.

რეისმა ხელი გაიშვირა და მდივანმა კონვერტი გადასცა.

დილით მიღებული რადიოგრამა იყო, ამჯერად გაშიფრული ტექსტი.

როდესაც კითხვა დაასრულა, შენიშნა, რომ მდივანი მის ნათქვამს ელოდა. რეისმა ფურცელი დაჭმუჭნა, სამუშაო მაგიდაზე მდგარ თიხის დიდ საფერფლეში დაწვა.

– იაპონელი გენერლის ინკოგნიტოდ ჩამოსვლის შესახებ იტყობინებიან. მისი გვარია ტედეკი. კარგი იქნება, თუ საჯარო ბიბლიოთეკაში რომელიმე ოფიციალურ იაპონურ სამხედრო ჟურნალს მოძებნით, რომელშიც მისი ფოტოა დაბეჭდილი. რასაკვირველია, ეს ისე უნდა მოიმოქმედოთ, რომ ყურადღება არ მიიქციოთ. არა მგონია, მის შესახებ რაიმე ინფორმაცია გვქონდეს, – კარადისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, – მასალა თავად მოძებნეთ. სტატისტიკური მონაცემებიც. ბიბლიოთეკაში ყველაფერი უნდა ჰქონდეთ, – მერე დაამატა, – გენერალი ტედეკი რამდენიმე წლის წინ შტაბს მეთაურობდა. რამე ხომ არ გახსენდებათ მის თაობაზე?

– ძალიან ცოტა რამ, – უპასუხა პფერფჰოფმა, – ჯაჯღანა ვინმე იყო. ახლა ოთხმოცს იქნება მიღწეული. იაპონელების კოსმოსში გასვლის პროგრამის მომხრედ ითვლებოდა.

– ეს საქმე ჩაფლავდა.

– არ გამიკვირდება, თუ აქ სამკურნალოდ ჩამოდის, – დაამატა მდივანმა, – ბევრი ყოფილი იაპონელი სამხედრო ჩამოდის უნივერსიტეტის კლინიკაში სამკურნალოდ. აქ ისეთი გერმანული სამედიცინო აპარატურაა, იაპონიაში თვალითაც რომ არ უნახავთ. რასაკვირველია, ჩუმად ჩამოდიან. მაინც არაპატრიოტული საქციელია, თავადაც გესმით. ასე რომ, შეიძლება ჰოსპიტალში ვინმე მოვძებნოთ, რომ მასზე თვალი ეჭიროთ.

რეისმა თავი დაუქნია. ან მოხუცი გენერალი რაღაც სავაჭრო მაქინაციებშია გარეული. სან-ფრანცისკო ამ თვალსაზრისით ჩამორჩენილი ადგილი როდია. სამსახურეობრივი კავშირების გამოყენება გადადგომის შემდეგაც შეუძლია. მაგრამ არის კი თადარიგში გასული? შეტყობინებაში ეწერა «გენერალი» და არა «გადამდგარი გენერალი».

– როგორც კი სურათს ხელში მოიგდებთ, – განაგრძო რეისმა, – ასლები ჩვენს ხალხს დაურიგეთ აეროპორტში და ქვემოთ, სანაპიროზე. თუმცა, შესაძლოა უკვე ჩამოსულიცაა. კარგად მოგეხსენებათ, რამდენი ხანი სჭირდება შეტყობინების აქამდე მოღწევას. რასაკვირველია, თუ აღმოჩნდა, რომ გენერალი უკვე სან-ფრანცისკოშია, ბერლინი საკონსულოს შავ დღეში ჩააგდებს. გამოდის, საკონსულოს ის უნდა გასხლტომოდა – და ეს მანამდე უნდა მომხდარიყო, სანამ ბერლინიდან სათანადო ბრძანება მოვიდოდა.

– ბერლინიდან მოსული შიფროგრამის კონვერტზე დასმულ თარიღებს მივუთითებ, თუ მოგვიანებით რაიმე გაუგებრობა წარმოიშვა. ცხადი გახდება, ჩვენ როდის მივიღეთ შეტყობინება. საათის სიზუსტითაც კი.

– გმადლობთ, – უთხრა მდივანს რეისმა.

ბერლინელები პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბრალების დიდი ოსტატები იყვნენ, მაგრამ როდემდე შეიძლება განტევების ვაცად ყოფნა? უკვე რამდენი ხანია ასე გრძელდება.

– თავი დავიზღვიოთ, – თქვა რეისმა, – ჩემი აზრით, საპასუხო შეტყობინების გაგზავნა კარგი იქნება. მასში ეწერება, «თქვენი მითითებები ტრადიციულად დაგვიანებით მივიღეთ. მოცემულმა პიროვნებამ უკვე დატოვა ტერიტორია. მისი წარმატებით ხელში ჩაგდება შეუძლებელია». ვინმემ ამ ყველაფერს სათანადო ფორმა მისცეს და გაგზავნეთ. ტექსტი კარგი დიპლომატიური ფორმის უნდა იყოს და იმავდროულად, ბუნდოვანი. გესმით, რასაც ვამბობ?

პფერდჰოფმა თავი დაუქნია:

– ახლავე გავგზავნი. მიღების ზუსტ თარიღსა და დროსაც მივუთითებ.

მდივანი გავიდა და კარი მიიხურა.

«არ უნდა მოდუნდე, – გაიფიქრა რეისმა, – თორემ თვალის დახამხამებაში სამხრეთ აფრიკის სანაპიროს რომელიმე კუნძულზე აღმოჩნდები კონსულად. ერთადერთი ისღა შეგეძლება, ფუშფუშა ზანგი დედილო საყვარლად დაისვა და ცოტა ხანში ათი ან თერთმეტი ჭიჭყინა მამიკოს დაგიძახებს».

რეიმსი იმ პატარა მაგიდას მიუჯდა, რომელთანაც ცოტა ხნის წინ საუზმობდა და «სიმონ არცის» ფირმის «ეგვიპტური სიგარეტი ნომერი 70» გააბოლა. სიგარეტის ლითონის კოლოფი დახურა და ჯიბეში ფრთხილად ჩაიდო.

ისე ეტყობოდა, ცოტა ხანს არავინ შეაწუხებდა, ამიტომ ჩანთიდან ამოიღო წიგნი, რომლის წაკითხვაც დაწყებული ჰქონდა და ჩანიშნულ ადგილზე გადაშალა. მოხერხებულად მოეწყო და კითხვას შეუდგა.

«...ნეტავ ნამდვილად სეირნობდა კვირა დილის სიგრილით მოცულ ტიერგარტენის ქუჩებში, რომელთა სიმშვიდეს მხოლოდ ჩავლილი ავტომობილების ხმაური არღვევდა? თითქოს ეს სრულიად სხვა ცხოვრება იყო. ნაყინის გემო ტუჩებზე – თითქოს არც არასოდეს არსებულა

ასეთი გემრიელი სასუსნავი... ახლა ჭინჭარს ხარშავენ საჭმელად და ამითაც მოხარულები არიან. «ღმერთო, – წამოიძახა უეცრად, – ნუთუ ეს აღარასოდეს დასრულდება?» უზარმაზარ ბრიტანულ ტანკებს წააწყდა. კიდევ ერთი შენობა, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო საცხოვრებელი სახლი ან მაღაზია, სკოლა ან ოფისი – ზუსტად თქმა არ შეეძლო რა იყო – ჩამოიშალა, ნანგრევებად იქცა. მათ ქვეშ მორიგი მსხვერპლი ჩაიმარხა ისე, რომ მათი სიკვდილისწინა ამოძახილიც კი არავის გაუგია. ყველა და ყველაფერი სიკვდილს მოუცავს, თანაბრად ეხება ცოცხლებს, დაჭრილებს, გასახრწნელად მიტოვებული გვამების მწკრივებს. მთელი ბერლინი გახრწნილი სხეულის სუნად ყარს, უფანჯრებოდ დარჩენილი შენობების კოშკურები მიცვალებულის ჩამქრალ თვალებს დამსგავსებია – ისინი იშლება, დაუმშვიდობებლად ქრება, როგორც ეს, ახლახან ჩამონგრეული შენობა, ოდესღაც სიამაყითა და რუდუნებით რომ ააშენეს ადამიანებმა.

ბიჭმა მხოლოდ ახლა გაიაზრა, რომ განაცრისფრებული ხელები ფერფლით, არაორგანული ნაწილაკებით, სიცოცხლის დანაცრებული ნარჩენებში ამოსვროდა. იცოდა, ყველაფერი ერთმანეთში იყო აზელილი. ჭუჭყის მოცილება სცადა. ბევრს არ ფიქრობდა, სხვა სადარდებელი ჰქონდა, თანაც შეუძლებელია ფიქრი ბომბების გრიალსა და ჩამონგრეული შენობების ზრიალში. შიმშილი. ექვსი დღე ჭინჭრის მეტი არაფერი უჭამია და ახლა ესეც აღარ იყო. სარეველებიანი მინდორი აღარ არსებობს, მის ადგილზე ბომბის აფეთქების შედეგად წარმოქმნილ უზარმაზარ ორმოს დაუღია პირი. ორმოს ნაპირთან ბიჭივით სუსტი, გაძვალტყავებული ადამიანები გამოჩნდნენ, მცირე ხანს მდუმარედ უცქერდნენ ორმოს, მერე დაიფანტნენ. ქალი ჭაღარა თავზე ბებრული თავსაფრითა და ხელში ცარიელი კალათით. ცალხელა კაცი იმ კალათასავით ცარიელი თვალებით. გოგონა. შემდეგ იმ წაქცეული ხეების მიღმა გაუჩინარდნენ, სადაც ბიჭი, სახელად ერიკი, თავს აფარებდა.

ლითონის გველი კი არ ცხრებოდა.

«ოდესმე დასრულდება ეს ყველაფერი? – უმისამართოდ იკითხა ბიჭმა, – და თუ დასრულდება, როდის? ოდესმე მუცლები ხომ უნდა ამოიყორონ ამ...»

– ბარონო, – გაისმა პფერდჰოფის ხმა, – მაპატიეთ, რომ ისევ გაწუხებთ. მხოლოდ ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

რეისი ფეხზე წამოხტა და წიგნი ნაჩქარევად დახურა.

– რასაკვირველია.

«როგორ შეიძლება, ადამიანი ასე წერდეს, – გაიფიქრა კონსულმა, – სრულიად ჩამითრია. რეალობა გეგონება. ბერლინის აღება ბრიტანელების მიერ, ისე ცოცხლად არის აღწერილი, თითქოს ნამდვილად მოხდა. ბრრრრ». კონსულს შეაჟრჟოლა.

რა უცნაურია გამონაგონის ძალა, თუნდაც იაფფასიანის, რომელსაც ხალხზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია. გასაკვირი არ არის, რომ რაიხის ტერიტორიაზე ეს წიგნი აკრძალეს. «პირველი მე ავკრძალავდი. დასანანია, რომ მისი კითხვა დავიწყე; ახლა კი,როგორმე უნდა

დავასრულო».

– გერმანული ხომალდის მეზღვაურები არიან. თქვენთან გამოცხადდნენ, – უთხრა მდივანმა.

– დიახ, – რეისმა ამოიოხრა და ადმინისტრაციული ოფისის კარი გამოაღო, იქ სამი მეზღვაური დახვდა. უხეშად ნაქსოვი რუხი სვიტრები ეცვათ. ფერმკრთალი, დაძაბული სახეები ჰქონდათ.

– ჰაილ ჰიტლერ! – მარჯვენა ხელი ასწია რეისმა და ცალყბად გაუღიმა მეზღვაურებს.

– ჰაილ პიტლერ! – წაილუღლუღა სამივემ და საბუთები გადასცეს.

მათი ვიზების დამოწმების შემდეგ კერძო კაბინეტში დაბრუნდა.

«შეესია კალია ქვეყანას» მიუბრუნდა.

თვალი მოულოდნელად გადააწყდა სცენას ჰიტლერის მონაწილეობით; ვეღარ ახერხებდა შეჩერებას, ამიტომ უკან აღარ დაბრუნებულა, მოცემული ადგილიდან გააგრძელა კითხვა:

«სასამართლოა, – როგორც იქნა, ეპიზოდის მნიშვნელობას მიხვდა, – ჰიტლერს ასამართლებენ. ომის დასრულების შემდეგ. ჰიტლერი მოკავშირეების ხელთაა, ღმერთო ჩემო. გებელსიც. გერინგიც და დანარჩენებიც. სასამართლო მიუნხენშია. რასაკვირველია, ჰიტლერი ამერიკელმა პროკურორმა დაკითხა.

«... ერთი წამით თითქოს შავი, მოგიზგიზე, გარდასული სული გაცოცხლდა. მოცახცახე, მოშვებული სხეული მთლიანად შეტორტმანდა; თავი ასწია. მუდამ დორბლმდინარე ტუჩებიდან ნახევრად ხრიალისა თუ ყეფის მსგავსი ხმა აღმოხდა: «Deutsche, hier steh’ Ich»

[63]

. დარბაზი ახმაურდა. ყურსასმენები მოიმარჯვეს. რუსების, ამერიკელების, ბრიტანელებისა და გერმანელების დაძაბული სახეები ერთმანეთს ჰგავდა. «დიახ, – გაიფიქრა კარლმა, – ის ისევ აქ დგას... მათ ნიღაბი ჩამოსხნეს. მეტიც. მათ გააშიშვლეს სუპერმენი, და ყველას აჩვენეს, სინამდვილეში რას წარმოადგენდა. მაგრამ...»

– ბარონო.

რეისი მიხვდა, რომ კაბინეტში ისევ შემოსულიყო მისი მდივანი.

– დაკავებული ვარ, – მიუგო პირქუშად. წიგნი გაბრაზებულმა დაახეთქა, – ამ წიგნის წაკითხვას ვცდილობ და ღმერთმა იცის, დავამთავრებ თუ ვერა!

არა. ამას არაფერი ეშველება.

– კიდევ ერთი დაშიფრული რადიოგრამა მოვიდა ბერლინიდან, – უპასუხა პფერდჰოფმა, – სანამ შიფრავდნენ, ცალი თვალით ჩავიხედე. პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება.

– მერე, რას ამბობენ? – წაიბურტყუნა რეისმა, რომელიც ცერა თითებით შუბლს ისრესდა.

– დოქტორი გებელსი ყველასთვის მოულოდნელად რადიოთი გამოვიდა. უმნიშვნელოვანესი სიტყვაა, – მდივანი აშკარად აღელვებული ჩანდა, – ჩემი აზრით, გამოსვლის სრული ტექსტი აუცილებლად უნდა მივიღოთ და ადგილობრივ პრესაში თარგმანი დავბეჭდოთ.

– დიახ, დიახ, – თქვა რეისმა.

როგორც კი მდივანი ოთახიდან გავიდა, რეისმა ისევ წიგნი გადაშალა. «ცოტას კიდევ წავიკითხავ, ჩემი გადაწყვეტილების მიუხედავად».

«...სრულ სიჩუმეში კარლი ჩუმად უმზერდა დროშაგადაფარებულ კუბოს. კუბოში ის წევს და სამუდამოდ წავა, მართლაც სამუდამოდ, და აღარ დაბრუნდება, თუნდაც მთელი ეშმაკეული ძალები შეეცადონ. ეს ადამიანი – თუ მაინც Uebermensch?

[64]

– რომელსაც კარლი ბრმად მისდევდა, ეთაყვანებოდა... საფლავის კიდემდე მისულიც კი. ადოლფ ჰიტლერი იმ სამყაროში გადავიდა, კარლმა კი ცხოვრება უნდა განაგრძოს. «უკან არ მივყვები, – გონებაში ჩურჩულებდა კარლი, – ცხოვრება უნდა გავაგრძელო, ცოცხალი დავრჩე. და ყველაფერი თავიდან ავაშენო. ავაშენებთ კიდეც. ვალდებულნი ვართ».

რა შორს, სახიფათოდ შორს გაიტყუა ბელადის მაგიამ. და რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს მაგია, თუ ახლა გადახედავდი დაუჯერებელ განვლილ გზას – ავსტრიის მიყრუებული დაბა, ვენაში სიღატაკეში გატარებული წლები, პირველი მსოფლიო ომის სანგრების კოშმარული ყოფა, პოლიტიკური ინგრიგები, პარტიის დაფუძნება, რაიხსკანცლერობა, ის, რაც უკვე მსოფლიო ბატონობად მიიჩნეოდა?!

კარლმა იცოდა, რას წარმოადგენდა ეს მაგია – ბლეფს. ადოლფ ჰიტლერი მათ ატყუებდა. ადოლფ ჰიტლერი მათ ცარიელი სიტყვებით ესაუბრებოდა.

«ჯერ კიდევ არ არის გვიან. ვნახეთ, როგორ ცრუობდი, ადოლფ ჰიტლერ. და ბოლოს და ბოლოს, უკვე ვიცით, რასაც წარმოადგენ. ასევე ნაცისტური პარტიაც. მკვლელობებისა და მეგალომანიაკური ფანტაზიის შემზარავი ეპოქა – აი, რა იყო ეს.»

კარლმა კუბოს ზურგი შეაქცია და წავიდა...»

რეისმა წიგნი დახურა და მცირე ხანს გაუნძრევლად იჯდა დათრგუნვილი. «მეტი ზეწოლა იყო საჭირო იაპონელებზე, – გაიფიქრა, – მეტი ზეწოლა, რომ ეს წყეული წიგნი აეკრძალათ. სინამდვილეში, მათ ეს სრულებით არ გაუჭირდებოდათ. მისი დაკავებაც შეეძლოთ – რა გვარია... აბენდსენის. შუა დასავლეთში ხომ მთელი ძალაუფლება მათ ხელშია».

მაგრამ თავს დათრგუნვილად სულ სხვა რამის გამო გრძნობდა: ადოლფ ჰიტლერის სიკვდილი, ომში ჰიტლერის, პარტიისა და თავად გერმანიის დამარცხება და განადგურება,

აბენდსენის ამ წიგნში აღწერილი... ამ ყველაფრის მიღმა რაღაც დიადი იმალებოდა, თანამედროვე მსოფლიოში მომხდარზე უფრო ამაღლებული. იმ მსოფლიოზე, რომელშიც ჰეგემონი გერმანია იყო.

«როგორ შეიძლება ასეთ რამ? – ვერ ისვენებდა რეისი, – ნუთუ ეს მხოლოდ მწერლის ხრიკებია?»

მწერლებმა მილიონობით ხრიკი იციან. თუნდაც დოქტორი გებელსი ავიღოთ; თავდაპირველად რომანებს წერდა. წიგნში იმ ფარულ სურვილებზე უნდა მიუთითო, რომლებიც ყველას აქვს, როგორი რესპექტაბელურიც უნდა ჩანდეს გარეგნულად. დიახ, მწერალი ადამიანს იცნობს, იცის, როგორი ფუყეა ის, როგორ მართავს მის საქციელს მხოლოდ და მხოლოდ სათესლე ჯირკვლები, როგორი მხდალია – მან მხოლოდ შესაბამის დოლს უნდა დაარტყას და პასუხსაც მიიღებს. მერე გაიცინებს კიდეც იმ შედეგის გამო, რაც მისმა ხელის მოძრაობამ გამოიწვია.

«უყურე, როგორ ეშმაკურად ითამაშა ჩემს გრძნობებზე, – ფიქრობდა რეისი, – არა ჩემს ინტელექტზე, არამედ სწორედ გრძნობებზე, და ბუნებრივია, მას ამისათვის ფულს უხდიან. ეტყობა, ვიღაცამ უბიძგა, «კალია» დაეწერა. თუ ფულს გადაუხდიან, რასაც გინდა იმას დაწერს. რა სისულელეც გინდა გამოაცხვე, ხალხი გადაყლაპავს და ლუდსაც დააყოლებს. სად დაიბეჭდა?»

ჰერ რეისმა ყდას დახედა. ომაჰა, ნებრასკა – ყოფილი ამერიკული საგამომცემლო ინდუსტრიის უკანასკნელი ბასტიონი, რომელიც ოდესღაც ნიუ-იორკის ცენტრში მდებარეობდა და ურიებისა და კომუნისტების ოქროთი იკვებებოდა.

«შეიძლება ეს აბენდსენი ებრაელიცაა.

ასე ცდილობენ ჩვენში საწამლავის გავრცელებას. ეს jüdisches Buch»

[65]

... – კონსულმა «კალიის» თავისი ეგზემპლარის ორივე ტომი ერთმანეთს დაადო, – მისი ნამდვილი გვარი სავარაუდოდ აბენდშტაინია. უშიშროების სამსახურმა ახლავე უნდა მიხედოს.

ვიღაც აუცილებლად უნდა მივუგზავნოთ ამ ჰერ აბენდშტაინს. საინტერესოა, კროიც ფონ მეიერმა თუ გასცა რაიმე განკარგულება. შეიძლება არა, თუ გავითვალისწინებთ მთელ ამ არეულობას ბერლინში. საშინაო საქმეებისთვის არ სცალია.

მაგრამ ეს წიგნი ძალიან სახიფათოა.

თუ ერთ მშვენიერ დილას აბენდსენს ჭერზე ჩამოკონწიალებულს იპოვიან, როგორ დაწყდებათ გული ამ წიგნის მკითხველებს. ასე შეგვეძლო ჩვენი ბოლო სიტყვის თქმა. რომანისთვის პოსტსკრიპტუმის მიწერა.

მაგრამ ეს საქმე, რასაკვირველია, თეთრკანიანმა უნდა ითავოს. ნეტავ სკორცენი

[66]

ახლა რას საქმიანობს».

რეისი დაფიქრდა, მერე კიდევ ერთხელ წაიკითხა წიგნის უკანა ყდაზე გამოტანილი ინფორმაცია ავტორის შესახებ. ურია კარჩაკეტილად ცხოვრობს. თავის მაღალ კოშკში. სულელი ხომ არ არის. მასთან შეღწევის მსურველი იქიდან ცოცხალი გამოვა თუ არა, საკითხავია.

შეიძლება ეს ყველაფერი სისულელეა. წიგნი უკვე დაიბეჭდა. ახლა დაგვიანებულია რეაქცია. ბოლოს და ბოლოს, ამ ტერიტორიას იაპონელები მართავენ... ამ პატარა ყვითელკანიანებს კი ისეთი ხმაურის ატეხვა შეუძლიათ...

და მაინც, თუ ყველაფერი საზრიანად გაკეთდება... და მარჯვედ.

ბარონმა ჰუგო რეისმა თავის დღიურში ჩაწერა – ესესის გენერალთან, ოტო სკორცენისთან დაკავშირება ან, კიდევ უკეთესი, ოტო ოლენდორფთან

[67]

, რაიხის უშიშროების მთავარი სამმართველოს III სამმართველოს შეფთან. ოლენდორფს არ ექვემდებარება «დ» შემტევი ბრიგადა?

და უეცრად, მოულოდნელად, კონსული გაცეცხლდა. «მეგონა ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ნუთუ თავიდან უნდა დაიწყოს? ომი უკვე წლებია, დასრულდა. გვეგონა, მასთან ერთად სხვა დანარჩენიც დამთავრდა. მაგრამ ჯერ ეს აფრიკის ფიასკო, მერე შექანებული ზაის-ინკვარტი, რომელსაც როზენბერგის პროექტების განხორციელება მოუნდა.

არა, ეს ჰერ ჰოუპი მართალს ამბობს. მისი ხუმრობა მარსზე ჩვენი გადასვლის თაობაზე. მარსი ებრაელებითაა დასახლებული. ჩვენ მათ იქაც აღმოვაჩენთ. ორთავიანები იქნებიან, სიმაღლით ერთი ფუტი.

ყოველდღიური საქმეები თავზე საყრელი მაქვს. რა ჩემი საქმეა აბენდსენთან სპეცდანიშნულების ბრიგადის გაგზავნა? მეზღვაურებს უნდა მივესალმო ხოლმე და დაშიფრული რადიოგრამები ვიკითხო; სხვა დანარჩენს კი დაე, იმათ მიხედონ – მაღალი თანამდებობების მქონეებმა.

ამას გარდა, თუ ამ საქმეს ხელი მოვკიდე, ისიც საკითხავია, ყველაფერი როგორ დასრულდება: აღმოსავლეთის გენერალ-საგუბერნატოროს დაცვის განყოფილებაში აღმოვჩნდები თუ ციკლონ ბ

[68]

აირით სავსე კამერაში».

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ დღიურში წარწერა წაშალა, მაგრამ მერე ფურცელი ამოხია და კერამიკის საფერფლეში დაწვა.

კარზე დააკაკუნეს. მდივანი ქაღალდების გროვით შემოვიდა.

– დოქტორ გებელსის გამოსვლის ტექსტია. მთლიანი, – პფერდჰოფმა ფურცლები მაგიდაზე დააწყო, – აუცილებლად წაიკითხეთ, ძალიან კარგი გამოსვლაა; ერთ-ერთი საუკეთესო.

რეისმა «სიმონ არცის» ფირმის კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა და დოქტორ გებელსის გამოსვლის ტექსტის კითხვას შეუდგა.

9

ორკვირიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ «ედფრენკის საიუველირო ნაკეთობებმა» პირველი პარტია გამოუშვა. ნამუშევრები შავი ხავერდით გადაკრულ ორ დაფაზე ეწყო მოწნულ იაპონურ კალათში. ედ მაკკართიმ და ფრენკ ფრინკმა სავიზიტო ბარათებიც დაამზადეს. ამისათვის საშლელი რეზინის ერზაცზე ამოჭრეს თავიანთი გვარები და საბავშვო როტაპრინტის დახმარებით დაბეჭდეს. ეფექტიც, შესაბამისად, შთამბეჭდავი გამოვიდა – მაღალი ხარისხის უხეში წითელი ფერადი ქაღალდი გამოიყენეს, რომლებსაც ძირითადად საშობაო ბარათებისთვის იყენებენ.

ნამუშევრის ყოველ ასპექტს პროფესიონალის ხელი ეტყობოდა: სამკაულებს, სავიზიტო ბარათებსა და ნაკეთობათა დემონსტრირების მანერასაც. ყველაფერი მოწმობდა, რომ საქმე მოყვარულის გაკეთებული არ გახლდათ.

«სხვაგვარად როგორ შეიძლება? – ფიქრობდა ფრენკ ფრინკი, – ორივენი ოსტატები ვართ; გარდა ამისა, სამკაულის დამზადების სხვა გზა არ არსებობს. თანაც, ორივეს ცხოვრების უმეტესი დრო სახელოსნოში, დაზგასთან გვაქვს გატარებული».

სადემონსტრაციო დაფები მართლაც ჩინებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: თითბრის, სპილენძის, ბრინჯაოსა და ცხლად გამოჭედილი რკინის ოქსიდის სამაჯურები; ვერცხლის ორნამენტით მორთული თითბრის კულონები; ვერცხლის საყურეები; ვერცხლისა და თითბრის გულსაბნევები. ვერცხლი იაფად მოიგდეს ხელში. ნამუშევრის ღირებულებას მირჩილული ვერცხლის დეტალიც კი ზრდიდა. ნახევრად ძვირფასი ქვებიც არ დავიწყებიათ გულსაბნევებისთვის: ბაროკოს ეპოქის მსგავსი მარგალიტები, შპინელი, ნეფრიტი, ცეცხლოვანი ოპალის ნატეხები. თუ საქმე კარგად წავიდოდა, ოქროსაც იყიდდნენ და ხუთ-ექვს უნცია ბრილიანტსაც.

ნამდვილი მოგება მხოლოდ ოქროს მოაქვს. უკვე დაიწყეს სათანადო წყაროების მოძიება ოქროს იაფად საშოვნელად, მათ შორის, ძველი ოქროს ნივთების გადასადნობად – ეს ახალი ოქროს ყიდვაზე იაფი დაუჯდებოდათ. ძვირფასი ლითონის საშოვნელად გვარიანი კაპიტალი სჭირდებოდათ. თუმცა, ოქროსგან დამზადებული ერთი ლამაზი გულსაბნევის გაყიდვა

უფრო ძვირად შეიძლება, ვიდრე ორმოცი ცალი თითბრის ნაკეთობისა. ბაზარზე საკმაო თანხის მიღებას შეძლებდნენ ამგვარი ნაკეთობის გასაღებით... «თუ საერთოდ ვინმე მოისურვებს ჩვენი სამკაულების შესყიდვას», ასე დაასრულა აზრი ფრინკმა.

გასაღებაზე ჯერ არ უფიქრიათ. მხოლოდ ძირითადი ტექნიკური ამოცანები გადაჭრეს; ჰქონდათ სამუშაო დაზგები და აღჭურვილობა, სახვეწი და საპრიალებელი ლილვი. იარაღების სრული კომპლექტი, მავთულის უხეში ჯაგრისებით დაწყებული თითბრის ჯაგრისებისა და კრატექსის ფირმის საპრიალებლებით დამთავრებული, რომლებიც დამზადებული იყო ბამბის, სელის, ტყავის, ზამშისგან, რასაც

ემატებოდა ზუმფარის ქაღალდები და პემზა რთული დეტალების დასამუშავებლად. და რასაკვირველია, მათ განკარგულებაში იყო ბალონებით, ინდიკატორებით, შლანგებით, ბუნიკებით, ნიღბებით აღჭურვილი აცეტილენის შესადუღებელი აპარატი.

ასევე შესანიშნავი საოქრომჭედლო იარაღი – გერმანული და ფრანგული ბრტყელტუჩები, მიკროსასწორები, ბრილიანტის საჭრელები, ხელის ხერხები, მაშები, პინცეტები, გირაგები, საპრიალებელი ნაჭრები, დიდი ზომის მაკრატლები, ხელის ჩაქუჩები... მოკლედ, არაჩვეულებრივი ხელსაწყოები. ასევე ჰქონდათ ნედლეულის მარაგი: სხვადასხვა სისქის ლითონის ღეროები, ლითონის ფურცლები, სამაგრები, კლიპსების სამაგრები. ანგარიშზე არსებული ორი ათასი დოლარი დაიხარჯა. ედფრენკის საერთო საბანკო ანგარიშზე ორას ორმოცდაათი დოლარი დარჩა. მაგრამ სანაცვლოდ, მთელი წარმოების ხაზი ააწყვეს. დარჩა მხოლოდ გაყიდვის საკითხის მოგვარება.

ფრინკის აზრით, ვერც ერთი მყიდველი ვერ შეამოწმებდა მათ ნამუშევარს ისე გულდასმით, როგორც თავად ისინი. რასაკვირველია, გასაყიდად შერჩეული ყოველი ნივთი მართლაც კარგად გამოიყურებოდა, რადგან საკმარისი იყო შემჩნეული ლაქა, სახვეწით დატოვებული ნაფხაჭნი ან შედუღებისას გამოყენებული ალის კვალი... არა, ნამუშევრის ხარისხს მართლაც ჩინებულად აკონტროლებდნენ. დამამზადებლისთვის ნივთის დასაბრუნებლად ხომ ლითონის მქრქალი ფერი ან მავთულის ჯაგრისით დატოვებული ნაფხაჭნიც საკმარისია. «თავს უფლებას ვერ მივცემთ, უმცირეს დეტალებსაც კი უგულისყუროდ მოვეკიდოთ. ვერცხლის ყელსაბამზე მყიდველმა პაწაწინა შავი წერტილიც კი თუ დაინახა, ის სამკაულს აღარ იყიდის».

მათი ნამუშევრების გასაყიდი პუნქტების სიაში პირველ ადგილზე რობერტ ჩილდენის მაღაზია იყო. მაგრამ მხოლოდ ედს შეეძლო იქ მისვლა – შესაძლოა ჩილდენს დანახვისთანავე გახსენებოდა ფრენკ ფრინკი.

– გაყიდვების ძირითადი ტვირთი შენს თავზე უნდა აიღო, – უთხრა ედმა, თუმცა ჩილდენის მაღაზიაში წასვლას დათანხმდა; სათანადო შთაბეჭდილების მოსახდენად შეიძინა კარგი ხარისხის კოსტიუმი, ახალი ჰალსტუხი, თეთრი პერანგი. და მაინც, ერთი შეხედვისთანავე ეტყობოდა, რომ მორცხვობდა.

– ვიცი, რომ ჩვენი ნამუშევარი შესანიშნავია, – იმეორებდა მეათასედ, – მაგრამ, ეშმაკმა იცის...

ნაკეთობების უმრავლესობა აბსტრაქტული სტილისა იყო: სპირალებად ან გორგლებად დახვეული მავთულები, ფორმამიცემული გამდნარი ლითონი. ზოგიერთი აბლაბუდასავით ჰაეროვანი ნაკეთობა გახლდათ, სხვები პირიქით, მასიური, ბარბაროსული სიტლანქის ნიმუში. დაფებზე ბევრი ნაკეთობა არ ელაგა, მაგრამ მაშინვე თვალში საცემი იყო სტილის მრავალფეროვნება.

«რა მოხდება, რომელიმე მაღაზიამ ყველა ნაკეთობა რომ შეიძინოს; მყიდველების შეკვეთები მთელი ცხოვრება გვეყოფა», ფიქრობდა ფრინკი.

მოწნულ კალათში ხავერდგადაკრული დაფები ჩაალაგეს.

«თუ საქმე ცუდად წავა, ლითონს გადავადნობთ. ასევე იარაღებსა და მოწყობილობებს გავყიდით. ფულს მთლიანად ვერ ამოვიღებთ, მაგრამ რაღაც ნაწილის დაბრუნებას მაინც შევძლებთ».

სამისნო წიგნის გადაშლის დრო დადგა. უნდა შეეკითხოს, ედის პირველი მცდელობა რა შედეგით დასრულდება. მაგრამ საამისოდ ძალიან ღელავდა. შეიძლება ეს ცუდის ნიშანია, რასაც თვალს ვერ გაუსწორებს. ასეა თუ ისე, რა პასუხიც უნდა გასცეს სამისნო წიგნმა, მათ არჩევანი უკვე გააკეთეს: საოქრომჭედლო ნაკეთობები დაამზადეს, წარმოება გახსნეს. სამისნო წიგნს არ შეუძლია მათ ნაცვლად გაყიდოს ნაკეთობები... მას არც იღბლის მოტანა ძალუძს.

– პირველად ჩილდენთან მივალ, – ფიქრი შეაწყვეტინა მაკკართიმ, – თუმცა შეგვეძლო მოგვეცადა კიდეც. მერე დანარჩენ ორთან შენ მიხვალ. ხომ წამომყვები? კუთხეში, მანქანაში მოიცდი.

პიკაპში რომ სხდებოდნენ, ფრენკი ფიქრობდა, მხოლოდ ღმერთმა იცის, მე და ედი რამდენად კარგი გამყიდველები ვართო. ჩილდენმა რაღაც მართლაც შეიძლება იყიდოს, მაგრამ ამისათვის მასზე შთაბეჭდილების მოხდენაა საჭირო, თვალში ნაცრის შეყრა.

«ჯულიანა აქ რომ იყოს, – ფიქრობდა ფრინკი, – ერთ წამში, თვალის დაუხამხამებლად წამოაგებდა ანკესზე; მომხიბლავია, ვისაც გინდა იმას დაელაპარაკება და გარდა ამისა, ქალია. ასეა თუ ისე, ეს ხომ ქალის სამკაულია. შეეძლო მაღაზიაში გასაყიდად წაეღო». თვალები დახუჭა და ცხადად წარმოიდგინა ყოფილი ცოლი ხელზე ერთ-ერთი სამაჯურით. ან ერთ-ერთი მოზრდილი ვერცხლის ყელსაბამით. შავი თმა, ფერმკრთალი კანი, ნაღვლიანი, გამჭოლი თვალები, ნაცრისფერი შალის სვიტერი, რომელიც მკერდზე ცოტათი უჭერს, მაგრამ ჭრილს ვერცხლის გულსაკიდი უმშვენებს.

ისე ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ, თითქოს ეს-ესაა დაშორდნენ: როგორ იღებს მათ დამზადებულ თითოეულ ნივთს, ხელით წონის და დაკვირვებით ათვალიერებს. ჯულიანას ყოველთვის კარგი გემოვნება ჰქონდა.

«ყველაზე მეტად საყურე მოუხდებოდა, – გადაწყვიტა ფრინკმა, – თვალში საცემი,

განსაკუთრებით, სპილენძისგან დამზადებული. თმას კეფაზე შეიკრავს ან შეიმოკლებს, ასე უკეთ გამოჩნდება გულსაკიდიცა და საყურეც. შეგვეძლო მისთვის სარეკლამო ფოტოები გადაგვეღო და გაგვევრცელებინა». მან და ედმა უკვე ისაუბრეს კატალოგის გამოშვებაზე, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც მაღაზიებში დაარიგებდნენ. არაჩვეულებრივი სანახავი იქნებოდა... მშვენიერი კანი აქვს, ჯანსაღი, უნაოჭო, შესანიშნავი ფერის. მისი მოძებნა რომ მოვახერხო, თუ დათანხმდება? მნიშვნელობა არ აქვს, ჩემზე რას ფიქრობს; ერთმანეთის პირად ცხოვრებაში არ ჩავერევით. ეს მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი თანამშრომლობა იქნებოდა.

სურათებს მე არ გადავიღებდი. ამ საქმეს პროფესიონალ ფოტოგრაფს მივანდობდით. ჯულიანას მოეწონებოდა. მისი ამპარტავნება ალბათ, არ შეცვლილა. ყოველთვის მოსწონდა, როცა უმზერენ და მისით აღფრთოვანებულები არიან. ჩემი აზრით, ქალების უმეტესობა ასეა. მუდამ ყურადღება სჭირდებათ. პატარა ბავშვებს ჰგვანან.

ფრინკის აზრით, ჯულიანას მარტო ყოფნა არასოდეს შეეძლო; შეყვარებულობის დროს უნდოდა, სულ მის გვერდით ყოფილიყო. ასე პატარები იქცევიან, მათი აზრით, თუ მშობლები არ უყურებენ რას აკეთებენ, მათ თვალში ყველაფერს ფასი ეკარგება. ახლაც ვიღაც თაყვანისმცემელი ეყოლება. ალბათ ეუბნება, რა მშვენიერია, აქებს მის ფეხებს, მის მკვრივ, ბრტყელ მუცელს.

– რა დაგემართა? – ედიმ თვალებში შეხედა, – ნერვიულობ?

– არა, – უპასუხა ფრინკმა.

– იქ სულელივით დგომას არ ვაპირებ, – განაგრძო ედმა, – რაღაც მოვიფიქრე. და იმასაც გეტყვი, რომ არ მეშინია. სამოსი არ მაწუხებს, ვიცი, რომ ეს მდიდრული ადგილია და ამიტომ შესაფერისი ტანსაცმელი უნდა მეცვას; უბრალოდ, ასე ჩაცმა არ მიყვარს, თავს უხერხულად ვგრძნობ. მაგრამ ამ ყველაფერს მნიშვნელობა არ აქვს – მაინც მივალ და იმ რეგვენს ჩვენს ნაკეთობებს მივყიდი.

«ღმერთმა ქნას», გაიფიქრა ფრინკმა.

– ჯანდაბა, რა მოხდებოდა შენ შეგეძლოს მისვლა, – თქვა ედმა, – ისევ იმ იაპონელი ჯენტლმენის წარმომადგენლად გაასაღებდი თავს, რომელსაც ამჯერად საიუველირო ნაკეთობები სჭირდება. ჩვენ ხომ მართლაც კარგი, ორიგინალური ხელნაკეთი სამკაულები გვაქვს, რაც...

– ხელით ნაჭედი, – შეუსწორა ფრინკმა.

– ჰო. ხელით ნაჭედი. იმას ვგულისხმობ, რომ მივიდოდი და მანამდე არ მოვეშვებოდი, სანამ ფულს არ გადავახდევინებდი. უნდა იყიდოს. სხვაგან სად შეიძლება წააწყდეს მსგავს ნაკეთობებს. როგორც კი იმას წარმოვიდგენ, რომ ჩვენი ნაკეთობები დაათვალიერა და არ იყიდა – მაშინვე ხელები მექავება საცემრად.

– არ დაგავიწყდეს უთხრა, რომ მხოლოდ ფურცლით დაფარული როდია – მთლიანად გამძლე სპილენძისა და თითბრისგანაა დამზადებული.

– ჩემს საქმეს თავად მივხედავ, – უპასუხა ედმა, – მართლაც კარგი იდეები მომივიდა თავში.

«მე კი აი, რას გავაკეთებ, – გაიფიქრა ფრინკმა, – ედისგან მალულად ერთ ან ორ ნაკეთობას ავიღებ და ჯულიანას გავუგზავნი. დაე იცოდეს, რას ვაკეთებთ. საფოსტო განყოფილების თანამშრომლები მის კვალს იპოვიან; რეგისტრაციის ადრინდელ მისამართზე გავუგზავნი. რას იტყვის, როდესაც საფოსტო ყუთს გახსნის? ალბათ განმარტებითი წერილი უნდა დავურთო, რომ ნივთები ჩემი დამზადებულია, ახალი პატარა საოქრომჭედლო კომპანიის პარტნიორი ვარ. დავაინტერესებ, მივწერ, რომ თუ სურს, შეუძლია, საქმეში შემოვიდეს. რაიმე საინტერესოს მოვუყვები ძვირფასი ქვებისა და ლითონების შესახებ. იმაზეც ვეტყვი, სად ვაპირებთ გაყიდვას, საოქრომჭედლო მაღაზიების შესახებ...»

– აქ არ არის? – შეეკითხა საჭესთან მჯდომი ედი. მოძრაობა გადატვირთული იყო; ქუჩა – ცათამბჯენებით სავსე, – ალბათ გასაჩერებელი ადგილის მოძებნის დროა.

– იქამდე კიდევ ხუთი კვარტალია, – უპასუხა ფრინკმა.

– მარიხუანიანი სიგარეტი ხომ არ გაქვს? – ჰკითხა ედმა, – დამშვიდება მჭირდება.

ფრინკმა ტიენ-ლაის ფირმის «ზეციური მუსიკა» გაუწოდა, რომლის მოწევას უინდემ-მატსონის კორპორაციაში მუშაობისას შეეჩვია.

«ალბათ, ვიღაცასთან ერთად ცხოვრობს, – განაგრძო ფიქრი ფრინკმა, – მასთან სძინავს. როგორც ცოლს ქმართან. ვიცნობ ჯულიანას. სხვაგვარად არ შეუძლია. კარგად ვიცი, რას გრძნობს დაღამების მოახლოებისთანავე – როცა გარეთ ცივა, ბნელა, ყველა თავისი სახლის მისაღებ ოთახში შეყუჟულა. მარტოობისთვის დაბადებული არ არის. სხვათა შორის, არც მე. იქნებ სულაც, კარგი ბიჭია. სტუდენტის

გამოჭერა სრულებით არ გაუჭირდება. ზოგი ახალგაზრდისთვის, რომელსაც მდედრობითი სქესის წარმომადგენელთან მიახლოებისთვის სიმამაცე არ ჰყოფნის, კარგი ქალი იქნება. უხეში და ცინიკოსი არ არის, ბიჭს კეთილად მოექცევა. იმედი მაქვს, ვინმე ბებრუხანას არ გადაეყარა. ამას ვერ ავიტანდი. ვინმე გაბღენძილი, რომელსაც პირში მუდმივად კბილის საჩიჩქნი აქვს გაჩხერილი».

სუნთქვა შეეკრა, როდესაც წარმოიდგინა ჯულიანა მსუქანი, ბანჯგვლიანი კაცის გვერდით, რომელიც ყოველ წუთს ამცირებს მას...

«ვიცი, რომ ბოლოს თავს მოიკლავს. ეს მისი იღბალია... იმ შემთხვევაში, თუ საჭირო მეგობარი ვერ იპოვა – ნამდვილად კეთილი, მგრძნობიარე, ალერსიანი სტუდენტი, რომელსაც შეუძლია კარგად დააფასოს.

უხეშად ვექცეოდი. თუმცა, არც ისე ცუდი ვიყავი; ჩემზე უარესები თავზე საყრელად არიან.

თითქმის ყოველთვის მესმოდა რას ფიქრობს, რა სურს, როდის არის კარგად, მოწყენილი ან დეპრესიული. უამრავი დრო დავხარჯე მის დასამშვიდებლად. მაგრამ ესეც არ კმაროდა. მეტს იმსახურებდა. ბევრად უფრო მეტს».

– აქ გავაჩერებ, – თქვა ედმა. ადგილი იპოვა და ახლა უკანა სვლით მიჰყავდა მანქანა, თან მხარსუკან იხედებოდა.

– მისმინე, – უთხრა ფრინკმა, – შეიძლება ერთი-ორი ნაკეთობა ჩემს ცოლს გავუგზავნო?

– დაქორწინებული თუ იყავი არ ვიცოდი, – ისე უპასუხა ედმა, ეტყობოდა, სხვა რამეზე ფიქრობდა, – რასაკვირველია, ოღონდ ვერცხლის ნაკეთობები არა.

ედმა ძრავა გამორთო.

– მოვედით, – მარიხუანიანი სიგარეტი საფერფლეში ჩააგდო და მანქანის კარი გამოაღო, – იღბალი მისურვე.

– იღბალს გისურვებ, – უთხრა ფრინკმა.

– ოჰო, ნახე, აქ, სიგარეტის კოლოფზე ვაკაა დაბეჭდილი – ედმა მანქანების ხმაურში მიუხედავად ხმამაღლა წაიკითხა ლექსი:

საიდანღაც

გუგულის ხმა გაისმა,

მაღლა ავიხედე,

საიდან მოდიოდა ხმა

და რა დავინახე?

მკრთალი მთვარე განთიადის ცაში.

სიგარეტის კოლოფი ფრინკს დაუბრუნა. მხარზე ხელი დაჰკრა, გაუღიმა, მანქანის კარი გამოაღო, მეორე ხელი კალათს დაავლო და გადავიდა.

– ხურდა ჩააგდე, – დაუძახა ფრინკმა, თან უყურებდა, როგორ სწრაფად მიეფარა თვალს.

ერთ წამში ედი გამვლელებში ჩაიკარგა.

«ჯულიანა, ნეტავ ახლა შენც ჩემსავით მარტოსულად გრძნობ თავს?» გაიფიქრა ფრინკმა. მერე მანქანიდან გადავიდა, რათა მანქანის დგომის საფასური ხურდა აპარატში ჩაეყარა.

«მეშინია. ოქრომჭედლობასთან დაკავშირებული მთელი ამ წამოწყების. ყველაფერი რომ ჩაიშალოს, მერე? ყველაფერი რომ ჩაიშალოს, მერე?»

ასეთ მდგომარეობაში მყოფი მივიდა სამისნო წიგნამდე. მოთქმით, ცრემლებით, ქანცგაწყვეტილი.

მამაკაცი საკუთარი ცხოვრების აჩრდილის პირისპირ. მისი მოგზაურობა სამარისკენ... ჯულიანა გვერდით რომ ჰყავდეს, მაშინ ასე ცუდად არ იქნებოდა. სულაც არა.

«მეშინია», გააცნობიერა სრულიად ნათლად. წარმოვიდგინოთ, რომ ედმა ვერაფერი გაყიდა და ყველამ დაგვცინა.

«მერე რა მოხდება?»

თავისი ბინის მისაღები ოთახის იატაკზე გაშლილ ზეწარზე ჯულიანა ჯო ჩინანდელას ჩახვეული იწვა. ნაშუადღევის მზის სხივებით განათებულ ოთახში ცხელოდა. ქალის სხეულს და მის მკლავებში მოქცეულ მამაკაცის სხეულს ოფლი სდიოდა. ჯოს შუბლიდან ოფლის წვეთი ყვრიმალზე ჩაგორდა და ჯულიანას კისერზე დაეცა.

– გწვეთავს, – წაიჩურჩულა ქალმა.

ჯოს არაფერი უთქვამს. თანაბრად, ღრმად, ნელა სუნთქავდა... «როგორც ოკეანე, – გაიფიქრა ჯულიანამ, – ჩვენ შიგნით მხოლოდ წყალია».

– როგორი იყო? – შეეკითხა კაცს.

მან რაღაც წაიდუდღუნა, «ყველაფერი რიგზეა»-ს ჰგავდა.

«მეც ასე ვიფიქრე, – გაიფიქრა ჯულიანამ, – მაგრამ დარწმუნებით თქმა არ შემიძლია. ახლა ორივენი უნდა ავდგეთ, ერთმანეთს ხელი ვკრათ. თუ ეს ცუდია? ერთგვარი ქვეცნობიერი დაწუნების ნიშანია?»

ჯო შეირხა.

– უკვე დგები? – ქალმა ორივე ხელი შემოხვია ტანზე, – არა, ჯერ არა.

– სპორტდარბაზში წასასვლელი არ ხარ?

«არ წავალ დარბაზში, – გაიფიქრა ჯულიანამ, – როგორ ვერ ხვდები? სადმე წავალთ ერთად; აქ აღარ დავრჩებით. მაგრამ ისეთ ადგილზე უნდა წავიდეთ, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვართ. უკვე დროა».

ქალმა იგრძნო, ჯო როგორ დადგა მუხლებზე, ხელები მის ოფლისგან სველ გვერდებს ჩამოუსვა. მერე გაიგონა, როგორ მიტყაპუნებდა შიშველი ფეხებით, რასაკვირველია, სააბაზანოსკენ. შხაპის მისაღებად.

«დამთავრდა, – გაიფიქრა ქალმა, – რაც არის, არის». ამოიოხრა.

– მესმის, – გამოსძახა ჯომ სააბაზანოდან, – ოხრავ. ისევ ცუდ ხასიათზე ხარ, ასეა?

მოწყენილობა, შიში, უნდობლობა, ჩემს მიმართ და საერთოდ, მთელი სამყაროს მიმართ, – სულ ერთი წამით გამოჩნდა სააბაზანოს კართან, მთლიანად გასაპნული, – მოგზაურობაზე რას იტყვი?

ქალს გული აუჩქროლდა.

– სად?

– რომელიმე დიდ ქალაქში. ჩრდილოეთით, დენვერში წასვლაზე რას იტყვი? ყველგან წაგიყვან; შოუს ბილეთს გიყიდი; კარგი რესტორანი, ტაქსი, საღამოს კაბა... ყველაფერს გიყიდი, რასაც მოისურვებ, გინდა?

ძალიან უნდოდა ეს ყველაფერი, თუმცა დაჯერება უჭირდა; მაინც სცადა.

– შენი მანქანა გზაში ხომ არ დაიშლება? – დაუძახა ჯო.

– რას ამბობ, – შეიცხადა ქალმა.

– კარგი ხარისხის ტანსაცმელს ვიყიდით, – განაგრძობდა ჯო, – შეიძლება ცხოვრებაში პირველად, რიგიანად დაისვენებ. თორემ ფორმაში აღარ ხარ.

– კი მაგრამ, ფული?

– მაქვს. იქ, ჩემოდანში ნახე, – კიდევ რაღაც უთხრა, მაგრამ წყლის ხმაურში აღარაფერი ისმოდა.

ქალმა ტანსაცმლის კარადიდან შელახული ჩემოდანი გადმოიღო. მის ძირში კონვერტი იპოვა; რაიხსბანკის ბანკნოტებით იყო სავსე და ამ ვალუტას ყველგან იღებდნენ. « მართლაც შეგვიძლია, – გაიფიქრა, – მე კი მეგონა, რაღაც სისულელეს ლაპარაკობდა», თან ფულს ითვლიდა.

კონვერტის ქვემოთ დიდი, ცილინდრის ფორმის საწერი კალამი აღმოაჩინა, მაგრამ რაღაც უცნაური მოეჩვენა; ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ავტოკალამს ჰგავდა, თუმცა უჩველოდ მძიმე იყო. დაინტერესებულმა ჯულიანამ თავი მოხადა. ჰო, რასაკვირველია, ოქროს წვერი ჰქონდა, მაგრამ...

– ეს რა არის? – შეეკითხა სააბაზანოდან გამოსულ ჯოს.

კაცმა ავტოკალამი გამოართვა და ისევ ჩემოდანში დააბრუნა. «როგორ ფრთხილად ექცევა»... ჯულიანამ ეს შენიშნა და ძალიან დაიბნა.

– ისევ ეჭვიანობამ დაგრია ხელი? – შეეკითხა ჯო, რომელიც გასაოცრად უდარდელი მოეჩვენა, პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში; კაცმა მხიარული შეძახილით წელზე მოხვია ხელი, ჰაერში ასწია და დააბზრიალა, მერე იატაკზე დასვა, სახეზე დაჟინებით მიაჩერდა, თავისი სუნთქვით ათბობდა, თვალი არ მოუცილებია, სანამ ჯულიანამ არ უპასუხა:

– არა. უბრალოდ, ცვლილებებს ძნელად ვეგუები.

«ცოტათი მეშინია შენი, – გაიფიქრა ქალმა, – მეშინია და ამის აღიარებასაც ვერ ვბედავ».

– ფანჯრიდან, – დაიყვირა ჯომ, ხელში აიყვანა და მთელი მისაღები ოთახი გაიარა, – ახლა ფანჯრიდან გავალთ.

– გეხვეწები, – თქვა ქალმა.

– ვხუმრობ. მისმინე, ეს იქნება ჩვენი მარში, რომზე მარშის მსგავსი. უნდა გახსოვდეს. თავად დუჩე მიუძღოდა მათ. მათ შორის იყო ბიძაჩემი კარლო. ჩვენც მოვაწყობთ ჩვენს პატარა მარშს. რასაკვირველია, ის ვერ იქნება ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მასზე ისტორიის წიგნებში დაწერონ, ხომ მართალია? – თავი დახარა და ისეთი ძალით აკოცა, მათი კბილები ერთმანეთს შეეჯახა, – რა მშვენიერი სანახავები ვიქნებით ორივენი ახალ სამოსში. შენ კიდევ ამიხსნი, როგორ უნდა ვილაპარაკო, როგორ მოვიქცე საზოგადოებაში, კარგი? მასწავლი კარგ მანერებს, შევთანხმდით?

– თავი მშვენივრად გიჭირავს, – აღნიშნა ჯულიანამ, – ჩემზე უკეთესადაც კი.

– არა, – მოიღუშა ჯო, – ძალიან ცუდად ვლაპარაკობ. საზიზღარი აქცენტი მაქვს. იქ, კაფეში, ვერ შემატყვე?

– ასე არ ვფიქრობ, – ჯულიანას აქცენტისთვის არც მიუქცევია ყურადღება.

– მარტო ქალებმა იციან, როგორ უნდა ილაპარაკო საზოგადოებაში, – თქვა ჯომ. შებრუნდა და დივანზე დააწვინა, – ქალები რომ არ არსებობდნენ, ჩვენ მხოლოდ ცხენებზე და სპორტულ მანქანებზე ვილაპარაკებდით და უწმაწურ ანეკდოტებს მოვყვებოდით, ცივილიზებულობის ნატამალიც კი არ გვექნებოდა.

«რაღაც უცნაურად იქცევი, – გაიფიქრა ჯულიანამ, – სანამ ამ მოგზაურობას მოიფიქრებდი, დანა პირს არ გიხსნიდა; ახლა კიდევ, ისეთი აცუნდრუკებული ხარ... რა გინდა სინამდვილეში ჩემგან? შეგიძლია დამივიწყო და აქედან აორთქლდე; ასეთი რამ აქამდეც მომხდარა. არ დაგძრახავ, უკვე მივეჩვიე».

– ეს შენი ხელფასია? – ქალმა თავით ჩემოდანზე მიუთითა, – დანაზოგი? – ფული მართლაც ძალიან ბევრი იყო და როგორც ამბობდნენ, აღმოსავლეთში ეტყობა მართლაც დიდი ფული ტრიალებდა, – მანქანების მძღოლები, ვისთანაც მისაუბრია...

– საიდან დაასკვენი, რომ მძღოლი ვარ? – შეაწყვეტინა ჯომ, – მისმინე, ამ რეისებში სულ სხვა რამ მევალება. საქონელს ბანდიტებისგან ვიცავ, მაგრამ ისე უნდა გამოვიყურებოდე, როგორც შემცვლელი მძღოლი, რომელიც კაბინაში ხვრინავს, – სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა, თავი გვერდზე გადააგდო, თვალები მძინარესავით დახუჭა და ხვრინვა ამოუშვა, – გასაგებია?

თავდაპირველად ჯულიანას არაფერი დაუნახავს. მერე მის ხელში უეცრად დანა შენიშნა,

ისეთივე, სამზარეულოში კარტოფილის გასათლელად რომ იყენებდა. «საინტერესოა, საიდან გაჩნდა? სახელოში მალავდა? თუ – ჰაერიდან?»

– ამიტომ მიმიღო ფოლკსვაგენმა. ომში ყოფნა დამეხმარა. თავს ჰასელდენისა და მისი სპეცრაზმელებისგან ვიცავდით, – შავი თვალები აუელვარდა; ჯულიანას ცერად გადახედა, – გამოიცანი, ბოლოს ვინ მოუგრიხა კისერი პოლკოვნიკს. კაიროსთან ბრძოლის შემდეგ რამდენიმე თვე იყო გასული, როდესაც ინგლისელებს ნილოსთან გადავაწყდით – მას და მის «უდაბნოს ჯგუფს»

[69]

. ერთხელ ღამით ბენზინი გაუთავდათ. მე ვიყავი ყარაულად. ჰადელსენი მოგვეპარა, სახე და ხელებიც კი შავი საღებავით ჰქონდა მოთხუპნილი; ის და კიდევ ოთხნი; მაგრამ ამჯერად გრძელი ლასოების გარეშე, მხოლოდ ხელყუმბარები და ავტომატური იარაღი ჰქონდათ. ორივე ძალიან ხმაურიანია. სცადა, ჩემთვის კისერი გადაემტვრია. ვერ მივართვი, – ჯო წამოხტა და სიცილით ჯულიანასკენ გაიქცა, – მიდი, მოემზადე. სპორტდარბაზში დარეკე და უთხარი, რომ რამდენიმე დღით დასასვენებლად მიდიხარ.

მაგრამ ჯოს სიტყვებმა ქალი ვერ დაარწმუნა. «იქნებ, ჩრდილოეთ აფრიკაში სინამდვილეში არც ყოფილა, არც ღერძის სახელმწიფოების

მხარეს უბრძოლია, არც არასოდეს ყოფილა ომში? რომელი ბანდიტები? კანიონ-სიტიში შემომავალი არც ერთი მანქანის მძღოლს არასოდეს უთქვამს, თითქოს აღმოსავლეთ სანაპიროზე მათ მანქანებს ყოფილი ჯარისკაცები აცილებდნენ დაცვის სახით. იქნებ არც აშშ-ში უცხოვრია და თავიდანვე იტყუებოდა; იმისთვის, რომ ცოტათი დამაინტრიგებელი, რომანტიკული გამოჩნდეს?

ან იქნებ გიჟია. სასაცილოა... არაერთხელ მითქვამს, რომ ეს საჭიროა და თავად კი ვერ ვახერხებ, თავის დასაცავად ძიუდო გამოვიყენო; მაგრამ რა უნდა დავიცვა – ჩემი ქალწულობა? ჩემი სიცოცხლე, აი რა. თუმცა ალბათ, ჯიბეგამოხეული ვაპოა, რომელსაც დიდება სწყურია; ახლა ცოტას განიავდება, ფულს დახარჯავს, ნაოცნებარს აისრულებს და მერე ჩვეულ დამყაყებულ ყოფას დაუბრუნდება. ამ ყველაფრისთვის კი ქალი სჭირდება».

– კარგი, – უთხრა ჯოს, – დავრეკავ სპორტდარბაზში.

დერეფნისკენ მიდიოდა, სადაც ტელეფონი იდგა და თან ფიქრობდა: «ძვირად ღირებულ ტანსაცმელს მიყიდის, და მდიდრულ სასტუმროში ვიცხოვრებთ. ყოველი მამაკაცი იმაზე ოცნებობს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაიაროს კარგად ჩაცმული ქალის გვერდით, თუნდაც ამისათვის საკუთარი ფულის დახარჯვა დასჭირდეს. ეტყობა ჯო ჩინანდელასაც ეს ოცნება აქვს. არადა, გამჭრიახია; კარგად გააანალიზა ჩემი პრობლემა – მამაკაცების მეშინია. ამას ფრენკიც მიხვდა. ამიტომაც დავცილდით ერთმანეთს; ახლაც იმიტომ ვგრძნობ თავს ასე ცუდად და არავის ვენდობი».

ტელეფონზე საუბრის შემდეგ ოთახში დაბრუნებულმა დაინახა, რომ ჯო ისევ «კალიას» კითხულობდა. გარშემო ვერაფერს ამჩნევდა.

– მეგონა, რომ გინდოდა წამეკითხა, – თქვა ქალმა.

– იქნებ მაშინ მოახერხო, ვიდრე მე საჭესთან ვიჯდები.

– საჭესთან იჯდები? მაგრამ ეს ჩემი მანქანაა!

ჯოს ხმა არ ამოუღია. ალბათ, კითხვით გართულს, არც გაუგონია.

სალაროს აპარატთან მდგარმა რობერტ ჩილდენმა მაღაზიაში შესულ ტანმაღალ, გამხდარ, მუქთმიან მამაკაცს შეხედა. კაცს ცოტა ხნის წინ მოდიდან გასული კოსტიუმი ეცვა და ხელში დაწნული კალათი ეჭირა. «გამყიდველია. მაგრამ ღიმილის ნაცვლად მოღუშული, პირქუში გამომეტყველება აქვს. უფრო მეტად სანტექნიკოსს ან ელექტრიკოსს ჰგავს», გაიფიქრა რობერტ ჩილდენმა.

მყიდველის კარამდე მიცილების შემდეგ ჩილდენი მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ვისი წარმომადგენელი ბრძანდებით?

– «ედფრენკის საიუველირო ნაკეთობების», – წაიდუდღუნა სტუმარმა. კალათა ერთ-ერთ დახლზე დადო.

– არაფერი მსმენია, – ჩილდენი თვალს არ აცილებდა კაცს, რომელმაც როგორც იქნა მოახერხა და კალათს თავი ახადა.

– ლითონი ხელით არის დამუშავებული. თითოეული ნაკეთობა უნიკალურია. თითბერი, სპილენძი, ვერცხლი. ასევე ცხლად ნაჭედი რკინის ოქსიდი.

ჩილდენმა კალათში ჩაიხედა. ხავერდზე დაწყობილი ლითონის ნაკეთობები სპეციფიკურად ლაპლაპებდა.

– არა, გმადლობ. ეს არ არის ჩემი სპეციალობა.

– ეს ამერიკული ხელნაკეთი ნივთებია. თანამედროვე.

ჩილდენმა თავი გააქნია და უკან, სალაროს აპარტთან დაბრუნდა.

მცირე ხანს გამყიდველი თავის ხავერდგადაკრულ დაფებსა და კალათს დასტრიალებდა; ვერ გადაეწყვიტა, ყველაფერი ამოელაგებინა კალათიდან, თუ რაც ამოალაგა, ის უკან ჩაეწყო; არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გულხელდაკრეფილი ჩილდენი თვალს არ აცილებდა და იმ დღის საქმეებზე ფიქრობდა. ორ საათში კლიენტთან შეხვედრა ჰქონდა, რომლისთვისაც ადრეული ეპოქის თასები უნდა ეჩვენებინა. სამ საათზე უნივერსიტეტის ლაბორატორიიდან ექსპერტიზაზე გაგზავნილი ნივთების მორიგ პარტიას დააბრუნებდნენ. 44-კალიბრიან კოლტთან დაკავშირებული იმ სამწუხარო შემთხვევის შემდეგ, ბოლო ორ კვირაში, უამრავი

ნივთი გაგზავნა ექსპერტიზისთვის.

– ეს ნაკეთობა სპილენძგადაკრული არ არის, – კაცმა ჩილდენს სამაჯური გაუწოდა, – მთლიანად სპილენძისაა.

ჩილდენმა თავი დაუქნია, ხმა არ ამოუღია. სტუმარი ცოტა ხანს იტრიალებდა მაღაზიაში, მერე აკრეფდა თავის ნივთებს და წავიდოდა.

ტელეფონმა დარეკა. ჩილდენმა ყურმილი აიღო. კლიენტმა დარეკა, რომელსაც ძვირად ღირებული ძველებური სარწეველა სავარძლის შეძენა სურდა, ჩილდენი მის რესტავრაციას დაპირდა, მაგრამ საქმე გაჯანჯლდა, ახლა თავის გამართლება უწევდა. ვიტრინიდან უმზერდა მანქანებს ქუჩაში. კლიენტის დამშვიდებას თავის გასამართლებელი გამონაგონით ცდილობდა. როგორც იქნა, მისი დაწყნარება მოახერხა და საუბარი დაასრულა.

«ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს, – გაიფიქრა ყურმილის დადებისას, – ისეთი საეჭვო ნაკეთობის მიღება, როგორიც ის 44-კალიბრიანი კოლტი იყო». ახლა მაღაზიაში გამოფენილ ნივთებს ძველებური მოწიწებით აღარ უმზერდა. ამ სახის ინფორმაცია რაც მეტი იცი, თითქოს შედეგიც სხვანაირია. ეს ბავშვობისდროინდელ გამოფხიზლებას ჰგავს ცხოვრებისეულ ფაქტების წინაშე. «თითქოს არა აშშ-ის ადრეული ისტორია შეიბღალა, არამედ – ჩემი პირადი ცხოვრება. გეგონება, ჩემი დაბადების მოწმობა გააყალბეს. ან ჩემი მოგონება მამაზე.

ან თუნდაც, მაგალითად ფდრ

[70]

ავიღოთ. რაც მის შესახებ გამიგონია, იმის საფუძველზე ჩემში მისი კრებითი ხატება ცხოვრობს. მითს ღრმად აქვს გადგმული ფესვები თავში. ისე როგორც მითი ჰეპლუაიტზე

[71]

. მითი ჩიპენდეილზე

[72]

. ან კიდევ, იმ დანა-ჩანგალზე, რომელსაც აბრაამ ლინკოლნი იყენებდა. ძველებური ვერცხლის დანა, ჩანგალი, კოვზი. არ შემიძლია ნახვა, მაგრამ ფაქტის სახით არსებობს».

უიღბლო გამყიდველი მეზობელ დახლთან დაფათურობდა.

– შეგვიძლია ნაკეთობები შეკვეთით დავამზადოთ. რასაც კლიენტი მოისურვებს. თუ თქვენს რომელიმე კლიენტს საკუთარი იდეა აქვს სამკაულთან დაკავშირებით... – ხრინწიანი ხმის ჩასაწმენდად ჩაახველა, ჩილდენს მიაშტერდა, მერე მზერა ნივთზე გადაიტანა, რომელიც ხელში ეჭირა. აშკარა იყო, აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა. ჩილდენს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ გაიღიმა.

«ეს მე არ მეხება. როგორც უნდა ისე მოახერხოს აქედან გასვლა იმგვარად, რომ ღირსება არ დაკარგოს. თავად იფიქროს, როგორ. რა თქმა უნდა, სრულებით არ არის სასიამოვნო. მაგრამ თავად გადაწყვიტა, საქონელი გაეყიდა. ამ ცხოვრებაში ყველა იტანჯება. აბა შემომხედე. მთელი დღე მისტერ ტაგომის მსგავს იაპონელებთან მიწევს საუბარი, მას კი ცხვირზე წკიპურტით შეუძლია ყველაფერი ჩამიშხამოს».

მერე უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა. «ეტყობა, გამოუცდელია. იქნებ საკომისიოთი რამე ავიღო მისგან? ვინ იცის, რა ხდება».

– ერთი წუთით, – დაუძახა ჩილდენმა სტუმარს.

კაცი სწრაფად შემობრუნდა და დაჟინებით მიაჩერდა.

ჩილდენი მისკენ გულხელდაკრეფილი გაემართა და უთხრა:

– უკვე ნახევარი საათია აქ ხართ. არაფერს გპირდებით, მაგრამ თქვენი ნაკეთობები აქ გაშალეთ, – და დახლზე მიუთითა.

სტუმარმა თავი დაუქნია, სწრაფად გახსნა კალათა და ხავერდგადაკრული დაფების ამოლაგებას შეუდგა.

«ყველაფერს ამოალაგებს, – გაიფიქრა ჩილდენმა, – მომდევნო ერთი საათი იწვალებს. იფორიაქებს, ინერვიულებს. იმედით. ვედრებით. ფარულად თვალს არ მომაცილებს იმის გასაგებად, რაიმემ დამაინტერესა თუ არა. ყველა ერთმანეთს ჰგავს».

– როდესაც დაამთავრებთ, თუ დრო მექნა, დავხედავ.

კაცი გაცხარებული ამუშავდა, თითქოს ზურგზე შოლტი გადაჰკრესო.

ამასობაში მაღაზიაში რამდენიმე კლიენტი შემოვიდა. ჩილდენი მათ მიესალმა. კლიენტებმა დროებით სრულებით გადაავიწყა სტუმარი. გამყიდველმა კი სწორად შეაფასა ვითარება და უკვე სრულად აკონტროლებდა საკუთარი ხელების მოძრაობას; თავადაც დაწყნარდა და თავის რწმენა დაუბრუნდა. ჩილდენმა გაყიდა პარსვისას გამოსაყენებელი ჭიქა, დეტალები შეათანხმა ხელით ნაქსოვი ხალიჩის გაყიდვის თაობაზე და ბე აიღო თავშლისთვის. დრო გავიდა. უკანასკნელმა კლიენტმაც დატოვა მაღაზია. ისევ მხოლოდ ის და გამყიდველი დარჩნენ.

გამყიდველმა ნაკეთობების დახლზე გაშლა დაესრულებინა. ყველაფერი შავხავერდიან ორ დაფაზე ეწყო.

ჩილდენი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა დახლს, თან «ღიმილის ქვეყნის» სიგარეტი გააბოლა. იდგა და ირწეოდა, რაღაცას ღიღინებდა. გამყიდველი დუმდა.

ბოლოს ჩილდენმა ხელი გაიშვირა და გულსაბნევს შეეხო.

– მომწონს.

– კარგი ნაკეთობაა, – სწრაფად უპასუხა გამყიდველმა, – ეს ერთ-ერთი საუკეთესოა. არც ერთი ნაკაწრი არ აქვს. ფერი არ გადავა. მთლიანად სინთეტიკური ლაქითაა დაფარული. მრავალი წელი გაძლებს. ეს საუკეთესო ლაქია, რაც კი წარმოებაში არსებობს.

ჩილდენმა თავი ოდნავ დაუკრა.

– საოქრომჭედლო საქმეში სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა მოვახერხეთ, – განაგრძობდა გამყიდველი, – როგორც ჩემთვის ცნობილია, აქამდე ეს არავის გაუკეთებია. არ არის ჩამოსხმული. ყველა სახეობით ლითონზე ლითონითაა ნამუშევარი. შედუღებით და მირჩილვით. სამაგრი ხელითაა მიმაგრებული.

ჩილდენმა ორი სამაჯური აიღო. მერე გულსაბნევი. მერე კიდევ ერთი. მცირე ხანს ხელში ეჭირა, მერე გვერდით გადადო.

გამყიდველი იმედით უმზერდა.

ჩილდენმა ყელსაბამზე მიმაგრებულ იარლიყზე მიუთითა და თქვა:

– ეს ალბათ...

– ფასია. მაგრამ თქვენ მხოლოდ ორმოცდაათ პროცენტს გადაიხდით. თუ დაახლოებით ასი დოლარის საქონელს აიღებთ, დამატებით კიდევ ორ პროცენტს დავაკლებთ.

ჩილდენმა რამდენიმე ნაკეთობა გვერდზე გადადო. ყოველ გადადებულ ნივთთან ერთად გამყიდველი უფრო და უფრო ფორიაქობდა, უფრო სწრაფად ლაპარაკობდა. ხშირად იმეორებდა ადრე ნათქვამს, ხან კი სრულ სისულელეს ბოდავდა. «ეტყობა ფიქრობს, რომ ყველაფერი რიგზეა», გაიფიქრა ჩილდენმა, რომელიც აუღელვებლად ათვალიერებდა ნაკეთობებს და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს რაიმეს ყიდვას მართლაც აპირებდა.

– ეს განსაკუთრებით კარგია, – წაიდუდღუნა გამყიდველმა, როდესაც ჩილდენმა მოზრდილი გულსაკიდი აიღო და მერე ისიც გვერდზე გადადო, – ჩემი აზრით, ჩვენი საუკეთესო ნამუშევარი აარჩიეთ. ყველაზე უკეთესია, – მერე გაიცინა, – კარგი გემოვნება გაქვთ, სერ, – თვალებს აცეცებდა და გონებაში ჩილდენის გადადებული ნაკეთობების ფასს აჯამებდა.

– უცნობ მომწოდებლებთან მხოლოდ საკომისიოს პირობით ვმუშაობთ.

რამდენიმე წამს გამყიდველს თითქოს არაფერი ესმოდა. დადუმდა, მაგრამ გაოგნებული თვალებით მისჩერებოდა.

ჩილდენმა გაუღიმა.

– საკომისიო, – ამოღერღა ბოლოს გამყიდველმა და მისი ხმა ექოსავით გაისმა.

– არ გინდათ დატოვოთ? – შეეკითხა ჩილდენი.

კაცი, როგორც იქნა, გამოერკვა:

– იმას გულისხმობთ, რომ მე უნდა დავტოვო ნაკეთობები და მოგვიანებით გადამიხდით, როდესაც...

– აღებული თანხის ორ მესამედს მიიღებთ, ოღონდ – როდესაც ნაკეთობები გაიყიდება. ეს თქვენ ხელს გაძლევთ. რასაკვირველია, დრო დასჭირდება, მაგრამ... – ჩილდენმა მხრები აიჩეჩა, – ასე თქვენთვისვეა ხელსაყრელი. შემიძლია რომელიმე შემინული დახლი გამოვყო თქვენი ნაკეთობებისთვის. თუ კარგად გაიყიდა, დაახლოებით ერთ თვეში, შემდეგი შეკვეთა მიიღოთ, მერე კი იქნებ პირდაპირი წესით ვიყიდოთ კიდეც.

ჩილდენმა ახლა გაიაზრა, რომ გამყიდველს კიდევ ერთი საათი დასჭირდებოდა ყველაფრის ჩასალაგებლად. დახლზე ყველაფერი უწესრიგოდ იყო მიმოფანტული. ნამდვილად კიდევ ერთი საათი დასჭირდებოდა ჩალაგებას. ორივე დუმდა. ბოლოს სტუმარი ალაპარაკდა:

– ისინი, გვერდით რაც გადადეთ, – თითქმის ჩურჩულებდა, – ისინი მოგწონთ?

– დიახ. შეგიძლიათ დატოვოთ, – ჩილდენი თავის კაბინეტში გავიდა და იქიდან გამოსძახა, – ქვითარს გამოგიწერთ. გეცოდინებათ, ჩვენთან რომელი ნაკეთობები დარჩა, – ოფისიდან ქვითრების დავთრით ხელში გამოვიდა, – რასაკვირველია გესმით, რომ მაღაზია საკომისიოს წესით მიღებული ნივთების ქურდობის ან დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობას იხსნის.

სათანადო მიმიკით სცადა გამყიდველისთვის ყველაფერი მიეხვედრებინა. მაღაზიაში ჩაბარებული საქონლის ნაწილის დაკარგვა იშვიათობას სრულებით არ წარმოადგენს. როდესაც გამყიდველთან ანგარიშის გასწორების დრო მოდის და რაიმე ადგილზე აღარ აღმოჩნდება, ითვლება, რომ მოიპარეს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე სამკაულს ეხება.

რობერტ ჩილდენისთვის წაგება უცხოა. ის არ გადაუხდის ამ კაცს სამკაულის თანხას, ინვესტიციისთვის თავისუფალი კაპიტალი არ გააჩნია. მას მოგების მიღება სურს და თუ არაფერი გაიყიდა, ადგება და ყველაფერს მყიდველს დაუბრუნებს.

ჩილდენმა ბლანკი შეავსო, რომელშიც დატოვებული ნივთების სია იყო მითითებული. დოკუმენტს ხელი მოაწერა და ასლი გამყიდველს გადასცა.

– შეგიძლიათ ერთ თვეში დამირეკოთ და გაარკვიოთ, საქონელი როგორ იყიდება.

შერჩეული სამკაულები კაბინეტში გაიტანა, ხოლო გამყიდველი დანარჩენი ნაკეთობების ჩალაგებას შეუდგა.

«წინასწარ არავინ იცის, საქმე როგორ მოტრიალდება, – გაიფიქრა ჩილდენმა, – ამიტომ ღირს ცდა».

როდესაც ოფისიდან გაიხედა, დაინახა, რომ გამყიდველი წასასვლელად უკვე მზად იყო. მკლავზე თავისი კალათა ეკიდა და დახლი უკვე დაცარიელებულიყო. გამყიდველი მისკენ წამოვიდა, ხელში რაღაც ეჭირა.

– დიახ? – ჩილდენი მიღებულ ფოსტას ახარისხებდა.

– ჩვენს სავიზიტო ბარათს დაგიტოვებთ, – გამყიდველმა მოძველებული დიზაინის ნაცრისფერ-წითელი ფერის პატარა კვადრატული ბარათი ჩილდენის მაგიდაზე დადო, – «ედ-ფრენკის საიუველირო ნაკეთობები». აქ ჩვენი მისამართი და ტელეფონია მითითებული. როცა დაგჭირდებათ, დაგვიკავშირდით.

ჩილდენმა თავი დაუქნია, გაუღიმა და სამუშაოს მიუბრუნდა.

მომდევნო შესვენებისას თავი ასწია. მაღაზიაში არავინ იყო. გამყიდველი წასულიყო.

ყავის ჩამოსასხმელ აპარატში მონეტა ჩააგდო, ცხელი ყავის ჭიქით ხელში ჩამოჯდა.

«გამიკვირდება, თუ რამე გაიყიდა. ძალიან უჩვეულო ნაკეთობებია. მაგრამ შესანიშნავი ნამუშევარი. ასეთი რამ აქამდე არასოდეს მინახავს, – ერთი გულსაბნევი აიღო და დაკვირვებით დააცქერდა, – განსაცვიფრებელი დიზაინია. ნამდვილად პროფესიონალების ხელი ეტყობა. ფასებს შევცვლი. უფრო მეტს დავაწერ. ხელნაკეთი ნივთების კუთხეში დავდებ, როგორც ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს – ხელით დამზადებულ მომცრო ქანდაკებას: ექსკლუზიური ნივთი თქვენს ლაცკანზე ან მაჯაზე შეგიძლიათ ატაროთ».

და იმავე წამს რობერტ ჩილდენს კიდევ ერთმა აზრმა გაუელვა.

«ასეთი ნივთების ავთენტურობის გარკვევა პრობლემას არ წარმოადგენს. არადა, ადრე თუ გვიან ეს პრობლემა ბოლოს მოუღებს ამერიკული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხელნაკეთი ნივთებით ვაჭრობის ბაზარს. დღეს თუ არა ხვალ, ადრე თუ გვიან, არავინ იცის, მაგრამ აუცილებლად ასე მოხდება.

უკეთესია, თუ მხოლოდ ერთ კალათში არ მოვაგროვებ ყველაფერს. იმ ებრაელი თაღლითის ვიზიტი ცუდის ნიშანია. არაისტორიული ღირებულების ნივთები უნდა შევაგროვო, თანამედროვე ნამუშევრები, რომელთა ისტორიულობის შემოწმება თავში არავის მოუვა, და მაშინ ერთი ნაბიჯით ისევ კონკურენტებზე წინ ვიქნები. გარდა ამისა, ამით მე თვითონ არაფერს ვკარგავ».

სკამის საზურგეს მიაწვა, ჭიქიდან დაგემოვნებით სვამდა ცხელ ყავას და ფიქრობდა.

«ცვლილებების დროა. ამისთვის თავადაც უნდა იყო მზად. წყლიდან ყოველთვის მშრალად ამოსვლა უნდა შეგეძლოს. ადაპტაცია – ეს თვითგადარჩენისთვის აუცილებელი წესია. თვალები გაახილე და ისე შეაფასე შენ გარშემო რა ხდება. ხელიდან ნუ გაუშვებ შესაძლებლობას. იყავი საჭირო დროს საჭირო ადგილზე. როგორც აღმოსავლეთში ამბობენ, იყავი ისეთი, როგორიც ინია. მოციმციმე ინის შავი თვალები».

უეცრად გამაოგნებელი რამ მოიფიქრა.

«ერთდოულად ორ კურდღელს მოვკლავ. ოჰ! – აღელვებული ფეხზე წამოიჭრა, – საუკეთესო სამკაული გულდასმით უნდა შეიფუთოს (რასაკვირველია, ფასის იარლიყი უნდა მოშორდეს). გულსაბნევი, კულონი ან სამაჯური. რაღაც მშვენიერი, უჩვეულო. მერე... – რაკი მაღაზია ორ საათზე უნდა დაკეტოს და შეხვედრაზე წავიდეს – რა მოხდება, კაზუორებთან შეიაროს. მისტერ კაზუორა, პოლი, სამუშაოზე იქნება. მისის კაზუორას, ბეტის რაც შეეხება, ის რასაკვირველია, შინ უნდა იყოს».

მოკრძალებული საჩუქარი, ორიგინალური ამერიკული ხელნაკეთი ხელოვნების ნიმუში. ჩემს კომპლიმენტებს, იმედი მაქვს, სათანადო გამგონი ეყოლება. ასე იქმნება მოდა. განა ეს მშვენიერი არ არის? მაღაზიაში ბევრი ასეთი ნივთი მაქვს. ეს კი თქვენ, ბეტი».

გააჟრჟოლა.

«მხოლოდ ის და მე – ცარიელ ბინაში. ქმარი სამუშაოზეა. ერთმანეთის პირისპირ; არაჩვეულებრივი საბაბით...

სუნთქვა მეკვრის!»

ჩილდენმაA საჩუქრისთვის პატარა ყუთი, შესაფუთი ქაღალდი და ლენტი მოძებნა, მერე მისის კაზუორასთვის სამკაულის შერჩევას შეუდგა. მუქკანიანი, მიმზიდველი ქალი, აბრეშუმის დახვეწილ კიმონოში გამოწყობილი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით. ან იქნებ, დღეს ცისფერი, კულის

[73]

სამოსის სტილის საშინაო სამოსი აცვია, რომელიც ასე ძალიან უყვართ, იმიტომ რომ შინ სატარებლად მოსახერხებელია. ოჰ!

ან იქნებ, ეს მეტისმეტად თამამი ნაბიჯია? ქმარი, პოლი განრისხდება. რაღაც საზიზღრობას მოუწყობს. იქნებ საჩუქარი ქმარს ოფისში მიუტანოს? მასთან შეაქოს. ის კი საჩუქარს ცოლს გადასცემს, საეჭვოც არაფერი იქნება».

ჩილდენი ჩაფიქრდა, მერე დაასკვნა: «ხვალ ან ზეგ ბეტის თავად დავურეკავ და ვკითხავ, საჩუქარი თუ მოეწონა».

არც ეს იქნება საეჭვო!

როდესაც ფრენკ ფრინკმა ტროტუარზე მომავალი თავისი ბიზნესპარტნიორი დაინახა, მიხვდა, საქმე არც ისე კარგად იყო.

– რა მოხდა? – შეეკითხა მანქანასთან მისულ ედს და კალათა ჩამოართვა, – ღმერთო,

საათნახევარი არ ჩანდი. ამდენი ხანი დასჭირდა «არას» სათქმელად?

– «არა» არ უთქვამს, – უპასუხა ედმა. ღონეგამოცლილი ჩანდა. მანქანის კარი გააღო და დაჯდა.

– რა გითხრა? – ფრინკმა კალათს თავი ახადა და მიხვდა, საკმაო რაოდენობის ნაკეთობა აკლდა – საუკეთესოები, – ბევრი აუღია. მაშ რა მოხდა?

– საკომისიოს გადაგვიხდის.

– და დათანხმდი? – ფრინკი ყურებს არ უჯერებდა, – ამაზე ხომ ვილაპარაკეთ და შევთანხმდით?

– არც ვიცი, როგორ მოხდა.

– ღმერთო, – ესღა თქვა ფრინკმა.

– მაპატიე. ისე იქცეოდა, თითქოს მათ ყიდვას აპირებდა. ადგა და გვერდით გადადო. დარწმუნებული ვიყავი, ყიდულობდა.

ორივენი კარგა ხანს ისხდნენ მანქანაში და დუმდნენ.

10

მისტერ ბეინსისთვის ეს საზარელი ორი კვირა იყო. თავისი სასტუმროს ნომრიდან სავაჭრო მისიაში ყოველდღე რეკავდა, რათა მოხუცი ჯენტლმენის შესახებ ეკითხა. მუდამ უარყოფით პასუხს იღებდა. მისტერ ტაგომის ხმა ყოველდღიურად სულ უფრო ფორმალური და ინდიფერენტული ხდებოდა. მისტერ ბეინსი მეთექვსმეტე ზარის განსახორციელებლად ემზადებოდა, როდესაც გაიფიქრა, რომ ადრე თუ გვიან უპასუხებდნენ, მისტერ ტაგომის ადგილზე არ გახლავთო. მისტერ ტაგომი აღარ მიიღებს მის ზარებს. ასე მოხდება.

რა მოხდა? სად არის მისტერ იატაბე?

მხოლოდ ერთ ახსნა ჰქონდა: მარტინ ბორმანის გარდაცვალებამ ტოკიო გააოგნა. მისტერ იატაბე უეჭველია, უკვე სან-ფრანცისკოსკენ მოემგზავრებოდა, მაგრამ ერთი ან ორი დღის შემდეგ სხვა მითითებები მიიღო და უკან, მშობლიურ კუნძულებზე დაბრუნდა კონსულტაციის გასავლელად.

«უიღბლობაა, – გაიფიქრა ბეინსმა, – შესაძლოა ფატალურიც კი».

თავად სან-ფრანცისკოში უნდა დარჩენილიყო. როგორმე საჭირო ადამიანთან შეხვედრის საკითხი მოეგვარებინა. ლუფტჰანზას ბერლინიდან გამოფრენილ რაკეტა-თვითმფრინავს ორმოცდახუთი წუთი დასჭირდა და აჰა, ის უკვე აქ არის. უცნაურ დროში ვცხოვრობთ. შეგიძლია იმოგზაურო სადაც გსურს, სხვა პლანეტაზეც კი. მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ ასე გადიოდეს დღეები, თანდათან კარგავდე შემართებასა და იმედს; დაუსრულებელმა

სევდამ ბოლო მოგიღოს? ამასობაში ისინი, სხვები, გულხელდაკრეფილი, უიმედოდ სასოწარკვეთილნი არ სხედან.

მისტერ ბეინსმა «ნიპონ ტაიმსის» დღის გამოშვება გაშალა და სტატიის სათაური წაიკითხა:

რაიხსკანცლერად

დოქტორი გებელსი აირჩიეს

პარტიის კომიტეტმა უმთავრესი პრობლემა მოულოდნელად გადაჭრა. გადამწყვეტი გამოსვლა რადიოთი. გახარებული ადამიანები ბერლინის ქუჩებში. ოფიციალური განცხადების მოლოდინში. პოლიციის მეთაური ჰაიდრიხის ნაცვლად შესაძლოა გერინგი გახდეს.

მთელი სტატია ხელმეორედ წაიკითხა. მერე გაზეთი გადადო, ყურმილი აიღო და სავაჭრო მისიის ნომერი აკრიფა.

– მისტერ ბეინსი ვარ. შემიძლია მისტერ ტაგომის დაველაპარაკო?

– ერთ წუთს მოითმინეთ, სერ.

კარგა ხანი გავიდა.

– მისტერ ტაგომი გისმენთ.

მისტერ ბეინსმა ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

– მესმის, რომ ეს ვითარება ორივე თავს გვაბეზრებს, სერ...

– აჰ, მისტერ ბეინსი ხართ.

– თქვენი სტუმართმოყვარეობით ბოროტად ვსარგებლობ, თუმცა იმედი მაქვს, დრო მოვა და თავად მიხვდებით, რატომ ველოდები ასე მოუთმენლად მოხუცებულ ჯენტლმენს...

– სამწუხაროდ, ისევ არ ჩამოსულა.

მისტერ ბეინსმა თვალები დახუჭა.

– მეგონა, გუშინდელს შემდეგ...

– ვწუხვარ სერ, – უაღრესად ზრდილობიანი საუბრის მანერა, – მაპატიეთ, მისტერ ბეინს, სასწრაფო საქმეები მაქვს.

– კარგად ბრძანდებოდეთ, სერ.

დღეს მისტერ ტაგომიმ ტელეფონი ისე გათიშა, არც კი დამშვიდობებია. მისტერ ბეინსმა ყურმილი ნელა დადო აპარატზე.

«უნდა ვიმოქმედო. შეუძლებელია ასე გაგრძელდეს».

მას კატეგორიულად ეკრძალებოდა აბვერთან პირდაპირი კონტაქტი. მხოლოდ იაპონიის სამხედრო წარმომადგენლის ჩასვლას უნდა დალოდებოდა, მასთან მოეთათბირებინა და შემდეგ ბერლინში დაბრუნებულიყო. მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ ბორმანის მოულოდნელი გარდაცვალება ვერ გაითვალისწინა. შესაბამისად, ძველი ბრძანებები გაუქმებულია შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს, საკუთარი შეხედულებისამებრ.

ამერიკის წყნარი ოკეანის შტატებში სულ მცირე, აბვერის ათი წარმომადგენელია, მაგრამ ზოგ მათგანს, თუ ყველას არა, შესანიშნავად იცნობს ადგილობრივი უშიშროების სამსახური და მისი რეგიონული მეთაური, კომპეტენტური სენიორ ბრუნო კროიც ფონ მეიერი. ბეინსი ბრუნოს წლების წინ პარტიის რომელიღაც შეკრებაზე შეხვდა. პოლიციაში მასზე ცუდი ხმები დადიოდა: მან ჩაშალა ბრიტანელებისა და ჩეხების ერთობლივი თავდასხმა ჰაიდრიხზე. მაშინ კროიც ფონ მეიერი სწრაფად ადიოდა კარიერის აღმავალ საფეხურებს უშიშროების სამსახურის აპარატში. ის მხოლოდ პოლიციის ბიუროკრატი არ იყო.

სიმართლე ითქვას, ძალიან საშიში ადამიანი გახლდათ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ აბვერი ბერლინში და ტოკოკა ტოკიოში უსაფრთხოების ყველა ზომას მიიღებს, ადგილობრივი უშიშროების სამსახური მაინც შეიტყობს სან-ფრანცისკოში, სავაჭრო მისიაში გამართული მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ. თუმცა აქ ხელისუფლებაში იაპონელები არიან და უშიშროების სამსახურს აშკარად მოქმედება გაუჭირდება. შესაძლოა მას გერმანიის ქვეშევრდომი ანუ მისტერ ბეინსი რაიხის ტერიტორიაზე ჩასვლისთანავე დაეპატიმრებინა, მაგრამ იაპონიის წარმომადგენლის ან მისდამი უხეშ ღონისძიებას, ასევე შეხვედრის ჩაშლას არ შეეცდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, მისტერ ბეინსს ამის იმედი ჰქონდა.

რამდენად შესაძლებელი უშიშროების სამსახურს მოხუცი იაპონელი ჯენტლმენი მოგზაურობის დროს აეყვანა? ტოკიოდან სან-ფრანცისკომდე გრძელი გზაა, განსაკუთრებით ასეთი ხანდაზმულისთვის, რომელსაც ყველაფერთან ერთად, საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის ეშინია.

«პირველი რაც უნდა მოვიმოქმედო, ჩემს ზემდგომებთან გასარკვევია, უკვე ჩამოვიდა თუ არა მისტერ იატაბე. მათ ეცოდინებათ. თუ უშიშროების სამსახურმა ხელში ჩაიგდო ან თუ იაპონიის მთავრობამ უკან გაიწვია – ეს ინფორმაცია ექნებათ.

და თუ მოხუცებული ჯენტლმენი ხელში ჩაიგდეს, ესე იგი მეც მომწვდებიან».

თუმცა მდგომარეობა არც ისეთი უიმედო იყო. მისტერ ბეინსს, რომელსაც სასტუმრო «აბჰირატიდან» ფეხი არ გაუდგამს, ერთმა აზრმა გაუელვა.

«უმჯობესი იქნება, ინფორმაცია მისტერ ტაგომის გავანდო, ვიდრე ბერლინში ხელცარიელი

დავბრუნდე. იმის უმცირესი იმედი მაინც არის, რომ ამ გზით მას საჭირო ადამიანები შეიტყობენ. მაგრამ მისტერ ტაგომიმ შეიძლება მხოლოდ მოისმინოს, მერე გადაუდებელი საქმეებიდან გამომდინარე საჭიროების მომიზეზებით უკან, მშობლიურ კუნძულებზე დაბრუნდეს და იმას გადასცეს, ვისაც საჭიროა. მისტერ იატაბეს კი სხვა პოლიტიკური წონა აქვს. მას მოსმენაც შეუძლია და საუბარიც».

ეს სულ არაფერს ნამდვილად ჯობდა. ცოტა დრო დარჩა. ყველაფერი თავიდან იქნება დასაწყები, მოთმინებით უნდა მოიძებნოს საჭირო ხალხი გერმანიაში, რათა ისინი საჭირო ადამიანებს შეხვდნენ იაპონიაში.

«როგორ გაოცდება მისტერ ტაგომი, – გესლიანად გაიფიქრა მისტერ ბეინსმა, – როდესაც გაიგებს, რა ტვირთი დააწვა. ამას არაფერი აქვს საერთო წნევის ქვეშ ჩამოსხმის ტექნოლოგიასთან.

გამორიცხული არ არის პირველი შოკი. ალბათ თავის რომელიმე თანამშრომელს გაანდობს ინფორმაციას, ან არ შეიმჩნევს, რომ ეს მასაც ეხება. უბრალოდ, არ დამიჯერებს. როგორც კი საუბარს დავიწყებ, ადგება, თავს დამიკრავს და წავა.

წინდაუხედაობაა. შეიძლება ასე შეაფასოს. არ არის ვალდებული ასეთი საკითხები გადაწყვიტოს.

ეს ძალიან ადვილი გამოსავალია, – გაიფიქრა ბეინსმა, – წარმოუდგენელია, ასე მოვიქცე.

მაგრამ ეს უარიც კი საბოლოო ჯამში მისტერ ტაგომისთვის გამოსავალი არ იქნება. ერთმანეთისგან დიდად არ განვსხვავდებით. შეუძლია რასაც ვეტყვი, არ მოისმინოს, ჩემი სიტყვები არად ჩააგდოს. მაგრამ მხოლოდ დროა საჭირო. მოგვიანებით სიტყვები მხოლოდ სიტყვებად აღარ დარჩება. ეს კი აუცილებლად მოხდება. აი, რა უნდა შევაგნებინო მას».

მისტერ ბეინსი ნომრიდან გავიდა და ლიფტით ვესტიბიულში ჩავიდა. შვეიცარმა ველოტაქსი გამოიძახა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩინელ მძღოლს სატერფულების ენერგიული ტრიალით უკვე მარკეტ-სტრიტისკენ მიჰყავდა.

– აქ გააჩერეთ, – დაუძახა ბეინსმა ნაცნობი აბრის დანახვისთანავე.

ველოტაქსი სახანძრო წყალსაქაჩთან გაჩერდა. მისტერ ბეინსმა მგზავრობის საფასური გადაიხადა. უკან ადევნებული ვერავინ შენიშნა. ქუჩას ფეხით გაუყვა. რამდენიმე მაღაზიას ჩაუარა და უზარმაზარ სუპერმარკეტ «ფუგაში» შეაბიჯა.

იქაურობა მყიდველებით იყო სავსე. დახლს დახლი ცვლიდა. გამყიდველი გოგონები, ძირითადად თეთრკანიანები, იაპონელი დეპარტამენტების ხელმძღვანელების მეთვალყურეობით მუშობდნენ. სავაჭრო ცენტრში აუტანელი ხმაური იყო.

მცირეხნიანი დაბნეულობის შემდეგ მისტერ ბეინსმა მამაკაცის ტანსაცმლის განყოფილება დაინახა. შარვლების საკიდთან შეჩერდა და მათ თვალიერებას შეუდგა. ახალგაზრდა

თეთრკანიანი გამყიდველი გამოეგება.

– გუშინ თქვენთან მუქი ყავისფერი შალის ფართო შარვალი ვნახე, – გამყიდველს თვალი თვალში გაუყარა ბეინსმა, – სხვა გამყიდველს ველაპარაკე. თქვენზე მაღალია. ჟღალი ულვაში აქვს. გამხდარია. პიჯაკზე სახელი ეწერა – ლარი.

– წასახემსებლად არის გასული, მალე დაბრუნდება, – უპასუხა გამყიდველმა.

– ტანსაცმლის გასასინჯ ოთახში შევალ, – მისტერ ბეინსმა ერთ-ერთ შარვალს ხელი წამოავლო.

– რასაკვირველია, სერ, – გამყიდველმა თავისუფალ კაბინაზე მიუთითა და სხვა კლიენტს მიუბრუნდა.

მისტერ ბეინსი კაბინაში შევიდა და კარი მიხურა. ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა და დაელოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარზე დააკაკუნეს. კაბინის კარი გაიღო და ტანდაბალი შუახნის იაპონელი შევიდა.

– უცხოელი ხართ, სერ? – შეეკითხა იაპონელი მისტერ ბეინსს, – შემიძლია თქვენი გადახდისუნარიანობა შევამოწმო? თუ შეიძლება, თქვენი პირადობა მაჩვენეთ, – იაპონელმა კარი მოხურა.

მისტერ ბეინსმა საფულე გაუწოდა. იაპონელი ჩამოჯდა, საფულე გახსნა და შიგთავსის დათვალიერებას შეუდგა. გოგონას ფოტოსურათი შენიშნა და თქვა:

– ძალიან ლამაზია.

– ჩემი ქალიშვილია, მართა.

– მეც მყავს ქალიშვილი, მასაც მართა ჰქვია, – უპასუხა იაპონელმა, – ახლა ჩიკაგოს უნივერსიტეტში ფორტეპიანოს ეუფლება.

– ჩემი ქალიშვილი კი სადაცაა გათხოვდება, – თქვა მისტერ ბეინსმა.

იაპონელმა საფულე დაუბრუნა და მომლოდინედ მიაჩერდა.

– ორი კვირაა აქ ვარ და მისტერ იატაბე ჯერ არ გამოჩენილა. უნდა ვიცოდე, ჩამოვიდა თუ არა. თუ არ ჩამოვა, როგორ მოვიქცე?

– ხვალ ნაშუადღევს მოდით, – თქვა იაპონელმა და წამოდგა. მისტერ ბეინსიც ადგა, – ნახვამდის.

– ნახვამდის, – უპასუხა მისტერ ბეინსმა. კაბინიდან გავიდა, შარვალი საკიდზე დააბრუნა და სავაჭრო ცენტრიდან გავიდა.

«დიდი ხანი არ დასჭირვებია, – გაიფიქრა, ვიდრე ცენტრალურ ქუჩაზე გამვლელებს უქცევდა გვერდს, – ნუთუ მართლა შეუძლია ინფორმაციის გადაცემა? ბერლინთან კონტაქტი, ჩემი შეკითხვის გაგზავნა, კოდირება, მერე მიღებული პასუხის გაშიფვრა – ყველა სათანადო საფეხურის გავლა?

როგორც ეტყობა, ასეა.

კარგი იქნებოდა, ამ აგენტს ადრე დავკავშირებოდი. თავიდან ავიცილებდი ამდენ ნერვიულობას და წუხილს. როგორც ეტყობა, სარისკოც არ უნდა იყოს. ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა. სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი წუთი დამჭირდა».

მისტერ ბეინსი ნელა მიაბიჯებდა და მაღაზიების ვიტრინებს ათვალიერებდა. თავს ახლა უკეთ გრძნობდა. ერთ-ერთ ვიტრინასთან შეჩერდა და ბუზებით დაფარულ ძველისძველ კაბარეს მოცეკვევათა სურათებს მიაცქერდა. გაართო ხელბურთის ბურთებივით ჩამოკონწიალებული ძუძუების მქონე სანახევროდ შიშველი ქალების ფოტოების თვალიერებამ. მის გვერდით გამვლელები მარკეტ-სტრიტზე თავიანთ საქმეებზე მიიჩქაროდნენ.

როგორც იქნა, რაღაც მოახერხა.

შვება იგრძნო!

მანქანის კარს მოხერხებულად მიყრდნობილი ჯულიანა კითხულობდა. მის გვერდით, ფანჯრიდან იდაყვგადაყოფილ ჯოს მანქანა ცალი ხელით მიჰყავდა, პირში სიგარეტი ედო; კარგი მძღოლი იყო და კანიონ-სიტის საკმაო მანძილით დაშორდნენ.

მანქანის რადიო სენტიმენტალურ, ლუდხანების შესაფერის ფოლკს გადმოსცემდა; რომელიღაც ბენდი აკორდეონზე პოლკებსა და შოტლანდიურ სიმღერებს ასრულებდა.

– უგემოვნო სიმღერაა, – თქვა ჯომ, როდესაც მუსიკა დასრულდა, – მისმინე, მუსიკაში ცოტა რამ გამეგება. გეტყვი, ვინ იყო ყველაზე დიდი დირიჟორი. ალბათ არც გაგიგონია მისი სახელი – არტურო ტოსკანინი.

– არა, – ქალს წიგნისთვის თვალი არ მოუცილებია.

– იტალიელი იყო, მაგრამ ნაცისტებმა ომის შემდეგ დირიჟორობის უფლება აღარ მისცეს მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო. უკვე გარდაიცვალა. ფონ კარაიანს რაც შეეხება, ნიუ-იორკის ფილარმონიის შეუცვლელ დირიჟორს, არ მომწონს. მის კონცერტებზე მთელ სამუშაო დასახლებებში მცხოვრებლებს ერთად გვატარებდნენ ხოლმე. როგორც ყველა იტალიელს რომელი კომპოზიტორი მომწონს, შეგიძლია ადგილად გამოიცნო, – თვალით წიგნზე ანიშნა და შეეკითხა: – როგორია?

– გაგიტაცებს.

– ვერდი და პუჩინი მიყვარს. ნიუ-იორკში კიდევ მძიმე, მანერულ ვაგნერსა და ორფს გვასმენინებდნენ, და კიდევ, ყოველ კვირა ამერიკის ნაციონალისტური პარტიის მოწყობილ სპექტაკლებზე დავდიოდით მედისონ-სკვერ-გარდენში. ეს იყო სპექტაკლები დროშებით, დაფდაფებით, საყვირებით, ჩირაღდნებით მსვლელობით. გოთიკური ტომების ისტორია ან სხვა, საგანმანათლებლოდ წოდებული თემებით, რაღაცას ყვებოდნენ და მღეროდნენ და ამ ყველაფერს «ხელოვნება» ერქვა. ომამდე ნიუ-იორკში თუ ყოფილხარ?

– ჰო, – ჯულიანა კითხვის გაგრძელებას ცდილობდა.

– მართალია, რომ მაშინ კარგი თეატრი ჰქონდათ? ასე გამიგია. ახლა თეატრიდან და კინემატოგრაფიდან აღარაფერი დარჩა. ყველაფერი ბერლინური კარტელის ხელშია. იმ ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ბერლინში გავატარე, არც ახალი სპექტაკლი მინახავს, არ ფილმი...

– კითხვა დამაცადე, – უთხრა ჯულიანამ.

– წიგნის ბიზნესშიც იგივე მდგომარეობაა, – განაგრძო ჯომ, – ყველაფერს მიუნხენის კარტელი განაგებს, ნიუ-იორკში მხოლოდ სტამბა დარჩა; არადა ომამდე ნიუ-იორკი მსოფლიო საგამომცემლო ინდუსტრიის ცენტრს წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

ჯულიანამ ყურები თითებით დაიცო, მთელი ყურადღება გადაშლილ გვერდს მიაპყრო. «კალიაში» უკვე იმ ადგილზე იყო მისული, სადაც სახელგანთქმულ ტელევიზიაზეა საუბარი, რამაც ძალიან დააინტერესა, განსაკუთრებით აფრიკასა და აზიაში ღარიბებისთვის დაბალფასიანი ტელევიზორების დარიგებამ.

«...მხოლოდ დეტროიტში, ჩიკაგოსა და კლივლენდში – ჯადოსნური სახელები – აწყობილი ამერიკული ტექნოლოგიისა და კონვეიერული წარმოების წყალობით შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთის ყველა სოფელში სულ რაღაც ერთ დოლარად (ჩინური დოლარი, სავაჭრო დოლარი) ღირებული ტელევიზორების მიწოდების ორგანიზება. და სადღაც სოფელში, მოუსვენარი გონების მქონე გამხდარი ყმაწვილი, რომელსაც ბედმა გაუღიმა და სულგრძელი ამერიკელების დახმარებით ხელში ჩაიგდო მიმღები, რომელ გადაცემას უყურებდა? ეკრანთან შეკრებილი სოფლის ახალგაზრდები და ასაკოვნებიც, რას უყურებდნენ? უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სიტყვები. მითითებები. ანბანისა და წერა-კითხვის შესწავლა. შემდეგ სხვა დანარჩენი. როგორ ამოთხარონ უფრო ღრმა ჭა. როგორ გაწმინდონ წყალი, რომ სასმელად ვარგისი გახდეს. როგორ მოუარონ ავადმყოფს. მათ თავზე ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი ტრიალებდა, სიგნალსა და ცოდნას გადასცემდა ყველგან... აღმოსავლეთის მომლოდინე, სწავლასმოწყურებულ ხალხებს».

– ყველაფერს კითხულობ თუ ადგილ-ადგილ?

– შესანიშნავია – ჩვენ გავუგზავნეთ საკვები და გადავეცით ცოდნა აზიაში მილიონობით ადამიანს.

– ქველმოქმედება მსოფლიო მასშტაბით, – უპასუხა ჯომ.

– ჰო. ტაგუელის ახალი გარიგება; მასების ცხოვრების დონის გაუმჯობესება – მომისმინე, – მერე ჯულიანამ ხმამაღლა წაიკითხა:

«...რა იყო აქამდე ჩინეთი? ღატაკი, წინააღმდეგობებით გატანჯული ქვეყანა, რომელიც სევდიანად შესცქეროდა დასავლეთს, მათმა დიდმა დემოკრატმა პრეზიდენტმა, ჩან კაიშიმ

[74]

, რომელიც ომის წლებში თავისი ხალხის სათავეში იყო, მშვიდობის დამყარების შემდეგ რეკონსტრუქციის დეკადა გამოაცხადა. მაგრამ ჩინეთში რაიმეს რეკონსტრუქცია ზებუნებრივის სფეროს უფრო განეკუთვნებოდა, რადგან ამ ვაკე ქვეყანაში არასოდეს არაფერი აშენებულა, მას შენებაზე მეტად საუკუნოვანი ძილისგან გამოღვიძება ესაჭიროებოდა, თანამედროვე სამყაროში ჩართვა თავისი რაკეტა-თვითმფრინავებითა და ატომური ენერგიით, ავტობანებით, ფაბრიკა-ქარხნებითა და ფარმაცევტული წარმოებით. მაგრამ ასეთი გიგანტის გასაღვიძებლად მეხის გრგვინვა საიდან უნდა გაისმას? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჩანს შეეძლო ჯერ კიდევ იაპონელებთან ომის დროს: რასაკვირველია, აშშ-იდან. და აი, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩინეთის თითქმის ყველა პროვინციაში შეხვდებოდით ამერიკელ ტექნიკოსებსა და ინჟინრებს, მასწავლებლებს, ექიმებს, აგრონომებს, რომლებსაც ახალი სიცოცხლე შეჰქონდათ...»

– იცი, რა გააკეთა? – შეაწყვეტინა ჯომ, – ნაციზმიდან აიღო ყველაფერი საუკეთესო, სოციალური ნაწილი, ტოდტის ორგანიზაცია და ეკონომიკური წინსვლა ისე, როგორც შპეერს ჰქონდა ჩაფიქრებული, და რა დარქვა ამ ყველაფერს? ახალი კურსი. უარი თქვა ყველაფერ ცუდზე, რაც ნაცისტებს ჰქონდათ, რასობრივ ჟლეტასა და სეგრეგაციაზე. ეს ხომ უტოპიაა! შენ გგონია, მოკავშირეებს რომ გაემარჯვათ, ახალი კურსი ეკონომიკის გამოცოცხლებას და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას მართლა შეძლებდა? ჰოდა მე გეტყვი, სულაც არა; სახელმწიფო სინდიკალიზმის თავისებურ ფორმაზე საუბრობდა, კორპორატიულ სახელმწიფოზე, ის, რაც დუჩემ უკვე განახორციელა. რომ გაგვემარჯვა, მსოფლიოში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა, არადა...

– კითხვა დამაცადე, – ვეღარ მოითმინა ჯულიანამ.

ჯომ მხრები აიჩეჩა, თუმცა ხმა აღარ ამოუღია. ჯულიანამ კიდევ ერთხელ მდუმარედ გადაიკითხა ტექსტი და შემდეგ გააგრძელა.

«...ჩინეთის უზარმაზარი, მილიონობით მომხმარებლის მქონე ბაზრის დასაკმაყოფილებლად დეტროიტისა და ჩიკაგოს ქარხნები დღისითა და ღამით შეუსვენებლად მუშაობდნენ. მაგრამ ესეც არ კმაროდა. ასობით წლის განმავლობაში ჩინეთის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ

საკმარისი სატვირთო მანქანები, აგური, ფოლადის სხმულები, ტანსაცმელი, საბეჭდი მანქანები, დაკონსერვებული ბარდა ლითონის ქილებში, საათები, რადიოები, ცხვირის წვეთები სურდოს საწინააღმდეგოდ. 1960 წლისათვის ამერიკული მუშის ცხოვრების დონე მსოფლიოში უმაღლესი იყო და ეს შესაძლებელი გახდა იმ რეპუტაციის წყალობით, რომელიც «ყველაზე იღბლიან ქვეყნად» წოდებულმა აშშ-მ აღმოსავლეთთან ვაჭრობის საფუძველზე მოიპოვა. აშშ-მ იაპონიიდან ჯარები გაიყვანა, ხოლო ჩინეთი არასოდეს დაუპყრია, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩებოდა: კანტონში, ტოკიოსა და შანხაიში ყველაფერს ამერიკელებისგან ყიდულობდნენ და არა ბრიტანელებისგან. და ყოველი სავაჭრო გარიგების შედეგად მუშა ბალტიმორიდან, ლოს-ანჯელესიდან ან ატლანტიდან უფრო მეტად მდიდრდებოდა. როგორც ჩანს იმ დამგეგმავებმა, თეთრი სახლიდან, თავის მიზანს თითქმის მიაღწიეს. სულ მალე კოსმოსში რაკეტები გაიჭრებიან და ბოლო მოეღება წარსულის გადმონაშთებს: შიმშილს, ავადმყოფობებს, ომს, უმეცრებას. ბრიტანეთის იმპერია ცდილობს არ ჩამორჩეს, სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს უწყობს ხელს ინდოეთში, ბირმაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში. რურის, მანჩესტერის, საარის ფაბრიკა-ქარხნები, ბაქოს ნავთობსარეწები – ყველაფერი ეფექტური ჰარმონიულობით მუშაობს; ევროპის ხალხები დატკბებიან...

– ჩემი აზრით, ისინი ჩვენზე უკეთესი მმართველები იქნებოდნენ, – ჩაილაპარაკა ჯულიანამ, – ყოველთვის ყველაფერი უკეთ გამოსდიოდათ. ბრიტანელებზე ვამბობ.

მისდა გასაკვირად, ჯოს არაფერი უთქვამს. ჯულიანა წიგნს მიუბრუნდა.

«...ნაპოლეონისეული ხედვის რეალიზაცია: რომის დაცემის შემდეგ ევროპაში ერთმანეთს დაპირისპირებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის რაციონალური ჰომოგენიურობის მიღწევა. ასევე კარლოს დიდის

[75]

შეხედულების განხორციელება გაერთიანებული ქრისტიანული ხალხები, სრული მშვიდობა არა მხოლოდ მათ შორის, არამედ მთელ მსოფლიოში. და მაინც, ისევ რჩება მოუშუშებელი ჭრილობა.

სინგაპური.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ სახელმწიფოში მრავალი ჩინელი ცხოვრობს. ისინი ძირითადად ბიზნესმენები არიან და ეს გონიერი მეწარმეები ხედავენ, ჩინეთის ამერიკული ადმინისტრაცია უფრო სამართლიანად რომ ექცევა ეგრეთ წოდებულ «ადგილობრივებს». ბრიტანელების ხელისუფლების პირობებში კი ფერადკანიანებისთვის დახურულია სახელმწიფო კლუბები, სასტუმროები, საუკეთესო რესტორნები; ძველი დროების მსგავსად, მათთვის გამოყოფილია სპეციალური ადგილები მატარებლებსა და ავტობუსებში – და რაც შესაძლოა ყველაზე უარესია – არ აქვთ საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. საუბრებიდან და გაზეთებიდან ეს «ადგილობრივები» იგებენ, რომ აშშ-ში კანის ფერის პრობლემა 1950 წლისთვის უკვე გადაიჭრა. თეთკანიანები და შავკანიანები, ქვეყნის

სამხრეთშიც კი, გვერდიგვერდ ცხოვრობენ და თანაბარ პირობებში მუშაობენ. მეორე მსოფლიო ომმა ბოლო მოუღო დისკრიმინაციას...»

– არეულობა მერე დაიწყო? – შეეკითხა ჯულიანა.

ჯომ რაღაც წაიბურტყუნა, გზისთვის თვალი არ მოუცილებია.

– მომიყევი, მერე რა ხდება. ბოლომდე წაკითხვას ვერ მოვასწრებ, მალე დენვერში ვიქნებით. ამერიკა და ბრიტანეთი ერთმანეთს დაეჯახა და გამარჯვებული მთელ მსოფლიოზე გაბატონდა?

– რაღაც თვალსაზრისით, ცუდი წიგნი სრულებით არ არის. ყველა დეტალი გულდასმითაა დამუშავებული; აშშ-მ წყნარი ოკეანე ჩაიგდო ხელში, რაც ჩვენს აღმოსავლეთ აზიურ კეთილდღეობის სფეროს ჰგავს. რუსეთი გაიყვეს. ამან დაახლოებით ათი წელი იმუშავა. მერე რასაკვირველია, არეულობა დაიწყო.

– «რასაკვირველია» რატომ?

– ადამიანის ბუნებაა ასეთი, – უპასუხა ჯომ, – სახელმწიფოების ბუნება. ეჭვიანობა, შიში, სიხარბე. ჩერჩილის აზრით, ჩან კაიშის წყალობით ამერიკელების მომხრე ჩინელების მეშვეობით აშშ ბრიტანეთის ხელისუფლებას უთხრის ძირს სამხრეთ აზიაში, – ქალს თვალი შეავლო, – აქა-იქ იქმნება იზოლატორები პროფილაქტიკის მიზნით, სხვა სიტყვებით, საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც არაკეთილსაიმედო ჩინელებს ამწყვდევენ. მათ ბრალად ედებათ საბოტაჟი და პროპაგანდა მტრის სასარგებლოდ. ჩერჩილი...

– ჩერჩილი ისევ ხელისუფლებაშია? ის ხომ უკვე ოთხმოცდაათი წლის უნდა იყოს?!

– ბრიტანეთის მმართველობის სისტემამ ამერიკულს აჯობა: აშშ-ში ყოველ რვა წელიწადში ლიდერებს პანღურით აგდებენ, მაშინ როცა ჩერჩილი კვლავ ბრიტანეთის ხელისუფლებაშია. ტაგუელის სადარი მმართველი აშშ-ს აღარ ჰყავს – მას არარაობები ცვლიან... ხოლო ამას, რაც ასაკი ემატება, მით უფრო დესპოტური და აუტანელი ხდება – ჩერჩილზე ვამბობ. 1960 წლისათვის ნამდვილი აღმოსავლელი მმართველია – სიტყვას ვერ შეუბრუნებ. ოც წელზე მეტია ხელისუფლებას ინარჩუნებს.

– ღმერთო, – თქვა ჯულიანამ და წიგნი ბოლოსკენ გადაშალა, რათა ჯოს ნათქვამი შეემოწმებინა.

– ერთ საკითხში კი ვეთანხმები, – განაგრძო ჯომ, – ჩერჩილი ომის დროს ბრიტანეთს კარგად უძღვებოდა; ბრიტანელებს რომ მისთვის

თანამდებობის დატოვება ეიძულებინათ, ბევრს დაკარგავდნენ. დაიხსომე, რასაც ვამბობ: შეუძლებელია სახელმწიფო მის მმართველზე უკეთესი იყოს. Führerprinzip – ლიდერობის პრინციპია, როგორ ნაცისტები ამბობდნენ და მართლებიც იყვნენ. ეს აბენდსენმაც კი აღიარა. რასაკვირველია, ომში გამარჯვების შემდეგ აშშ-მ თავისი ეკონომიკური ბატონობა განავრცო –

მან ხომ იაპონელებს აზიის უზარმაზარი ბაზარი წაართვა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი; აშშ-ს არ გააჩნია სულიერი საყრდენი. ისევე როგორც ბრიტანეთს. ორივე მდიდრებისგან მართულ პლუტოკრატიას წარმოადგენს. გამარჯვებული პლუტოკრატები მხოლოდ ფულის შოვნაზე ფიქრობენ. აბენდსენი ცდება: მათ არ სჭირდებათ სოციალური რეფორმები, საყოველთაო კეთილდღეობის გაუმჯობესება – ანგლო-საქსური პლუტოკრატები არასოდეს დაუშვებდნენ ამას.

ჯულიანამ გაიფიქრა, რომ ჯო ნამდვილი ფაშისტივით ლაპარაკობდა.

ეტყობა, მისი სახის გამომეტყველებით ჯო მიხვდა, რაც გაიფიქრა, ამიტომ მანქანა დაამუხრუჭა, სანახევროდ ქალისკენ შებრუნდა, ცალი თვალით მას უყურებდა, მეორით – გზას და უთხრა:

– მისმინე, ინტელექტუალი არ ვარ. ფაშიზმს ინტელექტუალები არ სჭირდება. მათთვის უმთავრესი საქმეა. თეორია პრაქტიკიდან გამომდინარეობს. ჩვენი კორპორატიული სახელმწიფო აზროვნების სფეროდან მხოლოდ ერთ რამეს გვთხოვს: გვესმოდეს, რა არის ისტორიის მამოძრავებელი ძალები. გასაგებია? რასაც გეუბნები, დანამდვილებით ვიცი, ჯულიანა, – სერიოზული, ლამის მუდარით აღსავსე ხმა ჰქონდა, – ეს ძველი ფულიანი ძირგამომპალი იმპერიები, ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ, თუმცა ეს უკანასკნელი არა ნამდვილი იმპერია, არამედ უფრო გაუმაძღარი მხეცია, მხოლოდ ფულზე ფიქრობენ. მათ არ ჰქონიათ სული, შესაბამისად, არც მომავალი. ისინი ვერ იარსებებენ. ნაცისტები კი თავზეხელაღებულთა ბანდაა; ვაღიარებ. მეთანხმები? მართალს ვამბობ?

ქალმა გაიღიმა, თავი ვერ შეიკავა მისი იტალიური ჟესტების შემხედვარემ, როდესაც ერთდროულად მანქანის მართვას და ლაპარაკს ცდილობდა.

– აბენდსენი ისე ლაპარაკობს, თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, აშშ გაიმარჯვებს ომში თუ ბრიტანეთი. სისულელეა! ისტორიისთვის ეს ყველაფერი სულერთია. ექვსი იქნება გამარჯვებული თუ თორმეტი – რა შეიცვლება? ოდესმე თუ წაგიკითხავს დუჩეს ნაწერები? შთამაგონებელია. ლამაზი მამაკაცი. ლამაზი ნაწერი. ყველა მოვლენას ძირისძირობამდე ხსნის. ომის ნამდვილი მიზეზი ეს იყო: ძველისა და ახლის დაპირისპირება. ფული – აი, რატომ ჩართეს ნაცისტებმა ამ საქმეში ებრაელების საკითხი – მასობრივი შეგნების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ისინი თემურს – Gemeinschaft

[76]

– უწოდებენ. საბჭოელების მსგავსად. კომუნა. ხომ ასეა? ოღონდ კომუნისტებმა საერთოსლავური იმპერიის იდეა პეტრე დიდს

[77]

მოპარეს და სინამდვილეში მას აშენებდნენ, ოღონდ სოციალური რეფორმებით ნიღბავდნენ იმპერიულ ამბიციებს.

«ზუსტად ისე ლაპარაკობს, როგორც მუსოლინი», გაიფიქრა ჯულიანამ.

– ნაცისტების მოწყობილი ჟლეტა, რასაკვირველია, ტრაგედიაა, – ჯომ სატვირთო მანქანას გაასწრო, – მაგრამ დამარცხებულმა ხომ დამარცხების საფასური უნდა გადაიხადოს. ყოველთვის ასე იყო. საფრანგეთის რევოლუცია გაიხსენე. ან თუნდაც, კრომველისა

[78]

და მერე ირლანდიის ომები

[79]

. გერმანულ ბუნებას დიდი დოზით ახასიათებს ფილოსოფიურობა, და ალბათ, თეატრალურობაც. ეს გაუთავებელი მიტინგები. ნამდვილი ფაშისტი არასოდეს ლაყბობს, ის მოქმედებს – როგორც მე. მართალს ვამბობ?

– ღმერთო, რამდენს ლაქლაქებ, – გაეცინა ჯულიანას.

– ფაშისტური თეორია მოქმედებაში როგორია, იმას გიხსნი! – უყვირა ჯომ.

ქალს პასუხი არ გაუცია; ყველაფერი ეს ძალიან ართობდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

კაცს კი ეტყობოდა, ყველაფერს მეტისმეტი სერიოზულობით ეკიდებოდა; გაბრაზებულმა შეხედა; მრისხანებისგან სახე აჭარხლებოდა. შუბლზე ძარღვები დაებერა, მთელი სხეულით კანკალებდა. თავის თმებს ჩააფრინდა და განრისხებულმა გადახედა ჯულიანას.

– ნუ მიბრაზდები, – უთხრა ქალმა.

ერთ წამს მოეჩვენა, რომ სილის გარტყმას აპირებდა, ხელი ასწია კიდეც... მაგრამ გონს მოვიდა, შეიგინა და რადიო ჩართო.

გზა გააგრძელეს. რადიოდან საესტრადო მუსიკა ისმოდა. ქალი ისევ წიგნს ჩაუღრმავდა.

– მართალს ამბობდი, – თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ ჯომ.

– რას გულისხმობ?

– იმპერიების დამხობას. სათავეში ჯამბაზის ყოფნას. არ არის გასაკვირი, რომ ომის შემდეგ პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩით.

ქალმა მკლავზე დაადო ხელი.

– ჯულიანა, ეს ყველაფერი სიბნელეა. არც ჭეშმარიტება არსებობს და არც სამართლიანობა. ხომ ასეა?

– შეიძლება, – უგულისყუროდ უპასუხა ქალმა. კითხვას აგრძელებდა.

– ბრიტანელები იმარჯვებენ, – ჯომ თვალით წიგნზე ანიშნა, – ნუ ნერვიულობ, მოგიყვები. აშშ კოლონიების ნაწილს კარგავს, ბრიტანეთი კი ყველაფერს იტაცებს, ფართოვდება, ინიციატივას არ თმობს. ასეა ბოლომდე, შეგიძლია აღარ წაიკითხო.

– იმედი მაქვს, დენვერში გავერთობით, – ჯულიანამ წიგნი დახურა, – დასვენება გჭირდება.

«შენც თუ არ დაისვენე, მილიონობით ნაწილაკად გასკდები ძველ ზამბარასავით. მერე მე რა მეშველება? უკან როგორღა დავბრუნდე? იქნებ, სულაც მიგატოვო?

დროის კარგად გატარება მსურს, როგორც დამპირდი. არ მინდა იმედგაცრუებული დავრჩე. ჩემს ცხოვრებაში მრავალი ასეთი შემთხვევა ყოფილა – ბევრ ადამიანთან დაკავშირებით».

– გავერთობით, – უთხრა ჯომ, – მისმინე, – სახეზე გამომცდელად დააცქერდა, – გეტყობა, «კალია» ძალიან მოგეწონა. შენი აზრით, ისეთი ადამიანი, რომელიც ბესტსელერს წერს, აბენდსენის მსგავსი, წერილებს თუ იღებს მკითხველებისგან? დარწმუნებული ვარ, ტონობით წერილი მიიღო. ან იქნებ, მასთან შესახვედრად ჩადიან კიდევაც.

ქალი ყველაფერს მიხვდა.

– ჯო, იქამდე სულ ორასიოდე მილია!

კაცს თვალები გაუბრწყინდა; ბედნიერი ღიმილით მიაჩერდა, გაღიზიანება ერთი ხელის მოსმით გაუქრა.

– შეგვიძლია! – განაგრძო ქალმა, – მანქანას კარგად მართავ – რა უნდა მაგ მანძილის გავლას?!

– არა მგონია სახელგანთქმული ადამიანები ასე იოლად იღებდნენ სტუმრებს. განსაკუთრებით, თუ ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავთ, – ნელა წარმოთქვა ჯომ.

– ჯო, ვცადოთ, – ხელი მხარზე შეახო და აღელვებულმა დაამატა, – ისეთი რა უნდა მოხდეს, ბოლოს და ბოლოს კარს არ გაგვიღებს და უკან გამოგვისტუმრებს. გთხოვ.

ჯომ შვებით ამოისუნთქა და უპასუხა:

– მაგრამ მანამდე ახალი ტანსაცმელი უნდა ვიყიდოთ, ყველაფერი... შთაბეჭდილების მოსახდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გამოიყურები. და იქნებ შაიენში ახალი მანქანაც ვიქირავოთ?

– ჰო, – თქვა ქალმა, – შენ კიდევ თმა უნდა შეიჭრა. ტანსაცმელს მე შეგირჩევ; გთხოვ, ჯო. ყოველთვის მე ვყიდულობდი ფრენკისთვის სამოსს. კაცებს ამ საქმისა არაფერი გაეგებათ.

– კარგი გემოვნება გაქვს, ტანსაცმელს რაც შეეხება, – ჯო ხან წინ გზას შეხედავდა, ხან ჯულიანას, – და ზოგადად, სხვა რამეებშიც. უკეთესი იქნება, თუ დაურეკავ. დაუკავშირდები.

– შეიძლება თმა მეც შევიჭრა, – თქვა ქალმა.

– კარგი.

– რასაკვირველია, სრულებით არ მომერიდება კიბეზე ასვლის და ზარის დარეკვის, – უპასუხა ჯულიანამ, – ამქვეყნად ერთხელ ცხოვრობ. რისი უნდა შეგვრცხვეს? იქნებ ძალიანაც გაუხარდეს, რომ ვიღაცამ მისი წიგნი წაიკითხა, მოეწონა და მასთან ჩავიდა. ავტოგრაფიც შეგვიძლია გამოვართვათ, ოღონდ ეს წიგნი ამისათვის არ გამოდგება, ხომ ასეა? ახალი ეგზემპლარი უნდა ვიყიდოთ; ეს ძალიან დასვრილია. უხერხული იქნება.

– რასაც მოისურვებ, ყველაფერს ვიყიდით. დეტალები თავად გადაწყვიტე, ვიცი, გეხერხება. ლამაზი გოგო ყველაფერს მიაღწევს; როცა დაგინახავს, როგორი დახატული ხარ, კარს თავად გამოაღებს. მაგრამ მისმინე, სისულელს ნუ ჩაიდენ.

– რას ამბობ?

– ეტყვი, რომ ცოლ-ქმარი ვართ. არ მინდა, მასთან რაღაცეები გააბა – გესმის, რასაც ვამბობ. უსინდისობა იქნება ვიღაცის ცხოვრებაში ასე შეჭრა; მისი სტუმართმოყვარეობის დაცინვა. ასე რომ, ყურადღებით იყავი, ჯულიანა.

– შეგიძლია იტალიის გამცემლობასთან დაკავშირებით ეკამათო; ის უთხრა, რაც მე მომიყევი.

ჯომ თავი დაუქნია.

– აუცილებლად. ამაზე ვისაუბრებთ.

გზა სწრაფად გააგრძელეს.

მეორე დილით მისტერ ტაგომი დილის შვიდ საათზე ადგა და სააბაზანოში გასვლას აპირებდა, რომ უეცრად აზრი შეიცვალა და გადაწყვიტა, სამისნო წიგნში ჩაეხედა.

მისაღებ ოთახში იატაკზე ფეხი მოირთხა და ხელიდან ხელში ფარსმანდუკის ორმოცდაცხრა ღეროს გადატანას შეუდგა. ჩქარობდა. ასე ეგონა, მისი შეკითხვის პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, გამალებული მუშაობდა და მალე ექვსივე ხაზი ააწყო.

გამაოგნებელია! ორმოცდამეერთე ჰექსაგრამა!

«გამოღვიძების ნიშნით ღმერთი ვლინდება. მეხი და ელვა – უნებურად ყურებზე ხელებს აიფარებ. ჰა-ჰა! ჰო-ჰო! დიადი ბიძგი შეარყევს და შეაზანზარებს. ხვლიკი თავს უშველის, ვეფხვი კი დაიღრიალებს, და მაშინ გამოჩნდება ღვთაებრივის არსი!»

ეს რას ნიშნავს? შეშინებულმა ოთახს თვალი მოავლო. რა უნდა მოხდეს? ფეხზე წამოიჭრა, სუნთქვა უჭირდა, იდგა და ელოდა.

არაფერი. მხოლოდ გულისცემის ხმა. სუნთქვა და ყველა დანარჩენი სომატური პროცესი, მათ შორის შუამდებარე ტვინის მიერ კონტროლირებადი ავტონომიური პასუხები კრიზისზე:

ადრენალინის გამოყოფა, გულისცემის გაძლიერება, აჩქარებული პულსი, ჰორმონების გამოყოფა, გამშრალი ხორხი, გაფართოებული თვალის გუგები, ნაწლავების შეუკავებლობა და ასე შემდეგ. ღებინების შეგრძნება და სექსუალური ინსტინქტის დაქვეითება.

და ახლა, აღარ იცის, რას ჩაეჭიდოს, რას მიენდოს. გაიქცეს? ყველაფერი მომზადებულია პანიკის პირობებში გაფრენისთვის. მაგრამ სად გაფრინდეს და რისთვის? თავს დაეკითხა მისტერ ტაგომი. გაუგებარია. შეუძლებელიც. ეს თანამედროვე ადამიანის დილემაა; სხეული მობილიზებულია, თუმცა არ იცის, საფრთხე საიდან ელის.

სააბაზანოში გავიდა და ლოყები გასაპარსად აიქაფა.

ტელეფონმა დარეკა.

– დარტყმა, – თქვა ხმამაღლა და სამართებელი დადო, – მზად იყავი.

სააბაზანო სწრაფი ნაბიჯით დატოვა და უკან, მისაღებ ოთახში დაბრუნდა, – მზად ვარ, – თქვა და ყურმილს დასწვდა, – ტაგომი გისმენთ.

ხრინწიანი ხმა ჰქონდა და ჩაახველა.

პაუზის შემდეგ დაქანცული, ჩუმი და მოშრიალე ხმა გაისმა, თითქოს ქარმა ფოთლები შეარხიაო:

– სერ, სინირო იატაბე გირეკავთ. სან-ფრანცისკოში ჩამოვედი.

– სავაჭრო მისიის სახელით მოგესალმებით. მოხარული ვარ. ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით და კარგად დაისვენეთ?

– დიახ, მისტერ ტაგომი. როდის შეგვიძლია შეხვედრა?

– ძალიან მალე. ნახევარ საათში, – მისტერ ტაგომომ საწოლ ოთახში საათს გახედა, ცდილობდა ისრები დაენახა, – და კიდევ, მესამე მხარეს, მისტერ ბეინსს უნდა დავუკავშირდე. შესაძლოა, ის შეყოვნდეს, მაგრამ...

– ორ საათში რომ შევხვდეთ შესაძლებელია, სერ? – შეეკითხა მისტერ იატაბე.

– დიახ, – თქვა მისტერ ტაგომიმ და უნებურად თავი დახარა.

– «ნიპონ ტაიმსის» შენობაში, თქვენს ოფისში.

მისტერ ტაგომიმ კიდევ ერთხელ დახარა თავი.

მისტერ იატაბემ ყურმილი დაკიდა.

«როგორ გაეხარდება მისტერ ბეინსს, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – იმ კატას დაემსგავსება, რომელმაც მსუქანი ორაგულის კუდი მოიგდო თათებში».

მისტერ ტაგომიმ სასტუმრო «აბჰირატის» ნომერი აკრიფა.

– განსაცდელი დასრულდა, – თქვა მან, როგორც კი მისტერ ბეინსის ნამძინარევი ხმა მოესმა.

მაგრამ ბეინსი ამ სიტყვების გაგონებისთანავე გამოფხიზლდა.

– ჩამოვიდა?

– ჩემს ოფისში, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – ათ საათსა და ოც წუთზე. ნახვამდის.

ყურმილი დაკიდა და ისევ სააბაზანოში გავიდა, რომ პარსვა დაესრულებინა. საუზმობის დრო აღარ იყო; მისტერ რასეიმ უნდა მოიფიქროს რაღაც შეხვედრის დასრულების შემდეგ. სამივეს შეგვეძლება თავს სიამოვნება მივანიჭოთ – მისტერ ტაგომი იპარსავდა და თან საუზმის მენიუს ადგენდა.

მისტერ ბეინსი პიჟამით ტელეფონთან იდგა, შუბლს ისრესდა და ფიქრობდა.

«ტყუილად წავედი იმ აგენტთან შეხვედრაზე. ერთი დღეც უნდა მომეცადა».

მაგრამ ალბათ სერიოზული არაფერი მომხდარა. დღეს მაღაზიაში დაბრუნება მოუწევდა. «რომ არ გამოვჩნდე? მაგრამ ამას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვება; ჩათვლიან, რომ მომკლეს ან მომიტაცეს. ჩემს კვალზე გამოსვლას შეეცდებიან.

მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. იმიტომ რომ ის, როგორც იქნა, აქ არის. მოლოდინი დასრულდა».

მისტერ ბეინსი სწრაფად შევიდა სააბაზანოში და გასაპარსად მოემზადა.

«შეუძლებელია, მისტერ ტაგომიმ შეხვედრისას ვერ იცნოს. შეიძლება აღარც გამოვიყენოთ ფსევდონიმი «მისტერ იატაბე». არსებითად, არც ერთს არაფერში გვარგია ფსევდონიმები და თავის მოკატუნება.

გაპარსვის შემდეგ მისტერ ბეინსი საშხაპეში შევიდა. წყლის ჩხრიალში მთელი ხმით ამღერდა:

Wer reitet so spat,

Durch Nacht und den Wind?

Es ist der Vater

Mit seinem Kind.

[80]

«უშიშროების სამსახური ვეღარაფერს შეძლებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რამე იყნოსეს. ასე რომ, შემიძლია დავწყნარდე. დამთავრდა საკუთარი ტყავის უსაფრთხოებაზე შიში».

11

სან-ფრანცისკოში რაიხის კონსულის, ბარონ ჰუგო რეისისთვის ის სამუშაო დილა მოულოდნელობითა და არეულობით დაიწყო. სამსახურში მისულს ოფისში მნახველი დახვდა – მხარბეჭიანი, მსხვილყბიანი, საშუალო ასაკის მამაკაცი ნაყვავილარი სახის კანითა და ბრაზიანი გამოხედვით შავი, შეერთებული წარბების ქვეშიდან. მამაკაცმა ხელი ასწია, პარტიული სალამი მისცა კონსულს და წაიბურტყუნა «Heil».

– Heil, – უპასუხა რეისმა. გულის სიღრმეში ამოიკვნესა, თუმცა ოფიციალურად სავალდებულო ღიმილი შეაგება, – ჰერ კროიც ფონ მეიერ, გამაოცეთ. რას მივაწეროთ თქვენი აქ მობრძანება?

რეისმა შიდა ოთხის კარი გააღო, თან თვალით ეძებდა ვიცე-კონსულს, ძალიან აინტერესებდა, ვინ დართო ნება უშიშროების სამსახურის უფროსს მის მისაღებში მჯდარიყო. ახლა უკვე ვეღარაფერს გააწყობდა.

კროიც ფონ მეიერი უკან ისე მიჰყვა, პალტოს ჯიბიდან ხელები არ ამოუღია.

– მისმინეთ, ბარონო, იმ ტიპის კვალზე გავედით, აბვერელის – რუდოლფ ვეგენერის. აბვერის აგენტების შეხვედრის ძველ ადგილზე გამოჩნდა, – კროიც ფონ მეიერმა გაიღიმა და ოქროს კბილები გამოაჩინა, – უკან გავყევით და სასტუმროც დავადგინეთ.

– მშვენიერია, – რეისმა სამუშაო მაგიდაზე ახალ ფოსტას მოკრა თვალი. ესე იგი, პფერდჰოფი სადღაც აქვეა, კაბინეტი ჩაკეტა, რომ უშიშროების სამსახურის უფროსისთვის კონსულის პირად კაბინეტში მცირე არაოფიციალური ჩხრეკის საშუალება არ მიეცა.

– ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, – განაგრძო კროიც ფონ მეიერმა, – კალტენბრუნერს შევატყობინე. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ნებისმიერ წუთს შეიძლება მოვიდეს ბერლინიდან ბრძანება. თუ, რასაკვირველია, ადგილზე ჩვენმა Unratfressers-მა

[81]

ყველაფერი არ აურიეს, – კონსულის მაგიდას მიუჯდა, პალტოს ჯიბიდან ფურცლების დასტა ამოიღო და ერთ-ერთი გაშალა, – მოგონილი გვარია ბეინსი, თითქოს შვედია, ბიზნესმენი ან მეწარმე. რაღაც პლასტმასებთან დაკავშირებულ სფეროში მოღვაწეობს. დღეს, დილის ცხრის ათ წუთზე რომელიღაც იაპონელმა ოფიციალურმა პირმა დაურეკა და თავის ოფისში ათ საათსა და ოც წუთზე შეხვედრა დაუნიშნა. ახლა ვარკვევთ, საიდან დარეკეს. იმედი მაქვს, უახლოეს ნახევარ საათში გვეცოდინება. საჭიროების შემთხვევაში გავაფრთხილე, აქ დაერეკათ.

– გასაგებია, – უპასუხა რეისმა.

– მოკლედ, უნდა ავიყვანოთ, – არ ცხრებოდა კროიც ფონ მეიერი, – თუ დაკავება მოვახერხეთ, ლუფტჰანზას პირველივე საფრენი აპარატით რაიხის ტერიტორიაზე გავაგზავნით. მაგრამ

საკრამენტოელი წვრილთვალებიანები შეიძლება შეფუცხუნდნენ, ან სულაც, ხელი შეგვიშალონ. პროტესტის შემთხვევაში შენ მოგმართავენ. ზოგადად კი, ბევრი თავის ტკივილი შეუძლიათ გაგვიჩინონ. აეროპორტში სატვირთოთი ტოკოკას ხალხის მოყრის ჩათვლით.

– არ შეიძლება ყველაფერი ჩუმად გაკეთდეს?

– უკვე ძალიან გვიანაა. ბეინსი გზაშია, შეხვედრაზე მიდის. შეიძლება სულაც ადგილზე აყვანა დაგვჭირდეს. შევვარდეთ, ხელი დავტაცოთ და მერე გავქრეთ.

– არ მომწონს ეს საქმე. იქნებ რომელიმე მაღალი თანამდებობის იაპონელს ხვდება? ეს დღეებია ხმები ვრცელდება, თითქოს სან-ფრანცისკოში იაპონიის იმპერატორის პირადი წარმომადგენელია ჩამოსული...

კროიც ფონ მეიერმა გააწყვეტინა:

– რა ჩემი საქმეა. ის ეროვნებით გერმანელია. რაიხის კანონებს ექვემდებარება.

«ჰო, კარგად ვიცით ეს «რაიხის კანონები» რასაც ნიშნავს», გაიფიქრა რეისმა.

– სპეცრაზმი მზად მყავს, – განაგრძო კროიც ფონ მეიერმა, – ხუთი ყმაწვილია, – გადაიხარხარა, – მევიოლინეებს ჰგვანან. მშვენიერი ასკეტური სახეებით. სულიერებით სავსენი – ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტებივით. წვრილთვალებიანები სიმებიან კვარტეტად ჩათვლიან.

– კვინტეტად, – ვერ მოითმინა და შეუსწორა რეისმა.

– ჰო, კარგი. ეს ბიჭები შევლენ და საჭირო კაბინეტში მიაკითხავენ – სწორედ ამ წუთებში იცვამენ, – კონსულს თვალს არ აცილებდა, – სხვათა შორის, შენზე ბევრად უკეთ გამოიყურებიან.

– გმადლობ, – უპასუხა რეისმა.

– ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა. დღისით-მზისით. ამ ვეგენერს ყველას თვალწინ აიყვანენ. ალყაში მოაქცევენ, ოღონდ თავაზიანად მოეპყრობიან. თითქოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვთ მისთვის გადასაცემი, – სანამ კონსული ფოსტას ახარისხებდა, კროიც ფონ მეიერი დუდღუნს აგრძელებდა, – არავითარი ძალადობა, მხოლოდ ეტყვიან: «ჰერ ვეგენერ, თუ შეიძლება, ჩვენთან ერთად წამობრძანდით. ხომ გესმით ჩვენი?» და მერე ერთი პაწაწინა ჩხვლეტა ნეკნებშორის და ჰოპ! ნერვული დაბოლოებების სრული დამბლა.

რეისმა თავი დაუქნია.

– მისმენ?

– Ganz bestimmt.

– და მაშინვე გამოვლენ. მანქანაში ჩასვამენ. ოფისში მოიყვანენ. წვრილთვალებიანები, რასაკვირველია, თავდაყირა დადგებიან, თუმცა უკანასკნელ წუთამდე თავაზიანობას არ უღალატებენ, – მაგიდასთან მჯდომმა კროიც ფონ მეიერმა მოუქნელად სცადა იაპონელების თავის დაკვრისთვის მიებაძა, – სამწუხაროა, რომ იმედი გაგვიცრუეთ, ჰერ კროიც ფონ მეიერ. ასეა თუ ისე, კარგად ბრძანდებოდეთ, ჰერ ვეგენერ...

– ბეინსი, – ჩაურთო რეისმა, – ამ სახელით არ არის ჩამოსული?

– ბეინს. რა სამწუხაროა, რომ მიფრინავთ. იქნებ სხვა დროს გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი», – რეისის მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა და კროიც ფონ მეიერმა მანჭვა-გრეხა შეწყვიტა.

– შეიძლება მე მირეკავენ, – ხელი ყუმილისკენ გაიშვირა კროიც ფონ მეიერმა, თუმცა რეისმა დაასწრო.

– რეისი გისმენთ.

– კონსულო, – ყურმილში უცნობი ხმა გაისმა, – ახალ შოტლანდიაში Ausland Fernsprechamt

[83]

-ია. სასწრაფო ტრანსატლანტიკური სატელეფონო ზარია ბერლინიდან.

– გასაგებია, – მიუგო რეისმა.

– ერთი წუთით, კონსულო, – ყურმილში შრიალი და ტკაცუნი ისმოდა, მერე ოპერატორმა ქალმა წარმოთქვა «Kanzlei»

[84]

, – დიახ, ეს ახალი შოტლანდიის Ausland Fernsprechamt-ია. თქვენ ითხოვეთ დარეკვა რაიხის კონსულთან, ჰ. რეისთან, სან-ფრანცისკოში; კონსული ხაზზეა.

– მოითმინეთ, – ვიდრე ხანგრძლივი პაუზა გრძელდებოდა, რეისი ცალი ხელით ფოსტას ახარისხებდა. კროიც ფონ მეიერი თვალს არ აცილებდა, – ჰერ კონსულო, მაპატიეთ, დროს რომ გართმევთ, – მამაკაცის ხმა. რეისს ძარღვებში სისხლი გაეყინა. ბარიტონი, დახვეწილი, რეისისთვის კარგად ნაცნობი შემპარავი ხმა, – «დოქტორი გებელსია».

– გისმენთ, კანცლერო, – რეისის პირდაპირ მჯდომმა კროიც ფონ მეიერმა გაიღიმა. ქვემოთ ჩამოშვებული ყბა გაუსწორდა.

– გენერალმა ჰაიდრიხმა მთხოვა თქვენთვის დამერეკა. სან-ფრანცისკოში აბვერის აგენტი იმყოფება. მისი სახელი და გვარი რუდოლფ ვეგენერია. მასთან დაკავშირებულ საქმეში სრულად უნდა ითანამშრომლოთ პოლიციასთან. ახლა დრო არაა, ყველაფერი დაწვრილებით რომ მოგიყვეთ. უბრალოდ, თქვენი ოფისი საიდუმლო პოლიციის განკარგულებაში გადავიდეს. Ich danke Ihnen sehr dabei.

[85]

– გასაგებია, ჰერ კანცლერო, – უპასუხა რეისმა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, კონსულო, – რაიხსკანცლერმა ტელეფონი გათიშა.

კროიც ფონ მეიერი რეისს მისჩერებოდა, რომელმაც ყურმილი დადო:

– ხომ გეუბნებოდი?!

– შეკამათებას არ ვაპირებ, – მხრები აიჩეჩა რეისმა.

– ვეგენერის გერმანიაში იძულებით დაბრუნების შესახებ ნებართვა უნდა დაწერო.

რეისმა კალამი აიღო, ნებართვის ტექსტი შეადგინა, ხელი მოაწერა და უშიშროების სამსახურის უფროსს გაუწოდა.

– მადლობელი ვარ. და კიდევ, თუ წვრილთვალებიანი დაგირეკავენ და აწუწუნდებიან...

– თუ დარეკეს.

კროიც ფონ მეიერმა თვალი გაუსწორა.

– დარეკავენ. ვეგენერის აყვანიდან თხუთმეტი წუთიც არ იქნება გასული, თავისი ფეხით მოვლენ შენთან, – ძველებურად აღარ ხუმრობდა.

– მევიოლინეების კვინტეტის შესახებ არაფერი გამიგია, – უპასუხა რეისმა.

კროიც ფონ მეიერს არაფერი უპასუხია.

– დღეს დილით აუცილებლად ავიყვანთ, ასე რომ, მზად იყავი. წვრილთვალებიანებს შეგიძლია უთხრა, რომ ჰომოსექსუალია ან ყალბი ფულის მჭრელი, ან რაღაც ასეთი. რომ ასეთი დანაშაული მის სამშობლოში მკაცრად ისჯება. პოლიტიკურ დანაშაულზე არაფერი დაგცდეს. თავადაც მოგეხსენება, ნაციონალ-სოციალისტების კანონმდებლობის ოთხმოცდაათ პროცენტს არ აღიარებენ.

– ვიცი, – უპასუხა უკვე გაღიზიანებულმა რეისმა, – როგორ მოვიქცე, ესეც ვიცი.

«თავზე გადამახტა. როგორც ყოველთვის. პირდაპირ კანცელარიას დაუკავშირდა. ნაგავი», გაიფიქრა რეისმა.

ხელები აუკანკალდა. ამის მიზეზი დოქტორ გებელსის ზარი ხომ არ იყო? რატომ აღელდა? იქნებ ამ უსამართლობის გამო, როდესაც დაწყევლილმა უშიშროების სამსახურმა მის ზურგს უკან დაიწყო საქმეების გაჩარხვა? როგორც ყოველთვის, დროს არ კარგავენ. ახლა გებელსიც მათ მხარესაა. ესენი მართავენ რაიხს. მაგრამ მე როგორ მოვიქცე? ან ნებისმიერი სხვა?

თანამშრომლობა უკეთესია. ამ კაცის მტრად გადაკიდება არ ღირს; იქნებ ბერლინში

დაბრუნების შემდეგ რამე მაკომპრომეტირებელი მოვძებნო; მასზე ბევრია აღრენილი».

– როგორც ვხედავ, – თქვა რეისმა ხმამაღლა, – ამ საქმის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ თქვენი აზრი გადაჭარბებული არ არის, პოლიციაიფიურერ. ეტყობა, გერმანიის უსაფრთხოება იმაზეა დამოკიდებული, რამდენადაც სწრაფად მოხდება ამ ჯაშუშის თუ მოღალატის, ან ვინც არის, დაკავება, – საკუთარმა სიტყვებმა გააოცა.

თუმცა, კროიც ფონ მეიერი კმაყოფილი ჩანდა:

– გმადლობ, კონსულო.

– თქვენ შესაძლოა, ყველანი გადაგვარჩინეთ.

– მაგრამ ჯერ ხომ არ აგვიყვანია, – მოიღუშა კროიც ფონ მეიერი, – უნდა მოვიცადოთ. ზარს ველოდები.

– იაპონელებს ჩემს თავზე ვიღებ, – უპასუხა რეისმა, – ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს, თავადაც იცი. მათი წუწუნი...

– ლაყბობა შეწყვიტე. უნდა ვიფიქრო.

კარგად ეტყობოდა, კანცლერის ზარმა ბერლინიდან კროიც ფონ მეიერიც შეაფიქრიანა. ახლა პასუხისმგებლობა მასაც ეკისრებოდა.

«ის ბიჭი თუ დაგიძვრათ, სამსახურს დაკარგავ, – გაიფიქრა რეისმა, – ჩემი სამუშაო, შენი სამუშაო – ორივე ისეთია, ნებისმიერ წუთს შეიძლება ქუჩაში აღმოვჩნდეთ. უსაფრთხოდ თავს ვერც ერთი ვგრძნობთ.

ისე კი, ჰერ პოლიციაიფიურერ, კარგი იქნება თუ შემთხვევა მომეცა, სარმა გამოგდოთ, მაგრამ ისე, რომ ვერავინ მიხვდეს. მაგალითად, როცა იაპონელები საჩივლელად ჩემთან მოვლენ, მივანიშნო, რომ ის ტიპი ძალით უნდა გადააფრინონ ლუფტჰანზას რეისით... ან ყველაფერი უარვყო ისეთი ეშმაკური ღიმილით, რომ ცხადი გახდეს, რისი თქმაც მინდა – რას გადამეკიდეთ ყვითელკანიანებო, რაიხი ერთობა, თქვენ არაფრად გაგდებთ. ძალიან ადვილია, მათ ასე აწყენინო. და, თუ ძალიან გაბრაზდნენ, ადგნენ და პირდაპირ გებელსს მიადგნენ.

უამრავი შესაძლებლობა მაქვს. უშიშროების სამსახურს ჩემი ნებართვის გარეშე ამ ტიპის ამერიკის წყნარი ოკეანის შტატების გარეთ გაყვანა არ შეუძლია. მხოლოდ ის არის საჭირო, ზუსტი დარტყმა მივაყენო...

მეზიზღება, როდესაც ადამიანები თავზე მახტებიან – შეიძლება გავცოფდე. ისე ძალიან, რომ ღამით ძილი მიტყდება, ხოლო როცა არ მძინავს, ვერც ჩემს სამუშაოს ვასრულებ. ასე რომ, გერმანიას უნდა მოვაგვარებინო პრობლემა. ღამითაც და დღისითაც თავს ბევრად უკეთ

ვიგრძნობ, თუ ამ ტლანქ ბავარიელს აქედან მოაშორებენ და რომელიმე მიყრუებულ

საპოლიციო განყოფილებაში განმარტებითი მოხსენებების დასაწერად დასვამენ.

მაგრამ ცუდი ისაა, რომ ჯერ არ არის ამის დრო. სანამ გადავწყვეტ, როგორ...»

ტელეფონმა დარეკა.

კროიც ფონ მეიერმა ყურმილი აიღო და კონსულმა ვერც გაბედა მისი შეჩერება.

– დიახ, – კროიც ფონ მეიერი მცირე ხანს მდუმარედ უსმენდა.

«უკვე?» გონებაში გაუელვა რეისს.

მაგრამ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ყურმილი გაუწოდა:

– შენ გირეკავენ.

კონსულმა შვებით ამოისუნთქა და ყურმილი გამოართვა.

– ვიღაც სკოლის მასწავლებელია, – უთხრა კროიც ფონ მეიერმა, – კითხულობს, ავსტრიული სპექტაკლების აფიშები ხომ არ შემოგრჩა, კლასს უნდა აჩვენოს.

დაახლოებით თერთმეტ საათზე რობერტ ჩილდენმა მაღაზია დაკეტა და ფეხით გაემართა მისტერ პოლ კაზუორას ოფისისკენ.

საბედნიეროდ, პოლი დაკავებული არ იყო. ჩილდენს თავაზიანად მიესალმა და ჩაი შესთავაზა.

– არ მინდა დიდი ხნით შეგაწყინოთ თავი, – უთხრა ჩილდენმა მას შემდეგ, რაც მაგიდას მიუსხდნენ. პოლის ოფისი პატარა იყო, მაგრამ თანამდროვე დიზაინის მოკრძალებული ავეჯი იდგა. კედელზე ერთადერთი შესანიშნავი გრავიურა მოჩანდა: მეცამეტე საუკუნის მიწურულის შედევრი, მოკეის «ვეფხვის» რეპროდუქცია.

– თქვენთან შეხვედრა ყოველთვის მიხარია, რობერტ.

ჩილდენს პოლის ხმაში გულგრილობა მოესმა, მაგრამ მერე ჩათვალა, რომ მოეჩვენა, პოლი ხომ უკიდურესად თავაზიანად ექცეოდა. და მაინც – ჩილდენი მის დამოკიდებულებაში რაღაც ცვლილებას გრძნობდა.

– თქვენი მეუღლე ჩემზე ალბათ, გაბრაზებულია – ჩემი საჩუქარი არ მოეწონა, – წამოიწყო ჩილდენმა, – შესაძლოა გავანაწყენე. თუმცა, როდესაც ვინმეს ახალ და უჩვეულო ნივთს ჩუქნი, როგორც წინა შეხვედრისას უკვე აგიხსენით, ამისთვის მზად უნდა იყო. რასაკვირველია, თქვენ და ბეტის უკეთ შეგიძლიათ განსაჯოთ, ვიდრე მე.

– რობერტ, ჩემი მეუღლე გაბრაზებული არ არის. მისთვის თქვენი მოტანილი სამკაული არ

გადამიცია, – პოლმა მაგიდის უჯრიდან პატარა თეთრი ყუთი ამოიღო, – ეს ნივთი ჩემი ოფისიდან არ გასულა.

«მიხვდა, – გაიფიქრა ჩილდენმა, – გამჭრიახია. არც კი აჩვენა. რაც არის, არის. ვიმედოვნებ, ჩემს მოხრჩობას არ ეცდება ცოლის შეცდენის მცდელობის ბრალდებით. შეუძლია გამანადგუროს».

ჩილდენი ჩაის სვამდა და ცდილობდა, სახეზე არაფერი შეტყობოდა.

– ოჰ, – როგორც იქნა, გაღიმება მოახერხა, – საინტერესოა.

პოლმა ყუთი გახსნა, გულსაბნევი ამოიღო და დააცქერდა. სინათლისკენ გაიშვირა, კარგა ხანს ატრიალებდა ხელში.

– თავს უფლება მივეცი, ეს ნაკეთობა ჩემი მეგობრებისთვის მეჩვენებინა, – განაგრძო პოლმა, – ისინი იზიარებენ ჩემს ინტერესს ამერიკული ისტორიული ნივთებისა და ზოგადად, ესთეტიკური ღირებულების მქონე არტეფაქტებისადმი, – რობერტ ჩილდენს თვალში თვალი გაუყარა, – არც ერთს მსგავსი რამ აქამდე თვალით არ უნახავს. თქვენც მითხარით, რომ მსგავსი თანამედროვე ნამუშევრები აქამდე ცნობილი არ ყოფილა. და როგორც მახსოვს, ამბობდით, რომ მხოლოდ თქვენ ხართ მათი მფლობელი.

– დიახ, ასეა, – უპასუხა ჩილდენმა.

– გაინტერესებთ მათი რეაქცია?

ჩილდენმა თავი დაუქნია.

– იმ ადამიანებმა გაიცინეს.

ჩილდენს ხმა არ ამოუღია.

– მეც გამეცინა, ოღონდ ისე, რომ თქვენ არ შეგემჩნიათ, – განაგრძო პოლმა, – იმ დღეს, როდესაც ეს ნივთი მომიტანეთ და მაჩვენეთ. თუმცა, ვცდილობდი თავი გულგრილად მომეჩვენებინა. მხოლოდ გულში დაგცინოდით, რათა ვერაფერს მიმხვდარიყავით და თავი შეურაცხყოფილად არ გეგრძნოთ.

ჩილდენმა კიდევ ერთხელ დაუქნია თავი.

პოლი ყურადღებით სწავლობდა გულსაბნევს.

– მათი რეაქცია სავსებით გასაგებია – ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ უფორმო, გამდნარი ლითონის ნაჭერია. ის არაფერს გამოხატავს. არც დიზაინით, არც ჩანაფიქრით. სრულიად ამორფულია. ვიღაცამ შეიძლება ისიც კი თქვას, რომ შინაარსია, რომელსაც ფორმა არ გააჩნია.

ჩილდენმა ისევ თავი დაუქნია.

– და მაინც, რამდენიმე დღეა მას დავცქერი და ყოველგვარი ლოგიკური მიზეზის გამო გარკვეულ ემოციურ სინაზეს ვგრძნობ. რატომ ხდება ასე? პასუხი არ მაქვს. ამ ბურთულაზე, გერმანული ფსიქოლოგიური ტესტების მსგავსად, ჩემი ფსიქიკის პროეცირებასაც კი არ ვდილობ. მასში ვერც რაიმე ფორმას ვამჩნევ, ვერც კონფიგურაციას. და მაინც, ის დაოსთან არის დაკავშირებული, გესმით? – ჩილდენს ჟესტით აჩვენა, – ის გაწონასწორებულია. ამ ნაკეთობის შიგნით ძალები სრულიად სტაბილური გახლავთ. სიმშვიდეს გგვრის. და კიდევ, მოცემული ნაკეთობა სრულ ჰარმონიაშია სამყაროსთან. ის სამყაროს გამოეყო და ჰომეოსტაზის მდგომარეობაშია, ანუ არ იცვლება მისი შინაგანი გარემო.

ჩილდენიც სამკაულს დააცქერდა. პოლი განაგრძობდა:

– მას ვაბი არ აქვს, და ვერც ექნება. მაგრამ... – გულსაბნევს ფრჩხილით შეეხო, – რობერტ, ამ ნივთს აქვს ვუ

[86]

.

– იმედი მაქვს, მართლაც ასეა, – ჩილდენი ცდილობდა გაეხსენებინა, ვუ რა არის; ეს არა იაპონური, არამედ ჩინური სიტყვა იყო. «სიბრძნე უნდა იყოს, – გადაწყვიტა ჩილდენმა, – ან საზრიანობა. ასეა თუ ისე, არც ისე ცუდია».

– შემქმნელის ხელებშია ვუ, – განაგრძობდა პოლი, – და მან ეს ვუ ამ ნივთს გადასცა. შესაძლოა მხოლოდ თავად იცის, რისი სიმბოლოა ეს ნაკეთობა. ის სრულყოფილებაა, რობერტ. რაც უფრო მეტხანს ვუმზერთ ამ ნივთს, მით მეტ ვუს ვიღებთ თავად. ჩვენში სიმშვიდე ისადგურებს, რომელიც არა ხელოვნებასთან, არამედ უფრო მეტად წმინდა ნივთებთან არის დაკავშირებული. ჰიროშიმაში ნანახი მაქვს საკურთხეველი, სადაც შუა საუკუნეების წმინდანის დიდი წვივის ძვალი ასვენია. და მაინც, ეს არტეფაქტია და არა რელიკვია. ის ახლა, ამ წუთებშია ცოცხალი, და ასეთად რჩება. დიდი ხნის მედიტაციის შემდეგ აღმოვაჩინე ის ღირებულება, რაც მას გააჩნია ისტორიულობის საპირისპიროდ. და ამ აღმოჩენამ შემძრა.

– დიახ, – ესღა თქვა ჩილდენმა.

– საოცრებაა ის, რომ ისტორიული, შემოქმედებითი თუ ესთეტიკური ღირებულების არქონის მიუხედავად, ამ უსახურ, პატარა, უშნო საგანს, რობერტ, ვუ აქვს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვუ სრულიად უმნიშვნელო ადგილებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, როგორც ქრისტიანები ამბობენ, «მშენებლის მიერ დაწუნებულ ქვებში»

[87]

. ვიღაც ვუს ხედავს ძველ ხელჯოხში ან გზისპირა თხრილში ნაპოვნ ლუდის თუნუქის ქილაში. თუმცა ასეთ შემთხვევებში, ვუ თავად მჭვრეტელშია. სწორედ ეს არის რელიგიური შეგრძნების საფუძველი. ამ შემთხვევაში კი ხელოვანმა ვუ იმ საგანში ჩააქსოვა, რომელსაც ის თავდაპირველად არ გააჩნდა, – პოლმა ჩილდენს შეხედა, – გასაგებად ვლაპარაკობ?

– დიახ, – უპასუხა ჩილდენმა.

– სხვა სიტყვებით, სრულიად ახალი სამყარო იხსნება. მას ხელოვნება არ ჰქვია, რადგან ფორმა არ გააჩნია; არც რელიგიაა. მაშ, რა არის? დაუსრულებლად ვუმზერდი ამ გულსაბნევს, მის საიდუმლოებას რომ ჩავწვდომოდი. ამგვარი ნივთისთვის შესაფერისი სახელი არ გვაქვს. თქვენ მართალს ამბობდით, რობერტ. არსებული სამყაროს პირისპირ ეს ჭეშმარიტად ახალი ნივთია.

«ახალი, – გაიფიქრა ჩილდენმა, – ჰო, ნამდვილად ასეა. მეც ამ ტერმინს ვემხრობი. დანარჩენს რაც შეეხება...»

– დიდხანს ვიფიქრე, რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მას, – განაგრძობდა პოლი, – მერე ისევ იმავე მეგობრებს დავუკავშირდი. მათ ჩემი თვალსაზრისი გავაცანი, ისე როგორც ამ წუთას თქვენ მოგიყევით, და სრულებით არ მადარდებდა მოყოლისას ტაქტისა თუ ეტიკეტის დაცვა. ეს ნივთი ყოველგვარ ფორმალობაზე უარის თქმისკენ გიბიძგებს, იმდენად დიდია სურვილი, გარშემომყოფებს შენი მოსაზრება გააცნო. იმას მივაღწიე, რომ ისინი ვაიძულე, ჩემთვის მოესმინათ.

ჩილდენმა კარგად იცოდა, პოლის მსგავსი იაპონელისთვის მეტისმეტად რთული ამოცანაა, ვინმეს საკუთარი თვალსაზრისი თავს მოახვიოს.

– შედეგი სასიკეთო აღმოჩნდა. მთლიანობაში ჩემი თვალსაზრისი გაიზიარეს და მიიღეს. ამ ამოცანის მიღწევით, მისია ამოვწურე. მეტს ვეღარაფერს შევძლებ, რობერტ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. მეტის ძალა აღარ მაქვს, – პოლმა გულსაბნევი უკან, ყუთში ჩადო, – ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნი, – ყუთი ჩილდენისკენ გააჩოჩა.

– სერ, ის თქვენია, – ჩიდლენი დაიბნა; ამგვარ უცნაურ ვითარებაში არასოდეს აღმოჩენილა. მაღალი თანამდებობის იაპონელი სიტყვებს არ იშურებს ნაჩუქარი ნივთის საქებრად, მერე კი უკან უბრუნებს. ვერ მიხვდა, როგორ მოქცეულიყო, იჯდა და დაბნეული მიშტერებოდა საკუთარი კოსტიუმის სახელოს.

– რობერტ, გამბედაობა უნდა მოიკრიბოთ და რეალობას თვალი გაუსწოროთ, – მშვიდად, ცოტათი უკმეხადაც კი უთხრა პოლმა.

ჩილდენი გაფითრდა:

– მე... არ ვიცი, დავიბენი...

პოლი წამოდგა და სახეში შეაცქერდა.

– გამაგრდით. ეს თქვენი ვალდებულებაა. მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია ამ სამკაულის და სხვა მსგავსი ნივთების ბედი. პროფესიონალი ბრძანდებით. საკუთარ თავთან მარტო დარჩით. მედიტაციას მიმართეთ, თუ გნებავთ, რჩევა «ი ძინს» ჰკითხეთ. მერე თქვენი ხედვა, თქვენი საქონელი, თქვენი მუშაობის სტილი გადააფასეთ.

ჩილდენი გაოგნებული უმზერდა.

– შეძლებთ საკუთარი გზის პოვნას – იმას, თუ როგორ უნდა მოახერხოთ, ადამიანებს ეს ნივთები მოაწონოთ.

ჩილდენი მოულოდნელობისგან ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

«ეს ადამიანი იმას მეუბნება, რომ ვალდებული ვარ ედფრენკის საიუველირო ნაკეთობებზე მორალური პასუხისმგებლობა ავიღო! შეშლილი, ნევროზული იაპონური თვალთახედვა: პოლ კაზუორასთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ სამკაულის სულიერი საზრისია, სხვა არაფერი.

და ყველაზე ცუდი ის არის, რომ პოლი ამ თემაზე იაპონური კულტურისა და ტრადიციის მცოდნეებს ესაუბრა.

პასუხისმგებლობა, – სიმწრით გაიფიქრა ჩილდენმა, – საკმარისია ერთხელ აიღო საკუთარ თავზე და მერე მთელი სიცოცხლე ვეღარ მოიშორებ. სიმძიმედ დაგაწვება. როგორც პოლი ამბობს, თავისი მისია შეასრულა და პასუხისმგებლობა მოიხსნა, ჩილდენისთვის კი, ეჰ, სამწუხაროდ, ის არასოდეს დასრულდება.

ყველანი შერყეულები არიან. აი, მაგალითად: დაცემულ ადამიანს დასახმარებლად ხელს არასოდეს გაუწვდიან, ვითომ ამით მას ღირსებას უნარჩუნებენ. ამას რა ჰქვია? და ეს მათი დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ სხვას რას უნდა მოელოდე ერისგან, რომელიც ინგლისური საესკადრო ნაღმოსნის ასლს აგებს და ორთქლის ქვაბის შემდგომი შეკეთებისას დადებული ყველა ნაწიბური უცვლელად გადმოაქვს?!».

პოლი თვალს არ აცილებდა. საბედნიეროდ, უკვე დიდი ხანია ჩილდენმა საკუთარი გრძნობების შენიღბვა ისწავლა. მშვიდი, აუღელვებელი სახე ჰქონდა, როგორც იმ ადამიანს, რომელიც შესანიშნავად აფასებს შექმნილ მდგომარეობას. ეს მისი ნიღაბი გახლდათ.

«საშინელებაა. კატასტროფა. ამას მერჩივნა პოლს ეფიქრა, რომ მისი ცოლის შეცდენას ვცდილობ.

ბეტი. არავითარი შესაძლებლობა აღარ არსებობს, რომ მან ეს სამკაული იხილოს. ჩემი ჩანაფიქრი ჩაფლავდა. ვუ შეუთავსებელია სექსუალობასთან, როგორც პოლი ამბობს, ის მოწიწების აღმძვრელი, წმინდაა, როგორც რელიკვია».

– იმ ადამიანებს ბარათები დავურიგე, – უთხრა პოლმა.

– უკაცრავად? – შეეკითხა ფიქრებში ჩაფლული ჩილდენი.

– თქვენი სავიზიტო ბარათები, რათა მაღაზიაში მოსვლა და ნაკეთობების დათვალიერება შეძლონ.

– გასაგებია.

– და კიდევ: ჩემს ერთ ნაცნობს თქვენთან სურს საუბარი, საქმიანი წინადადება აქვს. აი, მისი სახელი და მისამართი, – პოლმა ჩილდენს კვადრატული ფურცელი გაუწოდა, – ბიზნესმენი მეგობრებისგან შეიტყო თქვენს შესახებ. იმპორტიორია. სხვადასხვა საქონლის დიდი პარტიები შემოაქვს და გააქვს, განსაკუთრებით – სამხრეთ ამერიკაში. რადიოები, ფოტოაპარატები, ბინოკლები, მაგნიტოფონები და ასე შემდეგ.

ჩილდენი ფურცელს დასცქეროდა.

– რასაკვირველია, ძალიან დიდ პარტიებს ყიდის, – დაამატა პოლმა, – თითოეულ ნივთს ათეულ ათასობით. მის კომპანიას ეკუთვნის უამრავი საწარმო, რომლებშიც მასობრივ მომხმარებელზე გათვლილი იაფფასიანი ნივთები მზადდება. ამ საწარმოების უმრავლესობა აღმოსავლეთ სანაპიროზეა განლაგებული, იქ სადაც მუშახელი იაფია.

– მაგრამ, რატომ... – წამოიწყო ჩილდენმა.

– ასეთი ნივთები, – პოლმა ყუთი აიღო, გულსაბნევს თვალი შეავლო და მაშინვე დახურა სახურავი, – შესაძლებელია პლასტმასის ან ლითონისგან დამზადდეს. შტამპირების მეშვეობით. ნებისმიერი რაოდენობით.

ჩილდენი ერთ წამს დუმდა, მერე შეეკითხა:

– და ვუ? ის ამ ნივთებში იქნება?

პოლს ხმა არ ამოუღია.

– თქვენი რჩევაა, რომ მას შევხვდე?

– დიახ, – უპასუხა პოლმა.

– რატომ?

– თილისმები.

ჩილდენი მიაჩერდა.

– იღბლის მომტანი თილისმები, თან სატარებლად. ძირითადად ღარიბებისთვის. მთელ ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთში ძალიან პოპულარულია. უმრავლესობას ჯადოქრობის სჯერა. ჯადოები. სასწაულმოქმედი ხსნარები. გეუბნებით, ეს დიდი ბიზნესია, – პოლის სახეზე ნაკვთი არ იძროდა, ხმამ ჟღერადობა დაკარგა.

– როგორც ჩანს, ამ საქმით გვარიანი ფულის შოვნა შეიძლება, – ნელა წარმოთქვა ჩილდენმა.

პოლმა თავი დაუქნია.

– ეს თქვენი იდეა იყო?

– არა, – უპასუხა პოლმა. მერე ხმა აღარ ამოუღია.

«ესე იგი, უფროსის, – გაიფიქრა ჩილდენმა, – ეს სამკაული უფროსს აჩვენე, რომელიც იმ ბიზნესმენს იცნობს. შენი უფროსი – ან ვიღაც გავლენიანი პირი, ვიღაც, ვისაც შენ ემორჩილები, ვიღაც მდიდარი და წონიანი, იმ იმპორტიორს დაუკავშირდა».

«აი, რატომ დამიბრუნე ნივთი, – ახლა მიხვდა ჩილდენი, – არ გინდა მონაწილეობდე. მაგრამ შენც შესანიშნავად უწყი ის, რაც მეც ვიცი: მივალ და იმ ადამიანს შევხვდები. ასე უნდა მოვიქცე. არჩევანი არ მაქვს. გავყიდი ესკიზებს, ან მოგების პროცენტს მოვითხოვ; ერთმანეთში როგორმე მოვრიგდებით.

ხელები დაიბანე. განზე გადექი. შენი აზრით, ცუდი ტონია, ჩემი დარწმუნება სცადო ან გადამათქმევინო».

– გამდიდრების შესაძლებლობა გაქვთ, – პოლი ჯიუტად წინ იყურებოდა, თვალს არიდებდა, – არნახულად გამდიდრების.

– უცნაური მეჩვენება ეს აზრი, – უპასუხა ჩილდენმა, – ხელოვნების ნიმუშისგან თილისმების დამზადება. რაღაც წარმოუდგენელი ჩანს.

– ეს თემა ბიზნესისთვის საინტერესო არ არის. ნივთის ეზოთერული მნიშვნელობის შესახებ ვიცით მხოლოდ მე, თქვენ და იმ ადამიანებმა, რომელთაც ვესაუბრე. ისინი მალე მოვლენ თქვენს მაღაზიაში.

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილზე?

– ხელს ნუ ჰკრავთ ბედის ბოძებულ შესაძლებლობას. ის სერიოზული ადამიანია. მე და თქვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, ამ ქვეყანაზე რამდენი გაუნათლებელი ადამიანია. შტამპირებით დამზადებული თილისმები მათ გაახარებს, ამგვარი სიხარული ჩვენთვის გაუგებარია. ჩვენ ხომ უნიკალური, ან, სულ მცირე, ავთენტური ნივთები გვესაჭიროება. და არა ასლი, ნაყალბევი, – პოლი ისევ ჩილდენის თავზემოთ, სადღაც სიცარიელეში იმზირებოდა, – რომლებიც ათასობითაა.

«რას გულისხმობს, საინტერესოა – ნუთუ ისეთ ისტორიულ ნივთებს, რომლებიც, მაგალითად, ჩემს მაღაზიაში იყიდება (საკუთარი კოლექციიდან არაფერს ახსენებს) და მათგან ნაწილი იმიტაციაა? როგორც ჩანს, ამას მიანიშნებს მისი სიტყვები. ირონიულად საუბრობს ერთ თემაზე, სხვა რამეს კი გულისხმობს. ორაზროვნება ხომ სამისნო წიგნის მთავარი... თვისებაა. შეიძლება ითქვას, აღმოსავლური აზროვნებისაც. ახლა ამას მეკითხება: ვინ ხარ რობერტ? ის, ვისაც მისანი «არარაობად» მოიხსენიებს, თუ ის, ვისაც კეთილი რჩევით ეხმარება? უნდა გადაწყვიტო, აქ და ახლა. ან ერთ გზას ირჩევ, ან – მეორეს. შეუძლებელია ორივე გზაზე ერთდროულად სვლა. არჩევანის დრო მოვიდა. და რომელი გზას აირჩევდა «კეთილშობილი ადამიანი» პოლ კაზუორას აზრით? თუმცა, მისი აზრი არ არის იგივე, რაც ათასწლეულების სიბრძნით შექმნილი წიგნისა; ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოკვდავის – ახალგაზრდა

იაპონელი ბიზნესმენის მოსაზრებაა.

ჰო, აი, სად არის არსი. როგორც პოლმა თქვა, ვუ. შექმნილი მდგომარეობის ვუ ამგვარი გახლავთ: როგორც უნდა იყოს პირადული მისწრაფება, რეალობა იმპორტიორის გადაწყვეტილებაშია. ასეთი რამ სრულებით არ მომწონს, მაგრამ როგორც სამისნო წიგნი გვასწავლის, გარემოებას უნდა დავმორჩილდეთ.

ბოლოს და ბოლოს, ორიგინალები შემიძლია ჩემს მაღაზიაში გავყიდო. და კლიენტები იქნებიან, მაგალითად, პოლის მეგობრები».

– ვხედავ, საკუთარ თავს ებრძვით, – შენიშნა პოლმა, – უეჭველია, ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანს სურს მარტო დარჩეს, – წამოდგა და კარისკენ გაემართა.

– უკვე გადავწყვიტე.

პოლს თვალები აუკიაფდა.

ჩილდენმა თავი დაუკრა და განაგრძო:

– თქვენი რჩევის თანახმად, მოვინახულებ იმ იმპორტიორს, – შემდეგ ფურცელი აიღო.

უცნაურია, მაგრამ პოლი ნასიამოვნები სრულებით არ ჩანდა; მან რაღაც წაიბურტყუნა და მაგიდასთან დაბრუნდა.

«გრძნობებს მალავს», გაიფიქრა ჩილდენმა.

– დიდი მადლობა დახმარებისთვის, – ჩილდენი წასასვლელად მოემზადა, – იმედი მაქვს, ოდესმე საშუალება მომეცემა, იმავეთი გიპასუხოთ. ამას არ დავივიწყებ.

ახალგაზრდა იაპონელი ისევ შეუვალი იყო.

«სწორია, როდესაც ამბობენ, რომ ისინი გამოუცნობები არიან», გაიფიქრა ჩილდენმა.

ღრმად ჩაფიქრებულმა პოლმა კარამდე მიაცილა. მერე უეცრად ჰკითხა:

– ამერიკელმა ხელოვანებმა ეს ნივთი ხელით დაამზადეს, ხომ მართალია? მათი ხელნაკეთი ნამუშევარია?

– დიახ, თავდაპირველი ესკიზიდან ნამუშევრამდე.

– სერ! ისინი თუ დათანხმდებიან? ჩემი აზრით, როდესაც ამ ნაკეთობებს ქმნიდნენ, მათი ბედი სულ სხვაგვარი წარმოედგინათ.

– მათ დარწმუნებას შევძლებ, – ჩილდენს აზრით, ეს ყველაზე ნაკლებად თავსატეხ პრობლემას წარმოადგენდა.

– დიახ, ალბათ მართალი ბრძანდებით.

რობერტ ჩილდენს პოლის ნათქვამი რატომღაც უცნაური ეჩვენა. ბუნდოვანება და რაღაც კიდევ, რაც იგულისხმება, მაგრამ არ გამოითქმის. და უეცრად, ყველაფერი ცხადი გახდა: არავითარი ორაზროვნება და ბუნდოვანება.

რასაკვირველია, ცხადია. ამ საზარელი წინადადების არსი ამერიკული კულტურის დაუფარავი აღმოფხვრაა. ცინიზმი. ღმერთო! ის კი ამ ანკესს წამოეგო და მკედთან ერთად გადაყლაპა.

«ნაბიჯ-ნაბიჯ მიმიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე: ამერიკული ხელნაკეთი ნივთები მხოლოდ იღბლის მომტანი თილისმების დასამზადებლად გამოდგება.

აი, როგორ გვმართავენ იაპონელები – არა უხეშად, არამედ ნატიფად, დახვეწილად, კარგად გათვლილი ვერაგობით.

ჯანდაბა! მათთან შედარებით ნამდვილი ბარბაროსები ვართ. ამგვარი უმოწყალო აზროვნების პირისპირ სრულიად უღონონი. პოლს არ უთქვამს – არ შეეძლო ჩემთვის ეთქვა – რომ ჩვენი ხელოვნება არაფრად ვარგა, თავად მათქმევინა. და რაც ყველაზე სასაცილოა, ჩემმა ნათქვამმა დაამწუხრა კიდეც. გულდაწყვეტილის ცივილიზებული ქცევა, როდესაც ჩემგან ეს ჭეშმარიტება გაიგონა».

«გამტეხა», – ეს სიტვა ჩილდენმა კინაღამ ხმამაღლა წარმოთქვა. საბედნიეროდ, თავის შეკავება მოახერხა; წინანდებურად თავის შინაგან, საიდუმლო და პირადულ სამყაროში ჩაიკეტა.

«მეც დამამცირა და ჩემი ერიც. და არაფერი შემიძლია. ამის საწინააღმდეგო საშუალება არ არსებობს; დაგვამარცხეს და ამგვარი დახვეწილი უთვალავი მარცხისგან თავს ვერ ვიცავთ. ეს მათ კარგად ეხერხებათ. ფაქტობრივად, ევოლუციის კიდევ ერთი საფეხური გვაქვს გასავლელი, რათა განვვითარდეთ და ჩავწვდეთ, რა მოხდა.

კიდევ რა მაგალითია საჭირო იაპონელთა დახვეწილი მმართველობის დასადასტურებლად?» – ერთი სული ჰქონდა, გადაეხარხარა.

«ჰო, ანეკდოტს ჰგავს. კარგად უნდა დავიმახსოვრო და მოგვიანებით ამ ამბავზე ვიფიქრო. მაგრამ რისთვის? აი, ეს არის ნამდვილი პრობლემა. ვერავის გაანდობ, ეს ყველაფერი მეტისმეტად პირადულია.

პოლის ოფისის კუთხეში ნაგვის ყუთი იდგა.

«იქ! იქ არის მისი ადგილი! – გაიფიქრა ჩილდენმა ამ თითქოსდა ვუ-ს მქონე სამკაულზე.

«შევძლებ კი? მის გადაგდებას? პოლის თვალწინ?

არა, გადაგდებაც არ შემიძლია, – ახლა მიხვდა, როგორ ჩაფრენოდა ყუთს, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლო მოეღება მაღალი თანამდებობის მქონე იაპონელის კეთილგანწყობას.

ეშმაკმა წაგიღოთ! თქვენი ზეწოლის გამო ისე ვერ მოვქცეულვარ, როგორც მსურს».

ჩილდენს გაცხარებამ გადაუარა. პოლი თვალს არ აცილებდა, თუმცა ჯიუტად დუმდა; მისი სიტყვები არც იყო საჭირო, იქ ყოფნაც კმაროდა.

«ჩემი შეგნება და ეს სამკაული უხილავად გადააბა ერთმანეთს; ეს ნივთი, რომელიც ხელში მიჭირავს, და ჩემი სული.

ალბათ უკვე დიდი ხანია, რაც მათ გვერდით ვცხოვრობ. ძალიან დაგვიანებულია ფრთების გაშლა და გათავისუფლება, ცხოვრება ისე, როგორც უნდა იცხოვროს თეთრკანიანმა».

ხმამაღლა კი რობერტ ჩილდენმა ძლივს წარმოთქვა:

– პოლ...

– დიახ, რობერტ.

– პოლ... შეურაცხყოფილი ვარ.

ჩილდენის თვალწინ ოფისი ატორტმანდა.

– რატომ, რობერტ? – პოლს თანამგრძნობი, მაგრამ იმავდროულად, განზე მდგომი ადამიანის ხმა ჰქონდა.

– პოლ, ერთი წუთით, – ჩილდენმა თითით ანიშნა გულსაბნევზე, რომელიც გაოფლიანებულ თითებში მოექცია, – მე ამ ნამუშევრით ვამაყობ. შეუძლებელია მისგან იაფფასიანი თილისმა დამზადდეს. წინადადებას ვერ მივიღებ.

იაპონელს სახე არ შესცვლია, მხოლოდ უსმენდა, მაგრამ აშკარად ვერაფერს ხვდებოდა.

– და მაინც, თქვენი მადლობელი ვარ, – უთხრა ჩილდენმა.

პოლმა თავი დაუკრა.

ჩილდენმა ასევე უპასუხა.

– ის ადამიანი, რომელმაც ეს ნივთი დაამზადა, – განაგრძო ჩილდენმა, – ამაყი ამერიკელი ხელოვანია. მეც ვამაყობ. თქვენი წინადადება, ამ ნამუშევრის მიხედვით თილისმები დამზადდეს, შეურაცხმყოფელია და ბოდიშის მოხდას ვითხოვ.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

პოლი თვალს არ აცილებდა. მხოლოდ ცალი წარბი ასწია და წვრილი ტუჩები გაწელა. გაიღიმა?

– მოვითხოვ, – გაიმეორა ჩილდენმა. დასრულდა. მომავალი აღარ ადარდებდა. ახლა მხოლოდ უნდა დალოდებოდა.

არაფერი მომხდარა.

«გთხოვ, დამეხმარე», ფიქრობდა ჩილდენი.

– მაპატიეთ ჩემი ქედმაღლობა, – თქვა ბოლოს პოლმა და ხელი გაუწოდა.

– ყველაფერი რიგზეა.

ხელი ჩამოართვეს.

ჩილდენის გულში სიმშვიდემ დაისადგურა.

«ყველაფერს გადავიტან. ყველაფერს. ღმერთის წყალობით – ის, სწორედ ამ წუთას, ჩემთვის არსებობს. საჭირო დროს სხვებს ეხმარება. გამდიდრების შესაძლებლობა სხვა დროს თუ მექნება? სავარაუდოდ, აღარ».

მელანქოლიამ შეიპყრო. სულ ერთი წამით იგრძნო, თითქოს სადღაც ზემოთ იყო და ყველაფერს იქიდან ადევნებდა თვალს.

«სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა. ხელოვნება კი, და ყველაფერი ის, რაც სიცოცხლეზე მაღლა დგას – ხანგრძლივი, დაუსრულებელი, უბერებელი, როგორც ჭია, ბეტონის კედელს რომ ღრღნის. ჩემ წინ ბრტყელი, თეთრი, უხეში კედელია აღმართული, მასში ან მასზე უნდა გავიარო. დამთავრდა, აღარ ვიდგები ამ კედლის წინ».

ჩილდენმა პატარა ყუთს ხელი დაავლო და ედფრენკის სამკაული პალტოს ჯიბეში ჩაიდო.

12

– მისტერ ტაგომი, მისტერ იატაბე მობრძანდა, – რეიმსი ოფისის კუთხეში დადგა და ხანდაზმული გამხდარი მამაკაცი გაატარა.

ხელის ჩამორთმევის შემდეგ მისტერ ტაგომიმ უთხრა:

– მოხარული ვარ თქვენთან პირადად შეხვედრით, სერ.

ფერმკრთალი, მყიფე ბებრული ხელი ეჭირა ხელში; ისე ჩამოართვა, რომ რხევით და დაწოლით არ შეეწუხებინა. «იმედი მაქვს, არაფერი მოვტეხე», გაიფიქრა. მოხუცი შეა-თვალიერა და მაშინვე მოეწონა. მასში სიმტკიცე და შეუპოვრობა იგრძნობოდა. მახვილგონიერებაც. თითქოს ამ ადამიანში იყო გადმოსული ყველა ძველი ურყევი ტრადიცია. საუკეთესო, რასაც შეიძლება მოხუცებული განასახიერებდეს... და მხოლოდ მოგვიანებით გააცნობიერა, რომ მის წინ იმპერიის გენერალური შტაბის ყოფილი მეთაური გენერალი ტედეკი იდგა.

მისტერ ტაგომიმ თავი მდაბლად დაუკრა.

– გენერალო.

– მესამე მხარე სად არის? – შეეკითხა გენერალი ტედეკი.

– მალე აქ უნდა იყოს, თავად დავურეკე სასტუმროში.

გონება ისევ არეული ჰქონდა. ისევ მოხრილი იდგა, გამართვას ვერ ახერხებდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

გენერალი თავად დაჯდა. მისტერ რეიმსის წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვინ იყო ეს მოხუცი, ამიტომ აუღელვებლად შესთავაზა სკამი. მისტერ ტაგომი, ყოყმანის შემდეგ, გენერლის პირდაპირ მეორე სავარძელში ჩაჯდა.

– დროს ვკარგავთ, – თქვა გენერალმა, – სამწუხაროა, მაგრამ ვერაფერს გავხდებით.

– მართალს ბრძანებთ, – მიუგო მისტერ ტაგომიმ.

ათი წუთი გავიდა. ხმა არ ამოუღიათ.

– მაპატიეთ, სერ, – აწრიალდა მისტერ რეიმსი, – თუ არ გჭირდებით, წავალ.

მისტერ ტაგომიმ თავი დაუქნია და მისტერ რეიმსი ოთახიდან გავიდა.

– ჩაის ხომ არ მიირთმევთ, გენერალო? – შეეკითხა მისტერ ტაგომი.

– არა, სერ, გმადლობ.

– სერ, დაბნეული ვარ. ვხვდები, რომ ახლა რაღაც უჩვეულო უნდა მოხდეს.

გენერალმა თავი დაუკრა.

– მისტერ ბეინსი, რომელსაც შევხვდი და შინ მივიწვიე კიდეც, ამბობს, რომ შვედია. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, მაღალი თანამდებობის ან რაღაც ამგვარი გერმანელია. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ...

– განაგრძეთ, თუ შეიძლება.

– გმადლობთ. გენერალო, მისი მღელვარება მოსალოდნელი შეხვედრის გამო მაფიქრებინებს, რომ ეს ყველაფერი რაიხში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

მისტერ ტაგომის გენერლისთვის არ გაუმხელია, რომ მისი დაგვიანების მიზეზსაც მიხვდა.

– სერ, ეს მხოლოდ თქვენი ვარაუდებია. და არა დადასტურებული ინფორმაცია, – ტედეკის რუხი თვალები მამობრივი ალერსით უმზერდა, მათში დაცინვის ან საყვედურის ნატამალი არ ჩანდა.

მისტერ ტაგომიმ მორჩილად მიიღო ეს საყვედური.

– სერ, ჩემი დასწრება ამ შეხვედრაზე მხოლოდ და მხოლოდ ნაცისტებისთვის თვალის ასახვევი ფორმალობაა?

– რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის კონსპირაციულობით დაინტერესებული ვართ. მისტერ ბეინსი ჩვეულებრივი ბიზნესმენია, სტოკჰოლმური ფირმის «ტორ-ამის» წარმომადგენელი. მე კი სინირო იატაბე ვარ.

«მე კი ტაგომი, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – და საკუთარ თავთან ვთამაშობ».

– უეჭველია, ნაცისტები თვალს ადევნებენ მისტერ ბეინსის მოძრაობას, – განაგრძო გენერალმა, რომელიც მხრებში გამართული იჯდა, ხელები მუხლებზე ეწყო... «თითქოს საიდანღაც მოღწეულ ჩაის სურნელს ისუნთქავს», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – მაგრამ ტყუილის გამოაშკარავება მხოლოდ კანონიერი გზით შეიძლება. მისი მთავარი ამოცანაც ეს არის: კატა-თაგვობანა არ ეთამაშოს, არამედ დაიცვას ფორმალობები იმ შემთხვევაში, თუ ჩაავლეს. უკანასკნელ შემთხვევაში თავის გამართლებისთვის კარგი საბაბი ექნება.

– გასაგებია, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ.

«თამაშს ჰგავს. მაგრამ ჩვენები ნაცისტების აზროვნებას კარგად იცნობენ. ასე რომ, ალბათ უღირთ ეს ნაბიჯი».

მაგიდაზე სელექტორი აზუზუნდა და მისტერ რეიმსის ხმა გაისმა:

– სერ, მისტერ ბეინსია მოსული. შემოვუშვა?

– დიახ! – დაიყვირა მისტერ ტაგომიმ.

კარი გაიღო და უზადოდ შეკერილ და დაუთოებულ სამოსში გამოწყობილი მისტერ ბეინსი გამოჩნდა.

გენერალი ტედეკი წამოდგა. მისტერ ტაგომიც. სამივე მამაკაცი ერთმანეთს თავის დაკვრით მიესალმა.

– სერ, – მიმართა მისტერ ბეინსმა გენერალს, – კაპიტანი რუდოლფ ვეგენერი გახლავართ რაიხის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაზვერვის სამსახურიდან. წარმოვადგენ მხოლოდ საკუთარ თავს და რამდენიმე დაინტერესებულ ინდივიდს, და არა რაიხის მთავრობის რომელიმე ოფიციალურ სამსახურს.

– ჰერ ვეგენერ, გასაგებია, რომ რაიხის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი არ ბრძანდებით. არც მე ვარ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული. მაგრამ იმპერიის არმიაში ჩემი ადრინდელი თანამდებობის გამო გარკვეული გავლენა ისევ მაქვს და შემიძლია თქვენგან მიღებული ინფორმაცია გადავცე სათანადო დაინტერესებულ პირებს.

«გაუგებრად საუბრობენ, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – მაგრამ უსიამოვნო არაფერია. რაღაც მუსიკალურობა იგრძნობა. დამამშვიდებლად მოქმედებს».

სამივენი დასხდნენ.

– პირდაპირ საქმეზე გადავალ, – თქვა მისტერ ბეინსმა, – უნდა გაცნობოთ თქვენც და იმათაც, ვისთანაც დაკავშირება შეგიძლიათ, რომ რაიხი ემზადება განახორციელოს გეგმა, სახელწოდებით «Lowenzahn» – «ბაბუაწვერა».

– დიახ, – გენერალმა თავი ისე დაუქნია, თითქოს ადრე უკვე სმენოდა ამის შესახებ, მაგრამ მისტერ ტაგომიმ იგრძნო, როგორ მოუთმენლად ელოდა ინფორმაციას მისტერ ბეინსისგან.

– «ბაბუაწვერა» დაიწყება ინციდენტით კლდოვანი მთების შტატებისა და აშშ-ის საზღვარზე.

გენერალმა თავი დაუქნია და ოდნავ გაუღიმა.

აშშ-ის ჯარებს თავს დაესხმიან. ისინი შეტევაზე გადავლენ და კლდოვანი მთების შტატების არმიას შეავიწროვებენ, აიძულებენ საზღვარზე დაიხიოს, მაგრამ ამასობაში ბრძოლაში ჩაერთვებიან კონფლიქტის ზონის სიახლოვეს განლაგებული დანარჩენი სამხედრო ნაწილები. აშშ-ის არმიას გააჩნია დეტალური რუკები, რომლებზეც ასახულია შუა დასავლეთის ჯარების განლაგება. ეს არის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი კონფლიქტში გერმანიის ჩართვაა. აშშ-ის არმიის დასახმარებლად ვერმახტის საპარაშუტო დესანტი გადმოსხდება. თუმცა ეს კამუფლაჟი იქნება.

– გასაგებია, – თქვა გენერალმა, რომელიც გულისყურით უსმენდა.

– ოპერაცია «ბაბუაწვერას» უმთავრესი ამოცანა, – განაგრძობდა მისტერ ბეინსი, – მშობლიურ კუნძულებზე ატომური თავდასხმის განხორციელებაა, სრულიად გაუფრთხილებლად, – მცირე ხანს დუმდა.

– უნდა განადგურდეს იმპერატორის ოჯახი, არმია, იმპერიის ფლოტის ძირითადი ნაწილი, სამოქალაქო მოსახლეობა, ინდუსტრიული სექტორი, რესურსები, – გააგრძელა ჩაფიქრებულმა გენერალმა ტედეკიმ, – ამას კი მოჰყვება ჩვენი კუთვნილი კოლონიების დაპყრობა.

მისტერ ბეინსს ხმა არ ამოუღია.

– სხვა? – იკითხა გენერალმა.

მისტერ ბეინსი დაიბნა.

– თარიღი, სერ, – უთხრა გენერალმა.

– ყველაფერი შეიცვალა. მარტინ ბორმანის გარდაცვალების გამო. ჩემი აზრით, ეს არის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის აბვერთან კონტაქტი არ მაქვს.

– განაგრძეთ, ჰერ ვეგენერ, – სთხოვა გენერალმა.

– ჩვენი რეკომენდაციაა, იაპონიის მთავრობამ ყურადღებით შეისწავლოს რაიხის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა. უფრო სწორად, ეს ჩემი რეკომენდაციაა. რაიხის

ხელისუფლების ზოგიერთი ჯგუფი ოპერაცია «ბაბუაწვერას» მომხრეა; ნაწილი – წინააღმდეგი. კანცლერ ბორმანის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელთა ხელისუფლებაში მოსვლის იმედი არსებობდა.

– მაგრამ სანამ თქვენ აქ იმყოფებოდით, – სიტყვა ჩამოართვა გენერალმა, – ჰერ ბორმანი გარდაიცვალა და პოლიტიკური მდგომარეობაც თავისთავად ჩამოყალიბდა. ახლა რაიხსკანცლერი დოქტორი გებელსია. არეულობა დასრულდა, – მცირე ხანს დუმდა, – ახლა რა ბედი ეწევა ოპერაცია «ბაბუაწვერას»?

– დოქტორი გებელსი ოპერაციის გულმხურვალე მხარდამჭერია.

ვერავინ შენიშნა, როგორ დახუჭა მისტერ ტაგომიმ თვალები.

– მას ვინ უპირისპირდება? – შეეკითხა გენერალი ტედეკი.

მისტერ ტაგომის თითქოს შორიდან ჩაესმა მისტერ ბეინსის პასუხი:

– სს-ის გენერალი ჰაიდრიხი.

– გაოცებული ვარ, – უპასუხა გენერალმა ტედეკიმ, – და დაბნეული. ეს დადასტურებული ინფორმაციაა თუ მხოლოდ თქვენი ან თქვენი კოლეგების ვარაუდი?

– აღმოსავლეთის ტერიტორიის ადმინისტრაცია, რომელიც ამჟამად იაპონიის საკუთრებაშია, სამომავლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. კანცელარიასთან პირდაპირ დაკავშირებული როზენბერგის ხალხის ხელში. ეს საკითხი არაერთი შეხვედრის დროს განიხილებოდა მიმდინარე წლის განმავლობაში და ცხარე კამათის საგანს წარმოადგენდა. გადაღებული ოქმები მაქვს. პირველობას პოლიცია ითხოვდა, მაგრამ ჩაფლავდა. მათ ამბიციების დაკმაყოფილება კოსმოსის დაპყრობით მოუწევთ. მარსი, მთვარე, ვენერა. ეს იქნება პოლიციის სამოქმედო არეალი. მას შემდეგ, რაც უმაღლესი ხელისუფალის საკითხი გადაწყდა, პოლიცია მაშინვე წინ აღუდგა ოპერაცია «ბაბუაწვერას» განხორციელებას. მას სურს, მთელი სახსრები მის ხელში მოექცეს კოსმოსის დაპყრობის პროგრამის ასამოქმედებლად.

– დაპირისპირება, – თქვა გენერალმა ტედეკიმ, – ერთი დაჯგუფება მეორის წინააღმდეგ. მაგრამ ორივეს ერთი ლიდერი ჰყავს. ესე იგი, ლიდერისთვის არაფერია საშიში.

– მართალს ბრძანებთ, – უპასუხა ბეინსმა, – ამიტომაც ვარ აქ და ჩარევას გთხოვთ. ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, რადგან მდგომარეობა მყიფეა – სანამ დოქტორი გებელსი ფეხს მოიკიდებს მმართველობაში, რამდენიმე თვე გავა. მან პოლიციას კისერი უნდა მოუგრიხოს, შეიძლება ჰაიდრიხისა და ესესის, ასევე უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნების თავიდან მოშორებაც მოუწიოს. თუ ეს მოხდა...

– ჩვენ Sicherheitsdienst-ს

უნდა დავუჭიროთ მხარი? – გააწყვეტინა გენერალმა ტედეკიმ, – გერმანიის საზოგადოების ყველაზე ბოროტ ნაწილს?

– ასეა, – დაუდასტურა მისტერ ბეინსმა.

– იმპერატორი არასოდეს დაუჭერს მხარს უშიშროების სამსახურს. რაიხის ელიტურ დანაყოფებს, რომლებიც შავ პერანგებს ატარებენ, «მკვდარი თავის ქალების» დივიზიებს, კასტურ სისტემას – ეს ყველაფერი ბოროტებაა.

«ბოროტება, – ფიქრობდა მისტერ ტაგომი, – ჰო, ასეა. საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მომიზეზებითაც კი, თუ გვაქვს უფლება ბოროტების ხელისუფლებაში მოსვლა დავუშვათ? განა ეს არ არის მთელი დღევანდელი მდგომარეობის პარადოქსი?

ამ დილემის გადაჭრა არ ძალმიძს, შეუძლებელია. ადამიანს ამგვარი მორალური ორაზროვნების დროს მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ახლა ყველა გზა დახშულია; ყველგან ჩიხია. სინათლის და სიბნელის, გამოგონილისა და ჭეშმარიტის აღრევაა».

– რაიხის ფარგლებში წყალბადის ბომბი მხოლოდ ვერმახტს აქვს, – თქვა ბეინსმა, – შავპერანგიანებიც იყენებენ მას, მაგრამ მხოლოდ არმიის ზედამხედველობით. ბორმანის კანცლერობის დროს პოლიციას ატომური იარაღის საწყობებთანაც კი არ აკარებდნენ. ოპერაცია «ბაბუაწვერას» ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა განახორციელებს.

– ეს გასაგებია, – უპასუხა გენერალმა ტედეკიმ.

– მორალურ თვალსაზრისს რაც შეეხება, შავპერანგიანები ყოველთვის უფრო დაუნდობლები იყვნენ, ვიდრე ვერმახტი. თუმცა მათი ძალაუფლება მცირეა. უნდა ვიმოქმედოთ. რეალობის გათვალისწინებით და არა ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე.

– დიახ, რეალისტები უნდა ვიყოთ, – მოულოდნელად ჩაურთო მისტერ ტაგომიმ.

მისტერ ბეინსმა და გენერალმა ტედეკიმ ერთდროულად შეხედეს.

– თქვენი მოსაზრება როგორია? – შეეკითხა გენერალი ტედეკი მისტერ ბეინსს, – უშიშროების სამსახურის ამერიკის წყნარი ოკეანის

შტატების განყოფილებასთან კონტაქტის დამყარება თუ ღირს? თუ პირდაპირი მოლაპარაკება – არ ვიცი, ახლა ვინ არის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საზიზღარი ტიპი უნდა იყოს.

– ადგილობრივ უშიშროების სამსახურში არაფერი იციან, – უპასუხა მისტერ ბეინსმა, – ბრუნო კროიც ფონ მეიერი ძველი პარტიელია. Ein Altparteigenosse. ნამდვილი იმბეცილი. ბერლინიდან მას არავინ ჩააყენებს საქმის კურსში; ის მხოლოდ ადგილობრივი, რუტინული

საქმეებისთვის სჭირდებათ.

– აბა ვინ? – გენერალი გაღიზიანებული ჩანდა, – რაიხის აქაური კონსული, ან იქნებ, რაიხის ელჩი ტოკიოში?

«ეს საუბარი უშედეგოდ დასრულდება, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – აზრი არ აქვს. არ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ ნაცისტური შიდა ინტრიგების შიზოფრენიულ ბუნებას. ამას ჩვენი აზროვნება ვერ ეგუება».

– ფრთხილად მოქმედებაა საჭირო, – განაგრძო მისტერ ბეინსმა, – მთელი რიგი შუამავლების მეშვეობით. ვისაც შეუძლია რაიხის ტერიტორიის გარეთ, ნეიტრალურ ქვეყნებში მყოფ ჰაიდრიხის მომხრეებს დაუკავშირდეს. ან ვინმე ისეთი, ვინც ხშირად დაფრინავს ტოკიოსა და ბერლინს შორის.

– ასეთს ვინმეს იცნობთ?

– იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი ჩიანო. ჭკვიანი, საიმედო და მამაცი ადამიანი, რომელიც შესანიშნავად იცნობს საერთაშორისო ვითარებას; მაგრამ უშიშროების სამსახურის აპარატთან პირდაპირი კონტაქტი მას არ აქვს. თუმცა, შეუძლია სხვა არხების გამოყენება გერმანიაში, ეკონომიკური ინტერესების მქონეთა ჩართვა კრუპის ან თუნდაც, გენერალ შპეიდელის მეშვეობით, ან სულაც, ვაფენ-ესესის ხელმძღვანელობის მეშვეობით. ვაფენ-ესესში ფანატიკოსები არ არიან და შესანიშნავად ესმით გერმანიის საზოგადოების ინტერესი.

– თქვენი ორგანიზაცია, აბვერს ვგულისხმობ, ჰაიდრიხს ვერ დაუკავშირდება?

– შავპერანგიანები დასანახად ვერ გვიტანენ. ოც წელზე მეტია, პარტიისგან ჩვენს ლიკვიდაციას ითხოვენ.

– მათი მხრიდან პირადად თქვენ თუ გემუქრებათ საფრთხე? – შეეკითხა გენერალი ტედეკი, – როგორც მითხრეს, უშიშროების სამსახური აქ, წყნარი ოკეანის სანაპიროზე საკმაოდ აქტიურად მუშაობს.

– აქტიურად, მაგრამ უნიათოდ, – უპასუხა მისტერ ბეინსმა, – საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რეისი, უნარიანი ჩანს, მაგრამ ის უშიშროების სამსახურს უპირისპირდება.

– ფოტოფირები დამჭირდება, რაც თქვენ გაქვთ. ჩემი მთავრობისთვის გადასაცემად. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ამ საკითხს ეხება და... – გენერალი ტედეკი მცირე ხანს ყოყმანობდა, – მტკიცებულებები. ობიექტური.

– რასაკვირველია, – ბეინსმა პალტოს ჯიბიდან ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, – ყოველი სიგარეტი მიკროფილმის კონტეინერია, – პორტსიგარი გენერალს გადასცა.

– თავად პორტსიგარი? – გენერალმა ნივთი დაკვირვებით დაათვალიერა, – ძვირად ღირებული ჩანს, – სიგარეტები ამოალაგა.

– პორტსიგარიც, – გაიღიმა მისტერ ბეინსმა.

– მადლობას მოგახსენებთ, – გენერალმა ტედეკიმ საპასუხოდ გაუღიმა და პორტსიგარი პალტოს ჯიბეში შეინახა.

მაგიდაზე სელექტორი აზრიალდა. მისტერ ტაგომიმ ღილაკს თითი დააჭირა.

მისტერ რეიმსის ხმა გაისმა:

– სერ, ქვედა სართულზე უშიშროების სამსახურის რაზმია, შენობაში შემოჭრას ცდილობს. მათ «ტაიმსის» დაცვა წინააღმდეგობას უწევს, – ქუჩიდან სირენების კივილი გაისმა, – სამხედრო პოლიცია და სან-ფრანცისკოს კემპეტაი მოდის ჩვენს დასახმარებლად.

– გმადლობთ, მისტერ რეიმსი, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – თქვენი სიმშვიდე არსებულ სიტუაციაში ნამდვილად ღირსეული საქციელია, – მისტერ ბეინსი და გენერალი ტედეკი დაძაბული უსმენდნენ საუბარს, – ბატონებო, – ახლა მათ მიმართა მისტერ ტაგომიმ, – არ აღელდეთ, ამ სართულამდე უშიშროების სამსახური ვერ ამოაღწევს, – მერე მისტერ რეიმსის მიმართა, – ლიფტები გამორთეთ, თუ შეიძლება.

– დიახ, მისტერ ტაგომი, – უპასუხა მისტერ რეიმსიმ.

– დაველოდოთ, – მისტერ ტაგომიმ მაგიდის უჯრა გამოსწია და ტექის ხის ყუთი ამოიღო, სახურავი ახადა და შესანიშნავად შენახული, 1860 წლის სამოქალაქო ომის დროინდელი 44-კალიბრიანი კოლტი გამოაჩინა. ეს იარაღი ნებისმიერი კოლექციონერის სასურველი ნივთი გახლდათ. ყუთიდან ამოღო ასევე ტყვია-წამალი და გაოგნებული მისტერ ბეინსისა და გენერალ ტედეკის თვალწინ იარაღის დატენას შეუდგა, – ეს ჩემი პირადი კოლექციიდანაა, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – თავისუფალ დროს ჩემს გატაცებას ვუთმობ – კოვბოურად სროლას. თუ სხვა ენთუზიასტების გამოცდილებას შევადარებთ, ამ საქმეში გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიე. თუმცა საქმეში ეს იარაღი აქამდე არასოდეს გამომიყენებია.

დატენილი იარაღი მისტერ ტაგომიმ შემოსასვლელ კარს მიუშვირა. იჯდა და ელოდა.

სარდაფში გამართულ სახელოსნოში დაზგასთან ფრენკ ფრინკი იჯდა. ხელში სანახევროდ დასრულებული ვერცხლის საყურე ეჭირა და საპრიალებელ ქარგოლზე აპრიალებდა; თვალებში ლითონის ნამცეცები ეყრებოდა, ხელები და ფრჩხილები შავ ლაქებს დაეფარა. ლოკოკინის ნიჟარის ფორმის საყურე ქარგოლზე ხახუნისგან გაცხელებულიყო, მაგრამ ფრინკი სულ უფრო მეტი ძალით აჭერდა ნივთს.

– ძალიანაც ნუ გააპრიალებ, – უთხრა ედ მაკკართიმ, – მარტო ნაწიბურები მოაშორე; ჩაღრმავებები დარჩეს.

ფრენკ ფრინკმა რაღაც გაუგებრად წაიბურდღუნა.

– ბაზარზე უკეთ გადის ვერცხლი, რომელიც ადგილ-ადგილ ჩაშავებულია, – განაგრძო ედმა, – ასე უფრო ძველებურ ნივთს ჰგავს.

«ბაზარი», გაიფიქრა ფრინკმა.

ვერაფერი გაყიდეს. თუ არ ჩავთვლით «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» მაღაზიაში, ჩილდენთან საკომისიოს საფასურად დატოვებულ რამდენიმე ნაკეთობას. დანარჩენმა ხუთმა მაღაზიამ მათი სამკაულების მიღებაზე უარი თქვა.

«ვერაფერს გავყიდით, – გაიფიქრა ფრინკმა, – ვამზადებთ და ვამზადებთ სამკაულებს, ჩვენი სახელოსნოს გარეთ კი არ გადის».

საყურის სამაგრი ქარგოლის ბორბალს გამოედო; ფრინკს ხელებს შორის გაცურდა და იატაკზე გაგორდა. დაზგა გამორთო.

– ნუ კარგავ ნივთებს, – საყვედურით უთხრა მაკკართიმ.

– ჯანდაბა, ბარდის მარცვალზე პატარაა. წესიერად ხელში დაჭერაც მიჭირს.

– ახლა მოძებნე.

«ეშმაკსაც წაუღია», გაიფიქრა ფრინკმა.

– რა მოხდა? – შეეკითხა მაკკართი, როცა დაინახა, რომ ფრინკი სრულებითაც არ აპირებდა საყურის მოძებნას.

– ფულს ვერაფერში მივიღებთ.

– რაც არ დაგვიმზადებია, იმაში ფულს ვერ მივიღებთ.

– ვერაფერს გავყიდით, მნიშვნელობა არ აქვს, დავამზადებთ თუ არა.

– ხუთი მაღაზია – ეს ხომ ზღვაში წვეთია.

– მოთხოვნის გასაგებად საკმარისია, – არ შეეპუა ფრენკი.

– ცხვირს ნუ ჩამოუშვებ.

– არც ვაპირებ, ცხვირი ჩამოვუშვა.

– ეს რას ნიშნავს?

– იმას, რომ ჯართის ბაზარზე უნდა ვიმუშაოთ.

– გეყოფა, – უთხრა მაკკართიმ.

– მეყო.

– თუ ასეა, მარტო გავაგრძელებ, – მაკკართიმ შესადუღებელი ხელსაწყო ჩართო.

– ხარახურა როგორ გავიყოთ?

– არ ვიცი. მოვიფიქრებთ.

– ნახევარი მომეცი.

– ჯანდაბამდის გზა გქონია.

– ექვსასი დოლარი გადამიხადე.

– დაზგის ნახევარი არ გინდა?

მცირე ხანს ორივე დუმდა.

– კიდევ სამ მაღაზიაში მივიდეთ, – უთხრა მაკკართიმ, – და თუ არაფერი გამოვიდა, ამ საუბარს კვლავ დავუბრუნდეთ, – სახეზე ნიღაბი ჩამოიფარა და სამაჯურზე თითბრის შესაკრავის მირჩილვას შეუდგა.

ფრენკ ფრინკი წამოდგა. იატაკზე ხელი მოაფათურა, საყურე მოძებნა და დაუმთავრებელი ნაკეთობების ყუთში ჩააგდო.

– მოსაწევად გავალ, – წაიბურტყუნა და სარდაფის კიბეს აუყვა.

ცოტა ხანს კარის წირთხლთან იდგა, ტ'იენ-ლაის ფირმის მარიხუანიან სიგარეტს ეწეოდა.

«ყველაფერი დასრულდა, – გაიფიქრა, – ამას სამისნო წიგნი არ სჭირდება; თავადაც ვხვდები; ამის სურნელი ტრიალებს. მარცხის.

რთულია იმის თქმა, ასე რატომ მოხდა. თუმცა, თეორიულად, შეგვიძლია ასე დაუსრულებლად ვიაროთ მაღაზიიდან მაღაზიაში, ქალაქიდან ქალაქში. მაგრამ... რაღაც ისე მაინც არ არის. ამას არც ჩვენი მონდომება შველის და არც ძალისხმევა.

ძალიან მინდა ვიცოდე, რატომ.

მაგრამ ვერასოდეს გავიგებ.

რაღაც ისე არ გავაკეთეთ, მაგრამ რა? სანაცვლოდ როგორ უნდა მოვქცეულიყავით?

ავჩქარდით. დაო დავარღვიეთ. არასასურველი მიმართულებით წავედით. და ახლა... მხოლოდ იმედგაცრუება, მარცხი გველოდება.

ინმა გვაჯობა. სინათლემ ზურგი გვაქცია და სხვა მიმართულებით წავიდა.

ახლა ისღა დაგვრჩენია, დავმორჩილდეთ».

კარის ზღურბლთან მდგარი ნერვიულად ეწეოდა და თან მანქანების მოციმციმე სინათლეებს

უმზერდა, რომ მაისურში გამოწყობილი საშუალო ასაკის, ჩვეულებრივი შესახედაობის მამაკაცი მიუახლოვდა.

– მისტერ ფრინკი ხართ? ფრენკ ფრინკი?

– დიახ, – უპასუხა ფრინკმა.

მამაკაცმა ჯიბიდან დაკეცილი დოკუმენტი და მოწმობა ამოიღო.

– სან-ფრანცისკოს პოლიციის დეპარტამენტიდან ვარ. თქვენი დაპატიმრების ორდერი მაქვს, – ფრინკმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ კაცმა იდაყვზე ხელი მოუჭირა.

– რისთვის?

– თაღლითობისთვის. მისტერ ჩილდენი, «ამერიკული ხელნაკეთი ნივთების» მაღაზიიდან, მოატყუეთ, – პოლიციელმა ფრინკი ტროტუარისკენ წაიყვანა; საიდანღაც კიდევ ორი გამოჩნდა, რომლებიც აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და იქვე გაჩერებულ უსახურ «ტოიპეტში» ჩატენეს.

«აი, როგორ გამოცდას გვიმზადებს ბედისწერა, – გაიფიქრა მანქანაში ორ პოლიციელს შორის მჯდარმა ფრინკმა. კარი ხმაურით მიაჯახუნეს და მანქანაც, რომელსაც ფორმაში გამოწყობილი მესამე პოლიციელი მართავდა, დანარჩენი მანქანების ნაკადს შეუერთდა, – ჩვენ კიდევ ასეთ არარაობებს უნდა ვემორჩილებოდეთ».

– ადვოკატი თუ გყავთ? – შეეკითხა ერთ-ერთი პოლიციელი.

– არა.

– განყოფილებაში სიიდან შეგეძლებათ ამორჩევა.

– გმადლობთ.

– ფული სადღაა? – ჰკითხა მოგვიანებით კიდევ ერთმა პოლიციელმა, როდესაც კერნი-სტრიტზე პოლიციის გაყოფილების გარაჟში მივიდნენ.

– დავხარჯე.

– მთელი ფული?

ფრინკს ხმა აღარ ამოუღია.

პოლიციელებიდან ერთ-ერთმა ხელი ჩამოართვა და გადაიხარხარა.

მანქანიდან რომ გადადიოდნენ, ჰკითხეს:

– შენი გვარი ხომ ფინკია?

ფრინკი შიშმა აიტანა.

– ფინკი, – გაიმეორა პოლიციელმა, – ურია ხარ, – მერე დიდი ნაცრისფერი საქაღალდე გაშალა, – ევროპიდან ჩამოხვედი.

– ნიუ-იორკში დავიბადე, – შეეწინააღმდეგა ფრენკ ფრინკი.

– ნაცისტებს გაექეცი, – არ ცხრებოდა პოლიციელი, – იმედია ხვდები, ეს რასაც ნიშნავს?

ფრენკ ფრინკი გარაჟის გასავლელისკენ გაიქცა. პოლიციელებმა დაიყვირეს, გასასვლელთან პოლიციის მანქანამ ფრინკს გზა მოუჭრა. მანქანიდან გადმოსულმა იარაღიანმა პოლიციელმა გაუღიმა და ხელბორკილი დაადო. მაჯაზე დამაგრებული ლითონის რგოლით ისევ იმ ადგილს უბრუნდებოდა, საიდანაც გამოიქცა.

– შინ, გერმანიაში, – თქვა ფრინკის დანახვაზე ერთ-ერთმა პოლიციელმა.

– ამერიკელი ვარ, – უპასუხა ფრენკ ფრინკმა.

– ურია ხარ, – არ ცხრებოდა პოლიციელი.

კიბეზე რომ ადიოდნენ, ერთმა პოლიციელმა მეორეს ჰკითხა:

– აქ გააგორებენ?

– არა. გერმანიის კონსულს გადასცემენ. მერე გერმანიაში გაგზავნიან და იქაური კანონებით გაასამართლებენ.

ფრენკ ფრინკს ადვოკატების სია თვალით არ უნახავს.

უკვე ოცი წუთი გავიდა, მისტერ ტაგომი გაუნძრევლად იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან, თვალს არ აცილებდა კარს, რომლისთვისაც იარაღი დაემიზნებინა. მისტერ ბეინსი ბოლთას სცემდა. მოხუცმა გენერალმა ცოტა ხანს იფიქრა, მერე სან-ფრანცისკოში იაპონიის ელჩთან დაეკვა გადაწყვიტა. მაგრამ, როგორც საელჩოს თანამშრომელმა აცნობა, ბარონი კელემაკულე ქალაქში არ იყო.

ახლა გენერალი ტედეკი ტოკიოში დარეკვას აპირებდა წყნარი ოკეანის სატელეფონო ხაზით.

– სამხედრო აკადემიაში დავრეკავ, – აუხსნა მისტერ ბეინსს, – ისინი აქ ახლომახლო განლაგებულ იმპერიის არმიის ნაწილებს გააფრთხილებენ, – მღელვარება სრულებით არ ეტყობოდა.

«ამასობაში რამდენიმე საათი გავა, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – შესაძლოა იაპონელი საზღვაო ქვეითები გამოგზავნონ, ტყვიამფრქვევებითა და ნაღმმტყორცნებით შეიარაღებული. ოფიციალური არხებით მოქმედების შემთხვევაში სასურველი შედეგის მიღება შეიძლება...

მაგრამ დრო იკარგება. ჩვენ კი დახმარება ახლა გვჭირდება, სწორედ მაშინ, როცა ქვემოთ მდივნებსა და კლერკებს ესვრიან და უსწორდებიან».

თავად მას ბევრი არაფერი შეეძლო.

– იქნებ გერმანიის კონსულს დაუკავშირდეთ, – შესთავაზა მისტერ ბეინსმა.

მისტერ ტაგომის თვალწინ წარმოუდგა, როგორ კარნახობს ჰერ ჰუგო რეისისთვის განკუთვნილ მკვახე საპროტესტო ნოტას მის ეიფრიკიანს.

– მე დავურეკავ ჰერ რეისს, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – სხვა ხაზით.

– თუ შეიძლება, – თქვა მისტერ ბეინსმა.

მისტერ ტაგომის 44-კალიბრიანი კოლტი ისევ კარისთვის ჰქონდა მიშვერილი, როდესაც მაგიდაზე ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა. მხოლოდ საიდუმლო კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ტელეფონის აპარატი გამოსრიალდა.

გერმანიის საკონსულოს ნომერი აკრიფა.

– გამარჯობა, ვინ რეკავს? – იკითხა მამაკაცის უხეშმა, აქცენტიანმა ხმამ. საკონსულოს თანამშრომელი უნდა ყოფილიყო.

– მის აღმატებულებას, ჰერ რეისს სთხოვეთ. სასწრაფო საქმეა. მისტერ ტაგომი ვარ იმპერიის სავაჭრო მისიიდან, აუცილებელი საქმე მაქვს, – მომთხოვნი, პირქუში ტონით ესაუბრებოდა.

– დიახ, სერ. ერთი წუთით მოითმინეთ, თუ შეიძლება, – კარგა ხანი გავიდა. ტელეფონში ჩამიჩუმი არ ისმოდა, არც ტკაცუნის ხმა.

«აპარატის გვერდით დგას, არც განძრეულა, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – ჩრდილოელებისთვის დამახასიათებელი ეშმაკობაა».

მეორე ტელეფონთან მჯდარ გენერალ ტედეკის და მისტერ ბეინსს კი უთხრა:

– რასაკვირველია, ჩემს გაცურებას აპირებენ.

– მაპატიეთ რომ გალოდინეთ, მისტერ ტაგომი, – როგორც იქნა, გაისმა საკონსულოს თანამშრომლის ხმა.

– არა უშავს.

– კონსული შეხვედრაზეა, მაგრამ...

მისტერ ტაგომიმ ყურმილი დაკიდა.

«ფუჭი ძალისხმევაა, – გაიფიქრა ხასიათწამხდარმა, – კიდევ ვის შეგვიძლია დავურეკოთ? ტოკოკა უკვე საქმის კურსშია, სანაპიროს

სამხედრო პოლიციაში დარეკვას აზრი არ აქვს. პირდაპირ ბერლინში? რაიხსკანცლერ გებელსთან? ნაპაში, იმპერიის სამხედრო საჰაერო ბაზაზე, და მათ ვთხოვოთ დახმარება?»

– უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს, ჰერ ბრუნო კროიც ფონ მეიერს დავურეკავ, – გადაწყვიტა ხმამაღლა, – ჯერ ჩივილით დავიწყებ, მერე ყვირილსა და ლანძღვასაც არ მოვერიდები, – მისტერ ტაგომიმ ნომერი აკრიფა, რომელიც სან-ფრანცისკოს სატელეფონო ცნობარის თანახმად, «ლუფტჰანზას» აეროპორტის ტერმინალის ძვირფასი ტვირთების დაცვის სამსახურს ეკუთვნოდა, – ახლა გაიგონებთ ლანძღვას ისტერიკის ზღვარზე.

– აბა თქვენ იცით, კარგი წარმოდგენა მოუწყვეთ, – გაიღიმა გენერალმა ტედეკიმ.

მისტერ ტაგომიმ გერმანელის ხმა გაიგონა:

– ვინ რეკავს?

«ჩემზე არანაკლები შემართებით გამოირჩევა», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, ამასობაში ხმა არ ცხრებოდა:

– სწრაფად მიპასუხეთ!

– გიბრძანებთ, ახლავე დააპატიმროთ და გაასამართლოთ თქვენი კაცისმკვლელების და დეგენერატების ბანდა, – იყვირა მისტერ ტაგომიმ, – აქედან მოაშორეთ თქვენი ქერა ბერსერკები! გესმის თუ არა, Kerl?

[89]

ტაგომი გელაპარაკებათ, იმპერიის მთავრობის კონსულტანტი. ხუთი წამს გაძლევთ, მერე იაპონიის არმიის საზღვაო ქვეითების სპეცრაზმი ფოსფორიან ხელყუმბარებს დაუშენს. ცივილიზაციის შემარცხვენლებო!

ხაზის მეორე ბოლოში რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნეს.

მისტერ ტაგომიმ მისტერ ბეინსს თვალი ჩაუკრა.

– ... ჩვენ არაფერი ვიცით, – გაისმა ბოლოს.

– იტყუები! – უყვირა მისტერ ტაგომიმ, – კარგი, სხვა არჩევანი აღარ დაგვიტოვეთ, – მერე ყურმილი დაახეთქა, – რასაკვირველია, ეს ყველაფერი ბლეფია და ბევრს ვერაფერს შეცვლის, – მიმართა გენერალ ტედეკისა და მისტერ ბეინსს, – მაგრამ მაინც კარგია უშიშროების სამსახურის ანერვიულება.

გენერალი ტედეკი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს კარზე ბრახუნი ატყდა; ერთი წამის შემდეგ კარი გაიღო.

ორი ზორბა თეთრკანიანი შემოვარდა, ორივეს მაყუჩიანი იარაღი ეჭირა. ისინი მაშინვე მისტერ ბეინსისკენ გაემართნენ.

– Das ist er,

[90]

– თქვა ერთმა.

მაგიდასთან მჯდომმა მისტერ ტაგომიმ თავისი 44-კალიბრიანი კოლტი ასწია და სასხლეტს თითი დააჭირა. შემოსულთაგან ერთი მაშინვე იატაკზე დაეცა. მეორემ მისტერ ტაგომის თავისი იარაღი მიუშვირა და ისროლა. მისტერ ტაგომის სროლის ხმა არ გაუგონია, მხოლოდ ტყვიის ზუზუნი ესმოდა, სასხლეტიდან თითი არ აუღია, ისევ და ისევ ისროდა.

უშიშროების აგენტს ტყვია ყბაში მოხვდა. ჰაერში ძვლის, კბილის, კანის ნაფლეთები დატრიალდა. «პირში მოხვდა, – გაიაზრა მისტერ ტაგომიმ, – საზარელი შედეგი აქვს, განსაკუთრებით მიჯრით სროლისას».

უყბოდ დარჩენილის თვალებში ჯერ კიდევ ჩანდა სიცოცხლის ნაპერწკალი. «მხედავს», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

ერთი წამის შემდეგ კაცმა თვალები დახუჭა, გერმანელს ხელიდან გაუვარდა იარაღი, თავად კი არაადამიანური ხრიალით იატაკზე გაგორდა.

– რა საზიზღრობაა, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

კარში უშიშროების სამსახურის სხვა აგენტი აღარ გამოჩენილა.

– ალბათ, ყველაფერი დასრულდა, – დიდი ხნის პაუზის შემდეგ ხმა ამოიღო გენერალმა ტედეკიმ.

მისტერ ტაგომიმ იარაღის გადატენას დამღლელი სამი წუთი მოანდომა, შემდეგ კი სელექტორის ღილაკს დააჭირა თითი.

– თუ შეიძლება, სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ. ჩემს ოფისში მძიმედ დაჭრილი ბანდიტია.

არავინ უპასუხა, მხოლოდ ხმადაბალი გუგუნი ისმოდა.

ბეინსმა ორივე გერმანელს იარაღი აართვა, ერთი გენერალს მიაწოდა, მეორე კი თავად დაიტოვა და ახალი თავდასხმისთვის მოემზადა.

– ახლა მათ დასახვედრად მზად ვართ, – მისტერ ტაგომი მოხერხებულად მოკალათდა და წინანდებურად კარს მიუშვირა თავისი კოლტი, – ჩემს ოფისში მშვენიერი ტრიუმვირატია.

დერეფნიდან ხმები გაისმა: «დანებდით, გერმანელო ბანდიტებო!»

– ყველაფერი დასრულდა, – დაიყვირა მისტერ ტაგომიმ, – ერთი მკვდარია ან კვდება. შემოდით და თავად დარწმუნდებით.

«ნიპონ ტაიმსის» თანამშრომელთა ნაწილს ნაჯახით, თოფით, ცრემლსადენი აირის ყუმბარებით შეიარაღება მოესწრო.

– Cause célèbre

[91]

, – თქვა მისტერ ტაგომიმ, – ამერიკის წყნარი ოკეანის შტატების საკრამენტოს მთავრობას დაუყოვნებლივ შეუძლია ომის გამოუცხადოს რაიხს, – თავისი იარაღი ჩაკეტა, – ნებისმიერი საშუალებით.

– მონაწილეობას უარყოფენ, – თქვა მისტერ ბეინსმა, – ეს მიღებული ხერხია. ადრეც არაერთხელ გამოუყენებიათ, – იარაღი მისტერ ტაგომის მაგიდაზე დადო, – შეხედეთ, იაპონიაშია დამზადებული.

არ ხუმრობდა. მართალს ამბობდა. მაგიდაზე საუკეთესო ხარისხის იაპონური სპორტული იარაღი იყო. მისტერ ტაგომი დაკვირვებით ათვალიერებდა.

– ისინი გერმანელებიც არ არიან, – განაგრძო მისტერ ბეინსმა და გარდაცვლილს საფულე აართვა, – წყნარი ოკეანის შტატების მოქალაქეა. სან-ხოსეში ცხოვრობს. არაფერი მოწმობს რაიხის უშიშროების სამსახურთან მის კავშირს. ჯეკ სანდერსი ჰქვია, – საფულე იატაკზე დააგდო.

– ჩვეულებრივი ძარცვა, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ, – მოტივი:Lჩვენი სეიფის გასუფთავება. პოლიტიკური მიზეზი არ არსებობს, – ფეხზე გაჭირვებით წამოდგა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მკვლელობის ან მოტაცების მცდელობა უშიშროების სამსახურმა ჩააფლავა. მაგრამ მათ კარგად იციან, ვინ არის მისტერ ბეინსი და რისთვის ჩამოვიდა.

– არცთუ სახარბიელო პროგნოზია, – დაასკვნა მისტერ ტაგომიმ.

სამისნო წიგნის გამოყენების აზრმა გაუელვა. იქნებ მას დაეცვა ისინი? რჩევა მიეცა, გაეფრთხილებინა, სწორ გზაზე დაეყენებინა.

ბარბაცებდა, მაგრამ ხელში მაინც აიღო ფარსმანდუკის ორმოცდაცხრა ღერო.

«მდგომარეობა მთლიანობაში არეული და უჩვეულოა. ადამიანური გონება მას ვერ ჩაწვდება; მხოლოდ ხუთი ათასი წლის განმავლობაში დაგროვილ სიბრძნეს შეუძლია გაუმკლავდეს. გერმანული ტოტალიტარული საზოგადოება სიცოცხლის იმგვარ ფორმას ჰგავს, რომელიც შეცდომით გაჩნდა. მისი ყოველგვარი გამოვლინება ამაზრზენია. უაზრობათა კასკადი.

აქაური უშიშროების სამსახური იმ პოლიტიკის სამსახურშია, რომელსიც ბერლინისას სრულიად ეწინააღმდეგება. რა არის ამ ყველაფრის აზრი? სად არის ჭეშმარიტი გერმანია? ოდესმე თუ არსებობდა? სახელმწიფოებრიობის ძირგამომპალი პაროდია, რომელსაც რაც უფრო მეტად აკვირდები, მით მეტად გულისამრევი გეჩვენება.

მაგრამ მისანი მასაც მოერევა. «ი ძინი» ნაცისტური გერმანიის მსგავსი ჭკუიდან შეშლილი კატების ორგიაშიც გაერკვევა.

მისტერ ბეინსი უმზერდა დაბნეულ მისტერ ტაგომის, რომელსაც ხელიდან ხელში გადაჰქონდა ფარსმანდუკის ღეროები და მიხვდა, როგორ სიღრმისეულად იყო შეძრული ეს ადამიანი.

«მისთვის ორი ადამიანის დასახიჩრება და მოკვლა არა მხოლოდ საზარელი, არამედ სრულიად აუხსნელი ქმედებაა, – გაიფიქრა მისტერ ბეინსმა, – როგორ შეგვიძლია გავამხნევოთ? ჩემს დასაცავად ისროლა; ამ ორის სიკვდილისთვის მორალური პასუხისმგებლობა მე მეკისრება და არც გავურბივარ მას. მზად ვარ, ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღო».

გენერალი ტედეკი მისტერ ბეინსს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

– თქვენ სასოწარკვეთილ ადამიანს ხედავთ. ეჭვი არ არის, იგი ბუდისტებს შორის გაიზარდა. ამ კულტურისთვის სიცოცხლის წართმევა უცხოა; სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა წმინდად ითვლება.

მისტერ ბეინსმა თავი დაუქნია.

– იგი შეძლებს სულიერი წონასწორობა აღიდგინოს, – განაგრძობდა გენერალი ტედეკი, – გარკვეული დროის შემდეგ. ამჟამად მას საყრდენი გამოეცალა ჩადენილი საქციელის გასაანალიზებლად და გასააზრებლად. ეს წიგნი დაეხმარება, საჭირო გზას უჩვენებს.

– მესმის, – თქვა მისტერ ბეინსმა.

«შეიძლება დახმარებოდა პირველყოფილი ცოდვის შესახებ დოქტრინაც, მაგრამ ალბათ, ამის შესახებ არაფერი სმენია: ყველანი განწირული ვართ ბოროტებისა და ძალადობის ჩასადენად; ეს ჩვენი ბედისწერაა, რომელიც წარსულიდან მოდის. ჩვენი კარმა.

ერთი სიცოცხლის გადასარჩენად მისტერ ტაგომიმ ორის სიცოცხლე გაწირა. ლოგიკურად მოაზროვნე, გაწონასწორებული ადამიანისთვის ეს სრული აბსურდია. ისეთ ადამიანს, როგორიც მისტერ ტაგომია, მსგავსი რამ შესაძლოა გონებრივ აშლილობად დაუჯდეს.

და მაინც, უმთავრესი არ არის აწმყო, არც ჩემი თუ ამ ორი ნაძირალას სიკვდილი; ჰიპოთეტურად თუ ვიტყვით, ყველაზე მთავარი მომავალია – აქ მომხდარს გაამართლებს ან არ გაამართლებს ის, რაც მოგვიანებით მოხდება. იქნებ მილიონობით იაპონელის სიცოცხლის გადარჩენა შევძლოთ?

მაგრამ ეს ადამიანი, რომელსაც მცენარის ღეროები ხელიდან ხელში გადააქვს, ახლა ამაზე არ ფიქრობს; მისთვის ყველაზე აუტანელი აწმყოა, ეს წამი; მისი ოფისის იატაკზე მკვდარი და მომაკვდავი გერმანელები ყრიან.

გენერალმა ტედეკიმ მართალი თქვა; მისტერ ტაგომის დრო სჭირდება სულიერი წონასწორობის აღსადგენად. თუ ეს არ მოხდა, ის ჭკუიდან შეცდება, სამუდამოდ დაკარგავს რეალობასთან კავშირს, რასაც მისი უიმედობა გამოიწვევს.

სიმართლე ითქვას, ჩვენც დიდად არ განვსხვავდებით მისგან. ჩვენს გონებაშიც ასეთივე არეულობაა. ამიტომ, სამწუხაროდ, მისტერ ტაგომის ვერ დავეხმარებით. მხოლოდ უნდა დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ის გონებას მოიკრებს და ყველაფერს დაძლევს».

13

დენვერში მდიდრულ, თანამედროვე მაღაზიებს ესტუმრნენ. ტანსაცმელი, ჯულიანას აზრით, არნახულად ძვირი ღირდა, მაგრამ ჯოს ეს სრულებით არ აღელვებდა; თვალის დაუხამხამებლად იხდიდა თანხას ნებისმიერი შენაძენისთვის, მერე სხვა მაღაზიაში მიდიოდნენ.

მრავალი კაბის გასინჯვის შემდეგ ჯულიანამ, დღის მეორე ნახევარში, როგორც იქნა აარჩია მთავარი შენაძენი – იტალიური ბაცი ცისფერი კაბა, ფართო სახელოებითა და უაღრესად ღრმა დეკოლტეთი. ევროპულ მოდის ჟურნალებში ჰქონდა ნანახი ასეთ კაბაში გამოწყობილი მოდელის ფოტო; წლის ყველაზე დახვეწილ სტილად ითვლებოდა და ჯოს ის თითქმის ორი ათასი დოლარი დაუჯდა.

კაბისთვის ჯულიანამ შეიძინა სამი წყვილი ფეხსაცმელი, ნეილონის ახალი წინდები, რამდენიმე ქუდი და ახალი, ხელნაკეთი შავი ტყავის ჩანთა. მერე აღმოაჩინა, რომ კაბის დეკოლტეს ახალი ბიუსტჰალტერი სჭირდებოდა, რომელიც მკერდის მხოლოდ ქვედა ნაწილს დაფარავდა. როდესაც ტანსაცმლის მაღაზიის სარკეში მთლიანად გამოჩნდა, ჯულიანამ გაიფიქრა, ახალ კაბაში დახრა სახიფათო იქნებაო. მაგრამ კონსულტანტმა გოგონამ დაარწმუნა, სამხრეების არქონის მიუხედავად, შერჩეული ბიუსტჰალტერი ზუსტად ერგებოდა კაბას.

«მარტო ძუძუსთავებს ფარავს, – შენიშნა თავისთვის ჯულიანამ და კაბინაში დაკვირვებით ათვალიარებდა, – არც ერთი მილიმეტრით არ სცდება». ეს შენაძენიც ძალიან ძვირი დაჯდა; იმპორტული აღმოჩნდა და როგორ გამყიდველმა განმარტა, ხელნაკეთიც იყო. გამყიდველმა ჯულიანას სპორტული სამოსი, შორტები, საცურაო კოსტიუმები და ხალათიც აჩვენა, მაგრამ ჯოს სახეზე მოუთმენლობა დაეტყო, ამიტომ მაღაზია დატოვეს.

სანამ ჯო პაკეტებს მანქანაში ალაგებდა, ჯულიანამ ჰკითხა:

– როგორ ფიქრობ, ხომ საოცრად მომიხდა?

– ჰო, – წაიბურტყუნა კაცმა, რომელიც რაღაც სხვაზე ფიქრობდა, – განსაკუთრებით, ცისფერი კაბა. მასთან, აბენდსენთან როდესაც წავალთ, მაგ კაბას ჩაიცვამ, გასაგებია? – ეს ბოლო წინადადება ისე უხეშად წარმოთქვა, თითქმის ბრძანებას ჰგავდა; ამან ჯულიანა გააკვირვა.

– თორმეტ-თოთხმეტ ზომას ვიცვამ, – უთხრა ქალმა გამყიდველს მორიგ მაღაზიაში.

გამყიდველმა მომხიბლავად გაუღიმა და სამოსით დახუნძლული საკიდრებისკენ გაუძღვა.

კიდევ რა აეღო? ჯულიანა ფიქრობდა. გადაწყვიტა, რაც შეიძლებოდა ბევრი სამოსი შეეძინა; თვალები აუჭრელდა – ბლუზები, ქვედაკაბები, სვიტრები, შარვლები, პალტოები.

– გრძელი პალტო მჭირდება. მაგრამ არა ქსოვილის.

გერმანული სინთეტიკური ბეწვის ქურქი შეარჩიეს; ნატურალურზე გამძლე იყო და ნაკლებიც ღირდა. მაინც იმედგაცრუებული ჯულიანა ახლა სამკაულების თვალიერებას შეუდგა. მაგრამ დახლზე გამოფენილი ჰქონდათ უსახური ნაკეთობები, ორიგინალურობისა და შემოქმედებითობის ნატამალი რომ არ აჩნდათ.

– რაიმე სამკაული მჭირდება, – აუხსნა ჯოს, – საყურე მაინც. ან გულსაბნევი – ცისფერ კაბას რომ მოუხდეს.

კაცს ხელი ჩაჰკიდა და საიუველირო მაღაზიისკენ წაიყვანა.

– შენი ტანსაცმელი? ყიდვა დაგვავიწყდა. კიდევ ერთხელ უნდა ჩამოვუაროთ მაღაზიებს, – უთხრა ჯულიანამ დამნაშავის ხმით.

სანამ სამკაულს ათვალიერებდა, ჯო საპარიკმახეროში შეჩერდა თმის შესაჭრელად. ნახევარი საათის შემდეგ უკან დაბრუნებულს რომ შეხედა, ჯულიანა გაოგნდა: არა მხოლოდ ძალიან მოკლედ შეეჭრა თმა, არამედ შეეღება კიდეც. ქალმა ძლივს იცნო; ჯო ახლა ქერა იყო.

«ღმერთო! რა საჭირო იყო?»

– მომბეზრდა მაკარონიჭამიად ყოფნა, – მხრები აიჩეჩა ჯომ. მეტი აღარაფერი უთქვამს, რადგან მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდნენ და მისთვის შეუდგნენ სამოსის შერჩევას.

შესანიშნავად შეკერილი, დიუპონის ახალი სინთეტიკური ბოჭკოს, დაკრონისგან დამზადებული შარვალ-კოსტიუმი აარჩიეს. ასევე ახალი წინდები და საცვლები, მოდური ფეხსაცმელი წვეტიანი ცხვირით. «კიდევ რა? – გაიფიქრა ჯულიანამ, – პერანგები. და ჰალსტუხები». გამყიდველთან ერთად ორი თეთრი პერანგი შეარჩიეს ფრანგული მანჟეტებით, რამდენიმე ფრანგული ჰალსტუხი და ვერცხლის საკინძები. ყველაფერს სულ ორმოცი წუთი დასჭირდა. «რა ადვილი ყოფილა», გაუკვირდა ჯულიანას.

ჯულიანას აზრით, ჯოს კოსტიუმი შესაცვლელი იყო, მაგრამ კაცი აღელვებული ჩანდა; სწრაფად გადაიხადა თანხა რაიხსბანკის ბანკნოტებით. «რაღაც კიდევ სჭირდება, – მიხვდა ჯულიანა, – საფულე!». ქალმა და გამყიდველმა შავი ალიგატორის ტყავის საფულეზე შეაჩერეს არჩევანი. მაღაზია დატოვეს და მანქანაში დაბრუნდნენ; ხუთის ნახევარი იყო და ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ, უკვე ნაყიდი ჰქონდათ.

– შენი პიჯაკი ცოტათი ხომ არ დავავიწროვებინო? – შეეკითხა ჯოს, რომელიც საჭესთან იჯდა და დენვერის ცენტრისკენ მიდიოდა.

– არა, – მკვახე, უხეშმა პასუხმა გააოცა.

«რაღაც რიგზე ვერ არის... იქნებ მეტისმეტი მომივიდა? ამდენი რამე ვიყიდე... ალბათ ასეცაა.

– შემიძლია რამდენიმე ქვედაკაბა დავაბრუნო.

– ჯობია სასადილოდ წავიდეთ, – წაიბურტყუნა კაცმა.

– ღმერთო! – წამოიძახა ჯულიანამ, – ღამის პერანგები დამავიწყდა.

განრისხებულმა ჯომ გადახედა.

– არ გინდა რამდენიმე მშვენიერი ახალი პიჟამა მაჩუქო? კარგად რომ გამოვიყურებოდე და...

– არა, – თავი გააქნია ჯომ, – დაივიწყე. სადმე უნდა ვჭამოთ.

– ჯერ სასტუმროში უნდა გავიაროთ რეგისტრაცია, მერე გამოვიცვალოთ. მერე წავალთ საჭმელად.

«ნამდვილი მდიდრული სასტუმრო უნდა იყოს, – გაიფიქრა ქალმა, – ისე ყველაფერი ჩაიშლება. თუმცა უკვე გვიანაა. სასტუმროში უნდა ვიკითხოთ, სად ამზადებენ დენვერში ყველაზე გემრიელ საჭმელს. და კიდევ რომელიმე ღამის კლუბზეც შეიძლება გაგება, სადაც ადგილობრივი ნიჭიერები კი არა, ევროპელი ვარსკვლავები გამოდიან, Eლეანორ პერესის ან უილი ბეკის მსგავსი. კარგად ვიცი, ვარსკვლავებს უყვართ დენვერში ჩამოსვლა, რეკლამები მინახავს. უფრო ნაკლებს არ დავთანხმდები».

კარგი სასტუმროს ძებნაში ჯულიანა დროდადრო გვერდით მჯდომ ჯოს თვალს შეავლებდა ხოლმე. მოკლედ შეჭრილ ქერა თმასა და ახალ სამოსში თითქოს სრულიად სხვა ადამიანი იყო. «ნეტავ ახლა უფრო მომწონს? ძნელი სათქმელია. მეც შევიჭრი თმას და ორივენი თითქმის სხვა ადამიანები ვიქნებით. არაფრისგან, უფრო სწორად, ფულისგან შექმნილები. ჰო, თმა აუცილებლად უნდა შევიჭრა».

დენვერის საქმიან ცენტრში მიაგნეს მდიდრულ სასტუმროს, რომლის კართან ლივრეაში გამოწყობილი შვეიცარი იდგა და მანქანების სადგომზე გაჩერებას ხელმძღვანელობდა. სწორედ ის იყო, რაც ჯულიანას სურდა. მეკორიდორემ, მოწიფულმა მამაკაცმა, რომელსაც რატომღაც მეზღვაურის მაისური ეცვა, მათი ბარგი იღლიაში ამოიჩარა. ჯოსა და ჯულიანას ისღა დარჩენოდათ, ხალიჩით მოფენილ ფართო კიბეს აყოლოდნენ. წითელი ხისა და მინის კარი შეაღეს და ვესტიბიულში აღმოჩნდნენ.

ვესტიბიულის ორსავე მხარეს პატარა ჯიხურები ჩამწკრივებულიყო: ყვავილების მაღაზია, საჩუქრების მაღაზია, ტელეგრაფი, თვითმფრინავის ბილეთების დასაჯავშნი ოფისი, სტუმრების ფაციფუცი დახლთან და ლიფტებთან, უზარმაზარი ქოთნის მცენარეები, რბილი სქელი ხალიჩა ფეხქვეშ. ჯულიანა სასტუმროს სურნელს ისუნთქავდა, მრავალი ადამიანის, ფუსფუსის ხმებს აყურადებდა. ნეონის მაჩვენებლები მიუთითებდნენ, სად იყო სასტუმროს

რესტორანი, კოქტეილ-ბარი, ბუფეტი. ეს ყველაფერი ძლივს აღიქვა, სანამ ნომრის დასაჯავშნად დახლთან მივიდოდნენ.

ვესტიბიულში წიგნების მაღაზიაც მოჰკრა თვალი.

სანამ ჯო რეგისტრატურაში აგვარებდა საქმეს, ჯულიანამ ბოდიში მოუხადა და წიგნის მაღაზიას მიაშურა, აინტერესებდა, «კალიას» ყიდდნენ თუ არა. და მართლაც, დახლზე ახლათახალი ეგზემპლარები ჩაემწკრივებინათ, მათ გვერდით გამოფენილ ფირნიშზე კი მყიდველს მიუთითებდნენ, რაოდენ პოპულარული წიგნი იყო «კალია» და რასაკვირველია – რაიხის მმართველობის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე აკრძალული. მოღიმარი, შუახნის გამყიდველი ქალბატონი, რომელიც ალერსიან ბებიას ჰგავდა, ჯულიანას მოემსახურა; წიგნი თითქმის ოთხი დოლარი ღირდა, რაც მისთვის არცთუ იაფი გახლდათ, თუმცა ჯულიანამ წიგნის საფასური რაიხსბანკნოტებით გადაიხადა და უკან, ჯოსთან დაბრუნდა.

გაყვნენ მათივე ბარგით დატვირთულ მეკორიდორეს, რომელმაც ლიფტით მეორე სართულზე აიყვანა და მდუმარე, ხალიჩით დაფარული დერეფნის გავლით შესანიშნავ, სულისშემძვრელად კომფორტულ ნომრამდე მიაცილა; კარი გაუღო, ბარგი ნომერში შეიტანა, ფანჯრის საკეტი და ჩამრთველები შეამოწმა; ჯომ დამატებითი გასამრჯელო გადაუხადა და მეკორიდორემ კარი გაიხურა.

ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ჯულიანას წარმოედგინა.

– დენვერში რამდენ ხანს დავრჩებით? – შეეკითხა ჯოს, მაგრამ მას პასუხი არ გაუცია, პაკეტები საწოლზე გაეშალა და სათითაოდ ხსნიდა, – შაიენში წასვლამდე?

ჯოს არც ამჯერად ამოუღია ხმა, ახლა თავის ჩემოდანში იქექებოდა.

– ერთ დღეს თუ ორს? – ჯულიანამ ქურქი გაიხადა, – იქნებ სამი დღით დავრჩენილიყავით?

– ამაღამ წავალთ, – თავი ასწია და უკმეხად მოიგო კაცმა.

ჯულიანას ეგონა მომესმაო, ხოლო როდესაც მიხვდა, რაც თქვა, ვერ დაიჯერა. მის გაოგნებულ მზერას ჯომ უკიდურესად დაძაბული გამომეტყველება შეაგება, ისეთი, როგორიც ქალს მანამდე არც ერთი ადამიანის სახეზე არ უნახავს – კაცს თითქოს დამბლა დაეცა, გაშეშებულიყო, ხელებში კი ჩემოდნიდან ამოღებული საცვლები ეჭირა.

– მას შემდეგ, რაც ვისადილებთ, – დაამატა ბოლოს.

ჯულიანამ ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეპასუხა.

– ასე რომ, ის ცისფერი კაბა ჩაიცვი, ამდენი რომ დაჯდა, რომელიც მოგეწონა და გიხდება, გასაგებია? – პერანგის ღილების გახსნა დაიწყო, – გავიპარსავ და შხაპს მივიღებ, – კაცის ხმა ისე ისმოდა, თითქოს ათეულობით მილის დაშორებით, ტელეფონით ან რადიოთი გადაიცემოდა. შებრუნდა და ჯარისკაცული მარშით, მუხლების მოუხრელად, სააბაზანოსკენ

გასწია.

– უკვე ძალიან გვიანაა, – ესღა ამოღერღა ჯულიანამ.

– არა. დაახლოებით ექვსის ნახევარზე, ყველაზე გვიან, ექვსზე ვისადილებთ. შაიენში ორ ან ორსაათნახევარში ჩავალთ. მხოლოდ ცხრის ნახევარი იქნება. ყველაზე გვიან – ცხრა საათი. ახლა დაურეკავ და აბენდსენს ეტყვი, რომ მის სანახავად მივდივართ; ვითარებას აუხსნი. მასზე შთაბეჭდილებას მოახდენს, ამსიშორიდან რომ ჩავდივართ. ეტყვი, თითქოს დასავლეთი სანაპიროდან ჩამოვფრინდით და დენვერში მხოლოდ ერთი ღამით გავჩერდებით; მაგრამ ისე მოგვეწონა მისი წიგნი, რომ მზად ვართ შაიენში ჩავიდეთ და ჩამოვიდეთ ამ ერთ ღამეში, მხოლოდ იმიტომ, რომ...

– რისთვის? – გააწყვეტინა ჯულიანამ და უნებურად ხელები მომუშტა, ისე როგორც ეს ბავშვობაში სჩვეოდა – ცერა თითებით მუშტის შიგნით; ნიკაპი აუკანკალდა და თვალებიდან ცრემლები წასკდა. როდესაც ხმის ამოღება შეძლო, თავადვე გაუკვირდა, ისე ჩუმად ლაპარაკობდა:

– არ მინდა ამაღამ მის სანახავად წასვლა; და არ წავალ. არც ხვალ მინდა. საერთოდ არ მინდა. აქ დასვენებას ვაპირებ. როგორც დამპირდი, – ამას ამბობდა და გულში კვლავ ის გაუგებარი შიში ჰქონდა, რომელიც არასოდეს ტოვებდა ბოლომდე მას შემდეგ, რაც მის ცხოვრებაში ჯო გამოჩნდა; არ ტოვებდა ყველაზე სასიხარულო წუთებშიც კი.

– როცა დავბრუნდებით, მერე ავიკლებთ აქაურობას და კარგადაც დავისვენებთ, – ისე მშვიდად ელაპარაკებოდა ჯო, თითქოს წინასწარ დასწავლილი ჰქონდა ტექსტი.

– არა, – თქვა ქალმა.

– ჩაიცვი ცისფერი კაბა, – ჯომ პაკეტები გადაქექა და ყველაზე მოზრდილი ყუთი მოძებნა. შემოაცალა თოკი, კაბა ამოიღო და საწოლზე ფრთხილად გაშალა; არ ჩქარობდა, – ჩაიცვი, კარგი? შოკისმომგვრელი იქნები. მისმინე, ერთი ბოთლი ძვირად ღირებული შოტლანდიური ვისკიც ვიყიდოთ და ისე წავიდეთ. მაგარი იქნება.

«ფრენკ, – გაიფიქრა ჯულიანამ, – მიშველე. არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს».

– შორსაა, – უპასუხა ჯოს, – წარმოდგენაც არ გაქვს. რუკაზე ვნახე. სინამდვილეში ასე მალე იქ ვერ ჩავალთ. თერთმეტი საათი იქნება, ან თორმეტს გადაცილებულიც კი.

– ჩაიცვი კაბა, თორემ მოგკლავ.

ჯულიანამ ნერვიულად ჩაიცინა და თვალები დახუჭა. «ჩემი ვარჯიში ძიუდოში სწორედ ახლა გამომადგება. ვნახოთ, მომკლავს თუ მანამდე სამუდამოდ დავახეიბრებ კისერზე საჭირო ნერვის მოძებნის შემდეგ? მაგრამ ის ხომ ბრიტანელ სპეცრაზმელებს ებრძოდა; ალბათ ეს ყველაფერი მასაც ნასწავლი აქვს, მრავალი წლის წინ».

– ვიცი, შეგიძლია დამაგდო, – უთხრა ჯომ, – თუ შეძელი.

– არ ვაპირებ შენს დაგდებას, მაგრამ შენი სამუდამოდ დახეიბრება კი შემიძლია. დასავლეთის სანაპიროზე ვცხოვრობდი. იაპონელებმა მასწავლეს, სიეტლში. თუ ასე გინდა, წადი შაიენში, მე კი აქ დავრჩები. და არ გაბედო რაიმე დამაძალო. შენი მეშინია და საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, – ხმა აუთრთოლდა, – თუ ხელს დამაკარებ, შენი საქმე ცუდად იქნება.

– ოჰ, გეყოფა რა, ჩაიცვი ეს დაწყევლილი კაბა! ასეთი რა გითხარი? სულ ცემა-დასახიჩრებაზე ლაპარაკობ, არადა, რა გითხარი? რესტორანში სადილობის შემდეგ მანქანით წავალთ ავტორის სანახავად, რომლის წიგნიც...

კარზე დააკაკუნეს.

გაჯავრებულმა ჯომ კარისკენ გასწია და გააღო. უნიფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი იყო:

– ტანსაცმლის წმენდა-მოწესრიგების სამსახური. თქვენ ითხოვეთ ჩვენი მომსახურება, სერ?

– დიახ, – ჯო საწოლთან დაბრუნდა, ახალი თეთრი პერანგები გაუწოდა, – შეგიძლიათ ნახევარ საათში გაუთოებული დამიბრუნოთ?

– თუ მხოლოდ გაუთოებაა საჭირო, და არა გარეცხვა, რა თქმა უნდა, შემიძლია სერ, – უპასუხა მოსამსახურემ.

– ჰო, მხოლოდ გაუთოება.

ჯომ კარი დახურა, ჯულიანამ კი თქვა:

– საიდან იცი, რომ ჩაცმამდე ახლად ნაყიდი პერანგი უნდა გაუთოვდეს?

კაცსა არაფერი უპასუხია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

– დამავიწყდა, – განაგრძო ჯულიანამ, – არადა, ქალს უნდა ახსოვდეს... როდესაც ახლად შეძენილი სამოსი ცელოფნიდან ამოგაქვს, მას ნაკეცები ეტყობა.

– ახალგაზრდობაში შესაფერის საზოგადოებაში ვტრიალებდი და სათანადოდ ვიცვამდი.

– როგორ გაიგე, რომ სასტუმროს ტანსაცმლის გაწმენდა-მოწესრიგების სამსახური აქვს? მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ან თმა ნამდვილად შეიჭერი და შეიღებე? ჩემი აზრით, ყოველთვის ქერა იყავი და აქამდე პარიკს ატარებდი. მართალს ვამბობ?

ჯომ ისევ მხრები აიჩეჩა.

– ნაცისტების უშიშროების სამსახურიდან უნდა იყო. თავს კი ისე აჩვენებ, თითქოს მანქანის მძღოლი გაპო ხარ. ჩრდილოეთ აფრიკაში არასოდეს გიბრძოლია, ხომ ასეა? და აქ აბენდსენის მოსაკლავად ჩამოხვედი – მართალს ვამბობ? ვიცი, რომ ასეა. ყველაფერს მივხვდი, მიუხედავად იმისა, რომ მომხიბლავი უჭკუო ქალი ვარ, – ქანცგაცლილი იყო, დასუსტებული,

ფეხებს ძლივს იმაგრებდა.

მცირე ხნის შემდეგ ჯომ უპასუხა:

– ჩრდილოეთ აფრიკაში ნამდვილად ვიყავი. მაგრამ პარდის საატრილერიო ბატარეაში კი არ ვიბრძოდი, არამედ – ბრანდენბურგის, – მერე დაამატა, – ვერმახტის სპეცრაზმი იყო. ბრიტანეთის ჯარების ზურგში ვიპარებოდით. მაგრამ რა განსხვავებაა – საქმე თავზე საყრელი გვქონდა. კაიროშიც ვიბრძოდი; საბრძოლო მედალი დავიმსახურე, ჩემი გვარი წარჩინებულთა სიაშია. კაპრალის წოდება მაქვს.

– ის კალამი იარაღია?

კაცს ხმა არ ამოუღია.

– ბომბია, – უეცრად წამოიძახა ჯულიანამ, – შენიღბული ბომბი, რომელიც შეხების შემდეგ ამოქმედდება.

– არა, – უთხრა ჯომ, – კალამი, რომელიც შენ ნახე, მხოლოდ და მხოლოდ ორვატიანი რაციაა კავშირის დასამყარებლად. იმ შემთხვევაში, თუ გეგმა შეიცვალა ბერლინში პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების კვალდაკვალ.

– სანამ იმოქმედებ, მანამდე უნდა დაუკავშირდე. იმისთვის, რომ საბოლოო დასტური მიიღო.

ჯომ თავი დაუქნია.

– იტალიელი კი არა, გერმანელი ხარ.

– შვეიცარიელი.

– ჩემი ქმარი კი ებრაელია.

– არ მაინტერესებს, შენი ქმარი ვინ არის. მხოლოდ ის მინდა, ეს კაბა ჩაიცვა და თავი მოიწესრიგო, რომ რესტორანში სასადილოდ წავიდეთ. მინდა პარიკმახერთანაც მიხვიდე – თმა შეიჭერი. შესაძლოა აქ, სასტუმროში, სილამაზის სალონი ღიაა. ჩადი, სანამ მე გავიპარსავ და დავიბან.

– როგორ აპირებ მის მოკვლას?

– ჯულიანა, გთხოვ, ჩაიცვი ახალი კაბა. ქვემოთ დავრეკავ და პარიკმახერს გავაფრთხილებ, – ჯო სასტუმროს ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

– მე რიღასთვის დაგჭირდი?

სანამ ნომერს აკრეფდა, კაცმა უპასუხა:

– აბენდსენზე დოსიე გვაქვს და იქ წერია, რომ მას მუქკანიანი, ცეცხლოვანი გოგონები

მოსწონს. ახლოაღმოსავლური ან ხმელთაშუაზღვიური ტიპაჟები.

სანამ ჯო ტელეფონზე საუბრობდა, ჯულიანა საწოლზე გაწვა და სახეზე ხელები აიფარა.

– ჰყავთ პარიკმახერი, – უთხრა კაცმა და ყურმილი დაკიდა, – და შეუძლია სწორედ ახლა მოგემსახუროს. სალონში უნდა ჩახვიდე. ანტრესოლზეა, – ხელში რაღაც ჩაუდო, – ჯულიანამ თვალი გაახილა და რაიხსბანკის ბანკნოტები დაინახა, – მომსახურების გადასახდელი ფულია.

– თავი დამანებე. ძალიან გთხოვ.

კაცი ინტერესითა და წუხილით უმზერდა.

– სიეტლი სან-ფრანცისკოს ემგვანებოდა, დიდი ხანძარი რომ არ მომხდარიყო, – თქვა უცებ ჯულიანამ, – ძირითადად ძველი ხის შენობები იყო და მხოლოდ რამდენიმე აგურის. და გორაკები, როგორც სან-ფრანცისკოშია. იაპონელები დიდი ხნის წინ დასახლდნენ, ომამდე. იქ მათ მთელი რაიონი აქვთ, სახლებით, მაღაზიებითა და ყველაფრით; და ყველაფერი ძალიან ძველია. იქვე ნავსადგურია. ჩია მოხუცებული იაპონელი მასწავლიდა ყველაფერს – იქ ერთ ბიჭთან ერთად ვცხოვრობდი, სავაჭრო ფლოტის მეზღვაური იყო; და თავისუფალ დროს გაკვეთილზე დავდიოდი იაპონელთან. მინორი იჰოიასუ ერქვა. ჟილეტსა და ჰალსტუხს ატარებდა. ბურთივით მრგვალი იყო. რომელიღაც იაპონური დაწესებულების ზედა სართული ჰქონდა დაქირავებული; კარზე ძველებური ოქროსასოებიანი ფირფიტა იყო გაკრული, მიმღები დანტისტის კაბინეტს ჰგავდა, «ნეიშენალ ჯეოგრაფიკის» ნომრებით მაგიდებზე...

ჯომ იღლიებში ამოსდო ხელები და დასვა; ხელს არ უშვებდა.

– რა მოხდა? გეგონება, ავად ხარ, – სახეზე დაკვირვებით შეხედა, თითქოს მიზეზის ამოცნობას ცდილობდა.

– ვკვდები.

– მხოლოდ და მხოლოდ შიშის შემოტევაა. სულ ასე არ ხარ? აფთიაქში დამაწყნარებელი უნდა იყოს. ფენობარბიტალზე რას იტყვი? თანაც დღეს დილის ათი საათის შემდეგ არაფერი გვიჭამია. ყველაფერი კარგად იქნება. აბენდსენის სანახავად ჩავალთ, შენ არაფერი მოგეთხოვება, მხოლოდ ჩემ გვერდით უნდა იდგე, მე დაველაპარაკები. მხოლოდ გაუღიმე და ალერსიანად მოექეცი; საჭიროების შემთხვევაში საუბარში აჰყევი, რომ მან კარი არ დახუროს. როგორც კი დაგინახავს, დარწმუნებული ვარ, ამას არ იზამს, განსაკუთრებით, თუ ეს იტალიური კაბა გეცმევა. მის ადგილზე რომ ვიყო, აუცილებლად შეგიშვებდი შინ.

– სააბაზანოში მინდა გასვლა, – თქვა ჯულიანამ, – გული მერევა. გთხოვ, – მუდარით შეხედა, – ხელი გამიშვი, გასვლა მინდა.

ჯომ ხელი გაუშვა და ქალიც სააბაზანოსკენ წაბარბაცდა. კარი მიხურა.

«შევძლებ, – გაიფიქრა ქალმა. ჩამრთველს ხელი დააჭირა; სინათლემ თვალი მოსჭრა, – აუცილებლად ვიპოვი».

სააბაზანოს აფთიაქის თაროზე პერსონალის მიერ წინდახედულად დატოვებული სამართებლის პირების შეკვრა, საპონი და კბილის პასტა იდო. სამართებლის პირის ცისფერი კონვერტი გახსნა.

«ჰო, ცალმხრივია». ცხიმით გაპრიალებული ახალთახალი სამართებლის პირი ამოიღო.

შხაპი მოშვებული იყო. ჯულიანამ წყლის ქვეშ შეაბიჯა – მაგრამ ღმერთო, მას ხომ სამოსი ეცვა. ყველაფერი გაფუჭდა. კაბა დაუსველდა. თმაც. შეშინებული აკანკალდა, უკან დაიხია და კინაღამ წაიქცა. წყალი წინდებზე ჩამოსდიოდა... დაზაფრული ატირდა.

ჯომ ბაკანზე ხელჩაჭიდებული იპოვა. ჯულიანას ფეხებთან სველი ტანსაცმელი ეყარა; სრულიად შიშველი იდგა, თავს ცალი ხელით იმაგრებდა, და როდესაც მიხვდა, სააბაზანოში ჯოც იყო, უთხრა:

– ღმერთო, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემი კოსტიუმი გაფუჭდა. შალისაა, – სველ სამოსზე მიუთითა.

– არა უშავს, აქედან მაინც არაფერი დაგჭირდება, – მშვიდად უთხრა კაცმა, თუმცა სახე დაძაბული ჰქონდა.

დიდი და რბილი თეთრი პირსახოცით გაამშრალა, სააბაზანოდან რბილი ხალიჩით დაფარულ ოთახში გაიყვანა.

– რამე საცვალი ჩაიცვი. პარიკმახერს ვთხოვ, ზემოთ ამოვიდეს. აქ ყველაფერია, რაც დასჭირდება, – ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

– წამალზე რას მეუბნებოდი? – შეეკითხა ჯულიანა, როდესაც ტელეფონზე საუბარი დაასრულა.

– დამავიწყდა. აფთიაქში დავრეკავ. არა, მოიცა, მეც უნდა მქონდეს რაღაც. ნემბუტალი თუ რაღაც ასეთი, – ჩემოდანი გახსნა და ძებნას შეუდგა.

როდესაც ჯომ ორი ყვითელი აბი გაუწოდა, ჯულიანამ უხეშად ჰკითხა:

– სულს ხომ არ გამაფრთხობინებს?

– რა თქვი? – კაცს სახის კუნთები აუთამაშდა.

«წყეულიმც იყოს ჩემი საშო, – გაიფიქრა ქალმა, – ვერასოდეს გაიხაროს მასში მამაკაცის თესლმა».

– მომადუნებს?

– არა, «A.G. Chemie «-ის წამალია, მთელი გერმანია ამას სვამს. ხანდახან მეც ვიყენებ უძილობის საწინააღმდეგოდ. მოიცა, წყალს მოვიტან.

ჯო სააბაზანოსკენ გაქანდა.

«სამართებლის პირი, – გაიფიქრა ჯულიანამ, – გადავყლაპე; ახლა ნაწლავებს მისერავს. ეს ჩემი წყევლაა. ცოლად ებრაელს გავყევი და ლოგინში გესტაპოელ მკვლელთან ერთად აღმოვჩნდი, – იგრძნო, თვალებიდან ცრემლები როგორ წასკდა, – ჩემი ცოდვებისთვის ვისჯები».

– წამოდი, – თქვა უეცრად და ფეხზე წამოდგა, – პარიკმახერთან.

– შიშველი ხარ! – ჯომ ხელი მოჰკიდა და დასვა, უშედეგოდ სცადა, ტრუსი ჩაეცმია.

– შენს თმას რამე უნდა მოვუხერხოთ, – წარმოთქვა კაცმა უიმედო ხმით, – აქამდე სად არის ეს Hur,

[92]

?

ჯულიანამ ნელა და გაჭირვებით წარმოთქვა:

– თმაც და ბეწვიც კანს იფარავს. იტრიალე და იწვალე, ღმერთის წინ მოკაკვას მაინც ვერ გადაურჩები. თმა, ტკივილი, Hur...

«წამლების ბრალი უნდა იყოს. ალბათ ტერპენტინის მჟავას შეიცავს. ნაწლავებში მისი გამოთავისუფლება დაიწყო და ყველაზე სახიფათო, დამანგრეველი ნარევი მიიღება».

მასზე მიშტერებული ჯო გაფითრდა.

«ჩემს აზრებს კითხულობს. სადღაც უნდა ჰქონდეს აზრების წასაკითხი მანქანა, მაგრამ ვერ მიპოვია», გაიფიქრა ჯულიანამ.

– იმ ტაბლეტებისგან თავბრუ დამეხვა და ტვინი ამერია, – თქვა ხმამაღლა.

– არ დაგილევია, – ჯომ ხელისგულზე ანიშნა. ჯულიანამ მუშტი გაშალა და ორი ყვითელი ტაბლეტი დაინახა, – მე მგონი, ნერვული შეტევა გაქვს. უეცრად მოუქნელი, ნელი, ინერტული გახდა, – ძალიან ავად ხარ. წასვლას ვერ შევძლებთ.

– ექიმი არ მინდა, თავს კარგად ვგრძნობ, – გაღიმება სცადა ჯულიანამ; კაცის სახე რომ დაენახა, თავი ასწია. «მისი თავის ტვინის გამოსხივება ჩემს ფიქრებს ძირისძირობამდე სწვდება».

– აბენდსენთან ვერ წაგიყვან, – უთხრა ჯომ, – ამ საღამოს არაფერი გამოვა. ხვალ ალბათ უკეთ იქნები. ხვალ ვცადოთ წასვლა. უნდა გავაკეთოთ ეს საქმე.

– შეიძლება კიდევ გავიდე სააბაზანოში?

ჯომ თავი დაუქნია, რაღაც სხვაზე ფიქრობდა. სააბაზანოში შესულმა ჯულიანამ კარი მიხურა, აფთიაქის თაროდან კიდევ ერთი სამართებლის პირი აიღო და მარჯვენა მუჭში ჩამალა. ოთახში დაბრუნდა.

– კარგად, – დაემშვიდობა კაცს.

როდესაც ჯულიანამ დერეფანში გასასვლელი კარი გამოაღა, ჯომ წამოიყვირა, წამოხტა და მხარში სწვდა.

ოჰო!

– გამაოგნებელია, – თქვა ქალმა, – ეს ძალადობაა. თუმცა, უნდა მცოდნოდა.

«თრთოდეთ, ღამით სამუშაოდ გამოსულო მძარცველებო და მაწანწალებო, ნებისმიერს გაგისწორდებით. ეს სადღაა? კისერზე წაუვლია ხელი და ცეკვავს».

– წინ ნუ მეღობები, – უბრძანა ქალმა, – თორემ საკადრის გაკვეთილს მიიღებ. იმის მიუხედავად, რომ ქალი ვარ.

ხელი, რომელშიც სამართებელი ეჭირა, ასწია, მეორე ხელით კი კარი გააღო. ჯო იატაკზე იჯდა, ორივე ხელი კისერზე წაევლო.

– ნახვამდის, – უთხრა ჯულიანამ და კარი მიხურა. რბილი ხალიჩით დაფარულ დერეფანში აღმოჩნდა.

თეთრ სამოსში გამოწყობილი ქალი თავდახრილი მოაგორებდა ურიკას და თავისთვის ღიღინებდა. როდესაც ჯულიანას გაუსწორდა, თავი ასწია, ოთახის ნომერს თვალი შეავლო და პირი დააღო.

– ოჰ, ღმერთო, ნასვამი ხართ? პარიკმახერზე მეტად ოთახში შესვლა და ტანზე ჩაცმა გჭირდებათ, ამ სასტუმროში შიშვლად სიარული მიღებული არ არის, ძვირფასო, – ჯულიანას უკან კარი გააღო, – თქვენს კაცს უთხარით, ყურადღება მოგაქციოთ. მოსამსახურეს ვეტყვი, ცხელი ყავა მოიტანოს. გთხოვთ, ოთახში დაბრუნდით, – ჯულიანას ხელი უბიძგა და ოთახში დააბრუნა, კარი გაიხურა და თავისი ურიკა უკან გააგორა.

«პარიკმახერი იყო», მიხვდა ჯულიანა. მერე დაიხედა – ტანზე არაფერი ეცვა. ქალმა ჩათვალა, რომ ჯულიანა მთვრალი იყო.

– ჯო, არ მიშვებენ, – საწოლთან მივიდა და თავისი ჩემოდანი მოძებნა, გახსნა და ტანსაცმელი გადმოყარა. საცვალი, ბლუზა და ქვედაკაბა... დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი.

– თავს მოვიწესრიგებ.

სავარცხელი მოძებნა და სწრაფად გადაივაცხნა თმა.

– რა უცნაური გრძნობაა... ის ქალი, გარეთ, მართალს ამბობდა: ტვინი არეული მაქვს, – წამოდგა და სარკეში ჩაიხედა, – ახლა უკეთესია, ხომ? ტუალეტის კარის სარკეში ჩაიხედა; რამდენჯერმე დატრიალდა და ყველა მხრიდან შეხედა საკუთარ თავს; ფეხის წვერებზეც კი დადგა.

– ისეთი დაბნეული ვარ, – მიუბრუნდა კაცს, – წესიერად ვერც კი ვაზროვნებ. ალბათ, ისეთი რაღაც დამალევინე, რისგანაც ავად გავხდი, იმის მაგივრად, თავი უკეთ მეგრძნო.

ჯო ისევ იატაკზე იჯდა და კისერზე ხელები შემოეხვია:

– მისმინე. ზუსტად დამარტყი. აორტა გამიხეთქე. კისრის.

ჯულიანამ ტუჩებზე ხელი მიიფარა და ჩაიხითხითა:

– ღმერთო, რა სულელი ხარ. სიტყვების მნიშვნელობა არ იცი. აორტა გულშია. ალბათ საძილე არტერიას გულისხმობდი.

– ფეხზე რომ ავდგე, ორ წუთში სისხლისგან დავიცლები. ეს კარგად იცი. დამეხმარე, ექიმი გამოიძახე, ან სასწრაფო დახმარება. გესმის ჩემი? გაიგე, რაც გითხარი? მიდი, დარეკე და ვინმე გამოიძახე, კარგი?

ჯულიანამ ცოტა ხანს იფიქრა, მერე კი უთხრა:

– ვეცდები.

– მიდი, – სთხოვა ჯომ, – ვინმე, ვინც დამეხმარება.

– შენ თვითონ მიდი.

– ვერ გავინძრევი, – სისხლმა უკვე მის თითებშორის გამოჟონა, მაჯას ჩაუყვა, იატაკზე სისხლის გუბე დადგა, – ვერ ავდგები. აქ დაგელოდები.

ჯულიანამ ქურქი ჩაიცვა, ხელი დაავლო ტყავის ახალ ჩანთას, ჩემოდანს და იმდენ პაკეტს, რამდენსაც მოერია; დიდი ყუთიც აიღო, რომელშიც ცისფერი იტალიური კაბა იდო. დერეფნის კარი გამოაღო და ჯოს მიუბრუნდა:

– შეიძლება მიმღებში ვუთხრა, ქვემოთ.

– ჰო...

– კარგი. ვეტყვი. კანიონ-სიტიში ძებნას ნუღარ დამიწყებ. იქ დაბრუნებას არ ვაპირებ. შენი ფული მე ავიღე, ასე რომ, ყველაფერი არც ისე ცუდადაა. კარგად იყავი. მაპატიე.

კარი გაიჯახუნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დერეფანში გაიქცა.

ლიფტში შესულს მოხუცი, შესანიშნავ სამოსში გამოწყობილი ბიზნესმენი და მისი მეუღლე

დაეხმარნენ; ბარგის ნაწილი მათ ეჭირათ, ვესტიბიულში კი მეკორიდორე გამოიძახეს.

– დიდი მადლობა, – უთხრა მათ ჯულიანამ.

მეკორიდორემ მისი ჩემოდანი და დანარჩენი ბარგი ვერსტიბიულის გავლით ქუჩაში გაიტანა; იქ ჯულიანამ სასტუმროს თანამშრომელი ნახა, რომელმაც აუხსნა, როგორ დაებრუნებინა მანქანა. სულ მალე ჯულიანა სასტუმროს კუთვნილ გარაჟში იდგა და ელოდებოდა, როდის გამოუყვანდნენ «სტუდებეკერს». ხელჩანთაში ხურდა მოძებნა და გარაჟის თანამშრომელს გასამრჯელო გადაუხადა. მერე საჭეს მიუჯდა და ყვითელი ფარნებით განათებული პანდუსის გავლით ჩაბნელებულ ქუჩაში გავიდა, ფარნების, მანქანების, ნეონის აბრების სამფლობელოში.

სასტუმროს უნიფორმაში გამოწყობილმა შვეიცარმა საკუთარი ხელით ჩაალაგა მანქანაში მისი ბარგი და ისე გულიანად გაუღიმა, რომ ჯულიანა თავს ვერ მოერია და უზარმაზარი გასამრჯელო დაუტოვა. ძალიან გაუკვირდა – მისი გაჩერება არავის უცდია; წარბიც კი არავის აუწევია გაკვირვების ნიშნად. «ალბათ იციან, რომ ის გადაიხდის, – გადაწყვიტა ჯულიანამ, – ან იქნებ, უკვე გადაიხადა ნომრის საფასური».

შუქნიშანზე შეჩერებულს გაახსენდა, რომ მიმღებში ადმინისტრატორისთვის არაფერი უთქვამს სასტუმროს ნომერში იატაკზე მჯდარი ჯოს შესახებ, რომელიც ექიმს ელოდებოდა.

«ასე იჯდება სამყაროს აღსასრულამდე, ან მანამდე, სანამ ხვალ დილით დამლაგებელი მივა. იქნებ დავბრუნდე, ან დავრეკო? უახლოეს სატელეფონო კაბინასთან უნდა გავჩერდე».

«რა სისულელეა ეს ყველაფერი, – მანქანის გასაჩერებელ ადგილსა და ტელეფონს ეძებდა, – რას ვფიქრობდით სულ რაღაც ერთი საათის

წინ? როდესაც დავრეგისტრირდით, ნომერში ავედით... თითქმის უკვე მივდიოდით რესტორანში სასადილოდ; ან სადმე, ღამის კლუბში, – უეცრად იგრძნო, როგორ ჩამოსდიოდა ცრემლები და ზედატანს უსველებდა, – რა ცუდია, რომ სამისნო წიგნს არაფერს დავეკითხე; ის მომცემდა რჩევას, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. რატომ არ გავაკეთე ეს? რამდენჯერ შემეძლო მისთვის შეკითხვა დამესვა, რამდენ ადგილზე, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ აქ წამოვიდოდით».

ჯულიანამ უნებურად ამოიკვნესა. თავისი მკერდიდან ამომსკდარმა ხმამ ისე შეაშინა, კბილი კბილს დააჭირა მის ჩასახშობად, მაგრამ ამაოდ – მისი ცხვირიდან საზარელი სტვენა, კვნესა, გოდება გაისმა.

მანქანა გზის პირას გააჩერა. იჯდა და ქურქის ჯიბეებში მუშტად შეკრული ხელების კანკალს ვერაფერს უხერხებდა.

«ღმერთო, რა არარაობა ვარ... მაგრამ უნდა გავიგო, რა ხდება».

მანქანის საბარგულიდან ჩემოდანი უკანა სავარძელზე გადაიტანა და გახსნა. ტანსაცმლისა და

ფეხსაცმლის ქვემოდან სამისნო წიგნის ორი შავი ტომი ამოაძვრინა. იქვე, მანქანის უკანა სავარძელზე მჯდარმა, უნივერმაღის ვიტრინის სინათლეზე, კლდოვანი მთების შტატების სამი ათცენტიანი ჰაერში ააგდო. «როგორ მოვიქცე? მირჩიე, გთხოვ», ასეთი იყო მისი შეკითხვა.

ორმოცდამეორე ჰექსაგრამა მიიღო, «მატება», მოძრავი ხაზებით მეორე, მესამე, მეოთხე და ზედა პოზიციაზე; ესე იგი, ორმოცდამეორე ჰექსაგრამა ორმოცდამესამეში გადაიზარდა, «გამოსავალი». კომენტარის ტექსტს თვალი გააყოლა, დადებითი მნიშვნელობის დამახსოვრებას ცდილობდა, რომ მათზე კარგად ეფიქრა და შინაარსი ისე გაეგო. და ღმერთო, კიდევ ერთი სასწაული მოხდა: საკუთარი თვალით კითხულობდა ყველაფერს, ზუსტად, მოკლედ აღწერილს, რაც მოხდა:

ხელსაყრელია

რაიმე მოიმოქმედო.

ხელსაყრელია, უშიშრად გადალახო დიდი მდინარე.

«აქ დარჩენას აზრი არ აქვს. რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გავაკეთო». ჯულიანას ტუჩები კითხვისას უხმოდ მოძრაობდა.

ათ წყვილ კუს არ შეუძლია წინ აღუდგეს მას.

შეუპოვრობას დიდი ბედნიერება მოსდევს.

მეფე მსხვერპლს შესწირავს ღმერთს.

ახლა ექვსიანია მესამე ადგილზე. წაკითხულმა ჯულიანა განაცვიფრა:

ვიღაც უსიამოვნო მოვლენების მიუხედავად გამდიდრდა.

ნუ დაძრახავ, იყავი გულწრფელი

და პირდაპირ შუაგულს მიაშურე.

ბეჭდით ეახლე უფლისწულს.

უფლისწული... ეს აბენდსენია. ბეჭედი კი წიგნის ახალი ეგზემპლარი. უსიამოვნო მოვლენებში სამისნო წიგნი იმას გულისხმობს, რაც თავს გადახდა, ჯოსთან თუ რაც ჰქვია, მასთან ურთიერთობას. მომდევნო სტრიქონები წაიკითხა მეოთხე პოზიციაში არსებული ექვსიანისთვის:

თუ შუაგულამდე მიაღწევ

და უფლისწულს შეატყობინებ,

შენ დაგიჯერებს.

«მასთან უნდა ჩავიდე, – მიხვდა ჯულიანა, – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯო უკან გამომყვა».

ზედა ცხრიანისთვის შესაბამისი ტექსტი სწრაფად გადაიკითხა:

მატებას არავის მოუტანს.

პირიქით, ვიღაც მასზე იერიშსაც კი მიიტანს.

მისი გული მუდმივად სტაბილური არ არის.

უბედურება.

«ოჰ, ღმერთო; ეს მკვლელებს, გესტაპოს ხალხს ნიშნავს – ჯოს ან ვინმე სხვას მის ნაცვლად. ისინი აბენდსენის მოკვლას აპირებენ». სწრაფად გადაავლო თვალი ორმოცდამესამე ჰექსაგრამის შეფასებას:

მეფის სასახლემდე შეუპოვრად უნდა იაროს.

სიმართლე

უნდა თქვას. საფრთხის შესახებ.

თუ საჭიროა, თავისი ქალაქის სახელითაც ისაუბროს.

იარაღის გამოყენება საჭირო არ არის.

კეთილგონივრულია, რაიმეს თუ მოიმოქმედებს.

«ესე იგი, სასტუმროში დაბრუნებას აზრი არ აქვს; ჯოს ნაცვლად ვინმე სხვას გამოგზავნიან. სამისნო წიგნი დაუფარავად ამბობს: შაიენში უნდა ჩავიდე და აბენდსენი გავაფრთხილო, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. სიმართლე უნდა შევატყობინო».

წიგნი დახურა.

საჭესთან გადაჯდა და ისევ გზატკეცილზე გავიდა. მცირე ხანში დენვერი უკან მოიტოვა და ჩრდილოეთის მიმართულებით ავტობანზე გავიდა; ისე სწრაფად მიდიოდა, რამდენადაც ამის საშუალებას მანქანა აძლევდა, რომელიც გაზის საფერფულზე ყოველი დაჭერისას უცნაურ ხმას გამოსცემდა, მძღოლის სავარძელსა და უჯრაში ყველაფერს აზანზარებდა.

«ღმერთმა დალოცოს დოქტორი ტოდტი და მისი ავტობანები», გაიფიქრა ჯულიანამ. სიბნელეში მიქროდა და მხოლოდ თეთრ ზოლს ხედავდა გზის გაყოლებაზე.

ღამის ათი საათისთვის დაღლილობა მოერია, თუმცა შაიენამდე ჯერ ვერ მიეღწია. ამიტომ გზიდან გადაუხვია და ღამის გასათევი ადგილის ძებნა დაიწყო.

ავტობანზე თვალი მოჰკრა აბრას «გრილი – 5 მილი». «ხვალ დილით ჩავალ», გადაწყვიტა და სვლა შეანელა, რამდენიმე წუთის შემდეგ გრილისკენ გადაუხვია.

გვერდიგვერდ ჩამწკრივებული მოტელები ხალხმრავლობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდნენ, ამრიგად, ჯულიანას ღამის გასათევი ადგილის მოძებნა არ გასჭირვებია.

«ამ საღამოს აბენდსენთან უნდა დავრეკო და გავაფრთხილო, რომ ჩასვლას ვაპირებ».

ავტოსადგომზე მანქანიდან გადმოვიდა და როგორც იქნა, ფეხები გაშალა. მთელი დღე, დილის რვა საათის შემდეგ, მანქანაში იჯდა. მოშორებით, გზის გადაღმა, სადღეღამისო აფთიაქი დაინახა. ჯულიანამ ხელები ქურქის ჯიბეში ჩაიწყო და იქით გაეშურა. სულ მალე ტელეფონთან იდგა. ოპერატორს შაიენთან დაკავშირება სთხოვა.

საბედნიეროდ, აბენდსენის ნომერი სატელეფონო წიგნში შეტანილი იყო. ხურდა ფული ჭრილში ჩაყარა და ოპერატორმა აბონენტთან შეაერთა.

– დიახ, – უპასუხა ქალის სასიამოვნო ხმამ; დაახლოებით მისი ასაკის უნდა ყოფილიყო.

– მისის აბენდსენი ბრძანდებით? – შეეკითხა ჯულიანა, – შემიძლია მისტერ აბენდსენს ვესაუბრო?

– უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მისი წიგნი წავიკითხე. კანიონ-სიტიდან მანქანით მოვდივარ, კოლორადოდან. ახლა გრილში ვარ. მეგონა, ამ საღამოს მოვახერხებდი თქვენთან ჩამოსვლას, მაგრამ შეუძლებელია. თუ შეიძლება, რომ ხვალ შევხვდე?

მისის აბენდსენი მცირე ხანს დუმდა, შემდეგ ისევ იმ სასიამოვნო ხმით უპასუხა:

– დიახ, ახლა უკვე გვიანაა; დაძინებას ვაპირებთ. ჩემს ქმართან შეხვედრისთვის რაიმე განსაკუთრებული მიზეზი გაქვთ? ეს ბოლო ხანებია, ძალიან ბევრს მუშაობს.

– მასთან საუბარი მინდოდა, – ჯულიანას საკუთარი ხმა ჩამქრალი, უსიცოცხლო მოეჩვენა; სატელეფონო კაბინის კედელს ათვალიერებდა და საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა – სხეული გაუშეშდა, პირი გაუშრა. ხედავდა, აფთიაქარი როგორ უმზადებდა მილკშეიკს ოთხ მოზარდს. მათ თვალს არ აცილებდა; მისის აბენდსენის შეკითხვებს ცალი ყურით უსმენდა; ძალიან უნდოდა ცივი, გამაგრილებელი სასმელი დაელია; ქათმის სალათიანი სენდვიჩი ეჭამა.

– ჰოთორნს მუშაობის არეული გრაფიკი აქვს, – მხიარული, წკრიალა ხმით აცნობა მისის აბენდსენმა, – შეხვედრას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ვერაფერს დაგპირდებით. შეიძლება ხვალ მთელ დღეს თავაუღებლად მუშაობა მოუნდეს. მაგრამ ხომ გესმით, ეს ისედაც უნდა გცოდნოდათ, სანამ ჩამოსვლას გადაწყვეტდით...

– დიახ, – გააწყვეტინა ჯულიანამ.

– დარწმუნებული ვარ, თუ მოახერხა, სიხარულით გამონახავს რამდენიმე წუთს თქვენთან სასაუბროდ, – განაგრძო მისის აბენდსენმა, – მაგრამ გთხოვთ, გული ნუ დაგწყდებათ, თუ შეხვედრა ისეთი ხანგრძლივი არ გამოდგა, როგორც თქვენ გსურთ.

– მისი წიგნი წავიკითხე და ძალიან მომეწონა. თან მაქვს.

– მესმის, – გულკეთილად უპასუხა მისის აბენდსენმა.

– დენვერში გავჩერდით და ბევრი დრო დავხარჯეთ მაღაზიებში, – «არა, ეს ის არ არის, რაც უნდა ვუთხრა», – მისმინეთ, ამ ყველაფრის მიზეზი სამისნო წიგნია. მან მიბრძანა შაიენში ჩამოსვლა.

– ღმერთო! – წამოიძახა მისის აბენდსენმა, თითქოს სმენოდა სამისნო წიგნის შესახებ და მდგომარეობა სერიოზულად აღიქვა.

– რამდენიმე სტრიქონს წაგიკითხავთ, – ჯულიანამ სამისნო წიგნი კაბინაში შეიტანა, თაროზე დადო, სწრაფად გადაშალა საჭირო გვერდის მოსაძებნად, – სულ ერთი წამით, – გვერდი იპოვა და პირველი შეფასება წაუკითხა მისის აბენდსენს, შემდეგ ის, რომელიც ზემო პოზიციაში ცხრიანის არსებობას განმარტავდა, – გაიგონა, როგორ წამოიძახა რაღაც გაურკვეველი მისის აბენდსენმა, – უკაცრავად, რა ბრძანეთ? – შეეკითხა ჯულიანა.

– განაგრძეთ, – უთხრა მისის აბენდსენმა. მის ხმაში ჯულიანას შეშფოთება მოესმა. როგორც ჩანს, უკვე ისიც ხვდებოდა მდგომარეობის სერიოზულობას.

ჯულიანამ ორმოცდამესამე ჰექსაგრამის კომენტარიც წაუკითხა და როდესაც საფრთხე ახსენა, ორივე დადუმდა.

– ასეთ შემთხვევაში, ხვალ უნდა შევხვდეთ, – თქვა ბოლოს მისის აბენდსენმა, – თქვენი სახელი, თუ შეიძლება?

– ჯულიანა ფრინკი. დიდი მადლობა, მისის აბენდსენ.

ოპერატორი ქალი აღელვებული ჩაერია საუბარზე დახარჯული დროის გამო, მაგრამ ჯულიანამ ყური არ ათხოვა, ყურმილი დაკიდა, სამისნო წიგნი და საფულე აიღო, დახლისკენ გაემართა.

სენდვიჩი და კოკა-კოლა შეუკვეთა, სიგარეტს მოუკიდა და დასასვენებლად ჩამოჯდა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მისის აბენდსენისთვის არაფერი უთქვამს გესტაპოელი მკვლელის, ჯო ჩინანდელას შესახებ, რომელიც დენვერის სასტუმროს ნომერში მიატოვა. არც კი სჯეროდა. «დამავიწყდა! საერთოდ არ გამხსენებია. ეს როგორ მოხდა? ალბათ, ჭკუიდან შევცდი. გამოტვინებული ვარ; ეტყობა, ძალიან ამებნა გონება; ნამდვილი უტვინო და ჩერჩეტი ვარ».

ერთხანს ჩანთაში იქექებოდა ხურდის მოსაძებნად, რომ კიდევ ერთხელ დაერეკა.

«არა, – გადაწყვიტა მერე და წამოდგა, – ამაღამ აღარ დავრეკავ. უკვე ძალიან გვიანაა. დავიღალე, მათ კი ალბათ, უკვე სძინავთ «.

ქათმის სალათიანი სენდვიჩი შეჭამა და კოკა-კოლა დააყოლა, მერე უახლოეს მოტელს მიაშურა, ნომერი აიღო და საწოლში ჩაწოლისთანავე მკვდარივით ჩაეძინა.

14

«პასუხი არ არის, – ფიქრობდა მისტერ ნობუსუკე ტაგომი, – ყველაფერი გაუგებარია. სამისნო წიგნიც ვერ მეხმარება. არადა, დღიდან დღემდე ცხოვრება უნდა გავაგრძელო. რაღაც მცირედი მჭირდება ხელჩასაჭიდად. მინდა ვიცხოვრო შეუმჩნევლად, მოცემული რიტმის შესაბამისად. იმისთვის რომ მოგვიანებით, როდესაც...»

და მაინც, იმ დღეს ჩვეულებისამებრ დაემშვიდობა მეუღლეს და შინიდან გავიდა. მაგრამ «ნიპონ ტაიმსის» შენობაში მისვლას არ აპირებდა. ხომ არ დაისვენოს? იქნებ ოქროს კარიბჭის პარკში ცხოველები და თევზები დაათვალიეროს? მოინახულოს ისინი, ვისაც არც ფიქრი შეუძლია და არც სიხარულის განცდა აქვს.

«დრო. რიქშას კარგა ხანი დასჭირდება იქამდე მისაღწევად, მე კი დრო მექნება საკუთარ თავს რომ ჩავწვდე. თუ შეიძლება ასე ითქვას.

მაგრამ ხეებსა და ცხოველებს პირადული არაფერი გააჩნიათ. მე კი ხელჩასაჭიდად ადამიანის ცხოვრება მჭირდება. იქნებ ბავშვად ვიქცე? კარგი იქნებოდა. არ მაწყენდა ბავშვობაში დაბრუნება».

რიქშა სან-ფრანცისკოს ცენტრისკენ, კერნი-სტრიტზე მიიჩქაროდა სატერფულების სწრაფი ტრიალით. «საბაგირო გზა, – უეცრად გაახსენდა მისტერ ტაგომის, – რა ბედნიერებაა, ისარგებლო ტრანსპორტის ყველაზე სუფთა საშუალებით, სიხარულის ცრემლის შეკავება შეუძლებელია მოგზაურობის იმ საშუალების გახსენებაზე, რომელიც 1900 წლისათვის უკვე გამქრალი უნდა ყოფილიყო, თუმცა დღესაც არსებობს».

რიქშა გაუშვა და ფეხით გაუყვა ტროტუარს საბაგიროს უახლოეს კოშკამდე.

«იქნებ «ნიპონ ტაიმსის» შენობაში აღარასოდეს დავბრუნდე. იქ სიკვდილის სული ტრიალებს. ჩემს კარიერას ჯვარი დაესვა, მაგრამ ეს კარგიცაა. სავაჭრო მისიის მმართველობა შემცვლელს სწრაფად მოძებნის. თუმცა პიროვნება ტაგომი ისევ ივლის, იარსებებს, ყველა დეტალის გაანალიზებას შეეცდება. ასე რომ, ჯერ არაფერი დასრულებულა.

ასე თუ ისე, ომი, იგივე ოპერაცია «ბაბუაწვერა» გაგვაქრობს. იმის მიუხედავად, თუ რას მოვიმოქმედებთ. ის, ვის გვერდითაც უკანასკნელ ომში ვიბრძოდით, ახლა ჩვენი მტერია. როგორ უნდა მოვქცეულიყავით? იქნებ ჯობდა, მათ წინააღმდეგ გვებრძოლა? ან მათ მტრებს, აშშ-ს, ბრიტანეთს, რუსეთს დავხმარებოდით და მათი დამარცხებისთვის ხელი შეგვეწყო.

სასოწარკვეთაღა დარჩა.

სამისნო წიგნის საიდუმლოება. იქნებ სამყარო ადამიანების გარეშე უკეთესიცაა. ბრძენნი გვტოვებენ. ის მომენტია, როდესაც მარტონი ვართ. ადრინდელივით დახმარების იმედი აღარ უნდა გვქონდეს. და იქნებ ეს უკეთესიცაა. ან შესაძლოა უკეთესი შედეგი ჰქონდეს. ყველამ საკუთარი გზის მოძებნა უნდა სცადოს».

კალიფორნია-სტრიტზე საბაგიროს ვაგონში ჩაჯდა და ბოლო გაჩერებამდე იმგზავრა. ხის საბრუნ წრეზე ვაგონის შემობრუნებაშიც კი დაეხმარა. ქალაქისგან მიღებულ ყველა შთაბეჭდილებას შორის ეს გასეირნება შინაარსობრივად მისთვის ყველაზე დატვირთული იყო, მაგრამ შედეგმა იმედი გაუცრუა: ქალაქს ზემოდან უმზერდა და ახლა წინანდელზე მეტად გრძნობდა სრულ სიცარელეს საკუთარ სულში.

უკან დაბრუნდა. და... გაიაზრა, რომ ახლა ქუჩებს, შენობებს, მანქანების მოძრაობას საპირისპირო მხრიდან უმზერდა.

სტოკტონის სიახლოვეს წამოდგა და ჩასასვლელად მოემზადა, მაგრამ კონდუქტორის ხმამ შეაჩერა:

– თქვენი კეისი, სერ.

– გმადლობთ.

კეისი კაბინაში დარჩენოდა. ნივთი კონდუქტორს ჩამოართვა. შემდეგ ვაგონმა დაიჭრიალა და გზა განაგრძო. «კეისში ძალიან ძვირფასი ნივთი მაქვს, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – 44-კალიბრიანი კოლტის საკოლექციო ეგზემპლარი. ახლა მუდამ თან უნდა ვატარო, იმ შემთხვევისთვის, თუ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები მოკლული მეგობრების გამო ჩემზე შურისძიებას გადაწყვეტენ. რა იცი, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება». და მაინც, მისტერ ტაგომი კარგად ხვდებოდა, რომ ამგვარი ვითარება ცხოვრების ჩვეული რიტმის დარღვევა იყო და ეს მისი ნევრასთენიის უტყუარი საბუთი გახლდათ.

«არ უნდა დავნებდე, – საკუთარ თავს არწმუნებდა და კეისითურთ ქუჩაში მიაბიჯებდა, – ეს ყველაფერი აკვიატებული აზრია, მანია, ფობია». მაგრამ თავს მაინც ვერ ერეოდა.

«ის მფლობს, მე კი არა», გაიფიქრა იარაღზე.

«განა მისით აღფრთოვანებული აღარ ვარ? ნუთუ ჩემს მახსოვრობაში შემონახული ყველა ინსტინქტი დამახინჯდა? გრძნობა, რაც იარაღის შეგროვებისგან მიბიძგებდა, აღარ არსებობს? ჩემი ცხოვრების მთავარი საყრდენი... ნავსაყუდელი... რა სამწუხაროა. ამ გატაცების გარეშე უნდა ვიცხოვრო».

ველოტაქსი გააჩერა და მონტგომერი-სტრიტზე წასვლა სთხოვა, რობერტ ჩილდენის მაღაზიაში.

«უნდა მოვძებნო. უნდა მოვძებნო ის, რაც ჩემს გატაცებასთან მაკავშირებს. იქნებ ეს ხერხი გამოვიყენო შიშის გადასალახად: იარაღს სხვა ისტორიულ ნივთზე გადავცვლი. ამ იარაღს

ჩემთვის უაღრესად პირადული ამბავი უკავშირდება... ამ სიტყვების ყველაზე უარესი მნიშვნელობით. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემთვის; სხვა ადამიანისთვის ის ჩვეულებრივი იარაღი იქნება. ამბავი მხოლოდ ჩემს მახსოვრობაში დარჩება.

გავთავისუფლდები, – გადაწყვიტა აღელვებულმა, – ამ იარაღს თავიდან მოვიშორებ თუ არა, ყველაფერი წარსულში დარჩება. იმიტომ რომ ისტორიულობის შესახებ თეორიის მიუხედავად, ჩემი ფსიქიკის გარდა მნიშვნელოვანი თავად იარაღიცაა. მე ხომ ამ იარაღთან ვარ დაკავშირებული!»

მაღაზიამდე მივიდა.

«ამ მაღაზიაში რამდენი რამ მაქვს შეძენილი», ფიქრობდა ვიდრე მგზავრობის საფასურს იხდიდა, «ბიზნესპარტნიორებისთვის და პირადი კოლექციის გასამდიდრებლადაც». კეისით ხელში სწრაფი ნაბიჯით შევიდა მაღაზიაში.

სალაროს აპარატთან მისტერ ჩილდენი იდგა. რაღაც ნივთს ნაჭრით აპრიალებდა.

– მისტერ ტაგომი, – თავი დაუკრა მისტერ ჩილდენმა.

– მისტერ ჩილდენ, – მიესალმა მისტერ ტაგომი.

– თქვენი ვიზიტი მოულოდნელობაა, დიდ პატივად მიმაჩნია, – ჩილდენმა ნივთი, რომელსაც აპრიალებდა, დადო და დახლს შემოუარა. ჩვეულებრივი, რიატუალური მისალმების ცერემონიალი გახლდათ.

«ჰო, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – დღეს რაღაც სხვანაირი ჩანს. ნაკლებს ლაპარაკობს. ალბათ უკეთესია. ყოველთვის ზედმეტად ფუსფუსებს, ენას არ აჩერებს. აღელვებული გიყვება რაღაცას. მაგრამ იქნებ ეს ცუდის ნიშანია».

– მისტერ ჩილდენ, – წამოიწყო მისტერ ტაგომიმ, თავისი კეისი დახლზე დადო და საკეტი გახსნა, – მინდა, რამდენიმე წლის წინ თქვენთან შეძენილი ნივთი სხვაზე გადავცვალო. როგორც მახსოვს, თქვენ ასეთ საქმეზე უარს არ ამბობთ ხოლმე.

– დიახ, – მისტერ ჩილდენს დაძაბულობა შეეტყო, – მაგრამ ეს ნივთის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

– 44-კალიბრიანი კოლტია, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

ორივე მამაკაცი მდუმარედ უმზერდა ტექის ხის თავახდილ ყუთს და ტყვია-წამლის დაკლებულ მარაგს.

ჩილდენს სახეზე ჩრდილმა გადაუარა. მისტერ ტაგომიმ მაშინვე შენიშნა ეს.

«რას ვიზამთ, რაც არის, არის».

– არ ხართ დაინტერესებული, – უთხრა მაშინვე.

– არა, სერ, – არ დაუმალავს მისტერ ჩილდენს. მკაცრი, მტკიცე ხმა ჰქონდა.

– ვერ დაგაძალებთ, – მისტერ ტაგომი გრძნობდა, როგორ გამოეცალა ძალა. «დავნებდი. ჩემში ინი – დამთმობი და სუსტი – მძლავრობს. მეშინია».

– მაპატიეთ, მისტერ ტაგომი.

მისტერ ტაგომიმ თავი დაუქნია, იარაღიანი ყუთი კეისში ჩააბრუნა.

«ბედისწერაა – ეს ნივთი მთელი ცხოვრება უნდა მქონდეს».

– როგორც ვატყობ, გულდაწყვეტილი ბრძანდებით, – შენიშნა მისტერ ჩილდენმა.

– თქვენ შემატყვეთ, – დაიბნა მისტერ ტაგომი; როგორ დაუშვა, სხვას თვალი შეევლო მისი შინაგანი სამყაროს ნამცეცისთვის? მხრები აიჩეჩა. რასაკვირველია, ასე მოხდა.

– რაიმე განსაკუთრებული მიზეზი გაქვთ, რის გამოც ამ ნივთის დათმობა გსურთ? – შეეკითხა მისტერ ჩილდენი.

– არა, – აღარ აპირებდა პირადულის სხვისთვის გამჟღავნებას, – დაე, ისე იყოს, როგორც თქვენ გადაწყვიტეთ.

მისტერ ჩილდენი ყოყმანობდა, ბოლოს მაინც უთხრა:

– ვფიქრობ, ეს ნივთი ჩემთან არც შეგიძენიათ. არ მახსოვს, ის მქონოდეს.

– მე კი დარწმუნებული ვარ, სწორედ თქვენთან შევიძინე. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მესმის თქვენი გადაწყვეტილების. და ვემორჩილები.

– სერ, იქნებ ახალი კოლექცია გენახათ, თუ რასაკვირველია, თავისუფალი დრო გაქვთ, – შესთავაზა მისტერ ჩილდენმა.

მისტერ ტაგომი ნაცნობმა გრძნობამ შეაწუხა.

– რაიმე ყურადსაღები გაქვთ?

– წამობრძანდით, სერ, – ჩილდენი მაღაზიის მოპირდაპირე კედლისკენ გაუძღვა. მისტერ ტაგომი უკან მიჰყვა.

მინის დახლის ქვეშ შავ ხავედრზე ლითონის პატარა, დახვეული, უჩვეულო ფორმის ნივთები ელაგა. მისტერ ტაგომიში მათ უცნაური გრძნობა აღძრეს და ის დასათვალიერებლად შედგა.

– ჩემი მაღაზიის ყველა კლიენტს ვაჩვენებ, – უთხრა რობერტ ჩილდენმა, – სერ, თუ იცით ეს რა არის?

– სამკაული უნდა იყოს, – მისტერ ტაგომიმ გულსაბნევზე მიუთითა.

– ამერიკელი ხელოვანების დამზადებულია. რასაკვირველია, მართალს ბრძანებთ. მაგრამ ეს ძველებური ნაკეთობა არ გახლავთ.

მისტერ ტაგომი მაღაზიის პატრონს მიაჩერდა.

– სერ, ახალი ნაკეთობებია, – მისტერ ჩილდენის ფერმკრთალ სახეზე აღტაცება აღბეჭდილიყო, – ეს ჩემი ქვეყნის ახალი ხელოვნება და ახალი ცხოვრებაა, სერ. მისი ჩანასახი. სილამაზის ჩანასახი.

მისტერ ტაგომი მოჩვენებითი ინტერესით ათვალიერებდა ნივთებს, რამდენიმე ხელში აიღო კიდეც. «მათში მართლაც არის რაღაც ხალისიანი, – გაიფიქრა, – დაოს კანონის თანახმად, მაშინაც კი, როდესაც ინი ყველგან ბატონობს, წყვდიადის კუნჭულებში უკვე სინათლის პირველი ნაპერწკლები ჩნდება... ეს ყველას ეხება; იმას, რაც აქამდე მომხდარა, ახლა მე უნდა შევესწრო. საუბედუროდ, ჩემთვის ისინი მხოლოდ ხარახურაა, მისტერ ჩილდენივით არ აღმაფრთოვანებს. საუბედუროდ ჩვენთვის, ორივესთვის. მაგრამ რას იზამ, ასეა».

– თითქმის მშვენიერია, – წაიბურტყუნა და ნივთები ადგილზე დააბრუნა.

– სერ, მათ ერთი შეხედვით ვერ შეიგრძნობთ.

– უკაცრავად?

– ეს ახალი ხედვა მხოლოდ გულით უნდა იგრძნო.

– თქვენც ახალ რწმენაზე ხართ მოქცეული, – აღნიშნა მისტერ ტაგომიმ, – მეც მინდა, მაგრამ სამწუხაროდ, შეუძლებელია, – მერე თავი დაუკრა.

– სხვა დროისთვის გადავდოთ, – მისტერ ჩილდენმა მაღაზიის გასასვლელამდე მიაცილა; მისტერ ტაგომიმ გააცნობიერა, რომ მისი ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა.

– თქვენი თავდაჯერებულობა საეჭვოა, – უთხრა მისტერ ტაგომიმ, – ჩემი აზრით, ის შეუფერებელი გზაა.

მისტერ ჩილდენს ადრინდელივით მონურად ქედი არ მოუხრია.

– მაპატიეთ, მაგრამ ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ. კარგად ვხვდები, რომ ამ ნივთებში მომავლის ჩანასახია.

– დაე, ასე იყოს; მაგრამ თქვენს ანგლო-საქსურ ფანატიზმს ვერ გავიზიარებ, – იმავდროულად, კარგად გრძნობდა იმედის გაღვივებას. მისი საკუთარი იმედის, საკუთარ სულში, – კარგად ბრძანდებოდეთ, – თავი დაუკრა, – რამდენიმე დღეში გამოგივლით. იქნებ ერთად დავაკვირდეთ, თქვენი წინასწარმეტყველება ახდა თუ არა.

მისტერ ჩილდენს არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დაუკრა.

მისტერ ტაგომიმ ხელი მოჰკიდა თავის კეისს, რომელშიც 44-კალიბრიანი კოლტი იდო და

წავიდა. «რითაც მოვედი, უკან იმითვე მივდივარ; ვერაფერი შევიძინე ისეთი ხელჩასაჭიდი, რაც ამ ცხოვრებაში დაბრუნების საშუალებას მომცემს.

რა მოხდება იმ უცნაური ფორმის ნივთებიდან ერთ-ერთი რომ შევიძინო? ხელში დავიჭერ, დავაკვირდები, ვჭვრეტ... იქნებ თანდათან, ნელ-ნელა უკან დასაბრუნებელი გზა მიჩვენოს? თუმცა მეეჭვება.

ნაკეთობები მისთვის არის ღირებული და არა ჩემთვის.

და მაინც, თუ ერთმა ადამიანმა იპოვა მისი მეშვეობით გზა... ესე იგი, ეს გზა არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მე მას ვერ მოვძებნი.

მშურს მისი».

მისტერ ტაგომი უკან, მაღაზიისკენ შებრუნდა. კართან ისევ იდგა მისტერ ჩილდენი და თვალს არ აცილებდა. არც მოსცილებია იქაურობას.

– სერ, – მიმართა მისტერ ტაგომიმ, – თქვენ რომ ახალი კოლექცია მაჩვენეთ, იქიდან ერთ ნივთს შევიძენ. მართალია, თქვენეული რწმენა

არ მაქვს, მაგრამ ახლა ყველაფერს ვეჭიდები, – მისტერ ჩილდენს მაღაზიაში შეჰყვა და მინის დახლისკენ გაემართა, – მას მუდამ თან ვატარებ, დროის გარკვეულ ინტერვალებში დავხედავ ხოლმე. ვთქვათ, დღეში ერთხელ. ორი თვის შემდეგ, თუ შევატყვე რომ...

– შეგიძლიათ უკან დააბრუნოთ და შეძენისას გადახდილ თანხას სრულად მიიღებთ, – სიტყვა შეაშველა მისტერ ჩილდენმა.

– დიდი მადლობა, – მისტერ ტაგომი ოდნავ უკეთ გახდა.

«ზოგჯერ რაღაც ახალი უნდა სცადო. ეს სრულებით არ არის სამარცხვინო. პირიქით, მდგომარეობის მართებულად შეფასების, სიბრძნის ნიშანია», გადაწყვიტა მისტერ ტაგომიმ.

– ეს დაგამშვიდებთ, – მისტერ ჩილდენმა ვერცხლის პატარა სამკუთხედი გადასცა, რომელიც მირჩილული ფუყე ბურთულებით იყო მორთული. ნივთის ძირში მუქი ბურთულები წვერზე კაშკაშებდა და სინათლეს აფრქვევდა.

– დიდი მადლობა, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

მისტერ ტაგომი კერნი-სტრიტზე აღმართული ფერდობის თავზე მდებარე პატარა პარკში – პორტსმუთის სკვერში ველოტაქსით მივიდა. სკვერი პოლიციის განყოფილების პირდაპირ მდებარეობდა. მზით განათებულ სკამზე ჩამოჯდა. გარშემო მტრედები საჭმლის ნამცეცებს ეძებდნენ. სხვა სკამებზე ჩამომსხდარი, გაცვეთილ სამოსში გამოწყობილი ადამიანები გაზეთებს კითხულობდნენ ან თვლემდნენ. ზოგიერთი აქა-იქ ბალახზე გაწოლილიყო და

ეძინა.

მისტერ ტაგომიმ ჯიბიდან მისტერ ჩილდენის მაღაზიის ეტიკეტიანი პაკეტი ამოიღო. პაკეტი ორივე ხელით ეჭირა. მცირე ხანს გაირინდა, თავადაც მზის სხივებს ეფიცხებოდა, შემდეგ პაკეტი გახსნა და თავისი ახალი შენაძენის დასათვალიერებლად მოემზადა აქ, მწვანე ბალახის, პარკის ბილიკების, მოხუცებების გარემოცვაში განმარტოებული.

მოლაპლაპე სამკუთხედი ეჭირა. შუადღის მზის სხივები მასზე ისე ირეკლებოდა, როგორც Boxtop–ის მარცვლეულის ყუთში ჩაყოლებული იაფფასიანი სამკაული გარდატეხს ჯეკ არმსტროგის ფირმის გამადიდებელი სარკის სხივებს. ახლა სამკუთხედის ძირს დააკვირდა. «Om»

[93]

– როგორც ბრაჰმანები ამბობენ. უსახური ნივთი, რომელშიც ყველაფერია თავმოყრილი. ორივე მნიშვნელოვანია – ზომა, ფორმა. ისევ დაჟინებით და იმავდროულად, ეჭვით დასცქეროდა.

«მეც მესტუმრება თუ არა იგივე გრძნობა, რაც მისტერ ჩილდენმა განიცადა? რამდენი ხანი უნდა ვიცადო, ხუთი წუთი? ათი წუთი? იმდენ ხანს ვიჯდები რამდენიც საჭიროა. მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი დრო არ მაქვს. მაგრამ მაინც, რა მოხდება, იმდენ ხანს მეჭიროს ხელში, სანამ მეც იმავეს არ ვიგრძნობ?»

«მაპატიე, – მიმართა მისტერ ტაგომიმ სამკუთხედს, – მუდამ ფეხზე წამოხტომა და დაუყოვნებლივ მოქმედება გვსურს».

დაწუხრებულმა ნივთი უკან, პაკეტში ჩააბრუნა.

«იმედით დაგცქერი, – ისევ სამკუთხედს მიმართავდა, – როგორც ბავშვი, ისე მიჭერიხარ ხელში. ეს უმწიკვლობისა და რწმენის იმიტაციაა. იმას ჰგავს, როდესაც პატარა ყურთან ნიჟარას მიიდებს და შორეული ზღვის ხმას უსმენს.

აქ კი ყურს თვალი ცვლის. გამენდე, შემოდი ჩემში და მითხარი, რა მოხდება, რატომ, რისთვის. ყველაფერში გარკვევის გასაღები ამ პატარა სამკუთხედშია თავმოყრილი.

იქნებ ძალიან ბევრს ვითხოვ მისგან და პასუხს ამიტომაც ვერ ვიღებ?»

«მისმინე, – ხმადაბლა მიმართა სამკუთხედს, – იმან, ვინც გაგყიდა, შენზე უხვი დაპირება გასცა. რა იქნება, ძველი საათივით საფუძვლიანად შეგაჯანჯღარო?» – მისტერ ტაგომი ასეც მოიქცა – ან იქნებ, რაიმე გულსატკენი გითხრა. შენში მიძინებული სული რომ გამოვაღვიძო. ალბათ სძინავს. ან მოგზაურობს. იქნებ წინასწარმეტყველ ელიასავით მწარედ დაგცინო

[94]

. რაღაცის ძიებაშია», მისტერ ტაგომიმ კიდევ ერთხელ ძლიერად შეანჯღრია ვერცხლის

სამკუთხედი. მერე ხმამაღლა დაუძახა. ისევ დაჟინებით ჩააცქერდა.

«უმნიშვნელო, უსახური, გამოცარიელებული ნივთი ხარ», გაიფიქრა ბოლოს.

«გადააგდე. თავიდან მოიშორე», უთხრა თავის თავს.

– მოთმინება ამომეწურა, – თქვა ხმადაბლა, – ახლა როგორ მოვიქცე? წყალსადინარ თხრილში მოგისროლო? სული შეგიბერო, შეგანჯღრიო, ისევ სული შეგიბერო იმისთვის, რომ ჩემი გავიტანო და პასუხი მივიღო?!

გაიცინა. სულელური საქციელი იქნება: აქ, ამ თბილი მზის გულზე. უფასო სპექტაკლი გამვლელთათვის. დარცხვენილმა მისტერ ტაგომიმ მიმოიხედა. ყურადღებას არავინ აქცევდა. მოხუცები თვლემდნენ. შვებით ამოისუნთქა.

«ყველაფერი უნდა ვცადო, – დაასკვნა ბოლოს, – თხოვნა, ჭვრეტა, მუქარა, ფილოსოფიურად გაანალიზება. სხვა რა დამრჩენია?

მაგრამ იქნებ ყველაფერი ამაოა? სამკუთხედი არ მცნობს. ალბათ სხვა დროს მექნება მასში ჩაწვდომის შესაძლებლობა. მაგრამ როგორც უილიამ გილბერტი

[95]

ამბობს, თითოეული შესაძლებლობა უნიკალურია და ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ გეძლევა. მართლაც ასეა? მგონი, ჰო.

ბავშვობაში ისე ვფიქრობდი, როგორც ბავშვის ასაკს შეეფერებოდა. მაგრამ ახლა, მე მგონი ბავშვივით ვიქცევი. სხვა გასაღები უნდა მოვუძებნო. სხვაგვარად უნდა შევაფასო ეს ნივთი.

როგორ მეცნიერი, ისე მივუდგე. ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. კლასიკური არისტოტელსეული სისტემის მიხედვით, ლაბორატორიული ანალიზის მსგავსად».

ქალაქისა და სხვა ხმაური რომ ჩაეხშო, მარჯვენა ყური თითით დაიცო, მეორე ყურზე კი ვერცხლის სამკუთხედი მიიდო.

არაფერი ისმოდა. არც ოკეანის გუგუნი, რომელიც სინამდვილეში ძარღვებში მჩქეფარე სისხლის ხმა იყო – ესეც კი არა.

იქნებ საიდუმლო გრძნობის სხვა ორგანოების დახმარებით შეიტყოს? სმენა არ გამოდგება. მისტერ ტაგომიმ თვალები დახუჭა და თითი გადაატარა სამკუთხედის ზედაპირზე. ისევ არაფერი; კანმა არაფერი აუწყა. ყნოსვა. ნაკეთობა ცხვირთან მიიტანა, მაგრამ ლითონის სუსტი სურნელის გარდა ვერაფერი იგრძნო. გემო. პირი გააღო და ვერცხლის სამკუთხედი ენაზე დაიდო. კრეკერივით გადააგორ-გადმოაგორა, დაღეჭვა, რასაკვირველია, არ უცდია. ისევ არაფერი, ლითონის სიცივის გარდა.

სამკაული ისევ ხელისგულზე დაიდო.

მხედველობა დარჩა. გრძნობათა ორგანოებიდან უპირველესი, თუ ძველ ბერძნებს დავუჯერებთ.

«რა უნდა დავინახო? – დაეკითხა თავს, – შეცნობისკენ მიმავალი გზა გრძელი იქნება. რა არის ამ ნივთის საიდუმლოებაში ჩაწვდომის გასაღები?»

«მიდი, – გონებაში სამკუთხედს შეუძახა, – გამიმხილე შენი საიდუმლო».

«ჩემს ხელისგულზე ჭაობის სიღრმიდან ამოყვანილი ბაყაყივით დევს. უნდა მომიყვეს, რა ხდება იქ, წყლის სიღრმეში. მაგრამ ეს ბაყაყი თავსაც კი არ იკატუნებს; დუმს, ხან ქვაა, ხან თიხა, ხანაც – მინერალი. ინერტული. მიწისქვეშეთის სამყაროდან ამოტანილი ნივთიერება.

ლითონი, რომელიც დედამიწის გულიდან მის ზედაპირზე ამოვიდა: იმ სამყაროდან, რომელიც ყველაზე დაბლაა, ყველაზე მკვრივი. ჯუჯებისა და მღვიმეების ნესტიანი, წყვდიადით მოცული სამყარო, ინის საბრძანებელი, ამ უკანასკნელის ყველაზე დამთრგუნველი მნიშვნელობით. გვამების, ხრწნის, სიკვდილის სამეფო. ნარჩენების სამეფო. ყველაფერი, რაც კვდება, იხრწნება, იშლება, იქ ფენებად ილექება. მარადიულობის დემონური სამყარო; დრო, რომელიც უკვე იყო».

ახლა კი, მზის სინათლეზე, ვერცხლის სამკუთხედი კაშკაშებდა.

«სინათლეს ირეკლავს. ელვარება... ამ ნივთში სიბნელისა და წყვდიადისგან აღარაფერი დარჩა. აღარ არის სიმძიმე, სინესტე, მასში ახლა სიცოცხლე პულსირებს. იანის ნამდვილი გამოვლინება – ემპირიული, ეთერული. სწორედ ეს არის ხელოვანის ნაწარმოების უპირატესობა. დიახ, ეს ხელოვანის შრომის შედეგია: დედამიწის ქვესკნელიდან ამოტანილი უტყვი მინერალისგან სინათლეზე მოკაშკაშე, ზეციური ნაკეთობა დაამზადოს.

მან სიკვდილი სიცოცხლედ აქცია. მკვდარი და ჩამქრალი – სინათლით აავსო. წარსული მომავალს დაუმორჩილა».

«თავად რა ხარ? – შეეკითხა მისტერ ტაგომი ვერცხლის სამკუთხედს, – ბნელი, მკვდარი ინი თუ სიცოცხლით აღასავსე, მოკაშკაშე იანი?»

მის ხელისგულზე ვერცხლის ნაკეთობა ათასფრად ელვარებდა და თვალებს სჭრიდა; კარგად დააკვირდა, მხოლოდ სინათლის ციმციმს ხედავდა.

«სხეული ინის აქვს, სული კი – იანის. ლითონისა და სინათლის ერთობლიობა. ჩემს ხელისგულზე ერთდროულად გარეგანი და შინაგანი სამყაროა; მთელი მიკროკოსმოსი.

ეს ნივთი რომელი სამყაროს შესახებ მიყვება? ამაღლებაზე, ზეცად ასვლაზე, თუ დროზე? სინათლით განათებულ ცვალებად სამყაროზე. ჰო, ამ ნაკეთობამ თავისი სული გადამიშალა: ის სინათლეა. და ჩემი ყურადღება მთლიანად დაატყვევა; სხვას ვეღარაფერს ვამჩნევ. მის ზედაპირზე არეკლილი სინათლე დამატყვევებელია, თვალს ვერ ვწყვეტ. თავს ვეღარ ვაკონტროლებ.

ახლა კი, დამელაპარაკე. მას შემდეგ, რაც შენი საიდუმლო გამანდე. შენი ხმის გაგონება მინდა, რომელიც იმ თეთრი, დამაბრმავებელი სინათლიდან მოდის, რომლის ნახვის იმედიც სიკვდილის შემდეგ გვაქვს, როგორც ეს «ბარდო ტჰოდოლშია»

[96]

აღწერილი. მაგრამ სიკვდილს და ჩემი პიროვნულობის დაშლას ვერ დაველოდები, არ ვაპირებ ახალი ნავსაყუდელის ძიებაში დაუსრულებელ ხეტიალს. ყველა შიშისმომგვრელი და კეთილგანწყობილი ღვთაება; ჩვენ მათ გვერდს ავუვლით, ასევე ბუნდოვან სინათლეებს. და წყვილებს შეჯვარების პროცესში. ყველაფერს, სინათლის გარდა. მზად ვარ მისკენ უშიშრად წავიდე. ვერაფერი შემაჩერებს.

ვგრძნობ.

ჩემში ვგრძნობ, როგორ ბობოქრობს კარმის

[97]

ცხელი ქარები. და მაინც, აქ ვარ. ჩემი ამოცანა სრულიად კონკრეტული იყო: კაშკაშა თეთრი სინათლე ვერ გადამახვევინებს გეზიდან, რადგან თუ ასე მოხდა, კიდევ ერთხელ უნდა გავიარო დაბადებისა და გარდაცვალების ციკლი, ვერასოდეს გავხდები თავისუფალი, ვერასოდეს დავიმშვიდებ სულს. ისევ დაეშვება მაიას

[98]

პირბადე თუ...»

სინათლე გაქრა.

ხელისგულზე ჩვეულებრივი ვერცხლის სამკუთხედი ედო. ჩრდილმა მზე დაფარა; მისტერ ტაგომიმ აიხედა.

ტანმაღალი, ცისფერ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელი სკამთან იდგა და ღიმილით შესცქეროდა.

– დიახ? – გაკვირვებული მიაჩერდა მისტერ ტაგომი.

– გიყურებდით, თავსატეხს როგორ ათამაშებდით, – პოლიციელმა გზის გაგრძელება დააპირა.

– თავსატეხი? – გაიმეორა მისტერ ტაგომიმ, – მაგრამ ეს არ არის თავსატეხი.

– როგორ არა, ჩემს შვილს ეგეთები მრავლად აქვს. ზოგიერთი ძალიან ძნელი ამოსახსნელია, – და პოლიციელი ბილიკს გაუყვა.

«მორჩა. ნირვანას მიღწეულის შესაძლებლობა ჩაფლავდა. წამართვეს – ამ ბარბაროსი ნეანდერტალელი იანკის ჩარევის გამო. ამ ადამიანისმაგვარმა არსებამ ჩათვალა, რომ

ბავშვივით ვთამაშობ».

სკამიდან წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი ყოყმანით გადადგა.

«უნდა დავწყნარდე. მდაბალმა, შოვინისტურ-რასისტულმა ინსტინქტებმა მოიცვა ჩემი არსება.

ჩემს მკერდში დაუმორჩილებელი ვნება ბობოქრობს, – პარკში გაიარა, – უნდა ვიმოძრაო. კათარზისი მოძრაობაშია».

პარკის გასასვლელს მიაღწია. კერნი-სტრიტზე გავიდა. მანქანების გამაყრუებელი ხმაური შემოესმა. მისტერ ტაგომი ტროტუარის კიდესთან შეჩერდა.

არც ერთი ველოტაქსი არ ჩანდა. ქუჩას გაუყვა; გამვლელთა ბრბოს შეუერთდა.

«ვერასოდეს იპოვი რიქშას, როდესაც ძალიან გჭირდება.

ღმერთო, ეს რაღაა?» – მისტერ ტაგომი შეჩერდა და ჰორიზონტზე გამოჩენილ მახინჯ უფორმო საგანს მიაჩერდა. თითქოს უზარმაზარი, ღამის კოშმარში ნანახი მთიდან ჩამოსასრიალებელი ციგა გადმოკიდებულიყო და ხედს ამახინჯებდა – ლითონისა და ბეტონის გრანდიოზული კონსტრუქცია ჰაერში.

მისტერ ტაგომი დაჭმუჭნილ კოსტიუმში გამოწყობილ გამვლელს მიუბრუნდა:

– ეს რა არის?

– სიმახინჯეა, არა? – ჩაიცინა კაცმა, – ემბარკადეროა, უფასო ავტოსტრადა. ბევრი ფიქრობს, რომ საშინელებაა.

– აქამდე არასდეს მინახავს, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

– ბედმა გაგიღიმათ, – უთხრა გამვლელმა და თავის გზით წავიდა.

«ცუდი სიზმარია, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – უნდა გავიღვიძო. სად გაქრა ველოტაქსები?!»

ნაბიჯს აუჩქარა. გარშემო ყველაფერი თითქოს რუხი, კვამლიანი, სამარისებური ჩანდა. საწვავის სუნი. უსახური, ნაცრისფერი შენობები, ქუჩა, ადამიანების პირქუში სახეები. და არც ერთი ველოტაქსი.

– ტაქსი! – დაიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ამაოდ. მხოლოდ მანქანები და ავტობუსები. მანქანები რაღაც უზარმაზარი, უფორმო და უცხო მარკის. ცდილობდა, მათზე მზერა არ შეეჩერებინა; მხოლოდ წინ იყურებოდა.

«მხედველობის დარღვევა. განსაკუთრებით მძიმე ფორმით. სივრცის აღქმასაც ვერ ვახერხებ.

ჰორიზონტის ხაზიც გადღაბნილია. მოულოდნელად თავსდამტყდარ ლეტალურ ასტიგმატიზმს ჰგავს. უნდა შევისვენო. აჰა, აი სასაუზმეც».

სასაუზმეში მხოლოდ თეთრკანიანები იყვნენ, ყველა ჭამდა. მისტერ ტაგომიმ ხის მოქანავე კარი შეაღო. ყავის სურნელი ეცა. კუთხეში უცნაური ფორმის მუსიკალური აპარატი ღრიალებდა. მისტერ ტაგომი დახლისკენ გაემართა. იქაც ყველა ადგილი თეთრკანიანებს ჰქონდათ დაკავებული. მისტერ ტაგომიმ ხმამაღლა მოითხოვა, მისთვის ადგილი დაეთმოთ. რამდენიმე კლიენტმა მისკენ მიაბრუნა თავი, მაგრამ წამოდგომა არავის უფიქრია. სკამი არც გამოუწევიათ. მშვიდად განაგრძობდნენ ჭამას.

– მოვითხოვ! – ყველაზე ახლოს მჯდომ თეთრკანიანს ყურში ჩაჰყვირა მისტერ ტაგომიმ.

მამაკაცმა თავისი ყავის ჭიქა მაგიდაზე დადგა და თქვა:

– კიდევ რა გინდა, ტომიო.

[99]

მისტერ ტაგომი დანარჩენ თეთრკანიანებს მიაცქერდა; ყველა მტრულად უყურებდა. არავინ განძრეულა.

«ბარდო ტჰოდოლი» არსებობს, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – კარმის ცხელი ქარები მიტევენ, ვინ იცის, საიდან. ეს ხილვაა თუ რაიმე სხვა? ნუთუ შეიძლება ადამიანის სული ასე დამძიმდეს? ჰო, «მიცვალებულთა წიგნი» გვამზადებს: სიკვდილის შემდეგ სხვა ადამიანებს დაინახავ, მაგრამ შენდამი ყველა მტრულად იქნება განწყობილი. მარტოსული დარჩები. მარტო ბრბოში. წინ საზარელი მოგზაურობა გელოდება – ტანჯვის, აღორძინების მეშვეობით, შენი განადგურებული სულის შთანთქმისთვის. ილუზიები».

სწრაფი ნაბიჯით დატოვა სასაუზმე. მის უკან კარი ჯერ კიდევ ფრიალებდა; ისევ ტროტუარზე აღმოჩნდა.

«სად ვარ? ჩემი სამყაროს, ჩემი სივრცისა და დროის მიღმა...

ვერცხლის სამკუთხედმა ორიენტაცია დამაკარგინა. ღუზას მომწყვიტა და სადღაც მიმაქანებს. ზედმეტი მომივიდა. დასამახსოვრებელი გაკვეთილია ჩემთვის. ადამიანი თავის შეგრძნებათა წინააღმდეგ იბრძვის – რატომ? როგორ შეიძლება არ დაიკარგო, თუ არ გაქვს საჭირო მაჩვენებელი ან არ გყავს გზის გამკვლევი?

ეს ყველაფერი ჰიპნოზის მდგომარეობას ჰგავს. ყურადღება იმდენადაა დაფანტული, რომ შესაძლებელი გახდა ასეთი ბუნდოვანი სამყარო დამენახა; ყველაფერს ჩვენ გარშემო სიმბოლურად, არქეტიპული ასპექტით აღვიქვამთ, რეალობა სრულიად შერწყმულია ქვეცნობიერთან. ტიპური თვითჰიპნოზის სახეობაა. კმარა აჩრდილებს შორის უმისამართო სრიალი! ყურადღების კონცენტრაცია მჭირდება და სამყაროს წინანდებური აღქმის უნარის დაბრუნება».

პალტოს ჯიბეში ვერცხლის სამკუთხედი მოჩხრიკა. ვეღარ იპოვა; ნამდვილად პარკის სკამზე დარჩა, კეისთან ერთად. რა საშინელებაა.

მისტერ ტაგომი უკან, პარკისკენ გაიქცა.

სანახევროდ მთვლემარე მოხუცები გაკვირვებით აყოლებდნენ თვალს. იქ, იმ სკამზე. მისი კეისი ადგილზე იდო, მაგრამ ვერცხლის სამკუთხედი არსად ჩანდა. მიიხედ-მოიხედა. ჰო, ბალახში მოისროლა; ახლაც იქვე გდია, სადაც პოლიციელის ნათქვამის შემდეგ გადააგდო და განრისხებულმა იყვირა.

სკამზე ჩამოჯდა, სული მოითქვა.

«ისევ ვერცხლის სამკუთხედზე კონცენტრირებაა საჭირო, – დაარწმუნა თავი მას შემდეგ, რაც სუნთქვა დაუწყნარდა, – ყველაფერი უნდა დავივიწყო და დავითვალო. ათამდე. მერე შიშის მომგვრელი ხმა უნდა გაისმას – Erwache

[100]

– მაგალითად.

იდიოტური სიზმარია, რომელსაც ცხადში ვხედავ. ყმაწვილობაში დავბრუნდი, რაღაც ბავშვური თამაშებით ვერთობი, რომლებიც არც ისე უწყინარია. დამნაშავე არავინაა. ყველაფერი ჩემი შეცდომის ბრალია. არც მისტერ ჩილდენია დამნაშავე, არც ნაკეთობის შემქმნელი ხელოვანები; ყველაფერში დამნაშავე ჩემი გაუმაძღრობაა. შეუძლებელია, ძალით ჩასწვდე რაიმეს».

ნელა, ხმამაღლა დაითვალა ათამდე და შემდეგ ფეხზე წამოხტა.

– სრული სისულელეა, – წამოიძახა.

«ნეტავ, გაიფანტა ბუნდოვანება? – გარშემო მიმოიხედა, – როგორც ეტყობა, ყველაფერი ჩაწყნარდა. პავლე მოციქულმა მართებულად აღნიშნა, როდესაც სარკეში დანახულ ბუნდოვან გამოსახულებაზე საუბრობდა

[101]

. ეს არ არის მეტაფორა, არამედ ბრძნული გაფრთხილება რეალობის აღქმის შესაძლო დარღვევების შესახებ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ისე ვიყურებით, როგორც ასტიგმატიზმით დაავადებული: ჩვენი სივრცე და დრო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფსიქიკის წარმონაქმნია, და უეცრად ის ტორტმანს იწყებს, თითქოს შუა ყურის ფუნქციონირება დაირღვა.

ამის შედეგად ჩვენც ბარბაცს ვიწყებთ, წონასწორობას ვკარგავთ».

მისტერ ტაგომი დაჯდა და ვერცხლის სამკუთხედი პალტოს ჯიბეში ჩაიდო. მეორე ხელი

კეისს ჩაავლო.

«ახლა რაც უპირველესად უნდა მოვიმოქმედო – წავიდე და შევხედო, ისევ ადგილზეა თუ არა ის საზარელი ნაგებობა – რა ჰქვია? ემბარკადეროს უფასო ავტოსტრადა. იქნებ გაქრა».

მაგრამ ეშინოდა.

«სამუდამოდ აქ ვერ ვიჯდები. როგორც ძველებური ამერიკული გამონათქვამი ამბობს, უკანალი უნდა გავანძრიო. მოქმედებაა საჭირო.

დილემაა».

ორმა ჩინელმა ბიჭუნამ ფეხების ფრატუნით ჩაიარა. მტრედების გუნდი მათმა გამოჩენამ დააფრთხო და ფრთების ფართხუნით ცაში აიჭრა; ბიჭები შეჩერდნენ.

– ჰეი, ბიჭებო! – დაუძახა მისტერ ტაგომიმ და ჯიბეები მოიჩხრიკა, – აქ მოდით.

ორივე ბიჭი ყოყმანით მიუახლოვდა.

– ათცენტიანი, – მისტერ ტაგომიმ მათკენ ხურდა ისროლა; ბიჭებმა მაშინვე ხელი სტაცეს, – კერნი-სტრიტისკენ გაიქეცით და ნახეთ, დგას თუ არა ველოტაქსები. უკან დაბრუნდით და მითხარით.

– კიდევ ერთ ათცენტიანს მოგვცემთ? – შეეკითხა ბიჭებიდან ერთ-ერთი, – უკან რომ დავბრუნდებით?

– ჰო. ოღონდ სიმართლე უნდა მითხრათ.

ბიჭები გაიქცნენ.

«თუ ქუჩაში ველოტაქსი არ არის, ისღა დამრჩენია, მყუდრო ადგილი მოვძებნო და თავში ტყვია დავიხალო, – კეისი გახსნა და შიგ ჩაიხედა, – იარაღი ადგილზეა; ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს».

აქოშინებულმა ბიჭებმა მოირბინეს.

– ექვსია! – შორიდანვე დაიყვირა ერთმა, – ექვსი დავთვალე.

– მე კი ხუთი, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიძახა მეორემ.

– დარწმუნებული ხართ, რომ ველოტაქსები იყო? რიქშების გამორჩევა სხვა მძღოლებისგან შეგიძლიათ?

– დიახ, სერ, – სხაპასხუპით მიუგო ორივე ბიჭმა.

მისტერ ტაგომიმ თითოეულს ათცენტიანი გაუწოდა. ბიჭებმა მადლობა გადაუხადეს მას და გაიქცნენ.

«ოფისში, საქმეს უნდა დავიბრუნდე, – გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ. ფეხზე წამოდგა და ხელში კეისი ჩაბღუჯა, – ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო. დღეს ჩვეულებრივი სამუშაო დღეა».

პარკის ბილიკის გავლით ქუჩაში გავიდა.

– ტაქსი! – დაიყვირა.

მანქანების ნაკადს ველოტაქსი გამოეყო; რიქშას მუქკანიანი სახე ოფლით გახვითქოდა, ქოშინებდა.

– დიახ, სერ.

– «ნიპონ ტაიმსის» შენობასთან მიმიყვანე, – უბრძანა მისტერ ტაგომიმ, დაუხმარებლად ჩაჯდა ეტლში და მოხერხებულად მოკალათდა.

რიქშა სატერფულებს გაშმაგებული დააწვა და სულ მალე მანქანებისა და სხვა ველოტაქსების ნაკადში ჩაიკარგა.

შუადღე სრულდებოდა, როდესაც მისტერ ტაგომი «ნიპონ ტაიმსის» შენობაში შევიდა. ვესტიბიულში ოპერატორს მისტერ რეიმსისთან დაკავშირება სთხოვა.

– ტაგომი ვარ, – უპასუხა ყურმილის აღების შემდეგ.

– დილა მშვიდობის, სერ. მოხარული ვარ, რომ გელაპარაკებით. დილით რომ არ გამოჩნდით, ათ საათზე შინ დაგირეკეთ, მაგრამ თქვენმა მეუღლემ როგორც მითხრა, უკვე წასული იყავით.

– ყველაფერი სუფთაა?

– ნიშანწყალი აღარ ჩანს.

– ნამდვილად?

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სერ.

კმაყოფილმა მისტერ ტაგომიმ ყურმილი დაკიდა და ლიფტისკენ გაემართა.

ოფისში შესულმა ყურადღებით დაათვალიერა იქაურობა. მართლაც ყველაფერი გაეწმინდათ, როგორც აცნობეს. შვებით ამოისუნთქა. ვერავინ მიხვდებოდა, გუშინ ამ ოფისის კედლებში რა დატრიალდა. ეს ამბავი მხოლოდ იატაკზე დაფენილმა ხელოვნურმა საფარმა შემოინახა მახსოვრობაში.

კაბინეტში მისტერ რეიმსი შეეგება.

– თქვენი სიმამაცის შესახებ ქების სიტყვებს არ იშურებს «ტაიმსის» პირველი გვერდი, – წამოიძახა მან, – სტატიაში წერენ, რომ... – მაგრამ მისტერ ტაგომის სახეს შეავლო თუ არა თვალი, მაშინვე დადუმდა.

– ჯერ უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ვისაუბროთ: გენერალ ტედეკის შესახებ რა იცით? იგივე მისტერ იატაბეზე გეკითხებით.

– გასაიდუმლოებული რეისით ტოკიოში ბრუნდება. კვალის აბნევაზე იზრუნეს, – მისტერ რეიმსიმ შუა და საჩვენებელი თითები გადააჯვარედინა იმის იმედად, რომ ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო.

– ახლა მისტერ ბეინსის შესახებ მითხარით.

– არაფერი ვიცი. თქვენი არყოფნისას ცოტა ხნით შემოიარა, თუმცა არაფერი უთქვამს, – მისტერ რეიმსი ყოყმანობდა, – სავარაუდოდ, გერმანიაში დაბრუნდა.

– უკეთესი იქნებოდა მშობლიურ კუნძულებზე წასულიყო, – მისტერ ტაგომი უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, – გასაგებია. ეს ყველაფერი მოხუც გენერალს და იმათ ეხება, ვისთანაც მას კავშირი აქვს. ჩემი საქმე არ არის. მათ მხოლოდ გამომიყენეს. მეც და ჩემი ოფისიც; ასე იყო მიზანშეწონილი და მოსახერხებელი. მათთვის მე ვიყავი... ამას რას ეძახიან? შირმა.

«ნიღაბი ვარ, რომელიც რეალობას ფარავს. ჩემ უკან, დაფარულად, სხვების მზერისგან მიუწვდომლად, მოქმედება გრძელდება. უცნაურია. ზოგჯერ სასიცოცხლოდ აუცილებელია, თავი რაღაცას აფარებულ მუყაოს ნაჭრად იგრძნო; მაგრამ თუ ამ ვითარებას ჩავწვდებით, მასში სატორის ნაწილაკის აღმოჩენაც შეიძლება. ილუზორულისა და მოჩვენებითის თავიდან მოშორებაც კი შეუძლებელია. როგორც ეკონომიკის კანონი ამბობს, ყველაფერი გამოსადეგია. არარეალურიც კი. როგორი გრანდიოზულია ეს პროცესი».

კაბინეტში აღელვებული მის ეიფრიკიანი შემოვიდა.

– მისტერ ტაგომი. სატელეფონო კომუტატორიდან გამომიგზავნეს.

– დაწყნარდით, მის, – უთხრა მისტერ ტაგომიმ, – «დროის მდინარება გვითრევს», გაიფიქრა მერე.

– სერ, გერმანიის კონსულია მოსული. თქვენთან საუბარი სურს, – მის ეიფრიკიანი ხან მისტერ რეიმსის შეხედავდა, ხან მისტერ ტაგომის, სახე გაფითრებოდა, – ამბობენ, რომ დილით ადრეც იყო მოსული, მაგრამ იცოდნენ, თქვენ რომ...

მისტერ ტაგომიმ ხელით ანიშნა, გაჩუმებულიყო.

– მისტერ რეიმსი, შემახსენეთ თუ შეიძლება, გერმანიის კონსულის სახელი.

– ბარონი ჰუგო რეისი, სერ.

– ჰო, გამახსენდა.

«იქნებ მისტერ ჩილდენმა დიდი სამსახური გამიწია, რომ იარაღი არ დაიტოვა», კეისს ხელი წამოავლო, ოფისიდან დერეფანში გავიდა.

იქ ტანმაღალი, გამხდარი, კარგად ჩაცმული თეთრკანიანი იდგა. ქერა თმა, შავი ტყავის გაპრიალებული ფეხსაცმელი, ტანის დაჭერის მეომრული მანერა. სპილოს ძვლის ნატიფი მუნდშტუკი კბილებში. ეჭვი არ არის, ის იყო.

– ჰერ ჰუგო რეისი ბრძანდებით?

გერმანელმა თავი დაუკრა.

– აქამდე თქვენთან ურთიერთობა მხოლოდ წერილით, ტელეფონით და სხვა მსგავსი საშუალებებით მქონდა. პირისპირ ერთმანეთს არასოდეს შევხვედრივართ.

– ჩემთვის პატივია, – რეისმა მისკენ ნაბიჯი გადადგა, – მომხდარი სამწუხარო მოვლენის მიუხედავად.

– გაოცებული ვარ, – უპასუხა მისტერ ტაგომიმ.

გერმანელმა წარბი ასწია.

– მაპატიეთ. თქვენ სამწუხარო მოვლენა ახსენეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის – ჩემი სულის მყიფე ჭურჭელი დაიმსხვრა.

– ძალიან ვწუხვარ, – ჰერ რეისმა თავი ჩაღუნა, – როდესაც პირველად...

– სანამ თქვენს ლიტანიას გაარძელებთ, დამამთავრებინეთ.

– რასაკვირველია.

– უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი საკუთარი ხელით მოვკალი, – განაგრძო მისტერ ტაგომიმ.

– სან-ფრანცისკოს პოლიციის დეპარტამენტმა ინფორმაცია მომაწოდა, – რეისმა სიგარეტის კვამლი გამოუშვა, – რამდენიმე საათი გავატარე კერნი-სტრიტზე მდებარე საპოლიციო განყოფილებაში, ვიყავი მორგშიც და წავიკითხე გამომძიებლების ჩაწერილი თქვენი თანამშრომლების ჩვენებები. ის, რაც მოხდა, ძალიან სამწუხაროა.

მისტერ ტაგომის ხმა არ ამოუღია.

– და მაინც, – განაგრძობდა ჰერ რეისი, – ვერ დადგინდა თავდამსხმელების კავშირი რაიხთან. გერმანიის მთავრობას მომხდართან კავშირი არ აქვს. მისტერ ტაგორი, თქვენ სავსებით მართებულად მოიქეცით.

– ტაგომი.

– აი, ჩემი ხელი, – კონსულმა ხელი გაუწოდა, – მოდი, ჯენტლმენურად ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და მომხდარი დავივიწყოთ. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სულელურმა პუბლიკაციებმა სახელმწიფოთა ინტერესები არ დააზიანოს.

– ყველაფრის მიუხედავად, მკვლელობის ცოდვა მაწევს, – მიუგო მისტერ ტაგომიმ, – სისხლი, ჰერ რეის, რომელიც მელანი არ არის, ადვილად ჩამოირეცხო.

კონსული უკმაყოფილო ჩანდა.

– დავიწყება მინდა. სამწუხაროდ, თქვენ არ ძალგიძთ ამ საქმეში დამეხმაროთ. ალბათ, არც არავის შეუძლია. ცნობილი მასაჩუსეტსელი მქადაგებლის, გუდმენ მეთერის

დღიური უნდა გადავიკითხო. ის ადგილი, სადაც ის ცოდვილისთვის განკუთვნილ ჯოჯოხეთის ცეცხლზე წერს.

კონსულმა ისევ გააბოლა და მისტერ ტაგომის სახეს ყურადღებით დააცქერდა.

– ნება მიბოძეთ, გაცნობოთ, რომ თქვენი ქვეყანა მანკიერების ისეთ უმდაბლეს საფეხურზე დაეშვა, რომლისთვისაც აქამდე ჯერ არავის მიუღწევია. თუ იცით რაიმე ჰექსაგრამის შესახებ, რომელსაც «უფსკრული» ეწოდება? კერძო პირის სახელით გელაპარაკებით და არა როგორც იაპონიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, და გიცხადებთ: გული მტკივა მოსალოდნელი საშინელებისგან. ამ სამყაროში უდიდესი სისხლისღვრა დაიწყება. და ამ დროსაც კი ვერ ივიწყებთ თქვენს ეგოისტურ ანგარიშსწორებას. გინდათ ყველაფერი უშიშროების სამსახურს გადააბრალოთ, ასე არ არის? გინდათ წყლიდან თავად მშრალი ამოხვიდეთ და ჯოხი ჰერ ბრუნო კროიც ფონ მეიერზე გადატყდეს... – ლაპარაკის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მკერდზე თითქოს სალტე მოუჭირეს. «როგორც ბავშვობაში, როდესაც მოხუც ქალბატონზე ვბრაზობდი, ასთმის შეტევა მემართებოდა», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ, – იმ დაავადებამ შემახსენა თავი, რომელიც დიდი ხანია, დავიწყებული მქონდა, – უთხრა ჰერ რეისს. კონსულმა სიგარეტი გადააგდო, – იმ დღიდან მიიღო სახიფათო ფორმა, რაც თქვენი პოლიტიკური ლიდერების ნამოქმედარის შესახებ მოვისმინე. ამ დაავადების განკურნება შეუძლებელია. თქვენც ავად ხართ, სერ. თუ სწორად მახსოვს, როგორც გუდმენ მეთერი ამბობს, «მოინანიე, ცოდვილო!»

გერმანიის კონსულმა ხრინწიანი ხმით უპასუხა:

– სწორად გახსოვთ, – თავი დაუქნია. ახალი სიგარეტი ამოიღო, თითები უკანკალებდა.

კაბინეტიდან მისტერ რეიმსი გამოვიდა. დოკუმენტების დასტა ეჭირა. მისტერ ტაგომის, რომელიც ხმის ამოუღებლად იდგა და სუნთქვის დაწყნარებას ცდილობდა, მიუახლოვდა:

– სანამ აქ არის. ერთი წვრილმანი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

მისტერ ტაგომიმ მექანიკურად ჩამოართვა გაწვდილი დოკუმენტი. დახედა – ფორმა 20-50. რაიხის თხოვნა წყნარი ოკეანის შტატებში ოფიციალური წარმომადგენლის, კონსულის ბარონ ჰუგო რეისის სახით, სან-ფრანცისკოს პოლიციის მიერ დაკავებული დამნაშავის, ფრენკ ფინკად წოდებული ებრაელის – 1960 წლის ივნისის უკუქმედების ძალით მქონე რაიხის

კანონის თანახმად, გერმანიის მოქალაქის, – გადაცემის თაობაზე მისი გასამართლების მიზნით. საბაჟო სამსახურის შესახებ რაიხის კანონის შესაბამისად... და ასე შემდეგ.

– კალამი, მოგაწოდოთ, სერ? – თქვა მისტერ რეიმსიმ, – დღეს ამით დავასრულებთ გერმანიის მთავრობასთან საქმიან ურთიერთობას, – გერმანიის კონსულს ამრეზით უმზერდა.

– არა, – თქვა მისტერ ტაგომიმ, ფორმა 20-50 მისტერ რეიმსის დაუბრუნა. მერე ხელი დასტაცა ფურცელს და ქვემოთ მიაწერა: «უარი ეთქვას. სან-ფრანცისკოში იაპონიის სავაჭრო წარმომადგენელის სახელით, 1947 წლის სამხედრო ხელშეკრულების საფუძველზე, ტაგომი». ასლი გერმანიის კონსულს გადასცა, ორიგინალი კი მისტერ რეიმსის დაუბრუნა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ჰერ რეის, – თავი დაუკრა.

გერმანიის კონსულმაც თავის დაკვრით უპასუხა. დოკუმენტისთვის არც დაუხედავს.

– სხვა დროს ეცადეთ, ჩემთან ურთიერთობისთვის მხოლოდ წერილი, ტელეფონი, ტელეგრაფი გამოიყენოთ. თქვენი პირადად ნახვა არ მსურს, – უთხრა ტაგომიმ.

– იმ საქმისთვის მაკისრებთ პასუხისმგებლობას, რომელშიც ჩემი უწყება გარეული არ არის, – უპასუხა კონსულმა.

– ჯანდაბამდის გზა გქონიათ – აი, ამას გეტყვით.

– ცივილიზებული ადამიანები საქმიანი ურთიერთობისას ასე არ საუბრობენ. გაღიზიანება და შურისძიების სურვილი გამოძრავებთ. ასეთ დროს კი ყველაზე მეტად თავშეკავება და წინდახედულება გმართებთ, – სიგარეტის ნამწვი დერეფანში მოისროლა, ზურგი შეაქცია და წავიდა.

– თქვენი მყრალი სიგარეტიც თან წაიღეთ, – მისუსტებული ხმით წამოიყვირა მისტერ ტაგომიმ, მაგრამ კონსულმა უკვე კუთხეში შეუხვია და თვალს მიეფარა, – ჩემი უპატიებელი ბავშვური საქციელის მოწმე გახდით, – დანაღვლიანებული, არეული ნაბიჯებით კაბინეტისკენ გაეშურა. სუნთქვა შეეკრა. ტკივილი მარცხენა მკლავს ჩაუყვა, მერე ნეკნებს მოედო.

– ოოოჰ, – წამოიძახა. ხალიჩის ნაცვლად რატომღაც წითელ ნაპერწკლებს ხედავდა.

– მიშველეთ, მისტერ რეიმსი, – წარმოთქვა მისტერ ტაგომიმ, მაგრამ პასუხი არ გაუგონია, – გთხოვთ, – წაბორძიკდა, ხელი გაიშვირა, თითქოს ხელის ჩასაჭიდს ეძებსო. ვერაფერი ნახა. წაქცევისას მისტერ ჩილდენის მაღაზიაში შეძენილი ვერცხლის სამკუთხედი ჰქონდა ჩაბღუჯული.

«ვერ გადამარჩინე, – გაიფიქრა, – ვერ დამეხმარე. ყველაფერი ამაო გამოდგა».

წაიქცა. ხელებსა და მუხლებში ძალა გამოეცალა. სუნთქვა შეეკრა. ცხვირში ხალიჩის სუნი უღიტინებდა.

«ახლა მისტერ რეიმსი ალბათ დაფეთებული დარბის. წონასწორობა უნდა შევინარჩუნო», გაიფიქრა მისტერ ტაგომიმ.

– მგონი გულის შეტევაა, – ამის თქმა მოახერხა.

იგრძნო, რამდენიმე ადამიანს დივანზე გადაჰყავდა.

– დაწყნარდით, სერ, – ჩაესმა ვიღაცის ხმა.

– გთხოვთ, მეუღლე გააფრთხილეთ, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

სასწრაფო დახმარების მანქანის ხმა მოესმა. ქუჩის აურზაური. ფეხების ფრატუნი. ადამიანები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. ბალიში ამოუდეს. ჰალსტუხი და პერანგის ღილი შეუხსნეს.

– უკეთ ვარ, – თქვა მისტერ ტაგომიმ.

დივანზე მოხერხებულად იწვა, გაუნძრევლად.

«ჩემი კარიერა დასრულდა. გერმანიის კონსული, უეჭველია, ხმაურს ატეხს. აუცილებლად მიჩივლებს ჩემი არაკორექტული საქციელის გამო და მართალიც იქნება. ასეა თუ ისე, საქმე გაკეთებულია. ჩემი თამაში დასრულდა. ახლა ჯერი ტოკიოსა და გერმანიის დაინტერესებულ წრეებზეა. ეს ბრძოლა უჩემოდ მაინც გაიმართება.

არადა, ყველაფერი პლასტმასით დაიწყო. სოლიდური ბიზნესმენი. მართალია, სამისნო წიგნმა კი გამაფრთხილა, რომ...»

– პერანგი გახადეთ, – გაისმა ვიღაცის ხმა. უეჭველია, ექიმი უნდა ყოფილიყო. უაღრესად ავტორიტეტული ხმა ჰქონდა. მისტერ ტაგომიმ გაიღიმა. ხმა ყველაფერს წყვეტს.

«იქნებ ეს პასუხია? ჩვენი სხეულის საიდუმლოებას არ ვიცნობთ. დასვენების დრო მოვიდა. ან ნაწილობრივი დასვენების. ალბათ უნდა დავემორჩილო სხეულს.

ბოლოს რა მითხრა სამისნო წიგნმა? როდესაც ჩემი ოფისის იატაკზე მკვდარი და მომაკვდავი ეგდო, მე კი გაფაციცებული რჩევას ვეკითხებოდი. სამოცდამეერთე ჰექსაგრამა – «შინაგანი სიმართლე». ღორებსა და თევზებსაც კი აქვთ ჭკუა; დაჯერება ძნელია. მეც ასე ვარ. წიგნი მე მგულისხმობდა. საბოლოოდ ყველაფერს მაინც ვერ ჩავწვდი; ასეთია ჩემნაირი არსებების ბუნება. ან იქნებ, ახლა უნდა შევიტყო შინაგანი სიმართლე? ის, თუ რა მოხდება?

უნდა დავიცადო. ვნახოთ. ალბათ ასე იქნება.

იქნებ, ერთიც მოხდეს და მეორეც».

იმ საღამოს, სადილის შემდეგ, პოლიციის ოფიცერი ფრენკ ფრინკის კამერასთან მივიდა, კარი გააღო, უბრძანა, ნივთები შეეგროვებინა.

ცოტა ხნის შემდეგ კერნი-სტრიტის საპოლიციო განყოფილების წინ, ქუჩაში იდგა,

აჩქარებული ნაბიჯით მიმავალ გამვლელებს შორის. ავტობუსები და მანქანები სიგნალებით აყრუებდნენ ქუჩას, ველორიქშების შემახილები ესმოდა. ციოდა. შენობების გრძელი ჩრდილები ტროტუარზე ეფინა. ფრენკ ფრინკი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ადამიანების ჯგუფთან ერთად მექანიკურად გადავიდა გზის მეორე მხარეს.

მისი აზრით, მისი დაპატიმრების რეალური მიზეზი არ არსებობდა. ასეთივე უმიზეზო ჩანდა გათავისუფლება. მისთვის არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ტანსაცმელი, საფულე, საათი, სათვალე, სხვა პირადი ნივთები დაუბრუნეს და თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ, ქუჩიდან აყვანილი მაწანწალისთვის უნდა მიეხედათ.

«საოცრებაა, – ფიქრობდა ფრინკი, – გამომიშვეს! ბედნიერი შემთხვევითობაა. წესით ახლა გერმანიაში უნდა მივფრინავდე, სადაც სიკვდილით დამსჯიდნენ».

ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა მომხდარი – მოულოდნელი დაპატიმრება, ახლა კიდევ – გათავისუფლება. გაუგონარი რამ იყო. ქუჩას მიუყვებოდა, ვიტრინებს ათვალიერებდა, ქარისგან აფრიალებულ ნაგავს ფეხს აბიჯებდა.

«ახალი ცხოვრებაა, თითქოს თავიდან დავიბადე. ჰო, ჯანდაბა, მართლაც ასეა.

როგორ მოვიქცე? იქნებ ვილოცო?

მაგრამ ვის სახელზე?

ძალიან მინდა გავიგო», უთხრა თავის თავს. აჟრიამულებულ საღამოს ქუჩაზე მიაბიჯებდა. გრატ ავენიუზე თვალებს სჭრიდა ნეონის აბრების ციმციმი, ბარებიდან გამოსული ღრიანცელი იკლებდა ქუჩას.

«მინდა გავიგო. უნდა გავიგო», მაგრამ თავადაც შესანიშნავად იცოდა, ვერაფერს გაიგებდა.

«უბრალოდ, გაიხარე. ამოძრავდი! უკან, ედთან, ჩემს სახელოსნოს უნდა დავუბრუნდე, ჩემს სარდაფს. დავასრულო ის სამკაულები, რომლებსაც საკუთარი ხელით ვამზადებ. ვიმუშაო და აღარ ვიფიქრო, თავი არ ავწიო, ან ვეცადო, აღარაფერი გავიგონო. შეუსვენებლად უნდა ვიმუშაო. ყველაფერი დავამთავრო».

ჩაბნელებული ქალაქის კვარტალებში აჩქარებული მიაბიჯებდა. რაც შეიძლება მალე სურდა დაბრუნებოდა ჩვეულ, მისთვის გასაგებ ცხოვრებას.

როდესაც სახელოსნოში შევიდა, ედ მაკკართი დაზგასთან იჯდა და ვახშმობდა. ორი სენდვიჩი, თერმოსით ჩაი, ბანანი, შინ გამომცხვარი ორცხობილა. ფრენკ ფრინკი ზღურბლზე შეჩერდა, იქაურობა მოათვალიერა.

ედმა ფეხის ხმა გაიგონა და მისკენ შებრუნდა.

– მეგონა, მოგკლავდნენ, – თქვა მან.

საჭმელს ღეჭავდა, ყბებს რიტმულად ამუშავებდა. ახალი ლუკმა მოკბიჩა.

დაზგასთან, ედის გვერდით პატარა ელექტროგამათბობელი ქურა იყო ჩართული. ფრედი ქურასთან ჩამოჯდა და გაყინული ხელები მიუშვირა.

– კარგია, რომ დაბრუნდი, – ედმა ფრენკს ორჯერ დაჰკრა ზურგზე მეგობრულად ხელი და სენდვიჩის ჭამა განაგრძო. მეტი აღარაფერი უთქვამს; სახელოსნოში მხოლოდ გამათბობლის ჩუმი ზუზუნი და ღეჭვის ხმა ისმოდა.

ფრეკმა პალტო სკამის საზურგეზე გადაკიდა; დასამთავრებელი ვერცხლის ნაკეთობების დეტალები მუჭით მოხვეტა და დაზგასთან დააწყო. სხივზე ბამბის ნაჭრით დაფარული ბორბალი ჩამოაცვა და ძრავა ჩართო; სახეზე თვალების დამცავი ნიღაბი მოირგო და დეტალების სათითაოდ გაპრიალებას შეუდგა.

15

კაპიტანი რუდოლფ ვეგენერი, რომელიც წამლების ბითუმად მოვაჭრის, კონრად გოლცის სახელით მოგზაურობდა, ლუფტჰანზა ME9-E რაკეტა-თვითმფრინავის ილუმინატორიდან იყურებოდა. ქვემოთ ევროპა მოჩანდა.

«რა სწრაფად ჩამოვედით, – გაიფიქრა, – დაახლოებით შვიდ წუთში ტემპელჰოფერის აეროპორტის საფრენ ბილიკზე დავეშვებით».

უყურებდა, თანდათან როგორ უახლოვდებოდა საფრენი აპარატი მიწას და ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა: «როგორ მაინტერესებს, მიზანს მივაღწიე თუ ვერა. ახლა ყველაფერი გენერალ ტედეკიზეა დამოკიდებული. რას მოახერხებს მშობლიურ კუნძულებზე. ასეა თუ ისე, ჩვენ მთელი ინფორმაცია გადავეცით. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

მაგრამ ეს ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. შესაძლოა იაპონელებმა გერმანიის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა ვერც მოახერხონ. გებელსის მთავრობა ხელისუფლებაშია და სავარაუდოდ, დარჩება კიდეც, ფეხის მტკიცედ მოკიდების შემდეგ კი აუცილებლად დაუბრუნდება ოპერაცია «ბაბუაწვერას». პლანეტის კიდევ ერთი ნაწილი განადგურდება მოსახლეობითურთ არანორმალური, ფანატიკური იდეალის გამო. ნუთუ ნაცისტები ყველას მოსპობენ? ყველაფერს სტერილურ უდაბნოდ აქცევენ? მათ ეს შეუძლიათ; წყალბადის ბომბი აქვთ. და ეჭვი არ არის, თავისას მიაღწევენ კიდეც; რადგან მათი აზროვნებისთვის დამახასიათებელია Gätterdämmerung

[103]

. უნდათ კიდეც, ასე მოხდეს, სულითა და გულით ესწრაფიან კიდევ ერთი, საბოლოო ჰოლოკოსტის მოწყობას.

რას დატოვებს თავის შემდეგ ეს მესამე მსოფლიო სიგიჟე? საერთოდ გაქრება თუ არა სიცოცხლის ყველა ფორმა? ნუთუ დედამიწას მკვდარ პლანეტად საკუთარი ხელებით

ვაქცევთ?».

თავად ამის არ სჯეროდა.

«იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე განადგურდება, სადღაც, სადაც ჩვენ არ ვიცით, ის არსებობას უნდა აგრძელებდეს. შეუძლებელია მხოლოდ ერთი ცოცხალი პლანეტა იყოს სამყაროში; უნდა არსებობდეს სხვა ცოცხალი სამყაროები, ჩვენზე გონიერი, რელიგიური თუ აზროვნების თვალსაზრისით, იმ სიღრმის ცოდნის მქონე, რომელსაც ჩვენ ვერ ჩავწვდით.

არ შემიძლია ამის დადასტურება, თუნდაც ეს არალოგიკური იყოს, თავად მჯერა, რომ ასეა».

Meine Damen und Herren. Achtung, bitte – გაისმა ხმის გამაძლიერებლიდან.

«მალე დავეშვებით. დარწმუნებული ვარ, უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები მელოდებიან. საკითხავი ის არის, პოლიციის რომელი დაჯგუფება იქნება? გებელსის მომხრე? თუ ჰაიდრიხის? – რასაკვირველია, თუ ესესის გენერალი ჰაიდრიხი ჯერ კიდევ ცოცხალია. სანამ მოვფრინავდი, შეიძლებოდა მასაც გასწორებოდნენ. ტოტალიტარულ საზოგადოებას გარდამავალ ეპოქაში ასეთი მოვლენები ახასიათებს. ნაცისტურ გერმანიაში კიდევ უნდა იყოს სიები, რომელთა მიხედვით თითოეულ პიროვნებას ყურადღებით სწავლობენ».

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც საფრენი აპარატი დაეშვა, გასასვლელისკენ ბრბოში იდაყვებით მიიკვლევდა გზას. უკან და წინ აღელვებულ მგზავრებს ხედავდა. «საბედნიეროდ, მათ შორის ახალგაზრდა ნაცისტი ხელოვანი არ ურევია, – გაიფიქრა ვეგენერმა, – ლოცე ტვინს არ გამიბურღავს თავისი იდიოტური შეხედულებებით». ფორმაში გამოწყობილი ავიაკომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი, რაიხის მარშალივით გაჯგიმული იდგა და მგზავრების სათითაოდ ჩამოსვლას თვალს ადევნებდა. ტრაპის ძირთან, ცოტათი მოშორებით. შავპერანგიანების ჯგუფი შეკრებილიყო.

«მე მხვდებიან?»

ვეგენერი ნელა ჩავიდა ტრაპზე. მოპირდაპირე მხარეს დამხვდურები, მამაკაცები, ქალები და რამდენიმე ბავშვიც კი, მგზავრებს ელოდნენ, ხელის უქნევდნენ, ეძახდნენ.

ერთ-ერთ შავპერანგიანი, ბრტყელსახიანი ქერა ყმაწვილი ვაფენ-ესესის განმასხვავებელი ნიშნით ვეგენერს მიუახლოვდა, სამხედრო წესით მიესალმა და კითხვით მიმართა:

– Ich bitte mich zu entschuldigen. Sind Sie nicht Kapitan Rudolf Wegener, von der Abwehr?

[104]

– მომიტევეთ. მე კონრად გოლცი გახლავართ. ფარმაცევტული ფირმა «ა. გ. ქემიკალენის» წარმომადგენელი.

გზა გააგრძელა.

ორი სხვა შავპერანგიანი, ასევე ვაფენ-ესესის განმასხვავებელი ნიშნით, მისკენ გამოემართა. ახლა სამი შავპერანგიანის გარემოცვაში აგრძელებდა არჩეულ გზას. ორი შავპერანგიანი შინელის ქვეშ ტყვიამფრქვევს მალავდა.

– ვეგენერი ხართ, – უთხრა ორთაგან ერთ-ერთმა, როდესაც აეროპორტის შენობაში შევიდნენ.

ვეგენერს ხმა არ ამოუღია.

– მანქანით ვართ. ნაბრძანები გვაქვს საფრენ აპარატთან დაგხვდეთ და დაუყოვნებლივ ესესის გენერალ ჰაიდრიხთან მიგიყვანოთ, «ლეიბშტანდარტის» დივიზიის შტაბბინაში. მკაცრად გაგვაფრთხილეს, თქვენთან ვერმახტის ან პარტიის წარმომადგენლების ახლოს მოსვლა არ დავუშვათ.

«პარტიელებმა რომ არ მომიტაცონ, – გაიფიქრა ვეგენერმა, – ჰაიდრიხი ცოცხალია, უსაფრთხო ადგილზეა და სავარაუდოდ, გებელსის მთავრობაში პოზიციების განმტკიცებას ცდილობს. იქნებ გებელსის მთავრობა დაემხოს კიდეც», ამას ფიქრობდა, როცა ესესელების თანხლებით შავ «დაიმლერში» ჯდებოდა.

«ერთ ღამეს ქუჩებს უეცრად შავპერანგიანები მოედებიან; შეიცვლება რაიხსკანცლერის რეზიდენციის დაცვა, ბერლინის პოლიციის განყოფილებებიდან ასევე მოულოდნელად გასული, კბილებამდე შეიარაღებული პოლიცილები ქალაქში ყველა მიმართულებით გაიშლებიან – აიღებენ რადიოსადგურებს, სამთავრობო შენობებს, აეროპორტს დაკეტავენ. სიბნელეში, მთავარ ქუჩებზე, იარაღი იჟღარუნებს.

მაგრამ რა შეიცვლება? თუნდაც დოქტორ გებელსის დამხობის ან ოპერაცია «ბაბუაწვერას» გაუქმების შემთხვევაში? მაინც იარსებებენ შავპერანგიანები, პარტია, აღმოსავლეთთან ან სადმე სხვაგან ბრძოლის გეგმები. მარსზე ან ვენერაზე. მისტერ ტაგომიმ ვერ გაუძლო და ეს არც არის გასაკვირი. ჩვენი ცხოვრების საზარელი დილემაა. რაც გინდა მოხდეს, მაინც ბოროტების თანამონაწილე ხდები. მაშ, რა საჭიროა წინააღმდეგობის გაწევა? რა უნდა აირჩიო? თუ ყველა შესაძლებლობა ერთნაირია.

და მაინც, ჩვენსას გავაგრძელებთ, როგორც ყოველთვის. დღიდან დღემდე. დღეს ეს არის ბრძოლა ოპერაცია «ბაბუაწვერას» წინააღმდეგ. მოგვიანებით პოლიციის ძალაუფლების დამხობას ვეცდებით. მთელი ბოროტების ერთბაშად აღმოფხვრა შეუძლებელია. ეს ხანგრძლივი პროცესია. ოღონდ თითოეული ნაბიჯის გადადგმისას სწორი არჩევანი უნდა გავაკეთოთ.

და იმედი არ უნდა დავკარგოთ. ყოველ შემთხვევაში, ვეცადოთ.

რომელიღაც სხვა სამყაროში ალბათ, ყველაფერი განსხვავებულად იქნება. ბევრად უკეთესად. ცხადად და გარკვევით იარსებებს კარგი და ცუდი არჩევანის შესაძლებლობა. აღარ იქნება არავითარი ბუნდოვანი მინიშნებები, კამუფლაჟი, ხლართის გამოხსნას რომ ართულებს.

იდეალური საზოგადოება არ არსებობს, ისეთი, როგორიც გვინდა, სადაც ადვილად გასაგებია,

რა არის მორალური, იმიტომ რომ მისი შეგნებაა გაადვილებული. საზოგადოება, რომელშიც ადამიანს საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, ისედაც ცხადია, მართალი რომ არის».

«დაიმლერი» ადგილს მოსწყდა. კაპიტანი ვეგენერი უკანა სავარძელზე ორ შავპერანგიანს შორის იჯდა. მუხლებზე ორივეს ტყვიამფრქვევი ედო. კიდევ ერთი შავპერანგიანი მანქანას მართავდა.

მანქანა ბერლინის ქუჩებში მიქროდა, ვეგენერი კი მოსალოდნელ ხვედრზე ფიქრობდა.

«დავუშვათ, ეს ხრიკია. ესესის გენერალ ჰაიდრიხთან კი არ მივყავარ «ლეიბშტანდარტის» დივიზიის შტაბ-ბინაში, არამედ პარტიის კუთვნილ ჯურღმულში, სადაც დამკითხავენ, ყველაფერს დამაფქვევინებენ და ბოლოს ჩამაძაღლებენ. მაგრამ არჩევანი უკვე გავაკეთე – გერმანიაში დაბრუნება ვარჩიე; ვარჩიე დაპატიმრების რისკი, სანამ აბვერის ხალხს დავუკავშირდები და დაცვით ვისარგებლებ.

ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინია ჩვენი გეზი. და ვირჩევთ თუ არა, მაინც ყოველი ნაბიჯით მას ვუახლოვდებით. ან პირიქით, დანებების შემდგომ სიკვდილს ვირჩევთ».

მანქანის ფანჯრიდან სახლებს უმზერდა.

«ჩემი მშობლიური Volk

[105]

. კვლავ ერთად ვართ».

ესესელებიდან ერთ-ერთს მიუბრუნდა:

– ახალი რა ხდება? პოლიტიკური ვითარება შეიცვალა? რამდენიმე კვირაა აქ არ ვყოფილვარ, ბორმანის გარდაცვალებამდე წავედი.

მარჯვნივ რომელიც იჯდა, იმან უპასუხა:

– უამრავი შერეკილი გამოვიდა ქუჩებში ამ პატარა დოქტორის მხარდასაჭერად. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლებაში ბრბომ მოიყვანა. მაგრამ დრო გავა და ვეღარ აიტანენ ტყუილებითა და ცარიელი სიტყვების რახარუხით მასების გონების დამბინდავ მახინჯსა და დემაგოგს.

– გასაგებია, – უპასუხა ვეგენერმა.

«ისევ ისეა ყველაფერი – ერთმანეთის დაუძლეველი ზიზღი. იქნებ ბოროტების თესლი გაღივდეს, მისგან ურჩხულები ამოიზარდონ და ერთმანეთი გაანადგურონ, მსოფლიო კი გადარჩება. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენგან საკმარისი ნაწილი დარჩება, რათა ყველაფრის თავიდან აშენება შეძლოს და უბრალოდ, მომავალზე იფიქროს».

ნაშუადღევის პირველ საათზე ჯულიანა ფრინკი ვაიომინგში, შაიენში ჩავიდა. ქალაქის

ცენტრში მდებარე ძველი, უზარმაზარი რკინიგზის სადგურის ახლოს, სიგარების მაღაზიაში დღის გამოშვების ორი გაზეთი იყიდა. მანქანა ტროტუართან გააჩერა და გაზეთები გადაათვალიერა. ერთ-ერთში შემდეგი პატარა სტატია შეხვდა:

შვებულება საბედისწეროდ დასრულდა

დენვერის სასტუმროს «პრეზიდენტი გარნერი» მომსახურე პერსონალის ჩვენების თანახმად, მისტერ ჯო ჩინანდელა, წარმოშობით კანიონ-სიტიდან, ცოლ-ქმარს შორის შელაპარაკების მსხვერპლი გახდა. ბედის ირონიით, სასტუმროს მიერ სტუმრებისთვის კეთილგანწყობის ნიშნად დატოვებული სამართებლის პირების პაკეტი გახსნილი აღმოჩნდა და სწორედ სამართებელი გამოიყენა მისის ჩინანდელამ. ამბობენ, რომ ის მუქთმიანია, სასიამოვნო გარეგნობის, მოხდენილი აღნაგობის, აცვია მდიდრული სამოსი, დაახლოებით ოცდაათი წლის უნდა იყოს. მან ყელში მიაყენა ჭრილობა ქმარს, რომლის სხეული თეოდორ ფერისმა, სასტუმროს ტანსაცმლის წმენდა-მოწესრიგების სამსახურის თანამშრომელმა აღმოაჩინა – მისტერ ჩინანდელამ ნახევარი საათით ადრე მას პერანგების გაუთოება სთხოვა. პოლიციელების თანახმად, ნომერში ორთაბრძოლის კვალი ჩანს, რაც მოწმობს, რომ...

«ესე იგი მოკვდა, – ჯულიანამ გაზეთი დაკეცა, – მათ ჩემი ნამდვილი სახელიც კი არ იციან, წარმოდგენა არ აქვთ ვინ ვარ».

ბევრად დამშვიდებულმა გააგრძელა გზა სანამ მეტ-ნაკლებად ასატანი მოტელი შეხვდებოდა; იქ ოთახი დაიქირავა და ბარგი მანქანიდან ნომერში გადაიტანა.

«ამიერიდან არსად მეჩქარება. აბენდსენებთან მისვლა საღამომდე შემიძლია გადავდო. ახალ კაბასაც ჩავიცვამ. დღისით მისი ჩაცმა მიუღებელია – აშკარად საღამოს, ვახშამზე წასასვლელი კაბაა.

და დღის განმავლობაში წიგნის კითხვასაც დავასრულებ».

მოტელის ნომერში მყუდროდ მოეწყო, რადიო ჩართო, ყავა შეუკვეთა, სუფთა თეთრეულიან საწოლში ჩაწყვა და «კალიის» ახალი ეგზემპლარი გადაშალა, რომელიც დენვერის სასტუმროს წიგნის მაღაზიაში შეიძინა.

საღამოს ექვს საათსა და ორმოცდაათ წუთზე წიგნი დახურა.

«მაინტერესებს, ჯომ თუ დაამთავრა წაკითხვა? როგორც ჩანს, ვერაფერი გაიგო. ამ წიგნში ბევრად მეტი შინაარსია ჩადებული, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. რისი თქმა სურდა აბენდსენს? გამოგონილი არაფერია – ნუთუ ამას მარტო მე მივხვდი? მგონი ასეა; ადამიანები რეალურად ვერ ჩაწვდნენ «კალიას», მხოლოდ ჰგონიათ, რომ წიგნი გაიგეს».

აცახცახებულმა, წიგნი ჩემოდანში ჩააბრუნა, პალტო ჩაიცვა და ნომერი დატოვა. წასახემსებელ ადგილს ეძებდა. ჰაერში სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა, ხოლო შაიენის აბრები და ლამპიონები განსაკუთრებით სახალისო განწყობას ქმნიდა. ერთ-ერთი ბარის წინ ორი ლამაზი, შავთვალა ინდიელი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჩხუბობდა – ჯულიანამ სვლა

შეანელა. ქუჩებში ლაპლაპა მანქანები დაქროდნენ; მთლიანად ატმოსფერო სადღესასწაულო წარმოდგენას ჰგავდა, სინთლით გაჩახჩახებულსა და მოლოდინით აღსავსეს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ძველ, მომაბეზრებელ, უსახურ წარსულთან, რომელიც დაუნანებლად მოიტოვა უკან.

სადილობისთვის ძვირად ღირებული ფრანგული რესტორანი აირჩია – თეთრ უნიფორმაში გამოწყობილი მამაკაცი კლიენტების მანქანებზე ზრუნავდა, ყოველ მაგიდაზე უზარმაზარ ღვინის ფიალაში ჩადებული სანთელი ანათებდა, ხოლო კარაქს ულუფებად დაჭრილი ნაჭრებით კი არა, მარმარილოს საკარაქეთი არიგებდნენ ხოლმე. დანაყრების შემდეგ მოტელში დაბრუნდა. რაიხსბანკის ბანკნოტები თითქმის გამოელია, მაგრამ ეს დიდად არ ანაღვლებდა.

«მან სამყაროს მისეული ხედვა შემოგვთავაზა, – ფიქრობდა მოტელის ნომრის კარის გაღებისას, – იმ სამყაროსი, რომელიც ჩვენ გარშემოა, – ისევ რადიო ჩართო, – უნდოდა, ჩვენც დაგვენახა. და მე ასეც ვიქცევი, ყოველწუთიერად».

ცისფერი იტალიური კაბა ყუთიდან ამოიღო და ფრთხილად გაშალა საწოლზე. კაბა არ დაზიანებულა; მხოლოდ საგულდაგულოდ გაწმენდა ესაჭიროებოდა ქსოვილის ღინღლის მოსაცილებლად. მაგრამ დანარჩენი პაკეტების გახსნის შემდეგ ჯულიანამ აღმოაჩინა, რომ დენვერში დატოვა კაბის ქვეშ ჩასაცმელად ნაყიდი ახალი ბიუსტჰალტერი.

«ჯანდაბა!», სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა.

ჩვეულებრივი ბიუსტჰალტერის ჩაცმა რომ ეცადა? ბლუზა და ქვედაკაბა გაიხადა და კაბა გადაიცვა. მაგრამ ბრეტელებიც მოჩანდა და თავად ბიუსტჰალტერის ზედა ნაწილიც.

«იქნებ სულ არ ჩავიცვა და ისე წავიდე? როგორც ადრე. მართალია, უკვე მრავალი წელია ბიუსტჰალტერის გარეშე არ მივლია...», გაახსენდა სწავლის პერიოდი, როდესაც პატარა მკერდი ჰქონდა; ამ მოგონებამ დაანაღვლიანა. ასაკის მატებისა და ძიუდოში ვარჯიშის გამო მკერდის ზომა ოცდათვრამეტამდე გაეზარდა. მაინც მოისინჯა კაბა ბიუსტჰალტერის გარეშე. სკამზეც კი შედგა, რომ სააბაზანოს პატარა სარკეში თავი შეეთვალიერებინა.

კაბა შესანიშნავად ადგა ტანზე, მაგრამ ღმერთო, როგორი თამამი დეკოლტე აქვს! საკმარისია სიგარეტის მოსაკიდებლად დაიხაროს და – სრული კატასტროფა იქნება.

გულსაბნევი! კაბის ქვეშ ბიუსტჰალტერს არ ჩაიცვამდა, სანაცვლოდ წინ გულსაბნევით დაიმაგრებდა. სამკაულების ყუთი საწოლზე დააპირქვავა და მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი გულსაბნევებისა და სხვა სამკაულის გადარჩევას შეუდგა. მათი ნაწილი ფრენკის ნაჩუქარი იყო, ნაწილიც – სხვა მამაკაცების, დაქორწინებამდე. იქვე იყო ახალიც, დენვერში ჯოს ნაყიდი. ჰო, პატარა, ცხენის ფორმის ვერცხლის გულსაბნევი მექსიკიდან; მშვენივრად შეკრა დეკოლტეს ზედა ნაწილი. ახლა შეეძლო, კაბა ბიუსტჰალტერის გარეშე ჩაეცვა.

«კარგია, რომ ეს მაინც დამრჩა. ისეთი მძიმე იყო ჩემი წარსული; სასიამოვნო მოსაგონარი

ბევრი არაფერია».

თმას სათანადოდ მიხედა – უბზინავდა და უელვარებდა; ფეხსაცმელი და საყურეც საგულდაგულოდ შეარჩია. მერე ახალი ქურქი ჩაიცვა, ტყავის ხელნაკეთი ჩანთა აიღო და ნომერი დატოვა.

ძველი «სტუდებეკერით» წასვლის სურვილი არ ჰქონდა. მოტელის მფლობელს ტაქსი გამოაძახებინა. სანამ მანქანა მოვიდოდა, უეცრად ფრენკთან დარეკვა მოუნდა. გაუგებარია, რატომ გაუჩნდა ეს სურვილი. მაგრამ რატომაც არა?

შეიძლებოდა საფასურიც არ გადაეხადა – ფრენკს ისე გაუხარდებოდა მისი ხმის გაგონება, საუბრის თანხასაც უყოყმანოდ გადაიხდიდა.

მისაღების დახლთან იდგა, ყურმილი ყურზე მიიდო; ჯერ შორეული კავშირის ოპერატორების ერთმანეთთან საუბარი ესმოდა, მერე – აბონენტთან დაკავშირების მცდელობა. ჯერ სან-ფრანციკოელი ოპერატორის ხმა გაისმა, შორიდან, რომელმაც ნომერი აკრიფა; კარგა ხნის ტკაცუნისა და შრიალის შემდეგ ჯულიანას ყურს ზუმერის ხმაც მისწვდა; იდგა და თან ცდილობდა, ტაქსის მოსვლა არ გამოჰპარვოდა. მაგრამ არც ეს იყო პრობლემა: ტაქსი მოიცდიდა, მძღოლები შეჩვეულები არიან.

– თქვენი ნომერი არ პასუხობს, – მოესმა ბოლოს შაიენელი ტელეფონისტის ხმა, – თუ გსურთ, შემიძლია ზარი გავიმეორო...

– არა, – თავი გააქნია ჯულიანამ. ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი წამიერი ახირება იყო, – არ არის საჭირო. გმადლობ, – ყურმილი დაკიდა; მოტელის მეპატრონე იქვე ახლოს ტრიალებდა, რომ მისი ტელეფონის ანგარიშზე შეცდომით რაიმე თანხა არ დარიცხულიყო. ჯულიანამ სწრაფი ნაბიჯით დატოვა მისაღები და გარეთ, ცივ, ჩაბნელებულ ქუჩაში გავიდა.

მცირე ხნის შემდეგ მანქანების ნაკადს ახალი, ლაპლაპა ტაქსი გამოეყო, ტროტუართან გაჩერდა, მძღოლი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და კარი გაუღო.

ერთი წუთის შემდეგ ჯულიანა მდიდრული ტაქსით შაიენის ქუჩებში აბენდსენების სახლისკენ მიქროდა.

აბენდსენების განათებული სახლიდან მუსიკისა და სტუმრების ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. ერთსართულიანი მობათქაშებული შენობა იყო, მის გარშემო მრავალი ბუჩქითა და მოზრდილი ბაღით, რომელშიც ხვიარა ვარდები იზრდებოდა. ჯულიანა ფილაქნის ბილიკით სახლისკენ მიაბიჯებდა და გაოცებული ფიქრობდა: «რამე შემეშალა? ნუთუ ეს არის მაღალი კოშკი? აბა, რას ჭორაობენ?»

ჩვეულებრივი სახლი იყო, ლამაზი და შესანიშნავად მოვლილი ბაღით. შენობასთან მისასვლელი გრძელი ბეტონის გზის ბოლოს ბავშვის სამბორბლიანი ველოსიპედიც შენიშნა.

«იქნებ ეს სხვა აბენდსენია?»

ჯულიანამ მისამართი შაიენის სატელეფონო წიგნში იპოვა, მაგრამ იგივე ნომერი იყო, რომელზედაც წინა დღეს გრილიდან დარეკა.

ჭედური თუჯისგან დამზადებული მოაჯირებით შემკულ პარმაღზე ავიდა და ზარი დარეკა. სანახევროდ შეღებული კარიდან მისაღები ოთახი, სტუმრები, ფანჯრებზე ვენეციური ფარდები, პიანინო, ბუხარი, წიგნის თაროები დაინახა.

«ლამაზი ავეჯია, – გაიფიქრა, – ნეტავ დღეს სტუმრების მიღების დღე აქვთ? მაგრამ ყველას ჩვეულებრივად რომ აცვია?».

ცამეტიოდე წლის თმაგაჩეჩილმა, მაისურსა და ჯინსში გამოწყობილმა ბიჭუნამ კარი გამოაღო.

– დიახ?

– ეს მისტერ აბენდსენის სახლია? დაკავებული ხომ არ არის?

ბიჭმა თავი მიაბრუნა და სახლში გასძახა:

– დე, ქალბატონს მამას ნახვა უნდა.

ბიჭის უკან სავარაუდოდ ოცდათხუთმეტიოდე წლის წითური ქალი გამოჩნდა. მაღალი იყო, გამჭოლი რუხი თვალები ჰქონდა და ისეთი თბილი, კეთილგანწყობილი ღიმილი, რომ ჯულიანამ მაშინვე იცნო კეროლაინ აბენდსენი.

– გუშინ მე დაგირეკეთ, – უთხრა ჯულიანამ.

– ოჰ, დიახ, რა თქმა უნდა, – ქალმა გაუღიმა. არაჩვეულებრივი, სწორი ქათქათა კბილები ჰქონდა;

«ირლანდიელია, – დაასკვნა ჯულანამ, – მხოლოდ ირლანდიურ სისხლს შეუძლია სახის ოვალს ასეთი მოხდენილობა მიანიჭოს».

– მომეცით თქვენი ქურქი და ხელჩანთა. კარგ დროს გვესტუმრეთ, რამდენიმე მეგობარია მოსული. რა მშვენიერი კაბაა... კერუბინის სახლისაა, ხომ ასეა?

ჯულიანა მისაღები ოთახის გავლით საწოლ ოთახში შეიყვანა, სადაც საწოლზე დანარჩენი სტუმრების ნივთებიც ეწყო.

– ჩემი ქმარი სადღაც აქვე უნდა იყოს. ეძებეთ ტანმაღალი სათვალიანი მამაკაცი, «ოლდ ფეშენის»

[106]

ჭიქით ხელში, – კეროლაინი ჯულიანას გულთბილად უმზერდა; ისინი ერთმანეთს

უსიტყვოდ უგებდნენ. «რა უცნაურია», გაიფიქრა ჯულიანამ.

– დიდი გზა გამოვიარე.

– დიახ. ასე მითხარით. მოიცათ, დავინახე, – კეროლაინ აბენსდენმა ჯულიანა მისაღებ ოთახში, მამაკაცების ჯგუფთან მიიყვანა, – ძვირფასო, აქ მოდი, თუ შეიძლება. ერთ-ერთი მკითხველია მოსული, რომელსაც შენთვის რამდენიმე სიტყვის თქმა სურს.

ჯგუფს ერთი მამაკაცი გამოეყო სასმელის ჭიქით ხელში. ჯულიანამ დაინახა ტანმაღალი, შავგვრემანი მამაკაცი შავი ხვეული თმით; ოდნავ შეფერადებული სათვალის მინების მიღმა თვალები იისფერი თუ ყავისფერი უჩანდა. მკერავის შეკერილი, ძვირადღირებული, სავარაუდოდ ინგლისური შალის ნატურალური ქსოვილის კოსტიუმი მის ფართო მხრებს ხაზგასმით წარმოაჩენდა. ჯულიანამ თავისი ცხოვრების განმავლობაში ასეთი გარეგნობის მამაკაცი პირველად ნახა და მოხიბლული შესცქეროდა.

– მისის ფრინკი მანქანით კანიონ-სიტიდან ჩამოვიდა, კოლორადოდან, მხოლოდ იმიტომ, რომ «კალიის» შესახებ გაგსაუბრებოდა.

– მეგონა, კოშკში ცხოვრობდით, – თქვა ჯულიანამ.

ჰოთორნ აბენდსენმა ფიქრიანად გაუღიმა.

– დიახ, ვცხოვრობდით. მაგრამ იქამდე ლიფტით ასვლა იყო საჭირო, მე კი თანდათან ფობია დამეწყო. ერთხელაც დავლიე და მაშინ დაიწყო ყველაფერი. ვიდექი და იქ ასვლაზე უარს ვამბობდი – ლიფტის ტროსი თავად იესო ქრისტეს უჭირავს და მასთან მისასვლელი გზა თავად უნდა გავიაროთ-მეთქი. ამიტომ აქ გადმოსვლა გადავწყვიტეთ, ლიფტი რომ აღარ დაგვჭირვებოდა.

ჯულიანამ ვერაფერი გაიგო.

– ჰოთი მიყვებოდა, რომ როდესაც ზემოთ, ქრისტემდე ადიოდა, ფეხზე დადგომას უკვე ვერ ახერხებდა; ღმერთს დამჯდარი შეხვდე, წესი არ არისო, ასე ამიხსნა.

ჯულიანას ფსალმუნი გაახსენდა.

– მაღალი კოშკი მიატოვეთ და ქალაქში გადმოხვედით...

– სასმელი მინდა შემოგთავაზოთ, – თქვა ჰოთორნმა.

– კარგი. მაგრამ «ოლდ ფეშენი» არა, – უკვე დაინახა ბარის დახლი ვისკის ბოთლებით, წასახემსებლით, ბოთლებით, ყინულის თასით, მიქსერით, ალუბლებითა და დაჭრილი ფორთოხლით სავსე თეფშებით; ბარისკენ გაემართა აბენდსენების თანხლებით, – ყინულიანი ჰარპერი დამისხით, ყოველთვის მიყვარდა. სამისნო წიგნს თუ იცნობთ?

– არა, – ჰოთორნი სასმელს ჭიქაში უსხამდა.

გაოგნებულმა ჯულიანამ ისევ უთხრა:

– «გარდაქმნათა წიგნზე» მოგახსენებთ.

– არ ვიცი, – გაიმეორა აბენდსენმა და ჭიქა გაუწოდა.

– ნუ აღიზიანებ, – უთხრა კეროლაინ აბენდსენმა.

– თქვენი წიგნი წავიკითხე. ფაქტობრივად ამ საღამოს დავასრულე. საიდან იცოდით ყველაფერი იმ სამყაროს შესახებ, რომელიც აღწერეთ?

ჰოთორნს არაფერი უთქვამს; თვალი აარიდა და ზედა ტუჩზე მოკეცილი თითი მიიდო.

– სამისნო წიგნი გამოიყენეთ? – არ ცხრებოდა ჯულიანა.

ჰოთორნი მიაჩერდა.

– არ არის საჭირო ხუმრობა, – უთხრა ჯულიანამ, – სიმართლე მითხარით.

ჰოთორნი ტუჩებს იკვნეტდა, იატაკს ჩაშტერებოდა, გულხელი დაეკრიფა და ქუსლებზე ნელა ქანაობდა. ოთახში მათ სიახლოვეს ვინც იდგა, დადუმდა და ჯულიანა გრძნობდა, როგორ შეიცვალა მათი განწყობა. ნათქვამი არ მოუწონეს, მაგრამ შეკითხვის უკან წაღებას ან მის შენიღბვას არ აპირებდა; თავად არ თვალთმაქცობდა, მისთვის სიმართლის გაგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძალიან შორიდან ჩამოვიდა და ბევრი გაიღო იმისათვის, რომ ახლა ჭეშმარიტება გაეგო.

– ეს... რთული შეკითხვაა, – თქვა ბოლოს აბენდსენმა.

– არ არის რთული, – უპასუხა ჯულიანამ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა; ყველა ჯულიანას, კეროლაინ და ჰოთორნ აბენდსენებს მისჩერებოდა.

– მაპატიეთ, – თქვა აბენდსენმა, – არ შემიძლია გიპასუხოთ. ამას უნდა შეეგუოთ.

– მაშ, წიგნი როგორ დაწერეთ?

აბენდსენმა სასმელის ჭიქით მის კაბაზე დამაგრებულ გულსაბნევზე მიუთითა:

– ამ გულსაბნევს თქვენს კაბაზე რა უნდა? ბოროტი სულები უნდა განდევნოს? თუ ნაწილებს აერთებს?

– რატომ ცვლით საუბრის თემას? არ გსურთ მიპასუხოთ და ასეთი სულელური შენიშვნებით კმაყოფილდებით. ეს ხომ ბავშვური საქციელია.

– ყველას აქვს თავისი ტექნიკური საიდუმლოებები. თქვენ თქვენი გაქვთ, მე – ჩემი. ამას ვგულისხმობდი. ჩემი წიგნი წაიკითხეთ და მზად უნდა იყოთ მიიღოთ ის ისეთი, როგორიც

არის, – ჯულიანას ისევ გაუწოდა ჭიქა, – დივანს რომ უყურებთ, იმას ხომ არ ფიქრობთ, მის შიგნით ზამბარებია თუ მატრასი? ასეთია ადამიანის ბუნებაც – ზოგადად, ისინი ნდობით ეკიდებიან იმას, რასაც ხედავენ.

«ეტყობა, რომ ნერვიულობს, – გაიფიქრა ჯულიანამ, – სადღაც გაქრა მისი თავაზიანობა, კეთილგანწყობა». კეროლაინის სახის გამომეტყველებაც შენიშნა: ქალს ტუჩები მაგრამ მოეკუმა, აღარ იღიმებოდა და სახეზე აშკარა დაძაბულობა აღბეჭდოდა.

– თქვენს წიგნში ამბობთ, რომ გამოსავალი არსებობს. რა არის ეს?

– გამოსავალი? – დამცინავად გაიმეორა ჰოთორნმა.

– თქვენ ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემთვის: ახლა უკვე ვიცი, არაფრის უნდა მეშინოდეს, აღარ მძულდეს, აღარაფერს უნდა გავექცე. ან მივდიო.

აბენდსენი ხელში ჭიქას ატრიალებდა და თვალს არ აცილებდა.

– ჩემი აზრით, ამ ქვეყნად ბევრი რამ არის, რაც ბრდღვნად ღირს.

– მესმის თქვენი აზრი, – ჯულიანას ასეთი თვალსაზრისი დიდი ხანია სმენოდა, მაგრამ ახლა უკვე აღარ აქცევდა მას ყურადღებას. მნიშვნელობა დაკარგა, – გესტაპოს დოსიეში მითითებულია, რომ ჩემნაირი გარეგნობის ქალები მოგწონთ.

აბენდსენს ოდნავ შეეცვალა სახის გამომეტყველება.

– 1947 წლის შემდეგ გესტაპო აღარ არსებობს.

– მაშინ უშიშროების სამსახურის, ან რაღაც ასეთის.

– შეგიძლიათ დაწვრილებით მოყვეთ? – კეროლაინს უკვე მკვახე ხმა ჰქონდა.

– შემიძლია და მინდა კიდეც: დენვერში ერთ-ერთ იმათგანთან ერთად ჩამოვედი. სხვა დროს აქამდე მოაღწევენ. სადმე უნდა დაიმალოთ, იმის ნაცვლად, რომ ასეთ სახლში ყველას თვალწინ იცხოვროთ; სახლში, სადაც ყველას შეუძლია მოსვლა და წასვლა, ჩემსავით. ერთ დღესაც მორიგ მკვლელს გამოგზავნიან.

– თქვენ თქვით, მორიგსო, – დუმილის შემდეგ წამოიწყო აბენდსენმა, – წინას რა დაემართა? დენვერში თქვენთან ერთად ჩამოსულს. აქ რატომ არ არის?

– იმიტომ რომ, ყელი გამოვჭერი.

– ეს... მართლაც რაღაცას ნიშნავს – თქვენნაირი ქალისგან, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ხედავ, ასეთი რამ მოისმინო...

– არ გჯერათ ჩემი?

– როგორ არა, – აბენდსენმა გულთბილად გაუღიმა, თითქოს მისგან პატიებას ითხოვსო. აშკარად ეტყობოდა, მის სიტყვებში ეჭვი არ შეუტანია, – მადლობას მოგახსენებთ.

– გთხოვთ, დაემალეთ მათ.

– იცით, ვცადეთ. წიგნი წაიკითხეთ და ალბათ უკანა ყდაც ნახეთ... იქ კოშკზე, იარაღზე, მავთულხლართებზე წერია. ასე იმიტომ დავწერე, მინდოდა სცოდნოდათ, რომ ვფრთხილობ, – დაღლილი, გაბეზრებული ხმა ჰქონდა.

– იარაღი მაინც ატარე, – ჩაერია მისი ცოლი, – ვიცი, ვიღაც სტუმარს შემოუშვებ სახლში სასაუბროდ, რომელიც გესვრის. ნაცისტების მოგზავნილი რომელიმე სპეცრაზმელი იქნება. არ არის საჭირო ამ თემაზე ფილოსოფოსობა.

– თუ უნდათ, მაინც მიაღწევენ თავისას. მნიშვნელობა არ აქვს, მავთულხლართებსა და მაღალ კოშკში ვიქნები თუ არა.

«ფატალისტი ყოფილხართ, – გაიფიქრა ჯულიანამ, – საკუთარ სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერისთვისაც კი მზად ხართ. თქვენი წიგნიდან ესეც რომ ცხადია, ამას თუ ხვდებით?»

– თქვენი რომანი სამისნო წიგნმა დაწერა, ხომ ასეა? – კვლავ ჰკითხა ჯულიანამ.

– სიმართლის გაგება გინდათ?

– მინდა და ვიმსახურებ კიდეც. იმისათვის, რაც გავაკეთე. მაშ, ასე იყო? ხომ იცით, რომ მართალს ვამბობ.

– სანამ ჩემი წიგნი იწერებოდა, სამისნო წიგნს ღრმა ძილით ეძინა, – უპასუხა აბენდსენმა, – სამუშაო ოთახის კუთხეში, – სერიოზული მზერა ჰქონდა, თითქოს სახის ნაკვთები დაუგრძელდა.

– უთხარი, – თქვა კეროლაინმა, – მართალს ამბობს: მას უფლება აქვს იცოდეს სიმართლე, იმის გამო რაც შენთვის გააკეთა, – მერე ჯულიანას მიუბრუნდა, – მე გეტყვით, მისის ფრინკ: ჰოთი სათითაოდ უსვამდა შეკითხვებს. ათასობით შეკითხვას. სიუჟეტის შესახებ. ისტორიულ პერიოდზე. სიუჟეტზე. პერსონაჟებზე. ქარგაზე. ამას წლები დასჭირდა. მან სამისნო წიგნს ისიც კი ჰკითხა, წარმატებული იქნებოდა თუ არა ახალი რომანი, და წინასწარმეტყველების თანახმად, მის კარიერაში ეს იქნებოდა ფაქტობრივად პირველი, მართლაც არნახული პოპულარობის მქონე ნაწარმოები. ასე რომ, მართალს ბრძანებთ. თავადაც ხშირად უნდა იყენებდეთ სამისნო წიგნს, რაკი ამას მიხვდით.

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ სამისნო წიგნს რომანის დაწერა შეეძლო. ის თუ ჰკითხეთ, რატომ დაწერა ასეთი წიგნი? რატომ დამარცხდნენ ომში გერმანია და იაპონია? რატომ არის სწორედ ასეთი ამბავი მოთხრობილი და არა რაიმე სხვა? რაიმე ფარული აზრია, როგორც, ჩვეულებრივ, მის პასუხებს ახასიათებს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

არც ჰოთორნს, არც კეროლაინს ხმა არ ამოუღიათ.

– ჰონორარის განაწილებას რაც შეეხება, მისთვის ეს შეკითხვა არ დამისვამს, – თქვა ბოლოს ჰოთორნ აბენდსენმა, – მისთვის რომ მეკითხა, რატომ დაწერა «კალია», მაშინ მას წილი ეკუთვნის. შეკითხვა იმას გულისხმობს, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მანქანზე ვბეჭდავდი ტექსტს, ეს კი ასე ნამდვილად არ ყოფილა.

– მაშინ მე შევეკითხები, – ჩაერთო კეროლაინი, – შენ თუ არ გინდა.

– ეს შენი შეკითხვა არ იქნება, – უპასუხა ჰოთორნმა, – ამან ჰკითხოს, – ჯულიანას მიუბრუნდა, – უჩვეულო გონების პატრონი ბრძანდებით. ეს თუ იცოდით?

– სად არის თქვენი სამისნო წიგნი? ჩემი მანქანაში დარჩა, მოტელთან. თქვენს ეგზემპლარს თუ არ მათხოვებთ, მოგვიანებით თავად ვკითხავ.

ჰოთორნი სამუშაო ოთახისკენ წავიდა. მას უკან მიყვნენ ჯულიანა, კეროლაინი და დანარჩენი სტუმრები. ყველა კართან იდგა. ბოლოს აბენდსენიც გამოჩნდა, ორი შავყდიანი ტომი ეჭირა ხელში.

– ფარსმანდუკის ღეროებს არ ვიყენებ, – უთხრა ჯულიანას, – სულ მეკარგება. მონეტა მირჩევნია.

ჯულიანა ყავის მაგიდის კუთხეს მიუჯდა.

– ფურცელი და ფანქარი მჭირდება.

თვალის დახამხამებაში ერთიცა და მეორეც მის წინ იდო. ოთახში მყოფნი ჯულიანას და აბენდსენებს გარს შემოერტყნენ, მოსასმენად მოემზადნენ.

– შეგიძლიათ შეკითხვა ხმამაღლა დასვათ, – უთხრა ჰოთორნმა, – დასამალი არაფერი გვაქვს.

– მისანო, რატომ დაწერე «შეესია კალია ქვეყანას»? რა არის მისი ფარული აზრი?

– შეკითხვის ჩამოყალიბების გასაოცარი მანერა გაქვთ, – შეაქო ჰოთორნმა და მის გვერდით ჩამოჯდა, – მიდი, – ჯულიანას სამი ჩინური გახვრეტილი მონეტა გაუწოდა, – ძირითადად ამათ ვიყენებ.

ჯულიანამ მონეტები აისროლა. სიმშვიდეს ინარჩუნებდა, საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული იყო. ჰოთორნს ფურცელზე შესაბამისი ხაზები გამოჰყავდა.

როდესაც ჯულიანამ მეექვსედაც ააგდო მონეტები, აბენდსენმა ფურცელს დახედა და თქვა:

– წვერში «სუნი». ძირში «ტუი». ცენტრში სიცარიელეა.

– იცით, ეს რომელი ჰექსაგრამაა? წიგნში ჩახედვის გარეშე?

– დიახ, – უპასუხა ჰოთორნმა.

– შუნ-ფუ, – თქვა ჯულიანამ, – «შინაგანი სიმართლე». მეც ვიცი, არ მჭირდება ცხრილის გამოყენება. და ისიც ვიცი, რას ნიშნავს.

ჰოთორნმა თავი ასწია და დაჟინებით მიაჩერდა. სახეზე ველურის გამომეტყველება აღბეჭდოდა.

– იმას, რომ ჩემი წიგნი სიმართლეს აღწერს?

– დიახ, – უპასუხა ჯულიანამ.

– ესე იგი, ომში გერმანია და იაპონია დამარცხდნენ?

– დიახ.

ჰოთორნმა ორივე ტომი დახურა და ფეხზე წამოვარდა; არაფერი უთქვამს.

– თავადაც არ გჯერათ ამის, – უთხრა ჯულიანამ.

აბენდსენი მცირე ხანს დუმდა. ჯულიანამ მის თვალებში სიცარიელე დაინახა. «საკუთარ თავში ჩაიძირა. მომხდარს აანალიზებს».

ჰოთორნს როგორც იქნა, თვალებში სხივი დაუბრუნდა; ჩაიცინა და მიაჩერდა:

– არ მჯერა.

– უნდა დაიჯეროთ, – წარმოთქვა ჯულიანამ.

აბენდსენმა თავი გააქნია.

– არ შეგიძლიათ? დარწმუნებული ხართ?

– გინდათ, ავტოგრაფი წავაწერო «კალიის» თქვენს ეგზემპლარს?

ჯულიანა წამოდგა.

– ჩემი წასვლის დროა. დიდი მადლობა. მაპატიეთ, თუ საღამო ჩაგიშხამეთ. ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, შეხვედრის საშუალება რომ მომეცით, – კეროლაინსა და ჰოთორნთან ერთად სტუმრების წრე გაარღვია და საწოლი ოთახისკენ წავიდა ქურქისა და ხელჩანთის ასაღებად.

უკვე ჩაცმული იყო, როდესაც მის ზურგს უკან ჰოთორნი გამოჩნდა.

– იცით, ვინ ხართ? – აბენდსენი ცოლს მიუბრუნდა, – ეს გოგონა მაცდუნებელია. პატარა დემონური სული, – ხელი ასწია და წარბები მოისრისა, მაგრამ ისე ძლიერად, კინაღამ სათვალე ჩამოუვარდა, – მოუღლელად დაიარება დედამიწაზე, – სათვალე გაისწორა და

განაგრძო:

– იმას აკეთებს, რასაც ინსტინქტი უკარნახებს, საკუთარ ბუნებას მისდევს. თავში არც კი მოსვლია, რომ ვიღაცას შესაძლოა ტკივილი მიაყენა; თავს ისე გატყდება, როგორც სტიქია. მოხარული ვარ, რომ მოვიდა. არ მწყინს, რაც მან წიგნის თაობაზე თქვა. არ იცოდა, აქ მოსვლისას რა დახვდებოდა და რა მოხდებოდა. ჩემი აზრით, ბედმა გაგვიღიმა. ასე რომ, ნუ გავუბრაზდებით, კარგი?

– არნახულად, საზარლად დამანგრეველია.

– რეალობა ასეთია, – დასძინა აბენდსენმა, მერე ჯულიანას ხელი გაუწოდა, – დიდი მადლობა იმისთვის, რაც დენვერში მოიმოქმედეთ.

ჯულიანამ ხელი ჩამოართვა:

– ღამე მშვიდობისა. თქვენს ცოლს დაუჯერეთ და იარაღი მაინც ატარეთ.

– არა, – უპასუხა აბენდსენმა, – უკვე დიდი ხანია გადავწყვიტე. არ ვაპირებ ამ საკითხს დავუბრუნდე. როდესაც რაღაც მაწუხებს და მოსვენებას არ მაძლევს, სამისნო წიგნს ვიშველიებ, განსაკუთრებით ღამღამობით. არც ისე ცუდი საშუალებაა, – ნაღვლიანად გაიღიმა, – ახლა, სიმართლე გითხრათ, მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: აქ თავშეყრილები, სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, მთელ სასმელს გამოცლიან, – მერე შებრუნდა და ბარისკენ გაემართა ჭიქის შესავსებად და ყინულის ჩასაყრელად.

– ახლა სად წახვალთ? – შეეკითხა ჯულიანას კეროლაინი.

– არ ვიცი, – უკვე აღარ აღელვებდა ეს კითხვა.

«ალბათ ცოტათი მას ვგავარ. არის საკითხები, რომლებმაც ჩემთვის წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა», გაიფიქრა, კეროლაინს კი უპასუხა:

– შეიძლება ქმართან, ფრენკთან დავბრუნდე. ამ საღამოს მასთან დარეკვა ვცადე; კიდევ ვცდი. მოგვიანებით, თუ სურვილი მექნა.

– იმის მიუხედავად, რაც ჩვენთვის გააკეთეთ, ან ამბობთ, რომ გააკეთეთ...

– გინდათ, რომ აქ აღარასოდეს დავბრუნდე, – დაასრულა ჯულიანამ.

– თუ ჰოთორნის სიცოცხლე იხსენით, ეს საშინელი საშუალებით მოხდა; თუმცა, მომიტევეთ, მაგრამ არ ვიზიარებ იმ ყველაფერს, რაც თქვენ და ჰოთორნმა რომანზე თქვით.

– უცნაურია, – მიუგო ჯულიანამ, – ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ სიმართლის თქმა გაგაბრაზებდათ.

«სიმართლე – სიკვდილივით საზარელი ჭეშმარიტება... მაგრამ მისი აღმოჩენა უფრო ძნელია. ბედმა გამიღიმა», გაიფიქრა ჯულიანამ.

– ჩემი აზრით, თქვენც ისევე აღელვებული და კმაყოფილი უნდა იყოთ, როგორც მე ვარ. ეს მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობა იყო, ასე არ არის? – გაიღიმა. მისის აბენდსენმაც საპასუხოდ გაჭირვებით გაუღიმა, – ასეა თუ ისე, ღამე მშვიდობისა.

ერთი წუთის შემდეგ ჯულიანა ნელი ნაბიჯით ფილაქანს მიუყვებოდა. გაიარა მისაღები ოთახის ფანჯრების სინათლით განათებული ბაღი და ჩაბნელებულ ტროტუარზე გავიდა.

მიდიოდა, აბენდსენის სახლისკენ აღარ მიუხედავს. მიდიოდა ქუჩაში და ეძებდა მანქანას ან ტაქსის, მოძრავს, მოლაპლაპეს, ცოცხალს, რომელიც ბნელი ქუჩიდან მოტელში დააბრუნებდა.

1] ბოლინგენის ფონდი (Bollingen Foundation Inc.) – 1945 წელს შვეიცარიაში, ბოლინგენში პოლ და მერი მელონების მიერ დაარსებული კერძო საგანმანათლებლო ფონდი მიზნად ისახავდა საუნივერსიტეტო განათლებისთვის აუცილებელი წიგნების გამოცემას. ფონდმა 1968 წლამდე, სანამ აქტიურ მოღვაწეობას შეწყვეტდა, 250 ტომის გამოცემა მოასწრო. დღეს მის ნაცვლად მოქმედებს ენდრიუ უილიამ მელონის ფონდი (ზემო, ისევე როგორც მომდევნო, სქოლიოებში ჩატანილი შენიშვნები ეკუთვნის მთარგმნელს).

[2] უილიამ ევერეტ კუკი (1921-1964) – ვესტერნებისა და დეტექტივების ჟანრის ამერიკელი მწერალი. მისი სხვა ფსევდონიმებია ფრენკ პისი, ჯეიმზ კინი, უეიდ ევერეტი.

[3] ფრანკლინ დელანო რუზველტი (1881-1945) – აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი. ერთადერთია, ვინც პრეზიდენტად ოთხჯერ აირჩიეს – 1932, 1936, 1940, 1944 წლებში. «ახალი გარიგების» პოლიტიკური კურსის წყალობით დიდი დეპრესიის ეპოქაში უმუშევართა დასაქმება, ეკონომიკური სისტემის რეფორმირება, ქვეყნის აღდგენა შეძლო. II მსოფლიო ომის ურთულეს პერიოდში მოახერხა ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზაცია. გარდაიცვალა ინსულტით ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, 1945 წლის 12 აპრილს.

[4] მსოფლიო გამოფენა (ფრ. Exposition Universelle Internationale; ინგ. World’s Fair) – საერთაშორისო გამოფენა, რომელიც ტექნოლოგიის სიახლეებს აცნობს დამთვალიერებელს. პირველი მსოფლიო გამოფენა 1851 წელს ლონდონის ჰაიდ პარკში ჩატარდა, სპეციალურად ამ მიზნით აგებულ «ბროლის სასახლეში». აშშ-მ მსოფლიო გამოფენას უმასპინძლა 1853 (ნიუ-იორკი), 1876 (ფილადელფია), 1884 (ნიუ-ორლეანი), 1893 (ჩიკაგო), 1894 (სან-ფრანცისკო), 1895 (ატლანტა), 1901 (ბუფალო), 1904 (სენტ-ლუისი) 1907 (ჰემპტონ-როუდსი), 1915 (სან-ფრანცისკო და სან-დიეგო), 1926 (ფილადელფია), 1933 (ჩიკაგო), 1939 (ნიუ-იორკი და სან-ფრანცისკო), 1962 (სიეტლი, ვაშინგტონი), 1964 (ნიუ-იორკი), 1968 (სან-ანტონიო), 1974 (სპოკეინი), 1982 (ნოქსვილი), 1984 (ნიუ-ორლეანი) წლებში.

[5] ჰორას გრილი (1811-1872) – ამერიკელი ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, 1872 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ლიბერალურ-რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების საერთო კანდიდატი. 1834 წელს დააარსა «ნიუ-იორკერი». 1841 წელს დაიწყო «ნიუ-იორკ ტრიბიუნის» გამოცემა, რომლის რედაქტორი სიცოცხლის ბოლომდე იყო. 1865 წლის 13 ივლისის ნომრის სარედაქციო სვეტში საყოველთაოდ ცნობილი შემდეგი სიტყვები ეწერა: Go

West, young man, go West and grown up with the country, რაც «ველურ დასავლეთად» წოდებული ტერიტორიების ამთვისებლების დევიზი გახდა.

[6] ვიქტორიანულ ეპოქას უწოდებენ 1837-1901 წლებს ანუ დიდ ბრიტანეთის დედოფლის, ვიქტორიას მმართველობის ხანას. აშშ-ში დიდი ბრიტანეთის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ახალ ინგლისსა და სამხრეთში. ინდუსტრიული ქალაქების შეძლებული მოსახლეობა ცდილობდა მიებაძა დედასამშობლოსთვის ჩაცმის სტილით, გემოვნებით, ქცევის წესებით.

7] ჯინ ჰარლოუ (ჰარლინ ჰარლოუ კარპენტერი) (1911-1937) – 1930-იანი წლების ამერიკელი კინომსახიობი და სექს-სიმბოლო, რომელსაც თმის ფერის გამო «პლატინის ქერას», «ქერა სექს-ბომბასაც» ეძახდნენ.

[8] ბერსერკ/ბერსერკერი – ძველ სკანდინავიურ საზოგადოებაში მეომარი, რომელმაც თავი ღმერთ ოდინს მიუძღვნა. ბრძოლის წინ ბერსერკები სხვადასხვა საშუალებით მრისხანების უკიდურეს ზღვარს აღწევდნენ. ღონიერი ბერსერკები ბრძოლაში დაუნდობლობით, ტკივილისადმი უგრძნობლობით, სისხარტით გამოირჩეოდნენ.

[9] ეს გერმანული სიტყვა ულამაზესის, უმშვენიერესის, დიდებულის, კეთილშობილის სინონიმია. მაიამიში გავრცელებული სლენგით კი ძუკნას, მეძავს ნიშნავს.

[10] ფრედ ალენი (ჯონ ფლორენს სალივანი) (1894-1956) – ამერიკელი კომიკოსი, რომელსაც 1934-1949 წლებში აბსურდული შოუ მიჰყავდა რადიოში და უაღრესად პოპულარული იყო.

[11] უილიამ კლოდ ფილდსი (უილიამ კლოდ დუკენფილდი) (1880-1946) – ამერიკელო კომიკოსი, მსახიობი, ფოკუსების დამდგმელი და მწერალი

[12] ღმერთო, ბატონო კრაისლაიტერო. ალბათ, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც საკონცენტრაციო ბანაკის მოწყობა შეიძლება. ამინდიც მშვენიერია. ცხელა, მაგრამ დარია.

[13] «გარდაქმნათა წიგნი» ანუ «ი ძინი» უძველესი ჩინური სამკითხაო ტრაქტატია, რომლის ავტორობა ტრადიციის თანახმად, ჯოუს ეპოქის ლეგენდარულ მეფეს, ვენს მიეწერება.

[14] ფარსმანდუკის ღეროებით «გუაზე» (აიო-ს ხაზებისგან შემდგარი გრაფიკული გამოსახულება. ხაზების რაოდენობის მიხედვით ორი სახის გუა არსებობს: ტრიგრამა და ჰექსაგრამა) მკითხაობა მისნობის უძველესი სახეობაა, რომელიც ალბათ, მცენარის ღეროზე ძარღვების ანალიზს ემყარებოდა. სამკითხაოდ საჭიროა 50 ღერო, აქედან ერთს გვერდზე გადადებენ და დარჩენილი 49 ორ კონად იყოფა. ჩხირების კონიდან კონაში გადატანისა და რთული გამოთვლების შედეგად მიიღება ექვსი მარტივი რიცხვი. ლუწი რიცხვები აღინიშნება წყვეტილი ხაზით და შეესაბამება «იანს», ხოლო კენტი რიცხვები უწყვეტი ხაზით გამოისახება და «ინის» შესატყვისია. «ინი» ბნელ, უარყოფით,

პასიურ, ქალურ საწყისს განასახიერებს, ხოლო «იანი» – ნათელს, დადებითს, ქმედითს, მამაკაცურს. (იხ. რევაზ ყარალაშვილი, «ჩინეთის დიდი კედლის მიღმა», თბილისი, 1989).

[15] მისნები უწყვეტი და წყვეტილი ხაზებისგან მიღებულ რვა ტრიგრამას (ბა გუა) განასხვავებდნენ. ტრიგრამების ყოველ სამეულს შესაბამისი სახელი, შესატყვისი და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ტრიგრამების დაწყვილებით მიიღება 64 ჰექსაგრამა, რომელთაგან თითოეულს ასევე საკუთარი სახელი და მნიშვნელობა აქვს. თითოეულ ჰექსაგრამას უკავშირდება გაუგებარი შინაარსის აფორისტული გამონათქვამი (ტუანი) და მისი კომენტარი (ქსიცი). გამონათქვამები და კომენტარები «გარდაქმნათა წიგნშია» მითითებული. ყოველი ჰექსაგრამა გარკვეულ ცხოვრებისეულ და სამყაროს მდგომარეობას ასახავს, ხოლო მათი მონაცვლეობა ყოფიერების დინამიკას გამოხატავს (იხ. რევაზ ყარალაშვილი, «ჩინეთის დიდი კედლის მიღმა», თბილისი, 1989).

[16] ც’იან – ცა, ძლიერი, მამრი, გამცემი (იხ. რევაზ ყარალაშვილი, «ჩინეთის დიდი კედლის მიღმა», თბილისი, 1989).

[17] ცხრიანი – უწყვეტი ხაზის, კენტი რიცხვის აღმნიშნელია.

[18] ექვსიანი – წყვეტილი ხაზის, ლუწი რიცხვის აღმნიშვნელია.

[19] ავტორი ორიგინალში მიუთითებს წამოძახილს იდიშურ ენაზე: Oy vey!

[20] SAS – სკანდინავიური ავიაკომპანია

[21] დაო ჩინური ფილოსოფიის თანახმად, საყოველთაო კანონი და აბსოლუტია, ყველა ცოცხალი არსების საფუძველი, ერთადერთი და მარადიულად არსებული რეალობა.

[22] ელვისებური მოჩვენება (გერმ.)

[23] ჩინკი აშშ-ში ჩინელებისთვის შერქმეული მეტსახელია.

24] ნამდვილი კომიქსების პირველი წიგნი, რომელიც აშშ-ში 1936 წლის აპრილში გამოვიდა. მისი შემქმნელები არიან ალ კეპი, ერნი ბაშმილერი, ედგარ რაის ბაროუ და ჯონი დივაინი.

[25] 1881-1945 წლებში იაპონიის იმპერიის არმიაში მოქმედი სამხედრო პოლიცია, რომელიც თავისი ფუნქციებით ძალიან ჰგავდა ნაცისტურ გესტაპოს. ემორჩილებოდა სამხედრო მინისტრს, თუმცა საქმიანობის ზედამხედველობა შეეძლო შინაგან საქმეთა მინისტრსაც.

[26] აშშ-ში ემიგრირებული სამხრეთ იტალიის მკვიდრთათვის შერქმეული სახელი (ინგლისურად Wop). იმავდროულად «სოფლელის, გაუთლელის, ხეპრეს» სინონიმია.

[27] ესესი (SS - Schutzstaffel) – შუცშტაფელი ანუ «დამცავი რაზმი» 1934-1945 წლებში ნაცისტური პარტიის დამოუკიდებელი, პარამილიტარისტურლი ორგანიზაცია იყო, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებელია ჰოლოკოსტის განხორციელებისთვის.

[28] იოზეფ გებელსი (1897-1945) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტ, გერმანული ლიტერატურის და ფილოსოფიის დოქტორი, მესამე რაიხის მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, მათ შორის, 1933-1945 წლებში – სახალხო

განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი. პირველი ღონისძიება, რაც მინისტრად დანიშნულმა განახორციელა, «მავნედ» მიჩნეული წიგნების საჯაროდ დაწვა იყო. 1938 წელს მისი ბრძანებით ებრაელების პირველი ღია «პოგრომი» მოეწყო. 1945 წლის 30 აპრილს ცოლს ნება დართო, მათი ექვსივე შვილი მოეწამლა, შემდეგ ცოლ-ქმარმა თავი მოიკლა.

[29] ავიამზიდი «სიოკაკუ» 1944 წლის 16 ივნისს ჩაძირა ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა «კეველი». ავიამზიდი იმ მომენტში კონტრადმირალ ჰარას ექვემდებარებოდა.

[30] ამერიკის სამოქალაქო ომში მდინარე ბულ-რანთან მეორე ბრძოლა 1862 წლის 28-30 აგვისტოს გაიმართა, თითქმის იმავე ადგილზე, სადაც პირველი ბრძოლა. ამერიკის სამხრეთ შტატებში მას მანასასთან მეორე ბრძოლის სახელით მოიხსენიებენ. ბრძოლა კონფედერატების გამარჯვებით დასრულდა.

[31] მესი-არგონის შეტევა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1918 წლის 26 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე მიმდინარებდა. შეტევის შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს.

32] ჯუზეპე ზანგარა (1900-1933) – უმუშევარი ქვისმთლელი, რომელიც ფრანკლინ Dდელანო რუზველტს თავს დაესხა 1933 წლის 15 თებერვალს, ორი კვირით ადრე, სანამ ის პრეზიდენტის მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდა.

[33] აბრაამ ლინკოლნი (1809-1865) – აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი 1861 წლის მარტიდან 1865 წლის აპრილამდე. სახელმწიფოს მართავდა ურთულეს პერიოდში – სამოქალაქო ომის დროს. მან მოახერხა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და მონათმფლობელობას ბოლო მოუღო.

[34] ჯონ უილიამ ბრიკერი (1893-1986) ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელმაც სახელი გაითქვა ულტრაკონსერვატიული შეხედულებებით. იყო სენატორი, ოჰაიოს 54-ე გუბერნატორი. 1944 წელს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინა რესპუბლიკური პარტიიდან, მაგრამ არჩევნებში დამარცხდა.

[35] რექსფორდ ტაგუელი (1891-1979) – ამერიკელი ეკონომისტი, რუზველტის «ახალი გარიგების» პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი ავტორი. რამდენიმე წიგნი დაწერა პრეზიდენტზე, თუმცა მოგვიანებით მისი მოწინააღმდეგეების ბანაკში გადავიდა.

[36] პერლ-ჰარბორი ჰავაის კუნძულ ოაჰუს ყურეა. ყურის დიდი ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია აშშ-ის წყნარი ოკეანის სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური ბაზაა. 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია თავს დაესხა პერლ-ჰარბორს, რაც II მსოფლიო ომში აშშ-ის ჩართვის საბაბი გახდა.

[37] ძველი აღთქმა, გამოსვლა, თავი 10: შეესია უთვალავი კალია ეგვიპტის ქვეყანას და მოეფინა მის ყოველ კუთხეს. არც მანამდე და არც მას მერე გამოჩენილა ამდენი კალია.

[38] სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი (1874-1965) – ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში.

[39] ერვინ ოიგენ იოჰანეს რომელი (1891-1944) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი. მას მეტსახელად «უდაბნოს მელა» შეარქვეს. მონაწილეობდა I და II მსოფლიო ომებში. 1944 წლის 14 ოქტომბერს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

[40]

1925-1961 წლებში სტალინგრადი ერქვა ამჟამინდელ ვოლგოგრადს, ქალაქს მდინარეების – ცარიცასა და ვოლგის შესართავთან (1589-1925 წლებში ცარიცინო ეწოდებოდა). 1942 წლის 23 აგვისტოდან 1943 წლის 2 თებერვლამდე აქ მიმდინარეობდა II მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც მოწინააღმდეგეთა ორივე მხარემ დაახლოებით 1,4 მილიონი ადამიანი დაკარგა. დღემდე უცნობია დაღუპული სამოქალაქო პირების, ასევე დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილთა ზუსტი რიცხვი. ქალაქი ფაქტობრივად მიწასთან გასწორდა და ნანგრევებად იქცა. მისი მშენებლობა ბრძოლის დასრულების მეორე დღიდანვე დაიწყო.

[41] ფრიდრიც ვილჰელმ ერნსტ პაულუსი (1890-1957) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი. 1942 წელს მე-6 არმიას სტალინგრადისკენ გაუძღვა, სადაც ალყაში მოექცა და დამარცხდა. დააპატიმრეს, «სატრაპის» ფსევდონიმითა და საბჭოთა დაცვის თანხლებით გერმანიის ტერიტორიაზე გადაიყვანეს და ნიურნბერგის პროცესზე ბრალდების მოწმედ გამოვიდა. დაწვრილებით მოყვა ოპერაცია «ბარბაროსას» დაგეგმვის, გერმანელების მიერ გამოყენებული ბრძოლისა და ნგრევის ტაქტიკის შესახებ. მისი ჩვენების საფუძველზე ბრალდებულად ცნეს ვილჰელმ კეიტელი, ალფრედ იოდლი და ჰერმან გერინგი. თავად პაულუსი არ გაუსამართლებიათ. მეტიც, 1953 წლიდან გერმანიაში ცხოვრების უფლებაც მიიღო, კერძოდ გდრ-ში, მაგრამ მასთან ურთიერთობა ძირითადად საბჭოთა სამხედროებს ჰქონდათ.

[42] ბერთოლდ კონრად ჰერმან ალბერტ შპეერი (1905-1981) – გერმანელი არქიტექტორი და სახელმწიფო მოღვაწე, III რაიხის შეიარაღების მინისტრი. ლენი რიფენშტალის ფილმში «ნების ტრიუმფი» უკვდავყოფილია შპეერის პროექტით აგებული ნიურნბერგის სტადიონი. მასვე ეკუთვნის 1937 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენისთვის შექმნილი გერმანიის პავილიონის პროექტი.

[43] III რაიხის სამხედრო-სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც 1938 წელს დააარსა ფრიც ტოდტმა და 1942 წელს გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ორგანიზაციას ევალებოდა სამოქალაქო და სამხედრო სამშენებლო პროექტების განხორციელება. 1944 წელს ორგანიზაციის სასარგებლოდ იძულებით ამუშავებდნენ 1 400 000 ებრაელს.

[44] გამაგრებული ევროპა (ინგ. Fortress Europe; გერმ. Festung Europa) – ნაცისტური სამხედრო პროპაგანდის მიერ დანერგილი ტერმინი აღნიშნავდა ევროპის უკვე დაპყრობილ ნაწილს მეორე მსოფლიო ომში, რომელიც უპირისპირდებოდა ლა მანშის გადაღმა მდებარე დიდ ბრიტანეთს. ბრიტანეთში კი სამხედრო-საჰაერო ძალების იმ მეომრებს, რომლებიც ნაცისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის, ასევე მათი მოკავშირეების ტერიტორიაზე

იბრძოდნენ, აჯილდოებდნენ ორდენით, რომელსაც ერქვა «Fortress Europe».

[45] გამოთქმა ეკუთვნის ჯონ ლოკს (1632-1704), გამოჩენილ ინგლისელ მოაზროვნეს, ლიბერალიზმის ფუძემდებელს.

46] JOINT (American Jewish Joint Distribution Commetee) – ამერიკელი ებრაელების გაერთიანებული სადისტრიბუციო კომიტეტი 1914 წელს დაარსებული უმდიდრესი საქველმოქმედო ფონდია.

[47] გუსტავ II ადოლფი (1594-1632) – შვედეთის მეფე, მონაწილეობდა ოცდაათწლიან ომში (1618-1648) ანტიჰაბსბურგული კოალიციის მხარეს.

[48] ჰერმან გერინგი (1893-1946) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, I მსოფლიო ომის გმირი, რაიხსმარშალი, პრუსიის პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ნაცისტური გერმანიის საჰაერო მიმოსვლის მინისტრი. 1939 წლის 1 სექტემბერს რაიხსტაგის წინაშე გამოსვლისას ჰიტლერმა ის თავის მემკვიდრედ დაასახელა. გერინგის პოპულარობა მკვეთრად დაეცა 1941 წლიდან, როდესაც ლუფტვაფემ წააგო საჰაერო ომი ინგლისთან, ვერ დაეხმარა სტალინგრადთან ალყაში მოქცეულ მე-6 არმიას. 1945 წლის 23 აპრილს ჰიტლერს ძალაუფლების მისთვის გადაცემა მოსთხოვა. ფიურერის ბრძანებით ყველა თანამდებობა დაატოვებინეს, დააპატიმრეს და პარტიიდან გარიცხეს. ამერიკელებმა გერინგი იმავე წლის 7 მაისს დააპატიმრეს და ნიურნბერგის ტრიბუნალს გადასცეს. სიკვდილით დასჯის წინა დღეს, 1946 წლის 15 ოქტომბერს თავი მოიწამლა, თუმცა დღემდე დავობენ, რა გზით მოხვდა გერინგთან კამერაში საწამლავი.

[49] მარტინ ბორმანი (1900-1945) – გერმანელი პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტიის კანცელარიის მეთაური რაიხსმინისტრის უფლებებით. ჰიტლერის მრჩეველი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი, რომელსაც ზოგი ისტორიკოსი «რუხ კარდინალად» მოიხსენიებს. ბერლინის ბრძოლის დროს ის გაუჩინარდა. ბორმანის ცხედარი შემთხვევით აღმოაჩინეს 1972 წელს ბერლინში გზის გაყვანის სამუშაოების დროს.

[50] ლუფტვაფე (Luftwaffe) გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალების სახელია. არსებობდა 1910-1918, 1935-1945 წლებში. აღდგა 1956 წელს და დღემდე ეს სახელი ეწოდება.

[51] რაინჰარდ ტრისტან იოგენ ჰაიდრიხი (1904-1942), ესესის (შუცშტაფელი ანუ «დამცავი რაზმები») ობერგრუპენფიურერი (შეესაბამება ვერმახტის გენერლის ჩინს), უშიშროების მთავარი სამმართველოსა და საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი, ბოჰემიისა და მორავიის რაიხსპროტექტორის მოადგილე. ავსტრიის დაპყრობის შემდეგ ხელმძღვანელობდა ებრაელების საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნას, პოლონეთში ინტელექტუალური ელიტის დევნა-განადგურებასა და გეტოების ჩამოყალიბებას. მისი მეტსახელებია «ჯალათი», «პრაღელი ყასაბი», «ქერა ურჩხული», «ჰიმლერის ბოროტი გენია», «სიკვდილის მოციქული».

52] ბალდურ ფონ შირახი (1907-1974) – ახალგაზრდა ჰიტლერელების (ჰიტლერიუგენდი)

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვენის ადმინისტრაციული და პოლიტიკური მმართველი. ნიურნბერგის ტრიბუნალმა 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

[53] ღერძის სახელმწიფოებს უწოდებენ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც II მსოფლიო ომში მოკავშირეების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ კოალიციის წამყვანი ქვეყნები იყო ნაცისტური გერმანია, იაპონიის იმპერია და ფაშისტური იტალია.

[54] უილიამ ჰენრი ეუარტ გოტი (1897-1942) – I და II მსოფლიო ომების მონაწილე, ბრიტანელი გენერალ-ლეიტენანტი. მეთაურობდა მე-7 ჯავშნოსან დივიზიას, ასევე არმიის მე-13 კორპუსს. 1942 წელს უინსტონ ჩერჩილმა ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნა, მაგრამ დანიშნულების ადგილზე მიმავალი გოტის თვითმფრინავი გერმანელებმა 1942 წლის 7 აგვისტოს ჩამოაგდეს.

[55] გესტაპო (Geheime Staatspolizei) – სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია III რაიხის დროს. პრუსიაში დააარსა ჰერმან გერინგმა, ხოლო ჰაინრიხ ჰიმლერის ხელშეწყობით, უფლებამოსილება მთელი რაიხის ტერიტორიაზე გავრცელდა, მოგვიანებით კი გერმანიის დაპყრობილ მიწებზეც. გესტაპო ებრძონა შიდა და გარე ოპოზიციას, რეალურსა და გამოგონილს, ნაცისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, დაპრობილ ქვეყნებში აჯანყებულებს. გესტაპო იყო ევროპის ებრაელების ჟლეტის მთავარი განმახორციელები. ტერმინი «გესტაპო» ტერორისა და განუკითხაობის სინონიმად იქცა.

[56] ჰაინრიხ ჰიმლერი (1900-1945) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, III რაიხის რაიხსფიურერი 1936-1945 წლებში, III რაიხის შინაგან საქმეთა მინისტრი 1943-1945 წლებში, სს-ის, Deutschen Polizei-ს ხელმძღვანელი, ვერმახტის სახმელეთო სარეზერვო არმიის მეთაური და სახმელეთო არმიების აღჭურვა-მომარაგებაზე პასუხისმგებელი. გერმანელი ავტორების ნაწილი მას «საუკუნის მკვლელს» უწოდებს. გასამართლება და სასჯელი თავიდან რომ აეცილებინა, 1945 წლის 23 მაისს თავი მოიკლა.

[57] სერ უილიამ შვენკ გილბერტი (1836-1911) და სერ არტურ სეიმურ სალივანი (1842-1900) ინგლისელი ავტორები იყვნენ, რომლებმაც XIX საუკუნის II ნახევარში თოთხმეტი კომიკური ოპერა დაწერეს, მათ შორის, «გონდოლიერები» 1889 წელს.

[58] რიჩარდ დ’ ოილი კარტი (1844-1901) ნიჭიერი აგენტი, თეატრალური იმპრესარიო და კომპოზიტორი ვიქტორიანული ეპოქის ინგლისში. მან ააშენა ლონდონის ორი თეატრი, შექმნა სასტუმროების ქსელი, ჩამოაყალიბა საოპერო კომპანია, რომელმაც ერთი საუკუნე

იარსება, ასევე სააგენტო, რომელთანაც თანამშრომლობდნენ ყველაზე სახელგანთქმული მსახიობები და მომღერლები. გილბერტთან, სალივანთან, ასევე მეუღლესთან, ჰელენ კართან თანამშრომლობით ჩამოაყალიბა სავოის საოპერო კომპანია, რომელმაც მაყურებელს თოთხმეტი ოპერეტა შესთავაზა და ამ ჟანრს არნახული პოპულარობა მოუპოვა ინგლისში.

[59] რუდოლფ უოლტერ რიხარდ ჰესი (1894-1987) – III რაიხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, ჰიტლერის ოფიციალური წარმომადგენელი ნაცისტურ პარტიაში. 1935 წელს

აქტიურად მონაწილეობდა ნიურნბერგის კანონების შექმნაში. 1941 წლის მაისში შოტლანდიაში გადაფრინდა და ბრიტანელებს აცნობა გერმანიის სსრკ-ს წინააღმდეგ ომისთვის მზადება, შესთავაზა გერმანია-დიდი ბრიტანეთის საზავო ხელშეკრულების გაფორმება. ბრიტანელებმა ჰესი დააკავეს და პატიმრობაში ჰყავდათ ომის დასრულებამდე, შემდეგ ნიურნბერგის ტრიბუნალს გადასცეს, რომელმაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. 1987 წლის 17 აგვისტოს, შპანდაუს ციხეში ორმოცდაექვსწლიანი პატიმრობის შემდეგ ჰესი ციხის ეზოში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

[60] ერნსტ რემი (1887-1934) – გერმანელი პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ჰიტლერის დამცველი სა-ს (შეტევის რაზმი) შემქმნელი და ხელმძღვანელი. 1933 წელს ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამხედრო რეფორმაზე ფიქრობდა, რადგან პრუსიულ არმიულ წესებს დრომოჭმულად მიიჩნევდა. ის გახდა უპორტფელო მინისტრი, რამაც ბევრი გააღიზიანა. ჰიტლერთან დაძაბული ურთიერთობის შედეგი იყო «გრძელი დაშნების ღამე» – რემს ჰიტლერმა შეთქმულების მოწყობაში დასდო ბრალი და თავიდან მოიშორა. მას შემდეგ, რაც რემმს უარი თქვა თავის მოკვლაზე, ის ციხის საკანში დაცხრილეს. რემს ბრალს ჰომოსექსუალიზმშიც სდებდნენ და თვლიდნენ, რომ ის პარტიას სახელს უტეხდა.

[61] 1920-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბენდი, რომელიც ნიუ-ორლეანელი და ჩიკაგოელი მუსიკოსებისგან შედგებოდა. დაკვრის მანერით ახლოს იდგა ჯაზის ჩიკაგოურ სტილთან.

[62] აბვერი (Amtsgruppe Abwehr - განყოფილებათა ჯგუფი «თავდაცვა») – 1938 წლის 4 თებერვალს დაარსებული გერმანიის ვერმახტის (ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელწოდება 1935-1945 წლებში) სამხედრო სადაზვერვო განყოფილება. მას შემდეგ, რაც გადააყენეს სახმელეთ ჯარების მთავარსარდალი ვერნერ ფონ ფრიჩი, აბვერი ნაცისტური რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ცენტრი გახდა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა მოკავშირე სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურებთან, ინფორმაციას აწვდიდა მათ მოსალოდნელი შეტევების შესახებ. 1944 წლის თებერვალში ვილჰელმ კანარისის აბვერის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ აბვერი «სამხედრო განყოფილების» სახით რაიხის უშიშროების მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

[63] გერმანია – აქ ვარ.

64] ზეკაცი

[65] ურიას წიგნი

[66] ოტო სკორცენი (1904-1975) – ესესის სამხედრო ფრთის, ვაფენ ესესის გენერალი, რომელმაც სახელი გაითქვა II მსოფლიო ომის დროს მრავალი სარისკო ოპერაციის ჩატარებით პირადად ჰიტლერის დავალებით. მათ შორის იყო 1943 წელს დაპატიმრებული და გადამალული ბენიტო მუსოლინის მოძებნა და გათავისუფლება.

[67] ოტო ოლენდორფი (1907-1951) – სს-ის გრუპენფიურერი, რომელიც ერთდროულად მუშაობდა უშიშროების სამსახურისა და ეკონომიკის სამინისტროსთვის. ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე მოქმედ ე.წ. «სამიზნე გამანადგურებელ ჯგუფებს» (Einsatzgruppen der Sicherheitspolizei und des SD), რომელთა ძირითადი «დამსახურებაა» უკრაინის ტერიტორიაზე ებრაელთა საკითხის «მოგვარება». ნიურნბერგის პროცესზე დამნაშავედ ცნეს და 1948 წელს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. განაჩენი 3 წლის შემდეგ მოიყვანეს სისრულეში.

[68] ციკლონ ბ – ციანწყალბადმჟავა. როგორც პესტიციდი, «პრუსიული აირის» სახელითაც მოიხსენიება. აღნიშნული აირით ადამიანების მოკვდინების პირველი ექსპერიმენტი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის მე-11 ბლოკში განხორციელდა 1941 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ტყვეებზე. თუმცა ამ აირით ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიიდან ბანაკებში გაგზავნილ ებრაელებსა და ბოშებს ხოცავდნენ.

[69] მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის არმიის სადაზვერვო-დივერსიული დანაყოფი, რომელსაც ჩრფილოეთ აფრიკაში მტრის ზურგში მოქმედება ევალებოდა. სრული სახელია «უდაბნოს შორეული დაზვევის ჯგუფი» (Long Range Desert Group).

[70] ფრანკლინ დელანო რუზველტის გვარ-სახელის შემოკლებული ფორმა

[71] ჯორჯ ჰეპლუაიტი (1727?-1786) – ამერიკელი ავეჯის დამამზადებელი

[72] ტომას ჩიპენდეილი (1718-1779) – ინგლისელი ავეჯის დამამზადებელი

73] კული ინდოეთში, იაპონიასა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში მუშა-მებარგულს ეწოდება.

[74] ჩან კაიში (ძიან ძეში) (1887-1975) – ჩინეთის რესპუბლიკის (ტაივანი) პრეზიდენტი 1927-1940, 1950-1975 წლებში; არმიის მთავარსარდალი 1925 წლიდან, გენერალისიმუსი 1928 წლიდან.

[75] კარლოს დიდი (742/747/748- 814) – ფრანკთა მეფე 768-814 წლებში, ლომბარდთა – 774 წლიდან, დასავლეთის იმპერიის იმპერატორი 800-814 წლებში.

[76] გერმანელი სოციოლოგის, ფერდინანდ ტენისის (1855-1936) მიერ გამოყენებული ტერმინი საზოგადოების ერთ-ერთ მახასიათებლად

[77] პეტრე I დიდი (1672-1725) – რუსეთის მეფე 1682-1721 წლებში, იმპერატორი 1721-1725 წლებში

[78] ოლივერ კრომველი (1599-1658) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, 1642-1646 წლების ინგლისის რევოლუციის მეთაური, 1653-1658 წლებში ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდი-პროტექტორი

[79] ირლანდიაში 1641 წლის 23 ოქტომბერს დაწყებული აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა, რომელიც კრომველმა 1652 წელს ჩაახშო.

[80] «ვინ მიაჭენებს ცხენს ღამით ქარში?

ეს ხომ მამაა თავისი ბავშვით.

აყვანილი ჰყავს ხელში პატარა,

გულში იხუტებს, დასცქერს ჩქარ-ჩქარა»

- იოჰან ვოლფგანგ გოეთე, «მურყნარის მეფე» (მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილის თარგმანი, «გერმანული პოეზიის მცირე ანთოლოგია», გამომცემლობა «სიესტა», 2008 წელი)

[81] დოყლაპიები

82] რასაკვირველია

[83] უცხოური სატელეფონო სადგური

[84] კანცელარია

[85] მადლობას მოგახსენებთ.

[86] ძენ-ბუდიზმის თანახმად, ვუ მშვენიერების აღქმის ირაციონალური მეთოდია.

[87] «ქვა, დაწუნებული მშენებლების მიერ, თავკიდური გახდა» – ძველი აღთქმა, ფსალმუნი 117 (118): 22.

[88] უშიშროების სამსახური, იგივე ესდე (Der Sicherheitsdienst des Reichsführers-SS)

[89] ჩლუნგო!

[90] ის არის.

[91] ხმაურიანი, სენსაციური საქმე, სასამართლო განხილვა

[92] ძუკნა

[93] Om (აუმ) – სიტყვა, რომელიც ფორმალურად არაფერს ნიშნავს და დამოუკიდებლად არაფერს გამოხატავს, სინამდვილეში თავის თავში ყველაფერს იტევს და მაგიურ ძალას ფლობს.

[94]

ძველი აღთქმა, მეფეთა მესამე, 18:27 – შუადღისას დაუწყო მათ დაცინვა ელიამ: მაგრად დაუყვირეთ, რადგან ღმერთია იგი! ფიქრშია ალბათ, ან ვაითუ რამე უჭირს, ან გზაში იყოს. იქნებ სძინავს და გაიღვიძებს.

[95] უილიამ გილბერტი (1544-1603) – ინგლისელი ექიმი, ფიზიკოსი. მეცნიერებაში დაამკვიდრა ტერმინი «ელექტრობა». 1600 წელს გამოცემული მისი ნაშრომი «მაგნიტზე, მაგნიტურ სხეულებზე და დიდ მაგნიტზე – დედამიწაზე» პირველი მეცნიერული თეორიაა ელექტრობისა და მაგნეტიზმის შესახებ.

[96] ტიბეტური ბუდისტური ტრაქტატი «ბარდოს მდგომარეობაში გაგონილის შედეგად დიადი გამოხსნა», რომელსაც ევროპაში «ტიბეტურ მიცვალებულთა წიგნსაც» უწოდებენ, ლოცვებისა და დარიგებების რთული შინაარსის კრებულია, რომლითაც ლამა აცილებდა მომაკვდავსა და გარდაცვლილს. მასში აღწერილია სიკვდილის შემდეგ სულის გარდაქმნის პროცესი, ახალ ცხოვრებად დაბრუნება და სანსარული არსებობის (სანსარა სულის გარდაქმნათა ჯაჭვია, იგივე რეინკარნაცია) წრიდან გასვლა. «ბარდო» ტიბეტურად იმ გარდამავალ მდგომარეობას აღნიშნავს, რომელშიც სული იმყოფება გარდაცვალების შემდეგ ორმოცდაცხრა დღის განმავლობაში, რის შემდეგაც სანსარის ექვსი სამყაროდან ერთ-ერთში გარდაიქმნება.

[97] კარმა აღმოსავლური ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა. ადამიანის კარგი თუ ცუდი ქცევების ერთობლიობა მისი სულის შემდგომ რეინკარნაციას განსაზღვრავს.

[98] ზოგადი მნიშვნელობით ილუზიას აღნიშნავს.

[99] ტოძიო 1940-იანი წლების ბოლოს ჟარგონში დამკვიდრებული რასისტული ტერმინია, რომლითაც იაპონელს (ასევე ჩინელს, კორეელს) მოიხსენიებდნენ. ტოძიო ჰიდეკი (1884-1948) იაპონელი გენერალი, ქყეყნის პრემიერ-მინისტრი იყო 1941-1944 წლებში, იმავდროულად სამხედრო მინისტრის თანამდებობასაც ითავსებდა. შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, სიკვდილით დასაჯეს.

[100] გაიღვიძე (გერმ.)

[101] ახალი აღთქმა, პავლეს ეპისტოლენი, პირველი კორინთელთა მიმართ, 13:12 – რადგანაც ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ; ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები.

102] გუდმენ კეტონ მეთერი XVIII საუკუნის ბოსტონელი რელიგიური მოღვაწეა. უკიდურესად პურიტანული შეხედულების მიუხედავად, მეცნიერებას და მის განვითარებას უჭერდა მხარს.

[103] «ღმერთების დაღუპვა» – რიხარდ ვაგნერის ოპერის «ნიბელუნგების ბეჭდის» მეოთხე ნაწილის სახელწოდება. ოპერის ფინალში მთავარი პერსონაჟები ტრაგიკულად იღუპებიან. «ღმერთების დაღუპვა» – რაგნაროკი – თავის მხრივ, მომდინარეობს სკანდინავიური მითოლოგიიდან, რომლის მიხედვითაც 9 მითიური სამეფოს ღმერთები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ანადგურებენ.

[104] მაპატიეთ, თქვენ ხომ აბვერის კაპიტანი რუდოლფ ვეგენერი ხართ? (გერმ.)

[105] ხალხი

[106] კოქტეილი, რომელშიც შერეულია ვისკი, მწარე ლუდი, დარიჩინი და ლიმონის ცედრა

WiGniS EL. VERSIA MoaMZaDa: DiaDMa DaTuCHaM